

ლია წულაძე
ფლორა ქსეგუა
ირაკლი კახიძე
ანა კვინტრაძე
ირინა ოსეფაშვილი
მარიამ ამეშუკელი

**ევროპეიზაციის პერსპექტივა -
პოლიტიკური და პოპულარული
დისკუსიები ევროპეიზაციის
შესახებ საქართველოში**

**ევროპეიზაციის პერფორმანსი - პოლიტიკური
და პოპულარული დისკუსიები
ევროპეიზაციის შესახებ საქართველოში**

ლია წულაძე, ფლორა ესებუა, ირაკლი კახიძე
ანა კვინტრაძე, ირინა ოსეფაშვილი, მარიამ ამაშუკელი

თბილისი
2016

კვლევა ჩატარდა პროგრამა „კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის“ მხარდაჭერით. პროგრამა „კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელის“ მიზანია სამხრეთ კავკასიაში სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარების მხარდაჭერა სხვადასხვა აქტივობების და ღონისძიებების მეშვეობით, როგორცაა: კვლევითი პროექტების დაფინანსება, ტრენინგების ჩატარება, სხვადასხვა სასწავლო და კვლევითი გრანტების გაცემა. პროგრამა ხელს უწყობს ნიჭიერი მკვლევარების ახალი თაობის წარმომადგენლებს და მათ საერთაშორისო აკადემიურ ქსელში ინტეგრაციას.

პროგრამა „კავკასიის შვეიცარიული აკადემიურ ქსელს“ კოორდინაციას უწევს და ახორციელებს შვეიცარიის ფრიბურგის უნივერსიტეტის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ინტერფაკულტეტური ინსტიტუტი. პროგრამას აფინანსებს „გებერტ რიუფის ფონდი“, რომელიც დაფუძნებულია ბაზელში.

აკადემიური ხელმძღვანელი: ს. ნილ მაკფარლენი

რედაქტორი: დიანა ლეჟავა

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: გიორგი ბაგრატიონი

© სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2016

გამომცემლობა „ნეკერი“, 2016

ISBN: 978-9941-457-56-2

სარჩევი

შესავალი	6
საკვლევი პრობლემა და კვლევის მიზანი	6
კვლევის მეთოდი.....	9
ევროპეიზაციის შესახებ დისკურსები ქართულ პროევროპულ და ანტიევროპულ ბექდურ და ელექტრონულ მედიაში	12
მედიანალიზის პირველი ტალღა – ნოემბერი, 2014	13
მედიანალიზის მეორე ტალღა – თებერვალი-მარტი, 2015 ...	22
მედიანალიზის მესამე ტალღა – მაისი-ივნისი, 2015.....	32
მედიანალიზის მეოთხე ტალღა – ივნისი, 2016	43
დასკვნა	53
პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან ჩატარებული სილრმისეული ინტერვიუების ანალიზი	56
ევროკავშირი და ევროპეიზაცია: ძირითადი ასოციაციები	56
საქართველო ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებიდან დღემდე	59
ევროპეიზაციის გავლენა მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე და დამოკიდებულებაზე ევროკავშირის მიმართ	62
მოსახლეობის გათვითცნობიერებულობის დონე ევროინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით.....	69
პოლიტიკოსების გათვითცნობიერებულობის დონე ევროინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით	75
ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ევროპეიზაცია?	81
ევროპეიზაციის მექანიზმები ქართულ რეალობაში.....	88
ევროპეიზაცია: სარგებელი-დანაკარგის შეფასება	98
ასოცირების ხელშეკრულების დანერგვის წარმატებული და წარუმატებელი შემთხვევები.....	102

ევროპეიზაცია, როგორც პოლიტიკის კეთების ახალი გამოცდილება	107
ევროპეიზაცია და ადამიანური რესურსების საკითხი	114
ევროინტეგრაციით და ევროპეიზაციით დაინტერესებული სოციალური ინსტიტუტები და აქტორები	120
ევროინტეგრაციის და ევროპეიზაციის მონინალმდეგე სოციალური ინსტიტუტები და აქტორები	126
ევროპეიზაციის გავლენა ქვეყნის საგარეო იმიჯზე	129
„ევროპულ ოჯახში“ დაბრუნების დისკურსი	132
ქართული და ევროპული ღირებულებები მსგავსება-განსხვავების ქრილში	137
ქართული ნაციონალიზმი და ევროპული პოსტნაციონალიზმი	146
მართლმადიდებლური ეკლესია: ქართული და ევროპული ხედვების ჰარმონიზების შესაძლებლობა	151

საქართველოს მოსახლეობა ევროინტეგრაციის და ევროპეიზაციის შესახებ	160
შესავალი	160
საქართველოს მოსახლეობის ევროკავშირთან დაკავშირებული განწყობების რაოდენობრივი ანალიზი	162

მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ანალიზი	177
ევროკავშირი და ევროპეიზაცია: ძირითადი ასოციაციები	177
საქართველო, როგორც ევროპის ნაწილი	182
ევროპის მიერ საქართველოს ხედვა	186
საქართველოს ევროკავშირში განვერიანების პერსპექტივა	190
ქართული პოლიტიკური ელიტა – პროევროპული დისკურსებით მანიპულირება?	198
მოსახლეობის გათვითცნობიერებულობის დონე ევროინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით	202

ევროინტეგრაციის საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლების გზები.	208
ევროპეიზაციის გავლენა მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.	213
ევროკავშირის სტანდარტების დანერგვის შესახებ.	216
სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირთან და საქართველოზე მათი გავლენა.	222
ევროინტეგრაციით და ევროპეიზაციით დაინტერესებული და მისი მონინააღმდეგე სოციალური ინსტიტუტები და აქტორები	228
ევროპასთან დაახლოება – რუსეთის აგრესიის ზრდა	237
ქართული იდენტობა და ღირებულებები ევროპეიზაციის კონტექსტში	246
ქართულ და ევროპულ ღირებულებებს შორის მსგავსება	247
ქართულ და ევროპულ ღირებულებებს შორის განსხვავება.	251
ევროპეიზაციის გავლენა ქართულ ღირებულებებზე	259
ქართული ეკლესიის დამოკიდებულება ევროპეიზაციის მიმართ.	271
ევროპეიზაციის გავლენა ქართული ეკლესიის ავტორიტეტზე	279
დასკვნა: ევროპეიზაციის პერფორმანსი პოლიტიკურ და პოპულარულ დისკურსებში	284
ბიბლიოგრაფია.	288

შესავალი

საკვლევი პრობლემა და კვლევის მიზანი

ევროპეიზაცია, როგორც საკვლევი თემა, სამეცნიერო ლიტერატურისთვის საინტერესო 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან გახდა, როცა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნების წინაშე ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხი დადგა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტერმინი არ წარმოადგენს ევროინტეგრაციის ეკვივალენტურ კატეგორიას და გამოიყენება ევროკავშირის გავლენის თუ „ადგილობრივი ზემოქმედების“ აღსანიშნავად არა მხოლოდ მის წევრ ქვეყნებზე, არამედ მის ფარგლებს მიღმა არსებულ ქვეყნებზეც (Sedelmeier, 2011, 5).

თავდაპირველად, ევროინტეგრაციას საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალიტები სწავლობდნენ, ნეოფუნქციონალიზმის ან რეალიზმის პოზიციიდან (Jacquot, Woll, 2003), რომლის ფარგლებშიც ევროკავშირი განიხილება, როგორც „ევროპული მმართველობის“ მოდელი მისთვის სპეციფიკური მახასიათებლებით: რეგიონალიზმით, სუპრანაციონალური ინტეგრაციით, მულტილატერალიზმით, ტრანსნაციონალური ვაჭრობით (ნეოლიბერალური ეკონომიკით) და დემოკრატიული კონსტიტუციონალიზმით (Schimmelfennig, 2010). თუმცა, შემდგომ, ევროინტეგრაციის კვლევებში პოლიტიკის მექანიზმები და სოციოლოგებიც აქტიურად ჩაერთვნენ, და კვლევის ფოკუსი ეროვნული პოლიტიკური სისტემების და ყოველდღიური პრაქტიკის ევროპეიზაციაზე გადაიტანეს. ამდენად, ევროინტეგრაცია ხდება დამოუკიდებელი ცვლადი, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყნების შიდა პოლიტიკაზე, დისკურსსა და იდენტობებზე (Radaelli, 2003), ხოლო ტერმინი „ევროპეიზაცია“ გამოიყენება ეროვნული დონის ცვლადების ტრანსფორმაციის აღსანიშნავად ევროპულ მოდელთან ადაპტაციის პროცესში (Jacquot, Woll, 2003).

სახელმწიფოთა ტრანსფორმაციის კონტექსტში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ევროპეიზაცია სწორედ ევროკავშირის „ადგილობრივი ანალოგის“ შექმნის პროცესს წარმოადგენს, რაც ეროვნული სოციოპოლიტიკური მართვის პრინციპებისა და მექანიზმების ევროკავშირის სტანდარტებთან და პრაქტიკებთან ადაპტაციას გულისხმობს (Schimmelfennig, 2012, 10). თავის მხრივ, ტრანსფორმაციის პროცესის გაგებისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ

ადაპტაციის, არამედ ევროინტეგრაციის „გამოყენების“ შესწავლა. „გამოყენების“ ქვეშ იგულისხმება როგორც სახელმწიფო აქტორების ევროპულ ინსტიტუტებთან სტრატეგიული ინტერაქცია, ისე ამ „გამოყენების“, როგორც ყოველდღიური პრაქტიკის, გავლენა აქტორთა ინტერესებსა და იდენტობებზე (Jacquot, Woll, 2003, 3).

ევროპეიზაციის სოციოლოგიური ხედვის საფუძველზე, ავტორები ევროინტეგრაციის „გამოყენების“ ტიპოლოგიზაციას გვთავაზობენ და სამ ძირითად კატეგორიას გამოყოფენ: **სტრატეგიული გამოყენება** – „რესურსების გარდაქმნა პოლიტიკურ პრაქტიკებად“, გარკვეული მიზნების მისაღწევად, იქნება ეს პოლიტიკურ გადანყვებილებაზე გავლენის მოხდენა, პოლიტიკურ ინსტრუმენტებზე წვდომის გაზრდა, საკუთარი ქმედითუნარიანობის გაზრდა თუ სხვ. ეს ყველაზე გავრცელებული სტრატეგიაა როგორც ეროვნულ, ისე სუპრანაციონალურ დონეზე, როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო აქტორების მხრიდან. **კოგნიტური გამოყენება** გარკვეული პოლიტიკური საკითხის გაგებას და ინტერპრეტაციას გულისხმობს, რისთვისაც პოლიტიკურ აქტორებს კონკრეტულ ანალიტიკურ ჩარჩოს სთავაზობს; ანუ ეს უკანასკნელი დარწმუნების მექანიზმად გამოიყენება და მთელი რიგი აქტორების მონაწილეობას გულისხმობს ეროვნულ და სუპრანაციონალურ დონეზე. **ლეგიტიმურობის მიმცემი გამოყენება** პირველი ორის სინთეზის შედეგია და გულისხმობს „ევროპაზე აპელირებას, როგორც ეროვნული საჯარო პოლიტიკის ლეგიტიმაციის გზას.“ მას ძირითადად სამთავრობო აქტორები მიმართავენ, რომლებიც ე.წ. „ევროპულ რიტორიკას“ იყენებენ, იქნება ეს „ევროპული ინტერესები“ თუ „ევროპული ღირებულებები.“ მიუხედავად იმისა, რომ ეს ლეგიტიმაცია დისკურსს ეფუძნება, მისი ეფექტი საკმაოდ ძლიერია, რადგან დისკურსი უმნიშვნელოვანეს გავლენას ახდენს ევროპეიზაციის პროცესის მიმდინარეობაზე (Jacquot and Woll, 2003, 6-7). ჩვენი კვლევის ფოკუსი სწორედ ევროპეიზაციის დისკურსულ ასპექტზეა მიმართული, რადგან ის ევროინტეგრაციის „გამოყენების“ სხვა ასპექტებსაც აერთიანებს და ამ პროცესის მიმართ საზოგადოებრივ დამოკიდებულებას განსაზღვრავს: სწორედ პოლიტიკურ თუ პოპულარულ დონეზე არსებული შინაური დისკურსები ანიჭებენ თუ ართმევენ ლეგიტიმურობას ევროპეიზაციის პროცესს.

წარმოდგენილი ტიპოლოგია ეხმიანება რადაელის კლასიფიკაციას, სადაც—გამოყოფილია სამი სფერო, რომლის ევროპეიზაციაც ხორციელდება: ა) შინაური სტრუქტურები, ბ) საჯარო პოლიტიკა, გ)

კოგნიტური და ნორმატული სტრუქტურები (2003, 35). ეს უკანასკნელი განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან კულტურული ღირებულებებისა და სოციალური ნორმების სისტემას, დისკურსებისა და ეროვნული იდენტობის კვლავნარმოებისა და ტრანსფორმაციის პროცესებს მოიაზრებს. ეს კი ნიშნავს, რომ ევროპეიზაცია გავლენას ახდენს არა მხოლოდ ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურების ფუნქციონირებაზე, არამედ ზემოქმედებს და გარკვეულწილად ცვლის ნევრთუ განევრიანების მსურველ ქვეყნებში დომინანტურ ღირებულებებს, ნორმებსა და დისკურსებს. თავის მხრივ, ამ ქვეყნებში მოქმედი დისკურსები გავლენას ახდენს მათ ევროპეიზაციის ხარისხზე (იქვე, 36).

ევროკავშირთან და ევროპეიზაციასთან მიმართებაში შემდეგ დისკურსებზე შეიძლება საუბარი: ევროკავშირის ოფიციალური დისკურსი, სოციალურ მეცნიერთა დისკურსი, აზრთა ლიდერებისა და ინტელექტუალთა დისკურსი და ადამიანთა ყოველდღიური ცხოვრების არაფორმალური დისკურსი (Nanz, 2000, 290). ჩვენი კვლევა მიზნად ისახავს საქართველოს ევროპეიზაციასთან დაკავშირებით ქვეყნის შიგნით არსებული დომინანტური დისკურსების გამოვლენას, განსაკუთრებული აქცენტით იმაზე, თუ როგორ ხდება ამ დისკურსების პრეზენტაცია თუ პერფორმანსი ფართო აუდიტორიისთვის. მართალია, ევროკავშირის ოფიციალური დისკურსი ჩვენს ფოკუსს სცდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აზრთა ლიდერებისა და მოსახლეობის დისკურსები სწორედ ევროკავშირის ოფიციალურ დისკურსებს ირეკლავს და მათზე საპასუხო ნარატივებს გვთავაზობს. შესაბამისად, ჩვენი პუბლიკაცია როგორც საზოგადოებრივი აზრის ლიდერებისა და პოლიტიკოსების ნარატივების, ისე მოსახლეობის ყოველდღიური, არაფორმალური დისკურსების ანალიზს სთავაზობს მკითხველს, ამავდროულად რა ყურადღებას მათ მიერ საქართველოს ევროპეიზაციის პროცესის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტების შეფასებაზე. ამასთან, თავად წარმოდგენილი პუბლიკაცია შეგვიძლია მივიჩნიოთ საქართველოს ევროპეიზაციის საკითხზე სოციალურ მეცნიერთა დისკურსის კონკრეტულ შემთხვევად.

კვლევის მეთოდი

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, კვლევის სამიზნე ჯგუფი ორია: ერთი მხრივ, პოლიტიკური ელიტა და პოლიტიკის ექსპერტები (ევროპეიზაციის დისკურსები პოლიტიკურ დონეზე), მეორე მხრივ კი, მოსახლეობა (ევროპეიზაციის დისკურსები პოპულარულ/საზოგადოებრივ დონეზე).

წარმოდგენილი კვლევა ტრიანგულაციის პრინციპს ეფუძნება და ოთხ კვლევით კომპონენტს მოიცავს:

დისკურსების პოლიტიკურ დონეზე კვლევის მიზნით,

- ჩატარდა 25 სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკოსებთან (საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წევრები) და საზოგადოებრივი აზრის ლიდერებთან/ექსპერტებთან (არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები, მეცნიერები), რომელთა შერჩევაც მიზნობრივი მეთოდით განხორციელდა, რათა მოგვეცვა როგორც პოლიტიკური პარტიების ფართო სპექტრი, ისე სხვადასხვა სექტორში მოღვაწე ექსპერტები, საერთაშორისო ორგანიზაციებით დაწყებული და უმაღლესი სასწავლებლებით დასრულებული. რადგან სიღრმისეული ინტერვიუები 2015 წლის გაზაფხულზე ჩატარდა, ნაშრომში „არსებული ხელისუფლება“ და „საპარლამენტო უმრავლესობა“ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ გულისხმობს, „წინა ხელისუფლება“ და „საპარლამენტო უმცირესობა“ კი – „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.“ „საპარლამენტო უმცირესობა“ ასევე მოიაზრებს „თავისუფალ დემოკრატებს“, რომლებმაც 2014 წლის ნოემბერში მმართველი კოალიცია დატოვეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მოცვის მიზნით, შევეცადეთ, სიღრმისეული ინტერვიუები პარლამენტის იმ წევრებთანაც ჩავატარებინა, რომლებიც ღიად ავლენენ ანტიდასავლურ/ანტიევროპულ სენტიმენტებს, თუმცა მათგან კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობა ვერ მოვიპოვეთ.
- ამასთან, განხორციელდა იმ რეიტინგული ბეჭდური და ონლაინ მედიასაშუალებების კონტენტ-ანალიზი და დისკურსული ანალიზი, რომლებიც ევროპეიზაციის კონტექსტში საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებზე ახდენდნენ

რეფლექსიას. მედიასაშუალებების ანალიზი ოთხ რაუნდად განხორციელდა, თითოეული რაუნდის ხანგრძლივობაა 1 თვე; კერძოდ, გაანალიზდა: ა) რეიტინგული ბეჭდური მედია (შესაბამისი ელექტრონული ვერსიით), რომელიც ერთმანეთისგან სწორედ პროდასავლური (ჟურნალები „ლიბერალი“ და „ტაბულა“, გაზეთები „კვირის პალიტრა“ და „Georgia Today“) და ანტიდასავლური (გაზეთები „ასავალ-დასავალი“ და „საქართველო და მსოფლიო“) სარედაქციო პოლიტიკით განსხვავდება; ბ) ანალიტიკური და საინფორმაციო ვებპორტალები („რადიო თავისუფლება“, netgazeti.ge და InterPressNews.ge).

დისკურსების პოპულარულ დონეზე კვლევის მიზნით,

- განხორციელდა ფოკუს ჯგუფების სერია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობასთან (2015 წლის შემოდგომა). ვინაიდან პოლიტიკური ტენდენციები, როგორც წესი, დედაქალაქებში და სხვა დიდ ქალაქებში იღებს სათავეს, საიდანაც შემდეგ ქვეყნის სხვადასხვა მიმართულებით ვრცელდება, ჩვენი კვლევის ფარგლებში ფოკუს ჯგუფები ჩატარდა თბილისში და აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოს საკვანძო ქალაქებში, კერძოდ: ქუთაისში, ბათუმსა და ზუგდიდში (დასავლეთ საქართველოს ყველაზე დიდი ქალაქები; ამასთან, ზუგდიდი კონფლიქტის ზონასთან ახლომდებარე ქალაქი), ასევე თელავსა და გორში (აღმოსავლეთ საქართველოს საკვანძო ქალაქები; ამასთან, გორი კონფლიქტის ზონასთან ახლომდებარე ქალაქი). ამდენად, ფოკუს ჯგუფები საქართველოს ექვს ქალაქში ჩატარდა. რადგან ეროვნული რეპრეზენტატული კვლევების მონაცემებით, ახალგაზრდა თაობა საქართველოს მოსახლეობის ყველაზე პროევროპულ სეგმენტს წარმოადგენს, რესპონდენტების შერჩევა და დაჯგუფება სწორედ ასაკობრივი ნიშნით მოხდა, რაც მათ მიერ პოსტსაბჭოთა ან საბჭოთა პერიოდში გავლილი სოციალიზაციის საფეხურებსაც ემთხვევა: 18-25 წლები (მათ, ვინც სოციალიზაცია გაიარა პოსტსაბჭოთა პერიოდში), 26-40 წლები (მათ, ვინც სოციალიზაცია გაიარა როგორც საბჭოთა, ასევე პოსტსაბჭოთა პერიოდში) და 41-65 წლები (მათ, ვინც სოციალიზაცია გაიარა საბჭოთა პერიოდში). თითოეულ ქალაქში ჩატარდა სამი ფოკუს ჯგუფი აღნიშნული ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით (სულ 18 ფოკუს ჯგუფი).

- პოპულარულ (მოსახლეობის) დონეზე ევროპეიზაციის დისკურსების თვისებრივი კვლევის მონაცემების ეროვნული რეპრეზენტატიული მონაცემებით გამდიდრების მიზნით, განხორციელდა ბოლო პერიოდში ჩატარებული ეროვნული კვლევების (ISSP 2013, CRRC 2015) მონაცემების სტატისტიკური ანალიზი. კერძოდ, ჩვენი საკვლევი საკითხიდან გამომდინარე, განვახორციელეთ CRRC-ის 2015 წლის ეროვნული კვლევის „ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში“ მონაცემებისა და ISSP-ის 2013 წლის ეროვნული კვლევის „ეროვნული იდენტობის“ მონაცემების სტატისტიკური ანალიზი.

ევროპეიზაციის შესახებ დისკუსიები ქართულ პროპერსულ და ანტიევროპულ ბეჭდურ და ელექტრონულ მედიაში

საქართველოს ევროპეიზაციის პროცესის მიმდინარეობის შეფასებისა და მოსახლეობის განწყობების შექმნის კონტექსტში, მედიის დისკურსები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. ამდენად, მათი შესწავლა მოცემული კვლევის არსებით კომპონენტს შეადგენდა, რომლის ფარგლებშიც ქართული მედიის ანალიზის ოთხი ტალღა განხორციელდა. ანალიზისთვის შეირჩა რამდენიმე ბეჭდური და ელექტრონული მედიასაშუალება. მედიააგენტების შერჩევისას მთავარ კრიტერიუმს მათი რეიტინგი, პროდასავლური/პროევროპული თუ ანტიდასავლური/ანტიევროპული რიტორიკა და, ამასთან, არა უბრალოდ ომნიბუსამბების, არამედ თვალსაზრისების შეთავაზება წარმოადგენდა.

დენისის და დეფლორის თანახმად, მედიააგენტების კლასიფიკაცია შეგვიძლია მოვახდინოთ იმის მიხედვით, თუ რას სთავაზობენ ისინი აუდიტორიას – სიახლეებს თუ თვალსაზრისებს (news vs. views). როგორც ნესი, კულტურული კაპიტალით მდიდარი აუდიტორიის წევრები არჩევანს თვალსაზრისებზე აკეთებენ, განსხვავებით კულტურული კაპიტალით ნაკლებ მდიდარი/ღარიბი წევრებისგან, რომლებიც მიწოდებულ ინფორმაციას, უმეტესად, რეფლექსიის გარეშე იღებენ (Dennis, DeFleur, 2009). თვალსაზრისების შეთავაზებაზე ორიენტირებული თემატური მედიააგენტების კვლევა კი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც სწორედ მათი მომხმარებლები შეიძლება განვიხილოთ, სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით, უფრო აქტიურ მოქალაქეებად, რომელთაც გამოკვეთილი პოზიციები აქვთ, და თუ პოლ ლაზარსფელდის და მისი კოლეგების მიერ შემუშავებულ ორსაფეხურიანი კომუნიკაციის მოდელს გავითვალისწინებთ, სწორედ მათზე გავლით ავრცელებს მედია ინფორმაციას ფართო აუდიტორიაში (1944, 151).

კვლევის ფარგლებში, იმ რეიტინგული ბეჭდური და ონლაინ მედიასაშუალებების კონტენტ-ანალიზი და დისკურსული ანალიზი განხორციელდა, რომლებიც ევროპეიზაციის კონტექსტში საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებზე ახდენდნენ რეფლექსიას. კერძოდ, გაანალიზდა: ა) რეიტინგული ბეჭდური მედია (შესაბამისი ელექტრონული ვერსიით), რომელიც ერთმანეთისგან სწორედ პროდასავლური (ჟურნალები „ლიბერალი“ და „ტაბულა“, გაზეთები „კვირის პალიტრა“ და „Georgia Today“, როგორც ინგლისურენოვანი გამოცემა, რომელიც

საერთაშორისო სცენისთვის განკუთვნილ დისკურსებს აჟღერებს) და ანტიდასავლური (გაზეთები „ასავალ-დასავალი“ და „საქართველო და მსოფლიო“) სარედაქციო პოლიტიკით განსხვავდება; ბ) ანალიტიკური და საინფორმაციო ვებპორტალები („რადიო თავისუფლება“, netgazeti.ge და InterPressNews.ge).

მედიანალიზის პირველი ტალღის დაწყებას ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკურმა მოვლენებმა უზიძგა, კერძოდ, 2014 წლის ნოემბერში, თავდაცვის მინისტრის პოსტიდან ირაკლი ალასანიას გადაყენებამ ევროინტეგრაციის თემა განსაკუთრებით აქტუალური გახადა როგორც პოლიტიკური, ასევე საინფორმაციო ველისთვის. მედიანალიზის მეორე ტალღა 2015 წლის თებერვალში, მმართველი კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მიერ საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში განევრიანების შესახებ სკანდალურ განცხადებებს მოჰყვა, რასაც საპარლამენტო უმცირესობის და საზოგადოების მხრიდან საკმაოდ მწვავე რეაქცია ახლდა. მედიანალიზის მესამე ტალღისთვის საგანგებოდ შეირჩა 2015 წლის მაისი, რომელიც მნიშვნელოვანი იყო აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგის სამიტის გამო. რაც შეეხება ბოლო, მეოთხე ტალღას, ის 2016 წლის ივნისში ჩატარდა და ამ ეტაპზე ევროპეიზაციასთან დაკავშირებული ორი მნიშვნელოვანი თემა იყო საინტერესო – საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხის განხილვა და ბრიტანეთის რეფერენდუმი (ბრექსიტი).

მედიანალიზის პირველი ტალღა – ნოემბერი, 2014

2014 წლის ნოემბერში, ბექდურ და ელექტრონულ მედიაში, საქართველოს ევროპეიზაციის თვალსაზრისით საინტერესო რამდენიმე თემა გამოიკვეთა: 1) თავდაცვის სამინისტროსთან, კერძოდ კი, უწყებაში დაწყებულ გამოძიებასა და რამდენიმე პირის დაკავებასთან დაკავშირებული აჟიოტაჟი, რასაც შედეგად თავდაცვის მინისტრის გადაყენება და საგარეო საქმეთა და ევროინტეგრაციის მინისტრების თანამდებობიდან წასვლა მოყვა. მათ მიერ გაკეთებული განცხადებების თანახმად, ქვეყნის ევროატლანტიკურ კურსს საფრთხე შეექმნა. 2) ყოფილი სახელისუფლებო პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 15 ნოემბერს გამართული აქცია „არა ანექსიას“, რომელიც, ფორმალურად, რუსეთის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული, თუმცა, საბოლოოდ, არსებული ხელისუფლების წინააღ-

მდეგ პროტესტის ფორმა მიიღო. 3) 17-18 ნოემბერს საქართველოს მთავრობის დელეგაციის ვიზიტი ბრიუსელში, სადაც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა და პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდა როგორც ევროკავშირის წარმომადგენლებს, ასევე ნატოს ახალ გენერალურ მდივანს.

სწორედ ამ მოვლენებს აქტიურად აშუქებდა ქართული მედია, რომელშიც მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით რამდენიმე დისკურსი გამოიკვეთა. ერთის თანახმად, გარკვეული პოლიტიკური აქტორების განცხადებები საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური კურსისთვის საფრთხის შექმნის შესახებ არადაამაჯერებელია. თავდაცვის უწყების რამდენიმე მაღალჩინოსნის დაკავება არასაკმარის საფუძველად მიიჩნევა, რათა თავდაცვის ყოფილი მინისტრის, ირაკლი ალასანიას განცხადება ევროატლანტიკური კურსიდან გადახვევის შესახებ სანდოდ ჩაითვალოს. აღსანიშნავია, რომ ამ დისკურსს სწორედ პროდასავლური მედია გვთავაზობს.

„აუცილებელია მეტი მტკიცებულება იმ აზრის გასამყარებლად, რომ საქმე ნამდვილად ევროატლანტიკურ არჩევანზე შეტევასთან გვაქვს და არა პირად დაპირისპირებასთან“ („ლიბერალი“).

„ეს განცხადება ჰგავს ირაკლი ალასანიას მიერ ევროპისაკენ მიმავალ გზაზე სვლის ექსკლუზიური უფლების დატოვებას“ („რადიო თავისუფლება“).

აქვე, გაკრიტიკებულია რომელიმე პოლიტიკური ძალის მიერ ქვეყნის პროდასავლურ კურსზე ექსკლუზიური უფლების გამოთქმა და წარმოდგენილია ნარატივი, რომ საქართველოს ევროპული კურსი ხალხის არჩევანია და არა რომელიმე ხელისუფლების.

„ევროატლანტიკური არჩევანი არც ამ და არც წინა ხელისუფლების მიერ არაა გაკეთებული, ეს ქართველი ხალხის არჩევანია“ („რადიო თავისუფლება“).

„ევროატლანტიკური არჩევანი საზოგადოებამ გააკეთა და ეს კურსი ამ გუნდს [„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“] არ ეჭირა კბილებით“ („კვირის პალიტრა“).

კიდევ ერთი დისკურსის თანახმად, შექმნილი ვითარება ძალიან ჰგავს შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებას და „თავისუფალი დემოკრატების“ პოლიტიკურ სვლას, რომლებმაც ქვეყნის ევროპული

კურსისთვის საფრთხის შექმნა საბაზად გამოიყენეს. დაპირისპირების მიზეზად „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერის მაღალი რეიტინგი სახელდება, რომლის მმართველ გუნდთან დაპირისპირების მიზეზად მისი დამოუკიდებელი აზროვნება მიიჩნევა. ამასთან, აღნიშნულია, რომ პროდასავლური ორიენტაციის მქონე გუნდის კოალიციიდან გასვლის მიზეზი კოალიციის შექმნიდანვე არსებობდა, რადგან კოალიციაში სრულიად განსხვავებული ღირებულებებისა და ხედვების მქონე ძალები გაერთიანდნენ, რომელთაც მოკლევადიან პერსპექტივაში საერთო მიზანი ამოძრავებდათ, კერძოდ, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვება; თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში მათი ერთ პოლიტიკურ ძალად ჩამოყალიბება იმთავითვე არარეალისტური იყო.

„თავისუფალი დემოკრატები“ და „რესპუბლიკური პარტია“ კოალიციაში სწორედ იმიტომ შეიყვანა [ბიძინა ივანიშვილმა], რომ ისინი კოალიციის პროდასავლურობის ორიენტირი ყოფილიყვნენ და, გარკვეულწილად, მეხამრიდის როლი ეთამაშათ იმ დარტყმების ასაცილებლად, როცა ივანიშვილს ოპონენტები რუსულ „პროექტობას“ დააბრალებდნენ“ („ინტერპრესნიუსი“).

„ბევრისთვის სწორედ ისინი [თავისუფალი დემოკრატები“ და „რესპუბლიკური პარტია“] წარმოადგენდნენ გარანტიას იმისა, რომ საგარეო კურსში არავითარი სერიოზული ცვლილება არ იყო მოსალოდნელი“ („ინტერპრესნიუსი“).

ატეხილი აჟიოტაჟი შეფასებულია, როგორც შიდა პოლიტიკური გარჩევების შედეგი, სადაც, როგორც „ინტერპრესნიუსი“ წერს, დასავლურ კურსზე აპელირება უფრო პიარსვლას ჰგავს, ვიდრე რეალურ საფრთხეს. ის ფაქტი კი, რომ ალასანია და მისი გუნდი პროდასავლურია, ეჭვქვეშ არ არის დაყენებული.

„ალასანია პრინციპული პოზიციის მქონე პროდასავლური პოლიტიკოსია, რომლის მთავარი მიმზიდველობა სწორედ მის პოლიტიკურ ორიენტაციაშია... ის პროდასავლურადაა აღქმული როგორც ამომრჩევლის, ასევე თავად დასავლეთის მიერ“ (“Georgia Today“).

მეტიც, აქცენტი კეთდება იმაზე, რომ შიდა პოლიტიკურ ველში ადგილი აქვს დაპირისპირებას „პროფესიონალებსა“ და „არაპროფესიონალებს“ შორის, რაც კიდევ ერთ დისკურსად გამოიკვეთა მედიაში. თუ პროდასავლური მედია პროდასავლურ პოლიტიკურ ძალებს („თავისუფალ დემოკრატებს“ და „რესპუბლიკელებს“) პროფესიონალთა

რიგებში მოიაზრებს, მთავრობის მეთაურთან, ირაკლი ლარიბაშვილთან მიმართებაში პროფესიონალიზმისა და პოლიტიკური გამოცდილების დეფიციტს უსვამს ხაზს. „ლიბერალის“ თანახმად, „მხოლოდ პარიზში მიღებული განათლება, სხვადასხვა სფეროში მუშაობის გამოცდილება და მისი ერთგულება არ კმარა“ იმისათვის, რომ ადამიანი სახელმწიფოს მეთაური იყოს. მისი დანიშვნის კრიტერიუმი „კარგი მეოჯახეობა“ არ უნდა იყოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა „საქართველო დასავლურ სტანდარტებზე მორგებას ცდილობს“, რადგან არასაკმარისი პოლიტიკური გამოცდილების მქონე ადამიანის მთავრობის მეთაურად დანიშვნა ქვეყნის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორად აღიქმება.

მედიაში აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა როგორც შიდა და-პირისპირებაზე მმართველ გუნდში, ასევე ჭიდილზე, რომელიც „თავისუფალ დემოკრატებსა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შორის მიმდინარეობს. ორივე ძალა საკუთარი თავის პოზიციონებას ახდენს, როგორც დასავლური ორიენტაციის მქონე პოლიტიკური აგენტისა. როგორც ანტიდასავლური მედია პროგნოზირებს, მათ მიერ პროდასავლური კურსის მონოპოლიზაციისთვის ბრძოლა უახლოეს მომავალში აქტიურ ფაზაში შევა.

„იქნება დაუვინყარი ბრძოლა ,ჭეშმარიტი პროდასავლელის“ ტიტულისთვის“ („საქართველო და მსოფლიო“).

ამ ბრძოლაში კონკრეტული ჯგუფი განსაკუთრებით მონდომებულად მიიჩნევა. ანტიდასავლური მედია ცინიკურადაც კი აღნიშნავს, რომ „ირაკლი ალასანია იმაზე უფრო მეტად ამერიკელია, ვიდრე ამათ ამერიკელები ქართველებისგან ითხოვენ!“ („ასავალ-დასავალი“).

თუ პოლიტიკური აქტორების პროდასავლური დისკურსებით მანიპულირებას დრამატურგიული კონცეფციის კონტექსტში განვიხილავთ, ეს თამაში, გოფმანის (1959) სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლოა „უკანა რეგიონისთვის“ ანუ საქართველოს ელექტორატისთვის გათვლილ სვლად განვიხილოთ, რაც „ნინა რეგიონში“, ამ შემთხვევაში, ბრიუსელში, ქვეყნის იმიჯს დარტყმას აყენებს. თუმცა, პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს თავად ის ფაქტი, რომ „კულისებში“ ბრძოლა მიმდინარეობს ისეთი იდეის გარშემო, როგორიცაა პროდასავლური კურსი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს ელექტორატისთვის ამ კურსის შენარჩუნება კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

კიდევ ერთი საგულისხმო დისკურსის თანახმად, ევროინტეგრაციის მიმართულებით საქართველოს წინსვლა შეინიშნება, რაც ცალ-

სახად პოზიტიურადაა შეფასებული პროდასავლური მედიის მიერ. ევროპასთან დაახლოების მიმართულებით გადადგმულ თვალსაჩინო მაგალითად საქართველოსთან ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის მეორე ფაზის ამოქმედების შესახებ მიღწეული შეთანხმება სახელდება. თუ „უკანა რეგიონის“ კონტექსტსაც შევხებით, პოზიტიურადაა შეფასებული ის ფაქტი, რომ პოლიტიკურ ველში თამაშის ახალი ეტაპი იწყება, სადაც შედარებით რაციონალური ძალები შეიძლება დაუპირისპირდნენ ერთმანეთს („კვირის პალიტრა“). მოკლევადიან პერსპექტივაში, მთავრობაში მიმდინარე დაპირისპირებები ნეგატიურ მოვლენადაა შეფასებული, რადგან მიჩნეულია, რომ ამას „მთავრობის დასუსტება“ მოყვა იმით, რომ ყველაზე რეიტინგულმა მინისტრმა გუნდი დატოვა; თუმცა, გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს პოზიტიურ მოვლენად აღიქმება, რადგან მოსალოდნელია პარლამენტში სამი სუბიექტის გაჩენა, საკანონმდებლო ორგანოს მეტად ეფექტური მუშაობა და იმის აღბათობაც, რომ „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ახალი ალიანსი შექმნან, სავარაუდოდ „რესპუბლიკურ პარტიასთან.“ როგორც პროდასავლური მედია პროგნოზირებს, პროევროპული ძალების გაერთიანების პერსპექტივა სახეზეა.

პოზიტიურადაა შეფასებული ის ფაქტიც, რომ ღიად ხდება იმის გაპროტესტება, რომ ქვეყანა არაევროპული მეთოდებით იმართება. კულუარებიდან მართვის გაპროტესტებადაა შეფასებული პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის სიტყვა პარლამენტში, სადაც ის აღნიშნავს, რომ „არ უნდა დავუშვათ სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის ურთიერთქმედების ჩანაცვლება ხელმძღვანელთა შორის პერსონიფიცირებული ურთიერთობებით; გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა მოვაქციოთ ფორმალურ გარემოში, რისთვისაც არსებობს კონსტიტუციით გათვალისწინებული ფორმატები“ (ნეტგაზეთი). სწორედ ფორმალური გარემოს შექმნა და სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებაა მიჩნეული დემოკრატიულ და ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გარანტიად. ინსტიტუტების გაძლიერების მნიშვნელობაზე დისკურსებს ვხვდებით „კვირის პალიტრაშიც“, „ლიბერალშიც“ და „რადიო თავისუფლებაშიც.“

აქვე, მნიშვნელოვანია კიდევ ერთი დისკურსი, რომ მცირე წინსვლები არ არის საქართველოს დემოკრატიზაციის გარანტი და ამ მიმართულებით კიდევ ბევრია სამუშაო. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი როლი „გემის კაპიტანს“ ანუ მთავრობის მეთაურს ენიჭება, თუმცა არც სხვა პოლიტიკური ძალების პასუხისმგებლობაა დაკნინებული.

„მთავარი ინსტიტუტების განვითარებაა, რომელიც იქნება იმის გარანტი, რომ კონკრეტული სუბიექტები ვერ მოახდენენ გავლენას ვერც კურსის ცვლილებაზე და მათ აიძულებენ იმოქმედონ არა საკუთარი, არამედ ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე“ („ლიბერალი“).

პროდასავლურ მედია იმასაც უსვამს ხაზს, რომ რუსული საფრთხე რეალურია, პროდასავლური ევროპა და აშშ კი – ამ საფრთხის დაძლევის გარანტია. ამაზე საუბრობენ როგორც საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ბრიუსელში ვიზიტის შემდეგ, ასევე ანალიტიკოსებიც. ანალიტიკოსთა შეფასებით, უკრაინისგან განსხვავებით, მოკლევადიან პერსპექტივაში ომის საფრთხე ნაკლებადაა მოსალოდნელი; საქართველო უფრო მეტად უნდა ელოდოს ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებას, კერძოდ, ქართული პროდუქციის ექსპორტის შემცირებას, რაც „მნიშვნელოვანი დარტყმა იქნება ქართველი გლეხისთვის“, რომელიც „ნაკლებად ფიქრობს ხანგრძლივ გათვლებზე და ოჯახის საარსებო შემოსავლის მიღებაზეა ორიენტირებული“ („რადიო თავისუფლება“). ევროპულ ბაზარში გასვლის ალტერნატივა კი ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სარგებელი დიდხანს ვერ იქნება აღქმული ფერმერის მიერ, რადგან ჯერ კიდევ დიდი დროა საჭირო წარმოების კულტურის ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოებამდე.

რუსული საფრთხის არსებობის კონტექსტში შეიძლება იყოს განხილული „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ 15 ნოემბერს გამართული აქციაც, რომელიც, ოფიციალური ვერსიით, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ანექსიის გაპროტესტებას ისახავდა მიზნად, თუმცა, რეალურად, „კოლაბორაციონისტი“ ხელისუფლების კრიტიკას უფრო წარმოადგენდა. მედიაში ჩნდება ექს-მმართველი გუნდის განცხადებები, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება არც ერთ საერთაშორისო ასპარეზს არ იყენებს, რათა ინფორმაცია გაავრცელოს რუსეთის ქმედებების შესახებ და რუსეთის მიმართ მკაცრ პოლიტიკას არ ატარებს. მართალია, პრემიერი ღარიბაშვილი ამტკიცებს, რომ ყველა საერთაშორისო ასპარეზზე ხდება ქვეყნის ევროპული კურსის ერთგულების ხაზგასმა და ევროპასაც ამასთან დაკავშირებით ეჭვები არ აქვს, მაგრამ პროდასავლური გუნდის კოალიციიდან გასვლა მაინც პრობლემად აღიქმება. პროდასავლური მედიის თანახმად, „მართალია, ეს უპირობოდ არ ნიშნავს კურსის ცვლილებას, მაგრამ პროევროპული ძალების გამოკლება აწყობს რუსეთს და არ აწყობს ევროპას, რასაც თავისთავად მოჰყვება შედეგები“ („კვირის პალიტრა“).

რაც შეეხება ამ საფრთხის განეიტრალების სტრატეგიას, აქ მთავარ მხარდამჭერად როგორც მთავრობა, ასევე ძველი („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) თუ ახალი („თავისუფალი დემოკრატები“) ოპოზიცია და პროდასავლური მედია, ევროკავშირს მოიაზრებენ. ისინი თანხმდებიან, რომ ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერება მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების გაძლიერებით უნდა დაიწყოს, რაშიც ევროკავშირის როლი საკვანძოდ მიიჩნევა. ამ კონტექსტში, პროდასავლური მედია ხშირად ადარებს ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირს. როგორც „Georgia Today“ წერს, თუ შევადარებთ ქვეყნების მაჩვენებლებს ეკონომიკურ, ინსტიტუციურ და სამოქალაქო თავისუფლების სფეროებში, ევრაზიულ კავშირში შემავალ ქვეყნებთან შედარებით, ევროკავშირში შემავალი ქვეყნების მაჩვენებლები გაცილებით მაღალია. ამდენად, საქართველოსთვის გაცილებით მომგებიანია ევროინტეგრაცია, ვიდრე ევრაზიულ კავშირში განევრიანება.

მეტიც, როგორც „კვირის პალიტრა“ წერს, საქართველოდან მეტი ადამიანი უნდა წავიდეს ევროპაში, რათა თავად დარწმუნდნენ პროევროპული არჩევანის უპირატესობაში და იმაში, რომ რუსეთი ევროპის ალტერნატივა ვერასოდეს გახდება. ამის საპირწონედ, მოსალოდნელია, რომ რუსეთი კიდევ უფრო აამუშავებს საინფორმაციო პროპაგანდას, სადაც ევროპის, როგორც საიმედო პარტნიორის, იმიჯის შელახვა მოხდება, ერთმორწმუნე რუსეთის იმიჯის განმტკიცების პარალელურად, რომელთან სიახლოვეც ქართველი გლეხისთვის ეკონომიკურად მომგებიანად იქნება წარმოდგენილი. ახლოვდიან პერსპექტივაში, სწორედ ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებაა პროგნოზირებული, ევროპა კი ჯერ ვერ იქნება გამოსავალი, რადგან „ევროპულ სტანდარტებს ჩვენი პროდუქცია მნიშვნელოვნად ცდება.“ ამიტომაც, ყველაზე რეიტინგული გაზეთის, „კვირის პალიტრის“ მოწოდებაა: „მეტი გლეხი – ევროპაში“, სადაც ისინი გაეცნობიან დასავლურ სტანდარტებს და სიახლეებს. „ნეტგაზეთიც“ იმავე პათოსს იზიარებს: „მეტი ევროპა – გლეხს, მეტი გლეხი – ევროპას.“ ნათქვამია, რომ სწორედ ასე გახდება შესაძლებელი, მეტმა ადამიანმა დაინახოს საქართველოში, რომ დასავლეთს არ აქვს ალტერნატივა, რომ „რუსეთისგან ეკონომიკური აღმავლობა ილუზიაა, ფანტომია, რომელიც მაშინვე გაქრება, როგორც კი რუსეთი საქართველოს თავისი გავლენის სივრცეში დაიბრუნებს“ („კვირის პალიტრა“).

თუმცა, სხვა მედიასაშუალებებისგან განსხვავებით, „ასავალ-დასავალი“ და „საქართველო და მსოფლიო“ გამოხატული ანტი-

დასავლური პოზიციით გამოირჩევიან. ისინი აცხადებენ, რომ ევროპა და, ზოგადად, დასავლეთი საფრთხის შემცველია საქართველოსთვის. ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ ქვეყანაში „აღვირახსნილობის დაკანონება“ სახელდება, რის გამოხატულებაც სექსუალური ცხოვრების ლიბერალიზაცია და ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება მიიჩნევა. მეორე მნიშვნელოვან საფრთხედ კი ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა სახელდება, რაც საკმაოდ სენსიტიური საკითხია, რადგან გამოკითხვების თანახმად, ყველაზე ავტორიტეტულ ინსტიტუტად საქართველოში სწორედ ეკლესია გვევლინება (როგორც კავკასიის ბარომეტრის კვლევების მონაცემები მოწმობს, ყველა ასაკობრივი კატეგორიიდან (18-35, 36-55, 56+) რესპონდენტთა 80% მიანიც უცხადებს „ნდობას“ ან „სრულ ნდობას“ მართლმადიდებლურ ეკლესიას (crrc.ge)). ამ ფაქტის გამო და იმის გათვალისწინებით, რომ „ასავალ-დასავალი“ საკმაოდ რეიტინგული გაზეთია, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მის მიერ წარმოდგენილი დისკურსი ბევრი მოქალაქისთვის შეიძლება იყოს მისაღები. მსგავსს პათოსს იზიარებს „საქართველო და მსოფლიო“, რომლის რიტორიკაც შემდეგნაირია:

„თუ გვინდა ღვთის უარყოფა და უფლის გმობა, ევროინტეგრაცია ამას გარდაუვალს გახდის“ („საქართველო და მსოფლიო“).

„დასავლეთის ლაშქრობა მართლმადიდებელი ცივილიზაციის წინააღმდეგ გრძელდება“ („საქართველო და მსოფლიო“).

აქვე, საინტერესოა დისკურსი, რომელიც მედიასაშუალებებიდან მხოლოდ „საქართველო და მსოფლიოს“ და „ასავალ-დასავალს“ ახასიათებს – ევროპა და დასავლეთი წარმოდგენილია ძალად, რომელიც კრიტიკულ ვითარებაში არ არის მზად, საქართველოს დაეხმაროს (ამის მაგალითად 2008 წლის აგვისტოს ომია მოყვანილი), რადგან რუსეთი ევროპაზე და დასავლეთზე ძლიერია. მეტიც, აღნიშნულია, რომ რუსეთის შემდეგი სამიზნე საქართველო იქნება და დასავლეთი, რომელიც უკრაინაში უკვე დამარცხდა, ვერც საქართველოს დაიცავს. სწორედ ამიტომ საქართველომ უნდა გააკეთოს არჩევანი უფრო ძლიერ და, ამასთან, ერთმორწმუნე რუსეთზე, რაც ცუდია, მაგრამ უარესზე ანუ ევროპაზე უკეთესია. აქვე ნათქვამია, რომ ქვეყანაში რუსეთის გარეშე არაფერი წყდება, ხოლო საქართველოს ევროპულობა სხვა არაფერია, თუ არა ილუზია.

„ჩვენ ევრაზიელები ვართ და ჰარმონიული, დაბალანსებული ურთიერთობა უნდა გვქონდეს ყველასთან, რუსეთთანაც და მთელ მსოფლიოსთანაც“ („ასავალ-დასავალი“).

რუსეთთან დაბალანსებული პოლიტიკის წარმოების აუცილებლობაზე სხვა მედიასაშუალებებშიცაა საუბარი, თუმცა არა იმ კონტექსტში, რომ ქვეყნის ბედი მის ფარგლებს მიღმა წყდება და რუსეთი აქ მთავარი მოთამაშეა. პირიქით, როგორც „ლიბერალი“ წერს, ქვეყანა, რომელსაც ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი ფუნქცია აქვს, სწორ გზას (ევროინტეგრაციას) ადგას და მან უნდა მოახერხოს რუსეთსა და დასავლეთს შორის დაბალანსებული პოლიტიკის წარმოება.

საინტერესო დისკურსი იკვეთება, რომ უბრალოდ სურვილი, იყო „ევროპული, მოდერნიზებული, დემოკრატიული“, არ არის საკმარისი და არც მცირე ცვლილებებია საკმარისი. ამისათვის დიდი ძალისხმევაა საჭირო, მითუმეტეს, რომ 1989 წელს გერმანიაში დაწყებული აღმოსავლეთ ევროპის რევოლუცია კვლავაც გრძელდება, რადგან „ბერლინის კედელი“ ჯერ კიდევ ბევრგანაა როგორც „თავებში, ასევე პირდაპირი მნიშვნელობითაც.“ გერმანიის ელჩის, ორთვინ ჰენიგის მოსაზრებებზე დაყრდნობით, „ლიბერალი“ წერს, რომ აღმოსავლეთ ევროპის რევოლუციის გაგრძელებაა „მეიდანის“ და „ეს პროცესი მანამ უნდა გაგრძელდეს, სანამ პოლიტიკურად და ჰუმანიტარულად იდეალურ სიტუაციას არ მივალწევთ.“

შეიძლება დავასკვნათ, რომ „იდეალური სიტუაციის“ მიღწევა, კერძოდ, ევროპული ღირებულებების მატარებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა, მით უმეტეს, ევროკავშირის წევრობის დამსახურება, ძალიან რთული ამოცანაა, განსაკუთრებით შიდა პოლიტიკური დაპირისპირებისა და რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით. მაგრამ, ამგვარ პირობებშიც, მნიშვნელოვანი პოზიტიური ფაქტორი იკვეთება, კერძოდ, პოლიტიკურ ველში აგენტთა ახალი გადახანჩლება, რომელიც შეიძლება წინ გადადგმული ნაბიჯი იყოს ქვეყანაში უფრო „პროფესიული“ და „ფორმალური“ თამაშის წესების დამკვიდრებისაკენ. მთავარი უპირატესობა კი ისაა, რომ ეს ცვლილება, რომელსაც ელექტორატიც უჭერს მხარს, ქვეყნის ევროატლანტიკური კურსის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯადაა შეფასებული.

მედიანალიზის მეორე ტალღა – თებერვალი-მარტი, 2015

დროის ამ მონაკვეთში, ყველაზე აქტუალური თემა ქვეყანაში ლარის კურსის დაცემა და ეკონომიკური კრიზისი იყო, რამაც დაჩრდილა ევროპეიზაციის კონტექსტში აქტუალური საკითხი, რომელიც საქართველოს პრემიერმინისტრის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის განცხადებას და მასზე რეაქციებს ეხებოდა. ის რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის განცხადებას გამოეხმაურა: „თუ ნატო საქართველოს ალიანსში ჩათრევისთვის პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს, რუსეთი შესაბამის ზომებს მიიღებს, რათა ამ პროცესებმა მდგომარეობაზე ნეგატიურად არ იმოქმედოს“ („ნეტგაზეთი“). აბაშიძემ აღნიშნა, რომ საქართველოში ნატოს ინფრასტრუქტურა არ განთავსდება და, თავის მხრივ, არც საქართველოს ნატოში განწევრიანება დგას დღის წესრიგში ახლო მომავალში.

მნიშვნელოვანი იყო მმართველი გუნდის წარმომადგენლის, გოგი თოფაძის განცხადებაც საქართველოს ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებით. დეპუტატის თქმით, ქვეყანა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში განწევრიანებას ვერც დღეს და ვერც ხვალ ვერ მოახერხებს, რაზეც უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, გია ვოლსკიმ განაცხადა, რომ თოფაძის პოზიცია მმართველი გუნდის პოზიციას ემთხვევა. ამ განცხადების საპასუხოდ ოპოზიციამ („ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ახალი მემარჯვენეებისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ სახით) არსებული მთავრობა პროევროპული კურსიდან გადახვევასა და პრორუსულ ორიენტაციაში დაადანაშაულა. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ბიძინა ივანიშვილის ფიგურაზე, როგორც ამ პროცესის ინიციატორზე. ამის პასუხად ხელისუფლებას თავის მართლება მოუწია. საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან გაკეთებული განცხადებები ხაზს უსვამდა, რომ პროევროპული კურსი მტკიცეა და ქართველი ხალხის არჩევანს ეფუძნება, აღნიშნული ბრალდებები კი – მხოლოდ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური პიარის ნაწილია. თუმცა, მკვეთრი განცხადებები, რომლებიც აბაშიძე-თოფაძე-ვოლსკის ნატოსთან დაკავშირებულ განცხადებებს უარყოფდა, არ გაკეთებულა.

მართალია, აბაშიძის განცხადება ნატოს ეხებოდა და არა ევროკავშირს, მაგრამ მისი ნარატივი პროდასავლურ, შესაბამისად, პროევროპულ კურსზე განზოგადდა. ეს ყველაფერი საინტერესო იყო რიგის მოახლოებული სამიტის და 2015 წლის 4 მარტს გამოქვეყნებული

დოკუმენტის კონტექსტში, რომელიც ევროკავშირის მხრიდან „ერთობლივი საკონსულტაციო ფურცლის“ შემუშავებას და რუსეთთან დაკავშირებით ბრიუსელის პოზიციის შესაძლო გადახედვას ეხებოდა.

თუმცა, მოლოდინი იმისა, რომ ქვეყნის ევროპული კურსი აქტუალური თემა იქნებოდა მედიაში, განსაკუთრებით, სოციალურ მედიაში, თან მოახლოებული რიგის სამიტის პირობებში, არ გამართლდა. ჩვენ მიერ შერჩეული მედიააგენტების მხირი მასალა რომ შევავა-
მოთ, თვალსაჩინოა, რომ ნატოსთან დაკავშირებული განცხადებები და კომენტარები ევროკავშირთან ურთიერთობის საკითხს მიეხება. ერთ-ერთი დისკურსის თანახმად, საქართველოს სხვადასხვა სტრუქტურებში განვერიანება მხოლოდ საქართველოზე არაა დამოკიდებული. მართალია, საქართველოს ევროპული არჩევანი ეჭვქვეშ ვერ დადგება და ის უალტერნატივოა, მაგრამ, თუ ევროკავშირში ინტეგრაცია თავად საქართველოს მიერ ევროპული სტანდარტების მიღწევაზეა დამოკიდებული, მისი ნატოში განვერიანება რუსეთ-აშშ-ის ურთიერთობაზეა დამოკიდებული.

„ნატოში ქვეყნის ინტეგრაცია მაინც გარე მოთამაშებზეა დამოკიდებული და არა თავად საქართველოზე, და ეს შეიძლება მოხდეს ან დიდი ომის შედეგად, ან დიდი საერთაშორისო მოთამაშეების შეთანხმებით“ („კვირის პალიტრა“).

ამასთან, პრესაში ნატო წარმოდგენილია, როგორც ქვეყნისთვის საფრთხე, რუსეთის მოსალოდნელი საპასუხო რეაქციის გამო; თუმცა ამ საფრთხეებზე გამოკვეთილად ანტიდასავლური გამოცემა „საქართველო და მსოფლიო“ საუბრობს. რუსეთი წარმოდგენილია ამ გამოცემის მიერ, როგორც „მზრუნველი“ და „დიდი ძმა“, რომელიც ცდილობს, საქართველოს საგარეო კურსზე გავლენა მოახდინოს ქვეყანაზე ზრუნვის გამო. აქედანვე გამომდინარეობს დისკურსი, რომლის თანახმად, საქართველოს ევროპისკენ სვლა არ უნდა ხდებოდეს მეზობლებთან საერთო ენის გამონახვის მცდელობის უგულვებლყოფით, არამედ მოქნილი პოლიტიკის გატარებით. თუმცა, კონკრეტულად რას გულისხმობს რუსეთთან (რადგან სწორედ რუსეთი იგულისხმება მეზობლებში) მოქნილი პოლიტიკის წარმოება, არსადაა განმარტებული.

თუ პროდასავლური გამოცემებისთვის, დასავლეთი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული კეთილდღეობის მაგალითია, ანტიდასავლური „დასავალ-დასავალისთვის“ დასავლეთი „სასურველ მაგალითადაა“ მოყვანილი მხოლოდ ეკონომიკურ კონტექსტში, ისიც

ძალიან სპეციფიკური პერსპექტივიდან. კერძოდ, სტატიაში, სადაც მინების უცხოელებზე გაყიდვა გაკრიტიკებულია, მოყვანილია აშშ-ის, ავსტრიის, საფრანგეთისა და შვეიცარიის მაგალითები უცხოელების მიერ მინების ყიდვის სირთულეებთან დაკავშირებით (მაგალითად, ავსტრიაში 10 წელი უნდა ცხოვრობდე, აშშ-ში მხოლოდ 0.7%-ია გასხვისებული და ა.შ.). აქ დასავლური რეგულაციების პოზიტიურად შეფასება მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ საქმე ქართული მინების „სხვისთვის“ მიყიდვის პროცესის გართულებას ეხება, რაც, ამ მედიის რიტორიკით, გარკვეულ საფრთხეებს აარიდებს ქვეყანას და ქართულ იდენტობას. ამგვარად, ანტიდასავლური მედია დასავლური სტანდარტების თემით მანიპულირებს – თუ აწყობს, მათზე აპელირებას ახდენს; წინააღმდეგ შემთხვევაში კი, კრიტიკას არ იშურებს.

საინტერესოა დისკუსიები იმის თაობაზე, გადახედავს თუ არა ბრიუსელი მოსკოვთან დაკავშირებულ პოლიტიკას, გააღრმავებს თუ არა მასთან ურთიერთობებს და შენარჩუნდება თუ არა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა. ყველა ეს საკითხი აქტუალური სწორედ მარტის დასაწყისში, „ერთობლივი საკონსულტაციო ფურცლის“ გამოქვეყნების შემდეგ გახდა, სადაც დასმული აქცენტების მიხედვით და ევროკავშირის წარმომადგენელთა განცხადებების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ევროპა რუსეთთან ურთიერთობების გაღრმავებას ცდილობს. როგორც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის უმაღლესმა კომისარმა, ფედერიკა მოგერინიმ აღნიშნა, ევროკავშირი დაჟინებით მოითხოვდა რუსეთთან დიალოგსა და თანამშრომლობას, რათა თავიდან აეცილებინა მასთან კონფრონტაცია („რადიო თავისუფლება“). ეს ყველაფერი განსაკუთრებით საგულისხმოა საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადების ფონზე, რომლის თანახმად, ნატო ახალი წევრების მიღებისგან თავს შეიკავებს („InterPressNews“), რაც „რუსეთისთვის სასიამოვნო“ უნდა ყოფილიყო.

აქედან გამომდინარეობს პროევროპული მედიის დისკურსი, რომ საქართველოში პოლიტიკური ელიტა ზემოხსენებულ დოკუმენტს და მის ცალკეულ პუნქტებს საგანგაშოდ არ მიიჩნევს, რაც, სინამდვილეში, „საგანგაშოა, რადგან რუსეთის გამოსწორების ცოტას თუ ვინმეს ეიმედება“ („რადიო თავისუფლება“). ქართულმა მხარემ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ რუსეთთან მიმართებაში ბრიუსელში რალაც იცვლება. აქედანვე გამომდინარეობს დისკურსი, რომლის თანახმად, საქართველოს ევროკავშირისგან სარგებლის მიღების გადაჭარბებული მოლოდინი არ უნდა ჰქონდეს, არა იმიტომ, რომ

ქვეყანა ევროკავშირის მოთხოვნებს ვერ პასუხობს, არამედ გარე ფაქტორების, კერძოდ, რუსეთის ჩარევის გამო. აღნიშნულია, რომ ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ბრიუსელს რუსეთიდან წამოსული წინააღმდეგობის დაძლევა არ ძალუძს.

„უკრაინის მოვლენებმა გააშიშვლა პრობლემა, რომლის თანახმადაც, ევროპას უბრალოდ არ შეუძლია პოსტ-საბჭოთა სივრცე საკუთარ ნაწილად აქციოს, მიუხედავად დიდი სურვილისა, რადგან რუსეთის მხრიდან აწყდება დიდ წინააღმდეგობებს“ („კვირის პალიტრა“).

„საქართველომ უნდა იცოდეს, რომ ევროპა მას (რუსეთს) ომს არასდროს დაუნყებს“ („რადიო თავისუფლება“).

თუმცა, იკვეთება საპირისპირო დისკურსიც, რომ რუსეთთან დიალოგი მნიშვნელოვანია პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე, განსაკუთრებით საქართველოსთვის, რადგან უკრაინაში მიმდინარე მოვლენები ცხადყოფს, რომ მიუხედავად უკიდურესი დაძაბულობისა, კიევიც კი იძულებულია, მოსკოვს ესაუბროს.

„დასავლეთს ვეუბნებით, რომ ჩვენ რუსეთს ველაპარაკებით. ანუ, ამ დიალოგის გამო დასავლეთს აღარ აქვს არგუმენტი ამ თვალსაზრისით გვისაყვედუროს. ანუ, კიდე უფრო საფუძვლიანია ჩვენი მისადმი მოთხოვნა, ამ დიალოგში დაგვეხმაროს. ამ დიალოგით, უარესობისკენ საქმე იმაზე მეტად ვერ წავა, რაც ახლაა. ერთადერთი უარესობა ის იქნება, თუ რუსული ტანკები თბილისში შემოვლენ. მეორე პლუსი ამ დიალოგის ისაა, რომ რუსეთში საზოგადოებრივი აზრი ჩვენს მიმართ შეიცვალა“ („ინტერპრესნიუსი“).

ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია რუსული ოპოზიციის ლიდერის, ბორის ნემცოვის მკვლევლობის შედეგად, ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გაჩენილი ვითარების შეცვლის იმედი. კერძოდ, ოპტიმისტები საუბრობენ „პუტინის უკანასკნელ წელზე“ და რეჟიმის დაცემაზე, რომლის დაშლის დასაწყისიც სწორედ ეს ტრაგედია იქნება. თუმცა, ამავე ნარატივში გაიჟღერა აზრმა, რომ „საკრალური მსხვერპლები“ ვერაფერს შეცვლის და რეალური მოქმედებაა საჭირო. მითუმეტეს, რომ ბრიუსელში კრემლის სერიოზული ლობი არსებობს, რომელიც სამეზობლო პოლიტიკის გადახედვაზე მუშაობს. ამ პოლიტიკის გადახედვას კი შესაძლოა მოყვეს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური შედეგები. კერძოდ, რუსეთის ინტერ-

სების გათვალისწინებით ბრიუსელის მიერ სამეზობლო პოლიტიკის გადახედვამ შესაძლოა სიმშვიდე მოიტანოს, მაგრამ, იმავდროულად, მან შეიძლება აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნების ინტერესები დაზარალოს და ასოცირების ხელშეკრულების განხორციელებაზე გავლენა მოახდინოს. თუმცა, წარმოდგენილი დისკურსის თანახმად, რუსული ლობის გამარჯვების შემთხვევაშიც კი, ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება კი არ ჩაიშლება, არამედ მხოლოდ დროში გაიჭიმება.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც პროევროპული მედიააგენტები ყურადღებას ამახვილებენ, მაისში დაგეგმილი რიგის სამიტი, სადაც სამივე ქვეყანამ (მოლდოვა, უკრაინა და საქართველო) კიდევ ერთხელ უნდა „იბრძოლოს ევროპისთვის“ და მასში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისთვის, და არა „თუნდაც ისეთი ტექნიკური საკითხის მიღწევისათვის, როგორც ვიზის ლიბერალიზაციაა, რაც ადრე თუ გვიან განხორციელდება“ („კვირის პალიტრა“). მიუხედავად ოპტიმიზმისა, რომ ვიზალიბერალიზაცია გარდაუვალია, კვლავაც ხაზგასმულია ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე აქტიური მუშაობის საჭიროება და იმის აუცილებლობა, რომ ამ ვალდებულებების შესრულება არ აღიქმებოდეს „ტვირთად“ არც ხელისუფლების და არც საზოგადოების მიერ, არამედ არსებობდეს მყარი რწმენა, რომ მათი განხორციელება „ევროპას კი არა, საქართველოს მოქალაქეებს სჭირდებათ“ („ლიბერალი“). თუმცა, საინტერესოა განსხვავებული დისკურსიც, რომელიც „ინტერესპრესნიუსში“ გამოიკვეთა და რომლის თანახმად, რაც არ უნდა ცუდად შეასრულოს საქართველომ „საშინაო დავალებები“, დასავლეთს მის მიმართ სტრატეგიული ინტერესი აქვს და ამ ინტერესის არსებობა არ შეიძლება ხელისუფლების დამსახურებად ჩაითვალოს.

„ბრალდება, რომ საქართველო საერთაშორისო ურთიერთობების რადარებიდან გამქრალია, არასამართლიანი შეფასებაა და სინამდვილეს არ შეესაბამება. თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ ის ვიზიტები, რომელიც საქართველოში ხორციელდება აშშ-დან და ევროპიდან, ყურადღება, რასაც ისინი ჩვენ მიმართ იჩენენ, შესაძლოა, არა იმდენად საქართველოს ხელისუფლების დამსახურებაა, რამდენადაც ამ ქვეყნების ინტერესი ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის მიმართ“ („ინტერესპრესნიუსი“).

აქვე აღსანიშნავია, რომ მედიააქტორების შეფასებით, საქართ-

ველოს ხელისუფლება „საშინაო დავალებებს“ მეტ-ნაკლებად თავს ართმევს; თუმცა, პრობლემად მიიჩნევა ის, რომ ხელისუფლება სათანადოდ არ აქტიურობს, რათა ევროკავშირში საქართველოს ინტერესების ლობირება მოახდინოს და დაასაბუთოს, რომ საქართველოსა და რუსეთის ინტერესები არათავსებადია.

„სამწუხაროდ, გზავნილი ხელისუფლების ის არის, რომ რუსეთისა და საქართველოს ინტერესები ერთმანეთს ხელს არ უშლის. ამ ტიპის გზავნილი გასაგებია ბრიუსელისთვის, რადგან მას რეგიონში სიმშვიდე სურს, თუმცა ეს გზავნილი არაფრის მაქნისია მოსკოვისთვის. საქართველოს შემთხვევაში კი გზავნილი უნდა იყოს იმ მიმართულებით, რომ, როგორც არ უნდა დაინახოს ეს გზავნილი რუსეთმა, რა საფრთხეებიც არ უნდა გაჩნდეს, საქართველოს არჩევანი უცვლელია და ის მაინც ევროპისკენ იქნება ორიენტირებული“ („რადიო თავისუფლება“).

პროდასავლურ მედიაში ხაზგასმულია, რომ ამ ლოგიკას სრულიად სცდება მმართველი გუნდის წარმომადგენელთა განცხადება ნატოსთან დაკავშირებით და აღმასრულებელი ხელისუფლების პოზიცია, რომელიც საკანონმდებლო ორგანოში გაკეთებულ განცხადებებს არც ემიჯნება და არც მათზე კომენტარს აკეთებს. ხელისუფლების აქტიურობა კი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მოლდოვას მიერ გადადგმული ნაბიჯები გახდა მის მიერ ვიზალიბერალიზაციის პროცესის წარმატებით გავლის საწინდარი და მისი ღვინო უკვე გადის ევროპულ ბაზარზე. აღნიშნულია, რომ ამის მიზეზი ისაა, რომ რუსეთის მუქარის შემდეგ, რომ ის ასოცირების ხელმოწერისთანავე განაახლებდა კონფლიქტს დნესტრისპირეთში, მოლდოვამ პირდაპირ მოსთხოვა ბრიუსელს რადიკალური ზომების მიღება და მოსკოვთან კონფრონტაციაზე წავიდა. ნათქვამია, რომ სწორედ მოლდოვას მიერ საკითხის ასე დაყენების გამო მიიღო ბრიუსელმა პოლიტიკური გადაწყვეტილება ვიზალიბერალიზაციის შესახებ. რაც შეეხება საქართველოს, მიჩნეულია, რომ მან თავად არ გადადგა ასეთი რადიკალური ნაბიჯები; პირიქით, მისი გზავნილი იყო, რომ ის რუსეთთან ურთიერთობებს აგვარებს და მასთან სავაჭრო ურთიერთობებს აღადგენს, რამაც არ მისცა ბრიუსელს ბიძგი, საქართველოს შემთხვევაშიც მსგავსი პოლიტიკური გადაწყვეტილება მიეღო. შესაბამისად, წარმოდგენილი დისკურსის თანახმად, საქართველოს ხელისუფლებამ უარი უნდა თქვას პასიურ პოლიტიკაზე და ევროპულ კურსთან

დაკავშირებით მისი განცხადებებიც და ქმედებებიც გაააქტიუროს როგორც „უკანა“ (საქართველო), ასევე „წინა“ (ბრიუსელი) რეგიონში.

„გავაღრმავოთ და გავაძლიეროთ ჩვენი ურთიერთობები ევროკავშირთან. მთავრობამ, რა თქმა უნდა, უნდა იმუშაოს 24-საათიან რეჟიმში, რომ მთელი მისი შესაძლებლობები გამოიყენოს სრულად. იმიტომ, რომ ბოლო პერიოდში პროცესები შენეულა იმდენად, რომ ვეღარ ვახდენთ გავლენებს ევროკავშირის შიგნით მიმდინარე პროცესებზე, რაც ეხება სამეზობლო პოლიტიკას“ („ტაბულა“).

აქვე ხაზგასმულია ევროკავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების მომგებიანობა ქართული ბიზნესისთვის, მაგრამ კვლავაც აღნიშნულია, რომ ამ მოგების მისაღებად აუცილებელია სწორედ მთავრობის აქტიურობა. საგულისხმოა, რომ ამ დისკურსს ანტიდასავლური მედიაც კი აჟღერებს.

„ეკონომიკური თვალსაზრისით, მზად არ ვართ ასოცირების ხელშეკრულებისთვის, ვგულისხმობ იმას, რომ ქართული ბიზნესკომპანიები მზად არ არიან, ევროპული სტანდარტების შესაბამისი პროდუქცია აწარმოონ და ამ სტანდარტებთან მიახლოებას დიდი დრო დასჭირდება. ამ პერიოდის განმავლობაში შეიძლება ინვესტიციები გაიზარდოს, მაგრამ ქართული ბიზნესი კიდევ უფრო შევიწროვდეს. მუშაობა და მთავრობის მხრიდან პროტექციონისტული მიდგომაა საჭირო, უფრო მეტი დახმარება სჭირდება ეროვნული წარმოების იმ სექტორებს, რომელიც ევროკავშირის ბაზარზე უნდა გავიდეს. თუ ამ ვაკუუმს მთავრობა შეავსებს, ასოცირების ხელშეკრულება ჩვენთვის მომგებიანი იქნება“ („საქართველო და მსოფლიო“).

ევროპეიზაციის პროცესის წარმატებისთვის, სხვადასხვა რეგულაციის ამოქმედებასთან ერთად, უმნიშვნელოვანესია თავისუფალი სივრცის შექმნა-შენარჩუნების საკითხი, რისი ერთ-ერთი მთავარი გარანტი ძლიერი არასამთავრობო სექტორია. სწორედ ამ კონტექსტში საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მიუხედავად ოფიციალურად გაცხადებული ევროპული კურსისა, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გოგი თოფაძე აცხადებს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის უცხოეთიდან გრანტების მიღება უნდა აიკრძალოს, რადგან ისინი „ძირს უთხრიან“ სახელმწიფოს („ტაბულა“), რასაც დაემატა ექს-პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის მხრიდანაც არასამთავრობო სექტორის

კრიტიკა („ნეტგაზეთი“). ნიშანდობლივია, რომ თოფაძის განცხადება ხელისუფლების წარმომადგენლებს არ გაუკრიტიკებიათ, არც სოციალურ მედიაში მოყოლია სერიოზული განხილვა და არც არასამთავრობოების პროტესტი ყოფილა თვალშისაცემი. თუმცა, პროევროპულ მედიაში გაჟღერდა მოსაზრება, რომ სწორედ იმ არასამთავრობო ორგანიზაციებზე მოხდა თავდასხმა, ვისაც რეალურად შეეძლო ევროპული კურსის სასარგებლოდ პროცესების წარმართვა.

„ბრძოლა იმ არასამთავრობოების წინააღმდეგ განხორციელდება, რომლებსაც რეალურად შეუძლიათ ევროპასა თუ აშშ-ი არსებულ პოლიტიკურ ინსტიტუტებთან ერთად პოლიტიკური პროცესების წარმართვა“ („ინტერპრესნიუსი“).

აღსანიშნავია, რომ ანტიდასავლურ მედიაში არასამთავრობოები დასახელებულნი არიან იმ აქტორებს შორის, ვინც ხელს უწყობს დასავლეთს ქართული ღირებულებების გადაგვარებასა და საკუთარი ღირებულებების თავსმოხვევაში.

„ჩვენ თავს გვახვევენ დასავლეთიდან შემოსულ ფსევდოფასეულობებს. საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვამ მახინჯი ფორმა მიიღო. ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში ძალიან ბევრი რამ საერთოდ არ წერია, რის დასაცავადაც აქაური არასამთავრობოები თავს იკლავენ. შესაბამისად, დასავლეთში არიან ჯგუფები, რომლებიც არამთავრობოების ხელით ცდილობენ, დაწერონ ის იდეოლოგია, რომელიც მათ სჭირდებათ“ („საქართველო და მსოფლიო“).

გასაკვირი არ არის, რომ დისკურსი ევროპეიზაციის, როგორც ქართული იდენტობისთვის საფრთხის შემცველის შესახებ, ანტიევროპულ მედიაში გაჟღერდა, მაგრამ საგულისხმოა, რომ ეს დისკურსი პროევროპული „ტაბულას“ ბლოგზეც გამოჩნდა. მართალია, მიჩნეულია, რომ ბლოგოსფერო თავისუფალი სივრცეა, მაგრამ ზედაპირული დაკვირვებითაც კი შეიძლება დავასკვნათ, რომ ბლოგერები, თვითცენზურის გამო, სწორედ იმ მედიაპლატფორმის იდეების გამტარებელნი არიან, რომელზეც მათი ბლოგია განთავსებული. სწორედ ამიტომ ჩანს უცნაურად „ტაბულაზე“ ისეთი დისკურსის გაჟღერება, რომელიც, რუსეთის მსგავსად, ევროკავშირსაც ნეგატიურ კონტექსტში წარმოაჩენს და გვთავაზობს წარატივს, რომ ქვეყანამ დამოუკიდებელი პოლიტიკა უნდა აწარმოოს.

„უცხო ძალისა და იდეოლოგიისადმი დამორჩილება, როგორც ნაკლები ბოროტებისადმი უფრო დიდი ბოროტების შიშით და თანაც ამის უალტერნატივო გადაწყვეტილებად მიჩნევა, დანაშაულია საკუთარი თავისა და ერის წინაშე... დღევანდელ რეალობაში, როდესაც რუსეთია აშკარა მტერი და საფრთხის წყარო, იგივე ტექსტი არ დაკარგავდა აქტუალობას, თუ მუსულმანურ სამყაროს რუსეთით, ხოლო რუსეთს „დასავლური სამყაროთი“ ჩავანაცვლებდით. დღეს უკვე სხვა მითი და ილუზია გვაკარგინებს იდენტობას და ეს მითია ჩვენი „ნათესაური“ კავშირი და კუთვნილება დასავლურ კულტურასთან... სჯობს, ისევ ჩვენს კულტურაში და ისტორიაში ვეძებოთ ჰუმანურობის, შემწყნარებლობის, ტოლერანტულობის და ლიბერალიზმის მაგალითები... ალტერნატივა არის დამოუკიდებელი პოლიტიკა“ („ტაბულა“).

სწორედ აქ იკვეთება დისკურსი „მე ქართველი ვარ და არა ევროპელი“, რომელიც ანტიდასავლურ მედიაში, კერძოდ, გამოცემაში „საქართველო და მსოფლიო“ გვხვდება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ „ქართველობა“ ევროპისგან შორს ყოფნას თუ ნიშნავს, იმავდროულად, არ გამორიცხავს ერთმორწმუნე რუსეთთან მჭიდრო კავშირს. გარდა ერთმორწმუნეობისა, რუსეთისკენ მიბრუნება და ევროპაზე უარის თქმა იმითაც უნდა იყოს განპირობებული, რომ „ევროპა ინგრევა და მისი ქვეყნები ნანგრევებში მოხვედრისგან თავის არიდებას ცდილობენ“ („საქართველო და მსოფლიო“). ამ ნანგრევებში მოხვედრის სანაცვლოდ კი, გამოსავალია ევრაზიული კავშირი, რომელიც არ ნიშნავს „რუსული პოლიტიკის გატარებას“, არამედ „პირიქით, ეს არის ქართული სახელმწიფოს ინტერესების დაცვა თურქეთის, ჩრდილოკავკასიელთა ექსპანსიისა და რადიკალი ისლამისტებისგან; ეს არის მართლმადიდებელი ქვეყნის ზნეობის და მორალის ჩარჩოებში მოქცეული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა; ეს არის ქართული სოფლის გადარჩენა რუსეთის ბაზრის მემწეობით და სამომავლოდ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საფუძველი“ („საქართველო და მსოფლიო“).

ამგვარად, პრორუსული პროპაგანდა ქართულ მედიასივრცეში კვლავ ძლიერია, რაც განსაკუთრებით ნატოსთან დაკავშირებულ რიტორიკაში გამოვლინდა. უცნაურია, რომ ამის ფონზე, პროდასავლური ხედვის მქონე „კვირის პალიტრა“, „ტაბულა“ და „ლიბერალი“ თითქმის არ დაინტერესებულან აღნიშნული განცხადებებით (მათზე მხოლოდ „რადიო თავისუფლებამ“ და „ინტერპრესნიუსმა“ მოახდინეს

რეაგირება). ამ პერიოდში, არც ხელისუფლების მხრიდან გაკეთებულია მკვეთრი განცხადებები საქართველოს დასავლურ კურსზე და ნატოში განევრიანებისკენ მისწრაფებაზე. თუმცა, 26 მარტს გაიმართა საქართველოს პრემიერმინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ვრცელი პრესკონფერენცია მედიის წარმომადგენელთათვის, სადაც ის გოგი თოფაძის განცხადებას გაემიჯნა და აღნიშნა, რომ „ამაში ტრაგიკული არაფერია“, ეს თოფაძის პირადი შეხედულებაა და კოალიციის აზრს არ გამოხატავს.

„მე არ ვიზიარებ ამ განცხადებას. ეს მისი პირადი აზრია და ის კოალიციის აზრს არ წარმოადგენს. ზოგადად, მის კომენტარზე ზედმეტი აუქტირება ხდება და არ გირჩევდით, რომ ამაზე დრო დახარჯოთ. ეჭვი არავის ეპარება, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკა ნათელია. ჩვენ ამ საკითხზე სრული კონსენსუსი გვაქვს. ვიმეორებ, თოფაძის განცხადება ჩემთვის მიუღებელია, მაგრამ ამაში ტრაგიკული არაფერია. ეს არის ბატონი გოგის პირადი შეხედულება და ეს ჩვენი კოალიციის აზრს არ წარმოადგენს.“

გარდა ამისა, ირაკლი ღარიბაშვილმა ისიც განაცხადა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია არა შიდა პოლიტიკური აქტორების, განსაკუთრებით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ განცხადებები თუ მოსაზრებები, არამედ გავლენიანი დასავლელი პოლიტიკური მოთამაშეების შეფასებები. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ქართველი პოლიტიკური აქტორებისთვის, განსაკუთრებით მმართველი გუნდისთვის, საკუთარი პროდასავლურობისა და პროევროპულობის დეკლარირება საერთაშორისო სცენაზე.

„მე არ მაინტერესებს, რას ფიქრობს მიხეილ სააკაშვილი, აკო მინაშვილი ან ნიკლაური ჩვენ პოლიტიკასთან დაკავშირებით. მე მაინტერესებს ის, რომ ამერიკის პრეზიდენტს მოსწონდეს ჩვენი მიდგომა. მაინტერესებს ის, რომ გერმანიის კანცლერს მოსწონდეს ჩვენი მიდგომა. მაინტერესებს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტს მოსწონდეს ჩვენი მიდგომა. მაინტერესებს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი გვიჭერდეს მხარს. ეს არის ჩემთვის საინტერესო, როგორც მთავრობის მეთაურისთვის, რომ ჩვენი ხალხი იყოს დამშვიდებული, რომ თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი კონფლიქტი, კონფლიქტის ხელახალი ესკალაცია“ (ირაკლი ღარიბაშვილი).

აქვე პრემიერმინისტრი არ უარყოფს, რომ რუსეთთან დათმო-

ბის პოლიტიკა სწორია, რადგან ხელისუფლების ფრთხილმა და „გონივრულმა ქმედებებმა ხელი შეუწყო უსაფრთხოების გაძლიერებას არა მხოლოდ ჩვენ ქვეყანაში, არამედ მთელ რეგიონში.“ თუმცა, გაემიჯნა რა თოფაძის განცხადებას, მან ელექტორატის უმრავლესობისთვის სოციალურად სასურველი თვითპრეზენტაცია მოახდინა „უკანა რეგიონში.“ იმავდროულად, მისი გზავნილი „წინა რეგიონისთვისაც“ იყო განკუთვნილი, განსაკუთრებით რიგის სამიტის წინ. ამას ის გარემოებაც დაემატა, რომ სწორედ 26 მარტს, გერმანიამ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა. ამდენად, რაციონალური იყო, საქართველოში ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ აქტორს ადეკვატურად ეპასუხა როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი აუდიტორიის მოლოდინებზე. მით უმეტეს, რომ ეს ყველაფერი IRI-ს მიერ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გამოქვეყნებას დაემთხვა, რომლის თანახმად, საქართველოს ნატოში განწევრიანებას მოსახლეობის 78% უჭერდა მხარს და 15% – ეწინააღმდეგებოდა; ევროკავშირში განწევრიანებას კი მოსახლეობის 85% უჭერდა მხარს და 9% – ეწინააღმდეგებოდა (IRI, 31 მარტი, 2015).

მედიანალიზის მესამე ტალღა – მაისი-ივნისი, 2015

მედიანალიზის მესამე ტალღისთვის საგანგებოდ შეირჩა მაისის თვე, ვინაიდან ის ევროპეიზაციის თვალსაზრისით მნიშვნელოვან ორ მოვლენას უკავშირდებოდა, კერძოდ, 17 მაისის ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს და 21-22 მაისის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტს რიგაში. შესაბამისად, მედიის მიერ თემის განხილვის მოლოდინიც არსებობდა. განსხვავებით 2013 წლის 17 მაისისგან, ამჯერად ჰომოფობიის წინააღმდეგ აქციამ მშვიდობიანად ჩაიარა და ეს დღე მედიის მიერ აქტიური განხილვის საგანი არც აქციამდე გამხდარა და არც მის შემდეგ, თუ არ ჩავთვლით ანტი-დასავლურ „ასავალ-დასავალსა“ და „საქართველო და მსოფლიოს“, რომლებიც დასავლეთის, როგორც „გარყვნილების“ გამავერცხლებლის, შესახებ მითს აქტიურად კვებავენ. ყველა სხვა შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ მედია ბულვარული პრესის პრინციპებით ხელმძღვანელობდა, კერძოდ, არც უცდია, კრიტიკულად შეეფასებინა ეს დღე და გაეანალიზებინა, თუ რა ფაქტორებმა განაპირობა 17 მაისის აქციის უხმაუროდ ჩავლა; რომელმა პოლიტიკურმა თუ

არაპოლიტიკურმა აქტორებმა ითამაშეს როლი პროცესის მშვიდობიანად წარმართვაში; და იყო თუ არა მოვლენების ამგვარი განვითარება დაკავშირებული რიგის ძალიან მნიშვნელოვან სამიჯნთან.

რაც შეეხება „ასავალ-დასავალსა“ და „საქართველო და მსოფლიოს“, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის დღე ამ აგენტების მიერ წარმოდგენილია, როგორც „გეიების დაცვისა“ და რელიგიის წინააღმდეგ მიმართული დღე, რომელიც სულ უფრო მეტად გვაშორებს ეკლესიას.

„რაც უფრო დავუახლოვდებით ევროპულ და ამერიკულ ,ფასეულობებს‘, მით მეტად დავშორდებით ქრისტეს და ეკლესიას“ („საქართველო და მსოფლიო“).

გამოკვეთილი დისკურსის თანახმად, საქართველოს უწევს არჩევანის გაკეთება ევროატლანტიკურ სტრუქტურებსა და ქრისტიანობას შორის, რომელიც „ძნელბედობის ჟამს აძლებინებდა საქართველოს.“ ამ იძულებითი არჩევანის წინაშე კი ქვეყანას დასავლეთი აყენებს, რომელიც, ევროკავშირის შემთხვევაში, ვერაფერს სთავაზობს თავის წევრებს.

„დღეს საქართველოში მართლმადიდებელი მრევლის, ანუ მოსახლეობის უმრავლესობის ნებას ლგბტ თემის ვარიების კრიახზე მეტი ფასი არ აქვს. ეს ფაქტია და ამას უკვე ყველა ხედავს, ამის უკან კი ჩვენი ,სტრატეგიული პარტნიორი‘ ამერიკა და ჩვენი სათაყვანებელი დასავლეთი დგას. როგორც ჩანს, ევროინტეგრაცია სხვანაირად არ გამოდის და ,ბნელმა ღრუზინებმა‘ ერთი ადგილი უნდა დავაყენოთ. ,ისტორიული არჩევანი‘ მსხვერპლს მოითხოვს – ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია...“ („საქართველო და მსოფლიო“).

დასავლეთი, მედიის ამ აგენტების მიერ შემოთავაზებული დისკურსის თანახმად, მხოლოდ შორიდანაა მომხიზვლელი, რადგან ის არ განგვიხილავს, როგორც თანასწორს და, გარდა იმისა, რომ „გარყვნილების“ იმპორტიორია ქვეყანაში, ეკონომიკური თვალსაზრისითაც სახარბიელოს ვერაფერს გვთავაზობს. უფრო მეტიც, „საქართველო და მსოფლიო“ ევროინტეგრაციას ეკონომიკური კოლონიზაციის სინონიმადაც კი მოიაზრებს.

„ევროპა არ გვიყურებს თავის თანასწორად, მათთვის ერთი არაცივილური სამყაროს ნაწილი ვართ, რომლის მიმართაც ევროპა მხოლოდ ,შეშფოთებას‘ გამოხატავს გადამწყვეტ მომენტებში“ („ასავალ-დასავალი“).

„ევროინტეგრაცია – ეს არის ქვეყნების ეკონომიკური დამორჩილების, შეიძლება ითქვას, ეკონომიკური კოლონიზაციის სახეობა“ („საქართველო და მსოფლიო“).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად იმისა, რომ „კვირის პალიტრას“ 17 მაისის თემა არ გაუშუქებია და ამ საკითხზე რეფლექსია არ მოუხდენია, მან მთელი გვერდი დაუთმო 17 მაისს საერთაშორისო ორგანიზაცია World Congress of Families-ის მიერ გამართული რეგიონული კონფერენციის მონაწილეთა წერილს, რომელიც გაზეთში უცვლელადაა გამოქვეყნებული. აქ საინტერესო დისკურსია გატარებული, რომელიც ამ გაზეთისთვის დამახასიათებელი შედარებით რბილი და დაბალანსებული პოზიციისგან განსხვავებულია და მისი შინაარსი გაცილებით ახლოა „დასავლ-დასავალისა“ თუ „საქართველო და მსოფლიოს“ რიტორიკასთან. კერძოდ, წერილში წარმოდგენილი დისკურსის თანახმად, ანტიდისკრიმინაციული კანონი, აზარტული თამაშების რეკლამირება, მარიხუანის დეკრიმინალიზაციის მოთხოვნით მოძრაობის წამოწყება, რომელიც „დასავლურ ცხოვრების წესს“ უკავშირდება, საფრთხეს უქმნის ოჯახის ინსტიტუტს საქართველოში. წერილში ნათქვამია, რომ უძველესი კულტურის მქონე საქართველო, რომელმაც მსოფლიოს „შესძინა ღვინო და ხორბალი, ამირანი – პრომეთე და მედეას მედიცინა“, სადაც მრავალი საუკუნეა ერთმანეთის გვერდითაა სინაგოგა, ეკლესია და მეჩეთი, ახლა „დასავლური ლიბერალიზმის, გლობალიზმისა და რადიკალიზმის მიერ ტრადიციულ, ადამიანურ ფასეულობებსა და ღირებულებებზე ორგანიზებული უპრეცედენტო შეტევის ეპოქაში“ ცხოვრობს და მან საკუთარი უნიკალური კულტურა და ტრადიციები უნდა დაიცვას. ანტიდისკრიმინაციული კანონი კი წარმოდგენილია, როგორც პირველი ნაბიჯი „ტრადიციული ფასეულობებისა და ოჯახის განადგურებისკენ.“

„უაღრესად შევწუხდით, როდესაც ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონის ქართულ ვერსიას გავეცანით... ეს კანონი, თავისი აგრესიულობით, თავის ევროპულ ანალოგიებსაც აჭარბებს, რადგან საქართველოში საყოველთაო ხასიათს ატარებს მაშინ, როდესაც ევროპაში ის მხოლოდ დასაქმების სფეროს ეხება“ (კონგრესის მონაწილეთა წერილი, კვირის პალიტრა).

შესაძლოა ამ სახის დისკურსის „კვირის პალიტრაში“ გაულერება კომერციული მიზეზებითაც აიხსნას, თუმცა, იმის თქმაც შეიძლება, რომ, როგორც ჩანს, მსგავსი რიტორიკა გაზეთისთვის პრინციპულად

მიუღებელი არ არის. ამიტომ, საინტერესო იქნება იმაზე დაკვირვება, თუ რა ტიპის დისკურსებს შემოგვთავაზებს ის მსგავს საკითხებზე მომავალში.

რაც შეეხება რიგის სამიტს, მედიააგენტების ნაწილმა ეს თემა არა „ცხელი ახალი ამბების“, არამედ „თემატური ახალი ამბების“ სახით წარმოადგინა. „ინტერპრესნიუსმა“, „ტაბულამ“ და „ლიბერალმა“ ახალი ამბების ფორმატში გააშუქეს რიგის სამიტი (სამიტამდეც და შემდეგაც), რაც მოსალოდნელი იყო საინფორმაციო სააგენტოს („ინტერპრესნიუსი“) შემთხვევაში, თუმცა – მოულოდნელი „ტაბულას“ და „ლიბერალის“ შემთხვევაში. ალბათ, წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, მკითხველს შეიძლება ჰქონდეს მოლოდინი, რომ ამ პორტალებზე, „მშრალი“ ახალი ამბების ნაცვლად, თუნდაც პოლიტიკური შეფერილობის, მაგრამ ანალიტიკურ მასალას იხილავს. თუმცა, თუ მედიაანალიზის ტალღებს გადავხედავთ, შეიძლება ითქვას, რომ „ტაბულაც“ და „ლიბერალიც“ სულ უფრო ნაკლებ სთავაზობენ მკითხველს რეფლექსიებს და საინფორმაციო სააგენტოს ფორმატში მუშაობის პრინციპს მისდევენ.

რაც შეეხება „რადიო თავისუფლებას“, მის შემთხვევაში ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მან სწორედ „თემატური პრესის“ პრინციპით იმუშავა და მის გვერდზე დაინტერესებულ მკითხველს ძალიან დეტალური, სხვადასხვა პოზიციით გამყარებული და თანმიმდევრული ინფორმაციის მიღება შეეძლო რიგის სამიტის შესახებ. ეს თემა პრესამაც („კვირის პალიტრა“, „ასავალ-დასავალი“, „საქართველო და მსოფლიო“) განიხილა.

მედიაანალიზის მესამე ტალღა შეგვიძლია, პირობითად დავყოთ რიგის სამიტამდე და რიგის სამიტის შემდგომ დისკურსებად. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტამდე გამოკვეთილი ერთ-ერთი მთავარი დისკურსის თანახმად, რიგის სამიტი გადამწყვეტი მნიშვნელობის არ იქნება და ის საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის ამოქმედებას არ მოიტანს.

„ეს იქნება ზომიერი სამიტი... არ ველოდებით, რომ ვიზალიბერალიზაციას მივიღებთ, მაგრამ მივიღებთ გზას ნათელს, რომლის გაგლის შემდეგაც საქართველო ლიბერალიზაციას მიიღებს“ („რადიო თავისუფლება“).

„რიგის სამიტზე ვიზალიბერალიზასთან დაკავშირებით კონკრეტული შედეგი არ გვექნება“ („კვირის პალიტრა“).

მართალია, საზგასმულია, რომ ვიზალიბერალიზაცია არის ყველაზე მცირე, რაც ევროკავშირმა უნდა გააკეთოს საქართველოს-ნაირ ქვეყნებთან მიმართებაში, მაგრამ აქვე ხდება იმის გაანალიზება, თუ რატომ ვერ მოხერხდა ამ მიმართულებით კონკრეტული შედეგის მიღწევა. ამ კონტექსტში გაჟღერებული მთავარი დისკურსის თანახმად, საკითხის გადაწყვეტის გასაღები არა თბილისში, არამედ მოსკოვსა და ბრიუსელშია, რადგან პრობლემა რუსეთის აგრესია და ბრიუსელი ცდილობს უკრაინის და საქართველოს მისგან დაცვას.

„ბრიუსელს არ სურს დამატებით საბაბი მისცეს მოსკოვს აგრესიის განსახორციელებლად როგორც უკრაინის, ასევე საქართველოს მისამართით, ამიტომაც ჭიანურდება ეს პროცესი“ („კვირის პალიტრა“).

„ბლოკს არ სურს ამ ქვეყნებს დამატებითი პრობლემები შეუქმნას რუსეთთან“ („რადიო თავისუფლება“).

აქვე აღსანიშნავია კიდევ ერთი დისკურსი, რომლის თანახმად, პარტნიორობის პროგრამა სულაც არ ნიშნავს, რომ საქართველო ევროკავშირში განვერიანებას შეძლებს, მაგრამ ეს არის მნიშვნელოვანი გზა წარმატებული რეფორმების განსახორციელებლად და ქვეყნის პროგრესისთვის. ამ დისკურსის თანახმად, საქართველომ, თურქეთის მსგავსად, შესაძლოა ვერ მიიღოს წევრობა, თუმცა ეს პროცესი მაინც მნიშვნელოვანია.

„პარტნიორობის პროგრამა არასოდეს წარმოადგენდა ევროკავშირში განვერიანების გარანტიას, თუნდაც მომავალში – მაგრამ კიევს, თბილისსა და კიშინიოვს აქვთ უფლება, ჰქონდეთ ოცნება, მათ შორის ევროპული ოცნება“ (დონალდ რუსკი, „რადიო თავისუფლება“).

„საუბარი იმაზე, რომ რიგის სამიტზე განვერიანების პერსპექტივის მხრივ ჩვენ რამეს დაგვირდებიან, ზედმეტად ოპტიმისტური იქნება“ („ინტერპრესნიუსი“).

„მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის ევროკავშირში განვერიანებაც სათუოა, ეს პროცესი ცალსახად პოზიტიურია, რადგანაც ქვეყანა პროგრესს განიცდის. საქართველოს სტაგნაცია კი რუსეთის ინტერესებშია“ („კვირის პალიტრა“).

რიგის სამიტამდე, ქართულმა არასამთავრობო სექტორმა ევროკავშირის წარმომადგენლებს ასოცირების შეთანხმებით გათვალ-

ისწინებული პროცესების მიმდინარეობის შესახებ აცნობა. აღინიშნა, რომ, მართალია, ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა დარჩენილი, მაგრამ ქართულმა მხარემ არაერთ სფეროში მიაღწია შედეგებს. მათ მოუწოდეს ბრიუსელს საპასუხო ნაბიჯისკენ, რომლის ერთ-ერთ მთავარ ფორმად, გარდა სავაჭრო ურთიერთობების გამარტივებისა და ბაზარზე ქართული კომპანიების დაშვებისა, სწორედ ვიზალიბერალიზაცია იყო დასახელებული.

„ჩვენ გვინდა ევროკავშირს მოვუწოდოთ, რომ იმ საშინაო დავალების შესრულების შედეგად, რომელიც საქართველომ, ყოველ შემთხვევაში, ძალიან სცადა, რაიმე საპასუხო გააკეთოს, რაიმე შეღავათი მისცეს ქართველ ხალხს – იქნება ეს სავიზო ლიბერალიზაცია თუ სხვა საკითხები“ („რადიო თავისუფლება“).

სწორედ ვიზალიბერალიზაცია იყო განხილული აღმოსავლეთ პარტნიორობის მთავარ მიზნად და მიუხედავად იმისა, რომ სამიტამდე არსებული დისკურსის თანახმად, რიგაში განსაკუთრებული არაფერი მოხდებოდა, სამიტის შემდგომ დისკურსებში გამოიკვეთა ბრიუსელისგან ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯის გადადგმის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც ხელს შეუწყობდა ევროსკეპტიკოსთა რიცხვის შემცირებას ქვეყანაში.

„რიგის სამიტმა საქართველო და უკრაინა კვლავ მკაფიო ევროპული პერსპექტივის გარეშე დატოვა და ბევრ უკრაინელსა და ქართველს, რომელიც ევროპელი პარტნიორებისაგან, სულ ცოტა, უვიზო მიმოსვლის უფლების მინიჭებას მაინც ელოდა, გული იმდენად ატკინა, რომ, ზოგადად, ევროპული პერსპექტივის ავ-კარგზე დააფიქრა“ („რადიო თავისუფლება“).

„კვირის პალიტრის“ დისკურსის თანახმად, ევრაზიული კავშირის მხარდამჭერთა 31%-იანი რეიტინგი სწორედ დასავლეთისგან მიღებულ იმედგაცრუებაზე რეაქციას წარმოადგენს. ამას ემატება „საბჭოთა ნოსტალგია“ და მძიმე სოციალური პირობების გამო არსებული ილუზია, თითქოს რუსეთი უკეთეს ეკონომიკურ პირობებს შემოგვთავაზებს.

რაც შეეხება ანტიდასავლური მედიის დისკურსს, გარდა იმისა, რომ უვიზო მიმოსვლაზე უარის თქმა „შეურაცხყოფადაა“ შეფასებული „ასავალ-დასავალის“ მიერ, რიგის სამიტი იმედგაცრუებადაა წარმოდგენილი რიგაში ექს-პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვიზ-

იტისა და იმის გამოც, რომ საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურებისთვის მისი გადმოცემა არ მოხდა.

„გვჭირდება კი საერთოდ ისეთი ევროპა, რომელიც სააკაშვილის-ნაირ დამნაშავეებს ელოლიავენ, ხოლო საქართველოსა და ქართველ ხალხს ღირსებას უღახავს?!“ („ასავალ-დასავალი“).

თუმცა, მსგავსი რიტორიკა პროდასავლური მედიის სარკაზმს იწვევს, რომელიც ყურადღებას ამახვილებს კონკრეტული ჯგუფების მიერ მედიის გამოყენებაზე რუსეთის, როგორც არა მხოლოდ საქართველოსთვის სასურველი ბაზრის, არამედ „გარყვნილი დასავლეთის“ ალტერნატივის წარმოჩენაში.

„ჩვენ უარს არ ვიტყვით ნატოსა და ევროკავშირზე, ქართველობას წაგვართმევენ“ და დავრჩებით ამ საუნჯის გარეშე. მკითხველნიც, ალგ ზნებულნი და ცრემლმორეულნი, შიშითა და სიძულვილით ივსებიან ევროპა-ამერიკის წინააღმდეგ და არ სურთ არც ევროპა, არც ამერიკა, არამედ – საქართველო (და რუსეთი). თუმცა, ამბობენ საქართველოს და გულისხმობენ რუსეთს. ამას ხმამაღლა არ აცხადებენ, მაგრამ „განდობილებმა“ და მათმა გურუებმა შესანიშნავად უწყიან, რომ თანამედროვე სამყაროში არ არსებობს ორი ალტერნატივის გარდა – ან დასავლეთი, ან რუსეთი და რომ სხვა ყოველგვარი რიტორიკა ე.წ. სხვა ცივილიზაციების შესახებ ისეთივე ბლეფია, როგორც სიცოცხლე მარსზე და იუპიტერზე. იციან, მაგრამ გულუბრყვილოებს, აბოლებენ და საკმაო წარმატებითაც. 2012 წლის შემდეგ იმ ადამიანთა რიცხვი, რომელთაც არ სურთ დასავლეთი, მკვეთრად გაიზარდა და ამ შედეგისთვის უთუოდ უნდა დააფასონ და შეაფასონ ასავალ-დასავალის სკოლის პროპაგანდისტები. მათ შედეგი დადეს უზარმაზარი“ („ლიბერალი“).

ცალსახად იკვეთება დისკურსი, რომლის თანახმად, რაოდენ ძლიერიც არ უნდა იყოს მოსახლეობის გულდანყვევტა ბრიუსელის გადანყვევტილების გამო, დაუმეგებელია, მან ევრაზიული კავშირის სასარგებლოდ გააკეთოს არჩევანი, რადგან „რუსეთის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაკარგვას ნიშნავს.“ ამ თემაზე აქტიური მსჯელობაა სოციალურ მედიაში, განსაკუთრებით „რადიო თავისუფლებაში.“ მართალია, აღნიშნულია, რომ რიგის სამიტმა იმედგაცრუება გამოიწვია ქართველებსა და უკრაინელებში, და არაერთ ეჭვს დაუდო საფუძველი, მაგრამ ხაზ-

გასმულია, რომ მთავარია ამ ყველაფრის, როგორც საჭირო გაკვეთილის აღქმა, რომელმაც ბევრი რამ უნდა გვასწავლოს. ამასთან, იმასაც თვალი უნდა გავუსწოროთ, რომ „ევროპული ოჯახის სრულფასოვან წევრებად მალე არ მიგვიღებენ“ („რადიო თავისუფლება“).

სწორედ ამ კონტექსტში იყო საინტერესო საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ესტონეთის პრეზიდენტის განცხადებაც, რომლის თანახმად, „მართალია, ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირში განეწიანების ბილეთი არ არის, მაგრამ ეს დოკუმენტი არ გამოორიცხავს ასეთ პერსპექტივას“ (ტომას ჰენდრიკ ილვესი, „რადიო თავისუფლება“). გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ ევროკავშირში განეწიანების გარეშე ნატოში შესვლა ილუზიაა, ამიტომაც ქვეყანამ თვალსაჩინო წინსვლა უნდა აჩვენოს, რათა გახდეს როგორც ევროკავშირის, ასევე ნატოს წევრი.

აქვე საინტერესოა დისკურსი, რომელიც ერთგვარ გულისწყრომას გამოხატავს ევროკავშირის ორმაგი სტანდარტის მიმართ: ერთი მხრივ, ევროკავშირს სჭირდება ეკონომიკურად ძლიერი, დემოკრატიული საქართველო; თუმცა, იმავდროულად, იცის, რომ საქართველო დამოუკიდებლად ვერ მიაღწევს ამ მიზანს და თავადვე უნდა დაეხმაროს მის განხორციელებაში; მაგრამ წინასწარ მაინც უყენებს მსგავს მოთხოვნებს. შედეგად, „კვირის პალიტრაც“ კი ნაწყენი ტონით აღნიშნავს, რომ, თუ ქვეყანა ამას დამოუკიდებლად შეძლებს, „შეიძლება დაფიქრდეთ კიდევ, საერთოდ რა გვინდა ამ ევროკავშირში.“ ამავე ორმაგი სტანდარტის ხაზგასმას ემსახურება დისკურსი, რომ ევროკავშირში ბევრი რუსეთს გაცილებით მნიშვნელოვან აქტორად მიიჩნევს, ვიდრე საქართველოსა და უკრაინას, და რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებასაც კი ცდილობენ, რაც ადგილობრივმა პოლიტიკურმა აქტორებმა არ უნდა დაივიწყონ.

„მათი პოლიტიკის საბოლოო მიზანი რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზებაა და, მართალია, ისინი ვერ და არ დათმობენ ევროპული უსაფრთხოების ძირითად ფასეულობებს, აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნები ევროპული პოლიტიკისათვის ჯერჯერობით მაინც მეორეხარისხოვანია. დიდ ქვეყნებს შორის გარიგება პატარების ხარჯზე ნაშთია XIX საუკუნის იმ ევროპული პოლიტიკისა, რომელსაც „რეალპოლიტიკის“ სახელით ვიცნობთ. ამ მიდგომის შეცვლა მხოლოდ ინტელექტუალური დისკუსიებისა და ევროპულ ფასეულობებზე აპელირების მეშვეობით ძნელი იქნება“ („რადიო თავისუფლება“).

აღნიშნულია, რომ რუსეთის ფაქტორის გადანონვა რიგაში ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ შეძლო, ამ სიტუაციიდან გამოსავალი კი „შექმნილმა მდგომარეობამ უნდა გვიკარნახოს.“ სწორედ ამ ჭრილშია გატარებული მოსაზრება, რომლის თანახმად, უკრაინის მთავრობაში საქართველოს მთავრობის ყოფილ წევრთა მიწვევით, თითქოს, მოხდა საქართველო-უკრაინის ინტეგრაცია და საქართველოს ამოვარდნა „კლიშედ ქცეული კავკასიის რეგიონული კონტექსტიდან (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი), და ახალი, ევროპასთან გეოპოლიტიკურად უფრო ახლოს მყოფი კონტექსტის ნაწილად ქცევა (მოლდოვა, უკრაინა, საქართველო)“ („რადიო თავისუფლება“).

ევროინტეგრაციის კონტექსტშია დანახული მუსიკალური კონკურსი „ევროვიზიაც“, რომლის მუსიკალურ ღირებულებაზე არც დაობენ და ის პოლიტიკურ კონკურსად უფროა აღქმული. ევროპის მრავალმილიონიანი აუდიტორიისთვის საქართველოს გაცნობის შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, ამ კონკურსში გამოსვლა წარმატებული იქნება თუ არა, საკვანძო მნიშვნელობის მქონეაა მიჩნეული იმ მოტივით, რომ ევროპულ სივრცეში ნებისმიერი პოზიციურება ქვეყნისთვის გადამწყვეტია.

„ევროვიზია“ ნაგავია, მაგრამ საჭირო ნაგავია... იმისდა მიუხედავად, როგორი მდარეა „ევროვიზია“, საქართველოსთვის ამ კონკურსში მონაწილეობა ძალიან საჭირო რამაა. მარტო იმიტომ, რომ 122 მილიონზე მეტი ადამიანი უყურებს, ძირითადად ევროპაში. რატომ უყურებენ, არა აქვს მნიშვნელობა. მთავარია, რომ უყურებენ. ამიტომ საჭიროა, რომ გერმანელ ბიურგერს, რუს ობივატელს, ჰოლანდიელს ამ სიტყვების ჰოლანდიური სინონიმი რაცაა იმას, ავსტრიელს, ნორვეგიელს, პოლონელს, ყველას, კიდევ ერთხელ მოეჩხიროს თვალში Georgia. მით უმეტეს კონკურსში, რომლის სათაურშიც Euro ურევია. თუ წარმატებულად გამოვედით, ხომ ძალიან კარგი, მაგრამ, თუ არ გამოვედით, მაგასაც არა უშავს. მთავარია, სასტავში ვიყოთ გარეულები. დიდ შედეგს, ცხადია, ეგ არ გამოიღებს, მაგრამ ევროპასთან ინტეგრაციის საქმეში ჩვენთვის ხომ ყველა მისხალი მნიშვნელოვანია!“ („რადიო თავისუფლება“).

კიდევ ერთი დისკურსის თანახმად, ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ხელისუფლების მიერ საკუთარი პოზიციების მკაფიოდ დაფიქსირება როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი აუდიტორიის წინაშე. სწორედ ამ კონტექსტში იყო გატარებული მოსაზრე-

ბა, რომ ხელისუფლებამ საზოგადოებაში ადეკვატური მოლოდინები უნდა შექმნას და არ დაუშვას ისეთი შეცდომა, რაც ვიზალიბერალიზაციის მოლოდინებთან დაკავშირებით მოხდა. ამ მიზნით, ხელისუფლებამ მოსახლეობის სათანადო ინფორმირება უნდა უზრუნველყოს, მათ შორის ევრაზიული კავშირის შესახებ, რომ საზოგადოებამ თავად დაინახოს სხვაობები ამ ორ კავშირს შორის. ამავე დისკურსის თანახმად, ილუზიების შექმნაზე არა მხოლოდ ქართულმა მხარემ, არამედ ევროკავშირმაც უარი უნდა თქვას.

„რა ევროპულ ამბიციებზეა ლაპარაკი, როდესაც ქვეყანაში პენსია 150 ლარია? დროა თბილისმაც და ბრიუსელმაც ყალბი, ლამაზი ხედების ნაცვლად რეალურ საქართველოს გაუსწორონ თვალი და არსებულ პრობლემებს ჩაუღრმავდნენ. სწორედ ეს იქნება პირველი ნაბიჯი ევროსკეპტიციზმის აღმოსაფხვრელად“ („კვირის პალიტრა“).

რიგის სამიტის შემდეგ გატარებული ერთ-ერთი მთავარი დისკურსის თანახმად, ამ სამიტზე ქვეყანამ, როგორც მოსალოდნელი იყო, სავიზო ლიბერალიზაციას ვერ მიაღწია, მაგრამ მიიღო გარანტია, რომ ევროკომისია დაეხმარება თბილისს და კიევს, ამ შეთანხმებით ნაკისრი მეორე, გადამწყვეტი ფაზის სამუშაოების წარმატებით დასრულებაში, რაც საქართველოს და უკრაინას აძლევს შანსს, „წლის ბოლოს მიიღონ ევროკავშირთან უფიზო მიმოსვლის უფლება.“ აღნიშნული ფაქტი ფასდება, როგორც მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ერთი მხრივ, საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროპულ კულტურასთან უშუალო შეხების შესაძლებლობის გაჩენის თვალსაზრისით, მეორე მხრივ კი, თავად ევროპაში საქართველოს შესახებ მეტი ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით. გარდა ამისა, „კვირის პალიტრაში“ წარმოდგენილი შეხედულების თანახმად, სავიზო ლიბერალიზაცია აფხაზებთან და ოსებთან ურთიერთობის დარეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან მათთვისაც ჩნდება საქართველოს გავლით ევროპაში შედარებით მარტივი გადაადგილების პერსპექტივა.

„...ამიტომ აქვს უფიზო მიმოსვლას დიდი მნიშვნელობა, რათა ხალხთა შორის მიმოსვლა და კონტაქტები გაღრმავდეს და საქართველო არ იყოს წარმოჩენილი, როგორც მხოლოდ კრიმინალური და არალეგალური მიგრაციის წყარო. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ჩვენი ევროპული პესპექტივის აქტიური მხარდამჭერები იქნებიან არა მხოლოდ“

ოლოდ აღმოსავლეთ ევროპის ევროკავშირის ნევრი ქვეყნები, არამედ დასავლეთ ევროპისაც, რაც ამ ეტაპისთვის ვერ იქნა მიღწეული“ („ინტერპრესნიუსი“).

ამდენად, საქართველოს ევროკავშირთან წარმატებული დაახლოების მიზნით, ხაზგასმულია არა მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპის, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ მისი მხარდაჭერის აუცილებლობა; განსაკუთრებით ევროკავშირის გაფართოების მიმართ არსებული საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულების ფონზე, რასაც „რადიო თავისუფლება“ მკითხველს უცხოური პრესის მიმოხილვის საფუძველზე სთავაზობს. აქ აღნიშნულია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობა „თავიდანვე უღიმღამო“ იდეად მიიჩნეოდა, რადგან, მიუხედავად ევროკავშირის მიერ საკუთარი გავლენის სფეროს გაფართოების მცდელობისა, მას შესაბამისი პოლიტიკის გასატარებლად „ძალა არ ყოფინის.“

„აღმოსავლეთის პარტნიორობა უცნაური მოვლენა იყო – თავიდანვე უღიმღამო. იდეა ის არის, რომ ნელ-ნელა გაიზარდოს ევროკავშირის გავლენის სფერო, თუმცა ყოველგვარი კონკრეტული პოლიტიკური დღის ნესრიგის გარეშე. მანამ, სანამ ევროკავშირს არ შეუძლია ამ ქვეყნებს კონკრეტული ეკონომიკური პარტნიორობა შესთავაზოს, რაც სრულ ნევრობამდე უნდა მივიდეს, მანევრირების სივრცე მინიმალური იქნება. მაგალითად, უკრაინის მთავრობაზე საკმარისი ზეწოლა არ ხორციელდება საიმისოდ, რომ მან საჭირო რეფორმები გაატაროს და ბოლო პერიოდის მოვლენებს დამაჯერებლად გაუმკლავდეს. ბევრი მხარე – განსაკუთრებით რუსეთი – ევროკავშირს ზედმეტად ჩარევაში ადანაშაულებს. სიმართლე ისაა, რომ ევროკავშირი თავად ასუსტებს საკუთარ პოზიციებს, თავისი შეზღუდული გავლენიდან გამომდინარე. ის მოითხოვს, რომ ამ ქვეყნებმა ორიენტაცია შეიცვალოს, მაგრამ მათი გაძღოლისთვის ძალა არ ყოფინის“ („რადიო თავისუფლება“).

თუ ზემოხსენებულ დისკურსებს შევაჯამებთ, შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად სამიტამდე არსებული პოზიციებისა, რომ სამიტო კონკრეტულ შედეგებს არ მოიტანდა, სამიტის შემდგომ დისკურსებში მოსახლეობის იმედგაცრუებაზე, ხელისუფლების არასათანადო მუშაობაზე, ევროკავშირის მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობაზე გაკეთდა აქცენტი. პროევროპულ მედიაშიც კი გაიჟღერა გაფრთხილებამაც, რომ „ევროპამ თუ რალაციით არ დაგვაინტერესა, რუსეთი აქ არის“ (რადიო თავისუფლება). თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილ-

დეს მნიშვნელოვან დისკურსზეც, რომელიც მედიაანალიზის პირველ ორ ტალღაშიც გამოიკვეთა და რომლის თანახმად, მთავარია მუშაობის გაგრძელება, შესაბამისი აქტივობების განხორციელება, სწორი მოლოდინების შექმნა და „უკვე მომავალი წლის შემოდგომისთვის კონკრეტული შედეგის [ვიზალიბერალიზაციის] მიღებაა.“ ამ დისკურსის თანახმად, ქვეყანა უნდა იყოს მეზობლი, დაარწმუნოს ევროპა, რომ არ შექმნის პრობლემებს და გაიაზროს, რომ ყველა წარუმატებლობა ახალ შესაძლებლობას უხსნის საზღვრებს.

„ნამდვილი მეზობლებისთვის ყველა დაბრკოლება და, თუნდაც, ყველა მარცხი ახალი შესაძლებლობაა. მჯერა, შენ [ნინა სუბლატი, ევროკავშირის ქართველი მონაწილე] ეს იცი და იმედი მაქვს, შენგან ამას ჩვენი ქვეყანაც ისწავლის“ („რადიო თავისუფლება“).

„მნიშვნელოვანია დაველოდოთ და ავირჩიოთ სწორი მომენტი იმისათვის, რომ მაქსიმალური შედეგი მივიღოთ. საჭიროა ევროპა დავარწმუნოთ, რომ ჩვენ არ ვიქნებით პრობლემის იმპორტიორები, არამედ საქართველო არის ის სახელმწიფო, რომელიც გაამდიდრებს და გააძლიერებს საერთო ევროპულ ოჯახს“ („ინტერპრესნიუსი“).

მედიაანალიზის მეოთხე ტალღა – ივნისი, 2016

მედიაანალიზის მეოთხე და ბოლო ტალღა 2016 წლის ივნისში ჩატარა. ეს თვე ევროკავშირის თემის კონტექსტში უმნიშვნელოვანესი იყო, რადგან 9-10 ივნისის ევროკავშირის საბჭოს შეხვედრაზე საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხზე უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება, თუმცა პროცესი 20 ივნისისთვის გადავადდა. ამჯერად ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრებს უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება საქართველოს ვიზალიბერალიზაციის თაობაზე, თუმცა საკითხი კვლავ ევროკავშირის მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტში (COREPER II) დააბრუნეს. საბოლოოდ, ამ გადაწყვეტილების მიღებამ 2016 წლის შემოდგომამდე გადაინია. შესაბამისად, მაღალი იყო მოლოდინი, რომ მედიაც ამ თემის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე გაამახვილებდა ყურადღებას.

მედიის ერთი-ერთი მთავარი დისკურსი უსაფრთხოებას ეხებოდა, რომლის თანახმად, ევროკავშირი რუსეთისგან თავდაცვის გარანტია. პროევროპული მედიის თანახმად, ევროკავშირი საქართველოს გა-

დარჩენის გზაა, რადგან გლობალიზებულ მსოფლიოში, პატარა საქართველოს ძლიერი მოკავშირე სჭირდება, რომლის როლშიც სწორედ ევროკავშირი გვევლინება. ამ უკანასკნელთან თანამშრომლობის გაღრმავება კი, გარდა უსაფრთხოების უზრუნველყოფისა, ეკონომიკური სარგებლის თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანია, რადგან ქვეყანაში ინვესტიციების ზრდას შეუწყობს ხელს.

„საქართველოსნაირ პატარა ქვეყანას სულ უფრო და უფრო ნაკლები შანსი აქვს იმისთვის, რომ გლობალიზებულ მსოფლიოში დამოუკიდებლად გადარჩეს... ჩვენ ევროპელ მეგობრებთან თანამშრომლობით შევძლებთ, რომ მომავალში გავაუმჯობესოთ მსოფლიო ბაზარზე რესურსების განაწილების წესები. შესაბამისად, ერთადერთი გზაც გადარჩენისთვის ამ ინსტიტუტებში ჩვენი მონაწილეობის ხარისხის გაზრდაა“ („რადიო თავისუფლება“).

პროევროპული მედიისგან განსხვავებით, ანტიევროპული მედიის თანახმად, რუსეთი საქართველოს გაერთიანების ერთადერთი გარანტია და ქვეყანამ ეს დროულად უნდა გააცნობიეროს.

„რუსეთი აფხაზეთსა და ცხინვალს არ იერთებს, ჩვენ გველოდება და ამას ვერ უნდა მივხვდეთ?!“ („ასავალ-დასავალი“).

ივნისის დასაწყისში, ბრიუსელში მიღებულმა შეთანხმებამ, რომელიც სავიზო ლიბერალიზაციის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების გადავადებას გულისხმობდა, საზოგადოების სხვადასხვა წრეში ვნებათაღელვა გამოიწვია. ერთი მხრივ, გააქტიურდა საუბარი იმაზე, თუ რამ გამოიწვია გადაწყვეტილების მიღების გადავადება და, მეორე მხრივ, იმაზე, თუ რას რეაქცია მოყვებოდა ევროკავშირის ამ გადაწყვეტილებას საქართველოში. ამ კონტექსტში ხაზგასმული იყო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ თბილისის მიერ ნაკისრი ყველა ვალდებულება შეასრულა; შესაბამისად, კიდევ უფრო მკაფიოდ უნდა განემარტათ მიზეზები, რატომ ეთქვა ქვეყანას უარი ევროპაში უვიზო მიმოსვლაზე. დასახელდა რამდენიმე მიზეზი, რამაც ამგვარ გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია. ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად ევროპაში მიგრაციის პრობლემა მიიჩნევა, თუმცა ეს დომინანტურ მოსაზრებას არ წარმოადგენს.

„საქართველოს შემთხვევაში, მოსახლეობის სიმცირის გამო ქარბი მიგრაციული ნაკადების წარმოქმნის საფრთხე არ არსებობს“ („ლიბერალი“).

„თითიდან გამონოვილ“ თემად სახელდება კრიმინალური ვითარების გაუარესება და ამაში საქართველოს მოქალაქეების დიდი წვლილი ევროპაში, რაზეც ყურადღებას ევროკავშირისადმი კრიტიკულად განწყობილი მედია ამახვილებს და აცხადებს, რომ კრიმინალის მიზეზით ვიზალიბერალიზაციაზე უარის თქმით „ევროპამ უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენა საქართველოს“ („ასავალ-დასავალი“). ამაში სახელისუფლებო გუნდია დადანაშაულებული, რომელმაც უპირობოდ შეასრულა ასოცირების ხელშეკრულების ყველა დირექტივა, რაც „მონურ დამოკიდებულებად“ მოიხსენიება. საკმაოდ ნაწყენი ტონით გამოირჩევა პროევროპული მედიაც, რომელიც იმედს გამოთქვამს, რომ „ევროკავშირი საბოლოოდ მაინც გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებს.“

„კრიმინალზე აპელირება არასწორია. ეს ყველაფერი პოლიტიკური თამაშია. გერმანიას ამ მხრივ მეტი მუშაობა თურქეთთან სჭირდება და არა საქართველოსთან. მთელი ევროპა ღრმა კრიზისშია და შენგენსაც საფრთხე ემუქრება. ვიზალიბერალიზაციის გაჭიანურება საქართველოს შეცდომის შედეგი არ გახლავთ. ქვეყანას ამ ეტაპზე არ გაუმართლა – ეს არის და ეს. სამწუხაროდ, ეს გახლავთ რეალობა, თუმცა იმედი მაქვს, ევროკავშირი საბოლოოდ მაინც გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებს“ („კვირის პალიტრა“).

ვიზალიბერალიზაციის კიდევ ერთ შემაფერხებელ მიზეზად ის გარემოება სახელდება, რომ უვიზო მიმოსვლის შესახებ გადაწყვეტილება, საქართველოსთან ერთად, თურქეთს და უკრაინასაც უნდა შეხებოდა, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა ევროკავშირის შიშებს მიგრაციასთან დაკავშირებით. თუმცა, ამ დაბრკოლებებზე მეტად, მედია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ყველა ვალდებულება შეასრულა და უბრალოდ „ამ ეტაპზე არ გაუმართლა.“ აქვე საუბარია ხარვეზებზე, რომლებიც ამ პროცესში საქართველოს ხელისუფლებამ დაუშვა. საგულისხმოა, რომ პრობლემებზე თავად სახელისუფლებო გუნდიც საუბრობს, რომელიც მედიით გაკეთებულ განცხადებებში, საკუთარ თავდაჯერებულობაზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ „მხოლოდ ვალდებულებების წარმატებით შესრულება საკმარისი არ იყო“ და ბევრი რამ სათანადოდ გააზრებულ არ ჰქონდათ.

„თურმე გერმანიისა და საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროები წინააღმდეგნი არიან და მათ ანალოგიური პოზიცია ჰქონ-

დათ ორი თვის წინაც. დეკემბერში, როდესაც კომისიამ გააკეთა განცხადება, გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრმა მაშინაც თქვა, არ ვარ თანახმაო, მაგრამ ყველამ იფიქრა, მაგას ვინ ჰკითხავსო. გაირკვა, რომ თურმე ეს ასე არ არის. არ არის პატარა ამბავი, რომ ყველა დეტალი, პროცედურა თავიდან ბოლომდე ჩვენ საინფორმაციო თვალსაზრისით გააზრებული არ გვქონდა, ამიტომ მივდიოდით კარგად და არ ველოდებოდით შეფერხებას“ (ინტერვიუ სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენელთან, „ლიბერალი“).

„მხოლოდ ვალდებულებების წარმატებით შესრულება საკმარისი არ არის – ევროკავშირს მყარი არგუმენტები სჭირდება, რომ ქვეყანაში დემოკრატია არსებობს, ადამიანის უფლებები დაცულია და წინასწარჩვენოდ არც სამართლიან გარემოს ექმნება საფრთხე“ (ინტერვიუ სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენელთან, „კვირის პალიტრა“).

გარდა ქართველების მხრიდან გადაჭარბებული მოლოდინების ხაზგასმისა, სახეზეა თავად ევროკავშირში პრობლემის ძიების მცდელობაც, რაც სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენლების მხრიდან მედიით გაჟღერებულ განცხადებებში იჩენს თავს. ისინი აღნიშნავენ, რომ ყველა ვალდებულება შეასრულეს, რაც მოულოდნელი იყო ბრიუსელისთვის, ის დაბნეულია და არ იცის, როგორ მოახდინოს ამაზე რეაგირება.

„დღეს ისეთი სიტუაციაა შექმნილი, შერეკილებში რომ არის – არავის ეგონა, რომ გაფრინდებოდნენ, თუმცა ისხდნენ და მიფრინავდნენ. მე მგონი, ჩვენი ბევრი ევროპელი კოლეგაც ასე უყურებს ამ ვიზალიბერალიზაციის პროცესს. მივედით ბოლომდე, პრაქტიკულად ერთ ღილაკზე თითის დაჭერა რჩება და ზოგიერთი ახლა მოვიდა გონზე, რომ თურმე ჩვენ შეიძლება მართლა მივიღოთ ვიზალიბერალიზაცია“ (ინტერვიუ სახელისუფლებო გუნდის წარმომადგენელთან, „ინტერპრესნიუსი“).

როგორც აღინიშნა, ბრიუსელში ცალსახად იყო ხაზგასმული საქართველოს ხელისუფლების მიერ ყველა ნაკისრი ვალდებულების შესრულება, თუმცა, ამის მიუხედავად, 2016 წლის ზაფხულში, ქვეყანამ სავიზო ლიბერალიზაცია ვერ მიიღო. ამასთან დაკავშირებით, ეჭვქვეშაა დაყენებული თავად ევროკავშირის სანდოობა. აღნიშნულია, რომ გადანყვეტილების მიღების გადავადება პრობლემაა არა

მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ ევროპისთვისაც, რადგან მან, როგორც პასუხისმგებლობის მქონე გაერთიანებამ, აგრეთვე უნდა შეასრულოს ყველა ნაკისრი ვალდებულება. როგორც ევროკომისარმა ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების შესახებ მოლაპარაკებების საკითხებში, იოჰანეს ჰანმა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის დაწყებამდე განაცხადა, პროცესის გაჭიანურება ევროკავშირის ავტორიტეტსაც ემუქრება. ეს მოსაზრება მომენტალურად აიტაცა ქართულმა მედიამ.

„ეს პირობები შესრულებულ იქნა და ახლა ჩვენც უნდა შევასრულოთ ჩვენი პირობა – თუნდაც ჩვენივე სანდოობის დასადასტურებლად“ (იოჰანეს ჰანი, „რადიო თავისუფლება“).

„საქართველომ ყველა ტექნიკური პარამეტრი დააკმაყოფილა, ახლა კი ბურთი სწორედ მათ [ევროკავშირის] მოედანზეა და პოლიტიკური გადაწყვეტილებაც მათ უნდა მიიღონ“ („რადიო თავისუფლება“).

ამ კონტექსტში, ევროკავშირის სანდოობას ენთუზიზმით აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ ანტიევროპული მედია. ის აქცენტს აკეთებს ევროკავშირზე, როგორც „ტყუილზე დამყარებულ გაერთიანებაზე“, რომლის მიზანია „ადამიანის დაშორება ღმერთთან“ და რომელსაც მოუწევს, საბოლოო ჯამში, „თავის გადასარჩენად რუსეთს მიაშუროს.“

„დადგება დრო, როდესაც ევროპელები თავის გადასარჩენად რუსეთს მიაშურებენ, რადგან ევროპის მოსახლეობა ხედავს, რომ ეს არის ტყუილზე დამყარებული გაერთიანება... ევროკავშირის კრახის ფონზე რუსეთი ზესახელმწიფო გახდება“ („საქართველო და მსოფლიო“).

ამდენად, თვალსაჩინოა ერთი საკითხის გარშემო დისკურსების განსხვავებულად წარმოჩენა პრო- და ანტიდასავლურ მედიაში. ანტიევროპული მედიის დისკურსები რომ შევაჯამოთ, ევროპა წარმოჩენილია საფრთხედ როგორც საქართველოს უსაფრთხოებისთვის, ასევე ქართული იდენტობისთვის.

„ევროსკეპტიკოსები კი არა, ევრორეალისტები ვართ, რადგან ვაცნობიერებთ, რომ თავს მოხვეული ევროპელობა მხოლოდ და მხოლოდ სატყუარა ამერიკისა და ევროპის მიერ, რომ რუსეთი

გაალიზიანოს ჩვენით“ („საქართველო და მსოფლიო“).

„საქართველოს მოქალაქეთა დაახლოებით 80%-ს ევროპისკენ გახედვაც არ უნდა, რადგან იქიდან კონჩიტა გვიმზერს უცნაური ვნებით“ („ასავალ-დასავალი“).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დისკურსი იმ შესაძლო შედეგებს უკავშირდება, რაც ვიზალიბერალიზაციის გადანყვეტილების გადავადებას შეიძლება მოყვეს. ამ საკითხს როგორც ანტიევროპული, ისე პროევროპული მედია განიხილავს. პროევროპული მედია მოსახლეობის მოსალოდნელ ფრუსტრირებაზე საუბრობს; თუმცა ხაზს უსვამს, რომ გადანყვეტილების მიღების გადავადება უარს არ ნიშნავს და მთავარი კითხვაა „როდის?“ და არა „იქნება თუ არა?“

„საზოგადოების ჯანსაღად მომლოდინე ნაწილი სავიზო ლიბერალიზაციის პროცესის გახანგრძლივების შემთხვევაში ძალიან განბილდება... ამ ყველაფრის მიუხედავად, ანალიტიკოსები შეგვახსენებენ, რომ პროცესის რამდენიმე თვით გახანგრძლივება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის უარის თქმას“ („რადიო თავისუფლება“).

„საქართველოსთან მიმართებაში არის გადანყვეტილება მიღებული, რომ საქართველო ვიზალიბერალიზაციას მიიღებს. ამიტომ ამ გადანყვეტილების კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება დღეს არ ხდება. აქ საუბარია პროცესზე და პროცესის მიმდინარეობაზე. მესიჯი არის ის, რომ საქართველოს მოსახლეობამ არ უნდა გაიტეხოს გული, რომ ეს ივნისში არ მოხდება, თუ ივლისში თუ ა.შ. ჩვენ ვიმუშავებთ, რომ ეს რაც შეიძლება მალე იქნას, მათ შორის თუნდაც ივლისში“ („ტაბულა“).

თუმცა, ანტიევროპულ მედიაში ვიზალიბერალიზაციის მიღების გადავადება შეფასებულია, როგორც ევროპის მიერ საქართველოს „დაცინვა“ და „დამცირება.“ უფრო მეტიც, „ასავალ-დასავალის“ ნარატივის თანახმად, აღნიშნული მდგომარეობით „საქართველო თვითდამცირების პოზაში დგება.“ გამოთქმულია იმედი, რომ ამის შემდეგ მაინც „გამოვა ქვეყანა ლეთარგიული ძილიდან.“

მიუხედავად იმისა, რომ ბრიუსელმა ვიზალიბერალიზაციის მინიჭებასთან დაკავშირებით გადანყვეტილების მიღება შემოდგომამდე გადაავადა, პროევროპული მედიის განცხადებით, ეს არ უნდა გახ-

დეს საქართველოს მთავრობისთვის ყურადღების მოდუნების და მუშაობის შენელების საფუძველი. პირიქით, მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლებამ სავიზო ლიბერალიზაციის მიმართულებით მუშაობა გააძლიეროს და ეს საკითხი „თაროზე არ შემოდოს.“ ნიჰილიზმის გაღვივებისგან თავის დაღწევის საშუალებად კი ცრუ პროპაგანდისთვის წინააღმდეგობის გაწევა და ქართველი ხალხისთვის იმ მესიჯის მიწოდება უნდა იყოს, რომ, „თუ შეთანხმებებს ვასრულებთ, თუკი ვართ ერთგულები იმ ამოცანების, რაც გვაქვს დასახული, ეს აუცილებლად სასიკეთოდ შემობრუნდება“ („რადიო თავისუფლება“).

მართალია, გადანყვეტილების მიღებამ შემოდგომამდე გადაინია და მას შესაძლოა ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე არც ჰქონდეს ადგილი, მაგრამ პროევროპულ მედიაში არავინ გამოთქვამს ეჭვს, რომ გადანყვეტილება დადებითი იქნება და წლის ბოლომდე აუცილებლად იქნება მიღებული. აქვე, გადანყვეტილების მიღების პოლიტიკურ ასპექტზე მახვილდება ყურადღება და გამოთქმულია ვარაუდი, რომ გერმანიას არ სურს რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვა და ამის გამო აჭიანურებს გადანყვეტილების მიღებას. მიუხედავად მოსაზრებისა, რომ საქართველო პოლიტიკური კონტექსტის გამო იჩაგრება, ხაზგასმულია, რომ ევროპული კურსი ეჭვქვეშ არასდროს უნდა დადგეს.

„თუ საქართველო პოლიტიკური კონტექსტის გამო დაიჩაგრება, უსამართლობა იქნება... [თუმცა] არ შეიძლება დასავლეთზე ვიყო ნანყენი და ვექტორის შეცვლაზე დავინყოთ ფიქრი“ („კვირის პალიტრა“).

გარდა ხელისუფლების აქტიურობისა, მნიშვნელოვან ნაბიჯადაა მიჩნეული მოსახლეობის ინიცირებული ელექტრონული პეტიცია, რომელიც 9 ივნისს გამოქვეყნდა და რომლითაც რიგითი მოქალაქეები ევროკავშირის სტრუქტურებს ქვეყნის მიმართ ინდივიდუალურ, სამართლიან მიდგომას სთხოვენ ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით. ამ პეტიციის ავტორების მიერაც ხაზგასმულია, რომ, გარდა პოლიტიკური აქტორების, მედიისა და არასამთავრობო სექტორის აქტიურობისა, უმნიშვნელოვანესია პროცესში თავად მოქალაქეების ჩართულობა, რომელთა ყოველდღიურობაზეც ვიზალიბერალიზაცია უნდა აისახოს.

„უნდა დავივინყოთ, რომ ჩვენ ქვეყანაში პოლიტიკოსები არსებობენ; ჩვენ შევცვალოთ და ჩვენ ვაჩვენოთ, რომ ჩვენ გვჭირდება ეს“

– უბრალო ხალხს“ (ინტერვიუ პეტიციის ავტორთან, „რადიო თავისუფლება“).

აქვე, აღსანიშნავია ნარატივიც, რომელსაც ამ თვის განმავლობაში თავად ხელისუფლება სთავაზობდა მოსახლეობას. კერძოდ, მედიით გაკეთებულ განცხადებებში, ხელისუფლება ხაზს უსვამდა, რომ დასავლეთს არ გაუცრუებია საქართველოს იმედები („ჩვენ არ ვთვლით, რომ გერმანიამ იმედები გაგვიცრუა“ – გიორგი კვირიკაშვილი, საქართველოს პრემიერმინისტრი) და რომ მნიშვნელოვანია იმ კონტექსტის გათვალისწინება, რომელშიც ევროპა აღმოჩნდა (მიგრაციული კრიზისი, ბრექსიტი).

ვიზალიბერალიზაციის გარდა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თემა, რომელიც მედიაანალიზის მეოთხე ტალღის ფარგლებში გამოვლინდა, ეხებოდა ბრიტანეთის რეფერენდუმის (ბრექსიტის) შედეგებს, ევროკავშირის მომავალზე მსჯელობას და საქართველოს საკითხს უკვე ახალი კონტექსტის გათვალისწინებით, რომელიც განსხვავებულია მას შემდეგ, რაც ბრიტანეთის მოსახლეობის 52%-მა მხარი ქვეყნის ევროკავშირიდან გასვლას დაუჭირა. პროევროპულ მედიაში ბრექსიტი განხილულია, როგორც საფრთხე საქართველოსთვისაც, რადგან, ერთი მხრივ, ის ადგილობრივ ევროსკეპტიკოსებს ფრთებს ასხამს, მეორე მხრივ კი, ევროკავშირს დამატებით პრობლემებს უქმნის და ის საქართველოსთვის დროებით ვერ მოიცლის, რაც პრორუსულ ძალებს გააქტიურების შესაძლებლობას მისცემს.

ამ კონტექსტში, მედიაში გამოკვეთილი ერთ-ერთი დისკურსის თანახმად, მოკლევადიან პერსპექტივაში შესაძლოა, ქვეყანა ყურადღების მიღმა დარჩეს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს „შესაძლოა, საქართველოსთვის ხელსაყრელი ტრანსფორმაციითაც კი გაგრძელდეს.“ აღნიშნულია, რომ ეს პროცესი ოპტიმისტური პროგნოზების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა, რადგან შესაძლოა ბრიუსელს უბიძგოს, მეტად დააფასოს ის ქვეყნები, რომლებიც არჩევანს ევროკავშირზე აკეთებენ.

„...პირიქით, ევროკავშირის ჩინოვნიკებმა მეტი პატივი უნდა სცენ იმ ქვეყნების მისწრაფებას და სურვილს, რომელთაც საკუთარი ბედი ევროპის მომავალს დაუკავშირეს“ („ტაბულა“).

თუმცა, მოსალოდნელ საფრთხეებზეცაა საუბარი, კერძოდ, ბრექსიტის შემდეგ თითქმის გარდაუვლადაა მიჩნეული საქართველოში ევროსკეპტიკოსთა რაოდენობის ზრდა. აღნიშნულია, რომ ამ

პროცესით რუსეთი იხიერებს, რადგან ევროსკეპტიკოსთა რიცხვის ზრდა ქვეყანაში პრორუსული განწყობების ზრდასაც ნიშნავს.

„ევროკავშირი, როგორც ორგანიზაცია, იქნება შოკის მდგომარეობაში და სხვებისთვის ნაკლებად ეცლება. საქართველოში, ბრიტანეთისგან განსხვავებით (მაგრამ ზოგი კონტინენტური ერის მსგავსად), ევროსკეპტიკოსი უპირველეს ყოვლისა პრორუსს ნიშნავს, ამიტომ ამ უკანასკნელებს მეტი სალაპარაკო მიეცემათ“ („ნეტ-გაზეთი“).

აქ კვლავ შემოდის რუსეთის, როგორც ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მთავარი პრობლემის, თემა და პროევროპულ მედიაში გამოთქმულია ვარაუდი, რომ რუსეთი უკრაინასა და საქართველოში თავისი პოზიციების გამყარებას შეეცდება. თუკი ევროპა საქართველოსთვის ვერ მოიცლის, ამას აუცილებლად გააკეთებს რუსეთი, რითაც კიდევ უფრო გამყარდება ევროსკეპტიკოსების მოსაზრებები. სწორედ ევროპამ უნდა აჩვენოს დანარჩენ მსოფლიოს, თან რაც შეიძლება მალე, რომ „ევროკავშირი ბრიტანეთის გასვლით არ მთავრდება.“

ცალსახად ანტიევროპული დისკურსების მატარებელი „ასავალ-დასავალი“ ბრექსიტის ხედავს, როგორც ევროპაში რევოლუციის დასაწყისს, რომელიც „ჯერ ევროკავშირის, შემდეგ კი ნატოსა და აშშ-ის დაშლას გამოიწვევს.“ მეტიც, გაზეთის პროგნოზით, „ბრიტანელებში თვითგადარჩენის ინსტინქტის“ გაღვიძებისა და ევროკავშირზე უარის თქმის შემდეგ, მას ევროკავშირის სხვა ქვეყნებიც მიბაძავენ, რომლებიც შემდეგ დიდ ევრაზიულ კავშირში განწვრიანდებიან. ამ ფონზე, გამოცემისთვის განსაკუთრებით აქტუალურია კითხვა, რაში სჭირდება საქართველოს ევროკავშირში შესვლა, თუკი ისეთ ძლიერ ქვეყანასაც კი, როგორც ბრიტანეთია, ეს აღარ უნდა.

„კონსერვატიულ ბრიტანეთს ყელში ამოუვიდა გახრწნილი ევროპა და მათ არჩევანი საკუთარი ეროვნული ინტერესების სასარგებლოდ გააკეთეს“ („ასავალ-დასავალი“).

„[ბრექსიტით] ბრიტანეთმა თავს უშველა. დროა საქართველოც მოვიდეს გონს და უკუაგდოს მისი ევროპული საგარეო პოლიტიკური კურსი“ („საქართველო და მსოფლიო“).

ამ კონტექსტში, მნიშვნელოვანია პროდასავლური მედიის დისკურსი, რომელიც უსაფრთხოებისა და იდენტობის დისკურსებს აერთიანებს და რომლის თანახმად, ევროპა არის ეგზისტენციალ-

ური არჩევანი და არა თავსმოხვეული იდეა. ბრიტანეთისგან განსხვავებით, რომელსაც ევროკავშირთან მიმართებაში განსხვავებული მოტივაცია აქვს, საქართველოს ევროკავშირის წევრობა იმისთვის სჭირდება, რომ რუსეთის ექსპანსიას დააღწიოს თავი; დიდი ბრიტანეთის შემთხვევაში კი, ეს საფრთხე არ დგას. ამასთან, მიუხედავად იმისა, იქნება თუ არა ევროკავშირის წევრი, ბრიტანეთი მაინც ევროპულ სახელმწიფოდ რჩება, რაც საქართველოს შემთხვევაში, შესაძლოა, საკამათო იყოს.

„ჩვენი და ბრიტანეთის დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ არ არის იდენტური. ამიტომაც, იმის ძახილი, რომ ჩვენ რა გვინდა ევროკავშირში, როდესაც ბრიტანელები იქედან გამორბიანო, რბილად რომ ვთქვათ, სიტუაციის არაადეკვატური აღქმის შედეგია. ბრიტანეთისათვის რეფერენდუმი არ ნარმოადგენდა ცივილიზაციური არჩევანის გადასინჯვის მცდელობას. იგი იყო და რჩება ნატოს წევრ ევროპულ ქვეყნად თავისი ევროპული ღირებულებებით“ („ინტერპრესნიუსი“).

ამის საპირისპიროდ, ანტიევროპული მედიის დისკურსის თანახმად, საქართველო ევროპის ნაწილი არასდროს ყოფილა და ეს იდეა „თავსმოხვეულია.“

„ისტორიის რომელ მონაკვეთში იყო საქართველო ევროპის ნაწილი? [...] ჩვენი არჩევანი ევროპა არ არის, ეს ტყუილია, რომელიც სააკაშვილმა მოახვია თავზე ქართველებს“ („საქართველო და მსოფლიო“).

თუ მედიაანალიზის ამ ტალღის ფარგლებში ანტიდასავლური მედიის მთავარი გზავნილია, რომ ევროპა ნგრევის ზღვარზეა, რუსეთი მალე გახდება ზესახელმწიფო, საქართველო დროულად უნდა მოეგოს გონს და უარი თქვას „გარყვნილ“ ევროპაზე, პროდასავლური მედიის მთავარი გზავნილია, რომ ევროპაში ამჟამად სერიოზული პრობლემებია, მაგრამ ამან ქართველებს ევროპული გზიდან გადახვევისკენ კი არ უნდა უბიძგოს, არამედ, პირიქით, იმ სივრცესთან ინტეგრაციას უნდა შეუწყოს ხელი, რომელშიც, ადამიანის უფლებების და დემოკრატიული ღირებულებების დაცვასთან ერთად, მნიშვნელოვანია უკეთესი მომავლისკენ მუდმივი სწრაფვა.

შეიძლება ითქვას, რომ პროევროპული მედია არ ცდილობს ევროკავშირის იდეალიზებას. შემოთავაზებული ნარატივის თანახმად,

ევროკავშირი სულაც არ წარმოადგენს „იდეალურ“ გაერთიანებას, მაგრამ ის ევროპაში არსებული ყველაზე ეფექტური გაერთიანებაა და ამიტომ საქართველოს მიზანი სწორედ მასთან ინტეგრაცია უნდა იყოს. პროევროპული მედიის მიერ ევროკავშირი წარმოდგენილია, როგორც უსაფრთხოების გარანტი და იდენტობის დამცველი, რომლისკენ სწრაფვაც პროგრესისკენ სწრაფვას ნიშნავს. მართალია, ევროკავშირი „იდეალურ“ სტრუქტურად არ მიიჩნევა, მაგრამ ხაზგასმულია, რომ „მასზე ეფექტური და ადამიანის კეთილდღეობაზე ორიენტირებული ბლოკი ევროპაში ჯერ არ შექმნილა“ („კვირის პალიტრა“).

დასკვნა

თუ მედიაანალიზის ოთხივე ტალღის შედეგებს შევაჯემებთ, ჩვენ მიერ გაანალიზებული მედიააგენტებიდან პროდასავლურად/პროევროპულად შეგვიძლია მივიჩნიოთ „რადიო თავისუფლება“, „ინტერპრესნიუსი“, „კვირის პალიტრა“, „ნეტგაზეთი“, „ლიბერალი“ და „ტაბულა“. მართალია, კონკრეტულ მედიააგენტებთან მიმართებაში პროდასავლური/პროევროპული დისკურსის მეტ-ნაკლებად აქტიურ დეკლარირებაზე შეიძლება ვისაუბროთ, მაგრამ ზოგადი განწყობები, რომლებიც ევროპეიზაციის იდეისა და ევროინტეგრაციის პროექტის მხარდაჭერას გამოხატავს, ცალსახად იკვეთება თითოეულის დისკურსში. გაზეთები „ასავალ-დასავალი“ და „საქართველო და მსოფლიო“ ცალსახად ანტიდასავლური/ანტიევროპული მედიააგენტებია. სწორედ ისინი სთავაზობენ საზოგადოებას შემდეგ დისკურსებს:

- საქართველოს არჩევანის გაკეთება უნევს ევროპულ სტრუქტურებში განვერიანებასა და ქრისტიანობას შორის;
- ევროკავშირი, დასავლური ღირებულებების გავრცელებით, საფრთხეს უქმნის ქართულ იდენტობას;
- ევროკავშირი ვერაფერს სთავაზობს არათუ პოტენციურ, არამედ უკვე არსებულ წევრებსაც, რომლებიც მისგან გათავისუფლებას ელტვიან;
- ევროკავშირი და, ზოგადად, დასავლეთი არ არის მზად, კრიტიკულ ვითარებაში საქართველოს დაეხმაროს.

რაც შეეხება პროდასავლურ/პროევროპულ მედიააგენტებს, მედიაანალიზის ოთხი ტალღის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მათში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი დისკურსები:

- რუსული საფრთხე რეალურია და მისი დაძლევის გარანტიად დასავლეთი, განსაკუთრებით ევროპა გვევლინება;
- მიუხედავად იმისა, რომ პრობლემების გასაღები მხოლოდ თბილისში არაა და რუსეთის ინტერესების იგნორირება ბრიუსელის მიერ არ ან ვერ ხერხდება, ქართული მხარე მაქსიმალურად უნდა იყოს ორიენტირებული ევროინტეგრაციის მიმართულებით მუშაობის გაგრძელებაზე, სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების გაძლიერებაზე, და ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევაზე. ამასთან, ხელისუფლებამ უფრო აქტიურად უნდა გააჟღეროს საქართველოს ინტერესები საერთაშორისო ასპარეზზე;
- საქართველოს ხელისუფლებამ თავი უნდა აარიდოს საზოგადოებაში უსაფუძვლო მოლოდინების გავრცელებას, როგორც ეს რიგის სამიტამდე, ვიზალიბერალიზაციის საკითხთან დაკავშირებით მოხდა. არაადეკვატური მოლოდინები ევროსკეპტიკოსთა რაოდენობის ზრდასა და პრორუსული განწყობების გაძლიერებას იწვევს;
- მიუხედავად იმისა, რომ, ერთი მხრივ, ევროკავშირი იდეალური გაერთიანება არ არის, მეორე მხრივ კი, მასთან ინტეგრაციის პროცესში არაერთი დაბრკოლება არსებობს, ის საქართველოსთვის საუკეთესო არჩევანია და ქვეყანამ ამ კურსს განუხრელად უნდა მისდოს.

ამგვარად, მედიაანალიზის შედეგები აჩვენებს, რომ ორივე, პროევროპული და ანტიევროპული მედია ორი ძირითადი დისკურსით ხელმძღვანელობს – უსაფრთხოების და იდენტობის. პროევროპული მედია ევროინტეგრაციას განიხილავს, როგორც რუსეთის ჰეგემონური მისწრაფებებისგან დაცვისა და ქართველების „ევროპული იდენტობის“ მიღწევის გზას. ანტიევროპული მედია კი იმავე დისკურსებს საქართველოს ევროპული არჩევანის კრიტიკისთვის იყენებს, აცხადებს რა, რომ ევროკავშირი არ არის მზად, კრიტიკულ ვითარებაში საქართველოს დაეხმაროს, ამიტომ, პრაგმატული მოსაზრებიდან გამომდინარე, ქვეყანამ რუსეთთან ურთიერთობა

უნდა მოაგვაროს. ამასთან, ევროპეიზაციის პროცესი ქართული იდენტობისთვის საფრთხედ აღიქმება (განსაკუთრებით რელიგიური თვალსაზრისით) და ნათქვამია, რომ საქართველოს უნევს არჩევანის გაკეთება ევროპულ სტრუქტურებში განწევრიანებასა და მართლმადიდებლობას შორის. შესაბამისად, საზოგადოებაში ფართოდ გავრცელებული გამონათქვამის „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“ სანაცვლოდ, ანტიევროპული მედია ალტერნატიულ წარატივს გვთავაზობს „მე ვარ ქართველი და არა ევროპელი.“

მედიაანალიზის პერიოდში, საქართველოს ევროინტეგრაციის კონტექსტში უმნიშვნელოვანეს თემას ვიზალიბერალიზაციის საკითხი წარმოადგენდა. რიგის სამიტის საქართველოსთვის წარუმატებლად დასრულებამ და ვიზალიბერალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების დროში გადავადებამ უბიძგა მედიის დისკურსებს, რომლებშიც ხაზგასმული იყო როგორც საქართველოს ხელისუფლების, ისე ევროკავშირის მხრიდან ძალისხმევის ნაკლებობა. პროევროპული მედია ნუხილს გამოთქვამდა როგორც „ევროპული პროექტისადმი“ საქართველოს ხელისუფლების არასაკმარისი ერთგულების, ისე ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერის ნაკლებობის გამო; ანტიევროპულ მედიას კი საქართველოს ხელისუფლების „ეროვნული პროექტისადმი“ არასაკმარისი ერთგულება აღელვებდა, ხოლო ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მხარდაჭერის ნაკლებობას ახალი შესაძლებლობის შექმნად განიხილავდა.

პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზი

ევროკავშირი და ევროპეიზაცია: ძირითადი ასოციაციები

საქართველოს ევროპეიზაციის შესახებ პოლიტიკური დისკუსიების საკვლევ არსებით კომპონენტს პოლიტიკოსებთან და პოლიტიკის ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუები წარმოადგენდა. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 25 სიღრმისეული ინტერვიუ პოლიტიკოსებთან (საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წევრები) და საზოგადოებრივი აზრის ლიდერებთან/ექსპერტებთან (არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები, მეცნიერები), რომელთა შერჩევაც მიზნობრივი მეთოდით განხორციელდა, რათა მოგვეცვა როგორც პოლიტიკური პარტიების ფართო სპექტრი, ისე სხვადასხვა სექტორში მოღვაწე ექსპერტები, საერთაშორისო ორგანიზაციებით დაწყებული და უმაღლესი სასწავლებლებით დასრულებული. რადგან სიღრმისეული ინტერვიუები 2015 წლის გაზაფხულზე ჩატარდა, ნაშრომში „არსებული ხელისუფლება“ და „საპარლამენტო უმრავლესობა“ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ გულისხმობს, „წინა ხელისუფლება“ და „საპარლამენტო უმცირესობა“ კი – „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.“ „საპარლამენტო უმცირესობა“ ასევე მოიაზრებს „თავისუფალ დემოკრატებს“, რომლებმაც 2014 წლის ნოემბერში მმართველი კოალიცია დატოვეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მოცვის მიზნით, შევეცადეთ, სიღრმისეული ინტერვიუები პარლამენტის იმ წევრებთანაც ჩავატარებინა, რომლებიც ღიად ავლენენ ანტიდასავლურ/ანტიევროპულ სენტიმენტებს, თუმცა მათგან კვლევაში მონაწილეობაზე თანხმობა ვერ მოვიპოვეთ.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება განიხილება, როგორც გზა „კომპლექსური კეთილდღეობისკენ.“ პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს კვლევის მონაწილეთა ცალსახად პოზიტიური დამოკიდებულება ევროკავშირისა და საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის მიმართ, რაც თითოეული ექსპერტის თუ სახელმწიფო აპარატში დასაქმებული რესპონდენტის მოღვაწეობის სფეროდან გამომდინარე, ისეთ სიკეთებთან ზიარების შესაძლებლობად აღიქმება, როგორიცაა პოლიტიკური და ინდივიდუალური თავისუფლება, ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა,

ეკონომიკური განვითარება და კეთილდღეობა, სოციალური დაცულობა, სამართლიანობა და სხვა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კვლევის მონაწილეთათვის ზემოხსენებული სიკეთეები ექსკლუზიურად ევროპულ ღირებულებებთან ასოცირდება, რაც, თავის მხრივ, ფუნდამენტურ დემოკრატიულ ღირებულებებად მიიჩნევა, საქართველო კი – ამ დემოკრატიულ სივრცეში განვევრიანების ძლიერი სურვილის მქონე სახელმწიფოდ.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, საქართველოს შემთხვევა მსგავსი გამოცდილების მქონე, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნების კონტექსტში განვიხილოთ, რომლებმაც წარმატებით მოახდინეს ევროკავშირთან ინტეგრირება. კვლევები აჩვენებს, რომ უახლესი წარსულის კომუნისტური გამოცდილებიდან გამომდინარე, ეს ქვეყნები ევროკავშირის გავლენების მიმართ მაღალი მიმდებლობით გამოირჩევიან. მათთვის საერთო პოზიციაა კომუნისტურ პრაქტიკებზე უარის თქმა და ახალი, კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის დანერგვისკენ მისწრაფება. ასეთმა გარემომებამ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები, წინამორბედ ქვეყნებთან შედარებით, უფრო მეტად გახადა ახალი, ევროპული პარადიგმების ამთვისებელი (Grabbe, 2003). ამ პარადიგმების მიმართ ხიბლს განსაკუთრებით ზრდის ის გარემოება, რომ „სამოქალაქო ძალაუფლების“ (Duchêne 1970) კონტექსტში, ევროკავშირი არის ახალი მოთამაშე საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე, რომელიც, ნაცვლად იძულებისა და „მილიტარისტული ძალაუფლებისა“, მმართველობის ცივილურ ფორმებს ანიჭებს უპირატესობას. ამდენად, ევროკავშირი ქმნის მმართველობის ისეთ მოდელს, სადაც კანონის მორჩილება მართვის საფუძველია და, იმავდროულად, ამ მოდელის მიხედვით გარდაქმნის და მეტად დემოკრატიულს ხდის საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემას. ამასთან, მნიშვნელოვანია „ნორმატული ძალაუფლების“ (Manners, 2002) დისკურსიც, რომელიც „ნორმას“ განსაზღვრავს ევროკავშირის ისეთი ფუნდამენტური პრინციპების მიხედვით, როგორიცაა მშვიდობა, თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა (Schimmelfennig, 2010, 11). საქართველო პოსტსაბჭოთა ქვეყნების ჯგუფს მიეკუთვნება და, მსგავსად ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა, მისთვისაც მომხიბვლელია „სამოქალაქო ძალაუფლების“ ევროპული დისკურსი, რომელიც „მილიტარისტული ძალაუფლების“ კონცეფციას ცხადად უპირისპირდება.

„ქვეყანაში დემოკრატიზაციის გაღრმავება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ევროპეიზაციის მიმართულების გაღრმავებასთან. პირადად ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, [ევროპეიზაცია] ასოცირდება დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობასთან ქვეყანაში და იმ თავისუფლებასთან, რომელიც ცნობილია, როგორც ევროპული ღირებულებები“ (ო.ლ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

„მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ ევროპეიზებული ქვეყანა არის ისეთი ქვეყანა, რომელსაც შეუძლია ევროკავშირთან თავისუფლად განახორციელოს ის თავისუფლებები, რომლებიც ითვლება, ასე ვთქვათ, ფუნდამენტურ თავისუფლებებად ევროპაში“ (ლ.დ., ექსპერტი, სახელმწიფო სტრუქტურა).

არსებობს მოსაზრება, რომ ევროინტეგრაციისა და ევროპეიზაციის კონტექსტში, საკვანძო ცნებაა „ცივილიზაციის სტანდარტი“ (Stivachtis, 2006, 3), რომლის საფუძველზეც შესაძლებელია შევადაროთ ევროპული საზოგადოების ისტორიული გაფართოებისა და ევროკავშირის თანამედროვე გაფართოების პროცესები. ამ არგუმენტის თანახმად, XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, ევროპულმა სახელმწიფოებმა განსაზღვრეს „ცივილიზაციის სტანდარტი“, რაც ექსტრა-ევროპული სახელმწიფოების ევროპულ სივრცეში დაშვების წინაპირობებს გულისხმობს. მსგავსად ამისა, ევროკავშირმა, თანამედროვე პერიოდში, განსაზღვრა რიგი პირობები წევრობის დასაკმაყოფილებლად, სადაც „ცივილიზაციის სტანდარტთან“ ასოცირებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიტერიუმები კვლავ წამყვანია (Kliwer, Stivachtis, 2007).

ჩვენი კვლევის მონაწილეთა ნარატივებშიც ევროკავშირი წარმოდგენილია, როგორც დემოკრატიული სივრცე განვითარებული ეკონომიკით, რომელიც კულტურის და ცივილიზაციის სანიმუშო ბალანსის გამოხატულებაა.

„კულტურაშენარჩუნებული და ცივილიზაციასთან შერწყმული სახელმწიფოს ასოციაცია ჩნდება, როდესაც ვლასპარაკობთ ევროპეიზაციაზე და ევროინტეგრაციაზე“ (ი.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

საქართველო ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებიდან დღემდე

ევროინტეგრაციის მიმართულებით განვლილი გზის შეფასებისას, რესპონდენტებში დომინანტურია შეხედულება, რომ დღეს საქართველო „დაძრული ყინულის“ სტადიაზე იმყოფება. აღნიშნული დისკურსის თანახმად, ამ ეტაპისთვის საქართველოს მთავარი მიღწევა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაა. რაც შეეხება ასოცირებიდან დღემდე განვლილ გზას, აქ პროგრესად მიჩნეულია ადგილობრივი სამართლებრივი ჩარჩოს ევროპულთან დაახლოება, ახალი კანონების მიღება და სხვადასხვა სფეროში (სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ფიტოსანიტარია, სურსათის უვნებლობა, ზღაპარზე კონკურენცია, საზოგადოებრივი მაუწყებლობა, ადამიანთა უფლებები და სხვ.) ევროკავშირის არაერთი სტანდარტის დანერგვა.

„ის ფაქტი, რომ ასოცირების ხელშეკრულება ხელმოწერილია, წინ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია ევროინტეგრაციის გზაზე. რა თქმა უნდა, ეს არ არის განვერიანების ხელშეკრულება, მაგრამ ეს არის ევროკავშირში პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ეტაპი. ეს არ არის სანყისი ეტაპი; მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მნიშვნელოვანი ეტაპი უკვე განვლილი გვაქვს“ (ე.თ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

„სამწუხაროდ, ვერ ვიტყვი, რომ ძალიან წინ ვართ ევროინტეგრაციის კუთხით. რეფორმების მოცულობიდან გამომდინარე, კიდევ ძალიან ბევრი რეფორმა გვაქვს განსახორციელებელი. თუმცა, რაც განხორციელდა, ისიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, სავიზო რეჟიმის სამოქმედო გეგმა, ასოცირების სამოქმედო გეგმა, ეს მოიცავს ძალიან ფართო სპექტრს, როგორც ეკონომიკურ, ისე სამართლის და კარგი მმართველობის საკითხებს, ჩვენ უკვე მნიშვნელოვნად წავინით წინ. მედიის თავისუფლება არის გაცილებით მაღალი, ვიდრე ოდესმე ყოფილა, პიროვნების უფლებები გაცილებით დაცულია, საარჩევნო გარემოა გაცილებით უკეთესი, ეკონომიკაში მნიშვნელოვანი რეფორმებია დაწყებული, კონკურენციის სააგენტო დაარსდა, სანიტარული რეგულაციების კუთხით მნიშვნელოვანი ძვრებია. თუმცა ასოცირების ხელშეკრულების ყველაზე დიდი წილი მოდის მეოთხე-მეხუთე წელზე, ეს განერილია ვადაში და ძირითადი მასა მოდის შემდეგ“ (ბ.შ., სამთავრობო სტრუქტურა).

დამოუკიდებელი ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები სამართლებრივი პროგრესის პარალელურად არსებულ ფაქტობრივ პრობლემებსაც ასახელებენ: არაპოპულარული რეფორმების (მაგალითად, ტექდათვალიერება, მინის საკუთრებისა და მიგრაციის კანონცვლილება და სხვ.) აუცილებლობით, თუმცა არაადეკვატურად განხორციელებით მიღებული უარყოფითი შედეგების ევროკავშირზე გადაბრალება ხდება, რაც, თავის მხრივ, ამ უკანასკნელისადმი მოსახლეობის ნდობასა და კეთილგანწყობას ასუსტებს. ამას არა მხოლოდ ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების, არამედ არსებული ხელისუფლების წარმომადგენლებიც აღიარებენ. ამგვარი ქმედება სახიფათოდ მიიჩნევა იმ ფონზე, რომ ევროინტეგრაციის შესახებ მოსახლეობის მიზანმიმართული ინფორმირება ნაკლებ ხორციელდება, მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ინფორმირების აუცილებლობა არაერთხელ იყო საზგასმული ევროკომისიის წარმომადგენლების მიერ როგორც ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე (შტეფან ფულეს ვიზიტი საქართველოში, 4 მარტი, 2014), ისე ხელმოწერის შემდეგ (იოჰანეს ჰანის ვიზიტი საქართველოში, 16 იანვარი, 2015).

„რის წინააღმდეგაც სულ ვიბრძვი, არის ის, რომ არაპოპულარული რეფორმების მიზმა ხდება ევროკავშირთან და ასოცირების შეთანხმებასთან. მაგალითად, ტექდათვალიერების თემა; ამბობდნენ, რომ ამას ითხოვს ევროკავშირი, ასევე აქციზების საკითხს. ეს მოსახლეობაში ამ პროცესის მიმართ უარყოფით განწყობას აჩენს. ამ კუთხით, სახელმწიფო უწყებებიც სცოდავენ, ფიქრობენ, რომ სენსიტიური რეფორმის გატარება უფრო გაუადვილდებათ, თუ ამას ევროკავშირს მიაბამენ. ეს არასწორი აღქმაა“ (ნ.დ., სამთავრობო სტრუქტურა).

„წინსვლა არის, ბუნებრივია. უბრალოდ, მე რასაც ვხედავ პრობლემად, არის ის, რომ ყველა ამ რეფორმის თანმდევი ნეგატივი, რაც ბუნებრივად ახლავს ყველა ცვლილებას, დაბრალებულ იქნა ევროკავშირზე; რაც ძალიან ცუდია, რადგან ეს არ არის ის რეფორმები, რომლებიც ჩვენ ვინმემ თავს მოგვახვია. ჩვენ თვითონ მოვანერეთ ხელი ამ ვალდებულებას და ხელები არავის გადაუგრეხია. ჩვენ თუ ვინმეს ვაბრალებთ, რომ ცუდი იმიტომ გამოვიდა, რომ ეს ევროკავშირმა გვითხრა, ამით ზიანს ვაყენებთ ევროკავშირის მხარდაჭერას, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, სადაც მისი რეიტინგი არც ისე მაღალია“ (ტ.ლ., ექსპერტი, წინა ხელისუფლების წარმომადგენელი).

ამ კონტექსტში, აღსანიშნავია არსებული და წინა ხელისუფლების

მიერ ევროპეიზაციის პროცესში საკუთარი დამსახურებების განსხვავებული შეფასება. წინა ხელისუფლების წარმომადგენლების აზრით, „ხელმწიფის შემდეგ საერთოდ ვერ წავედით წინ.“ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას ისინი არსებული მთავრობის მხრიდან ელექტორატის საამებელ პერფორმანსს მიაწერენ, რადგან „ხელის არმოწერა დიდი ზიანის მომტანი იქნებოდა, დაინგროდა ქვეყანა“ (დ.ლ., პოლიტიკოსი, წინა ხელისუფლების წარმომადგენელი). ამდენად, მათი შეფასებით, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა რეალური პროგრესის მაჩვენებელი კი არაა, არამედ საზოგადოებრივი აზრის მიმართ გადახდილი „პოლიტიკური ხარკია.“

„მთავრობის ცუდი მუშაობის გამო, ვერ მივიღეთ ვიზალიბერალიზაცია; ასევე, თავისუფალი ვაჭრობა ძალაში შევიდა და ექსპორტი დაეცა. ასეთი მაგალითი მე არ ვიცი, რომ რომელიმე ქვეყანას მიენიჭა უბაჟო წვდომა და ექსპორტი, გაზრდის მაგივრად, შემცირდა მნიშვნელოვნად; ესე იგი ცუდი მთავრობა არის. ნატოზეც იგივეს ვიტყვოდი, ჩვენი მხრიდან არის მხოლოდ *talking point*-ები“ (დ.ლ., პოლიტიკოსი, წინა ხელისუფლების წარმომადგენელი).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მონაწილე, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი, თავადაც კრიტიკულად აფასებს მისი გუნდის „ევროპულობას“ და დასძინს, რომ საპარლამენტო უმცირესობას ამ მიმართულებით უფრო მეტი ესმის, თუმცა, არ ეთანხმება ამ უკანასკნელთა პოზიციას, რომ მათ გარეშე საქართველოს ევროპეიზაციის პროცესს საფრთხე ემუქრება.

„სიმართლე რომ ითქვას, პარლამენტსაც სჭირდება ევროპეიზაცია, ის ხარისხობრივად სხვა უნდა იყოს. ამ მხრივ, განსაკუთრებით უმრავლესობა, დიდი ევროპულობით არ გამოირჩევა, პირიქით. მაგრამ, ვისაც ეს კარგად ესმის, იგივე უმცირესობას, მას ეს პარადიგმა სრულიად განსხვავებულად აქვს აგებული: ,მე თუ არ ვიქნები, ქვეყანა დაინგრევა.’ ამაში მათ (ერთიან ნაციონალურ მოძრაობას’) აყვნენ ,თავისუფალი დემოკრატები’ და თქვეს, რომ ჩვენ თუ არ ვიქნებით ტრაექტორიები, ყველაფერი ჩამოინგრევა“ (ი.ხ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

უაღრესად საინტერესოა პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მსჯელობა ევროკავშირისა და საქართველოს „ამოსავალ წერტილებს“ შორის განსხვავებაზეც, რადგან ევროპა, დღეს, მოქალაქეების კეთილ-

დღეობის გაზრდაზეა ორიენტირებული, ხოლო საქართველოს შემთხვევაში, ჯერ კიდევ მოსახლეობის ფიზიკურ გადარჩენაზეა საუბარი. მსგავსი შეხედულება კავშირშია „თვითგამოხატვის“ და „გადარჩენის“ ღირებულებებს შორის დაპირისპირებასთან (Inglehart, Welzel, 2005). თვითგამოხატვა, როგორც ღირებულება და საზომი, შემდეგი ინდიკატორების ნაკრებს წარმოადგენს: ცხოვრებით კმაყოფილება, ტოლერანტობა, საჯარო გამოხატვისა და თავისუფლებისკენ სწრაფვა; ხოლო გადარჩენის ღირებულებითი კატეგორია მხოლოდ ბაზისური ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებას გულისხმობს. ავტორები აღნიშნავენ, რომ კულტურულ ცვლილებებს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა მნიშვნელოვან ზრდას განიცდის გარკვეული პერიოდის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, ფორმალური დემოკრატიზაცია ვერ უზრუნველყოფს მოდერნიზაციის პროცესს, რომლის შემადგენელ ნაწილადაც, თავის მხრივ, ევროპეიზაცია განიხილება. შესაბამისად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ევროპეიზაცია ნორმატიულ დონეზე რჩება და ნაცვლად იმისა, რომ საზოგადოების ყოფით დონეზე დამკვიდრდეს, ფორმალურ დონეს ვერ სცდება და მხოლოდ რიტორიკულ სტრატეგიად გვევლინება. ამას ადასტურებს, თუნდაც, ზურაბ ჟვანიას ცნობილი ფრაზის „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი!“ პოპულარობა ქართულ საზოგადოებაში, რომელსაც, CRRC-ის 2013 და 2015 წლის კვლევების მიხედვით, მოსახლეობის 56% უყოყმანოდ ეთანხმება. თუმცა, როცა გამზადებულ ფრაზას კი არ სთავაზობენ, არამედ ეკითხებიან, რამდენად გრძნობენ სიახლოვეს ევროპასთან, აღმოჩნდა, რომ ქართველების მხოლოდ 18.4% აღიქვამს საკუთარ თავს ევროპელად, რაც ISSP-ის 2013 წლის კვლევის მონაცემებიდან ვლინდება.

ევროპეიზაციის გავლენა მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე და დამოკიდებულებაზე ევროკავშირის მიმართ

მოსახლეობის საგარეო პოლიტიკის ხედვის ფორმირებასა და მასთან დაკავშირებულ დისკურსებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არაერთი სოციოკულტურული და პოლიტიკური ფაქტორი. განსაკუთრებით სწრაფად იცვლება ან უფრო მკაფიოდ იკვეთება განწყობები ძლიერი სოციოპოლიტიკური ცვლილებების დროს. მიჩნეულია, რომ რადიკალური სოციალური ძვრების პირობებში,

როდესაც ონტოლოგიურ უსაფრთხოებას და ყოველდღიურ რუტინებს შესაძლოა საფრთხე დაემუქროს, ძლიერი სახით ვლინდება „ცხელი“ ნაციონალიზმი, რომელიც, ჩვეულებრივ, არადეკლარირებული და შეუმჩნეველი, ამდენად, „ბანალური“ რჩება (Billig, 1995, 44). ასეთ ვითარებაში შესაძლოა მოსახლეობის სოციოპოლიტიკური განწყობები მნიშვნელოვნად შეიცვალოს. მაგალითად, რუსეთის აგრესიამ მის მოსაზღვრე ქვეყნებში, მოსალოდნელია, რომ გაზარდოს ევროატლანტიკურ სივრცეში გაერთიანების მსურველთა რაოდენობა; ევროკავშირის ნორმებისა და სტანდარტების სწრაფმა დანერგვამ კი შესაძლოა ადგილობრივ მოსახლეობაში განგაში გამოიწვიოს, რომ ეროვნულ ღირებულებებსა და იდენტობას საფრთხე ემუქრება.

მსგავსი კონტექსტის გათვალისწინება აუცილებელია, როცა ვიკვლევთ ევროპეიზაციის პროცესის გავლენას მოსახლეობის საგარეო პოლიტიკის ხედვაზე, ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებებსა და შესაბამის დისკურსებზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქვეყნის ევროპეიზაცია სამ დონეზე მიმდინარეობს: შინაური სტრუქტურები, საჯარო პოლიტიკა, და კოგნიტური და ნორმატული სტრუქტურები. სწორედ ეს უკანასკნელი მოიცავს დისკურსს, ნორმებს, ღირებულებებსა და იდენტობებს. მიჩნეულია, რომ კოგნიტური და ნორმატული სტრუქტურები ტრანსფორმაციულ გავლენას ახდენს პოლიტიკის ყველა ელემენტზე; ამასთან, თავად ევროპეიზაციაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მარტო ფორმალურ პოლიტიკურ სტრუქტურებზე, არამედ წევრი და განწევრიანების მსურველი ქვეყნების ნორმებზე, ღირებულებებზე და დისკურსებზე (Radaelli, 2003, 36).

ჩვენი კვლევის საფუძველზე, რამდენიმე მნიშვნელოვანი დისკურსი გამოიკვეთა იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენს ევროკავშირთან დაახლოება და მისი თანმდევი ევროპეიზაციის პროცესი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. პირველი დისკურსის თანახმად, ევროინტეგრაციის პროცესი ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია. მართალია, ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ევროკავშირის საერთო უსაფრთხოების სისტემა არ აქვს და ის სამხედრო გაერთიანებას არ წარმოადგენს, მაგრამ კვლევის მონაწილეთა ევროინტეგრაციასთან დაკავშირებული მოლოდინები მაინც საქართველოს გარე საფრთხეებისგან დაცვას უკავშირდება, რადგან, მათი აზრით, სწორედ ამ გზით იძენს ქვეყანა, როგორც საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში შემავალი რგოლი, გადარჩენის რეალურ შანსს.

„ამით [ევროინტეგრაციით] ხელს შევუწყობთ, გავამაგრებთ არა მხოლოდ ჩვენი თაობის, არამედ თაობების, საქართველოს მოქალაქეების გადარჩენის გზას იმიტომ, რომ ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის ერთადერთი გზა, რომ ქვეყანა, როგორც თანამედროვე საერთაშორისო სტრუქტურებში შემაჯავლი პატარა კომპონენტი, გადარჩეს“ (ი.ხ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

ამ კონტექსტში, რესპონდენტები ხაზს უსვამენ რუსეთის ფაქტორს, რომელსაც „ალიზიანებს საქართველოს ნებისმიერი წინსვლა ევროინტეგრაციის კუთხით“ (ო.ლ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია). უსაფრთხოებაზე საუბრისას, აღსანიშნავია სწორედ რუსეთის საპირწონედ ევროკავშირის განხილვა, რადგან, საზოგადოებრივ დისკურსში, ევროკავშირი, როგორც საქართველოს უსაფრთხოების დამცველი, და რუსეთი, როგორც ქვეყნის მთავარი საფრთხე, ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსებზეა განთავსებული. კვლევების თანახმად, უსაფრთხოების მსგავსი დისკურსებით ხასიათდებოდნენ ბალტიისპირეთის ქვეყნებიც ევროკავშირში გაწევრიანებამდე, მოიაზრებდნენ რა ევროკავშირს რუსეთის აგრესიისგან დაცვის მთავარ გარანტიად (Kuus, 2007; Mole, 2007). ჩვენი რესპონდენტებიც აღნიშნავენ, რომ პოლიტიკოსები ცდილობენ, ქართული საზოგადოების თვალში ევროინტეგრაციის ლეგიტიმაცია სწორედ უსაფრთხოებაზე აპელირებით მოახდინონ. მართალია, რეალურად, ევროკავშირი არ არის სამხედრო გაერთიანება და, შესაბამისად, უსაფრთხოების გარანტი, მაგრამ პრობლემის ასე წარმოჩენა „პოლიტიკური მარკეტინგის“ ნაწილადაა მიჩნეული.

აქვე გამოითქვა მოსაზრება, რომ უსაფრთხოების თვალსაზრისით, არ არსებობს იმის აუცილებლობა, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდეს; მთავარია, ის იყოს ასოცირებული პარტნიორი, განვითარებული ეკონომიკითა და სწორად დაგეგმილი პოლიტიკით, რაც, თავის მხრივ, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის შესაძლებლობას გაზრდის და ამ გზით, ირიბად, უსაფრთხოების გარანტიებსაც უზრუნველყოფს.

„თუ შენ განვითარებული ეკონომიკა და პოლიტიკური სტრუქტურა გექნება, არ იქნები აგრესიული, სხვას ჭკუის სწავლებას არ დაუნყებ, თუ მისი საფრთხეები არ იქნება შენთვის მომგებიანი, ანუ აიღებ იგივე პრინციპს, რაც ფინეთმა აიღო, ასეთ შემთხვევაში, გაქვს მეტი გარანტია, რომ რუსეთთან მოწესრიგებული ურთიერთობა გქონდეს“ (ნ.ც., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

ამ დისკურსის ფარგლებში გამოკვეთილი ქვედისკურსის თანახმად, ევროინტეგრაციის პროცესი უმნიშვნელოვანესია საერთაშორისო არენაზე საქართველოს პოზიციების გაძლიერებისთვის, რადგან თავად ევროკავშირი, როგორც „ჰეგემონური აქტორი“ (Grabbe, 2006, 37), რომელიც პატარა და სუსტი საქართველოს ინტერესებს დაიცავს, კონფლიქტების დარეგულირებისას მთავარი მედიატორი იქნება.

„ევროკავშირი კონფლიქტების მონესრიგების პროცესშია ჩართული და მთავარი მედიატორია თუნდაც ჟენევის ფორმატში. გარდა ამისა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში, აკვირდება 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულების იმპლემენტაციის პროცესს და ეხმარება საქართველოს არალიარების პოლიტიკის შენარჩუნებაში“ (ე.თ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

გარდა საქართველოს უსაფრთხოების გარანტიისა, ევროინტეგრაციის და მისი თანმხლები ევროპეიზაციის პროცესი ქვეყნის დემოკრატიულ ტრანსფორმაციაზე გავლენის მქონე მთავარ ინსტრუმენტად მოიაზრება. ამ კონტექსტში, უმთავრესი, რაც ქვეყანამ და ხალხმა აღნიშნული პროცესიდან უნდა მიიღოს, რესპონდენტთა თქმით, სწორედ ქვეყნის დემოკრატიული განვითარებაა, რისი თანმდევიცაა საბაზრო ეკონომიკის განვითარებაც.

„ამ პროცესის მთავარი შედეგი არის ქვეყნის ტრანსფორმაცია მთლიანობაში, საზოგადოებრივი ურთიერთობების და მონყობის ცვლილება ისეთნაირად, რომელიც, პირველ რიგში, ევროპულ ფასეულებებს ამკვიდრებს ქვეყანაში, ხელს უწყობს თავისუფალი ბაზრის და საბაზრო ეკონომიკის განვითარებას“ (ლ.დ., ექსპერტი, სახელმწიფო სტრუქტურა).

ამდენად, ერთ-ერთი უმთავრესი სარგებელი, რაც ევროპეიზაციის პროცესმა უნდა მოიტანოს, ქვეყნის ეკონომიკური აღმასვლაა. მართალია, ზოგი ხაზს უსვამს, რომ პროცესის დასაწყისში, სარგებლის ნაცვლად, შესაძლოა ეკონომიკურმა პრობლემებმა იჩინოს თავი, მაგრამ, მიუხედავად მოსალოდნელი საფრთხეებისა, დომინირებს აზრი, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში, ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევა იქნება შესაძლებელი, რასაც ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარება და მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა მოჰყვება.

დემოკრატიული ტრანსფორმაციის მიმართულებით, არსებით მოლოდინად რესპონდენტებს საარჩევნო სისტემის გაუმჯობესება ესახებათ. აქვე, მნიშვნელოვან ნაბიჯად სახელდება ლიბერალური ღირებულებების დაცვა, ამ მიმართულებით მუშაობის გაძლიერება და, შედეგად, უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების უფრო ეფექტიანად მოგვარება. ამ კონტექსტში, კვლევაში მონაწილე ექსპერტებმა ანტიდისკრიმინაციული კანონის მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი.

„ევროპული ყაიდის სახელმწიფო და ევროპეიზებული საზოგადოება არის ადამიანზე ორიენტირებული – ადამიანის უფლებებზე, მის თავისუფლებებზე, მის კეთილდღეობაზე; ორიენტირებული ყველა ინდივიდის, საზოგადოების ყველა წევრის დაცვაზე“ (ლ.დ., ექსპერტი, სახელმწიფო სტრუქტურა).

ევროპეიზაციის პროცესის კიდევ ერთ მნიშვნელოვან შედეგად, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია დემოკრატიულ და ეკონომიკურ ტრანსფორმაციასთან, ქვეყნის მოდერნიზაცია დასახელდა. ამ მხრივ, ქართველების ხედვა ძალიან ახლოსაა ევროინტეგრაციის პროცესში აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებში არსებულ ხედვასთან, კერძოდ, მათ მიერ ევროპეიზაციის, როგორც „მოდერნიზაციის ყველაზე ავთენტური ფორმის“, აღქმასთან (Melegh, 2006, 118). ამასთან, ევროპეიზაცია დანახულია მოდერნიზაციის ინსტრუმენტად არა მხოლოდ ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის, არამედ სამოქალაქო საზოგადოების ხელშიც, რომელმაც ხელისუფლების ქმედებები უნდა გააკონტროლოს და მასზე შესაბამისი ზეწოლაც განახორციელოს, ანუ არანაკლები პასუხისმგებლობა იკისროს ქვეყნის მოდერნიზაციის მიმართულებით.

„მე ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი არის, გარკვეულწილად, რაღაც საშუალება ქვეყნის მოდერნიზაციის; ინსტრუმენტი, რომელიც, ერთი მხრივ, შეიძლება გამოიყენოს თვითონ ხელისუფლებამ და, მეორე მხრივ, ეს არის იარაღი სამოქალაქო საზოგადოების ხელში, რომ რეალურად მოახდინოს ზეწოლა ხელისუფლებაზე, რათა მან განახორციელოს ქვეყნის მოდერნიზაცია“ (ზ.ც., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა აზრით, მართალია, ევროპეიზაცია მოდერნიზაციის პროცესს აჩქარებს, მაგრამ მხოლოდ

პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის მოდერნიზაცია საკმარისი არ არის. „ევროპა სხვა სამყაროა, სხვა ადათ-ჩვევებია“, რომელთან დაახლოებისთვისაც აუცილებელია „მენტალური მოდერნიზაცია“, რის გარეშეც ასოცირების ხელშეკრულებაც და ევროპეიზაციაც მხოლოდ ქალაქდზე დარჩება და ნორმატიულიდან ქმედების დონეზე ვერ გადაინაცვლებს.

„ვლასპარაკობთ, აი, ევროპეიზაცია, მოდერნიზაცია, აღრეულია ეს ტერმინები... მიდიხარ ამ გზით, რომელიც მართლა ძალიან კარგია... მართლაც, ეს გზა შეესაბამება ყველა იმ ევროპულ სტანდარტს, რომელიც იქაა, რაც ჩვენ გვინახავს გერმანიაში, ბრიტანეთში, თუ თუნდაც შვეიცარიაში... მიდის კი ეს გზა ევროპისაკენ? ... ეს არის უნიკალური შანსი ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი მოქალაქეებისათვის, რომ მოხდეს მენტალური მოდერნიზაცია და ამან დააჩქაროს ის შიდა რეფორმები, რომელთა გარეშეც ევროპეიზაციაც და ასოცირების ხელშეკრულებაც იქნება ცარიელი სიტყვები. ეს ყველაფერი მარტივი არ არის... ევროპა სხვა სამყაროა, სხვა ადათ-ჩვევებია... აი, ევროპაზე შეიძლება ილაპარაკო დიდი ხანი, მაგრამ სანამ ის ქართველი მოქალაქე, აკადემიკოსი იქნება თუ რიგითი ვინმე, ევროპელივით არ გამოვა პლასტმასის ყუთით თუ პარკით და არ გადაადგმებს ამ ნაგავს, არამედ გადააბიჯებს და წავა, ის ევროპა იქვე მთავრდება, რაც არ უნდა შეთანხმებას მოაწერო ხელი“ (ი.ხ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

მიუხედავად ევროპეიზაციის პროცესის თანმდევი „მენტალური მოდერნიზაციის“ მნიშვნელობის ხაზგასმისა, რესპონდენტები, იმავდროულად, მასში იდენტობის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ საფრთხეებსაც ხედავენ. ევროკავშირის ინსტიტუციური პრაქტიკის ბრმად გადმოღება ქართული იდენტობისა და ყოფისთვის საზიანოდ მიიჩნევა; მით უფრო, რომ საქართველო იმ „ცივილიზაციის მატარებელ ქვეყნადაა“ წარმოდგენილი, რომელმაც ისტორიული მიღწევები უნდა „შეინარჩუნოს.“ სწორედ საქართველოს ცივილიზებულ ქვეყნად წარმოჩენით და მის წარსულ დიდებაზე აპელირებით, რესპონდენტები ცდილობენ, საქართველოსთან მიმართებაში ნაკლებ რელევანტურად წარმოაჩინონ დასავლეთისთვის დამახასიათებელი „ცივილიზაციის დისკურსი“ (Elias, 1994).

„ჩვენ ვართ, ამავე დროს, ცივილიზაციის მატარებელი ქვეყანა; ქვეყანა, რომელსაც მთელი რიგი წარმატებები ჰქონდა. ჩვენ უნდა

შევძლოთ ამის შენარჩუნება, რადგან ევროპეიზაცია, ევროკავშირთან ჩვენი მიერთება, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ეს, იქნება უკვე ის პროცესი, რამაც შეიძლება დააზიანოს ჩვენი იდენტობა, ცხოვრებაც, ყოფაც, ადათიც“ (ი.ხ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

დასავლური „ცივილიზაციის დისკურსის“ შესუსტების მცდელობის გამოხატულებაა ის ფაქტიც, რომ დასავლეთ-აღმოსავლეთის დიქტომიაში თავიანთი ადგილის განსაზღვრისას, ქართველები ხაზს უსვამენ საკუთარ „დასავლურობას“ და არა „აზიურობას.“ ამგვარი სტრატეგია დეტალურადაა აღწერილი მარია ტოდოროვას მიერ (1997), რომელიც, ბალკანეთის მაგალითზე, ევროპის ფარგლებში ორიენტალიზმის თანამედროვე გამოვლინებაზე ამახვილებს ყურადღებას და ორიენტალიზმის „მსხვერპლთა“ თავდაცვით სტრატეგიას – ოქსიდენტალიზმს განიხილავს, აღწერს რა მათ მცდელობას, საკუთარი თავი სხვის დასავლეთად წარმოაჩინონ.

„მოსახლეობისთვის ეს [საკუთარი ევროპულობის ხაზგასმა] უფრო არის მათი კულტურულობის აღიარება, რაც, პრინციპში, სულაც არ არის სწორი იმიტომ, რომ ვერ ვიტყვი, რომ აზია ნაკლებად კულტურულია. თუმცა, ასეთი პოპულარული შეხედულება არსებობს, რომ ევროპა უფრო კულტურულია. მე მგონი, ეს ასე არ არის, უბრალოდ, დღეს პოლიტიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, მონიანევა ევროპა და ამერიკა“ (მ.ი., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

ზემოთ წარმოდგენილ შეხედულებას, რომ ევროკავშირთან „მიერთება, რა ფორმითაც არ უნდა იყოს ის“, ქართული იდენტობისთვის საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს, უპირისპირდება პოზიცია, რომლის თანახმად, ევროინტეგრაცია არ უნდა იქნას აღქმული საფრთხედ, არამედ, პირიქით, ქართული იდენტობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების საშუალებად. აღნიშნულია, რომ ქართული საზოგადოება თავდაცვაც გააცნობიერებს ამას, როცა უშუალოდ გაეცნობა ევროპას, ევროპული ცხოვრების წესს და იმ მულტიკულტურულ გარემოს, სადაც თითოეულ ერს თვითრეალიზაციის სათანადო შესაძლებლობა ეძლევა. აქვე, რესპონდენტები ხაზს უსვამენ, რომ იდენტობის დაკარგვასთან დაკავშირებული შიშების გავრცელებაში განმსაზღვრელ როლს ანტიდასავლური ძალები და, განსაკუთრებით, რუსული პროპაგანდა, თამაშობენ. მიჩნეულია, რომ ევროპასთან უშუალო კავშირი და მეტი სიახლოვე სწორედ ამგვარი მითების გაქარწყლების საუკეთესო გზაა.

„რაც უფრო მეტი საშუალება იქნება გაცვლა-გამოცვლის და უვიზო მიმოსვლის, მით უფრო ადვილად გასაქარვებელი იქნება ის მითები, რასაც აქ რუსული პროპაგანდა და ანტიდასავლური ძალები ნერგავს – რომ ევროპული გარემო ჩვენი იდენტობისთვის არის საფრთხე, რომ ქართველობას გვართმევენ. ასე ადვილი დასანახი იქნება, რომ ევროპული საზოგადოებების ქვაკუთხედი არის წესები, წესების მიხედვით ცხოვრება, წესები, რომლებიც ყველასთვის ერთნაირია“ (დ.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

მოსახლეობის გათვითცნობიერებულობის დონე ევროინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით

ევროკავშირისა და ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობაზე საუბრისას, ცალსახად გამოიკვეთა პოლიტიკოსთა და ექსპერტთა აზრი, რომ საქართველოს მოსახლეობის გათვითცნობიერებულობის დონე ამ მიმართულებით საკმაოდ დაბალია. ინფორმაციის ნაკლებობამ კი, შესაძლოა, საზოგადოებაში არასწორი მოლოდინები გააჩინოს. თუკი მოსახლეობას „ლამაზი ლოზუნგებიდან“ ევროპეიზაციის პრაქტიკაში გადატანა რთული მოეჩვენება, ის დაინყებს ფიქრს, უღირს თუ არა ევროინტეგრაციის შრომატევადი გზის გავლა. ეკონომიკური ურთიერთობების თვალსაზრისით, ქართველებს რუსეთთან თანამშრომლობის გამოცდილება აქვთ. ამიტომ, თუ რუსეთს უფრო მარტივი შემოთავაზება ექნება, არის საშიშროება, რომ მოსახლეობამ შედარებით იოლი გზა აირჩიოს, რამეთუ საუბარია ეკონომიკურ სარგებელზე და არა რუსეთზე, როგორც პოლიტიკურ პარტნიორზე. ეს რომ არ მოხდეს, განსაკუთრებით „მომძლავრებული პრორუსული და ანტიდასავლური პროპაგანდის“ პირობებში, რესპონდენტებს აუცილებლად მიაჩნიათ ფართომასშტაბური საინფორმაციო კამპანიების დაგეგმვა და ევროკავშირის შესახებ ცნობადობის გაზრდა, როგორც პოლიტიკოსების მოსახლეობასთან პირისპირ შეხვედრების, ისე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების აქტიურად გამოყენების გზით.

„ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა ამ პროცესში შემთხვევით არის მოხვედრილი, არც გააზრებული აქვთ, არც გაგებული აქვთ, ხშირად ვერც ხვდებიან, რა ხდება. უმეტესობისთვის ეს თავსმოხვეული ლამაზი ლოზუნგებია. უცებ აღმოჩნდა, რომ ამ ლოზუნგებს

რალაც მოთხოვნები მოყვება და ახლა ფიქრობს, უღირს თუ არა. თუ ეს გზა რთული აღმოჩნდა, არის შესაძლებლობა, რომ გადანყვიტონ უფრო ადვილი გზის ძიება. ეს გზა ადვილი არ აღმოჩნდება და ამის საშიშროება არის. თუ ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა უფრო ადვილი გზა შემოგვთავაზა, შეიძლება უფრო ნაკლებად ღირსეული, არის შანსი, მოსახლეობის გარვეულმა ნაწილმა იქით გადაინიოს“ (ჩ.მ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

„არაა არსი [ევროინტეგრაციის] გათვითცნობიერებული. ჩვენი მიზანია, რომ მხარდაჭერა იყოს გაცნობიერებული, განსაკუთრებით ამ პროპაგანდის პირობებში. ძალიან ვცდილობთ, რომ ვიაქტიუროთ, მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო გვინდა გააქტიურება. ლამის ყოველდღე ვატარებთ შეხვედრებს – 300 შეხვედრა და 15000 იყო მოსული, რაც არც ისე ბევრია ქვეყნის მასშტაბით. უფრო მეტი ურთიერთობა უნდა გვექონდეს მოსახლეობასთან და, ზოგადად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გამოვიყენოთ. ამისთვისაც ვმუშაობთ“ (ბ.შ., სამთავრობო სტრუქტურა).

საზოგადოების დაბალი ინფორმირებულობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მთავრობის მხრიდან მოსახლეობასთან არასაკმარისი და არასწორი კომუნიკაცია სახელდება. მართალია, ხელისუფლების წარმომადგენლის განცხადებით, მოსახლეობის ინფორმირებისთვის კონკრეტული აქტივობები ხორციელდება, მაგრამ ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ამგვარი მცდელობები საკმაოდ მწირია, რაც თავად პოლიტიკოსების მოუმზადებლობაზე მეტყველებს – მათ არა აქვთ შემუშავებული სათანადო სტრატეგიები მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად. ერთ-ერთ რესპონდენტს მაგალითიც კი მოჰყავს იმის საილუსტრაციოდ, რომ ხელისუფლება ვერ უხსნის რიგით ფერმერს, რა სარგებელი შეიძლება მოუტანოს ევროინტეგრაციამ. კითხვებზე პასუხგაუცემლობა კი, სულ მცირე, ევროკავშირის მიმართ მოქალაქეების ინდიფერენტულობას იწვევს.

„ერთი ადამიანი წასული იყო სოფელში და ლექციას უკითხავდა ნატოსა და ევროკავშირის მნიშვნელობაზე და ერთმა კაცმა იკითხა, პატარა საფუტკრე მაქვს და ჩემთვის რა სარგებელი იქნებაო? ამ ადამიანმა ვერ უპასუხა. არა მხოლოდ სამთავრობო სტრუქტურებმა, არამედ არასამთავრობო სტრუქტურებმაც არ იციან, რა გზებით, ხერხებით უნდა მიაწოდონ ინფორმაცია, არ მოუფიქრებიათ პროექტი, როგორ გავხადოთ საზოგადოება ევროინტეგრაციის პროცესის

გულშემატკივარი და თანამონაწილე“ (მ.ი., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

აღსანიშნავია, რომ თავად მმართველი გუნდის წარმომადგენლმა ხაზი გაუსვა ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობასთან არაადეკვატურ კომუნიკაციას, რაც მიუთითებს, რომ პოლიტიკური აქტორები თავად აცნობიერებენ პრობლემების არსებობას. რესპონდენტები სირთულეს იმაში ხედავენ, რომ მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები ვერ უხსნიან მოსახლეობას ევროპეიზაციის სიკეთეს. უფრო მეტიც, ზოგჯერ აღნიშნული პროცესი ბრიუსელიდან ნაკარნახევად სახელდება, რაც მოსახლეობის მიერ საქართველოს მთავრობის სუვერენული ქმედების შესუსტების გამოხატულებად აღიქმება.

„*მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არ ველაპარაკებით მოსახლეობას სათანადო ენაზე და არ ვუხსნით, პრინციპში, ევროპა და ევროპელობა რატომ არის კარგი. იცით, მოქალაქეებმა რომ გაიგონ, რატომ არის ეს კარგი, მათ უნდა უთხრა, კონკრეტულად როგორ შეეხებათ ეს, და ამაზე არ ვლაპარაკობთ. ახლა, როგორც მე ვლაპარაკობ, ზოგადად, ასე ვესაუბრებით მოქალაქეებს; არადა, უნდა ვუთხრათ კონკრეტულად, რომ ასოცირება ის შეთანხმებაა, რომელიც კონკრეტული შედეგის მომტანია მათთვის. სულ ვეუბნებით საზოგადოებას, რომ ასოცირების შეთანხმების პირველი რაუნდი, მეორე რაუნდი, რაღაცეები და ა.შ. და დირექტივის ეს მუხლი არ შესრულდა, არ აინტერესებს მოსახლეობას. სიტყვა „დირექტივა“ რომ ესმის, ჰგონია, რომ ვიღაცა ზევიდან გვკარნახობს“ (ი.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).*

როგორც კვლევაში მონაწილე ექსპერტები აღნიშნავენ, არასწორი კომუნიკაცია და არაადეკვატური მოლოდინების გაჩენა საზოგადოების ნიჰილიზმს იწვევს, რადგან მოსახლეობას არ სჯერა იმ სიკეთების, რომელსაც ევროინტეგრაციის შედეგად მიიღებს. ექსპერტების აზრით, არაინფორმირებულობა და ნიჰილიზმი არა მხოლოდ ფართო საზოგადოებისთვის, არამედ სახელმწიფო მოხელეებისთვისაც დამახასიათებელია.

„ჩემმა თანამშრომელმა ტრენინგი ჩაუტარა 67 სახელმწიფო მოხელეს მუნიციპალიტეტებიდან. აქაც კი ძალიან დიდ ნაწილში იყო განცდა, თითქოს მათ არ სჯერათ, რომ რეალურად შესაძლებელია

ევროპის ბაზარზე თავის დამკვიდრება. ნიჰილიზმის და უიმედობის განცდაა. ამაზე უნდა იმუშაოს მთავრობამ“ (მ.ი., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

საზოგადოებრივი ნიჰილიზმის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ის გარემოებაც მიიჩნევა, რომ ევროკავშირში განევრიანების სურვილი და განევრიანების რწმენა ერთმანეთთან თანხვედრაში არ მოდის. რესპონდენტის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ განევრიანების მსურველთა მაღალი პროცენტია, მხოლოდ მცირე ნაწილს სჯერა საქართველოს ევროსტრუქტურებში ინტეგრაციისა, რაც, თავის მხრივ, საფრთხის შემცველია, რადგან არსებობს შანსი, რომ მოსახლეობის თვალში ევროკავშირის ალტერნატივა გაჩნდეს; ამიტომ განევრიანების რწმენა უმნიშვნელოვანესია.

„მართო ის კი არაა საინტერესო, რამდენი უჭერს ევროინტეგრაციას მხარს, საინტერესო ისაა, რამდენს სჯერა, რომ გაენევრიანდებიან. ამ მხრივ ძალიან დაბალი პროცენტია. შეიძლება უჭერდე მხარს, მაგრამ არ გჯეროდეს, რაც ძალიან ცუდია. ვილაცა დაგაჯერებს, რომ ეს არარეალურია და მოდი, სხვა გზით წადი“ (ტ.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

საინტერესოა, პოლიტიკოსთა და ექსპერტთა შეფასებით, რამდენად შეიცვალა ევროკავშირის შესახებ ინფორმირებულობის დონე ბოლო პერიოდში? რესპონდენტთა ნაწილი აღიარებს გარკვეულ პროგრესს მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიმართულებით, თუმცა მას მაინც არასაკმარისად მიიჩნევენ. აღსანიშნავია მოსაზრება, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოქალაქეების ინფორმირება და მათ თვალში ევროკავშირის მომხიბვლელობის გაზრდა. ამასთან, რამდენიმე რესპონდენტის მიერ ორი შეთავაზებული ალტერნატივა ისეა ფორმულირებული – ცხოვრება რუსეთის ოკუპაციის პირობებში თუ ევროპეიზებულ საქართველოში უვიზო რეჟიმით, მეტი თავისუფლებით, მეტი უსაფრთხოებითა და თანმდევი სიკეთებით, – რომ, ფაქტობრივად, არჩევანს არც ტოვებს და ავტომატურად გულისხმობს „ევროპული საქართველოს“ უტყუარ უპირატესობას.

„ორი აზრი არ არის, უკეთესი მდგომარეობაა. ძალიან ბევრ ადამიანს ვხვდებით ქალაქშიც და რეგიონებშიც, მე მაქვს განცდა, რომ მათი ცნობიერება ბევრად გაზრდილია იმასთან შედარებით, რაც შარშან

ან შარშანწინ იყო, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს საკმარისი არ არის. მეტი პროაქტიური მოქმედება საჭირო, რომ მოსახლეობამდე სრულად მივიტანოთ ინფორმაცია იმ სიკეთეების თაობაზე, რომელსაც ინტეგრაციული პროცესები მოგვცემს. განსაკუთრებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე რამდენად გაიზრდება მომხიბვლელობა, სწორი არჩევანის საშუალება მიეცემათ, თუკი ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო მიმოსვლა დაიწყება. მოლდოვა კარგი მაგალითია, დნესტრისპირეთის ხალხი დადის ევროპაში და რიგებია. მათ სწორი არჩევანის გაკეთების საშუალება მიეცემათ, რუსეთის ოკუპაციის პირობებში ცხოვრება და ევროპული საქართველო, უვიზო მიმოსვლა, მეტი ბიზნეს-კომუნიკაცია, ევროპასთან მეტი ინტეგრაცია, მეტი თავისუფლება და მეტი უსაფრთხოება. ამიტომ ამაზე ზედმინევენით უნდა ვიმუშავოთ. ამას სჭირდება ინტენსიური კომუნიკაცია საზოგადოებასთან“ (ზ.ე., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

მართალია, ქვეყნის მასშტაბით ჩატარებული რეპრეზენტატიული კვლევების თანახმად, ევროკავშირში განწევრიანების მსურველთა მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება (CRRC-ის 2016 წლის მარტის მონაცემებით, ის 77%-ს შეადგენს), მაგრამ მას რესპონდენტები, განსაკუთრებით ექსპერტები, ერთგვარი სიფრთხილით უდგებიან. მათი მოსაზრებით, აღნიშნული მაჩვენებელი შესაძლოა, რეალურად, ევროპული ორიენტაციის მომხრეთა აღმნიშვნელი კი არ იყოს, არამედ რუსეთის მიმართ ანტაგონისტური განწყობის გამოხატულება. ამ პოზიციის მომხრეთა აზრით, ამგვარ სურათს სწორედ ევროინტეგრაციიდან უსაფრთხოების, ეკონომიკური და სხვა სარგებლის მიღების მოლოდინები იძლევა და არა თავად ევროპეიზაციის იდეისადმი ერთგულება.

„რუსეთის მიერ 2008 წელს დაშვებულმა შეცდომამ განაპირობა ჩვენი ანტაგონისტური დამოკიდებულება. ბევრი პრორუსივი კი ამბობს, რომ რუსეთი ოკუპანტია, მაგრამ ურთიერთობები უნდა დავალაგოთ. ეს, მაგრამ მათ ლექსიკაში ფიგურირებს. რომ არა რუსეთის მიერ დაშვებული ეს შეცდომა, ჩვენი ტერიტორიების აღიარების ჩათვლით, უფრო მეტი ღია ლუსტრირებული პრორუსი გვეყოლებოდა“ (კ.უ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

რა გზით უნდა განმტკიცდეს ევროპეიზაციის იდეისადმი ერთგულება და გაიზარდოს პროევროპული განწყობები საქართველოში? ამ თვალსაზრისით, რესპონდენტები განსაკუთრებულ როლს სწორედ

პოლიტიკოსებს და ექსპერტებს მიანერენ. მათ უმთავრეს მედიუმად კი მასმედია განიხილება, რათა მოსახლეობას ადეკვატურად მიენოდოს შესაბამისი გზავნილები. განსაკუთრებული როლი ტელევიზიასა და სოციალურ მედიას მიენერება, როგორც ქართულ რეალობაში ინფორმაციის მოპოვების მთავარ წყაროებს.

„ელექტრონული მედიის გავლენა საქართველოში არის განუზომლად დიდი, რადგან თითქმის არავინ კითხულობს გაზეთებს. ფეისბუქი, ტელევიზორი, აი, ესაა ინფორმაციის ძირითადი წყარო. ავტორიტეტულმა ხალხმა უნდა ილაპარაკოს, პოლიტიკოსებმა და ექსპერტებმა“ (ი.დ. ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

ცალკე უნდა აღინიშნოს მოსაზრება, რომელიც ევროკავშირის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდაში ქართული ეკლესიის როლს უსვამს ხაზს, რასაც საზოგადოებაში სასულიერო პირების დიდი ავტორიტეტი განაპირობებს; შესაბამისად, მიჩნეულია, რომ სწორედ მათი დახმარებით უნდა მოხდეს მოსახლეობის სათანადო ინფორმირება.

„დაიძრა ყინული – ეს არის [მთავრობის] ეკლესიასთან თანამშრომლობა და ამ ინფორმაციის მიწოდება უშუალოდ ეკლესიის წარმომადგენლებისთვის, რადგან მათ დიდი გავლენა აქვთ მოსახლეობაზე. შესაბამისად, მათთვის ახსნა, თუ რას ნიშნავს ევროკავშირი, რატომ არის საჭირო ბიომეტრული, ჩიპიანი პასპორტი, ძალიან მნიშვნელოვანია, რასაც, სამწუხაროდ, თითზე ჩამოსათვლელი ხალხი აკეთებს საქართველოში“ (ზ.ც., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

აქვე აღინიშნა, რომ, მართალია, ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანია, მაგრამ საზოგადოებამ თავისი თვალთაც უნდა ნახოს ევროინტეგრაციის პროცესის სიკეთეები. უნდა იყოს უფიზო მიმოსვლა და იაფი ავიახაზები, რადგან საზოგადოება რუსეთსა და ევროკავშირს ადარებს ერთმანეთს და ეს უკანასკნელი ძალიან შორს ჰგონია, რუსეთი კი ახლო და ნაცნობია. ამიტომ მთავარი ამოცანაა მოსახლეობის დარწმუნება, რომ ევროპა არ არის მიუწვდომელი, თან ბევრად სასურველი პარტნიორია, ვიდრე რუსეთი.

„ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მთავარი სტრატეგია; ხალხმა ნათლად უნდა დაინახოს, რატომ არის კარგი ევროკავშირი. ახლა ისინი, ალბათ, ადარებენ თუნდაც

რუსეთს, გაუთვითცნობიერებლად აკეთებენ ამ შედარებას. რუსეთის ბაზარზე პროდუქციის გატანა შეუძლიათ, ევროკავშირში – ჯერ არა. მათ ევროკავშირი ჰგონიათ ძალიან შორი და მიუწვდომელი, როდესაც რუსეთი ძალიან ახლოს არის. ასეთი ასოციაციები აქვს მოსახლეობას. ჩვენ უნდა მოვუხსნათ ეს ასოციაციები. უნდა გავათვითცნობიეროთ, რომ ეს არ არის შორი და მიუწვდომელი პერსპექტივა, ევროკავშირში ექსპორტი შესაძლებელია, ეს დაწყებულია და მომავალში უფრო გაფართოვდება“ (ნ.დ., სამთავრობო სტრუქტურა).

მიუხედავად ცალსახა პოზიციისა, რომ საქართველოში ევროკავშირისა და ევროინტეგრაციის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დაბალ დონესა და ამ მიმართულებით პოლიტიკოსთა ნაკლებ ეფექტიან მუშაობას აქვს ადგილი, საერთო განწყობა მაინც ოპტიმისტურია, რის საფუძველსაც რესპონდენტებს ქართველი ახალგაზრდობა, განსაკუთრებით კი, სტუდენტობა აძლევს, რომელიც ერთხმად აღიარებულია მოსახლეობის ყველაზე გათვითცნობიერებულ და პროევროპულ სეგმენტად.

„ერთი, რაც ამ შემთხვევაში დამამშვიდებელია, მგონია, რომ ახალგაზრდობა, პირველ რიგში, სტუდენტობა, საღად აზროვნებს და ეს უკვე ის თობაა, რომლისთვისაც ეს [ევროპული] ღირებულებები ძალიან მაღალია“ (თ.ე., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

პოლიტიკოსების გათვითცნობიერებულობის დონე ევროინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით

კვლევის მონაწილეთა თანახმად, მოსახლეობასთან შედარებით, პოლიტიკოსები მეტად გათვითცნობიერებულნი არიან ევროინტეგრაციის და ევროპეიზაციის საკითხებთან დაკავშირებით. მართალია, ისინი აღნიშნავენ, რომ პოლიტიკური სპექტრი არაერთგვაროვანია, მაგრამ მიიჩნევენ, რომ, მთლიანობაში, მთავრობას ესმის ევროპეიზაციის მნიშვნელობა და პოლიტიკოსთა დიდი ნაწილი ევროპულ და ევროატლანტიკურ არჩევანს იზიარებს.

„გააჩნია, არის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც თვლიან, რომ ევრაზიული კავშირი შეიძლება იყოს საქართველოს მომავლის გზა, ზოგი თვლის, რომ ეს არის ევროკავშირი და ნატო, ეს არ არის ერთგვაროვანი. მაგრამ მე მოხარული ვარ, რომ ძირითადი პოლიტიკური

სპექტრი ორიენტირებულია ევროპულ და ევროატლანტიკურ არჩევანზე და ეს არის ნომერ პირველი საგარეო და უსაფრთხოების პრიორიტეტი“ (ზ.ე., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

„რამდენიმე ოფიციალური პირის კვალობაზე შემოძლია ვთქვა, რომ ისინი აცნობიერებენ, რა არის ევროპეიზაცია. მაგალითად, ის ცვლილებები, რომლებიც შედის კანონმდებლობაში, უზენაესი სასამართლოს ახალ თავმჯდომარეს ნამდვილად ესმის, იუსტიციის მინისტრს და მის მოადგილეს, პარლამენტის თავმჯდომარეს, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს და რომ მკითხვით, მთლიანად მთავრობას ეს ესმის...“ (ნ.შ., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

ამასთან, რესპონდენტთა მხრიდან მთავარი აქცენტი საგარეო კურსის ხედვაზე კეთდება, რომელიც გათვითცნობიერებულობის დონესთან ნაკლებ კავშირში განიხილება და კონკრეტულ პოლიტიკურ ინტერესებს უკავშირდება. ამ დისკურსის თანახმად, მიუხედავად პოლიტიკოსთა გათვითცნობიერებულობისა, ისინი აუცილებლად პროდასავლური ორიენტაციით არ გამოირჩევიან.

„ის განცხადებები, რომლებსაც ისინი [პოლიტიკოსები] აკეთებენ ევროკავშირთან და ნატოსთან მიმართებაში, მინიშნებს, რომ მათ შეიძლება გათვითცნობიერებული აქვთ, მაგრამ მათი პოლიტიკური ორიენტაციის და გემოვნების საკითხია, რომ მათ არ სურთ ქვეყნის ამ მიმართულებით წასვლა“ (თ.ე., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

ამდენად, ხაზგასმულია, რომ გარკვეულ პოლიტიკოსთა ანტიდასავლური განცხადებები დაკავშირებულია არა მათ გათვითცნობიერებულობასთან, არამედ მიზანმიმართულ კამპანიასთან. აქვე აღსანიშნავია რესპონდენტების მხრიდან ოპოზიციურ რიგებში არსებული მკვეთრად გამოხატული პრო- და ანტიდასავლური ჯგუფების ხაზგასმა („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და „თავისუფალი დემოკრატები“ ნინო ბურჯანაძისა და „პატრიოტთა ალიანსის“ საპირისპიროდ), რაც მათთვის მისაღებია, თუმცა პრობლემურად მიიჩნევა თავად ხელისუფლების რიგებში ისეთი პოლიტიკოსების არსებობა, რომლებიც ანტიდასავლურ განცხადებებს აკეთებენ. ამ კონტექსტში, ყველაზე ხშირად მმართველი კოალიციის რიგებში მყოფი გოგი თოფაძის პარტია სახელდება.

„ეს იდეა ბუნებრივად საჭიროებს ლეგიტიმაციას პოლიტიკოსებშიც და ხალხშიც. და არა მხოლოდ ოპოზიციურ სპექტრში, არამედ

იგივე უმრავლესობაშიც. თოფაძე გასაგებია, მას ასეთი პოლიტიკური პლატფორმა აქვს და ეს აღარ შეიცვლება. აქ საუბარია იმ კონკრეტულ ხალხზე, რომლებიც უმრავლესობის წევრები არიან, „ქართული ოცნების“ ფრაქციის წევრები. ყველა არა, ბუნებრივია, იქაც ძალიან ბევრია, რომლებიც მხარს უჭერენ [ევროინტეგრაციას]“ (ტ.ლ., ექსპერტი, წინა ხელისუფლების წარმომადგენელი).

აღსანიშნავია განსხვავებული დისკურსიც, რომლის თანახმად, პოლიტიკოსებს ესმით ევროპეიზაციის მნიშვნელობა, მაგრამ არ აქვთ სათანადო ცოდნა თუნდაც ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დეტალების შესახებ და დაგეგმილი სამუშაოები აშინებთ.

„ძალიან ცოტა ვიცი, უბრალოდ ასოცირების ხელშეკრულება ჰქონდეს თავიდან ბოლომდე ნაკითხული“ (ზ.ც. ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

„პოლიტიკოსების მხრიდან სურვილს ვგრძნობ. პირადად არასდროს შემხვედრია, რომ ვინმეს ელიარებიონოს, რომ ევროკავშირი არ გვინდა. გამოხატული სურვილია, მაგრამ ერთგვარი შიში არის, რომ ეს რეგულაციები ჩვენთვის ზედმეტად რთულია... ერთგვარი შიშია, რომ იქ არის ძალიან მაღალი დონე და ჩვენ იქამდე ვერ მივალთ, იქ იმდენი რეგულაციებია...“ (მ.ი., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

სწორედ შესაბამისი ცოდნის ნაკლებობით ხსნიან ექსპერტები იმ არასწორ გზავნილებს, რომლებიც, პირველ რიგში, მმართველი გუნდიდან მოსახლეობამდე მიდის და ევროკავშირის ლეგიტიმურობას საფრთხეს უქმნის. აღინიშნა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ცალკეული, განსაკუთრებით კი, არაეფექტიანი რეგულაციის ამოქმედებას (მაგალითად, მიგრაციის შესახებ კანონში ცვლილება) ხშირად ევროკავშირის მოთხოვნას მიაწერენ მაშინ, როცა შესაბამისი რეგულაციის ამოქმედება ან საერთოდ არ იყო ასოცირების ხელშეკრულებით განწერილი, ან მისთვის ნიადაგის მოსამზადებლად ქართულ მხარეს საკმარისი დრო ჰქონდა და არ სჭირდებოდა სასწრაფო წესით ცვლილებებზე მუშაობა.

„ჩემი დაკვირვებით, დაბალია ცოდნა და, სამწუხაროდ, ხშირად იყენებენ ევროკავშირის თავისი გადაწყვეტილებების გასამართლებლად, მათი უწყების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასამართლებლად, ზოგჯერ სრულიად გამოგონილი მოტივებით, რეალური ფაქტების გარეშე... ჯოხი გადატეხეს ევროკავშირზე, რაც ადვილია, რადგან ისინი

დიპლომატიურები არიან და ასეთ საჯარო პოლემიკაში არ შედიან ჩვენ ხელისუფლებასთან. შესაბამისად, ჩვენი პოლიტიკოსებიც სარგებლობენ ამით“ (ზ.ლ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, ევროპეიზაციის პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია პოლიტიკური უნიფიკაცია, რაც ნიშნავს, რომ საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად, ევროპის გარდა, სხვა ალტერნატივა არ მოიაზრება (Moumoutzis, 2011, 609). თუ კვლევაში მონაწილე ექსპერტთა შეფასებებს შევაჯამებთ, საქართველოში პოლიტიკური უნიფიკაცია პრობლემას წარმოადგენს და ევროკავშირის, როგორც უმნიშვნელოვანესი საგარეო პოლიტიკური ვექტორის, შესახებ მოსაზრებას ლეგიტიმაცია სჭირდება, მათ შორის პოლიტიკოსებშიც. თუმცა, გაცილებით მნიშვნელოვნად მიიჩნევა მისი ლეგიტიმაცია მოსახლეობაში, რამდენადაც სწორედ მოსახლეობის მოთხოვნებს პასუხობენ პოლიტიკური აქტორები. კვლევებით დასტურდება, რომ იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობა უფრო მაღალი პროცენტული განწყობით გამოირჩევა, ევროკავშირიც უფრო ადვილად აღწევს თავის მიზანს (Pickering, 2011). ევროპეიზაციის ლეგიტიმაცია შესაბამისი დისკურსების გზით ხორციელდება, რომელიც, როგორც რადაელი აღნიშნავს, უფნდამენტურ როლს ასრულებს ახალი წესების, ღირებულებების და პრაქტიკების ფორმირებასა და მათ მიმზიდველად წარმოჩენაში. ავტორი მიჯნავს ორი სახის დისკურსს: საკოორდინაციო დისკურსს, რომელიც ევროპეიზაციის ლეგიტიმაციას პოლიტიკური ელიტების დონეზე ახდენს და კომუნიკაციურ დისკურსს, ანუ პოლიტიკური კომუნიკაციის ფორმებს, რომლებიც ფართო მასებზე მიმართული და მათ თვალში ახდენს ევროპეიზაციის ლეგიტიმაციას (2003, 40). მოცემული კვლევიდან იკვეთება, რომ ქართულ რეალობაში ორივე მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი. განსაკუთრებით იმ ფონზე, რომ 2015 წლის ეროვნული გამოკითხის თანახმად, ევროკავშირში განევრიანების მომხრეთა მაღალი მაჩვენებლის პარალელურად, არცთუ უმნიშვნელოა ევრაზიულ კავშირში განევრიანების მომხრეთა რაოდენობაც (31%) (NDI, CRRC, 2015).

„მთავარი აქცენტი მაინც საზოგადოების გათვითცნობიერებულობის ამაღლებაზე უნდა გაკეთდეს იმიტომ, რომ პოლიტიკოსები მეტწილად საზოგადოებიდან მომდინარე იმპულსებს პასუხობენ, და თუ საზოგადოებაში ეს მოთხოვნა, რომ ჩვენ ვიართთ ევროინტეგრაციის გზაზე, ნარჩუნდება და საზოგადოებისთვის ეს პრიორიტე-

ტია, პოლიტიკოსები, ბუნებრივია, ამას პირდაპირ უპასუხებენ და ის პოლიტიკოსები იქნებიან წარმატებულები, ვინც ამას ადეკვატურად უპასუხებენ“ (ი.ჩ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

„დღეს, რეალური სურათიდან გამომდინარე, ალბათ, საჭიროა პოლიტიკოსებთან მუშაობა. ისინიც ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან, ისინიც ჩართულები არიან ამ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამიტომ აუცილებელია მათი ინფორმირებაც და ჩართვა ამ პროცესში“ (ვ.დ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

რესპონდენტთა შეფასებით, ერთი მხრივ, პრობლემა ისაა, რომ პროდასავლურმა პოლიტიკოსებმა მათი გზავნილების მოსახლეობამდე მიტანა შეძლონ, რისთვისაც შესაბამისი სტრატეგიები უნდა შეარჩიონ. ხაზგასმულია, რომ ხშირად მოსახლეობას პოპულისტური ლოზუნგების უფრო ესმის, რაც მათ სენტიმენტებს აღვივებს, ვიდრე პოლიტიკოსთა „დაფიქრებულ“ და „შენონილი“ არგუმენტაციისა. ამდენად, წარმატების მისაღწევად, პროდასავლურმა პოლიტიკოსებმა სწორედ მოსახლეობის სენტიმენტები უნდა გაიხადონ სამიზნედ; თან იმგვარად, რომ ეროვნული სენტიმენტები, რომლებიც ქართველებში უაღრესად ძლიერია, ევროპულს დაუკავშირონ (სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ზურაბ ჟვანიას ცნობილი ფრაზის „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი!“ ამგვარი რეზონანსი მოსახლეობაში).

„ბევრ პოლიტიკოსს ესმის, მაგრამ მათი ხალხს არ ესმის. აი, ვისაც ესმის, მაგალითად, დღევანდელ „ოცნების“ კოალიციაში, მიმაჩნია, რომ „რესპუბლიკელები“ ძალიან მომზადებულები არიან... მაგრამ, სამწუხაროდ, იმათი (რეჟისორების, მსახიობების) ესმის ხალხს, რადგან ისინი პოპულისტურ ლოზუნგებს იძახიან, „რესპუბლიკელები“ კი დაფიქრებულს, შენონილს და სთავაზობენ იმას, საით უნდა წავიდეს ქვეყანა“ (ი.დ., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

მეორე მხრივ კი, პრობლემად მიიჩნევა პოლიტიკოსების მხრიდან მოსახლეობისთვის არაადეკვატური გზავნილების მიწოდება, რადგან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, არაპოპულარულ გადაწყვეტილებებს პოლიტიკოსები ხშირად ევროკავშირის მოთხოვნებს მიანერენ, რაც ევროკავშირს იმ ჰეგემონურ მოთამაშედ წარმოაჩენს, რომელიც საქართველოს „თავს ახვევს“ მის რეგულაციებს და, ამ თვალსაზრისით, რუსეთისგან დიდად არ განსხვავდება.

„ინფორმაციის მიწოდებაც, ცოტა არ იყოს, არასწორად ხდება. როდ-

საც ხალხს ეუბნებიან, რომ რეგულაციების შემოღება ევროპის მოთხოვნაა, ასე ეუბნებოდნენ რუსეთზეც. იმ გლეხისთვის ერთი და იგივეა, თავს მოხვეულია ორივე, თუ არ აუხსნი, რომ ეს მისთვის არის კარგი. მიუხედავად იმისა, რომ ახლა ცოტა გაგვიჭირდება, მერე მოვიგებთ. არასწორი მესიჯები მიდის, რას გულისხმობს ის ჩინოვნიკი, ერთია, და რას ამბობს და როგორ ისმის, ეს მეორეა. ის ჩინოვნიკები არ მოამზადეს, არ დაატრენინგეს, რომ ასეთი რაღაცეების ლაპარაკი არ შეიძლება ტელევიზიით“ (მ.ი., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

აქვე ხაზგასმულია, ერთი მხრივ, თავად პოლიტიკური აქტორების მიერ საკუთარი ინფორმირებულობის ზრდაზე უწყვეტი ზრუნვა და, მეორე მხრივ, მოსახლეობისთვის პროევროპული კურსის უაღტერნატივობის შესახებ გზავნილების ინტენსიური მიწოდება, თუნდაც „აგრესიული პიარ-კამპანიის“ გზით.

„პრობლემა არის იმაში, რომ პლიტიკოსები რაღაც მომენტიდან არ ზრუნავენ თავისი განათლების ამაღლებაზე და გაღრმავებაზე. მაგალითად, მე ვიცი პროექტები, სადაც, ვთქვათ, პარლამენტის ტრენინგები და ა.შ. იყო, იქ დადის პარლამენტის უბრალო „სტაფი“; თითქმის არასდროს დადიან პარლამენტის წევრები რაღაც ლექციის მოსასმენად ან რაღაც ახლის გასაგებად... ევროპული ინტეგრაცია არ არის ისეთი მარტივი გასაგები და ეს არის მაინც ახალი მიმართულება. ნებისმიერი პოლიტიკოსი უნდა გადიოდეს ამას...“ (ლ.დ., ექსპერტი, სახელმწიფო სტრუქტურა).

„ძალიან უხეშად რომ ვთქვათ, მოსახლეობას არ უნდა მისცე საშუალება, იფიქროს სხვაზე, გარდა ევროპისა და ამისთვის შენ მას აგრესიული პიარ-კამპანია უნდა ჩაუტარო“ (მ.ნ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

ევროპეიზაციის ლეგიტიმაციის კუთხით, უაღრესად საინტერესოა, რომ წინა და ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები განსხვავებულ დისკურსებს გვთავაზობენ. თუ წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა მთავარი დისკურსი სწორედ იმაზე აქცენტირებაა, რომ მათი მმართველობის პერიოდში, ევროკავშირის ლეგიტიმაციის კუთხით არაერთი ეფექტიანი ნაბიჯი გადაიდგა, დღეს კი ამ მიმართულებით უამრავი ხარვეზია, ამჟამინდელი მმართველი გუნდის წარმომადგენელთა თქმით, ევროინტეგრაცია საერთო მიზანია და მისი მონოპოლიზაციისთვის ბრძოლას პოლიტიკურმა აქტორებმა თავი უნდა დაანებონ.

„თუ თოფადის განცხადებებს გავიხსენებთ, ეს განცხადებები არ არის ციდან ჩამოვარდნილი, ის სინამდვილეში გამოხატავს „ქართული ოცნების“ ბირთვის აზრს. მაგრამ ჩვენ გვაქვს მოცემულობა, როდესაც არის პროდასავლური საზოგადოებრივი აზრი, პროდასავლური ოპოზიცია, რომელიც პროდასავლური პოზიციებიდან უტევს მთავრობას. თოფადისნაირი ადამიანები, რომლებიც „ქართულ ოცნებაში“ უმრავლესობას წარმოადგენენ, ამ მოცემულობით შებოჭილები არიან... „ქართულმა ოცნებამ“ მოიტანა ანტიდასავლური იდეების „მეინსტრიმიზაცია“. ამის დაძლევის გზა არის, რომ ეს იდეები „მეინსტრიმში“ არ შემოვუშვათ. როდესაც პოლიტიკოსი ამას იტყვის, ეს უნდა იყოს პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი“ (დ.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

„მთავარია, რომ ჩვენ შევთანხმდეთ, რომ არავის საკუთრება არ არის ეს თემა, მაგალითად, „თავისუფალი დემოკრატიების“ თუ „ქართული ოცნების“. ეს არის უნიკალური საშუალება, რომ ჩვენი ქვეყანა გახდეს ნორმალური, მონესრიგდეს, შექმნას ინსტიტუტები და ამას ვაძლიერებთ... ჩვენი სტრატეგიული თუ პოლიტიკური მესიჯი უნდა ჩამოვყალიბოთ, რომ ამას ფრანგებისთვის თუ იტალიელებისთვის კი არ ვაკეთებთ, არამედ ჩვენთვის...“ (ი.ხ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ევროპეიზაცია?

რადგან ევროპეიზაციის პროცესში ორი მხარეა ჩართული – ევროკავშირი და ევროპეიზაციის პროცესში მყოფი ქვეყანა, ამიტომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ბრიუსელიდან წამოსული სიგნალებისა და მათზე რეაქციის, არამედ იმ პოლიტიკური პარადიგმებისა და ნორმების გათვალისწინებაც, რომელთაც სახელმწიფოები ევროკავშირთან ადაპტაციის პროცესში შეიმუშავებენ და საკუთარი თამაშის წესებად აქცევენ. ამ შემთხვევაში, ევროკავშირი მათთვის პარადიგმების წყაროდ მოიაზრება და არა უბრალოდ ზენოლის მექანიზმად (Radaelli, Pasquier, 2007). მართალია, როგორც წესი, ევროპეიზაციის პროცესს განიხილავენ, როგორც ევროცენტრულს (Olsen, 1996) და ზემოდან ქვემოთ მიმართულს (Grabbe, 2003, 2006; Schimmelfennig and Sedelmeier, 2005; Sedelmeier, 2011; Copeland, 2014; Borzel, 2015; Zhelyazkova et al., 2015), მაგრამ მიიჩნევა, რომ ევროპეიზაცია, იმავე

დროულად, ქვემოდან ზემოთ მიმართული პროცესიცაა (Borzel, 2002, 2005; Goetz, 2005). კომპლექსური მოლაპარაკებების პროცესში მყოფი ქვეყნები ბრიუსელს „აუტვირთავენ“ საკუთარ საჭიროებებს და „ჩამოტვირთავენ“ მათ „ევროკავშირის პოლიტიკის მრავალფეროვანი მენიუდან“ (Radaelli, 2003, 34). აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც კვლევები აჩვენებს, ძველ კანდიდატებს ამ პროცესზე გავლენის მოხდენის ბევრად მეტი შესაძლებლობა ეძლეოდათ, ვიდრე ახალ კანდიდატ და ნევრობის მსურველ ქვეყნებს, რადგან დროთა განმავლობაში, ევროკავშირმა გაართულა ნევრად მიღების ფორმალური პირობები და შეზღუდა შეღავათებზე აპლიკანტთა მოლაპარაკების შესაძლებლობები (Grabbe, 2003, 305).

არსებული კვლევები ადასტურებს, რომ არათუ ნევრობის მსურველი ქვეყნების, არამედ ახალი ნევრი ქვეყნების სტატუსიც კი ევროკავშირის შიგნით, აღმოსავლეთ გაფართოებიდან 10 წლის შემდეგ, შეიძლება აღინეროს, როგორც „უმცროსი პარტნიორისა“, მიუხედავად ევროკავშირის ნევრების გაცხადებული თანასწორობისა (Copeland, 2014). თუმცა, უახლესმა კვლევებმა ისიც გამოავლინა, რომ უფრო პატარა, მდიდარი, კარგად მართული და ევროსკეპტიკური კანდიდატი თუ ინტეგრაციის მსურველი ქვეყნები დისკრიმინაციის ნაკლებ ხარისხს განიცდიან და მეტ შეღავათებს იღებენ ევროკავშირის მხრიდან (Zhelyazkova et al., 2015). ამ თვალსაზრისით, საქართველო, როგორც საკმაოდ ღარიბი ქვეყანა, რომელიც ჯერ კიდევ დემოკრატიული გადასვლის პროცესში იმყოფება და, ამავე დროს, საკმაოდ მაღალი პროვეროპული განწყობებით გამოირჩევა, ევროკავშირთან აშკარა ასიმეტრიულ მიმართებაშია. ეს ასიმეტრია განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოვლინდა 2016 წლის ივნისში, როცა, ვიზალიზერალიზაციისთვის აუცილებელი ყველა პირობის დაკმაყოფილების მიუხედავად, ევროკავშირმა საქართველოს უფიზო მიმოსვლაზე უარი უთხრა და ამ საკითხის განხილვა შემოდგომისთვის გადაავადა. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, საინტერესოა, როგორ აფასებენ კვლევაში მონაწილე პოლიტიკოსები და ექსპერტები საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობას ძალაუფლებრივი იერარქიის ქრილში.

უნდა აღინიშნოს, რომ კოალიცია „ქართული ოცნების“ მოქმედი და ყოფილი („თავისუფალი დემოკრატები“) წარმომადგენლები განსაკუთრებით ერიდებიან ევროპეიზაციის ვერტიკალურ პროცესად სახელდებას და ევროკავშირის უფროს და უპირატეს პარტნიორად წარმოიჩინას. ევროკავშირთან საქართველოს თანასწორი პარტნიორობის

არგუმენტად მათ მოჰყავთ ის ფაქტი, რომ საქართველომ ნებაყოფლობით მოაწერა ხელი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას; შესაბამისად, ნებაყოფლობით აიღო ევროკავშირის რეგულაციების შესრულებაზე პასუხისმგებლობა. ევროკავშირთან დაახლოება არ ყოფილა საქართველოსთვის თავსამოხვეული, არამედ ქვეყნის დამოუკიდებელი პოლიტიკური არჩევანია.

„მე ვფიქრობ, რომ ეს არის ჰორიზონტალური ურთიერთობა. მათ აქვთ თავიანთი წესები. ჩვენ გვინდა ვიყოთ ამ წესების მონაწილე და ის გვეუბნება, „კი, ბატონო.“ იერარქია და ნუმერაციაც კი არა აქვს ასოცირების შეთანხმებას, სხვათა შორის. ხელმოწერების ბოლოში რომ ნახოთ, ნუმერაციაც კი არა აქვს“ (ი.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

„ეს არის შეთანხმებული კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც ასოცირების შეთანხმებაშია ჩამოთვლილი. ამ დოკუმენტზე წლების განმავლობაში მიმდინარეობდა მუშაობა, მოლაპარაკებები და შეთანხმებულია ტექსტი. რა თქმა უნდა, ტექსტში იგულისხმება დირექტივები, ეს არის ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოების შესაძლებლობა, თუმცა საქართველოს ხელისუფლება ამას ახორცილებს ნებაყოფლობით“ (ვ.დ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

საინტერესოა, რომ აღნიშნული თემის გაშლასთან ერთად, რესპონდენტების ნარატივში სულ უფრო მეტად ჩნდება ისეთი სიტყვები და შეფასებები, რომელიც ნათლად მიუთითებს ევროკავშირის უპირატეს მდგომარეობაზე საქართველოსთან, როგორც პარტნიორ ქვეყანასთან, მიმართებაში; მაგალითად, ევროკავშირის „მოთხოვნები“, „წესები“, „დირექტივები“, ევროკავშირის სტანდარტების „მორგება“, „კონტროლი“, „დახმარება.“ გარდა ამისა, რესპონდენტთა მსჯელობაში იკვეთება ევროკავშირთან ურთიერთობაში „თუ..., მაშინ...“ დამოკიდებულების არსებობაც.

„ეს დამოკიდებულია საქართველოზე, როგორ განაწყოთ ევროკავშირს შენ მიმართ. თუ ადეკვატური ხარ იმ მოთხოვნების მიმართ, რომელსაც ევროკავშირი გიყენებს და არ გაქვს პრობლემები მათ შესრულებასთან, რა თქმა უნდა, მაშინ თანაბარ პარტნიორად აღგიქვამს და გიყალიბდება პარტნიორული ურთიერთობა. მე მგონია, პრაქტიკების დანერგვა ნებაყოფლობითია, რადგან ჩვენ ავირჩიეთ ეს ჩვენ მიმართულებად და ეს მოსახლეობის გამოხატული ნებაა.“

ევროკავშირის მხარე არ გეუბნება, როგორ გააკეთო რაღაც, არ მოდის დოგმატური ინსტრუქციები, ეს არის სარეკომენდაციო ხასიათის რჩევები, ის სტანდარტები, რაც ევროკავშირს აქვს და შენ უნდა მოარგო შენს სტანდარტებს“ (ე.თ, პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

„ევროკავშირი არის სახელმწიფოთა გაერთიანება, რომელსაც აქვს თავისი წესები. თუ გინდა, რომ დაუახლოვდე, შენ უნდა დაუახლოვდე და ის უნდა დაგეხმაროს; ის ვერ დაუახლოვდება შენ წესებს, ანუ ცვლილებებისადმი მოთხოვნა ერთმხრივია; თუ გვინდა, უნდა გავატაროთ, არავინ გვავალდებულებს. ამიტომ ჩვენ ვიღებთ ევროკავშირის რეკომენდაციებს; თან ევროკავშირი მარტო რეკომენდაციებს კი არ გვეუბნება, გვინევს კიდევ დახმარებას ამ პროცესში“ (ბ.შ., სამთავრობო სტრუქტურა).

აღსანიშნავია, რომ საქართველო-ევროკავშირის პარტნიორობის არაასიმეტრიულად წარმოჩენის არგუმენტს საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები და მასთან ასოცირებული რესპონდენტები იმით აძლიერებენ, რომ ხაზს უსვამენ ევროინტეგრაციის პროცესში ევროკავშირის ლოიალურ და მეგობრულ დამოკიდებულებას საქართველოს მიმართ. უმრავლესობის ერთ-ერთი წარმომადგენელი ევროკავშირთან მოლაპარაკებების წარმოების მოქნილობაზე ამახვილებს ყურადღებას და აღნიშნავს, რომ ევროკავშირი, თავისი გამოცდილებით, ექსპერტებით და ფინანსებით, საქართველოს ევროპეიზაციის თანმხლები სირთულეების დაძლევაში ეხმარება; თუმცა საქართველო თავად მიუთითებს ამ სირთულეების შესახებ. ასევე, აღინიშნა, რომ სათანადო არგუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, ევროკავშირი საშუალებას აძლევს ქართულ მხარეს, ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების პროცესში ცვლილებები თუ შესწორებები შეიტანოს.

„ასოცირების ხელშეკრულებაზე რომ მიდიოდა მოლაპარაკებები, ზუსტად მაგ კუთხით მიმდინარეობდა, რომ ეს ევროკავშირის მოთხოვნები მოგვერგო ჩვენთან; ჩვენ ვეუბნებით, ამას ვერ გავაკეთებთ, ამას ასე გავაკეთებთ...“ (ბ.შ., სამთავრობო სტრუქტურა).

დამოუკიდებელი ექსპერტები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები უფრო კრიტიკულად აფასებენ ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობებში არსებული იერარქიის

საკითხს. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყნებს შორის თანასწორობა დეკლარირებული ღირებულებაა, რომლის ამოკითხვა ასოცირების ხელშეკრულების პრეამბულაშიც არის შესაძლებელი. თუმცა, რეალობაში, თამაშის წესებს მხოლოდ ევროკავშირი ადგენს და თუ ქვეყანა, თავისი ნებით, ევროკავშირთან ასოცირების სივრცეში შედის, პროცესში ავტომატურად ერთვება ევროკავშირის გარკვეული იმპერატივები, შესაბამისად, ძალაუფლების ასიმეტრიული ურთიერთობები.

„ასოცირების ხელშეკრულების პრეამბულაში არის ნათქვამი, არაფორმალურად, ეს არის პროცესი, როდესაც ის გინებს თამაშის წესებს, რომლის მიხედვითაც შენ უნდა იმოქმედო. როცა ევროპა ეუბნება საქართველოს, რა უნდა გააკეთოს, თუმცა ეს იფუთება ისე, რომ ეს სჯობია შენთვის, რეალურად, მართლა სჯობია; მაგრამ ფაქტია, რომ ეს მოლაპარაკებები არის ასიმეტრიული“ (ზ.ც., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

გამოვლინდა განსხვავებული მოსაზრებაც, კერძოდ, რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროინტეგრაციის პროცესში ერთდროულად მოქმედებს ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართება, რადგან ევროკავშირთან ურთიერთობა ვერტიკალურია, როდესაც საქმე რეგულაციებს ეხება, თუმცა ჰორიზონტალურია, როდესაც საქმე იმავე რეგულაციების აღსრულების ვადებს ეხება.

თუმცა, რიგი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებისა და ექსპერტების შემთხვევაში, ევროკავშირი-საქართველოს პარტნიორობის „გარომანტიულების“ მცდელობაც გამოვლინდა, რისი ნიშნულია ევროკავშირი-საქართველოს ურთიერთობების მენტორი-მონაფის ურთიერთდამოკიდებულების ანალოგად განხილვა. ბუნებრივია, მონაფის როლში საქართველო მოიაზრება, ხოლო მენტორის როლში – ევროკავშირი. ასეთი ანალოგის საფუძველზე, რესპონდენტები ცდილობენ, ევროკავშირსა და პარტნიორ ქვეყანას შორის თანასწორობას გაუსვან ხაზი იმის ჩვენებით, რომ ორივე მხარე საკუთარ მოვალეობას ასრულებს: ევროკავშირი (ინსტიტუციურად განვითარებული მხარე), როგორც მენტორი, ცოდნას ავრცელებს, ხოლო საქართველო (განვითარების პროცესში მყოფი მხარე), როგორც მონაფე, მისი მენტორის დარიგებებს მისდევს. აქ თვალსაჩინოდ ვლინდება ელიასის (1994) მიერ აღწერილი „ცივილიზაციის დისკურსის“ ძალა და საქართველოს შემთხვევის საოცარი მსგავსება

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების შემთხვევებთან, სადაც ადგილობრივი ელიტები განიხილავდნენ ევროპეიზაციის პროცესს, როგორც „მოდერნიზაციის ყველაზე ავთენტურ ფორმას“ (Melegh, 2006, 118).

„მასწავლებელი“ ევროკავშირი თავის მოსწავლეს ინდივიდუალური აზროვნებისკენ მოუწოდებს, ეუბნება რა საქართველოს, განახორციელოს ევროპული დირექტივების ზეგავლენის შეფასება, არ აძლებს ევროპული კანონების კოპირებას და მუდმივად აძლევს უკუკავშირს. სხვა სიტყვებით, ევროკავშირი საქართველოს უყურებს, როგორც უმცროს პარტნიორს, მაგრამ კარგი გაგებით“ (ი.დ., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

„მასწავლებლის ინტერესია, რომ თავისი პროფესიული ვალდებულება განახორციელოს. მონაფის ინტერესია, რომ გაიზარდოს. ასეთი ინტერესია დაახლოებით ჩვენ შემთხვევაში. რა თქმა უნდა, სამართლებრივად, ჩვენ ვართ აბსოლუტურად თანასწორუფლებიანი – ჩვენ და ევროკავშირი. თუმცა, ჩვენ გამოვდივართ მონაფის როლში და ევროკავშირი მასწავლებლის როლში, ანუ ჩვენ ვიღებთ იმას, რასაც გეუბნება ევროკავშირი, ვიზიარებთ და ვნერგავთ. მაგრამ აქ არ შეიძლება არ გავუსვათ ხაზი იმას, რომ თვითონ ევროკავშირის მოთხოვნებში არის ჩვენი მხრიდან ყველა კანონის მიღებისას ზეგავლენის ანალიზის გაკეთება. შენ ეუბნები ევროკავშირს, რომ მე ეს უნდა გადავავადო, ამ მომენტში მზად არა ვართ ამის დასაწერგად და ის, პირიქით, გეუბნება, რომ ძალიან სწორია, ყოჩაღ, რომ აღმოაჩინე ეს იმიტომ, რომ სხვა შემთხვევაში, ასე ვთქვათ, უფრო მეტ რალაცას დავაზიანებდით, ანუ ამაზე არის საუბარი. ეს არის ურთიერთობა, როდესაც, რა თქმა უნდა, ჩვენ მეტს ვასრულებთ ევროკავშირის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ვიდრე ისინი ჩვენი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ჩვენთვის ისეთივე მომგებიანია ეს, როგორც ევროკავშირისთვის“ (ლ.დ., ექსპერტი, სახელმწიფო სტრუქტურა).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რამდენიმე რესპონდენტმა, ევროკავშირი-საქართველოს ასიმეტრიული ურთიერთობის კონტექსტში, ყურადღება ევროკავშირის პოლიტიკური ნების ბუნდოვანებაზე გაამახვილა, სურს თუ არა მას საქართველოს შემდგომი ინტეგრაციის წახალისება. რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ეს საკითხი საქართველოსთვის კვლავ გამონვევად რჩება, რადგან, მართალია, ასოცი-

რების ხელშეკრულების სახით საფუძველი შექმნილია, ევროკავშირს აქვს შესაძლებლობა, საქართველოს მასთან დაახლოება ხელოვნურად გაახანგრძლივოს. ამის რამდენიმე მიზეზი დასახელდა, მათ შორის ისიც, რომ ევროკავშირს „ზომაზე მეტად ეშინია რუსეთის გაღიზიანების“ (თ.ე., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა) და, ამასთან, უკრაინის შემთხვევიდან გამომდინარე, „ევროკავშირმა დაიწყო ფიქრი იმაზე, რომ ჩვენ რაც არ უნდა გავუკეთოთ საქართველოს და უკრაინას, ჩვენ რომ გვგონია, ვაკეთებთ კარგს, რეალურად, ეს შეიძლება იყოს ცუდი“ (ჩ.მ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია). ამდენად, რუსეთის ფაქტორი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროინტეგრაციის პროცესის დამაბრკოლებელ გარემოებად მიიჩნევა.

გაჟღერდა მოსაზრებაც, რომ ევროინტეგრაციის შემაფერხებელი მნიშვნელოვანი ფაქტორია ის არასახარბიელო იმიჯიც, რითაც საქართველო ევროპაში სარგებლობს; კერძოდ, „ესპანეთში ქართული მაფიაა, საბერძნეთში ქართული მაფიაა, რომში აღმოჩნდა ქართული მაფია, გერმანიაში ასე ვერა, მაგრამ ადგილ-ადგილ ხომ რაღაცეები ხდება. აი, ამის გამო გვამუხრუჭებენ და არა მათ გამო, ვინც აქ ცხოვრობს, ჩვენ გამო კი არა“ (ი.დ., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

შესაბამისად, იმ რეალობის ფონზე, რომ „პრიუსელი გვიყურებს“ (ი.ხ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა) და „კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, უნდა იყოს თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრი, ცხადია, არ არსებობს“ (დ.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა), ქართული მხარის ამოცანაა, დაანახოს ევროკავშირს, რომ ქვეყნის ევროპეიზაცია მისთვის უმთავრესი პრიორიტეტია. ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტი როლი საქართველოს მხრიდან საერთაშორისო არენაზე განსაკუთრებულ აქტიურობას მიენერება, რაც, რესპონდენტთა შეფასებით, სათანადოდ ვერ ხორციელდება.

„სწორედ ეს არის საქართველოს გამოწვევა, იაქტიუროს და შეანუხოს მეგობრები. ასე კეთდება საგარეო პოლიტიკა, განსაკუთრებით პატარა ქვეყნებისთვის, ხშირად იარო, ტვინი შეუჭამო, რომ შენი ინტერესები წინ წაწიონ. ამას საქართველოს მთავრობა არ აკეთებს არც ერთ დონეზე“ (დ.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

ევროპეიზაციის მექანიზმები ქართულ რეალობაში

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დეფინიციის თანახმად, ევროპეიზაცია ევროკავშირის ფორმალური და არაფორმალური წესების, ნორმებისა და „საქმის კეთების“ ეროვნულ დონეზე დანერგვას გულისხმობს, რაც არა მხოლოდ საჯარო პოლიტიკის, არამედ შინაური დისკურსისა და იდენტობების სფეროებსაც ეხება (Radaelli, 2003, 30). ამდენად, ტერმინი „ევროპეიზაცია“ განიხილება ეროვნული დონის ცვლადების ტრანსფორმაციის აღსანიშნავად, ევროპულ მოდელთან ადაპტაციის პროცესში. ამხსნელი თეორიის ძიების ერთ-ერთ სანყის მცდელობას „შეუსაბამობის მოდელის“ შექმნა წარმოადგენდა, რომელიც ადგილობრივ და ევროპულ დონეებს შორის შესაბამისობა-შეუსაბამობით ხსნიდა ადაპტაციის ხარისხს ეროვნულ დონეზე (Börzel and Risse, 2000; Caporaso et al., 2001).

ავტორები, რომლებიც ევროპეიზაციას იკვლევენ, უმეტესად მის ოთხ შესაძლო შედეგზე საუბრობენ: *ინერცია*, როდესაც ცვლილებას არა აქვს ადგილი; *შემცირება*, როგორც შედეგი, რომელიც „პარადოქსულ ეფექტად“ შეიძლება განვიხილოთ, რადგან ამ დროს შეუსაბამობების რიცხვი, კლების ნაცვლად, იზრდება; *აბსორბაცია*, რაც, ფაქტობრივად, ადაპტაციას ნიშნავს და გულისხმობს, რომ ევროკავშირის მოთხოვნების ინტეგრირება ეროვნულ პოლიტიკურ სისტემებში ისე ხდება, რომ არსებით ცვლილებებს არ მოელოდნენ; და *ტრანსფორმაცია*, როდესაც ადგილობრივი სისტემა ფუნდამენტურ ცვლილებებს განიცდის ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად (Börzel and Risse, 2003). უდავოა, რომ ევროპეიზაციის შედეგების კვლევა უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა პოლიტიკის მეცნიერებისგან განსხვავებით, სოციოლოგები გვთავაზობენ ყურადღების გამახვილებას არა მხოლოდ ადაპტაციაზე, არამედ ევროინტეგრაციის პროცესის „გამოყენებაზე“, რაც განმსაზღვრელად მიაჩნიათ ტრანსფორმაციის პროცესის ასახსნელად. როგორც შესავალში აღინიშნა, „გამოყენების“ ქვეშ იგულისხმება როგორც აქტორების სტრატეგიული ინტერაქცია ევროპულ ინსტიტუტებთან, ისე ამ „გამოყენების“, როგორც ყოველდღიური პრაქტიკის, გავლენა აქტორთა ინტერესებსა და იდენტობებზე (Jacquot and Woll, 2003, 3), რაც რადეალის ზემოხსენებულ დეფინიციაშიც არის ხაზგასმული.

ევროპეიზაციაზე საუბრისას ორ ფაზას განასხვავებენ: განწევრიანებამდე და განწევრიანების შემდგომ. ამ ფაზებს უკავშირდება *EU*

Acquis განვითარების ორი ეტაპი – სტანდარტების გადმოტანისა და დანერგვის. სტანდარტების გადმოტანა და დანერგვა, ერთი მხრივ, ევროკავშირიდან ან ქვეყნის შიგნიდან იმართება, მეორე მხრივ კი, „მიზნუშედეგობრიობის ლოგიკას“ ან „შესაბამისობის ლოგიკას“ ეფუძნება (Schimmelfenning, 2012, 6).

მიზნუშედეგობრიობის ლოგიკის თანახმად, ევროპეიზაციის პროცესს ევროკავშირის მხრიდან პირობითობის მექანიზმი წარმართავს, რაც სანქციებისა და ჯილდოს პრინციპზეა აგებული. პირობითობა შეიძლება იყოს ნეგატიური, ვთქვათ, ევროკავშირის მხრიდან მუქარა ბილატერალური შეთანხმებების შეჩერებისა, მხარდაჭერის შეწყვეტისა და პოლიტიკური სანქციების განხორციელებისა (მაგ.: ვიზალიზაციის დაბრკოლება); შესაძლოა, ევროკავშირმა პოზიტიური პირობითობა გამოიყენოს, ანუ დააჯილდოვოს ამა თუ იმ ქვეყნის პროგრესი შიდა ბაზარში უფრო სწრაფი ინტეგრაციით, სავიზო რეჟიმის გამარტივებით და ა.შ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირი ყოველმხრივ ერიდება ნეგატიური პირობითობის გამოყენებას და უმეტესად პოზიტიურ პირობითობას იყენებს, როგორც პოლიტიკური ცვლილებებისთვის ბიძგის მიმცემ მთავარ მექანიზმს (Borzel, 2015, 21).

შესაბამისობის ლოგიკის თანახმად კი, ევროპეიზაციის პროცესის წარმართველია *სოციალური დასწავლა თუ სოციალიზაცია*: სამიზნე ქვეყნები რწმუნდებიან ევროკავშირის ნორმების სარგებლიანობაში, თუ ეს ნორმები ლეგიტიმურად მიაჩნიათ და თუ საკუთარი თავის ევროკავშირთან იდენტიფიცირებას ახდენენ (Schimmelfenning, 2012, 7). მიჩნეულია, რომ სოციალიზაციის პროცესს კანდიდატი და წევრობის მსურველი ქვეყნებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს, მათი აღიარებისა და წევრობის ლეგიტიმაციის მიზნით (Stivachtis, 2006). ქვეყნების სოციალიზაციის პროცესში ორი მნიშვნელოვანი კომპონენტია: ა) განვერიანებამდე ქვეყანამ საკუთარი თავის მომზადებაზე უნდა იზრუნოს, რათა განვერიანებისთანავე შეძლოს დაკისრებული მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესრულება და ბ) ქვეყანამ საერთაშორისო საზოგადოებას უნდა დაუმტკიცოს, რომ ის ღირსეული პოტენციური წევრი-სახელმწიფოა. თუმცა, შესაძლოა, პოლიტიკური ელიტა იმდენად ორიენტირდეს სასურველ პერფორმანსზე, რომ რეალურად კი არ აღეუვებდეს ევროპეიზაციის ხელშეწყობა, არამედ მოჩვენებითი ეფექტი შექმნას, საკუთარი ქვეყნის უკეთესი პოზიციონებისა და მოსალოდნელი ჯილდოს სწრაფად მისაღებად (Schimmelfenning, 2012). ამდენად, აუცილებელია, რომ სოციალიზაციის პროცესს

გარკვეული „კოგნიტური ცვლილება“ ახლდეს, რათა ევროპეიზაცია მხოლოდ ქალაქებში არ დარჩეს (Sotiropoulos, 2004, 267).

ევროკავშირის ნორმების ათვისება, შესაძლოა, ევროკავშირის მხრიდან პირობითობის ან სოციალიზაციის გამო კი არ ხდებოდეს, არამედ იმიტომ, რომ ქვეყანა უკმაყოფილო იყოს მართვის ადგილობრივი სისტემით, იმავდროულად, ქმედითად და წარმატებულად მიაჩნდეს ევროკავშირის გარკვეული რეგულაციები და სწორედ მათი გადმოღებით ცდილობდეს ადგილობრივი პრობლემების მოგვარებას. ეს პროცესი ცნობილია სახელწოდებით „ევროპეიზაცია ევროკავშირის გარეშე“ (Irondelle, 2003). თუმცა, როგორც კვლევები აჩვენებს, მსგავსი მოვლენა გამონაკლისს უფრო წარმოადგენს და ევროინტეგრაციის მსურველი ქვეყნების ქმედებებს, როგორც აღმოსავლეთ გაფართოების, ისე სამეზობლო პოლიტიკის შემთხვევაში, უმეტესად, პირობითობის მექანიზმი წარმართავს (Schimmelfennig, 2010; Sedelmeier, 2011).

პირობითობის ფაქტორი განსაკუთრებით ძლიერია განვერძინებად ფაზაზე, რაც მიზნად ისახავს, რომ ადმინისტრაციულმა სტრუქტურებმა ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესი გააკონტროლონ (Maniokas, 2009). აღმოჩნდა, რომ სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებისთვის აქტიურად მუშაობს თვითპირობითობის მექანიზმიც, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნები, რომელთაც ევროკავშირის წევრობა სურთ, ისე იქცევიან, თითქოს ისინი მეტი პირობითობის ფარგლებში განიხილებიან, აგზავნიან სიგნალებს, რომ მზად არიან, შეუერთდნენ წევრებს და ცდილობენ, ევროკავშირი დაარწმუნონ, რომ ისინი კანდიდატებად განიხილოს (Schimmelfennig, 2010, 15). ამასთან, სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში ევროკავშირის ნორმების დანერგვის მაღალი მზაობაა იქ, სადაც იმედი აქვთ, რომ სამომავლოდ ევროკავშირის წევრები გახდებიან (Sedelmeier, 2011; Schimmelfennig, 2012; Borzel, 2015). სხვა შემთხვევაში, ევროკავშირის წესებზე ორიენტირება ამ ქვეყნებში დამოკიდებულია ევროკავშირზე ასიმეტრიული დამოკიდებულების ხარისხსა და შესაბამის „ვაჭრობის უნარზე“, რომელზეც, არსებული კვლევების თანახმად, ევროინტეგრაციის მსურველი ქვეყნის ზომა, ეკონომიკური სიძლიერე, მართვის სისტემა და პროევროპული/ევროსკეპტიკური განწყობების არსებობა ახდენს გავლენას. აღმოჩნდა, რომ უფრო პატარა, მდიდარი, კარგად მართული და ევროსკეპტიკური კანდიდატები „ვაჭრობის“ უკეთესი უნარით

გამოირჩევიან, შესაბამისად, ევროკავშირის მხრიდან მეტ შეღავათებას იღებენ (Zhelyazkova, Borzel, Schimmelfennig and Sedelmeire, 2015).

სწორედ ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა უნდა განვიხილოთ საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის ევროპეიზაციის ჩარჩოდ (Schimmelfennig, 2012), რომლის პირობებშიც სამი პრინციპი მოქმედებს: 1. პოლიტიკური პირობითობის გამოყენება, როგორც ნორმების გავრცელების მთავარი ინსტრუმენტი. აქ მთავარ პრინციპად „დიფერენციაცია“ მიიჩნევა, რაც გულისხმობს, რომ ევროკავშირის რეგულაციები თანაბრად არ ვრცელდება ევროინტეგრაციის ყველა მსურველზე. დიფერენციაცია ორი ფორმით გამოიხატება: ევროკავშირის მხრიდან შეღავათებითა და დისკრიმინაციით. ბუნებრივია, რომ ინტეგრაციის მსურველი ქვეყნები ცდილობენ მაქსიმალური შეღავათების მიღებას და დისკრიმინაციის არიდებას, რაც მათ ჰეტეროგენულობასა (ევროკავშირის წევრებისგან განსხვავებულობასა) და ზემოხსენებული „ვაჭრობის უნარზე“ დამოკიდებული. რაც უფრო მაღალია ჰეტეროგენულობა და სუსტია „ვაჭრობის უნარი“, მით მეტად აქვს ადგილი დიფერენცირებულ ინტეგრაციას (Zhe-lyankova et al., 2015, 21); 2. ევროკავშირის მცდელობა, ამ ქვეყნებში ლიბერალური ღირებულებები გაავრცელოს, რაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც ადგილობრივ ვეტო მოთამაშეებზე (მაგალითად, ევრაზიული კავშირის მომხრეებზე), ისე პოლიტიკური ელიტის მხრიდან ევროკავშირთან „ნორმატულ შეჯიბრზე“ (მაგალითად, საქართველო ცდილობს მისთვის ძვირადღირებული ევროპული პოლიტიკის გატარებას, იქცევა რა ისე, თითქოს წევრობის აშკარა პერსპექტივა ჰქონდეს) (Borzel, 2015, 24)). როგორც კვლევები აჩვენებს, ევროკავშირის გავლენის მიმართ ქვეყანა მით უფრო ღიაა, რაც უფრო სუსტია მისი ინსტიტუტები და რაც უფრო მოტივირებულია EU Acquis მიიღოს, როგორც ნიმუში ადგილობრივი კანონმდებლობის გასამართად (Maniokas, 2009); 3. აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში დაგეგმვის, ანგარიშგების და მხარდაჭერის მსგავსი პროცედურების გამოყენება, რაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კანდიდატ ქვეყნებში იქნა გამოყენებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ „აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ევროკავშირის ნორმების და ღირებულებების რეზონანსი შიდა ინსტიტუტებთან ბევრად დაბალია, ვიდრე ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რადგან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ‚მეგობრებად‘ და ‚მეზობლებად‘ გამოცხადებით [თუნდაც ეგიდით

„პრივილეგირებული პარტნიორობა მეზობლებთან’], ევროკავშირმა ნათლად გამოხატა, რომ მათ „კლუბის წევრებად“ არ განიხილავს“ (Borzal, 2015, 23).

წარმოდგენილი კონტექსტის გათვალისწინებით უნდა გავაანალიზოთ ჩვენი ემპირიული კვლევის მონაცემები. როგორც კვლევის შედეგები ადასტურებს, საქართველოში ევროპეიზაციის წარმართველი მექანიზმია პირობითობა და არა სოციალიზაცია ან ევროპეიზაცია ევროკავშირის გარეშე. მართალია, ასოცირების ხელშეკრულება განხილულია, როგორც მთავარი სამოქმედო დოკუმენტი თუ ქვეყნის „მოდერნიზაციის გეგმა“, რომლის შესრულებამაც ნანატრი ცვლილებები უნდა მოიტანოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, მაგრამ აღნიშნულია, რომ რეგულაციების ამოქმედება და სტანდარტების დამკვიდრება სწორედ იმის გამო ხდება, რომ ამას ასოცირების ხელშეკრულება ავალდებულებს ქვეყანას და ძალიან იშვიათად იმის გამო, რომ პოლიტიკის შემქმნელები მათი დამკვიდრების აუცილებლობას ხედავენ. მართალია, გაცნობიერებულია არაერთი სტანდარტისა თუ რეგულაციის მნიშვნელობა, მაგრამ, დომინანტური დისკურსის თანახმად, მათ ამოქმედებაზე მუშაობა სწორედ იმიტომ დაიწყო, რომ ეს უკვე ხელშეკრულებითაა გამყარებული.

„ამ სტანდარტების დანერგვა აუცილებელია რომელიმე სფეროს განვითარებისთვის და აუცილებელია იმიტომ, რომ ევროკავშირი ითხოვს ამას. ჩვენ შეგვეძლო ეს პროცესი დაგვეწყოს 2-3 წლის შემდეგ, მაგრამ, რადგან გვაქვს ასოცირების შეთანხმება, სადაც ეს ვალდებულებები ავიღეთ, ახლა ვინცებთ ამ პროცესს“ (ნ.დ., სამთავრობო სტრუქტურა).

ამის საპირისპიროდ, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ის, რაც საქართველოს პროგრესისთვისაა საჭირო და ის, რაც ასოცირების დოკუმენტშია განერილი, ერთმანეთს ემთხვევა. ქართული მხარე სიახლეებს ნერგავს არა ხელშეკრულების განხორციელების ვალდებულების გამო, არამედ იმიტომ, რომ ეს მას „აწყობს.“ აქვე ისიც ხაზგასმულია, რომ ყველა ნორმა როდია განერილი, თუნდაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმებაში (DCFTA), მაგრამ, ვინაიდან ხელისუფლების მიერ გაცნობიერებულია სხვადასხვა სფეროში რეფორმების გატარების აუცილებლობა, შესაბამისი სამუშაოებიც დაწყებულია. მიუხედავად იმისა, რომ ყველა

სფერო რეგულაციების ევროკავშირთან თანხმობაში მოყვანას არ ითვალისწინებს, ცვლილებები, რომელთა განხორციელებაზეც მუშაობენ, ისევ ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას გულისხმობს.

„ერთი და იგივეა დაახლოებით. ზუსტად იმიტომ არის ღირებულები ევროინტეგრაცია, რომ ემთხვევა ჩვენი განვითარების პრიორიტეტებს; შესაბამისად, რეფორმები იმიტომ კი არ ხორციელდება, რომ მაინცდამაინც ევროკავშირის მოთხოვნებია, არამედ იმიტომ, რომ ქვეყნის მოდერნიზაციისთვის არის საჭირო“ (ბ.შ., სამთავრობო სტრუქტურა).

„არ ვიცი, ყველა სფეროზე ვერ ვიტყვი, მაგრამ, ვთქვათ, სურსათის უვნებლობაში არის რალაც საკითხები, რომლებიც არ შედის ევროკავშირის აპროქსიმაციის გეგმაში, მაგრამ ჩვენი ხელისუფლება აცნობიერებს, რომ ამ სფეროებშიც საჭიროა რეფორმების განხორციელება, და შესაბამისად, რა რეფორმებიც განხორციელდება, თუ ნორმატიული აქტები შემუშავდება, ცხადია, რომ ეს ნორმატიული აქტები უნდა იყოს შესაბამისაობაში, არ ვამბობ 100%-ით, მაგრამ ევროპული ნორმების ანალოგი უნდა იყოს. ეს წინსწრება კი არ არის, არამედ ობიექტური რეალობიდან და ჩვენი საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება“ (ზ.ლ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

აქ, თითქოს, გატარებულია ევროკავშირის გარეშე ევროპეიზაციის იდეა, თუმცა, როცა პოლიტიკოსებისა და ექსპერტების ნარატივებს ვულრმავდებით, ვრწმუნდებით, რომ რეფორმების გატარების მთავარი მოტივი სწორედ პირობითობაა, რომელიც ხშირად თვითპირობითობის ფორმასაც იღებს, რათა ქვეყანამ სცადოს ევროკავშირის დარწმუნება როგორც ინტეგრაციის ძლიერ სურვილში, ისე მზადყოფნაში. ამ კონტექსტში, აუცილებელია ორი ქვედისკურსის გამოყოფა: ერთის თანახმად, ცვლილებები ქართულ მხარეს „ანყობს“, რამდენადაც ეს ქვეყანას ევროპასთან აახლოებს და მას შეუძლია გარკვეული ჯილდოს თუ სარგებლის მიღების მოლოდინი ჰქონდეს:

„მოწონებაზე არ არის, ჩვენ კი არ ვაწონებთ [ევროკავშირს თავს], ჩვენ გვანყობს. ნებისმიერი სტანდარტი, ნებისმიერი რალაცა, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ვაკეთებთ იმისთვის, რომ ამის სანაცვლოდ რალაცას ვიღებთ და ამის სანაცვლოდ ჩვენ ვიღებთ იმას, რომ, ერთი, თავისუფალი ვაჭრობა ანუ ჩვენი ექსპორტის შესაძლებლობები გაიზარდოს ევროკავშირში და, მეორე, ჩვენი ადამიანების გადაადგილება გაუმ-

ჯობესდეს ევროკავშირში, მესამე, ევროკავშირიდან მივიღოთ მეტი დახმარება – ფინანსური, ტექნიკური, პოლიტიკური მხარდაჭერა მივიღოთ, რაც აუცილებელია ჩვენთვის; გაიზარდოს ჩვენი ევროკავშირში ინტეგრაციის პერსპექტივა, ანუ ეს ყველაფერი არის ის, რაც ჩვენ უნდა მივიღოთ აქედან“ (ლ.დ., ექსპერტი, სახელმწიფო სტრუქტურა).

მეორე ქვედისკურსის თანახმად კი, რომელიც, უმეტესად, საპარლამენტო უმცირესობის პოზიციას გამოხატავს, ასოცირების შეთანხმებით განერილი რეგულაციების ამოქმედება პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე ხდება. ამის მაგალითად ყველაზე ხშირად მაუნყებლობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები მოჰყავთ, რამაც შედეგად ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ, ოპოზიციურ, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ ასოცირებულ „რუსთავი 2“-ს მიაყენა დარტყმა. ხაზგასმულია, რომ ამ გადაწყვეტილებით მმართველმა კოალიციამ სცადა, ფინანსურთან ერთად, პოლიტიკური დარტყმაც მიეყენებინა ამ ტელეკომპანიისთვის და, ირიბად, ყველაზე რეიტინგული ოპოზიციური ძალისთვის.

„დღევანდელმა ხელისუფლებამაც ერთხელ კი გაავრცელა, რომ ტექდათვალიერება არ შემოვიღოთო, მაგრამ მათ უკვე ხალხისგან ისეთი რეაქცია მიიღეს, რომ ეს ადვილად გადადეს. მაგრამ, მეორე მხრივ, სადაც აწყობდათ, მაუნყებლობის კანონი, რომ „რუსთავი 2“ დაეზიანებინათ, იქ ნაჩქარევადაც მიიღეს, ამიტომ ამ რეგულაციების უკან არის პოლიტიკური მიზანშეწონილობა“ (ი.ჩ., ექსპერტი, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელი).

აქ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელი ექსპერტის მიერ მაუნყებლობის შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებები ამჟამინდელი ხელისუფლების პოლიტიკური თამაშის ნაწილად იქნა შეფასებული მაშინ, როცა იგივე ცვლილება ნეიტრალური პოლიტიკური პოზიციის მქონე ექსპერტის მიერ დახსულ იქნა, როგორც ევროკავშირისთვის თავის მოწონების მაგალითი.

„5 წელი გვეკონდა ვადა კანონზე რეკლამის შესახებ და ეს რალაც-ნაირად თავის მოწონებაა, რომ ჩვენ ახლავე ასეთი რამ გავაკეთეთ, მოჩვენებითობა რასაც ქვია“ (თ.ე., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

როგორც წესი, ევროკავშირის რეგულაციების ამოქმედების საკითხი განსხვავებულადაა დანახული წინა და არსებული ხელისუ-

ფლების წარმომადგენლების მიერ. თუ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები ამ სტანდარტების დანერგვას ქვეყნის პროგრესში წვლილის შეტანად აფასებენ, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლის თანახმად, არსებული ხელისუფლება „სტანდარტებს არგებს არა საჭიროებებს, არამედ პოლიტიკურ დღის წესრიგს“ (დ.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა). ამდენად, რესპონდენტი მოქმედ ხელისუფლებას წარმოაჩენს, როგორც პრაგმატულ, თუმცა, იმავდროულად, არაეფექტიან მოთამაშეს, რომელიც ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევებს ვერ უმკლავდება.

„რაც შეეხება კანონმდებლობაზე მორგებას, მთავრობას მსგავსი იმპროვიზაციის უნარი არ გააჩნია. ჩვენი მთავრობა ახორციელებდა ამ რეგულაციების მორგებას ისე, რომ არ დაეზიანებინა ჩვენი ეკონომიკური ზრდა, რასაც ესენი დღეს ვერ აკეთებენ“ (დ.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

კვლევაში მონაწილე ექსპერტს კონკრეტული მაგალითიც მოჰყავს იმის საჩვენებლად, რომ წინა და არსებული ხელისუფლება ევროპული სტანდარტების დასაწერად განსხვავებულ მიდგომებს იყენებდნენ. კერძოდ, საუბარია კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებელ სტრუქტურად გარდაქმნაზე, რომელიც, ექსპერტული შეფასებით, წინა ხელისუფლების პირობებში მხოლოდ გარეგნულად შეიცვალა, გადაერქვა სახელი და გაძლიერდა შესყიდვების სააგენტო, მაგრამ ქმედება არ შეცვლილა; არსებული ხელისუფლების პირობებში კი ამ კანონზე მუშაობა ზედმეტად გახანგრძლივდა. შესაბამისად, რესპონდენტის დასკვნით, პრობლემა ისაა, რომ წინა ხელისუფლების ქმედებები „ევროპის დასანახად“ ხორციელდებოდა და უფრო პერფორმანტიული ხასიათის იყო, ამჟამინდელი ხელისუფლების ქმედებები კი ნაკლებ თანმიმდევრულია.

„მომეჩვენა, რომ საშინლად გაიწელა. წინა ხელისუფლების დროს ეს ცვლილებები გატარდა ევროპის დასანახად, მერე მეჩვენება, რომ ზედმეტად გაიწელა ამ ხელისუფლების დროს... მე მგონია, რომ სურვილი არის, რომ გაჯანსაღდეს და რალაც გაკეთდეს, ამისთვის მწყობრ და თანმიმდევრულ ნაბიჯებს ვერ ვხედავ“ (ფ.მ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

აქ კვლავ დგება საკითხი, ხდება თუ არა სტანდარტების ამოქმედება იმიტომ, რომ წინა თუ არსებული ხელისუფლება მათ მიზანშეწონი-

ლად თუ მისაბაძად მიიჩნევენ. კვლევაში მონაწილე პოლიტიკოსები ცდილობენ, ევროკავშირის მოცემული „საშინაო დავალების“ დისკურსს გაემიჯნონ და ხაზი გაუსვან, რომ ეს ყველაფერი, რეალურად, საქართველოს მოქალაქეების კეთილდღეობისთვის კეთდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ გზით ისინი ცდილობენ, გაანეიტრალონ ევროკავშირის და მასთან ასოცირებით უზრუნველყოფილი სიკეთეების მიმართ არსებული უტილიტარული დამოკიდებულება, მათ ნარატივებში სოციალიზაციის აუცილებლობის ხაზგასმით. ამდენად, ერთი მხრივ, ისინი ემიჯნებიან ევროკავშირის პირობითობის გადამწყვეტი მნიშვნელობის იდეას, თუმცა, მეორე მხრივ, სწორედ ამ პირობითობის უპირატესობას უსვამენ ხაზს, როცა აღნიშნავენ, თუ როგორი „ბიძგის მიმცემი“ ფაქტორია ევროპეიზაციისთვის საქართველოში ევროკავშირის „საშინაო დავალებები.“

„ჩვენ მანაც ფოკუსირება საკუთარ სახელმწიფოზე, საკუთარ მოქალაქეებზე უნდა გავაკეთოთ. ეს სახელმწიფო, რომელიც იქნება მიზიდველი, ასეთი უნდა იყოს არა ვილაცისთვის თავის მოსაწონებლად, არამედ საკუთარი მოქალაქეებისთვის“ (ი.ხ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

„ძალიან არ მომწონს, როდესაც ‚საშინაო დავალებაზე‘ ვსაუბრობთ. ეს ვილაცისთვის არ კეთდება; ეს, პირველ რიგში, კეთდება ჩვენი მოქალაქეებისთვის, მათი კეთილდღეობისთვის. თუ ეს ‚საშინაო დავალება‘ უფრო მეტ ბიძგს მისცემს და გამოსადეგი იქნება ინტეგრაციული პროცესებისთვის, რა თქმა უნდა, კარგია“ (ზ.ე., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

რაც შეეხება ექსპერტთა მოსაზრებებს, ისინი ღიად აღნიშნავენ, რომ ახალი სტანდარტების დამკვიდრებისას გადამწყვეტი სწორედ ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნებია. რომ არა მკაცრად განსაზღვრული ნორმები, ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ, რომ მსგავს ცვლილებებს ქართული მხარე თავად განახორციელებდა.

„ამ ვალდებულების გარეშეც უნდა გვეკონდეს სურვილი, რომ ამ მოდელისკენ ვიაროთ, მაგრამ თანამდებობის პირების მიერ გადადგმული ნაბიჯები ვალდებულებების გარეშე ჩემთვის ცნობილი არ არის. ამიტომ ეს ვალდებულებები ჩვენთვის სასიცოცხლოა იმიტომ, რომ ქვეყანამ არ შეანელოს ამ მიმართულებით სვლა“ (მ.ი., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

სწორედ ამ კონტექსტში ხაზგასმულია, რომ, მართალია, მნიშვნელოვანია ვალდებულებების გარეშე ცვლილებების განხორციელება, მაგრამ ეს „ზენოლა“ აუცილებელია, რადგან ის „საქართველოს მოდერნიზაციისთვის ბიძგის მიმცემი ფაქტორია“ (ზ.ც., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია). ამდენად, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების განხორციელება იმ „იძულებით“ მექანიზმად მიიჩნევა, რასაც საქართველო „ნებაყოფლობით“ მიმართავს, რომ პროგრესი განიცადოს. საინტერესოა, რომ აღნიშნულ კონტექსტში, „იძულებითი“ და „ნებაყოფლობითი“ მექანიზმები ურთიერთგამომრიცხავად კი არ განიხილება, არამედ ლოგიკურად ურთიერთდაკავშირებულად.

ერთადერთი კონკრეტული მაგალითი, რომელიც ექსპერტებს „ევროკავშირის გარეშე ევროპეიზაციის“ პროცესის ნიმუშად მოჰყავთ, ერთ-ერთ ენერგოკომპანიაში ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე გადადგმულ ნაბიჯებს ეხება, სადაც ევროკავშირის პროგრამის დახმარებით, კომპანიამ საპროექტო სამსახური გადაახალისა და ახალ სტანდარტებზე გადავიდა.

„დაპროექტების თვალსაზრისით, გადავედით ევროპულ და ამერიკულ სტანდარტებზე. არავის არ დაუვალვია, მაგრამ ბედნიერად ვგრძნობთ თავს, რომ ეს გავაკეთეთ. ჩვენ რომ ახლა ტენდერს ვაცხადებთ, თურქული კომპანიაც მონაწილეობს, ინგლისურიც, გერმანულიც და ა.შ. ვერ მონაწილეობს უკრაინა, ის ქვეყნები, რომლებიც ძველ სტანდარტებზე არიან. არავის დაუვალვია, მაგრამ ჩვენთან უკვე ჩამოყალიბდა ძალიან მაღალი ინტელექტის მქონე პროტენციული საპროექტოში, რითაც ვამაყობთ. არავის დაუვალვია, თუმცა ჩვენ გამოვიყენეთ INOGATE-ის პროგრამა, ევროკავშირის პროგრამა და ვთხოვეთ, დაგვხმარებოდა; ვუთხარით, ან გადაგვითარებინე, ან მოგვანოდე და ჩვენ გამოვიყენეთ ეს დახმარება“ (ი.დ., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

როგორც აღინიშნა, ამგვარი შემთხვევა გამონაკლისია და ნათელია, რომ ქართულ რეალობაში ევროპეიზაციის ნამყვანი მექანიზმი სწორედ პირობითობაა, რომელიც ხარჯთსარგებლიანობის პრინციპზე აგებულ, მიზეზმედგობრიობის ლოგიკას ეფუძნება. როგორც ჩანს, პოლიტიკური აქტორებისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია, იცოდნენ, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში სანქციები ელით ან ჯილდოს ვერ მიიღებენ, ვიდრე საკუთარი თავი

დაარწმუნონ, რომ პროცესი გრძელვადიან სარგებელზეა ორიენტირებული. სწორედ მოკლევადიან სარგებელზე ფოკუსირება ხდება არასწორი მოლოდინების შექმნის საფუძველი, რომელთა გაუმართლებლობა ევროპეიზაციის პროცესის ხედვაზე ნეგატიურ გავლენას ახდენს. ამ უკანასკნელის მაგალითია რიგის სამიტი (22.05.2015), რომელსაც მმართველი პოლიტიკური ელიტის არაერთი განცხადება უძღოდა წინ, რომ ვიზალიბერალიზაციის საკითხზე საქართველოსთვის პოზიტიური გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ექსპერტების ანალიზი სამიტამდე მოწმობდა, რომ რიგის სამიტი საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციით არ დასრულდებოდა, პოლიტიკურმა ელიტამ საზოგადოებაში არასწორი მოლოდინის შექმნას შეუწყო ხელი, რამაც, სავარაუდოდ, არა მხოლოდ მმართველი გუნდისადმი ნდობას მიაყენა ზიანი, არამედ ევროკავშირისადმი სკეპტიკურად განწყობილთა რიცხვის ზრდასაც უზიდა.

ევროპეიზაცია: სარგებელი-დანაკარგის შეფასება

სამეცნიერო ლიტერატურის თანახმად, ევროპეიზაცია ახალ რეალობას ქმნის, რომელიც სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სივრცის ძირეულ რეკონფიგურაციას გულისხმობს (Trenz, 2011, 213). ევროპეიზაციის მრავალმხრივი გავლენის შედეგად მიღებულ „ახალ რეალობაზე“ ისაუბრეს ჩვენმა რესპონდენტებმაც, გაამახვილეს რა ყურადღება ამ პროცესის მოსალოდნელ სარგებელსა თუ საფრთხეებზე. მათი მსჯელობის საფუძველზე შესაძლებელია სამიტის სარგებელზე ვისაუბროთ: პოლიტიკურზე, ეკონომიკურზე და კულტურულზე.

პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, ევროპეიზაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც ევროკავშირის ნორმატიული და საბაზრო გაფართოება, რაც, თავის მხრივ, მოდერნიზაციის პროცესად აღიქმება: ეკონომიკურად ნაკლებ განვითარებული ქვეყნები ფინანსურ მხარდაჭერას იღებენ, რათა წევრ ქვეყნებში არსებულ სოციალურ და პოლიტიკურ სტანდარტებს მიუახლოვდნენ (Schimmelfennig and Sedelmeier, 2005; Vachodova, 2005; Grabbe, 2006; Curzio and Fortiz, 2008). კულტურული თვალსაზრისით, ევროპეიზაცია განიხილება, როგორც „მზარდი ტრანსნაციონალიზმი, რაც გულისხმობს კულტურული

ნორმების, იდეების, იდენტობებისა და ქცევის ნიმუშების დიფუზიას კროს-ნაციონალურ დონეზე, ევროპის შიგნით“ (Featherstone, 2003, 7). ევროპეიზაცია გულისხმობს პროცესს, რომლის გავლენითაც თანამედროვე ევროპაში იდენტობები იცვლება, რაც ყოველდღიური ცხოვრების წესის, ჩვეულებების, იდეების ცვლილებით გამოიხატება.

ჩვენი კვლევის მონაწილეთა მიერაც ევროპეიზაციის პოლიტიკურ სარგებლად ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების და მოქალაქეზე ორიენტირებული პოლიტიკის განვითარება განიხილება, ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის გზით. როგორც მოსალოდნელი იყო, არაერთხელ გაესვა ხაზი ქვეყნის უსაფრთხოების გაძლიერების საკითხს. რაც შეეხება ამ პროცესის თანმდევ პოლიტიკურ საფრთხეებს, აღინიშნა სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის შემცირების რისკი, თუნდაც დამოუკიდებელი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების თვალსაზრისით; თუმცა, აღნიშნულის საპირწონედ მოყვანილია არგუმენტი, რომ, ერთი მხრივ, ასოცირების ხელშეკრულების განხორციელება ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის გარანტია, მეორე მხრივ კი, ევროპული თანამეგობრობის მხარდაჭერის გარეშე, ქვეყანას საერთაშორისო საფრთხეებთან, განსაკუთრებით რუსეთის ექსპანსიასთან, დამოუკიდებლად გამკლავება არ ძალუძს.

„პოლიტიკური კუთხით, ეს არის ჩვენი სტაბილური პოლიტიკური განვითარების ერთ-ერთი გარანტი, ცალსახად. ამაში იგულისხმება ის, რომ ქვეყანას ესაჭიროება ასოცირების ხელშეკრულების იმპლემენტაცია, ეს არის პოლიტიკურად სტაბილური სიტუაცია“ (ტ.ლ., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

„მსოფლიოში არსებულ გამოწვევებს [საქართველო] დამოუკიდებლად ვერ გაუმკლავდება. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ინკორპორირებული იყოს ისეთ დიდ გაერთიანებაში, როგორცაა ევროკავშირი“ (ე.თ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

ეკონომიკური სარგებლის მხრივ აღნიშნულია, რომ ევროპეიზაციის პროცესი საქართველოს ეკონომიკური მოდერნიზაციის რეალურ შესაძლებლობას სთავაზობს, რაც ეროვნულ ეკონომიკურ სისტემაში ევროკავშირის სტანდარტების დანერგვით და ადგილობრივ ბაზარზე მონოპოლიის მინიმუმამდე დაყვანით მიიღწევა. აღნიშნული მიღწევები კი, თავის მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის საფუძვლად მოიაზრება, განსაკუთრებით ადგილობრივი პროდუქციის

მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ, ევროპულ ბაზარზე ექსპორტის შესაძლებლობიდან გამომდინარე. რესპონდენტები საუბრობენ იმ წინააღმდეგობებზეც, რაც საქართველოს ეკონომიკურ მოდერნიზაციას თან ახლავს, თუმცა აღნიშნულს არა „დანაკარგს“, არამედ „სირთულეს“ (მაგალითად, კორუფციასთან ბრძოლა) და „მტკივნეულ რეფორმას“ (მაგალითად, წარმოების და პროდუქტის ფასის გაძვირება) უწოდებენ, რაც გამოწვეულია სარგებლის შედარებით გრძელვადიან პერსპექტივაში მიღებით, იქნება ეს ხარისხიანი პროდუქცია თუ ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის განვითარება, რასაც მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაც უნდა მოჰყვეს.

„საკმაოდ დიდია საფასური. აქ პირდაპირ უკავშირდება რეფორმებს, საკმაოდ მტკივნეულ რეფორმებსაც, რომლებიც ასოცირების ფარგლებში უნდა განხორციელდეს, ეგრევე არ მოაქვს შედეგი და აქვს საფრთხეებიც. მაგალითად, ნებისმიერ მარეგულირებელთან დაკავშირებული ცვლილებების ფარგლებში შეიძლება გაგრძელდეს კორუფცია; მაგალითად, სურსათის უვნებლობის რეფორმა შეიძლება უკავშირდებოდეს პროდუქტის გაძვირებას. ცხადია, ხარისხი გაუმჯობესდება, მაგრამ მოიმატებს ფასი და ეს მტკივნეული იქნება“ (ტ.-., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

„მოკლევადიან პერსპექტივაში, გარკვეულ სირთულეებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული იმიტომ, რომ გვინევს რეფორმების გატარება. ზოგიერთ სფეროში ძალიან სენსიტიური რეფორმები იქნება და, რა თქმა უნდა, ეს რეფორმები უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლის. ზოგმა შეიძლება ამ რეფორმების ფონზე გარკვეული დანაკარგი განიცადოს, მენარმეები მყავს მხედველობაში, მაგრამ, საბოლოო ჯამში, გრძელვადიან პერსპექტივაში, ეს ქვეყანას წინ წაიყვანს და ბევრად მეტ სარგებელს მოუტანს“ (ე.თ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

საქართველოსთვის ევროპეიზაციიდან მიღებულ უმთავრეს კულტურულ სარგებლად ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების რეალური შესაძლებლობა მიიჩნევა, განსაკუთრებით რუსეთის ექსპანსიის საფრთხის პირობებში. ამასთან, ევროკავშირის ფარგლებში არსებული მულტიკულტურალიზმი რესპონდენტებს სწორედ ქართული იდენტობის და კულტურული თავისებურებების შენარჩუნების გარანტიად ესახებათ და არა ეროვნულისთვის საფრთხედ.

„რაც შეეხება კულტურას, ვფიქრობ, რომ ევროინტეგრაცია საშუალებას იძლევა ჩვენი კულტურული თავისებურებების, ეროვნული იდენტობის ფართო გავრცელებისა იმიტომ, რომ ევროკავშირი არის 28 ქვეყნის ერთობა, რომელიც არის კულტურულად, ეთნიკურად და პოლიტიკურად ძალიან მრავალფეროვანი. ისინი ძალიან კარგად და მშვიდად გრძნობენ თავს ერთად. ევროკავშირის ლოზუნგიც სწორედ ეს არის: „ერთობა მრავალფეროვნებაში“ (ვ.დ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილე პოლიტიკოსები და ექსპერტები ევროკავშირს ქართული საზოგადოების რესოციალიზაციის მნიშვნელოვან აგენტად განიხილავენ. აღნიშნულზე მიუთითებს მათ მიერ ევროინტეგრაციის, როგორც „მენტალური მოდერნიზაციის“ პროცესის აღქმა. ეს უკანასკნელი განიხილება, როგორც ქვაკუთხედი ქვეყანაში ინსტიტუციური რეფორმების წარმატებით და, რაც მთავარია, გააზრებულად განხორციელებისთვის. „მენტალური მოდერნიზაციის“ ინდიკატორებად ადამიანის უფლებების დაცვისა და სამართლიანობის, კანონიერების სახელმწიფო პრიორიტეტად გადაქცევა, აგრეთვე სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება სახელდება. ამ მიზნით კი, ისევე მნიშვნელოვნად მიიჩნევა შესაბამისი „ღირებულებების კულტივირება“, როგორც ადგილობრივი სტრუქტურების ევროკავშირის სტანდარტების საფუძველზე ტრანსფორმაცია. ხაზგასმულია, რომ „მენტალური მოდერნიზაცია“ აუცილებელია, რომ ევროპეიზაცია მხოლოდ რიტორიკულ სტრატეგიად არ დარჩეს, არამედ საზოგადოების რეალური ტრანსფორმაცია მოახდინოს, ანუ ფორმალური და დისკურსული დონიდან ქცევით დონეზე გადაინაცვლოს (Schimmelfennig and Sedelmeier, 2005, 8).

„ევროპეიზაციას ორი განზომილება აქვს: ერთი, ეს არის ევროპეიზაცია ადამიანების, მათი მენტალობის, მათი თვითშეგნების, მათი დამოკიდებულების გარემოსთან, ადამიანებთან, საზოგადოებასთან და ა.შ. მეორე, ეს არის ინსტიტუციური ცვლილებები, ანუ ის, რაც დაკავშირებულია ქვეყნის ტრანსფორმაციასთან, ინსტიტუტების რეფორმირებასთან და ისეთ ცვლილებებთან, რომელიც ქვეყანას ევროკავშირთან თავსებად ქვეყნად აქცევს“ (ლ.დ., სახელმწიფო სტრუქტურა).

„ეს არის უნიკალური შანსი ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი მოქალაქეებისათვის, რომ მოხდეს მენტალური მოდერნიზაცია და ამან

დააჩქაროს ის შიდა რეფორმები, რომელთა გარეშეც ევროპეიზაციაც და ასოცირების ხელშეკრულებაც იქნება ცარიელი სიტყვები“ (ი.ხ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

ასოცირების ხელშეკრულების დანერგვის ნარმატიული და ნარუმატიული შემთხვევები

როგორც კვლევები ადასტურებს, რაც უფრო განსხვავდება ევროკავშირში განევრინების მსურველი ქვეყნების პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თავისებურებები ევროკავშირის წევრი ქვეყნების მსგავსი მახასიათებლებისგან, მით მეტი წნეხის ქვეშ ხვდებიან ისინი, რომ ეროვნული სტანდარტები ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოიყვანონ (Grabbe, 2003; Sedelmeier, 2011; Schimmelfenning, 2012). ასეთ პირობებში, ევროკავშირის მიმართება კანდიდატ და აპლიკანტ ქვეყნებთან ასიმეტრიულია, რასაც მნიშვნელოვნად განაპირობებს მათ შორის მიმზიდველობის ასიმეტრია (Tsuladze, forthcoming): ისინი თანახმა არიან თუნდაც ძვირადღირებული რეფორმების განხორციელებაზე, რადგან ევროკავშირი ბევრად მიმზიდველია მათთვის, ვიდრე ისინი – ევროკავშირისთვის. სწორედ ამგვარი ასიმეტრიული დამოკიდებულება აძლევს ევროკავშირს საშუალებას, თავად იყოს თამაშის ყველა წესის დამდგენი ქვეყნების ევროპეიზაციის პროცესში და აქტიურად გამოიყენოს პირობითობის მექანიზმი (Grabbe, 2006, 37).

პირობითობის განხორციელებისას ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ის იყოს ცხადი, რაც ნიშნავს, რომ კანდიდატებმა ან აპლიკანტებმა იციან, რა უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ დააკმაყოფილონ ევროკავშირის მოთხოვნები. იმავდროულად, პირობითობა უნდა იყოს სანდო, ანუ კანდიდატები ან აპლიკანტები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ მიიღებენ დაპირებულ „ჯილდოებს“ მას შემდეგ, რაც ევროკავშირის მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ (Grabbe, 2003). ამ კონტექსტში, ევროპეიზაციის მკვლევარები საუბრობენ გაურკვევლობის თუ ეჭვის რამდენიმე განზომილებაზე, რომელსაც აპლიკანტი ქვეყნები განიცდიან: ერთი ეჭვი უკავშირდება ევროკავშირის პოლიტიკის დღის წესრიგს, რაც განპირობებულია რიგი სტანდარტების ბუნდოვანებით; მეორე ეჭვი უკავშირდება დავალებათა იერარქიას, ვინაიდან დავალებების რაოდენობა დიდია და რთულია იმის განსაზ-

ღვრა, რომელი მათგანია უფრო მეტად ან ნაკლებად პრიორიტეტული; მესამე ეჭვი კი უკავშირდება მოცემული დღის წესრიგის განხორციელების ზუსტ ვადებს (იქვე, 319-320).

ზემოხსენებულ ეჭვებს ჩვენი კვლევის შედეგებიც ასახავს: ევროინტეგრაციის პროგრესის შეფასებისას გამოვლინდა, რომ კვლევის მონაწილეთათვის ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, მათი განხორციელების ქრონოლოგია და ვადები მეტად მნიშვნელოვანი და, შეიძლება ითქვას, მტკივნეული საკითხებია. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ასოცირების ხელშეკრულების წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია ცვლილებების დროში მიზანმიმართულად განაწილება, რადგან „ეს არის ამბიციური გეგმა, არის გათვლილი საშუალოვადიან პერსპექტივაზე და თუ ამას დავაჩქარებთ, შეიძლება, საბოლოო ჯამში, წარუმატებელი აღმოჩნდეს“ (ნ.დ., სამთავრობო სტრუქტურა).

კვლევის მონაწილეები დიდ ყურადღებას ამახვილებენ ასოცირების დოკუმენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების ვადებზეც. მათ არაერთხელ აღნიშნეს ვადების ხანგრძლივობა (3-10 წელი) და იმ რეგულაციების რაოდენობა (საუბარია 300-ზე მეტ საკანონმდებლო ინიციატივაზე), რომელიც სხვადასხვა მიმართულებით, ეროვნულ კანონმდებლობაში უნდა აისახოს. სამოქმედო გეგმის შესრულების ვადებთან დაკავშირებით მინიშნება გაკეთდა საქართველოს მხრიდან ევროინტეგრაციის პროცესის მიმართ პასუხისმგებლობით სავსე და რაციონალურ მიდგომაზე და აღინიშნა, რომ „ჩვენ რომც გვითხრან, ასოცირების შეთანხმება განახორციელე 3 წელიწადში და გახდი ევროკავშირის წევრიო, ყველა პასუხისმგებლიანი პოლიტიკოსი, ძალა და ქვეყანა იტყვის, რომ ამას 3 წელიწადში არ გააკეთებს იმიტომ, რომ ის განწირული იქნება წარუმატებლობისათვის“ (ვ.დ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

მიუხედავად რესპონდენტთა რწმენისა, რომ ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ყველა რეგულაციის თანმიმდევრული განხორციელება რეალისტურია, მათ მაინც გაამახვილეს ყურადღება რამდენიმე რთულად განსახორციელებელ რეფორმაზე. მანქანების ტექდათვალიერება აღინიშნა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული რეფორმა. ერთ-ერთმა რესპონდენტმა დასძინა, რომ არავის უსურვებს 2018 წელს ხელისუფლებაში ყოფნას, სწორედ ამ რეგულაციის ამოქმედების ვადის გამო. აღინიშნა, რომ ტექდათვალიერების 2018 წლისთვის გადავადება ევროკავშირის მხრიდან

მხარდაჭერილი არ იყო, ეკოლოგიური უსაფრთხოების საკითხიდან გამომდინარე, თუმცა ევროკავშირთან კომპრომისული შეთანხმება მაინც შედგა.

სურსათის უვნებლობაც სახელდება, როგორც რთულად განსახორციელებელი რეფორმა. აღინიშნა, რომ, ერთი მხრივ, არ არსებობს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოში წამყვანია არა ინდუსტრია, არამედ სოფლის მეურნეობა; ამდენად, ევროკავშირის მსგავსი რეგულაციების დანესება, რომელიც წარმოებულ პროდუქციაზე მკაცრ კონტროლს ითვალისწინებს, უშუალოდ მოსახლეობაზე აისახება მტკივნეულად. ამიტომ სურსათის უვნებლობის აღნიშნული რეფორმა ეტაპობრივ განხორციელებას საჭიროებს.

„ჩემი აზრით, ყველაზე მტკივნეული იქნება სურსათის უვნებლობის სფეროში განსახორციელებელი რეფორმები, რამდენადაც ეს შეეხება მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა სოფლის მეურნეობის სფეროშია დასაქმებული, ისინი იგძნობენ ამ ეფექტს, ამიტომ ვიყავით ძალიან ფრთხილები, ნელ-ნელა და ეტაპობრივად ვცდილობთ ამ რეგულაციების გატარებას. ახლავე რომ დავინწყით იმის კონტროლი, თუ ერთი ძროხის პატრონი მას როგორ წველის და როგორ ინახავს რძეს, შეიძლება ის პროდუქტი საერთოდ ვერ მოხვდეს ბაზარზე. ახლა ეს კონტროლი ძალიან ნეგატიურ შედეგს მოიტანს, ამიტომ უნდა იყოს ეტაპობრივი და დროში განერილი“ (ნ.დ., სამთავრობო სტრუქტურა).

თუმცა, ხელისუფლების მხრიდან „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“ პოზიციისგან განსხვავებით, ხარისხის კონტროლის და სერტიფიცირების ორგანოების შექმნასთან დაკავშირებით საკმაოდ კრიტიკულ მოსაზრებებს გამოხატავენ დამოუკიდებელი ექსპერტები. მათ მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო ამ მიმართულებით სახსრების გამოყოფაზე არ ზრუნავს, რაც სურსათის უვნებლობის რეფორმის გატარებას აფერხებს, შესაბამისად, ფერხდება ქართული პროდუქტის ევროპულ ბაზარზე ექსპორტიც. ვინაიდან სურსათის უვნებლობის დირექტივა გადმოტანილია, მაგრამ მას არ აქვს უზრუნველყოფა აღსრულების მექანიზმის სახით, რაც ბაზრის კონტროლს გულისხმობს, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ექსპერტი აღნიშნავს, რომ საქმე გვაქვს ევროპული დირექტივის აღსრულების მხოლოდ დეკლარირებასთან, იმის მიუხედავად, რომ ხელმწიფის დღიდანვე ის მოქმედებაში უნდა მოსულიყო.

დეკლარირების საკითხთან დაკავშირებით, ყურადღება უნდა გავამახვილოთ EU acquis-ის განხორციელების ზემოხსენებულ ორ ეტაპზე – გადმოტანის და დანერგვის. პირველ ანუ გადმოტანის ეტაპზე „მენეჯმენტური“ მიდგომა გადამწყვეტია ადმინისტრაციული შესაძლებლობების შესაქმნელად და გასაძლიერებლად, რაც გულისხმობს, EU acquis-ის გადმოტანას ეროვნული სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად და შესრულების მონიტორინგისთვის სპეციალური სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურების შექმნას. მეორე ეტაპზე წარმართველია „აღსრულებითი“ მიდგომა, თუმცა, შესაძლოა თავი იჩინოს მიზანმიმართული არაღსრულების ან სელექციური აღსრულების ტენდენციამ, რის გამოც EU acquis უფუნქციოდ და ფორმალობად დარჩეს (Maniokas, 2009). როგორც ინტერვიუების ანალიზი ცხადყოფს, ექსპერტების უკმაყოფილებას სწორედ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან EU acquis-ის მიმართ არსებული აღსრულებითი მიდგომა იწვევს, რაც, თავის მხრივ, ევროკავშირის დირექტივების მხოლოდ დეკლარირებული სახით შენარჩუნებას განაპირობებს.

„პროდუქციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ტექნიკური რეგლამენტები, რომელშიც აშკარად წინ წავინიეთ დოკუმენტების დონეზე, მაგრამ ევროპისთვის მხოლოდ დოკუმენტი არ არის მნიშვნელოვანი. [...] ამ დირექტივების გადმოტანისასაც მიაფუჩჩეს; ეს კანონი შეიქმნა პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის, უბრალოდ, დეკლარირებულად ჩაინერა, რომ ბაზარზე გამოტანილი პროდუქცია უსაფრთხო უნდა იყოს, მაგრამ დირექტივა მხოლოდ ამას არ ითხოვს, ითხოვს ამის უზრუნველყოფას, ანუ პროდუქცია უნდა მონმდებოდეს ბაზარზე. ბაზრის მაკონტროლებელი საქართველოს დიდი ხანი არ ჰყავდა, მაგრამ რადგან ეს დირექტივა გადმოიტანეს, ეს უნდა შექმნილიყო. ეს ბაზრის კონტროლი სადღაც შორეულ პერსპექტივაშია, მაგრამ ასოცირების ხელშეკრულებაში წერია, რომ, როგორც კი ხელშეკრულება ძალაში შევა, ეს დირექტივა უნდა იყოს განხორციელებული“ (ფ.მ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

გარდა ზემოაღნიშნული პრობლემისა, ყურადღება გამახვილდა კორუფციის გავლენების საშიშროებაზეც, რაც ქვეყანაში მარეგულირებული ორგანოების ხელახალ შექმნასთან ასოცირდება. ამასთან, აღინიშნა, რომ ამ ინსტიტუტის განახლება პროდუქტზე ფასების ზრდის გამომწვევიც შეიძლება გახდეს.

„იგივე ბაზარზე ზედამხედველობის სტრატეგია, ანუ მარეგულირებელი ორგანოების შექმნა და მათთვის ახალი მანდატების მიცემა, რაც ჩვენთან გაუქმებული იყო წლების განმავლობაში და ახლა ახლიდან ხდება და პრობლემურია, რადგან, ერთი, ეს შეიძლება კორუფციის წყარო იყოს, მეორე, რომ ამან შეიძლება პროდუქციის გაძვირება გამოიწვიოს“ (ტ.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

იგივე რესპონდენტი ნათლად მიანიშნებს იმ გარემოებაზეც, რომ ასოცირების ხელშეკრულების განსახორციელებლად დადგენილი ვადები, შესაძლოა, ხელისუფლების მიერ „ბოროტად იქნას გამოყენებული,“ როგორც პირადი ინტერესების დაკმაყოფილების ან პოლიტიკურ ოპონენტებთან ანგარიშსწორების ინსტრუმენტი.

„მაგალითად, ერთ-ერთია ცვლილებები მაუნყებლობის შესახებ კანონში, რომელიც ვახსენე კიდევ და არეგულირებს რეკლამის საკითხს. იქ 2017 წლამდე იყო ვადა, მაგრამ მიიღეს უცბად, სავარაუდოდ იმის გამო, რომ რუსთავი 2-ის ფინანსური პრობლემები შექმნილიყო. სპეციალურად იდო ხელშეკრულებაში მუხლი, რომელიც რეკლამას ეხებოდა, რომ ის ყოფილიყო უფრო გრძელვადიანი. ყველას შეეხო პრობლემა, მაგრამ რუსთავი 2-ს ყველაზე მეტად, ის ყველაზე დიდი კომპანიაა და, შესაბამისად, ყველაზე მასშტაბურადაც მას შეეხო. კანონი არეგულირებს რეკლამის დროს საათის განმავლობაში, პრაიმტაიმის დროსაც და მოუწიათ ამის შემცირება და ბუნებრივია, რომ მოაკლდა შემოსავალი“ (ტ.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ევროპულთან ჰარმონიზაციის წარმატებული შემთხვევების შეფასება განსხვავებულად ხდება საპარლამენტო უმრავლესობის, უმცირესობისა და დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ. ექსპერტებისა და საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლების მიერ დასახელებული, წარმატებით დანერგილი რეგულაციების ჩამონათვალი საკმაოდ მწირია და, უმეტესად, ანტიდისკრიმინაციული კანონით შემოიფარგლება, რომელიც „ებრძვის საბჭოთა მემკვიდრეობას“ (ნ.შ., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი). წარმატებული რეგულაციების გაცილებით ვრცელ ჩამონათვალს გვთავაზობენ საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები, დაწყებული სახელმწიფო მართვის მიმართულებით განხორციელებული პროგრესით, დამთავრებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებით და შეზღუდული შესაძლებლობების სფეროში განხორციელებული საკანონმდებლო რეფორმებით.

„მე ვფიქრობ, რომ რეფორმების თვალსაზრისითაც ძალიან ბევრი საკანონმდებლო ცვლილება მივიღეთ. არსებითად შეიცვალა, ვთქვათ, სისხლის სამართლის საპროცესო ნორმები, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონის ნორმები, რომელთა თანახმადაც, ფარული მიყურადების წესები შეიცვალა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო შეზღუდული შესაძლებლობების სფეროში არსებული კანონმდებლობის რეფორმა. ახლა იცვლება არასრულწლოვანთა მართმსაჯულების კოდექსი, რომელიც აბსოლუტურად განსხვავებულ წესებს ადგენს არასრულწლოვანთა საკითხების განხილვის დროს სასამართლოში. ასევე, ვმუშაობთ პროკურატურისა და პოლიციის რეფორმაზე. ჩვენ ახლა ისევ შევცვალეთ კანონმდებლობა სავიზო რეჟიმთან დაკავშირებით და გავაუმჯობესეთ, რაც გვქონდა პირველი მიღების შემდეგ“ (ი.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

ევროპეიზაცია, როგორც პოლიტიკის კეთების ახალი გამოცდილება

ევროპეიზაციის პროცესის კვლევისას ავტორები სამი სახის კონტექსტზე ამახვილებენ ყურადღებას: ისტორიულზე, კულტურულზე და პოლიტიკურზე. ეს უკანასკნელი პოლიტიკურ ინსტიტუტებს მოიცავს და პოლიტიკის ევროპული სტანდარტებით კეთებას გულისხმობს, რაც შიდა პოლიტიკურ პროცესებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და არაერთ ტრანსფორმაციას იწვევს. რადაელი (2003) ოთხ სფეროს გამოყოფს, რომლის ფარგლებშიც აღნიშნული ტრანსფორმაციების ემპირიული გაზომვაა შესაძლებელი: ინტერაქცია, ძალა, ბალანსი და დისკურსი.

ინტერაქცია პოლიტიკური გამოცდილების საზომია და აღმასრულებელ ორგანოებსა და სხვა აქტორებს შორის ურთიერთობაზე ამახვილებს ყურადღებას. აქ ტრანსფორმაციის გაზომვა შეიძლება იმის დადგენით, რამდენად ძლიერი ხდება (ან ვერ ხდება) ინსტიტუტები სხვა ინსტიტუტებთან ინტერაქციის თვალსაზრისით. თუ პოლიტიკური გამოცდილება ინსტიტუტსა და მის გარემოს შორის ინტერაქციას ასახავს, **ძალა** უშუალოდ ინსტიტუტის შიგნით არსებულ მდგომარეობას ზომავს. ინსტიტუტების შიდა სტრუქტურას აძლიერებს გაუმჯობესებული პოლიტიკური ტექნოლოგიები და ბიუროკრატიული აპარატი. **ბალანსის** აუცილებლობა ჩნდება მა-

შინ, როცა ინსტიტუტები აწყდებიან კრიზისს, რომელიც არ ჯდება ქმედების სტანდარტულ რეპერტუარში; შედეგად, მათი სამოქმედო წესები და ნორმები ტრანსფორმაციას განიცდის. რაც შეეხება **დისკურსს**, ის ფუნდამენტურ როლს ასრულებს როგორც ახალი წესების, ღირებულებების და პრაქტიკების ფორმირებაში, ისე მათთვის ლეგიტიმაციის მინიჭებაში (Radaelli, 2003, 39-40). დისკურსს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ევროპეიზაციის პროცესის შესწავლისას, რადგან, როგორც რადელი აღნიშნავს, მას შეუძლია ტრანსფორმაციული გავლენა მოახდინოს პოლიტიკის ყველა ელემენტზე: დისკურსს შეუძლია პოლიტიკური დილემის ინტერპრეტაციის შეცვლა; წარმოდგენის შეცვლა იმის შესახებ, თუ რა არის პოლიტიკური დაპირისპირების რეალური მიზეზი; იმ პოლიტიკური ინტერესების შეცვლა, რომელთაც მოლაპარაკებები ეფუძნება და, ასევე, გადამწყვეტი გავლენის მოხდენა ევროკავშირის პოლიტიკასთან დაკავშირებული ცალკეული არჩევანის ლეგიტიმაციაზე (იქვე, 36).

მიუხედავად ევროკავშირის ტრანსფორმაციული გავლენისა შიდა პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტზე, ეს გავლენა ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია. ავტორები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის მოთხოვნების ინკორპორირების საუკეთესო შემთხვევა ან მეტი შანსია იქ, სადაც ადგილობრივი სისტემა და ინსტიტუტები ევროპულისგან რადიკალურად არ განსხვავდება (Börzel and Risse, 2003). ინკორპორირების პროცესში აქტიურად ერთვებიან ნორმათა ინტერპრეტატორები და არაფორმალური ინსტიტუტები. განსაკუთრებით საგულისხმოა ნორმათა ინტერპრეტატორების როლი, რომლებიც იქცევიან, როგორც „ცვლილებათა აგენტები“, აქტიურად ლობირებენ რა ახალ იდეებს, რეგულაციებს და პროცედურებს (იქვე, 67).

ზემოსხნებულ ავტორთა ხედვას თუ გამოვიყენებთ საქართველოში არსებული ვითარების გასაანალიზებლად, სადაც ადგილობრივი პოლიტიკური ინსტიტუტები ევროპულისგან განსხვავდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროკავშირის მოთხოვნების ინკორპორირება მარტივი პროცესი არ არის. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე, ადგილობრივი ინსტიტუტები აქტიურად მუშაობენ რეფორმებზე სხვადასხვა სფეროში. მეტიც, „ცვლილებათა აგენტებად“ შეიძლება მოვიაზროთ სხვადასხვა უწყებებში საგანგებოდ შექმნილი ევროპასთან ურთიერთობის დეპარტამენტები და ის სააგენტოები, რომლებიც ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე

არიან პასუხისმგებელნი. თუ არასამთავრობო სექტორის იმ ნაწილსაც გავითვალისწინებთ, რომელიც პროევროპულ იდეებს აქტიურად ლობირებს (მაგალითად, საქართველო-ევროკავშირის სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა), შეიძლება ითქვას, რომ ეს პროცესი ნელი ტემპით, მაგრამ მანაც პროგრესირებს საქართველოში.

ევროპეიზაციის შიდა პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის სფეროებს რომ დავუბრუნდეთ და რადაელის მიერ წარმოდგენილი პირველი კატეგორია – ინტერაქცია თუ პოლიტიკური გამოცდილება – განვიხილოთ, პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან გამოვლენილი ძირითადი დისკურსის თანახმად, ევროინტეგრაციის პროცესი ხელს უწყობს პარტიებს შორის თანამშრომლობას, თუმცა მხოლოდ იმ პარტიებს შორის, რომელთა საგარეო პოლიტიკის ხედვა მსგავსია.

„თუ თანხვედრა არის პოლიტიკურ პარტიებს შორის, რომლებსაც დეკლარირებული აქვთ ქვეყნის მომავალი და დაკავშირებული აქვთ ევროკავშირთან, ეს მათ თანასწორი თანამშრომლობისკენ განაწყობს“ (ე.თ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

„აღბათ იმ ჯგუფებს, რომლებსაც ერთნაირი ხედვა აქვთ, იმათ კონსოლიდირებას უწყობს ხელს. იმ ჯგუფებში კი, რომლებსაც სხვადასხვა ხედვა აქვს, უფრო ალვივებს ამ დაპირისპირებას. გააჩნია, რომელ მხარეს ხარ და საიდან შეხედავ“ (ნ.დ., სამთავრობო სტრუქტურა).

ამ შეხედულების თანახმად, პარტიებს შორის თანამშრომლობა დამოკიდებულია ხედვაზე: ევროპა თუ რუსეთი. ხაზგასმულია, რომ ევროინტეგრაციის პროცესი ხელს უწყობს მხოლოდ იმ პარტიებს შორის თანამშრომლობას, რომლებიც თანხმდებიან, რომ ევროსტრუქტურებში ინტეგრაცია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტია; ხოლო პრორუსულ პარტიებთან მათი თანამშრომლობა შეუძლებელია.

ამავე კუთხითაა დანახული სხვადასხვა პოლიტიკურ თუ სოციალურ ინსტიტუტს შორის ინტერაქციაც და აღნიშნულია, რომ ევროინტეგრაციის პროცესი აუცილებლად არ იწვევს მათ შორის თანამშრომლობის გაძლიერებას. ამის მაგალითად მოყვანილია ეკლესია, რომელიც ანტიდისკრიმინაციული კანონის მომხრე არ ყოფილა, მაგრამ ევროკავშირის მოთხოვნის გამო, საკანონმდებლო ორგანოებმა მისი არგუმენტაცია არ გაითვალისწინეს და ანტიდისკრიმინაციული კანონი მიიღეს, რამაც ეკლესიის მხრიდან საკანონმდებლო ორგანოების კრიტიკა გამოიწვია. პარტიული პოზიციიდან რომ შეხედოთ, ანტიდის-

კრიმინაციული კანონის მიღება მოყვანილია, როგორც წინააღმდეგობრივი შემთხვევა, რომელზეც საპარლამენტო ოპოზიცია აცხადებდა, რომ ბევრი პრობლემა არსებობდა, მაგრამ ჯობდა, ქვეყანას ჰქონოდა თუნდაც ასეთი არასრულყოფილი ვარიანტი, ვიდრე საერთოდ არ მიეღო ანტიდისკრიმინაციული კანონი; რაც შეეხება მმართველ გუნდს, რესპონდენტებში დომინანტურია მოსაზრება, რომ მისი წარმომადგენლების დიდი ნაწილი კანონის მიღების წინააღმდეგი იყო, თუმცა მისი მიღება მოუწია სწორედ ევროკავშირის ზეწოლის გამო.

„...ანუ გამოდის, რომ ეს ადამიანები, ვგულისხმობ უმრავლესობის უმრავლესობას, შინაგანად წინააღმდეგობაში მოდიან ევროპულ ღირებულებებთან. უბრალოდ, კარგი ზეწოლის პირობებში, იძულებულნი არიან, რომ მიიღონ ისეთი გადაწყვეტილება, როგორსაც იღებენ“ (ნ.ო., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

საინტერესოა, რომ მსგავს საკითხზე მსჯელობისას, კვლევაში მონაწილე პოლიტიკოსები სწორედ საკუთარი პარტიის პერსპექტივიდან ცდილობენ პრობლემის წარმოჩენას. მაგალითად, ოპოზიციური, პროდასავლური პარტიის წარმომადგენელი იმ „პარადოქსული“ ვითარების ხაზგასმას ახდენს, რომ ხელისუფლება ნაკლებ კრიტიკულია ე.წ. პრორუსული პოლიტიკური ძალების (ნინო ბურჯანაძე, „პატრიოტთა ალიანსი“) მიმართ და საკმაოდ კრიტიკული – პროდასავლური პარტიების („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „თავისუფალი დემოკრატები“) მიმართ, და ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც ევროპულ და ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას მმართველი გუნდი პრიორიტეტად აცხადებს. რადგან ამ საკითხის განხილვა, უმეტესად, ვინრო პარტიულ ჭრილში ხდება, შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი დისკურსი სწორედ საკუთარი გუნდის, როგორც პროდასავლურის, პოზიციურებას ემსახურება, „ლატენტურად პრორუსული“ მმართველი გუნდის საპირისპიროდ.

„დღევანდელი მთავრობა აცხადებს, რომ მისი პრიორიტეტია ევროკავშირი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხშირად ვერ მოდის თანხვედრაში და თანამშრომლობაში იმ პარტიებთან, რომლებიც იგივე პრინციპებზე დგანან“ (ე.თ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

ხაზგასმულია ის ფაქტიც, რომ მმართველ კოალიციაში არის კონკრეტული ჯგუფები, რომლებიც არ ერიდებიან საკუთარი ხედვის, როგორც პრორუსულის, ამდენად, ანტიდასავლურის წარმოჩენას, რაც, ერთი დისკურსის თანახმად, პრობლემაა, მეორის თანახმად კი,

პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ის ამ კონკრეტული პარტიის პლატფორმას, რომლის შესახებაც ამომრჩეველმა თავიდანვე იცოდა და, ამის მიუხედავად, ხმა მისცა კოალიციას, რომელსაც საგარეო კურსად ევროინტეგრაცია აქვს დეკლარირებული.

„თუკი კოალიციაა, კოალიცია უნდა იყოს, ერთი პრინციპების გარშემო გაერთიანებული. როდესაც კოალიციის ერთი ნაწილი განსხვავებულ პრინციპებზე საუბრობს, ეს აღარ არის კოალიცია. მაშინ ან ერთი ტყუის, ან მეორე. შიგნით, ასევე, არიან ცალკეული ინდივიდები, პოლიტიკური ფიგურები, პარლამენტარები, რომლებიც აცხადებენ, რომ მათთვის ევროკავშირი და ევროპული ფასეულობა ღირებული არ არის“ (ე.თ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

ამ კონტექსტში, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლები ძველი და ახალი ხელისუფლების შედარებას ახდენენ და ძველი ხელისუფლების ძლიერ მხარედ სწორედ ერთიანი ხედვის ქონა და კოორდინირებული საქმიანობა მიაჩნიათ, რის თანამედროვე პირობებში ნაკლებობასაც უსვამენ ხაზს. თუკი დღეს რაიმე წინსვლას ამჩნევენ, ამას არა არსებული ხელისუფლების პოლიტიკურ ნებას, მუშაობას, რესურსების სწორად გამოყენებას მიაწერენ, არამედ მხოლოდ იმ ვალდებულებებს, რომლებიც ქვეყანას ევროკავშირის წინაშე აქვს აღებული.

„ევროპარლამენტის ან ევროკომისიის განცხადება იქნება თუ რეზოლუცია, ამას აქვს წონა და მნიშვნელობა პოლიტიკურ დისკურსში. ამიტომ ეს ჩვენ გვეხმარება საქართველოს უკუსვლის შესაჩერებლად... ადრე ძალიან მაღალ დონეზე იყო კოორდინაცია აყვანილი. პოლიტიკოსები აღიარებდნენ, რომ გუნდური თამაში და სხვადასხვა სამინისტროებს შორის კოორდინირებულობა ჩვენს აქტივში იყო“ (დ.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

სწორედ ევროკავშირის წინაშე აღებულ ვალდებულებებს მიენერება აღმასრულებელი ხელისუფლების, საჯარო უწყებებისა და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობისთვის ბიძგის მიცემა. აღნიშნულია, რომ ამ თვალსაზრისით, ევროსტრუქტურებიდან გამოცდილების შეძენის პროცესი უწყვეტია, თუმცა იმის შეფასება, თუ რამდენად ხდება ახალი გამოცდილების სათანადოდ ინტერნალიზაცია, რესპონდენტთა ნაწილს საკმაოდ რთულად მიაჩნია.

„ხდება ახალი გამოცდილების შეძენა იმიტომ, რომ მათ [მთავრობას] აქვთ აქტიური კონტაქტი ევროკავშირის წარმომადგენლებთან.

ის მოთხოვნები, რასაც ევროკავშირი ხელისუფლებას უყენებს, ეს მათთვის ახალი გამოცდილებაა. რამდენად ხდება ამის გათავისება, ეს რთული შესაფასებელია, ჩემი მხრიდან“ (ე.თ., პოლიტიკოსი, სა-პარლამენტო უმცირესობა).

რესპონდენტთა თქმით, აღნიშნული გამოცდილება ყველაზე თვალსაჩინოდ ინსტიტუტების შიდა სტრუქტურის გაძლიერებაზე აისახება. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სახელმწიფო მოხელეების გადამზადება, სამინისტროებში ევროინტეგრაციის დეპარტამენტების შექმნა და, ამასთან, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებში სამიზნე ჯგუფების ვიზიტი.

„გამოცდილების მიღება არის მუდმივი თანმდევი პროცესი. მუდმივად ხდება სახელმწიფო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება, გადამზადება; გვაქვს სპეციალური პროგრამები, რომლებიც გულისხმობს ექსპერტულ დახმარებას ამ სფეროებში საკანონმდებლო დაახლოების კუთხით; ხდება კადრების გადამზადება როგორც ადგილზე, ასევე საზღვარგარეთ. ველოსიპედს თავიდან არ ვიგონებთ“ (ნ.დ., სამთავრობო სტრუქტურა).

„ასოცირების შეთანხმებაში ჩართულია ყველა საჯარო უწყება, საჯარო უწყებებს აქვთ ურთიერთობა არასამთავრობო სექტორთან, რადგან იქ არის საკონსულტაციო ექსპერტთა ჯგუფები, რომლებიც კონსულტაციას უწევენ სხვადასხვა რეფორმის განხორციელებაში. რასაკვირველია, გამოცდილების შექმნა ხდება. მაგალითად, მაისში ლატვიაში გაემგზავრება მასწავლებელთა ჯგუფი, როგორია მასწავლებლების როლი ევროინტეგრაციის პროცესში, რომელიც გაიარა ლატვიამ, რა პრობლემებს აწყდებოდნენ, რა გამოცდილება მიიღეს ევროპული ღირებულებების დანერგვის კუთხით მოსწავლეებში და სკოლებში. ასევე, გვაქვს პროგრამა ფერმერებისთვის და აგრარული სექტორის წარმომადგენლებისთვის, გამოცდილების გაზიარების მიზნით დაგეგმილია ვიზიტები ესტონეთში, ჰოლანდიაში და დიდ ბრიტანეთში“ (ვ.დ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

მიუხედავად როგორც ინსტიტუციური თანამშრომლობის, ისე ინსტიტუტების შიდა სტრუქტურის გაძლიერების მიმართულებით გადადგმული პოზიტიური ნაბიჯებისა, რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ბრიუსელიდან მეტი მოთხოვნა ამ პროცესს უფრო მეტ ბიძგს მისცემდა. ამდენად, თავად რესპონდენტთა თქმით, ევროკავშირის მხრი-

დან მეტი პირობითობა პოლიტიკური გამოცდილების ტრანსფორმაციაზე პოზიტიურ გავლენას მოახდენდა.

„ეს პროცესი მაგათ მუშაობაზე ცალსახად ახდენს გავლენას, რადგან, როგორც ვიცით, ამ პროცესს აქვს თავისი ეტაპები დაახლოების, შესრულების, რეპორტირების. ყველა ამ ეტაპის გავლა და ახალ ეტაპზე გადასვლა მათ საქმიანობაზე ცალსახად ახდენს გავლენას, რადგან მათი წარმატების და წარუმატებლობის იდენტიფიცირება ხდება. შესაბამისად, თუ ევროკავშირის ინსტიტუტების მხრიდან იქნება უფრო აქტიური და თანმიმდევრული მიდგომა, შეიძლება, რომ მოთხოვნების გამკაცრება ამ ინსტიტუტებისთვის, ვინც ამ მიმართულებაზე მუშაობენ, მათი მუშაობის აქტივიზაციის შესაძლებლობაც იყოს“ (მ.ი., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

მნიშვნელოვანია პოზიცია, რომლის თანახმად, პოლიტიკაში „საქმის კეთების“ თვალსაზრისით, ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა, მაგრამ მოსალოდნელია, რომ მომავალში ევროპეიზაცია პოლიტიკური კულტურის გაზრდას შეუწყობს ხელს. ამდენად, რადაელის მიერ წარმოდგენილ ემპირიულ კატეგორიებს რომ დავუბრუნდეთ, ჯერ კიდევ სუსტია ცვლილებები პოლიტიკური გამოცდილების, ძალის თუ ბალანსის გაუმჯობესების მიმართულებით, თუმცა, ევროინტეგრაციის მიზნიდან გამომდინარე, ამ ცვლილებების განხორციელება გარდაუვალია. თუ ევროპეიზაციის პროცესი ჯერჯერობით არ იწვევს თანამშრომლობის ახალ სტილზე გადასვლას და პოლიტიკური მოთამაშეები საკმაოდ პოლარიზებულნი რჩებიან, მომავალში ის პოზიტიური პროცესებისთვის ბიძგის მიმცემად და „პოლიტიკის კეთების“ ახალი, დასავლური წესების დამკვიდრების გარანტიად მოიაზრება.

„ეს არის ის მექანიზმი, რომლითაც მთავრობის ის შტოები, რომლებიც ინერციით აკეთებენ ან ვერ აკეთებენ საქმეს, იძულებულნი გახდებიან, ამოძრავდნენ, ისწავლონ, გააკეთონ მეტი“ (ი.დ., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

„კარგ ჩარჩოს იძლევა იმისათვის, რომ ურთიერთობები იყოს ნორმალური, როგორცაა დემოკრატიულ ქვეყანაში და არ იყოს ისეთი, როგორც ჩვენ გვაქვს; განსაკუთრებით ხელისუფლებისა და ოპოზიციის ურთიერთობაზე საუბარი“ (ტ.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

ამ ეტაპზე, ევროპეიზაციის პროცესი ძირითადად განიხილება,

როგორც ქართველი პოლიტიკოსების მიერ შიდა აუდიტორიისთვის შექმნილი იმიჯის შემადგენელი ელემენტი, რომელიც მნიშვნელოვანია უტილიტარული მოსაზრებებიდან გამომდინარე (სოციალურად სასურველი კუთხით თავის წარმოჩენა, ამომრჩევლის გულის მოგება და სხვ.) და პოლიტიკურ აქტორთა ღირებულებით სისტემასთან ნაკლებად აქვს კავშირი. მმართველი გუნდი ოპოზიციურ პარტიებს მიანერს ამგვარ პერფორმანსს, ოპოზიციური პარტიები – მმართველ გუნდს, ექსპერტები კი – როგორც პირველს, ისე მეორეს.

„ეს, ძირითადად, პოლიტიკოსების მიერ გამოყენებულია, რომ თავი პროგრესულად წარმოაჩინონ. უტილიტარული მიდგომა აქვთ ევროპისადმი, ევროპელობისადმი, ვიდრე ღირებულებითი, ან იდენტობის, ან სოციალური კონსტრუქტივიზმის. ეს არის გამოყენებითი მიდგომა პირადი სარგებლის მისაღებად“ (ნ.შ., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

მიუხედავად ამისა, ასეთი უტილიტარული მიდგომაც პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს, რადგან იმაზე მიუთითებს, რომ პოლიტიკური იმიჯის კონსტრუირებისას მნიშვნელოვანია ევროინტეგრაციის მსურველთა მოთხოვნებზე ადეკვატური რეაგირება, მით უმეტეს, რომ ეს სეგმენტი მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს. ამ ყველაფერში კი კრიტიკული როლი პოლიტიკურ დისკურსს მიუძღვის, რადგან, როგორც რადეული აღნიშნავს, სწორედ დისკურსს შეუძლია გადამწყვეტი გავლენა იქონიოს ევროკავშირთან დაკავშირებულ არჩევანთა ლეგიტიმაციაზე.

ევროპეიზაცია და ადამიანური რესურსების საკითხი

როგორც ზემოთ აღინიშნა, EU acquis-ის განხორციელების პირველ, გადმოტანის ეტაპზე განმსაზღვრელია „მენეჯმენტური“ მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია acquis-ის აღსრულებისთვის საჭირო რესურსების მობილიზებაზე და ადმინისტრაციული შესაძლებლობების შექმნაზე (Maniokas 2009). შესაბამისად, ამ კონტექსტში, განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ადამიანური, პროფესიული რესურსების საკითხი, რაც ექსპერტული კვლევის ანალიზამაც ცხადყო. რესპონდენტებისთვის საქართველოს ევროპეიზაციის პროცესი და, პირველ რიგში, ასოცირების ხელშეკრულების განხორ-

ციელება, შესაბამისი ექსპერტიზის მქონე, კვალიფიციური კადრების საკითხთან მჭიდრო კავშირში განიხილება. აღსანიშნავია, რომ კვალიფიციური კადრების საჭიროების საკითხს განსხვავებულად აფასებენ საპარლამენტო უმრავლესობის, უმცირესობის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები.

„ქართულ ოცნებასთან“ ასოცირებული რესპონდენტები, მეტწილად, უარყოფენ ან პირდაპირ არ საუბრობენ კვალიფიციური კადრების დეფიციტზე, ანდა ცდილობენ, პროფესიონალიზმის პრობლემა მათგან დამოუკიდებელი სხვადასხვა მიზეზით ახსნან. მაგალითად, რესპონდენტებმა პოზიტიურად შეაფასეს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და სამოქალაქო სექტორის სისტემური მუშაობა ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად: ერთი მხრივ, ქვეყანაში განვითარებულია ევროინტეგრაციის მხარდაჭერი სამოქალაქო სექტორი, რომელიც „კარნახობს ხელისუფლებას, რა უნდა გააკეთოს“ (ე.თ., სახელმწიფო სტრუქტურა); მეორე მხრივ კი, ხელისუფლებაში არიან კვალიფიციური მოხელეები, რომლებიც ასოცირების ხელშეკრულების მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ და მის წარმატებულ განხორციელებაზე არიან პასუხისმგებელნი.

„ჩემი აზრით, რესურსების პრობლემა არ უნდა გვეკონდეს. ამ რესურსების გათვლით მოხდა მოლაპარაკება. როდესაც განსაზღვრულ სფეროებზე ვადებ ვიღებდით, სწორედ რესურსების და ადგილობრივი რეალობის გათვალისწინებით მივიღეთ გადაწყვეტილება. ასეა დაწერილი საკანონმდებლო დაახლოების პროგრამები, რომლებიც დევს ასოცირების შეთანხმებაში. რა თქმა უნდა, შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ჩვენი სახელმწიფო სექტორი შემდგომ გაზრდას და კვალიფიკაციის ამაღლებას არ საჭიროებს, მაგრამ ეს ეტაპობრივად მოხდება, მათ შორის ევროკავშირის დახმარებითაც“ (ნ.დ., სახელმწიფო სტრუქტურა).

ამ კონტექსტში აღინიშნა, რომ საქართველო ინტელექტუალური რესურსის დეფიციტს არ განიცდის იმის წყალობით, რომ ქართული საზოგადოებისთვის განათლების მიღება და პროფესიული განვითარება პრიორიტეტული იყო საბჭოთა პერიოდშიც. თუმცა, პარალელურად, აღნიშნულია, რომ ეს რესურსი საქართველოს ფარგლებს გარეთაა გაფანტული და ქვეყნის შიგნით მისი მობილიზება ვერ ხერხდება. შესაბამისად, აღნიშნული რესურსი ამჟამად საქართველოში არსებული გამოწვევების დასაძლევად ხელმისაწვდომი არ არის.

„ქვეყანაში არ ჭირდა ინტელექტუალური რესურსი. ახლა საჭიროა ამ რესურსის მობილიზაცია, საქართველოში დაბანდება იქნება ძალიან მნიშვნელოვანი. უამრავი პროფესიონალი მოღვაწეობს ქვეყნის გარეთ, რადგან ამ რესურსის აქ მობილიზება და, შესაბამისად, უზრუნველყოფა ვერ მოხერხდა. ამას თუ მოახერხებს სახელმწიფო, ეს იქნება ძალიან დიდი მიღწევა“ (ბ.შ., სახელმწიფო სტრუქტურა).

ზემოსხენებული პოზიციისგან განსხვავებით, ინტერვიუებში საუბარია იმაზეც, რომ ჩაკეტილმა საბჭოთა სივრცემ, პირიქით, არ მისცა ქართველებს შესაბამისი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა, რაც სხვადასხვა სფეროში პროფესიონალების დეფიციტს იწვევს და ქვეყნისთვის რეალური გამოწვევაა. თუმცა, საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ეს პრობლემა ხელისუფლებას გაცნობიერებული აქვს და სათანადო ქმედებებს ახორციელებს საჭირო ცოდნისა და გამოცდილების მისაღებად, რაშიც ევროკავშირი დახმარებას უწევს ტრენინგების ჩატარების და უცხოელ ექსპერტებთან თანამშრომლობის სახით. მისი თქმით, ევროპელებისთვის თვალსაჩინოა, რომ „ჩვენ გვაქვს უკეთესი მომავლისკენ ქეშ-მარიტი სწრაფვა და ისინი მზად არიან, რომ ჩვენ ამაში დაგვეხმარონ“ (ი.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

„დღეს, ჩვენ არ უნდა გვრცხვენოდეს იმის, რომ შეიძლება რაღაცა არ ვიცოდეთ. სირცხვილი ის არის, რომ არ ვიცოდეთ და კიდევ არ გვინდოდეს, რომ გავიგოთ“ (მ.ნ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

„პროცესი მიდის და არა მთლად ინერციით. ევროკომისიის დელეგაციები პერიოდულად ჩამოდიან საქართველოში, ამონებენ ქვეყნის მზაობის ხარისხს, რამდენად შეესაბამება ესა თუ ის პარამეტრი მათ კრიტერიუმებს. აკეთებენ რეკომენდაციებს, ეს რეკომენდაციები სრულდება და მივედით იქამდე, რომ ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო ხელშეკრულება იქცა ასოცირების ხელშეკრულების ნაწილად. პროგრესი იყო და მივედით ასოცირებამდე“ (ფ.მ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

კვალიფიციურ ადამიანურ რესურსებზე საუბრისას, ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების გრძელვადიანი პროცესის ხაზგასმა და, პარალელურად, იმის აღნიშვნა, რომ „ჯერ ერთი წელიც არ გასულა, რაც ხელი მოვანერეთ და ძალაში შევიდა“ (ვ.დ., ექსპერტი,

არასამთავრობო ორგანიზაცია), რესურსების დეფიციტის „გამართლების“ შთაბეჭდილებას ტოვებს. მართალია, არსებობს მოსაზრება, რომ ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების პროცესში ხარვეზები არსებობს, თუმცა ამის მიზეზად, რიგ შემთხვევაში, პროფესიონალიზმის დეფიციტი კი არ სახელდება, არამედ უფრო სისტემური სირთულეები და იქვე ხაზგასმულია, რომ მთავრობა ფლობს შესაბამის მექანიზმებს მათ გადასაჭრელად.

„ძალიან ბევრი მოთამაშეა ჩართული, მათ შორის პარლამენტი, რომელიც საკანონმდებლო ცვლილებებს ახორციელებს, რეგიონები, რომლებიც დეცენტრალიზაციის საფუძველზე დამოუკიდებელ ორგანოებს წარმოდგენენ. [...] ამ სირთულის დასაძლევად კი, თავის მხრივ, მუშაობს ხელისუფლება და მარეგულირებელი ორგანოები, რომელიც პროცესს მონიტორინგს უწევს; ანუ სახელმწიფოს აქვს ყველა ის მექანიზმი, რომელიც სჭირდება ამ პროცესის დასაგეგმად, კოორდინირებისა და განხორციელებისათვის“ (ვ.დ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

რესპონდენტებმა ისიც აღნიშნეს, რომ სექტორული რეფორმების გატარებას, მაგალითად, ტრანსპორტისა და კომუნიკაციის განვითარებას, განსაკუთრებული კომპეტენციის მქონე ადამიანური რესურსი არ სჭირდება. თუმცა, იგივე განწყობა არ ვრცელდება, მაგალითად, ანტიდისკრიმინაციულ კანონზე, რომლის დამტკიცებაზეც საკმაოდ დიდი დრო და რესურსი დაიხარჯა იმ მიზნით, რომ „ხალხისთვის სწორად აგვეხსნა და მიგვეწოდებინა“ (ზ.ე., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა). მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტი ინტერვიუში საუბრობს სწორედ საზოგადოების მხრიდან გამოთქმულ უკმაყოფილებაზე ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებასთან დაკავშირებით, იმავდროულად, ის ხაზს უსვამს ქართველი ერის ტოლერანტობას და ვერ იხსნებს, „რომ ვინმე ჯოხებით გვედევნა, რომ, თუ რამეს არ ვეთანხმებით, შეგვიძლია შეურაცხყოფა მივაყენოთ, გავლახოთ ან დისკრიმინაციული დამოკიდებულება გვქონდეს მის მიმართ.“ კანონპროექტის ირგვლივ წარმოქმნილ აჟიოტაჟს რესპონდენტი მცირე სირთულეს უწოდებს და აღნიშნავს, რომ „ესე ხდება ხოლმე, ეს მხოლოდ ქართველებს არ ემართებათ, ყველას ემართება. ამიტომ ახლა უნდა დავაცხროთ ვნებები, უნდა ვიმუშავოთ სწორად და ბევრი“ (ზ.ე., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

რესურსების დეფიციტთან დაკავშირებით, სხვებზე კრიტიკულ

შეფასებებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები და სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის ექსპერტები აკეთებენ. რესპონდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ, ერთი მხრივ, ისინი, ვინც პასუხისმგებელია ასოცირების ხელშეკრულების განხორციელებაზე, არასაკმარისად კვალიფიციურია, მეორე მხრივ კი, ეჭვს იწვევს, თუ რამდენად ეფექტიანად გამოიყენება თუნდაც ევროკავშირის მხრიდან მონოდებული რესურსი. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი მიმდინარეობს, „ეს უბრალოდ ავტოპილოტზე ჩართული პროცესია და ეს ავტოპილოტი როდის გვიმტყუნებს, კაცმა არ იცის“ (ზ.ც., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

„ყველა ჩივის რესურსების ნაკლებობაზე და ევროკავშირიც გვეხმარება ამ რეფორმების განხორციელებაში. მარტო არ არის საქართველო ამ კუთხით. ერთი მხრივ, შეიძლება ვთქვათ, რომ არ არის საკმარისი რესურსი და, მეორე მხრივ, რაც არის, რამდენად ეფექტიანად ხდება მათი გამოყენება, ეს უკვე ცოტა სხვა თემაა“ (ზ.ლ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

როგორც საპარლამენტო უმცირესობის, ისე ექსპერტთა შეფასებით, ხელშეკრულების განხორციელების კონტექსტში, საფრთხეს წარმოადგენს ისეთი რეგულაციების შესრულება, რომლის ადმინისტრირების პოტენციური ბიუროკრატიულ აპარატში არ მოიძებნება. შესაბამისად, მოსალოდნელია უარესი შედეგების დადგომა, მაგალითად, ფინანსური ზარალის მიღება და გაზრდილი კორუფცია.

„ჩვენი მთავრობის მიდგომა ასეთი იყო, თუკი არჩევანი არის, გქონდეს რეგულაცია, რომლის ადმინისტრირების პოტენციური შენს ბიუროკრაციას არ აქვს, მაშინ ჯობია არ გქონდეს საერთოდ. ისეთი რეგულაციის არსებობას, რომელიც ჩვენი ბიუროკრაციის პირობებში ძნელად ადმინისტრირებადია, უარესი შედეგი მოყვება. რეგულაციების ობიექტები ნახულობენ ზარალს და იზრდება კორუფცია. შევარდნაძის დროს მილიონი რეგულაცია არსებობდა, მაგრამ ყველაფერი ქრთამით კეთდებოდა, მაგალითად, ფიტო-სანიტარული სფერო, სადაც იყო კოლოსალური კორუფცია. ევრონორმებიც ინერგებოდა, მაგრამ რეალურად არ მუშაობდა, დანერგილი იყო ქალაქზე. ჩვენ საერთოდ გავაუქმეთ ეს სტრუქტურები“ (დ.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

კადრების დეფიციტთან მიმართებაში, განსაკუთრებული ყურ-

ადღება გამახვილდა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემაზე და მის არსებით როლზე ევროპეიზაციის პროცესში. ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ კლასიკური ცოდნა, რომელიც ქვეყანაშია აკუმულირებული და ქართველი პროფესორები ფლობენ, თანამედროვე მოთხოვნებთან გასამკლავებლად საკმარისი არ არის. მეორე მხრივ, ქართული საუნივერსიტეტო სისტემა ვერ პასუხობს იმ ახალ მოთხოვნებს და გამოწვევებს, რაც დღეს სხვადასხვა სფეროში არსებობს. ამდენად, განათლების განახლებული სისტემა და დარგის კვალიფიციური სპეციალისტები მიიჩნევა პრობლემების გადაჭრის რეალურ გამოსავლად, განსაკუთრებით იმ ფონზე, როცა ქვეყანაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებასა და აგრარულ სწავლებაზე მზარდი აქცენტი კეთდება; ამასთან, თანამედროვე ქართველი ახალგაზრდები სიახლეების მიმართ მეტად გახსნილებად და დასავლური ღირებულებების მხარდამჭერად მოიაზრებიან.

„მე მომავალი თაობის იმედი მაქვს, ველოდები. მე მეჯერა, რომ ყოველი ახალი თაობა უკეთესია, უფრო სწრაფად ითვისებს იგივე ინფორმაციას, უფრო აქვს დასავლური ღირებულებები, არ ემინია, გახსნილია“ (მ.ი., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

„გადაწყვეტილების მიმღებები და აღმასრულებლები უნდა იყოს თაობა, რომელსაც არ ექნება სტერეოტიპული, დაკომპლექსებული აზროვნება, შიში, ვალდებულებითი დამოკიდებულება რუსეთის მიმართ. შეუძლებელია საქართველოს პარლამენტის წევრთა საშუალო ასაკი იყოს 40 წელზე ზემოთ და მათ არ ჰქონდეთ საბჭოური მიდგომები რიგი საკითხების მიმართ, მათ შორის პროცედურული დემოკრატიის შესახებ“ (კ.უ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ასოცირების ხელშეკრულების წარმატებით განხორციელებისთვის საჭიროა მიკრო დონეზე მუშაობა, რაც დღეს, რეალურად, არ მიმდინარეობს. ის მოხელეებიც კი, ვისაც სათანადო კომპეტენცია აქვს, შეუძლია მდგომარეობის ობიექტურად შეფასება და არსებული პრობლემების გამოვლენა, პოლიტიკურ კონიუნქტურას ექვემდებარებიან და ინფორმაცია სააშკარაოზე არ გამოაქვთ, საზოგადოებრივი წნეხის ასარიდებლად.

„ჩვენთან პრობლემაა, რომ, ერთი მხრივ, გვყავს საჯარო მოხელეები, რომლებსაც შეხება არა აქვთ დარგთან და არ იციან, მეორე მხრივ,

არის საჯარო მოხელე, რომელიც, ჩვენი აზრით, დარგის ძალიან კარგი სპეციალისტია, მაგრამ ექვემდებარება ხოლმე პოლიტიკურ კონიუნქტურას და არ ამბობს რაღაცებს დროულად. ჩვენთან ეს პრობლემები დროულად რომ დაფიქსირდეს, შეგვიძლია „პრესინგი“ გავუკეთოთ პოლიტიკის შემქმნელებს. ჩვენთან არის ცუდი სისტემა, თუ რაღაც კარგად არ არის, საჯარო მოხელე ცდილობს ამის დაფარვას. თუ ეს ინფორმაცია გარეთ გავა, ამაზე ილაპარაკებენ. საჯარო ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამაც შეიძლება კარგი შედეგები მოიტანოს, უნდა გამჟღავნდეს. როდესაც ამ ინფორმაციას აკონსერვებენ, ვიღებთ ცუდ შედეგს“ (მ.გ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სახეზეა ხელშეკრულების განხორციელებაში არათანმიმდევრული ქმედებები, რაც ევროპეიზაციის პროცესს აფერხებს. მსგავსი სიტუაციიდან გამოსავლად მათ შესაბამისი სისტემური ცვლილებების განხორციელება ესახებათ, რამაც ყველა არსებული რესურსის მობილიზება და ეფექტიანად ამუშავება უნდა უზრუნველყოს. მხოლოდ ამგვარი სისტემური ცვლილებები მიიჩნევა ევროპეიზაციის პროცესის სამომავლო წარმატების გარანტიად საქართველოში.

ევროინტეგრაციით და ევროპეიზაციით დაინტერესებული სოციალური ინსტიტუტები და აქტორები

მოსახლეობა. კვლევაში მონაწილე ყველა ექსპერტი და პოლიტიკოსი (როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური პარტიებიდან) მიიჩნევს, რომ ევროკავშირთან დაახლოება და თანმდევი ევროპეიზაციის პროცესი ყველაზე მეტად საქართველოს მოსახლეობის ინტერესებში შედის.

მიჩნეულია, რომ ევროინტეგრაციასთან და ევროპეიზაციასთან დაკავშირებული მოსახლეობის განწყობები იმ დისკურსების (პოლიტიკური, მედიის და ა.შ.) კონტექსტში უნდა იქნას შესწავლილი, რომლებიც მათ ფორმირებაზე გავლენას ახდენს (Toshkov et al., 2014, 3). სამეცნიერო ლიტერატურა, ევროკავშირისადმი საზოგადოებრივი განწყობების ახსნისას, მნიშვნელოვნად მიიჩნევს როგორც უტილიტარული ინტერესების (როგორიცაა ევროკავშირთან უფიზო მიმოსვლა ან ეკონომიკური აღმასვლის პერსპექტივები), ისე იდენტობის ფაქტორების გათვალისწინებას (როგორიცაა ქართველების „ევროპული იდენტობის“ განმტკიცება ან, პირიქით, ევროპეიზაციის შედეგად

ქართული იდენტობის და ტრადიციების შესუსტების შიში). აქვე აღსანიშნავია „მედია-ფრეიმინგის“ და პოლიტიკოსებისგან მომდინარე სიგნალების პოტენციური გავლენაც. ამ კონტექსტში, საინტერესოა, რა მიაჩნიათ ჩვენ რესპონდენტებს საქართველოს მოსახლეობის ევროკავშირისადმი დამოკიდებულების ფორმირებაზე გავლენის მქონე ძირითად ფაქტორებად.

ევროკავშირთან დაახლოების პროცესის შეფასებისას, რესპონდენტების მხრიდან სწორედ უტილიტარული ფაქტორების, ანუ ევროპეიზაციის პროცესის შედეგად მიღებული სარგებლის ხაზგასმა ხდება. ეს მოიცავს როგორც ეკონომიკურ წინსვლას, ისე დემოკრატიის, ადამიანთა უფლებების, უსაფრთხოებისა და სხვა საკითხების გაუმჯობესებას ქვეყანაში. რადგან ევროკავშირთან ინტეგრაცია საერთო კეთილდღეობასთან ასოცირდება, მიიჩნევა, რომ ამ პროცესის პოზიტიურ შედეგებს ყველაზე მეტად სწორედ მოსახლეობა შეიგრძნობს. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმაც, რომ, რესპონდენტების აზრით, აღნიშნული კეთილდღეობა მიიღწევა ევროკავშირთან დაახლოების პროცესში მისი სტანდარტების წარმატებით დანერგვით და არა ერთმნიშვნელოვნად ევროკავშირის წევრობით.

„აქ განვერიანებასა და არგანვერიანებას აზრი არ აქვს, რამდენადაც ამ დაახლოების პროცესის წარმატებას, რადგან ამით საქართველო ისეთივე წარმატებული ქვეყანა გახდება, როგორც წევრები“ (ბ.შ., სამთავრობო სტრუქტურა).

უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტებისა და პოლიტიკოსების აზრით, მოსახლეობის საკმაოდ მაღალი პროცენტული განწყობები თვალსაჩინო ინდიკატორია იმისა, რომ ევროინტეგრაციის პროცესი ყველაზე მეტად სწორედ მათ ინტერესებში შედის და, რაც მთავარია, მოსახლეობა თავად აცნობიერებს ამას. რესპონდენტთა თანახმად, მოსახლეობის კეთილგანწყობას, პირველ რიგში, ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულების კვლევა ადასტურებს: ქვეყნის მასშტაბით სისტემატურად მიმდინარე რეპრეზენტატიული კვლევების მონაცემები (CRRC, 2009, 2011, 2013, 2015) გვაფიქრებინებს, რომ საქართველოში ევროპეიზაცია არა მხოლოდ ზემოდან ქვემოთ, არამედ, იმავდროულად, ქვემოდან ზემოთ მიმართული პროცესია. ამის ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს მოსახლეობის საკმაოდ მწვავე რეაქცია „ევროპული კურსიდან“ გადახვევის შესაძლებლობაზე, რასაც პოლიტიკოსები არა მარტო სიფრთხილით უდგებიან, არამედ მანიპულირების იარაღად და პოლიტიკური რეიტ-

ინგის ასანვევდაც კი იყენებენ. ეს თვალსაჩინოდ გამოვლინდა 2014 წლის ნოემბრის მოვლენებიდანაც, კერძოდ, ალასანია-ღარიბაშვილის დაპირისპირებიდან, რასაც „თავისუფალი დემოკრატიების“ მიერ კოალიცია „ქართული ოცნების“ დატოვება მოჰყვა იმ მოტივით, რომ საქართველოს ევროპულ არჩევანს საფრთხე ემუქრებოდა არსებული ხელისუფლების ხელში. ამის საპასუხოდ, პრემიერ-მინისტრს მომენტალურად მოუწია იმის დადასტურება, რომ საქართველოს პროევროპული კურსი მოსახლეობის უწყევ არჩევანს, შესაბამისად, ხელისუფლების პრიორიტეტსაც წარმოადგენდა; ამდენად, მისგან გადახვევა დაუშვებელი იყო. ჩვენი კვლევის მონაწილენიც ხაზს უსვამენ, რომ სწორედ ევროკავშირში განწევრიანების მიმართ მოსახლეობის მაღალი მხარდაჭერა განაპირობებს იმას, რომ ხელისუფლებას, როგორც მოსახლეობის ნების აღმსრულებელს, ევროინტეგრაცია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად აქვს განსაზღვრული.

„რადგანაც, რეალურად, მათთვის მთავარი არის, რომ ამომრჩეველმა მისცეს ხმა, თუ ამომრჩეველი მოითხოვს, რომ წავიდეს ევროპისკენ... ეს უფრო მეტად ბიძგი არის“ (ზ.ც., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

მიუხედავად ზემოხსენებული ნარატივისა, გამოვლინდა განსხვავებული მოსაზრებაც, რომელიც ეჭვით უყურებს ევროპეიზაციის პროცესის ქვემოდან ზემოთ მიმართულებას, მოსახლეობის დაბალი გათვითცნობიერებულობის გამო. ამ დისკურსის თანახმად, მოსახლეობას არა აქვს საკმარისი ინფორმაცია, ზოგადად, ევროკავშირის და, კონკრეტულად, ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ საქართველოში. ამდენად, მან არ იცის, თუ რა კონკრეტულ შედეგებს უნდა ელოდოს ევროკავშირთან დაახლოებიდან. მართალია, ქართული საზოგადოება თვლის, რომ ევროინტეგრაცია მის ცხოვრებაზე დადებითად აისახება, მაგრამ რა კუთხით, როგორ ან როდის, ამის შესახებ სათანადო ინფორმაცია არ გააჩნია. აღნიშნულ ფენომენს ერთ-ერთმა ექსპერტმა „ევრო-რომანტიზმიც“ უწოდა, რომელიც, თავის მხრივ, საფრთხის მატარებლად მიიჩნია, სამომავლოდ მოსახლეობის იმედგაცრუებისა და ევროკავშირის სანინაღმდეგო სენტემენტების გამოწვევის კუთხით.

მართალია, მოსახლეობა ევროპეიზაციის პროცესის წარმატებით დაინტერესებულ ერთ-ერთ მთავარ მხარედ იქნა წარმოდგენილი, მაგრამ, იმავდროულად, 2015 წლის მაისში გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით, ევროკავშირში განწევრიანების მსურველთა

მაღალ მაჩვენებელთან ერთად, მოსახლეობის 31% ევრაზიულ კავშირში განვერიანების სურვილს გამოთქვამს (NDI, CRRC, 2015), რაც კიდევ უფრო მწვავედ აყენებს საზოგადოების დროული და ადეკვატური ინფორმირებულობის საკითხს. ამასთან, როგორც ბალკანეთის მაგალითი გვიჩვენებს, იმ ქვეყნებში, სადაც საზოგადოება უფრო მაღალი პროვეროპული განწყობით გამოირჩევა, ევროკავშირიც უფრო ადვილად აღწევს თავის მიზანს: ერთი მხრივ, არჩევნების გზით; მეორე მხრივ კი იმით, რომ საზოგადოებას შესწევს უნარი, თვითმობილიზება მოახდინოს და ამ გზით ხელისუფლებაზე ზეგავლენა იქონიოს (Pickering, 2011). ამდენად, მოსახლეობის ცნობიერების გაზრდის მიმართულებით მუშაობას განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება როგორც მოსახლეობაში ევროკავშირის პრაქტიკების წარმატებით დანერგვაში, ისე სამოქალაქო კულტურისა და ქვეყნის დემოკრატიზაციის დონის ამაღლებაში.

ხელისუფლება. საქართველოს ევროინტეგრაციით და ევროპეიზაციით დაინტერესებულ კიდევ ერთ მხარედ ხელისუფლება განიხილება. აქ აღსანიშნავია სხვადასხვა ქვეყნებში ჩატარებული უახლესი კვლევების შედეგები, რომლებიც ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით ელიტისა და მოსახლეობის შეხედულებებს შორის სულ უფრო მზარდ განსვლას ავლენს: მოსახლეობის დონეზე უტილიტარული ხედვისა და ელიტის დონეზე იდენტობის ფაქტორების განმსაზღვრელი როლის კიდევ უფრო თვალსაჩინოდ გამოკვეთას (Toshkov et al., 2014, 3). ამ კონტექსტში, საინტერესოა, რა ინტერესები ამოძრავებს ქართულ პოლიტიკურ და ინტელექტუალურ ელიტას ევროკავშირთან მიმართებაში.

როგორც აღინიშნა, სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული დომინანტური მოსაზრების თანახმად, ევროინტეგრაცია ელიტის მიერ მართული პროცესია. ავტორთა მტკიცებით, ევროკავშირში ერთიანი ევროპული იდენტობის ფორმირების პრობლემა კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროპეიზაციის, როგორც ზემოდან ქვემოთ მიმართული პროცესის, არგუმენტის ვალიდურობას (Medrano, 2011, 46). ჩვენი რესპონდენტების ნაწილიც ეხმიანება ამ მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ საქართველოს პოლიტიკური ელიტა, მოსახლეობასთან შედარებით, მეტად გააზრებულ არჩევანს აკეთებს, რადგან უკეთ ხედავს არსებულ ალტერნატივებს შორის ევროპის უპირატესობას.

„ხელისუფლება აცნობიერებს, რომ ეს აუცილებელია ქვეყნის განვითარებისთვის. როდესაც ირჩევ ქვეყნის განვითარების კურსს,

იმ კურსს ირჩევ, რომელიც შეესაბამება შენ საბოლოო მიზანს. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ევროკავშირში განვერიანების კურსი გვაქვს არჩეული, ეს მნიშვნებს იმაზე, რომ ჩვენთვის მისაღებაა ის სტანდარტები და მოთხოვნები, რაც ევროკავშირს აქვს“ (ე.თ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

ზემოაღნიშნული მიგნებები სამეცნიერო ლიტერატურის კონტექსტში რომ განვიხილოთ, ევროპეიზაციის სამ დონეს უნდა დავუკავშიროთ: მაკროს (სოციალური სისტემის დონე), მიკროს (ადამიანების ყოველდღიური პრაქტიკები და დამოკიდებულებები) და მეზოს (მაკრო და მიკრო დონეების დაკავშირება). შესაბამისად, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ევროპეიზაციის როგორც ზემოდან ქვემოთ, ისე ქვემოდან ზემოთ კვლევის აუცილებლობაზე. მართალია, პოლიტიკის მეცნიერება პირველ მიდგომას ეფუძნება, მაგრამ სოციოლოგია მეორე მიდგომის უდიდეს მნიშვნელობასაც აღიარებს (Trenz, 2011, 213). სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ ჩვენი კვლევის შედეგები და ის ფაქტი, რომ ევროინტეგრაციის პროცესში რესპონდენტები მოსახლეობის სურვილსა თუ ინტერესებს გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ. თუმცა, მათ მიერვე ხაზგასმული, მოსახლეობისთვის დამახასიათებელი „ევრო-რომანტიზმიდან“ გამომდინარე, საზოგადოების გათვითცნობიერებულობის ამაღლების კუთხით, მთავარი ფუნქცია სწორედ პოლიტიკოსებს მიენერებათ, რომელთაც მედია და სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებები უნდა გამოიყენონ მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირებისა და ევროინტეგრაციის პროცესის ლეგიტიმაციისთვის.

ამ თვალსაზრისით, მაკედონიისა და ბოსნიის მაგალითს თუ განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ევროკავშირის პირობითობას განსხვავებული შედეგები ჰქონდა ამ ორ ქვეყანაში ევროპეიზაციის პროცესში, რის მიზეზსაც მათში ადგილობრივი პოლიტიკური ელიტების მიერ ევროკავშირის პირობების განსხვავებულად შეფასება წარმოადგენდა: მაკედონიის შემთხვევაში, ადგილობრივი პოლიტიკოსები ევროკავშირის პირობებს მომგებიანად მიიჩნევდნენ, ხოლო ბოსნიის შემთხვევაში – არა (Vasilev, 2011). ამ ქვეყნების მსგავსად, ხელისუფლების, როგორც დაინტერესებული ინსტიტუტის, როლი საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოში იმ რეფორმების გატარების ნების არსებობის კუთხით, რომელმაც, ევროკავშირთან დაახლოებით, ქვეყანას მზარდი სოციოეკონომიკური კეთილდღეობა უნდა მოუტანოს.

ბიზნეს-სექტორი. ევროინტეგრაციით დაინტერესებულ ერთ-ერთ ჯგუფად რესპონდენტებმა ბიზნეს-სექტორიც დაასახელეს. შეფასებების თანახმად, ევროკავშირი, პირველ რიგში, ეკონომიკურ გაერთიანებას წარმოადგენს, რომელთანაც ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის ერთ-ერთი სარგებელი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნაა. შესაბამისად, ერთ-ერთი სოციალური აქტორი, რომელიც ასევე დაინტერესებულია საქართველოს ევროკავშირში გაერთიანებით, ბიზნეს-სექტორია. როგორც ხელისუფლების ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განმარტა, ის კომპანიებიც კი, რომლებიც ვერ მოახერხებენ ევროპულ სტანდარტებთან დროულ ადაპტაციას და ამის გამო ბაზრის დატოვება მოუწევთ, უკეთეს მდგომარეობაში იქნებიან, გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყანაში ზოგადი ეკონომიკური ფონი უფრო ხელსაყრელი იქნება.

იმისათვის, რომ ბიზნეს სექტორმა ევროინტეგრაციის შედეგად სარგებელი მიიღოს, მნიშვნელოვანი იქნება რეფორმების სწორი და თანმიმდევრული დაგეგმვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით რელევანტურია მინიმალური სტანდარტებისა და რეგულაციების დადგენასთან მიმართებაში, რაც, სანყის ეტაპზე, ბიზნეს-სუბიექტების წარმოების დანახარჯების გაზრდას გამოიწვევს, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში მეტ სარგებელს მოიტანს.

„ბიზნესის წარმოება იქნება უფრო ხელსაყრელი, თუ ევროინტეგრაცია მოხდება. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ განხორციელდება ეს რეფორმები, რომ ბიზნესისთვის შოკური მდგომარეობა არ იყოს შექმნილი გარკვეულ საკითხებთან მიმართებაში, თორემ გრძელვადიან პერსპექტივაში მომგებიანი იქნება“ (ზ.ლ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

ევროკავშირი საქართველოს ევროპეიზაციით დაინტერესებულ კიდევ ერთ აქტორად განიხილება. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გაზიარებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ ნევრობის მსურველ ქვეყანას უფრო მეტად სურს ევროკავშირთან დაახლოება, ვიდრე თავად ევროკავშირს, ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროკავშირის პოზიციაც ერთმნიშვნელოვანი არ არის. ევროკავშირს, როგორც რეგიონში დემოკრატიისა და მშვიდობის დამყარების იმიჯის მქონე ინსტიტუტს, პირველ რიგში, მის გარშემო სამეზობლოში პოლიტიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნება სურს. ერთი მხრივ, ეს აისახება მის საერთაშორისო

იმიჯზე, მეორე მხრივ კი, უშუალოდ მისი მოსახლეობის ეკონომიკურ განვითარებაზე (Haukkala, 2008).

ექსპერტების ჯგუფიდან რამდენიმე რესპონდენტმა აღნიშნა უშუალოდ დასავლეთის ინტერესები საქართველოს ევროპეიზაციასთან დაკავშირებით. მათი აზრით, ამის რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული მიზეზი არსებობს: ერთი მხრივ, ეს აღიქმება, როგორც რუსული აგრესიის განეიტრალების შესაძლებლობა, მეორე მხრივ კი, ევროპული ღირებულებების გავრცელების საშუალება „სატელიტ ქვეყნებში“, რაც ხელს შეუწყობს დემოკრატიული ფონის გაუმჯობესებას და შექმნის სხვა პოლიტიკური გაერთიანებების (მაგალითად, ევრაზიული კავშირის) ალტერნატივას ამ ქვეყნების საგარეო კურსში. ისიც აღინიშნა, რომ ევროკავშირის დაინტერესების ერთ-ერთ მიზეზს საქართველოს, როგორც ენერგოდერეფნის ფუნქციაც წარმოადგენს, რაც საშუალებას მისცემს ევროკავშირს, საკუთარი ენერგორესურსების დივერსიფიკაცია მოახდინოს.

„მხოლოდ ჩვენ კი არ გვჭირდება ევროპა, ევროპასაც ვჭირდებით ჩვენ. თუ არა საქართველო, ევროპა ვერ მიიღებდა აზერბაიჯანულ ნავთობს და გაზს იმიტომ, რომ ჩრდილოეთით არის რუსეთი. მიიღებდა, მაგრამ არა იმ პირობებით და იმ რაოდენობით, რამდენსაც საქართველოს გავლით [...] ე.ი. ჩვენმა ქვეყანამ ევროპას თავისი ბაზრის დივერსიფიკაციის საშუალება მისცა. [...] ამიტომ ჩვენი ადგილი, როგორც ენერგეტიკული მოთამაშის, ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ ევროპა მოდის ჩვენთან დიალოგზე, ყოველმხრივ მხარდაჭერაზე; გვიცხადებს მხარდაჭერას, როგორც სატრანზიტო ქვეყანას“ (ი.დ., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

ევროინტეგრაციის და ევროპეიზაციის მონინალმდეგე სოციალური ინსტიტუტები და აქტორები

გარდა საქართველოს ევროინტეგრაციის და ევროპეიზაციის მომხრე სოციალური ინსტიტუტებისა და აქტორებისა, კვლევის ფარგლებში გამოიყო ამ პროცესის მონინალმდეგე რამდენიმე აქტორი, რომელთაგან ყველაზე საშიშად რუსეთი და მასთან ასოცირებული პრორუსული პარტიები და მედიასაშუალებებია მიჩნეული. საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი რესპონდენტები ამ ჩამონათვალს მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებასაც“ ამატებენ, რაც ნათლად გამოიკვეთა ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით პოლი-

ტიკოსების გათვითცნობიერებულობის შესახებ ზემოთ წარმოდგენილ ქვეთავში. ამასთან, მართალია ფრთხილად, მაგრამ მაინც გაჟღერდა რამდენიმე მოსაზრება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის, როგორც ევროინტეგრაციის პროცესში ბარიერის შემქმნელის, შესახებ; ამ საკითხზე უფრო დეტალურად ცალკე ქვეთავში ვისაუბრებთ.

რუსეთი – პრორუსული ძალები. მსგავსად ევროკავშირისა, რომელსაც სურს საკუთარი „ნორმატული ჰეგემონიის“ გავრცელება, რუსეთს არ სურს საკუთარი ჰეგემონიის დათმობა მის სამეზობლოში. ამ მიზნით რუსეთი არაერთ ტაქტიკას მიმართავს, რომელთა შორის, პირველ რიგში, ანტიდასავლური პროპაგანდაა აღსანიშნავი. მაგალითად, ხელისუფლებაში მყოფმა ერთ-ერთმა რესპონდენტმა რამდენჯერმე დაასახელა „საშინელი პროპაგანდა“, რომელიც რუსეთიდან და მის მიერ დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციებიდან თუ პოლიტიკური პარტიებიდან მომდინარეობს. მიჩნეულია, რომ რუსეთი აქტიურ პროპაგანდას ეწევა, რადგან მას აშინებს ახლო სამეზობლოში ევროპული ორიენტაციის მქონე ქვეყნის არსებობა, რომელიც ევროპული ღირებულებების მატარებელია და დემოკრატიულ პრინციპებს მისდევს, რაც იმთავითვე ეწინააღმდეგება რუსეთის ავტორიტარულ ხედვას. გარდა ამისა, მას არ სურს, ისტორიულად საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ ქვეყანას მისი გავლენის სფეროდან გაქცევის საშუალება მისცეს.

„გამონაკლისია რუსეთი, ვისთვისაც არ არის სასურველი საქართველოს ევროკავშირში და ნატოში ინტეგრაცია, რადგან ეს მთლიანად ანგრევს მის ფილოსოფიას, რომ აღადგინოს თავისი გავლენა ე.წ. პოსტსაბჭოთა სივრცეზე, რომელშიც საქართველოსაც მოიაზრებენ. მათთვის არათუ საქართველოს ევროკავშირში გაერთიანება, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრიობაც კი არ არის მისაღები. აქედან გამომდინარე, ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რომ ხელი შეუშალონ ჩვენს სწრაფვას ევროპისკენ“ (ე.თ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

„რუსული პროპაგანდის მთავარი მესიჯი არის ძალა. ის კი არა, რომ ისინი კარგები არიან, არამედ ისინი ძლიერები არიან; ევროპა სუსტია, ის კი ძლიერია და გინდა მოგივიდეს ის, რაც უკრაინას მოუფიდა? აი, ამ დისკურსში ნებისმიერი ყოყმანი, რომელიც შეიძლება ხელისუფლებისგან მოდიოდეს, ძალიან ნეგატიურია“ (ტ.ლ., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

აღნიშნულია, რომ რუსული პროპაგანდა ძირითადად მუშაობს ევროკავშირის, როგორც ქართული იდენტობისთვის საფრთხის შემცველის, დისკურსის გავრცელებაზე, რაც შესაძლოა მით უფრო გამძაფრდეს, რაც უფრო მეტად დაუახლოვდება საქართველო ევროკავშირს. გარდა ამისა, მიჩნეულია, რომ პრორუსული პროპაგანდა „ჭორების აგორებას“ ეფუძნება. როგორც ზემოთ ითქვა, სწორედ ამ პროცესშია საჭირო საქართველოს მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა, რათა მოხდეს პრორუსული პროპაგანდის გავლენის ნეიტრალიზაცია და ევროკავშირთან დაკავშირებული მითების გაფანტვა.

„მით უფრო მწვავედ დგას [რუსული პროპაგანდის საკითხი], რაც უფრო ვუახლოვდებით ევროპას. ამ ბოლო პერიოდში გააქტიურდა ძალიან ევროკავშირის ნეგატიური გაშუქება, ჭორების აგორება, რომლებზეც მერე მოსახლეობის დიდი ნაწილი შეშფოთებულია და განხილვები მიმდინარეობს. ამის მაგალითია, თან სრულიად უსაფუძვლო, რომ ევროკავშირის რეგულაციით, ერთ წლამდე გოჭების დაკვლა საახალწლოდ არ შეიძლებოდა და მსგავსი დაუჯერებელი [ჭორები]“ (ზ.ლ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ რუსული პროპაგანდა განსაკუთრებით აქტიურდება საქართველოსთვის კრიტიკულ მომენტებში, იქნება ეს ქვეყნისთვის ვიზალიბერალიზაციის მინიჭების განხილვა თუ წინასაარჩევნო პერიოდი, როცა უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ მოსახლეობამ პროვეროპული ძალების სასარგებლოდ გააკეთოს არჩევანი. ამასთან, პრორუსული პროპაგანდა განსაკუთრებულ საფრთხედ აღიქმება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, სადაც ქართული ენის ცოდნა საკმაოდ მწირია და მოსახლეობა, მეტწილად, სწორედ რუსულ ენაზე ეცნობა სიახლეებს. ექსპერტები ხაზს უსვამენ ამ რეგიონებში ევროკავშირის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, მით უფრო, რომ უახლესი კვლევების თანახმად, ეთნიკურ უმცირესობებში, ქართველ მოსახლეობასთან შედარებით, ბევრად დაბალია ევროინტეგრაციის პროცესის მხარდაჭერა (CRRC, 2013, 2015).

ევროპეიზაციის გავლენა ქვეყნის საგარეო იმიჯზე

კვლევის მონაწილენი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ევროპეიზაციის პროცესი საქართველოს საგარეო იმიჯზე მხოლოდ დადებით გავლენას ახდენს, რისი მიზეზიც, ერთი მხრივ, ქვეყნის განვითარების კუთხით გადადგმული ნაბიჯები, მეორე მხრივ კი, თავად ევროკავშირის პოზიტიური იმიჯია. რესპონდენტების თქმით, ევროკავშირთან დაახლოების პროცესში სხვადასხვა რეფორმის გატარების კვალდაკვალ, უმჯობესდება როგორც ქვეყნის დემოკრატიზაციის ხარისხი, ისე ეკონომიკური და სოციალური გარემო. შედეგად, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს, როგორც პოლიტიკურად სტაბილური და სოციოეკონომიკურად მდგრადი ქვეყნის, იმიჯი იქმნება, რაც ინვესტირების თვალსაზრისით მიმზიდველი ქვეყნის იმიჯსაც ქმნის და ხელს უწყობს ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ წინსვლას.

ერთ-ერთი დისკურსი, რომელიც საქართველოს, როგორც საიმედო ქვეყნის იმიჯთანაა დაკავშირებული, პოლიტიკურ სტაბილურობასა და მის თანმდევ უსაფრთხოებაზე ამახვილებს ყურადღებას. აღნიშნული უშუალოდ ეხმიანება ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის დოკუმენტში წარმოდგენილ პარადიგმებს, რაც ექსპერტების მიერ ევროკავშირის, როგორც საქართველოს ევროპეიზაციით დაინტერესებული ინსტიტუტის, შესახებ წარმოდგენასაც ხსნის. ევროპის უსაფრთხოების სტრატეგიის თანახმად, უსაფრთხოება „პირველ ადგილზეა“, ანუ ის ნებისმიერი პროგრესის წინაპირობაა. თავად ცნება „უსაფრთხოება“ სხვადასხვა მნიშვნელობითაა განხილული, იქნება ეს „ხისტი“ თუ „რბილი ძალის“ გამოყენების კონტექსტში. „ხისტი ძალა“ გულისხმობს კონფლიქტის/ომის კონტექსტში უსაფრთხოების განხილვას, ხოლო „რბილი ძალა“ – ვერშემდგარი დემოკრატიული მმართველობის „გადმოდინების ეფექტებს“, რაც ორგანიზებული დანაშაულის ან თუნდაც ლტოლვილების სიმრავლეში გამოიხატება (Hughes, 2009). ევროკავშირის მიდგომა ორივე სახის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ეფუძნება 1990-იან წლებში ცივი ომის დასრულებისა და კომუნიზმის დაცემის შემდეგ წარმოქმნილ პარადიგმას დემოკრატიული (ლიბერალური) მშვიდობის თეორიის შესახებ, რომლის თანახმად, დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთს არ ებრძვიან. 2003 წელს ევროკავშირმა განაცხადა, რომ საკუთარი უსაფრთხოების დაცვის საუკეთესო საშუალება დემოკრატიული სახელმწიფოების არსებობაა (European Council, 2003). შესაბამისად, ევ-

როკავშირის მიდგომა გაზიარებული ღირებულებების კონცეფციას ეყრდნობა, რომლის თანახმად, ევროკავშირი წარმოდგენილია, როგორც უნიკალური აქტორი, რომელიც კონფლიქტის მენეჯმენტისას სამოქალაქო ფორმებს ეყრდნობა, საკუთარი ღირებულებების დანერგვის გზით, ანუ ის ე.წ. „რბილ“ მიდგომას იზიარებს. შესაბამისად, საქართველოს, როგორც მისი უშუალო მეზობლის, უსაფრთხოება ერთ-ერთი მთავარი საკითხია, რაც ქვეყნის ევროპეიზაციით ევროკავშირის დაინტერესებას იწვევს. თუკი საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება უწყვეტი პროცესი იქნება, საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოც წარმოდგება, როგორც უსაფრთხო და სტაბილური ქვეყანა. ეს კი საქართველოს დემოკრატიულად მართულ, დასავლური ღირებულებების მატარებელ ქვეყნად წარმოაჩენს, რადგან ასეთია თავად ევროკავშირის იმიჯი.

სამეცნიერო ლიტერატურაშიც ევროკავშირი განიხილება, როგორც ნორმატიული კუთხით მისაბაძი ნიმუში. როგორც აღინიშნა, ის რეგიონულ ნორმატიულ ჰეგემონადაც (Haukkala, 2008) კი იწოდება, რომელიც როგორც გაფართოებით, ისე სამეზობლო პოლიტიკის შემუშავებით ცდილობს საკუთარი უსაფრთხოების გარანტიის შექმნას (ევროპა თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობს, თუკი უსაფრთხო სამეზობლო არ ეყოლება). მეორე მხრივ, პირობითობის გამოყენებით, ის საკუთარ ნორმატიულ ჰეგემონიას აწესებს სამეზობლოში, რომელიც იზიარებს მოსაზრებას, რომ დემოკრატიული ქვეყნები ერთმანეთთან არ იბრძვიან. ამასთან, ევროკავშირი მონოპოლიას ქმნის იმაზე, თუ რას შეიძლება ეწოდოს „ევროპელობა“ (იქვე, 1606). უდავოა, რომ ევროკავშირის სასურველ იმიჯს პოზიტიური გავლენა აქვს მასთან ასოცირებული ქვეყნის საგარეო იმიჯზეც. სწორედ ამიტომ მიიჩნევა, რომ ევროკავშირის მხრიდან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ამოქმედებულ პირობითობასთან ერთად, უშუალოდ წევრობის მსურველი ქვეყნის მხრიდანაც ხდება ევროკავშირის პრაქტიკების დანერგვა იმის მიუხედავად, არის თუ არა ეს გათვალისწინებული ასოცირების სამოქმედო გეგმაში (Schimmelfennig, 2010). აღნიშნული ქმედება მიჩნეულია ევროპეიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მექანიზმად, რომლის დროსაც წევრობის მსურველი ქვეყნები, „ევროპულ ოჯახში“ მოსახვედრად, ევროკავშირის „ნორმატიულ მიბაძვას“ ცდილობენ (Borzel, 2015, 24).

კვლევის შედეგებს თუ დავეყრდნობით, აღნიშნული სტრატეგია საქართველოს შემთხვევაშიც ქმედითია. ევროკავშირის პრესტიჟული

იმიჯის „გადმოღინების ეფექტი“ საქართველოზე, როგორც არანევერ ქვეყანაზე, ორი გზით ვრცელდება: ერთი მხრივ, ქართული ხელისუფლებისა და საზოგადოების მიერ დეკლარირებული „ევროპული არჩევანის“ დისკურსით, მეორე მხრივ კი, ევროკავშირთან მზარდი თვითასოციაციით. ამ თვითასოციაციის მაგალითად ერთ-ერთმა რესპონდენტმა სხვადასხვა საერთაშორისო საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მიერ ევროკავშირის პოზიციის ოფიციალური გაზიარება დაასახელა:

„ეს ერთ-ერთი გამოხატულება და დასტურია, რომ შენ ამ დიდი ოჯახის წევრი ხარ და შენს პოზიციას აფიქსირებ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე წევრი არ ხარ და ტექსტზე ზეგავლენა არ გაქვს, ეს მაინც პრესტიჟულია“ (ი.ჩ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

როგორც ზემოთ მოყვანილ ციტატაშია აღნიშნული, ევროკავშირთან ასოცირება სულაც არ გულისხმობს ქვეყნის მიერ ასოცირების ხელშეკრულებაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობას, თუმცა პრესტიჟულია, რადგან „ევროპული ოჯახის“ წევრობის განცდას ქმნის. სამეცნიერო ლიტერატურა ცხადყოფს, რომ არათუ არანევერი ქვეყნების წვდომაა შეზღუდული ამგვარ მექანიზმებზე, არამედ წევრი ქვეყნების ხმის სიძლიერეც განსხვავებულია. მაგალითად, გერმანია განსაკუთრებული ხმის უფლებით სარგებლობს, რადგან მისი ეკონომიკური წონა ყველაზე დიდია ევროკავშირში და სწორედ ისაა მთავარი სავაჭრო პარტნიორი როგორც წევრებისთვის, ასევე პოტენციური წევრებისთვის. ასევე, მნიშვნელოვანი მოთამაშეები არიან საფრანგეთი, იტალია და დიდი ბრიტანეთი (Copeland, 2014, 471). როგორც ზემოთ აღინიშნა, ახალი წევრი ქვეყნების სტატუსი ევროკავშირის შიგნით შეიძლება აღინეროს, როგორც უმცროსი პარტნიორისა, მიუხედავად ევროკავშირის წევრების გაცხადებული თანასწორობისა (იქვე). ეს სტატუსი კი დამოკიდებულია აღნიშნული ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ გამოცდილებაზე. მიუხედავად ამ დიფერენციაციისა, რაც ევროკავშირის შიგნით ახალ გარიყებს ინვევს (Trenz, 2011, 213), არანევერი ქვეყნები (რომელთაც უმცროსი პარტიორის სტატუსიც კი არ აქვთ მინიჭებული) მაინც ცდილობენ „ნორმატული მიბაძვის“ საფუძველზე ევროკავშირთან ასოცირებას, რადგან სწორედ ამ გზით მოელიან მისი მხრიდან პოზიტიურ შეფასებას. საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის კი, რომელიც საბ-

ჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სასურველი პოლიტიკური იმიჯის შექმნას ცდილობს, მსგავსი „ნორმატული მიზაძვა“ საკუთარი საერთაშორისო პოზიციის გაცხადებისა და საერთაშორისო ასპარეზზე ადგილის დამკვიდრების მთავარ სტრატეგიას წარმოადგენს.

„ევროპულ ოჯახში“ დაბრუნების დისკურსი

2004 წლის 1 მაისს, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე ცივი ომის პირობებში, ჩერჩილის სიტყვებით, „რკინის ფარდის“ მიღმა მყოფი ქვეყნები ევროკავშირმა გააერთიანა. ამ ფაქტთან დაკავშირებული სენტემენტი ხშირად მოიხსენიება ფრაზით „ევროპულ ოჯახში დაბრუნება“. ეს პროცესი წარმოადგენდა არა უბრალოდ კორექტივების შეტანას ომის შემდგომ უსამართლობაში, რაც ევროპის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ დაყოფაში გამოიხატებოდა, არამედ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრაციის აუცილებლობაში რწმენასაც, რისი მიღწევაც მხოლოდ ევროკავშირის სრული წევრობის პირობებში იყო შესაძლებელი. ფრაზამ „ევროპულ ოჯახში დაბრუნება“ პოლიტიკური სიმბოლოს დატვირთვა შეიძინა (Butler, 2014).

„ევროპულ ოჯახში დაბრუნების“ იდეა ერთ-ერთ უმთავრეს „გრანდ-ნარატივად“ იქცა ქართული პროევროპული პოლიტიკური ძალებისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი რესპონდენტის მოსაზრებით, ეს უბრალოდ მითია და რეალობასთან საერთო არაფერი აქვს, აღნიშნული დისკურსი ქვეყნის ევროპეიზაციაში ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებს. უნდა ითქვას, რომ ქართულ რეალობაში, „ევროპულ ოჯახში დაბრუნების“ „ტრადიციის გამოგონება“ (Hobsbawm, Ranger, 1983) ის ძირითადი სტრატეგიაა, რომლის მეშვეობითაც მიზანმიმართულად ხდება ერის ევროპულ ძირებთან დაკავშირება. ამიტომ არა აქვს მნიშვნელობა, „ევროპულ ოჯახში დაბრუნება“ მითია თუ რეალობა, რადგან, ორივე შემთხვევაში, ევროპეიზაციის ხელშემწყობად გვევლინება. კვლევის მონაწილეებიც იზიარებენ საქართველოს „ევროპულ ოჯახში დაბრუნების“ იდეას და მისი მართებულობის დასასაბუთებლად სხვადასხვა არგუმენტს იშველიებენ.

ერთ-ერთი დომინანტური დისკურსი საქართველოს, როგორც ისტორიულად ევროპულის, ხაზგასმაა, რომლის თანახმად, საქართველო ქრისტიანული კულტურის და ღირებულებების ქვეყანაა

და სწორედ ქრისტიანული მსოფლმხედველობა ხდის მას ევროპის ნაწილად. რესპონდენტების ნაწილი საქართველოს შედარებით ახალ ისტორიასაც კი იშველიებს, კერძოდ, 1918-21 წლების დამოუკიდებლობის პერიოდს, რომლის საფუძველზეც აცხადებს, რომ საქართველო უდავოდ ევროპული სივრცის ნაწილი იყო, რაზეც იმდროინდელი პოლიტიკური, საზოგადოებრივი და მედია-დისკურსიც მეტყველებს. თუმცა, ძალადობრივად მოხდა ქვეყნის ევროპისგან მონყვეტა, ამიტომ საქართველოს ევროპისკენ სწრაფვა ბუნებრივია (ამ დისკურსს ხშირად აჟღერებენ პოლიტიკოსები, რისი ნიმუშიცაა თავდაცვის მინისტრის, თინა ხიდაშელის მიერ უკანასკნელ ხანებში გაკეთებული განცხადება, რუსთავი 2, 05.04.2016). ამ კონტექსტში, მკვეთრი ზღვარია გავლებული ევროპასა და რუსეთს შორის: პირველის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება „ორგანულად“ სახელდება, მეორის სასარგებლოდ კი – „ხელოვნურად.“

„ქართველი ხალხი მზადაა, ევროპულ ოჯახში“ დაბრუნებდეს. ჩვენ პირველად არ გვაქვს ევროპასთან ურთიერთობა, უბრალოდ, ჩვენმა ისტორიამ ასე მოიტანა; ურთიერთობა გვქონდა საბერძნეთთან და ევროპასთან, მუდმივად გაცვლა-გამოცვლის არეალში ვიყავით, ჩვენ დაბრუნების მომენტი გვაქვს და ეს არ უნდა გავკვირდეს... ევროპასთან უფრო მეტი შეხების ნერტილი გვაქვს, ვიდრე რუსეთთან. ამიტომ უნდა გავაკეთოთ ინფორმირებული არჩევანი. ამ დროს გამოჩნდება, რა არის ხალხისთვის ორგანული და რა – ხელოვნური. ხშირად, საჭიროა მიზანმიმართული, დაჟინებული რეფორმები, რომ გააგებინო ხალხს, რა არის კარგი“ (თ. ნ. ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

„ჩვენი ხალხის არჩევანი ევროპის სივრცის ნაწილად ყოფნა იყო, რაზეც მეტყველებს იმდროინდელი [1918-21 წლების] პრესა, პარლამენტი და საზოგადოებრივი დისკურსი, რაც შეწყდა ძალადობრივად; შესაბამისად, უნდა მოხდეს დაბრუნება, რაც მოხდა ბალტიის ქვეყნებში. ეს უნდა იყოს ჩვენი ეროვნული ნარატივი“ (დ.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

საქართველოს ევროპულობის არგუმენტად რესპონდენტებს ის ფაქტიც მოჰყავთ, რომ ქვეყანა იმ იდეალების მიმდევარი იყო, რომელიც ევროპელებისთვისაა დამახასიათებელი – ესაა მულტიკულტურალიზმი, ტოლერანტობა, დემოკრატიულობა, ქალის პატივისცემა და სხვა მსგავსი ღირებულებები, რაც, მათი აზრით, „შინაგანად ევროპელობის“ გამოხატულებაა.

„1918 წელს საქართველო გახდა დამოუკიდებელი რუსეთის იმპერიისგან და მიიღო ერთ-ერთი პირველი ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუცია, ჩვენი პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია; ერთ-ერთი პირველი საყოველთაო არჩევნები ჩატარდა, როცა ქალებსაც ჰქონდათ ხმის უფლება. საფრანგეთმა კი ეს დაუშვა 1946 წელს, დიდმა ბრიტანეთმა – 1942 წელს და, ამ თვალსაზრისით, ჩვენი პირველი სოციალურ-დემოკრატიული მთავრობა იყო“ (თ.ხ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

„ვიცი ეს ისტორია. ეს ყველაფერი ლეგენდები ხომ არ არის, არა? მე მაქვს ფანტასტიური მაგალითი, რომ აგერ ერთი ხელის გულზე აბანო-თუბანში დგას სხვადასხვა სარწმუნოების ტაძრები. მე მართლა არსად მინახავს მსგავსი რაღაცა, ხო? ანუ მე ვთვლი, რომ რაც არის შინაგანი, არსებითი, იყო ტოლერანტობა, იყო მიმტევებლობა, ის, რაც არის ევროპული ღირებულება“ (ნ.ო., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

მსგავსი ნარატივი ჩვეულება ქართული პოლიტიკური ელიტისთვის. მაგალითად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი აღნიშნავს, რომ „საქართველო იყო ევროპა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ევროპამ თავად არ იცოდა, რომ იყო ევროპა“ (პირველი რადიო, 05.06.2015). ის ხაზს უსვამს, რომ ის ცივილიზაცია, რომლის ლოგიკური გაგრძელება დღევანდელი ევროპა და ევროკავშირია, სათავეს იმ პერიოდიდან იღებს, როცა საქართველო მისი შემადგენელი ნაწილი იყო. კითხვა – ვართ თუ არა ევროპის ნაწილი? – კი არ უნდა იდგეს ჩვენ წინაშე, არამედ კითხვა – რამდენად სწრაფად შეგვიძლია დავძლიოთ ის ჩამორჩენა, რომელიც გამოწვეულია 200-წლიანი სახელმწიფოებრიობის არქონით, რუსეთის ბატონობაში ყოფნით და მისგან მომდინარე პრობლემებით? უსუფაშვილის თქმით, „ევროპა გვინდა არა იმიტომ, რომ პოლიტიკოსები და ელიტები ცხოვრობდნენ კარგად, არამედ იმიტომ, რომ სოფლად და ქალაქად მცხოვრები მოქალაქეები ცხოვრობდნენ კარგად, ჰქონდეთ უსაფრთხოების განცდა და განცდა, რომ სახელმწიფო ზრუნავს მათზე“ (იქვე).

აქვე უნდა აღინიშნოს არადომინანტური, მაგრამ საინტერესო მოსაზრებაც, რომ ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს ცხოვრების ყოფითი და ღირებულებითი ასპექტები. ამ შეხედულების თანახმად, ყოფით დონეზე, საქართველო აზიური ქვეყანაა, ღირებულებითი სისტემის მხრივ კი – ევროპული. ევროინტეგრაციის პროცესმა უნდა უზრუნველყოს, რომ ღირებულებითი სისტემა საქართველოს

მოსახლეობის ყოფით კულტურაში თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში ინტეგრირდეს.

„მე ვრწმუნდები იმაში, რომ ჩვენ ვართ ყოფითი კულტურა, ერთ-მნიშვნელოვნად მცირე აზია; არანაირი განსხვავება არ არის ჩვენსა და პალესტინელ არაბებს შორის. რაც შეეხება ღირებულებით სისტემას, ჩვენ ვართ ევროპა, ქრისტიანული იდეოლოგიის გამო. ქართულ იდენტობას, ერთი მხრივ, ქმნის ყოფა, რომელიც არის წინააზიური კულტურის გასხვივონებული მაგალითი და, მეორე მხრივ, ქრისტიანული მსოფლმხედველობა, რის გამოც ვართ ევროპის ნაწილი. ევროინტეგრაცია ამას ნიშნავს, რომ ეს იდეოლოგიური ნაწილი უნდა ითარმნოს ყოფით კულტურაში“ (ნ.ც., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

თუმცა, ხაზგასასმელია, რომ ყველა რესპონდენტი ერთნაირი ოპტიმიზმით არ უყურებს საქართველოს „ევროპულობას“ და არიან ისეთებიც, ვინც საკმაოდ კრიტიკულ შეფასებებს იძლევიან. ისინი სკეპტიკურად უდგებიან ქართველების ტოლერანტობასა და ევროპული ღირებულებების ერთგულებას; მეტიც, მათი აზრით, თავად ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანასაც კი ვერ ვუნდობთ ტოლერანტულს. მაგრამ, აქვე გაჟღერებულია აზრი, რომ ნაკლები ტოლერანტობის მიუხედავად, საქართველოში არსებობს ჩანასახები, რომელიც ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა.

„ევროკავშირშიც მთლად ტოლერანტული საზოგადოებები არ გვაქვს. ის, რომ დღეს ჩვენ ვართ ტოლერანტული საზოგადოება, ეს მითია, მაგრამ ამის ჩანასახები რომ არსებობდა, ეს რეალობაა. საქართველოს ზოგიერთ რეგიონს რომ შევხედოთ, ამის ნათელი მაგალითია მეჩეთი, სინაგოგა და ა.შ.“ (თ.ნ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დისკურსის თანახმად, „ევროპულ ოჯახში დაბრუნების“ იდეა უბრალოდ მითია, რომლის ტირაჟირებასაც პოლიტიკოსები და საზოგადოების ცნობილი სახეები ახდენენ. მიჩნეულია, რომ ეს მითი, ისევე როგორც პროდასავლურობაზე აპელირება, „პოლიტიკური მარკეტინგის“ ნაწილია, რომელიც კარგად „იყიდება“ ქართველ ელექტორატში.

„ეს ლეგენდა საიდან მოდის, არავინ იცის, ან ვიცით, მაგრამ რეალურ საფუძველს მოკლებულია. საზოგადოება ბმულს აკეთებს

სულხან-საბა ორბელიანთან, მაგრამ ისტორიას თუ გადავხედავთ, ჩვენ ევროპასთან ღია ნიაღვრეები, გარკვეული გამოწვევების გარდა, არ გვქონია. ჩვენი დღევანდელი საზოგადოების გადანაცვლებების მიმღებებმა შექმნეს მითი, რომ ეს ჩვენი ისტორიული არჩევანია. ამას ამბობს პრეზიდენტი, პრემიერი, საზოგადოების უმრავლესობისთვის დადებითად აღქმადი და ცნობადი ადამიანები ამკვიდრებენ ამ მითს, რაც არის ტყუილი“ (კ.უ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

წარმოდგენილი წარატივის თანახმად, ევროპის, როგორც საქართველოს ისტორიული არჩევანის, წარმოჩენა პოლიტიკური ელიტების შექმნილი მითია, რის საფუძველზეც ქართველის ევროპელობის „ტრადიციის გამოგონება“ ხდება. თუმცა, თავად ეს იდეა იმდენად საკვანძო მნიშვნელობის მქონედ მიიჩნევა, რომ კვლევის მონაწილეები ხაზს უსვამენ მისი მუდმივი აქტუალიზაციისა და საზოგადოებაში ტირაჟირების აუცილებლობას.

განხილული პოზიციები რომ შევაჯამოთ, საქართველოს ევროპეიზაციის პროცესს რესპონდენტები რამდენიმე მიმართულებით ხედავენ, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილ დისკურსსაც ემთხვევა: ერთის თანახმად, საქართველო თავისი ღირებულებებით ევროპის ნაწილია და იმ ბუნებრივ გარემოსთან დაბრუნების მისწრაფებას ავლენს, რომელსაც ამდენი ხნის მანძილზე ხელოვნურად იყო მოწყვეტილი; შესაბამისად, ევროპეიზაცია ღირებულებებით მართული პროცესია. რესპონდენტთა მეორე ნაწილის აზრით, ევროპეიზაციის წარმმართველია საქართველოს ეროვნული ინტერესები და, განსაკუთრებით, უსაფრთხოების დაცვის საკითხი, რაც მათი პრაგმატული ხედვის გამოხატულებაა. ამის საპირისპიროდ, არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოს ევროპისადმი მისწრაფება იდენტობითაა ნაკარნახევი და ნაკლებ მოტივირებულია ქვეყნის ეროვნული ინტერესების და უსაფრთხოების დაცვის პრაგმატული გათვლებით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ რეალობა გაცილებით კომპლექსურია და საქართველოს მცდელობა, ევროპულ და არა პოსტსაბჭოურ სახელმწიფოდ წარმოაჩინოს თავი, ეროვნული ინტერესებთან და უსაფრთხოებასთან მჭიდროდაა გადაჯაჭვული, და სწორედ იდენტობის წყალობითაა წინ წამოწეული საქართველოს საგარეო პოლიტიკაში (German, 2015, 611).

ქართული და ევროპული ღირებულებები მსგავსება-განსხვავების ჩრილში

როგორც აღინიშნა, კულტურული ღირებულებები და იდენტობა ქვეყნის ევროპეიზაციის მიმართულების მიმცემი უმთავრესი ფაქტორებია (Topic, 2012); უფრო მეტიც, ეროვნული იდენტიფიკაცია საფუძვლად უდევს ევროპულ იდენტიფიკაციას და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული პროცესების გასაგებად აუცილებელია ეროვნული იდენტიფიკაციის ცვლილების სიღრმისეული ანალიზი (Duchesne, 2011). სწორედ ამიტომ, რომ „ევროპულ ოჯახში დაბრუნების“ იდეაზე საუბრისას, ჩვენი კვლევის მონაწილეები ქართული ღირებულებების ევროპულთან მსგავსებაზე ამახვილებენ ყურადღებას, რასაც, პირველ რიგში, ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან აკავშირებენ. ამ გზით, ისინი ქართული იდენტობის ევროპულთან სიახლოვეს უსვამენ ხაზს. მიუხედავად ამ მსგავსების ხაზგასმისა, მათ შეხედულებებში ქართული და ევროპული ღირებულებების თავსებადობის შესახებ სამი განსხვავებული დისკურსი იკვეთება: ა) ქართველებს და ევროპელებს იდენტური ღირებულებები აქვთ; ბ) ქართული და ევროპული ღირებულებები განსხვავდება, თუმცა მათი ფუნდამენტური მაინც მსგავსია; გ) ქართული და ევროპული ღირებულებები განსხვავდება და ევროპული უპირატესია.

ქართველებს და ევროპელებს იდენტური ღირებულებები აქვთ. ამ დისკურსის თანახმად, ქართული ღირებულებები, თავისი არსით, ევროპული ღირებულებებია. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, „რაც ქართულია, ის ევროპულია.“ ამის მაგალითად მოყვანილია ტოლერანტობა, როგორც ქართველებისთვის დამახასიათებელი ისტორიული თვისება, რაშიც, როგორც წინა ქვეთავშიც აღინიშნა, მოიაზრება ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების მიმღებლობა, ქალის პატივისცემა (რაც მიჩნეულია გენდერული თანასწორობის გამოხატულებად) და სხვ. ამავე კონტექსტშია განხილული თანამედროვე ქართველების მისწრაფება დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრებისა და სამოქალაქო ჩართულობისკენ, რაც, რესპონდენტების თქმით, „დემოკრატიული და ევროპული პრინციპებია.“ ამდენად, ისინი ტოლობის ხაზს სვამენ „დემოკრატიულსა“ და „ევროპულს“ შორის, და დემოკრატიული ქვეყნის შენების მცდელობა ქართველების ევროპელობის გამოხატულებად მიაჩნიათ.

„საქართველო ისტორიულად ყოველთვის იყო ტოლერანტული. ტრადიციულად პატივს სცემდნენ სხვის უფლებებს. ეროვნული უმცირესობების და იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც არ იყვნენ აქაური კულტურის წევრები, არ იყო მტრული განწყობა. ვფიქრობ, ევროკავშირში განევრიანება დაეხმარება ქვეყანას ამ ფასეულობის კიდევ უფრო მეტად აღიარებაში და დანერგვაში“ (ე.თ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

„მე ვფიქრობ, რომ ქართული ღირებულებები არის ევროპული ღირებულებები და რაც ეწინააღმდეგება ევროპულ ღირებულებებს, არც ქართულია. ადამიანის უფლებების დაცვა, ქალის პატივისცემა, ანუ გენდერული საკითხი, რელიგიური მრავალფეროვნების თემა, ზოგადად, უმცირესობების თემა არის ქართული ღირებულებაც იმიტომ, რომ ჩვენ ყოველთვის ვამბობთ, რომ ვართ ძალიან მიმტევებლები. ასევე, ეს არის ევროპული ღირებულებებიც. რელიგიური, ეთნიკური უმცირესობების, ენის, კულტურული იდენტობების დაცვა, თავისუფლების და დამოუკიდებლობის სიყვარული, ერის პატივისცემა, სურვილი, რომ გვქონდეს დემოკრატიული ქვეყანა, სიტყვის თავისუფლების სურვილი, პროცესში ჩართულობის სურვილი, ეს ყველაფერი დემოკრატიული და ევროპული პრინციპებია. მე ვერ ვხედავ ვერანაირ წინააღმდეგობას: რაც ქართულია, ის ევროპულია“ (ვ.დ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

აქვე აღსანიშნავია არგუმენტიც, რომელიც ქართველების ევროპელობას „ბანალური ევროპეიზმის“ (Cram, 2009) კონტექსტში განიხილავს, კერძოდ, ქართველების ყოფით ევროპეიზმზე ამახვილებს ყურადღებას. „ბანალური ევროპეიზმის“ ცნება „ბანალური ნაციონალიზმის“ ცნებას (Billig, 1995) ეფუძნება და გულისხმობს, რომ, როგორც ერთან, ასევე ევროპასთან იდენტიფიკაციას აძლიერებს ყოველდღიური, უბრალო პრაქტიკები და სიმბოლოები, რომლებიც ადამიანების ცხოვრებაში გაუცნობიერებლად არსებობს; მაგალითად, ევროპული მართვის მონუმობის ან ევროს არსებობა, ევროპული პოლიტიკის ამბების კითხვა გაზეთებში და ა.შ. მართალია, ამ შემთხვევაში, ზემოხსენებული სიმბოლოები ვერ იქნება ქართველების „ბანალური ევროპეიზმის“ ნიმუში, მაგრამ შესაძლოა ასეთად ჩაითვალოს ისეთი სიმბოლოები, როგორიცაა ევროკავშირის დროშა, რომელიც საქართველოში ყველა სახელმწიფო უწყებას ამშვენებს, ან ქვემოთ წარმოდგენილ ნარატივში ხაზგასმული საერთო „ყოფითი

კულტურა“, როგორც ევროპასთან იდენტიფიკაციის მაჩვენებელი.

„უმეტესობა ქართველებისა, რომლებიც ევროპაში ცხოვრობენ ან არიან ნაცხოვრები, რომ გამოკითხოთ, ყველანი იტყვიან, რომ მათ ევროპაში ცხოვრება არ უჭირდათ. მატერიალურზე არ ვსაუბრობ, ანუ მათ არ უჭირდათ ადამიანებთან ურთიერთობა, მათთან დამეგობრება, ისეთ ქვეყნებშიც კი, რომლებიც ძალიან ჩაკეტილ ქვეყნებად ითვლება, საზოგადოებრივი ურთიერთობის თვალსაზრისით. მაგალითად, დიდი ბრიტანეთი ან ჰოლანდია შედარებით ჩაკეტილი საზოგადოებებია. იქაც კი ქართველები ახერხებენ კარგ კომუნიკაციას და დამეგობრებას ადგილობრივებთან და ეს ხაზს უსვამს იმას, რომ ქართველებისთვის ევროპული კულტურა იმ თვალსაზრისით, ანუ თუ გნებავთ, ევროპული ყოფითი კულტურაც კი, არის სრულიად მისაღები. ანუ ურთიერთობის ის ყოფითი წესები, რომელიც იქ არის, ქართველებისთვის მისაღებია“ (ლ.დ., ექსპერტი, სახელმწიფო სტრუქტურა).

წინა არგუმენტისგან განსხვავებით, რესპონდენტთა ნაწილი დემოკრატიულ ღირებულებებს არა სპეციფიკურ-ევროპულად, არამედ უნივერსალურად მიიჩნევს და სწორედ ამ უნივერსალურობის გამო ქართველებიც იმავე ღირებულებების მატარებლად მიაჩნია. თუ ადამიანის უფლებების დაცვა და ტოლერანტობა შეიძლება ევროპულ ღირებულებებად ჩაითვალოს, ისინი, ასევე, უნივერსალური ღირებულებებია, ამდენად, ქართულიც.

„კანონის უზენაესობა, წესიერება, პოლიტიკური ოპონენტის პატივისცემა, ცივილიზებული დისკუსია, არ მგონია, რომ რომელიმე ქართულ ღირებულებასთან წინააღმდეგობაში იყოს. ის ღირებულებები, რომლებსაც ქართულ ღირებულებებად წარმოაჩენენ, ხშირ შემთხვევაში, უბრალოდ ჩვევებია. ოჯახის ან მშობლების პატივისცემა ევროპული ღირებულებაც არის“ (დ.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

„დარწმუნებული ვარ, გამოკითხვა ასე მარტივად რომ ჩავატაროთ საქართველოს მოქალაქეებში, ყველა იტყვის, რომ, დიახ, ადამიანებისთვის უნდა არსებობდეს სახელმწიფო, ადამიანი უნდა იყოს ყველაზე მაღალი ღირებულება და ყველაფერი სხვა ამ ღირებულებების ირგვლივ უნდა ტრიალებდეს. სწორედ ეგ არის ევროპული ღირებულებებიც“ (ი.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

ალტერნატიული დისკურსის თანახმად, ქართული და ევროპული

ღირებულებები განსხვავდება, თუმცა მათი ფუნდამენტი მაინც მსგავსია. აქ აღნიშნულია, რომ ქართულ და ევროპულ ღირებულებებს შორის განსხვავება არ არის ფუნდამენტური; მათ შორის თანხვედრა მეტია, ვიდრე განსვლა. ხაზგასმულია, რომ მსგავსი განსხვავებები ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორისაც შეინიშნება, თუმცა ევროკავშირის დევიზიდან გამომდინარე, რომ „ერთობა მრავალფეროვნებაშია“, ის განსხვავებული კულტურული თავისებურებების მქონე ერებს აერთიანებს და ამ სხვაობებს არ შეუქმნია დაბრკოლება ევროინტეგრაციის გზაზე.

„ისეთი ფუნდამენტური განსხვავებები არ არსებობს, თუმცა ზოგს სხვაგვარად წარმოუდგენია ევროპული ღირებულებები და კულტურა. მე რასაც ვუყურებ ჩემი გადმოსახედიდან, ფუნდამენტური განსხვავებები არ არსებობს და, პირიქით, თანხვედრაა ისტორიულადაც და კულტურის ისტორიიდან გამომდინარეც. მე მგონი, რომ თანხვედრა უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება. რა თქმა უნდა, ევროკავშირის ქვეყნებს შიგნითაც არის განსხვავებები და ასე თუ შევხედავთ, შეიძლება რაღაც უფსკრული დავინახოთ; თუკი განვაზოგადებთ, მაშინ საერთო უფრო მეტია, ვიდრე განსხვავება“ (ზ.ლ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

მართალია, რიგ ასპექტებში რესპონდენტები უდავოდ ამჩნევენ ქართულ და ევროპულ ხედვებს შორის განსვლას, მაგრამ ამას ორი სხვადასხვა არგუმენტით ხსნიან: ერთი მოსაზრებით, ის, რაც ქართულ ღირებულებებზე მიიჩნევა, მაგალითად, ე.წ. „ჩაშვების ინსტიტუტისადმი“ წინააღმდეგობა, ფავორიტიზმი და სხვ. საერთოდ ვერ ჩაითვლება ღირებულებებზე, რადგან, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს საბჭოურ გადმონაშთებთან და „გამრუდებულ დამოკიდებულებებთან.“

„მაგალითად, ის, რომ არ უნდა ჩაუშვა ვიღაცა. მაგალითად, კაცმა მოკლა კაცი და შენ არ უნდა დაასმინო, ანუ უნდა მისცე საშუალება, რომ მიმან მოკლას მეორე კაცი. ძალიან ბევრს ჰგონია, რომ ეს ქართული ფასეულობაა. ამ დროს ეს ქართული ფასეულობა არაა, ეს არის გამრუდებული დამოკიდებულება საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მიმართ“ (ლ.დ., ექსპერტი, სახელმწიფო სტრუქტურა).

მეორე მოსაზრებით, მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ქართული ღირებულებები ნაკლებად ჰგავს ევროპულს, წარსულში საქართველო ნამდვილად იყო ევროპული ღირებულებების მქონე. ერთ-ერთი რე-

სპონდენტი ამის მაგალითად 1918-1921 წლების საქართველოს ასახვლებს, როცა მან რუსეთისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა და დემოკრატიული განვითარების კურსი აიღო. სხვა ნარატივის თანახმად, თუ დღეს ქართველები ნაკლებ ტოლერანტულები არიან, თუნდაც რელიგიური უმცირესობების მიმართ, წარსულიდან შემორჩენილია ამგვარი ტოლერანტობის სამხილი, კერძოდ, სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანების გვერდიგვერდ აშენებული სალოცავები.

ევროპული ღირებულებების დაკარგვა თუ წართმევა ხშირად საბჭოთა გავლენებს მიეწერება. ერთ-ერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ არსებითი განსხვავება საბჭოთა და ევროპულ ღირებულებებს შორის სწორედ უმცირესობების მიმართ დამოკიდებულებაშია. ევროპული ინდივიდუალიზმი თითოეულ ადამიანს ითვალისწინებს მაშინ, როცა საბჭოური კოლექტივიზმი ინდივიდის იგნორირებას ახდენს. სწორედ ეს უკანასკნელი განიხილება ქართველებისთვის თავსმოხვეულად საბჭოთა რეჟიმის მიერ.

„ევროპული ღირებულებები, ზოგადად, როგორც ცივილური სამყაროს ღირებულება, დგას ერთ ადამიანზე, მისი სრული უნივერსალურობის აღიარებაზე და იმაზე, რომ ეს ადამიანი არის ის, რომელიც უნდა დაიცვას სახელმწიფომ, ეს ადამიანი არის ის, რომელზეც უნდა იზრუნოს სახელმწიფომ, ეს ადამიანი არის ის, რომლის თავისუფლებაც მთავრდება იქ, სადაც იწყება მეორე ადამიანი და ა.შ. ანუ, ეს ადამიანის უფლებების მთელი თეორიაა, რაზედაც დგას ფუნდამენტი. მეორე მხრივ, არის საბჭოთა მენტალიტეტი, რომელიც დადის ინდივიდის, როგორც ასეთის, სრულ იგნორირებამდე და მარტო ინდივიდის იგნორირებას კი არ ახდენს, არამედ აბსოლუტურად უარყოფს ადამიანების განსხვავებულობას“ (ნ.ო., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

საბჭოთა კავშირთან ასოცირებული რუსეთი, რესპონდენტების მოსაზრებებში, ხშირად იკვეთება, როგორც ნეგატიური „სხვა“, „ცუდი“ ალტერნატივა, რომელიც „კარგ“ ევროპას უპირისპირდება: რუსეთი ქართული ეროვნული იდენტობისთვის საფრთხედაა დანახული, ხოლო ევროპა – ამ იდენტობის შენარჩუნების გზად. ამდენად, ქართული და ევროპული ღირებულებების განსხვავებულად წარმოჩენას რესპონდენტები ანტიდასავლურ პროპაგანდას მიაწერენ, რომლის მედროშეებად რუსეთსა და საქართველოში არსებულ პრორუსულ ძალებს მოიაზრებენ.

მსგავსი პოზიცია ძალიან ჰგავს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ელიტების ხედვას ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში, როცა დომინანტური გახდა „ევროპულ ოჯახში დაბრუნების“ დისკურსი (Kuus, 2007). მისი ხელშემწყობი ერთ-ერთი ფაქტორი ევროკავშირის, როგორც რუსეთის აგრესიისგან დაცვის გარანტიის, განხილვა იყო (Mole, 2007). ამის მიზეზია ის, რომ, ერთი მხრივ, ასეთ ქვეყნებში იდენტობის დისკურსს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს უსაფრთხოების საკითხები; ხოლო რუსეთი, როგორც ევროპის „სხვა“ (Neumann, 1996), რომელიც ევროპული იდენტობისთვის საფრთხედ აღიქმება (Ilonski, 2009), ევროპული და ეროვნული იდენტობების ერთიან მობილიზებას ახდენს (Kuus, 2007, 17-18, 116-117); მეორე მხრივ კი, თავად დასავლეთ ევროპის მიერ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ორიენტალიზაცია (Todorova, 1997), გარკვეულწილად, სწორედ მათი კომუნიტური გამოცდილების ნიადაგზე ხდება, რადგან მათ საბჭოური „ორიენტალური“ მენტალობის ნაწილად განიხილავს (Kuus, 2007, 22-23).

კიდევ ერთი დისკურსის თანახმად, ქართული და ევროპული ღირებულებები განსხვავდება და ევროპა უპირატესი ღირებულებების მქონეა. ევროპული ღირებულებების მაგალითებად მოყვანილია შრომისმოყვარეობა, განსხვავებულის მიმართ მიმღებლობა და მისი სოციალურ-პოლიტიკური მონაწილეობის დაშვება, დროის დაფასება, ნაგვის ურნაში გადაყრა, კრიტიკული აზროვნება, თუნდაც პოლიტიკური არჩევანის პარტიის პროგრამის მიხედვით გაკეთება. მიჩნეულია, რომ ქართველები ამ ყველაფრის დეფიციტს განიცდიან. ამდენად, ევროპულ ღირებულებებთან დაახლოება საქართველოსთვის განვითარებისა და პროგრესის შესაძლებლობადაა დანახული და არა ქართული ღირებულებებისთვის საფრთხის მომტანად.

„სარგებელი იქნება ევროპულ ფასეულობებთან დაახლოება, რაც შეიძლება ცოტა განსხვავდება ჩვენი ტრადიციული კულტურისგან, მაგრამ ბევრად უფრო ღირებულია. ჩემი აზრით, ის, თუ როგორ უყურებენ ისინი ადამიანურ ურთიერთობებს, რასაც ჩვენთან, ტრადიციულად, სხვანაირად უყურებენ, ეს კომბინაცია ჩვენ დადებითის მეტს არაფერს მოგვითმის. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ტრადიციებს და ღირებულებებს საფრთხე არ ემუქრება, თუ ჩვენ მოვუფრთხილდებით და შევინახავთ“ (ნ.დ., სამთავრობო სტრუქტურა).

„აზროვნება არის ჩემთვის ევროპული ღირებულება. ის, რომ მე არავის არ უნდა ვუყურო. არ უნდა მაინტერესებდეს პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, ვინ მოვა და ვინ წავა, მათი სახეები ჩემთვის არაფერს არ უნდა ნიშნავდეს; ჩემი მეგობრის ნათესავია, დაქალის ქმარია თუ ვინ არის, ხომ? მე უნდა წავიკითხო, მისი პოლიტიკური პლატფორმა რას მთავაზობს, რას მპირდება, რა გაუკეთებია, ეს უნდა შევაფასო და ისე უნდა წავიდე და მივცე არჩევნებზე ხმა. ეს არის ჩემთვის ევროპული ღირებულება“ (ნ.ო., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

„მეორე მხრივ, ღირებულებების სკალაზე გეჭირდება იმის გაცნობიერება, რომ ჩვენ თუ არ ვისწავლეთ განსხვავებული ატანა და იმის დაფასება, რომ ჩვენგან განსხვავებული ადამიანი ჩვენ გვერდით უნდა არსებობდეს და ჩვენთან ერთად მონაწილეობდეს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, ჩვენ ვერ გავხდებით ევროპა. აქ ლაპარაკი იმაზე კი არაა, რომ გავხდეთ ევროკავშირის წევრი, არამედ ღირებულებით ჩვენ შიგნიდან ვართ თუ არა ისეთივე საზოგადოება, როგორცაა სლოვენური, ირლანდიური, პორტუგალიური და ა.შ. და ჩვენ ასეთი საზოგადოება ვერ გავხდებით, თუ ეს ორი რამე ვერ გავიაზრეთ: შრომა და განსხვავებული ატანა“ (ი.ჩ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

საინტერესოა, რომ ტოლერანტობა, რომელიც ევროპულ ღირებულებად მიიჩნევა, მნიშვნელოვან არგუმენტად გვევლინება სხვადასხვა მოსაზრების მქონე რესპონდენტების მხრიდან: თუ ზოგისთვის საქართველო იმით ჰგავს ევროპას, რომ ტოლერანტულია, სხვებისთვის სწორედ იმით განსხვავდება ევროპისგან, რომ ტოლერანტული არ არის. ამ შემთხვევაში, საგულისხმოა, რომ რესპონდენტები ტოლერანტობის მსგავსი ინდიკატორებით არ ხელმძღვანელობენ: თუ ერთი მხარე ტოლერანტობას საქართველოს ეთნიკურ მრავალფეროვნებასა და სხვადასხვა სარწმუნოების სალოცავების არსებობას უკავშირებს, სხვებისთვის განმსაზღვრელი უმცირესობების მიმართ ამჟამად არსებული ნაკლებ შემწყნარებლური დამოკიდებულება და ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მათი ჩაურთველობაა.

თუმცა ისინიც კი, ვინც თუნდაც თვალსაჩინო განსხვავებებს ხედავენ ქართულ და ევროპულ ღირებულებებს შორის, მაინც პოზიტიურ ცვლილებებს ელიან ევროპულ ღირებულებებთან თანმიმდევრუ-

ლი დაახლოების თვალსაზრისით და მიიჩნევენ, რომ ამ პროცესის შედეგად, ქართული ღირებულებები კი არ დაიკარგება, არამედ გარკვეულ სინთეზს თუ ბრიკოლაჟს ექნება ადგილი, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში „ევროლოკალიზაციის“ (Morawska, 2003, 182) სახელითაა ცნობილი.

„რალაცეები ჰიბრიდული ჩამოყალიბდება. ამას ყოველდღიურად ვხვდებით. ახლა ის, რაც, ვთქვათ, ჩემი სტუდენტობის დროს უცხო და მიუღებელიც იყო, დღეს ჩვეულებრივი ამბავია... ცხოვრება მიდის, კულტურების შერწყმა ხდება, რალაცა იკარგება, რალაცას ვიძინთ. ეს ჩვეულებრივი ამბავია და ჯობია, ეს შევიძინოთ, ვიდრე ის, რაც საბჭოთა კავშირიდან შევიძინეთ თავის დროზე“ (თ.ე., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს არგუმენტი, რომელიც ევროპეიზაციის კულტურულ საფრთხეებზე ამახვილებს ყურადღებას. მის თანახმად, ქართულმა საზოგადოებამ შესაძლოა, ევროპული ღირებულებები დამახინჯებული სახით შეითვისოს ან მათ მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გაუჩნდეს. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მტიკინეულ საკითხად ლგბტ თემის უფლებები იკვეთება. რესპონდენტები მას მანამდე ახსენებდნენ, სანამ უშუალოდ ინტერვიუერი შეეხებოდა ამ საკითხს. რესპონდენტთა ნაწილი იმის დემონსტრირებას ცდილობდა, რომ ეს საკითხი არ მოდის წინააღმდეგობაში ქართულ ღირებულებებთან, რადგან საუბარია მხოლოდ და მხოლოდ ლგბტ პირების ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვაზე და არა არატრადიციული ქორწინებების ლეგალიზაციაზე, მოსახლეობა კი სწორედ ჰომოსექსუალი წყვილების ქორწინებას და მათ მიერ ბავშვის აყვანას ეწინააღმდეგება. აღინიშნა, რომ ამ თემით ანტიდასავლური ძალები მანიპულირებენ და, ხშირ შემთხვევაში, ქართული ეკლესიის გამოყენებით ცდილობენ, მოსახლეობა ევროკავშირის წინააღმდეგ განაწყონ. გარდა ზემოხსენებული მოსაზრებისა, გაიჟღერა არგუმენტმა, რომ ლგბტ უფლებების საკითხი საკმაოდ წინააღმდეგობრივია თავად ევროპის ქვეყნებშიც; ქორწინების დაკანონების საკითხი კი მხოლოდ მოსახლეობის ნებაზეა დამოკიდებული.

„არსებობს სტერეოტიპები, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირში ინტეგრაცია ნიშნავს ერთსქესიანი წყვილების ქორწინების აღიარებას. ეს სტერეოტიპები ინერგება საზოგადოებაში, ამას აკეთებს ის, ვინც წინააღმდეგია ევროკავშირში ინტეგრაციის. ვფიქრობ, რომ

შეგნებულად ხდება ამ სტერეოტიპების დანერგვა“ (ე.თ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

„ევროპაში, მაგალითად, პოლონეთში, რომელიც უწმინდესი ოჯახის ტრადიციების ქვეყანაა, რომ ილაპარაკო ჰომოსექსუალების მიერ ოჯახის შექმნაზე, მაგაზე შეიძლება მოგკლან კიდევ. არც არავინ ეუბნება, ასე იყოსო. ბელგიას უნდა? კი, ბატონო, უნდა და აქვს კიდევ. ზუსტად მაგით განსხვავდება საბჭოთა კავშირისგან ევროპა, რომ ვისაც რა უნდა, ის უნდა გააკეთოს. ბელგიას უნდა, ნიდერლანდებს მოსწონს და მან ისეთი ქვეყანა ააშენა, როგორც უნდა. მაგრამ ესპანეთში ეს არასდროს იქნება აქტუალური, არ იქნება“ (ი.დ., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, ის, რომ ევროკავშირის ყველა ქვეყანა ჰომოსექსუალურ ქორწინებას არ აკანონებს, მყარი არგუმენტი არ არის, რადგან ტენდენცია მაინც დაკანონების მიმართულებით მიდის. ამ შემთხვევაში, რესპონდენტი საქართველოს სიტუაციას დანაკარგი-სარგებლის ჭრილში უყურებს, სადაც დანაკარგი შეიძლება იყოს ჰომოსექსუალური ქორწინება, თუმცა ეს არაფერია სარგებელთან შედარებით, რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებასა და ეროვნული ინტერესების დაცვას უკავშირდება.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით საინტერესოა, როგორ აფასებენ კვლევაში მონაწილე პოლიტიკოსები და ექსპერტები უშუალოდ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგების გავლენას ქართველების „ევროპულ იდენტობაზე.“ ცნობილია, რომ იდენტობის ერთ-ერთი მახასიათებელი მისი დინამიურობა თუ ცვალებადობაა, კერძოდ, იგი სოციალური ქმედების პროცესში იქმნება და გარდაიქმნება, და სოციალური აქტორის თვითაქმნასა და თვითალიარებას გამოხატავს (Delanty, 2003). აქედან გამომდინარე, საინტერესოა, როგორ ცვლის ქართველების იდენტობას და ამ იდენტობის თვითაქმნას მათი პოლიტიკური კურსისა და ხედვის განმსაზღვრელი უმნიშვნელოვანესი მოვლენა – ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა.

ერთ-ერთი მოსაზრებით, ასოცირების შეთანხმების ხელმოწერა ქართველების ევროპულ იდენტობას განამტკიცებს, რადგან ის ევროინტეგრაციის მიმართულებით გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. ასევე, აღინიშნა, რომ ამას მოჰყვება სხვადასხვა სახის პროგრამები, მაგალითად, ის, რომ საქართველო Creative Europe-ის ნაწილი გახდა და ქართული კულტურის ხელშეწყობა ხდება,

რაც, როგორც ქართული კულტურის პოპულარიზაციას, ისე ევროპულ კულტურაში მის შემდგომ ინტეგრაციას ემსახურება.

ამის საპირისპიროდ, ზოგი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ დოკუმენტის ხელმოწერა პოზიტიური, მაგრამ მაინც სიმბოლური აქტია. ევროპული იდენტობა გამყარდება მაშინ, როცა რეგიონებში მცხოვრები ადამიანები უშუალოდ შეიგრძნობენ ევროინტეგრაციის პოზიტიურ შედეგებს. ამას გარდა, იდენტობას ამყარებს არა იმდენად დოკუმენტის ხელმოწერა, რამდენადაც თავად ინტეგრაციის პროცესი. შესაძლოა, მოსახლეობა თავიდან ინსტრუმენტული მიზნებისთვის ირჩევდეს ევროპას, მაგრამ სწორი პოლიტიკის გავლენით, შესაბამის ღირებულებებზეც ორიენტირდეს. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პოპულარულ დონეზე სათანადო აქტივობები განხორციელდეს და მოსახლეობაში ევროპული ღირებულებები დაინერგოს, ანუ ევროპეიზაციის ფორმალურიდან ქცევით დონეზე გადატანა მოხდეს (Schimmelfennig and Sedelmeier, 2005, 8).

„დღეს ეს შეიძლება არ არის ძალიან გაცნობიერებული, ან იმ თვალსაზრისით უნდოდეთ მხოლოდ, რომ ევროპაში იარონ, მოსახლეობამ სამუშაო იშოვოს და ნაკლებად – ევროპული ღირებულებების და ფასეულობების გამო. დროთა განმავლობაში ეს მოვა და ხელისუფლებაზე დამოკიდებული, რამდენად სწორად წარმართავს ამ პოლიტიკას, რამდენად სწორად მიიტანს ამას საზოგადოებამდე. ამ პროცესმა უნდა გააჩინოს ეს შეგრძნება, რომ ევროპა მხოლოდ ვიზა და სამუშაო ადგილი არ არის ევროპის ქვეყნებში, ეს არის იმ ფასეულობებისადმი ერთგულება“ (ე.თ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

ქართული ნაციონალიზმი და ევროპული პოსტნაციონალიზმი

მკვლევართა აზრით, ევროკავშირი პოსტნაციონალურ იდეას ეფუძნება მაშინ, როდესაც მისი მოსახლეობისთვის ნაციონალური მოდელია თვითიდენტიფიკაციის ნორმატიული საფუძველი. ამიტომაც ევროკავშირის ინტელექტუალური ელიტები „ევროპული იდენტობის“ პოლიტიკას იყენებენ იმ მიზნით, რომ ევროკავშირის სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ადამიანები „სოციალური წებოთი“ დაუკავშირონ ერთმანეთს (Nanz, 2010, 285-289). მართალია, ევროპული იდენტო-

ბის პროექტი ელიტების ინიცირებულია, მაგრამ ეს არ გულისხმობს ცალსახა, ზემოდან ქვემოთ მიმართულ პროცესებს, რადგან შეთავაზებულ რეპერტუარებს ადამიანები საკუთარ ყოველდღიურობაში თავისებურად გარდაქმნიან. ამ მოდელის მიხედვით, ევროპული იდენტობა სოციოკულტურული და ნაციონალური „ხმების“ დაპირისპირების საფუძველზე ყალიბდება, რაც, თავის მხრივ, ამბივალენტურ იდენტობებს ქმნის. პოსტნაციონალური ან ინტერნაციონალური იდენტობების კვალდაკვალ, ევროინტეგრაციამ შეიძლება წარმოშოს თავდაცვითი „ლოკალიზმიც“, როდესაც საზღვრების გახსნას ადამიანები ეროვნული და კულტურული იდენტობის წინააღმდეგ მიმართულ საფრთხედ აღიქვამენ (იქვე, 281). ქართველების შემთხვევაში, ამბივალენტური იდენტობა იმით გამოიხატება, რომ მათი ძლიერი მისწრაფება ევროინტეგრაციისადმი კომბინირებულია ევროპეიზაციის, როგორც ეროვნული იდენტობისადმი საფრთხის მატარებლის, ხედვასთან (წულაძე, გამოქვეყნების პროცესში).

მიუხედავად იმისა, რომ თავად ევროკავშირი ნაციონალიზმის შესუსტებას ცდილობს, იმავდროულად, იგი უნებურად აძლიერებს კიდევ მას. ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითზე, მკვლევარები ნაციონალიზმის „უკანა კარიდან შემოპარვის“ სამ გზას განიხილავენ: ა) პოლიტიკური პარტიები მემარცხენე-მემარჯვენე ლერძიდან ეროვნულობის ლერძის გარშემო ტრიალს იწყებენ; ბ) ევროპულ ინსტიტუტებს და დისკურსებს ადგილობრივი ნაციონალისტები იმისათვის იყენებენ, რომ მონათესავე ერებში საერთო ნაციონალისტური სენტიმენტები გააღვივონ; გ) ჩნდებიან და ძლიერდებიან რადიკალური ნაციონალისტები, რომლებიც, უმეტესად, პოლიტიკური ინსტიტუტების მიღმა მოქმედებენ (Fox and Vermeersch, 2010, 326). აღსანიშნავია, რომ ნეონაციონალისტების ევროკავშირისა და იმიგრანტების წინააღმდეგ მიმართული დისკურსები იმავე ტერმინებით არის გაჯერებული, რომელთაც ევროკავშირის ბიუროკრატები ევროპული იდენტობის იდეის ხელშესაწყობად იყენებენ. შესაბამისად, კულტურულად განსაზღვრული სამშობლოს ცნება როგორც ევროკავშირის სასარგებლოდ, ასევე მის წინააღმდეგ შეიძლება იქნას გამოყენებული (Kuus, 2007, 119).

აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტების მაგალითზე, მკვლევარები განიხილავენ სტრატეგიებს, რომლებსაც ეს ელიტები ევროკავშირთან მიმართებაში იყენებენ. როგორც წესი, უცხოელი აუდიტორიისთვის განკუთვნილი

დისკურსები არ ასახავს საშინაო დონეზე მიმდინარე დებატებს და მარკეტინგულ სვლებს უფრო ჰგავს. ამასთან, ეს ინტელექტუალები ზოგ თემას მეტ ლეგიტიმურობას სძენენ, ხოლო ზოგის მარგინალიზებას ახდენენ, რათა სწორედ ის თქვან, რისი მოსმენაც ევროკავშირს სურს (Kuus, 97-101, 106-109). საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ელიტების მსგავსად, ქართველებიც მაქსიმალურად ცდილობენ ევროკავშირის წარმომადგენლებთან საკუთარი ევროპელობის დეკლარირებას და იმის ჩვენებას, რომ ნაციონალიზმის საფრთხე არ არსებობს, რათა ევროკავშირისთვის სოციალურად სასურველი თვითპრეზენტაცია მოახდინონ.

კვლევაში მონაწილე ინტელექტუალური და პოლიტიკური ელიტები ხაზს უსვამენ, რომ ევროპული პოსტნაციონალური იდეა სულაც არ მოდის წინააღმდეგობაში ქართულ ნაციონალურ იდეასთან. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე არგუმენტი გამოიკვეთა:

ერთი დისკურსის თანახმად, ევროკავშირი თავადვე დგას ერი-სახელმწიფოების მოდელზე. გადანყვეტილებებს ეროვნული მთავრობები იღებენ. ამდენად, განსხვავებით ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრებისგან, რომ ევროკავშირი წევრი ქვეყნების სუვერენიტეტს ასუსტებს, ექსპერტები გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ ევროკავშირში განწევრიანების შემდეგ ქვეყნების დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი არათუ მცირდება, არამედ იზრდება კიდევ, რადგან ევროკავშირი მათი უსაფრთხოების დაცვისა და თვითმყოფადობის შენარჩუნების გარანტია.

„ევროკავშირი თავს არ ახვევს რომელიმე ქვეყანას რეფორმას. ქვეყნის ეროვნული მთავრობის გადასანყვეტია ყველა რეფორმა და კურსი, ასევე ყველა გადანყვეტილება, რომელსაც მთავრობა მიიღებს. [...] რაც შეეხება ნაციონალიზმს და დამოუკიდებლობას, ევროკავშირში არის 28 ქვეყანა, არც ერთ მათგანს არ აქვს იმის განცდა, რომ მისი დამოუკიდებლობა შეზღუდულია, ან მისი სუვერენიტეტი ჩახშობილ იქნა. პირიქით, ეს ქვეყნები არიან დამოუკიდებელი ქვეყნები და კიდევ უფრო განვითარდნენ მას შემდეგ, რაც გახდნენ ევროკავშირის წევრები, გახდნენ უფრო ძლიერები, დაცულები და დემოკრატიულები“ (ვ.დ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

რაც შეეხება იმ ქვეყნების ევროკავშირთან ინტეგრაციას, სადაც ეროვნული სენტიმენტები საკმაოდ ძლიერია, საქართველო განსა-

კუთრებულ შემთხვევად არ მოიაზრება, რადგან, როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, არა მარტო საქართველოში, არამედ ევროკავშირშიც არიან პარტიები, რომლებიც, ნაციონალიზმის ნიადაგზე, ანტიემიგრაციულ პოლიტიკას ატარებენ.

„რომელ პოსტნაციონალიზმზეა საუბარი, პარტიები იქმნება ევროპაში იმის კვალობაზე, რომ არ უნდათ მიგრანტები“ (ნ.შ., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

მეორე დისკუსიით, ნაციონალიზმი მხოლოდ უარყოფითი კუთხით არ უნდა იქნას დანახული. გამოიყო სხვადასხვა ტიპის ნაციონალიზმი, რომელიც რესპონდენტებს პოზიტიურად მიაჩნიათ და თვლიან, რომ სულაც არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის იდეას, კერძოდ, სამოქალაქო ნაციონალიზმი (ეთნიკური ნაციონალიზმის საწინააღმდეგოდ), როგორც „საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა.“

„მოდერნული გაგებით, ნაციონალიზმი არის ერთადერთი, რაც საშუალებას აძლევს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს, იყვნენ ინტეგრირებულნი და სახელმწიფოს იდეის ნაწილნი, და ეს არის საქართველოს გადარჩენის ერთადერთი გზა, არათუ წინააღმდეგობაში მოდის მასთან. რაც შეეხება ეთნიკურ ნაციონალიზმს, ეს არის დალუპვის რეცეპტი ჩვენთვის. ვინც პოზიციონირებს ამ სახის პატრიოტიზმით და ეთნიკური ნაციონალიზით, სინამდვილეში არის საქართველოს მტერი“ (დ.ლ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

სამოქალაქო ნაციონალიზმთან ერთად, პოზიტიურად შეფასდა კულტურული ნაციონალიზმიც, რაც გულისხმობს საკუთარი კულტურით სიამაყეს, საერთაშორისო არენაზე, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში მის წარმოჩენას და სხვ., როგორც ერის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების აუცილებელ პირობას.

„რას ვგულისხმობთ ნაციონალურ სულისკვეთებაში? გააჩნია როგორ გამოხატავ. თუ ეს არის გამოხატული ქართული ცეკვებით იმდენად, რამდენადაც ირლანდიელს რივერდანსი ურჩევნია მთელ ევროპას, თუ ეს არის სპორტში, ესეც მისაღებია, რადგან ოლიმპიადებზე ყველა ცდილობს, უფრო მეტი მედალი მიიღოს, ვიდრე მისმა მეზობელმა“ (ზ.ც., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად კვლევების მონაცემებისა, რომ, რაც უფრო მაღალია მოსახლეობაში ეროვნული

სიამაყის დონე, მით უფრო საფრთხედ აღიქმება ეროვნული იდენტობისთვის ევროინტეგრაცია (Carey, 2002), ქართული რეალობაში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ქვეყანაში ერთდროულად თანაარსებობს ეროვნული სიამაყის საკმაოდ მაღალი დონე და ევროინტეგრაციისადმი უაღრესად პოზიტიური დამოკიდებულება (ISSP 2013, National identity, Georgia).

კიდევ ერთი დისკურსის თანახმად, თავად ევროკავშირი კულტურულად და ეთნიკურად მრავალფეროვანია, შესაბამისად, ის არც ქართულ ეროვნულ იდენტობას უქმნის საფრთხეს. ამავე კატეგორიაში შეიძლება გაერთიანდეს ის მოსაზრებაც, რომ ევროკავშირი ეროვნული იდენტობის შენარჩუნების უალტერნატივო გზაა, განსხვავებით რუსეთისა და მისი ინიცირებული ევრაზიული კავშირისგან, რომლებიც კულტურულ მემკვიდრეობას და იდენტობას საფრთხეს უქმნის.

„მაგ პრობლემას მე ვერ ვხედავ. მე ვიცი, რომ ევროკავშირის დონეზე მხოლოდ ხელშეწყობილია ეს კულტურული მრავალფეროვნება. არ არის დამთრგუნველი ამ ერთობის დონეზე, შესაბამისად, ეს არ უნდა იყოს შიშის მომგვრელი“ (ო.ლ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

„ევრაზიული კავშირის ძირითად მოთამაშესთან – რუსეთთან კავშირმა დაგვანახა, რომ კულტურულ-მემკვიდრეობით ძეგლებს არ უფრთხილდება და ბევრი შეთეთრებული ეკლესია გვახსოვს, ჯერ კიდევ საუკუნეების წინ აშენებული, რომელმაც დაკარგა ქართული კულტურულ-მემკვიდრეობითი ძეგლის სტატუსი. რაც შეეხება ევროპას, ის ალბათ პირველი, შეიძლება ითქვას, იუნესკოს გვერდით, ერთ-ერთი ძლიერი დაინტერესებული მხარეა, რომ კულტურული მემკვიდრეობა შეინარჩუნოს და ამისთვის არაერთი პროექტი განახორციელა ამ ბოლო 25 წლის მანძილზე“ (მ.ნ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის ფარგლებში ერის სუვერენიტეტი და იდენტობა უფრო დაცულად მიიჩნევა, ვიდრე მის გარეშე, გაჟღერდა მოსაზრებაც, რომ შესაძლოა არსებობდეს რადიკალური ნაციონალიზმის შემოპარვის საფრთხე. ამის მთავარ მიზეზად ანტიდასავლური და პრორუსული პროპაგანდის გავლენა დასახელდა. ერთ-ერთი მოსაზრებით, თავად ევროკავშირშიც კი ნაციონალისტურად განწყობილმა რადიკალურმა პარტიებმა მიიღეს მხარდაჭერა და ეს ეკონომიკური ფაქტორებით იყო განპირობებული, რაშიც რუსეთის ხელიც ურევია. მიუხედავად ევროკავშირის ფარგლებში ნაციონ-

ნალისტური განწყობების ზრდისა, რესპონდენტები მიიჩნევენ, რომ რუსეთში ისინი ბევრად თვალსაჩინოა, რითაც კიდევ ერთხელ უსვამენ ხაზს ევროკავშირის უტყუარ უპირატესობას რუსეთზე.

ამის საპირისპიროდ, აღინიშნა, რომ ნაციონალიზმის საფრთხე საქართველოში ნაკლებ მოსალოდნელია, რის არგუმენტად ერთ-ერთი რესპონდენტი ქართველებს შორის ე.წ. „შინაგანი შოვინიზმის“ არარსებობას ასახელებს.

„შეიძლება ტენდენციები, ძალიან დაბალ დონეზე, არის, იყო დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ძალიან მალე, შემდეგ პერიოდშიც იყო, მაგრამ ამას არ მიეცა მასობრივი ხასიათი. ჩვენ შინაგანად არ ვართ შოვინისტი, ნაციონალისტი ერი“ (ზ.ე., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

ასევე, გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველომ უკვე გადალახა ეთნიკური ნაციონალიზმის პერიოდი და მის ხელახალ აღზევებას აღარ უნდა ველოდოთ.

„მე მგონი, გადავლახეთ და მივხვდით, რომ მაშინ ვიქნებით ძლიერი ერი, როდესაც საქართველოში ყველა ეროვნების ადამიანი თანაბრად იქნება დაცული. მე მგონი, ეს გაგება უკვე არის ქვეყანაში, და ეს არის ზუსტად სიძლიერის ერთ-ერთი საფუძველი“ (ზ. შ., სამთავრობო სტრუქტურა).

ნაციონალიზმის შემოპარვის საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რესპონდენტებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს სახელმწიფოს მხრიდან სათანადო ძალისხმევა მოსახლეობის ინფორმირებულობის გასაზრდელად.

მართლმადიდებლური ეკლესია: ქართული და ევროპული ხედვების ჰარმონიზების შესაძლებლობა

მართლმადიდებლური ეკლესია ქართულ რეალობაში საკმაოდ მნიშვნელოვან და მოსახლეობაზე ძლიერი გავლენის მქონე აქტორად გვევლინება. გასული 25 წლის განმავლობაში, მისი როლი საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში განსაკუთრებით გაიზარდა. აღნიშნული, ერთი მხრივ, განპირობებულია 1990-იან წლებში ქართული ეკლესიის, როგორც ეროვნული იდენტობის დისკურსის წარმმართველის, როლით და ამ დისკურსში რელიგიის ფაქტორის უპირატესობის ხაზგასმით („ქართველი ნიშნავს მართლმადიდებელ

ქრისტიანს“), მეორე მხრივ კი, ვერშემდგარი პოლიტიკური მმართველობის მიერ ეკლესიის, როგორც საკუთარი ძალაუფლების ლეგიტიმაციის წყაროს, გამოყენებით. უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესია და მისი წინამძღვარი, პატრიარქი ილია მეორე, განსაკუთრებით მაღალი ნდობით სარგებლობენ მოსახლეობაში (CRRC, კავკასიის ბარომეტრი, 2009-2015), რის გამოც პოლიტიკური ელიტა ცდილობს საკუთარი თავის ეკლესიასთან ასოცირებას და თავს არიდებს მის კრიტიკას.

აღსანიშნავია, რომ არათუ ქართველი პოლიტიკოსები, არამედ ევროკავშირის ოფიციალური პირებიც კი ითვალისწინებენ ამ გარემოებას და ოფიციალური ვიზიტების დროს აუცილებლად ესტუმრებიან ხოლმე პატრიარქს, რადგან იციან, რომ მას დიდი გავლენა აქვს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე და შეუძლია მოსახლეობის დარწმუნება ევროინტეგრაციის უპირატესობებში. აღნიშნულის კარგი მაგალითია ევროკომისიის წარმომადგენლების – ფულეს და ჰანის – ვიზიტი პატრიარქთან 2014 წლის მარტში (ტაბულა, 04.03.2014) და 2015 წლის იანვარში (Civil.ge, 16.01.2015).

„ეკლესიასთან მუშაობას თუ შეხედავთ, ყველა უმაღლესი წარმომადგენელი ჩამოდის და ხვდება საპატრიარქოს; აცნობიერებენ, რომ ეს არ არის ძალა, რომელსაც იგნორირება უნდა გაუკეთო, იციან, რომ მასთან დიალოგი არის საჭირო. ეს არის ძალა, რომელსაც შეუძია ერთი დასტვენით ნახევარი საქართველო გამოიყვანოს გარეთ და გვერდს ვერ აუვლი...“ (ზ.ც., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

უდავოა, რომ ეკლესიის, განსაკუთრებით კი, მისი წინამძღოლის როლი საზოგადოებრივი განწყობების ფორმირების პროცესში ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს ისეთ ქვეყნებში, სადაც რელიგიური ჩართულობა მაღალია. მაგალითად, პოლონეთის შემთხვევაში პროევროპულ განწყობებზე გავლენის მომხდენ ფაქტორს სწორედ პაპ იოანე პავლე მეორის დისკურსი წარმოადგენდა (Surwillo et al., 2010, 1511). აღსანიშნავია, რომ, პოლონეთის შემთხვევაში, სტატისტიკურად სანდო კავშირი არ დაფიქსირებულა რელიგიურ ჩართულობასა და პროევროპულ განწყობებს შორის, თუმცა, უშუალოდ პაპის პროევროპულმა განცხადებებმა, ერთი მხრივ, შეამცირა პოლონური კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლების მიერ გაკეთებული ანტიევროპული განცხადებების სიხშირე, მეორე მხრივ კი, ძლიერი გავლენა იქონია ანტიევროპული ტელეარხების დისკურსზე. აღნიშნული ზეგავლენის გამომწვევი მიზეზი სწორედ იოანე პავლე

მეორის მიმართ მაღალი ნდობა შეგვიძლია მივიჩნიოთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შემთხვევაშიც.

„ეკლესიის როლი არის ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი, მე ძალიან მიხარია, რომ ეკლესია გვერდში გვიდგას ევროინტეგრაციის პროცესში, რაც პატრიარქის არაერთ გამოსვლაში დადასტურდა და სხვა ეკლესიის პირებიც...“ (ბ.შ., სამთავრობო სტრუქტურა).

ეკლესიის, როგორც პოლიტიკური აქტორის, როლი გამოიკვეთა საბერძნეთის შემთხვევაშიც. ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქის დისკურსი ევროკავშირის შესახებ იმის მიხედვით განიცდიდა ცვლილებას, თუ ვინ იყო აუდიტორია. კერძოდ, ბერძენი მოსახლეობისთვის განკუთვნილ განცხადებებში პატრიარქი ქრისტოდული აქტიურად საუბრობს ევროკავშირის, როგორც მორალური დეგრადირების ხელშემწყობის, საფრთხეზე; ხოლო საბერძნეთის გარეთ მიწოდებულ ოფიციალურ განცხადებებში, შედარებით ფრთხილია და ნაკლებად აკრიტიკებს ევროკავშირს (Sakellariou, 2012). ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის, როგორც პოლიტიკური მოთამაშის როლიც მსგავსი კუთხით ვლინდება: ევროკავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, საქართველოს პატრიარქი ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაციას უჭერს მხარს, თუმცა მედიასივრცეში სულ უფრო ხშირია ეკლესიის წარმომადგენლების მხრიდან ანტიევროპული განცხადებები და მათ ძირითად არგუმენტს სწორედ ევროკავშირის, როგორც მორალური დეგრადირების გამომწვევის, ხედავთ წარმოადგენს.

ქართულ სამღვდლოებასთან ინტერვიუებში იკვეთება მოსაზრება, რომ მიუხედავად დეკლარირებულ დონეზე სახელმწიფოს და ეკლესიის ერთმანეთისგან გამიჯვნისა, ეკლესია საკუთარ მოვალეობად თვლის, მტკიცე პოზიცია იქონიოს „ზნეობასა და მორალთან“ დაკავშირებულ საკითხებზე. ამ კონტექსტში, ანტიდისკრიმინაციულ კანონსა და ლგბტ თემზეა გამახვილებული ყურადღება, რომელსაც ეკლესია კატეგორიულად მიუღებლად თვლის. თუმცა, ამის პარალელურად, რესპონდენტი ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას ევროინტეგრაციის პროცესის მხარდამჭერად მიიჩნევს და აცხადებს, რომ ევროპული ღირებულებები ქრისტიანულ საფუძვლებზე დგას (მ.ს., სასულიერო პირი, კერძო ინტერვიუ).

იქიდან გამომდინარე, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის გავ-

ლენა მოსახლეობაზე საკმაოდ დიდია, როგორც პოლიტიკური, ასევე ინტელექტუალური ელიტების დამოკიდებულება მის მიმართ საკმაოდ ფრთხილია, რაც ჩვენ ინტერვიუებშიც იკვეთება. მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტების დიდი ნაწილი საკმაოდ კრიტიკულია ევროინტეგრაციის პროცესში ქართული ეკლესიის როლთან დაკავშირებით, ხშირად ეს კრიტიკა თვითცენზურის თვალსაჩინო ნიშნებს შეიცავს. რესპონდენტები საეკლესიო დისკურსის გარკვეულ გამართლებასაც კი ეძებენ იმის ხაზგასმით, რომ ეკლესია ყველგან კონსერვატული ინსტიტუტია. თუმცა, აქვე აღინიშნა, რომ ეს არ გულისხმობს ადამიანების „სკამებით დევნას“, რაც 2013 წლის 17 მაისს, ჰომოფობიის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ აქციაზე მოხდა თბილისში.

„ეკლესია ყველგან არის კონსერვატული. მაშინ, როდესაც ხდება ევროპეიზაცია, ძალიან ბევრ კონსერვატორულ იდეას ექმნება საფრთხე. თუ ეკლესიის მიზანი ხდება ბევრი კონსერვატორული იდეის დაცვა, მაშინ ბუნებრივია, რომ მათი პოზიციონირება იყოს ანტიევროპული და [ეკლესიამ] ამ მახეში ძალიან წარმატებით გააბა თავი“ (ტ.ლ., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

„ეს პრობლემა თავად კათოლიკე ევროპისთვისაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქართველი მართლმადიდებელივით, გულზე მჯილის ცემით, სკამით გამოუდგეს ამა თუ იმ ადამიანს“ (მ.ნ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დისკურსით, ევროინტეგრაციის პროცესში ქართული ეკლესია საკმაოდ პრობლემური ინსტიტუტია. ამ კონტექსტში წარმოდგენილი შედარებით ფრთხილი ქვედისკურსის თანახმად, პრობლემურია არა მთლიანად ეკლესია, არამედ მხოლოდ ეკლესიის შიგნით მყოფი ცალკეული ანტიდასავლური, პრორუსული ან რუსეთის პროპაგანდის გავლენის ქვეშ მყოფი პირები/ჯგუფები, ამიტომ ქართული ეკლესია არ შეიძლება მივიჩნიოთ „მკვეთრად ანტიევროპულად.“ უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში, პრორუსული სამღვდელთა ორიენტაცია რუსული განათლების ფაქტორს მიენერა და არა რუსეთთან ინტეგრაციის მოტივაციას.

„ეკლესიის შიგნით შეიძლება გამოყო, რაც ჩვენ ვიცით, არაფორმალურად არის სამი-ოთხი დაჯგუფება, რომლიდანაც ერთია მხოლოდ ევროპული, მაგრამ ყველაზე სუსტი და ყველაზე ლარიბია. სხვები არიან პრორუსულები, იმიტომ კი არა, რომ ინტეგრაცია უნდათ რუსეთ-

თან, არამედ ხალხი, რომლებიც იქაა გაერთიანებული, ძირითადად არის რუსული განათლების და მათი კავშირები მეტადაა რუსულ სამ-
ღვდელოებასთან, ვიდრე აღმოსავლეთ ევროპასთან. ამიტომ ძალიან
ძნელი საკითხია, თუმცა ეს მაინც არ ნიშნავს, რომ ეკლესია არის მკვე-
თრად ანტიევროპული“ (ტ.ლ., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

მეორე ქვედისკუსიის თანახმად კი, პრობლემურია მთლიანად
ეკლესია, რომელიც ფუნდამენტურ რეფორმირებას საჭიროებს. ვი-
ნაიდან თანამედროვე ქართული ეკლესიის წინაპარი საბჭოთა ეკლე-
სიაა, რომელიც, თავის მხრივ, ე.წ. კაგებეს ნაწილი იყო, მას ძველი
კადრები მოყვება და ჯერ კიდევ ტრანსფორმაციის პროცესშია. ის-
ევე, როგორც წინა შემთხვევაში, აქაც აღინიშნა, რომ ეკლესია რუ-
სეთის პროპაგანდის გავლენის ქვეშაა. პრორუსული ორიენტაციის
გარდა, მნიშვნელოვან პრობლემად გამოიკვეთა ეკლესიაში სათანადო
განათლების დეფიციტიც.

„ეს არის რუსული პროპაგანდა, შემოგდებული, რომელიც აიტაცა
ვაი-სამღვდელოებამ, მე არ ვამბობ ყველაზე, მაგრამ აიტაცა გაუნა-
თლებელმა ქართველობამ და გამოტანილი აქვთ დროშად“ (ი.დ.,
ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

„რეალურად, რა პრობლემაა თუნდაც ეკლესიაში? აქვს ინტელე-
ქტის, განათლების პრობლემა. რატომ იყო ეკლესია მუდმივად, შუა
საუკუნეებშიც, მერეც, ყველაზე პატივცემული და განათლებული
ინსტიტუტი? იმიტომ, რომ პირველი სასწავლებლები, უნივერ-
სიტეტები მის ბაზაზე იქმნებოდა, მაგრამ დღეს ეს ფუნქცია და-
კარგა; არაფერს აღარ წარმოადგენს. თუნდაც დამოუკიდებლობის
მოპოვებიდან, ეკლესია იყო კაგებეს გაგრძელება, უსაფრთხოების
სამსახურის ნაწილი. უნდა გარდაქმნა, აქ უნდა გამოჩნდნენ ახალი
ადამიანები შესაბამისი განათლებით, თეოლოგიის ცოდნით, მაგრამ
ეს ადამიანები ასე იოლად არ ჩნდებიან. შესაბამისად, ამ ჩავარდ-
ნას ავსებს ვინ? ისევ ის, ვინც ინარჩუნებს იმ ძველ კავშირებს უს-
აფრთხოების სტრუქტურებთან და მედროვე ტიპის საშუალო ხალხი,
რომლებიც რაღაც პროპაგანდული ინსტრუმენტებით არიან დაკავე-
ბულნი“ (ჩ.მ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსალოდნელია, რომ ქართული
მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც განათლების დეფიციტს
და, იმავდროულად, რუსული პროპაგანდის მოჭარბებულ გავლენას

განიცდის, ადვილად მანიპულირებადი იყოს რუსეთის მხრიდან. თუმცა, აქვე გაჟღერდა უაღრესად საინტერესო ნარატივი, რომ ქართული ეკლესია პოლიტიკური პარტიის მსგავს დამოუკიდებელ მოთამაშეს წარმოადგენს, რომელიც რუსეთს თავისი ინტერესებისთვის იყენებს.

„ეკლესია თავის თამაშს თამაშობს, მისთვის რუსეთი კარგი კოზირია. მე ვერ ვიტყვი, რომ ეკლესია ერთმნიშვნელოვნად რუსეთის ინტერესის გამტარებელი არ არის, ის კარგად იყენებს რუსეთს თავისი ინტერესებისთვის, ძალიან კარგად ათამაშებს ორივე მონინალმდეგეს. ამ თავლსაზრისით, სერიოზული პოლიტიკური აქტორი ხდება. ეკლესიაც სწორედ ისეთი ორგანიზაციაა, როგორც პოლიტიკური პარტია. ჩვენც [დასახელდა ორგანიზაცია] დაახლოებით იგივე თანხას ვიღებთ, მე ვალდებული ვარ ყველა თეთრზე ანგარიში ჩავაბარო სახელმწიფოს და ეს სწორია. მაგრამ არავინ იცის, რაში მიდის ეკლესიისთვის გადაცემული ფული“ (ნ.შ., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

რადგან ეკლესია საკმაოდ პოლიტიზებულად მიიჩნევა და „სერიოზულ პოლიტიკურ აქტორადაც“ კი არის მოხსენიებული, მისი ჩართულობა საგარეო პოლიტიკაში და მიმდინარე ევროინტეგრაციის პროცესში ეჭვს არ იწვევს. ეს მნიშვნელოვანი საფრთხის მატარებლადაა მიჩნეული, რადგან თვალმისაცემია ეკლესიისა და პატრიარქის წინააღმდეგობრივი ხასიათის განცხადებები: ოფიციალურად, პატრიარქი (და, მისი სახით, ეკლესია) მხარს უჭერს ევროინტეგრაციას, თუმცა, პრობლემა ისაა, რომ ეპისტოლეებიც და საეკლესიო პირთა ქმედებებიც განსხვავდება ოფიციალური რიტორიკისგან.

„ოფიციალურ დონეზე, ევროპის მხარდასაჭერად გაკეთებული განცხადებები პატრიარქის მხრიდან რამდენად გულწრფელია, არავინ იცის. რეალურად კი, რასაც ვხედავთ, ესაა ლამბორჯინიანი მღვდელი უზარმაზარი ჯვრით, რომელმაც შეიძლება წესების დარღვევით იმოძრაოს“ (ი.ხ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

„საშინელია ამ ყველაფერში ეკლესიის როლი. მოდი, ასე ვთქვათ, ეკლესიის როლი არის წინააღმდეგობრივი. [...] პერიოდულად გვესმის განცხადებები მაღალი დონიდან, რომელიც არის მკვეთრად პროეგროპული; პატრიარქის განცხადებაც, ფულესთან შეხვედრის შემდეგ განცხადებაც, მოკლედ ხშირად არის ასეთი განცხადებები. მეორე მხრივ, გვაქვს ქმედებები, რომელთაც არანაირი კავშირი არ აქვთ ეგროპულ ღირებულებებთან და მოთხოვნებთან, რომლებიც ჩვენ უნდა

შევასრულოთ. მესამე მხრივ, გვაქვს უფრო ზომიერი განცხადებები ეპისტოლეების სახით, რომელსაც დიდად კავშირი არ აქვს იმასთან, რასაც ევროპა გვთხოვს. მოკლედ, წინააღმდეგობრივი რიტორიკაა“ (ტ.ლ., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

გარდა ამისა, კვლევაში მონაწილე ექსპერტები აღნიშნავენ, რომ თავად ქართული საზოგადოებაც განათლების ნაკლებობას განიცდის და ადვილად ექცევა ეკლესიის გავლენის ქვეშ. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ სახელმწიფო სათანადო სიმაღლეზე არ დგას და ამიტომ ხალხი ეკლესიას უფრო ენდობა, რადგან სწორედ ეს უკანასკნელი ავსებს იმ ნიშას, თუნდაც ინფორმაციულ ვაკუუმს, რაც სახელმწიფომ უნდა შეავსოს.

„არ არის დასაშავი, რომ ძალიან ბევრი მონინააღმდეგე ინტეგრაციის პროცესს ფარულად მაინც ჰყავს ეკლესიაში და როდესაც საზოგადოების დიდ ნაწილს თავი მორწმუნედ მიაჩნია და, ხშირ შემთხვევაში, მათი ინფორმირებულობის მთავარი წყარო მოძღვარია, მამაო, ასეთ შემთხვევაში გასაგებია, რომ არ იქნება ისეთი დონე აღქმისა და განათლებისა. მე მიმაჩნია, რომ ეს არის დასაძლევია“ (თ.ე., ექსპერტი, უმაღლესი სასწავლებელი).

„დღეს სახელმწიფო არ დგას იმ დონეზე, რომ მანაც საზოგადოებას განვითარების ბევრი ალტერნატივა შესთავაზოს, კარგი განათლების, უკეთესი ცხოვრების, უკეთესი ეკონომიკური პირობების. შესაბამისად, ის პრობლემატაა, რომ საზოგადოება ხშირად აყვება იმ პროპაგანდისტულ ტალღებს; მით უმეტეს, ძველი დიდების მქონე ეკლესია“ (ჩ.მ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება, ამ შემთხვევაში, ქართული და ევროპული ხედვების ჰარმონიზება, რესპონდენტების დისკურსებიდან სამი სახის აქტივობა გამოიყო:

რესპონდენტების ნაწილი ფიქრობს, რომ მეტი სამუშაოა გასანევი ეკლესიის მოდერნიზაციის მიზნით. გასატარებელ ღონისძიებებს შორის აღინიშნა ქართველი მღვდლებისთვის ევროპის მართლმადიდებელი ქვეყნების ჩვენება, რათა თავად დარწმუნდნენ, რომ ევროპა-ვშირის ფარგლებში მართლმადიდებლობას საფრთხე არ ემუქრება; სასულიერო პირების მეტად განათლება, მეტი ინფორმაციის მიწოდება ევროინტეგრაციის საკითხების გარშემო, რომ შემდეგ თავად მოახდინონ მრევლთან სათანადო კომუნიკაცია.

„აქაც ვაწყდებით არაინფორმირებულობას. არ უნდა დაგვავი-

წყდეს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყანა არის საბერძნეთი, რუმინეთი, ბულგარეთი და არც ერთ ამ ქვეყანაში მართლმადიდებლური აღმსარებლობის პრობლემა არ დგას. რაც მეტად წაიყვანო ჩვენ სულიერ მამებს ევროპაში, საბერძნეთში, რუმინეთში და ბულგარეთში, მით უფრო დაინახავენ ისინი, რომ ეს საფრთხე არ არსებობს. გარდა ამისა, რაც მეტად ვისაუბრებთ და მეტად ჩავრთავთ საქმიანობაში მართლმადიდებლური და სხვა კონფესიების წარმომადგენლებს, უფრო მისაღები გახდება ეს საზოგადოებისთვისაც“ (ვ.დ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

გამოიკვეთა მოსახლეობის მეტად განათლების აუცილებლობაც, რადგან, რესპონდენტთა სიტყვებით, რაც უფრო განათლებული იქნება მოსახლეობა, მით უფრო ნაკლებ მონყვლადი იქნება ეკლესიის გავლენის მიმართ. აქ ცალკე გამოიყო, მაგალითად, ლგბტ თემთან დაკავშირებით მოსახლეობის მეტად ინფორმირების აუცილებლობა, რის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მედია დასახელდა.

„განათლებაა ყველაზე მთავარი პრობლემა. განათლება მარტო უნივერსიტეტის დამთავრება კი არ არის, ეს უფრო ფართო გაგებაა; მენტალობაა მთავარი“ (ი.ხ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმრავლესობა).

რესპონდენტების ნაწილი თვლის, რომ სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას ეკლესიის ჩარევა მის საქმეებში და თავისი ფუნქცია უნდა შეასრულოს მაშინაც, როცა ეკლესია ამას ეწინააღმდეგება. ამასთან, სახელმწიფომ კანონით უნდა დასაჯოს ყველა, ვინც ადამიანის კონსტიტუციურ უფლებებს არღვევს, მათ შორის სასულიერო პირებიც, უმცირესობების მიმართ აგრესიული ქმედებების გამო.

„უნდა გავაცნობიეროთ, რომ ეკლესია და სახელმწიფო სხვადასხვაა, მათ შორის ურთიერთობას კონკორდატი არეგულირებს. გასათვალისწინებელია ის, რომ მოსახლეობის 90%-ზე მეტს აქვს ეკლესიის ნდობა; თუმცა, სახელმწიფომ უნდა შეასრულოს თავისი ფუნქცია და ის ვალდებულებები, რაც ალბულები აქვს, უნდა განახორციელოს, მიუხედავად იმისა, ეკლესია ამის მიმართ კრიტიკული იქნება თუ არა“ (ე.თ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

„აქ გადამწყვეტი იყო სახელმწიფოს როლი. სახელმწიფომ ძალიან მკაფიოდ თქვა, რომ არის გარკვეული ბაზისური, კონსტიტუციური უფლებები, რომლის დარღვევა არ ეპატიება არავის. და ბასილ მკა-

ლავიშვილი აღმოჩნდა ციხეში [...] ამას მოყვა, რა თქმა უნდა, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის აქტიურობა; ისინიც აღმოჩნდნენ ციხეში. მაგრამ ამან უზარმაზარი როლი ითამაშა, როცა სახელმწიფომ გამოავლინა ნება. ამიტომ სახელმწიფოს როლია, უზრუნველყოს მისი ყველაზე უფრო მარგინალიზებული და უმრავლესობისთვის საძულველი ჯგუფების დაცვა და მათი კონსტიტუციური უფლებების დაცვა – ეს არის სახელმწიფოს ვალდებულება“ (ი.ხ., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

ეკლესიის მონაწილეთა უმრავლესობისგან განსხვავებით, რამდენიმე რესპონდენტი ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, განსაკუთრებით პატრიარქს, ევროინტეგრაციის მხარდამჭერად მიიჩნევს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ისიც კი აღნიშნა, რომ არც ანტიდისკრიმინაციული კანონის განხილვისას ახსოვს მაინცდამაინც დიდი წინააღმდეგობა ეკლესიის მხრიდან. როგორც ჩანს, ითვალისწინებენ რა ეკლესიის ჩართულობას პოლიტიკურ ცხოვრებაში და მის ძლიერ გავლენას მოსახლეობაზე, ჩვენი რესპონდენტები, განსაკუთრებით პოლიტიკოსები, საკმაოდ ფრთხილ და დაბალანსებულ ნარატივს ვთავაზობენ და ერიდებიან ეკლესიის ღია კრიტიკას.

„ამ შემთხვევაში, მთავარია, ეკლესია დადგეს საერო ხელისუფლების გვერდზე და, როგორც ხედავთ, ეს ასეც არის. პარტიარქმა გააკეთა რამდენიმე მკაფიო განცხადება, რომ საქართველოს ინტეგრაციას ევროკავშირში არ აქვს ალტერნატივა“ (ვ.დ., ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაცია).

„მე მგონი, ეკლესიის მხრიდან ანტიდისკრიმინაციულ კანონთან დაკავშირებით არაფერი განსაკუთრებული წინააღმდეგობა არ ყოფილა. ზუსტად არ მახსოვს ეკლესიის მხრიდან კომენტარი, მაგრამ განსაკუთრებული აგრესიულობა არ მახსოვს“ (ზ.ე., პოლიტიკოსი, საპარლამენტო უმცირესობა).

ზემოთქმული კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართული მართლმადიდებლური ეკლესია პოლიტიკურ პროცესებში ჩართული, გავლენიანი აქტორია და ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესში მისი როლის უფულებელყოფა შეუძლებელია, განსაკუთრებით მის მიმართ საზოგადოებაში არსებული მაღალი ნდობის გამო. ამდენად, სახელმწიფოსა და ეკლესიის თანამშრომლობა უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს ევროპეიზაციის პროცესის წარმატებით წარმართვისთვის.

საქართველოს მოსახლეობა ევროინტეგრაციის და ევროპეიზაციის შესახებ

შესავალი

სანამ უშუალოდ საქართველოს მოსახლეობასთან ჩატარებული კვლევების მონაცემების ანალიზს შევეუდგებოდეთ, მნიშვნელოვანია ევროკავშირის ინტეგრაციის „შიდა“ და „გარე“ უნარების განხილვა. ეს უნარები ევროკავშირის გაფართოების განმსაზღვრელ ფაქტორებად მიიჩნევა და, ევროინტეგრაციის თვალსაზრისით საქართველოს საკმაოდ ბუნდოვანი პერსპექტივის გათვალისწინებით, საგანგებო ყურადღებას ითხოვს. რადგან „ინტეგრაციის შიდა უნარი“ თავად ევროკავშირის მხრიდან გაფართოების მზადყოფნას აღწერს (ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობის განწყობების ჩათვლით), ჩვენთვის საინტერესოა სწორედ „ინტეგრაციის გარე უნარი“, რაც გულისხმობს არანევრ ქვეყნებში როგორც ინსტიტუციურ ცვლილებებს, კერძოდ, დემოკრატიულ კონსოლიდაციას, მართვის უნარის და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და ევროკავშირთან ნორმატიულ დაახლოებას, ისე ევროკავშირისადმი მოსახლეობის მხარდაჭერას (Schimmelfennig, 2014, 9). თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ორივე უნარის შეფასება საშუალებას გვაძლევს, ევროკავშირის შემდგომი გაფართოების პერსპექტივაზე ვიმსჯელოთ, მნიშვნელოვანია, მოკლედ შევეხოთ შიდა ინტეგრაციის საკითხსაც.

როგორც უახლესი კვლევები აჩვენებს, ევროკავშირის „ინტეგრაციის შიდა უნარი“ საგრძნობლად შემცირებულია, რაზეც მიუთითებს ევროკავშირის შემდგომი გაფართოების მიმართ მხარდაჭერის კლება როგორც იმ ქვეყნებში, სადაც ის ჯერ კიდევ 2000 წლისთვის უკვე საკმაოდ დაბალი იყო (მაგალითად, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია), ასევე გაფართოების მიმართ პოზიტიური განწყობების მაღალი მაჩვენებლით გამორჩეულ ქვეყნებშიც (კერძოდ, აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპა). ამასთან, ბოლო პერიოდის კვლევებმა გამოავლინა მნიშვნელოვანი სხვაობები როგორც ელიტებისა და მოსახლეობის შეხედულებებს, ასევე ახალ და ძველ წევრ ქვეყნებს შორის, რომელთაგან პირველნი მეტად უჭერენ მხარს გაფართოებას, მეორენი კი – მეტად არიან მისი მოწინააღმდეგე. აქვე უნდა აღინიშნოს ერთი საინტერესო ტენდენციაც, რაც, მკვლევართა აზრით, ევროპის დაყოფასთან დაკავშირებული ტრადიციული სტერეოტიპების შენარჩუნების გამოხატულებაა: საზოგადოებრივი აზრის კვლევები აჩვენებს, რომ ევროკავშირის მოქალაქეები ბევრად პოზი-

ტიურ დამოკიდებულებას გამოხატავენ დასავლეთ ევროპელი არანევრი ქვეყნების (მაგალითად, ნორვეგიის ან შვეიცარიის), ვიდრე აღმოსავლეთ ევროპელი არანევრი ქვეყნების ევროკავშირში განწევრიანებასთან დაკავშირებით (პირველ შემთხვევაში მიმდებლობის მაჩვენებელი 75%-ს აღემატება, მეორე შემთხვევაში კი – 50%-ს ქვემოთაა). მთლიანობაში, ავტორები საუბრობენ „გაფართოების მოყრჩეობის“ თვალსაჩინო ტენდენციებზე ევროკავშირის მოქალაქეებს შორის (Schimmelfennig et al., 2015, 11), რაც, თავის მხრივ, „მოსაცდელ ოთახში“ მყოფი ქვეყნების განუსაზღვრელ მდგომარეობაში აღმოჩენას იწვევს.

რაც შეეხება ევროკავშირის „ინტეგრაციის გარე უნარს“ და ჩვენი კვლევის კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ასპექტს, კერძოდ, არანევრი ქვეყნების მოსახლეობის დამოკიდებულებას ევროკავშირისა და მასთან ინტეგრაციის პერსპექტივისადმი, ავტორები მას რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის საფუძველზე აფასებენ, კერძოდ, რაციონალურ-უტილიტარული, პოლიტიკური, და ღირებულებებსა და იდენტობაზე დაფუძნებული მოსაზრებების საფუძველზე (Toshkov et al., 2014, 20). უახლესი კვლევები ცხადყოფს, რომ ევროკავშირის და მასთან ინტეგრაციის შესახებ საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე არანევრი ქვეყნებში გავლენას ახდენს ისეთი სოციოეკონომიკური ფაქტორები, როგორცაა დასაქმების სტატუსი, ეკონომიკური კეთილდღეობა და განათლება (პოზიტიურ კორელაციაშია პროევროპულ განწყობებთან), იდენტობასა და ღირებულებებთან დაკავშირებული ისეთი ფაქტორები, როგორცაა კულტურული თვითმყოფადობისა და ეროვნული იდენტობის წინაშე არსებული საფრთხის აღქმა, რაც, როგორც წესი, ექსკლუზიური იდენტობით და ეროვნული სიამაყით, რელიგიური არატოლერანტობით და ანტიმიგრაციული განწყობებით ვლინდება (ნეგატიურ კორელაციაშია პროევროპულ განწყობებთან), და ისეთი სოციოპოლიტიკური ფაქტორები, როგორცაა ევროკავშირის შესახებ ცოდნის დონე, პოლიტიკური აფილიაცია და პოლიტიკური აქტორების მიერ საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულებები ევროპეიზაციის შესახებ რისკებისა და სარგებლის შესახებ (იქვე, 21). აქვე, ხაზი უნდა გაესვას როგორც პოლიტიკური ელიტების როლს მოსახლეობის შეხედულებების ფორმირებაში, რაც „ინფორმირებისა და დარწმუნების პროცესის“ შედეგია, ისე პოლიტიკური ლიდერების მიერ მოსახლეობის განწყობების ატაცებას და მათი „მინიშნებების“ შესაბამისად მოქმედებას, რაც „რეპრეზენტაციის პროცესის“ შედეგია (Steenbergen et al., 2007, 14).

მართალია, საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით განხორ-

ციელებული რაოდენობრივი კვლევები მოსახლეობის ზოგად განწყობებს ნათლად წარმოაჩენს, მაგრამ ამ გზით ვერ ვუღრმავდებით მოცემულ განწყობებს მიღმა არსებულ რეალურ მოტივაციას და იმ მნიშვნელოვან ნიუანსებს, რაც არსებული ვითარების სიღრმისეული ახსნის შესაძლებლობას მოგვცემს. ამდენად, უაღრესად მნიშვნელოვანია რაოდენობრივი მონაცემების თვისებრივი კვლევების შედეგებით გამდიდრება, რასაც უახლესი კვლევებიც ადასტურებს. მაგალითად, მასობრივი გამოკითხვებისგან განსხვავებით, ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებული დისკურსების შესწავლა გვიჩვენებს, რომ მოქალაქეები სელექციურ დამოკიდებულებას ავლენენ ამა თუ იმ ქვეყნის ევროკავშირში განევრიანებასთან დაკავშირებით, რასაც იდენტობის და უსაფრთხოების მოსაზრებების, ან გაფართოების პირადი გამოცდილების შესაბამისად იცვლიან (Schimmelfennig et al., 2015, 11).

სწორედ ამ რეალობის გათვალისწინებით გადავწყვიტეთ, რომ მიუხედავად ევროკავშირის შესახებ საქართველოს მოსახლეობის განწყობების რეგულარული რაოდენობრივი კვლევებისა (CRRC, 2009, 2011, 2013, 2015), საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ქალაქებში მცხოვრებ მოსახლეობასთან ფოკუს ჯგუფები ჩაგვეტარებინა და ევროპეიზაციის მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით მათი დისკურსები გამოვველინა, რათა ევროკავშირის „ინტეგრაციის გარე უნარის“ ქართული სპეციფიკის დეტალური ანალიზი მოგვეხდინა. სანამ ფოკუს ჯგუფების მონაცემების ანალიზზე გადავალთ, მოკლედ განვიხილავთ ევროკავშირის შესახებ საქართველოს მოსახლეობის განწყობების უახლეს კვლევებში (ISSP, 2013; CRRC, 2015) გამოვლენილ ძირითად ტენდენციებს, რაც უშუალოდ ეხმიანება ჩვენი თვისებრივი კვლევის მონაცემებს.

საქართველოს მოსახლეობის ევროკავშირთან დაკავშირებული განწყობების რაოდენობრივი ანალიზი

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ევროინტეგრაციის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს „ინტეგრაციის გარე უნარი“ წარმოადგენს, რაც არანევი ქვეყნის ინტეგრაციის შესაძლებლობის მაჩვენებელია, ხოლო მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი მოსახლეობის ევროკავშირისადმი მხარდაჭერაა (Schimmelfennig, 2014, 9). აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ საქართველოში ჩატარებული უახლესი რაოდენობრივი კვლევების მონაცემთა ანალიზი, რათა მეტად თვალსაჩინო

ყოფილიყო საზოგადოებრივი განწყობები ევროკავშირისა და ევროინტეგრაციისადმი. ქვემოთ მოყვანილი მონაცემები უმეტესად ეყრდნობა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მიერ 2015 წელს ჩატარებული ეროვნული გამოკვლევის შედეგებს, რომლის ძირითად მიზანსაც ევროკავშირის შესახებ ცოდნისა და დამოკიდებულებების შეფასება წარმოადგენდა. გარდა ამისა, ქართულ ეროვნულ იდენტობაში ევროპის როლის უკეთ წარმოსაჩენად გაანალიზდა ეროვნული იდენტობის კვლევის (ISSP) 2013 წლის მონაცემები. რადგან ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები ევროკავშირის შესახებ ინდივიდუალურ დამოკიდებულებებსა და წარმოდგენებს ეხება, მონაცემთა ბაზის ანალიზი განხორციელდა ინდივიდუალური დონის წონების გათვალისწინებით. ანალიზისას ასევე გათვალისწინებული იქნა იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებსაც უჭირთ კითხვაზე პასუხის გაცემა (არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა), რადგან, ხშირ შემთხვევაში, პასუხის არ/ვერგაცემის მაჩვენებელი კორელაციაშია სხვადასხვა დემოგრაფიულ ცვლადთან და ამდენად, ინფორმაციული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია.

ქვემოთ მოყვანილ თავებში განხილულია მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე და ზოგადი დამოკიდებულებები ევროკავშირის მიმართ, ევროპული და ქართული იდენტობების მიმართება, ევროკავშირის წევრობის მიმართ დამოკიდებულება და მისი პერსპექტივის შეფასება, აგრეთვე სიმეტრიული ძალაუფლების საკითხი ევროკავშირისა და საქართველოს შორის.

მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე

CRRC-ის კვლევის თანახმად, ზოგადად, მოსახლეობაში ევროკავშირის შესახებ ინფორმირებულობის დონე საკმაოდ დაბალია, თითქმის ყოველ მეხუთე ადამიანს უჭირს, პასუხი გასცეს შეკითხვას, თუ რას წარმოადგენს ევროკავშირი (19%), ხოლო მოსახლეობის 31%-ს არც სმენია ასოცირების ხელშეკრულების შესახებ. ინფორმირებულობის დონე ყველაზე მაღალი 18-25 წლისა და დედაქალაქში მცხოვრებ მოსახლეობაშია, ხოლო ყველაზე დაბალი – არაქართველ მოსახლეობაშია, რომელთა 64%-მა განაცხადა, რომ ასოცირების ხელშეკრულების შესახებ არ სმენია.


მოსახლეობის 12%-ს ისიც უჭირს დაასახელოს, არის თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრი. ამ მხრივ, აღსანიშნავია განსხვავება

რესპონდენტების ეთნიკურობის მიხედვით, კერძოდ, ქართველ მოსახლეობასთან შედარებით, ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობა ინფორმირებულობის ბევრად დაბალ დონეს ავლენს. ამის მიზეზი შესაძლოა მრავალი იყოს, მათ შორის ქართული ენის ცოდნის დაბალი დონე და საინფორმაციო წყაროების (იქნება ეს მასმედიის საშუალებები, ინფორმაციული ტიპის შეხვედრები თუ სხვ.) უმეტესად ქართულ ენაზე არსებობა.

ზოგადი დამოკიდებულებები ევროკავშირის მიმართ

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მოსახლეობის საკმაოდ ამბივალენტური დამოკიდებულება ევროკავშირის მიმართ: CRRC-ის 2015 წლის მონაცემებით, მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა 61% აცხადებს, რომ რეფერენდუმის შემთხვევაში ხმას მისცემდა საქართველოს ევროკავშირში განწევრიანებას, მხოლოდ მესამედი (34%) უცხადებს ნდობას ევროკავშირს, როგორც სოციალურ ინსტიტუტს. როგორც ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზეა წარმოდგენილი, ნდობის მაჩვენებელი სხვებზე მაღალია ახალგაზრდებში (იხ. დიაგრამა 1). განსხვავება გამოვლინდა დასახლების ტიპის მიხედვითაც: დედაქალაქის მოსახლეობის 41% ევროკავშირის მიმართ ნდობით არის განწყობილი მაშინ, როდესაც მსგავსი მაჩვენებელი სოფლის ტიპის დასახლებებში მხოლოდ 28%-ია.

დიაგრამა 1 – ევროკავშირის მიმართ ნდობა ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით



ევროკავშირთან ინტეგრაციის მიმართ მოლოდინები

ევროკავშირის წევრობის სურვილი, უმეტესად, უტილიტარული ფაქტორებითაა გამოწვეული, და პოლიტიკური უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების პრაგმატულ მოლოდინებს უკავშირდება. კერძოდ, ევროკავშირთან ინტეგრაციის შედეგად, მოსახლეობის 57% ეროვნული უსაფრთხოების გაზრდას მოელოს, 51% კი – სიღარიბის დონის შემცირებას. აქვე აღსანიშნავია სოციალური პრობლემების გადაჭრასთან დაკავშირებული პოზიტიური მოლოდინებიც: მოსახლეობა პენსიების (57%), სამუშაო ადგილებისა (57%) და შემოსავლის (52%) ზრდას მოელოს. თუმცა, უტილიტარულ მოსაზრებებთან ერთად, იდენტობის ფაქტორიც იჩენს თავს, რაც ევროინტეგრაციის მოსალოდნელ კულტურულ შედეგებში ვლინდება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ სხვა პრობლემების მოგვარებაზე მეტად, ევროინტეგრაციის პროცესი ქვეყანაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებასთან ასოცირდება (59%). ამდენად, ლოგიკურია, რომ ევროკავშირში განევრიანების სურვილი ყველაზე მაღალია ახალგაზრდებში, ვისთვისაც ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა მთავარი პრიორიტეტია.

ევროინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული ნეგატიური მოლოდინებიც უტილიტარულ და იდენტობის ფაქტორებს უკავშირდება. რაც შეეხება პირველს, ევროკავშირში განევრიანების შემთხვევაში, გამოკითხულთა 33% ძირითად სამომხმარებლო პროდუქტზე ფასების ზრდას მოელოს; ხოლო იდენტობის საფრთხეებთან დაკავშირებით აღსანიშნავია არგუმენტები ქვეყნიდან წასვლის მსურველთა რაოდენობის ზრდისა (38%) და ქართული ტრადიციებისადმი პატივისცემის შესუსტების შესახებ (28%).

ცხრილი 1 – ევროკავშირში განვერიანების შედეგად მოსალოდნელი ცვლილებები

	საგრძობლად შემცირდება	შემცირდება	იგივე ღარაჩება	გაიზრდება	საგრძობლად გაიზრდება	არ ვიცი / უარი
კორუფციის დონე	7%	39%	22%	6%	1%	25%
პენსიების ოდენობა	0%	2%	19%	53%	4%	21%
საკუთრების უფლების დაცვის შესაძლებლობა	0%	2%	22%	44%	4%	27%
სამართლიანი არჩევნების შესაძლებლობა	0%	1%	22%	46%	6%	25%
სამუშაო ადგილების რაოდენობა	1%	3%	18%	52%	5%	22%
სასამართლოს დამოუკიდებლობა	0%	1%	24%	42%	5%	28%
სიცივის თავისუფლება	0%	1%	21%	47%	6%	23%
სიღარიბე	6%	45%	21%	5%	2%	22%
ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შესაძლებლობა	1%	6%	25%	35%	6%	27%
ფასები ძირითად სამომხმარებლო პროდუქტზე	2%	18%	20%	29%	4%	28%
სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა	0%	3%	22%	45%	4%	25%
მოსახლეობის შემოსავალი	1%	2%	19%	48%	4%	25%
საქართველოს უსაფრთხოების დონე	0%	4%	15%	49%	8%	24%
ქვეყნიდან წასვლის მსურველთა რაოდენობა	2%	24%	14%	27%	11%	23%
განათლების ხარისხი	0%	1%	17%	53%	6%	22%
უმცირესობათა დაცვის დონე	0%	1%	19%	43%	8%	29%
ქართული ტრადიციების პატივისცემა	3%	25%	34%	14%	2%	22%

წარმოდგენილი მონაცემები კარგად ხსნის საქართველოს მოსახლეობაში ევროკავშირთან დაკავშირებულ ამბივალენტობას: ევროკავშირი მიჩნეულია დემოკრატიულ გაერთიანებად (62%), რომელიც, როგორც ევროპაში მშვიდობის და უსაფრთხოების გარანტად (64%), ისე არანეგრი ქვეყნების ეკონომიკის განვითარების მხარდამჭერადაც კი გვევლინება (54%). თუმცა, მიუხედავად ევროკავშირთან ინ-

ტივრაციით მიღებული პოლიტიკური და ეკონომიკური სარგებლისა, მასთან დაკავშირებული კულტურული სარგებლის ხედვა საკმაოდ ორაზროვანია: განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით ევროინტეგრაციის უაღრესად მნიშვნელოვანი როლის ხაზგასმასთან ერთად, იმავდროულად, ის ეროვნული ტრადიციებისთვის საფრთხის მატარებლად მიიჩნევა (45%).


მართლაც, არსებული მონაცემებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობის მთავარ მოტივაციას რაციონალურ-უტილიტარული მიზნები წარმოადგენს (გამოკითხულთა ჩამონათვალში, ეკონომიკის განვითარება და უსაფრთხოების უზუნველყოფა იმ მთავარ საკითხებადაა წარმოდგენილი, რაშიც საქართველოს ყველაზე მეტად სჭირდება ევროკავშირის მხარდაჭერა). თუმცა, უაღრესად საინტერესოა, რომ ის სამი ძირითადი ფაქტორი, რაც ევროკავშირში განწევრიანების მთავარ მოტივად მიიჩნევა, იმავდროულად ევრაზიულ კავშირში განწევრიანების მთავარ მოტივადაცაა დასახელებული, კერძოდ, საკუთარი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქვეყნის საგარეო საფრთხეებისგან დაცვა და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის უკეთესი შესაძლებლობა.

მეტად ცალსახაა კულტურულ ფაქტორებთან დაკავშირებული განწყობა: კულტურული ტრადიციების დაკარგვის საფრთხე როგორც ევროკავშირში განწევრიანების მოწინააღმდეგე, ისე მომხრე რესპონდენტებსაც აფიქრებს. აღსანიშნავია, რომ თუკი რაციონალურ-უტილიტარული მოტივები ევროკავშირში განწევრიანების სურვილის მთავარი საყრდენია, განწევრიანების მოწინააღმდეგე მოსახლეობის მთავარ მოტივს სწორედ იდენტობასთან დაკავშირებული საფრთხეები წარმოადგენს: იმ ადამიანების უმეტესობა, ვინც მხარს არ უჭერს საქართველოს ევროკავშირში განწევრიანებას, ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ქართული კულტურისა და ტრადიციების მიმართ ევროკავშირიდან მომდინარე საფრთხეს ასახელებს. უფრო მეტიც, განწევრიანების მომხრე რესპონდენტების 40%-იც კი აცხადებს, რომ ევროკავშირი ქართულ ტრადიციებს ემუქრება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მთლიანობაში, მოსახლეობის 45% იზიარებს მოსაზრებას, რომ ევროკავშირი ქართული ტრადიციებისთვის საფრთხეს წარმოადგენს, ხოლო 28%-ის აზრით, ევროკავშირში განწევრიანების შემთხვევაში, მოსახლეობაში ქართული ტრადიციების მიმართ პატივისცემა შემცირდება. აღნიშნული რესპონდენტების უმეტესობა (64%) 40+ ასაკობრივ კატეგორიას განეკუთვნება. ასევე,

განსხვავება დაფიქსირდა რესპონდენტების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, კერძოდ, დედაქალაქში მცხოვრებთა 44% მიიჩნევს, რომ ტრადიციების მიმართ პატივისცემა იგივე დარჩება მაშინ, როდესაც სხვა ქალაქებში მცხოვრებთა შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 26%-ია.


დიაგრამა 2 – როგორ შეიცვლება ქართული ტრადიციების პატივისცემა ევროკავშირის წევრობის შედეგად




ჩვენი თვისებრივი კვლევის მონაცემები, კერძოდ, ექსპერტებთან და პოლიტიკოსებთან სიღრმისეული ინტერვიუები და მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფები (რაც შემდეგ თავშია განხილული), უდავოდ ეხმიანება წარმოდგენილი ეროვნული კვლევების მონაცემებს და ადასტურებს, რომ საქართველოში ევროკავშირთან დაკავშირებული შემდეგი ორი დისკურსია წარმმართველი: ევროკავშირის მიმართ პოზიტიური განწყობის შემთხვევაში, წინა პლანზეა წამოწეული ეკონომიკური და უსაფრთხოების ფაქტორები; ხოლო ნეგატიური განწყობის შემთხვევაში – ქართული ტრადიციების დაკარგვის საფრთხე. ეს ტენდენცია თვალსაჩინოა CRRC-ის 2015 წლის მონაცემებიდან, რომლის მიხედვით, ევროკავშირის წევრობის მომხრე მოსახლეობის უმეტესობა (80%) მიიჩნევს, რომ ევროკავშირი მშვიდობისა და უსაფრთხოების წყაროა ევროპაში, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი მხოლოდ 37%-ს შეადგენს ევროკავშირის წევრობის მოწინააღმდეგე ადამიანების შემთხვევაში. განვერიანების მომხრეთა 71%-ის აზრით, ევროკავშირი ხელს უწყობს არანეკრ ქვეყნებში ეკონომიკურ განვითარებას, რასაც განვერიანების მოწინააღმდეგე ინ-

დივიდების მხოლოდ 27% ეთანხმება. რაც შეეხება ღირებულებებისა და იდენტიობის საკითხს, რომელიც ყველაზე სენსიტიური აღმოჩნდა, განევრიანების მომხრეთა 40%-ის აზრითაც კი, ევროკავშირი ქართულ ტრადიციებს ემუქრება და ეს მაჩვენებელი 76%-ს შეადგენს განევრიანების მოწინააღმდეგე მოსახლეობის შემთხვევაში.


დიაგრამა 3 – რამდენად ეთანხმებით დებულებას, რომ ევროკავშირი მშვიდობისა და უსაფრთხოების წყაროა ევროპაში



დიაგრამა 4 – რამდენად ეთანხმებით დებულებას რომ ევროკავშირი ხელს უწყობს არანაწევრ ქვეყნებში ეკონომიკის განვითარებას



დიაგრამა 5 – რამდენად ეთანხმებით დებულებას, რომ ევროკავშირი ემუქრება ქართულ ტრადიციებს




მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის წევრობის შემთხვევაში, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ქართული ტრადიციებისადმი პატივისცემის შესუსტებას მოელის, თავად ქართულ და ევროპულ ტრადიციებს შორის განსხვავება ევროკავშირის წევრობისთვის ბარიერად არ აღიქმება. კერძოდ, CRRC-ის 2015 წლის კვლევის შეკითხვაზე, თუ რამდენად ქმნის ბარიერს საქართველოს ევროკავშირში განწევრიანებისთვის ქართველებსა და ევროპელებს შორის განსხვავებული აზროვნება და ტრადიციები, დადებითად მხოლოდ 9% პასუხობს. ამასთან, მოსახლეობის 56% ეთანხმება დებულებას „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი.“ აღნიშნული ტენდენცია მიაჩნდება იმაზე, რომ თუკი, ერთი მხრივ, მოსახლეობა საფრთხედ აღიქვამს ევროკავშირის გავლენას ქართულ ტრადიციებზე, მეორე მხრივ, აღნიშნული საფრთხე არც ისეთი წონადია, რომ უშუალოდ ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის ბარიერი შექმნას. ამდენად, წარმოდგენილი რაოდენობრივი მონაცემები კიდევ ერთხელ ადასტურებს როგორც ექსპერტებთან და პოლიტიკოსებთან ინტერვიუებისას, ისე მოსახლეობასთან ფოკუს ჯგუფებისას გამოვლენილ ამბივალენტურ დამოკიდებულებებს, კერძოდ, ეროვნული იდენტობისთვის საფრთხედ აღქმის პარალელურად, მათ მისწრაფებას, გახდნენ „ევროპული ოჯახის“ წევრები.

აღსანიშნავია, რომ დებულების „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“ მხარდაჭერა გაცილებით მაღალია ახალგაზრდებში, განათლების მაღალი დონისა და საშუალოზე მაღალი შემოსავლის მქონე რესპონდენტებში: მაგალითად, 18-25 წლის რესპონდენტებს შორის ამ დებულებას 63% ეთანხმება, ხოლო 61+ ასაკობრივ კატეგორიაში – 47%. უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტების 60%-ზე მეტი და დაწყებითი განათლების მქონე რესპონდენტების მხოლოდ 10% ეთანხმება აღნიშნულ დებულებას.

საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა აღნიშნული შეკითხვის შემოსავლის მიხედვით ანალიზისას:

დიაგრამა 6 – ეთანხმებთ თუ არა დებულებას: „მე ვარ ქართველი და, მაშა-სადამე, ვარ ევროპელი“ – გასულ თვეში შინამეურნეობის შემოსავლის მიხედვით



ქართველთა მიერ საკუთარი ევროპელობის შეფასებისას აუცილებელია იმ ფაქტორების გათვალისწინებაც, რომლებიც ქართული იდენტობის ფორმირებაში არსებით როლს თამაშობს. როგორც თვისებრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, ქართული იდენტობის ერთ-ერთი შემადგენელი დისკურსი საქართველოს, როგორც „ისტორიულად ევროპულის“ წარმოჩენა და ამით მისი ევროპასთან სიახლოვის ხაზგასმაა. სწორედ ქართულ იდენტობაში ევროპის ფაქტორის მნიშვნელობის უკეთ წარმოჩენას ემსახურება ISSP-ის ეროვნული იდენტობის 2013 წლის კვლევის მონაცემების ანალიზიც, რომელიც შემდეგ ქვეთავშია წარმოდგენილი.

ევროპის ფაქტორი ქართულ ეროვნულ იდენტობაში

ISSP-ის ეროვნული იდენტობის 2013 წლის კვლევის მონაცემების ფაქტორულმა ანალიზმა აჩვენა, რომ მოსახლეობაში საკმაოდ ძლიერია ეროვნულ-პატრიოტული განწყობები. ქართველები ძალიან ძლიერ სიახლოვეს გრძნობენ საკუთარ ქვეყანასთან და, იმავდროულად, საკმაოდ სუსტს – ევროპასთან. სიახლოვის განმსაზღვრელი მაჩვენებლები ორ ფაქტორად გაიყო: პირველს „ეროვნულთან სიახ-

ლოვე“ შეიძლება ეწოდოს. მასში საკუთარ ქალაქთან, რაიონთან, საქართველოსთან მიკუთვნებულობა გაერთიანდა. მეორეს „ევროპასთან სიახლოვე“ – მასში მხოლოდ ევროპასთან მიკუთვნებულობა შევიდა. შეიძლება დავასკვნათ, რომ ეროვნული და ევროპული მიკუთვნებულობა ერთმანეთისაგან მკვეთრად გამიჯნულია; ამასთან, ეს უკანასკნელი საკმაოდ სუსტად არის გამოხატული.

ცხრილი 2 – რამდენად ახლოს გრძნობთ თავს...

	ფაქტორი		1-ძალიან ახლოს; 5 – საერთოდ არ ვგრძნობ სიახლოვეს
	1	2	
er-1 Q1a თქვენს ქალაქთან	.860	.043	1.58
er-2 Q1b თქვენს რაიონთან	.825	-.048	1.78
er-3 Q1c საქართველოსთან	.759	.181	1.46
er-4 Q1d ევროპასთან	.061	.990	3.21

ევროპის ფაქტორის უკეთესად ასახსნელად გამოყენებულ იქნა 15 დამოუკიდებელი ცვლადი, რის შედეგადაც აიხსნა დამოკიდებული ცვლადის (ევროპის ფაქტორი) 36.9%, ხოლო დამოკიდებული ცვლადის ვარიაციის 13.6%. ქვემოთ წარმოდენილია რეგრესიული ანალიზის შედეგი:

რეგრესიულ ანალიზში ჩართული 15 ფაქტორიდან დამოკიდებულ ცვლადზე მნიშვნელოვან გავლენას ხუთი ფაქტორი ახდენს: „ზიანის“ ფაქტორის წონა 13.7%-ს წარმოადგენს, ხოლო დანარჩენი ოთხი ფაქტორი, ფაქტობრივად, არ განსხვავდება ერთმანეთისაგან გავლენის ზომის მიხედვით (დაახლოებით 10-11%) – სოლიდარობის ფაქტორი, ინფორმირებულობა პოლიტიკისა და ხელისუფლების შესახებ, ხელისუფლების დამოკიდებულება მოსახლეობის მიმართ, და კრიტიკული აქტის ფაქტორი. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი „ზიანის“ ფაქტორი (რომელშიც ორი ცვლადი ერთიანდება: დიდი საერთაშორისო კომპანიები სულ უფრო მეტ ზიანს აყენებენ ადგილობრივ ბიზნესს საქართველოში და საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს მთავრობას ძალაუფლების დიდ ნაწილს ართმევენ) ყველაზე მაღალი წონით უარყოფით ზეგავლენას ახდენს დამოკიდებულ ცვლადზე.

აქ განსაკუთრებით საყურადღებოა ეროვნული სიამაყის ცვლადი, რომლის ევროკავშირისადმი დამოკიდებულების კონტექსტში ანა-

ლიზისას კიდევ ერთხელ ვლინდება ქართველების ამბივალენტური დამოკიდებულება ევროინტეგრაციისადმი. ISSP-ის მონაცემებით, რესპონდენტთა 88.8% ამყობს, რომ ქართველია. არსებული კვლევების თანახმად კი, რაც უფრო მაღალია ეროვნული სიამაყე, მით მეტად საფრთხედ აღიქმება ეროვნული იდენტობისთვის ევროინტეგრაციის პროცესი (Carey, 2002; Toshkov et al., 2014). ეს მოსაზრება, გარკვეულწილად, ჩვენი რაოდენობრივი მონაცემებითაც დასტურდება, რომელიც აჩვენებს, რომ ევროინტეგრაციის მომხრეთა 40%-იც კი მას ქართული იდენტობისთვის საფრთხის მატარებლად აღიქვამს. მიუხედავად ამ საფრთხის მოლოდინისა, როგორც ზემოთ აღინიშნა, რესპონდენტთა 61% საქართველოს ევროკავშირში განევრიანების მომხრეა. ამდენად, საქართველოში ერთდროულად თანაარსებობს ეროვნული სიამაყის მაღალი დონე და ევროინტეგრაციისადმი საკმაოდ პოზიტიური დამოკიდებულება.

ევროკავშირში განევრიანების პერსპექტივის შეფასება

საქართველოს ევროკავშირში განევრიანების პერსპექტივის შეფასება რესპონდენტებისთვის საკმაოდ რთული აღმოჩნდა: 38%-ს უჭირს, პასუხი გასცეს შეკითხვას, თუ როდის განევრიანდება საქართველო ევროკავშირში. როგორც მოსალოდნელი იყო, პასუხის გაცემა ყველაზე მეტად 61+ ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტებს უჭირთ.

ცხრილი 3 – როდის გახდება საქართველო ევროკავშირის წევრი?

	არ ვიცი	5 წელზე ნაკლებ დროში	6-10 წელიწადში	10 წელზე მეტ დროში	არასდროს
18-25	32%	18%	14%	16%	14%
26-40	35%	18%	15%	16%	8%
41-60	38%	19%	12%	17%	10%
61+	47%	14%	12%	10%	13%

გარდა მოსახლეობის განწყობებისა, ევროკავშირის „ინტეგრაციის გარე უნარის“ მნიშვნელოვან მაჩვენებელს სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ ევროპული სტანდარტების დანერგვის

მზაობა წარმოადგენს. საინტერესოა, როგორ აფასებენ რესპონდენტები საქართველოს მზაობას ევროკავშირში განწევრიანებისთვის: საქართველო უმეტესად მოუმზადებლად მიაჩნია მოსახლეობის 40-50%-ს, ხოლო დაახლოებით 25-30%-ს უჭირს შეაფასოს საქართველოს მზაობის დონე.


ცხრილი 4 – სხვადასხვა სექტორის მზაობა საქართველოს ევროკავშირში განწევრიანებისთვის

	არ არის მზად	უფრო მზად ვიდრე არა	ნამდვილად მზად არის	არ ვიცი / უარი
დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება	46%	21%	5%	28%
კანონის უზენაესობა	49%	20%	5%	26%
ადამიანის უფლებების დაცვა	47%	24%	5%	24%
უმცირესობათა უფლებების დაცვა	42%	25%	7%	26%
კონკურენტუნარიანი საბაზრო ეკონომიკა	52%	17%	3%	27%
საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა	45%	18%	4%	32%


ევროკავშირის „ინტეგრაციის გარე უნართან“ ერთად, აღსანიშნავია „ინტეგრაციის შიდა უნარიც“, რაც, პოპულარულ დონეზე, ევროკავშირის ქვეყნების მოსახლეობის გაფართოებისადმი მზაობას ასახავს. საქართველოს მოსახლეობას უჭირს შეაფასოს უშუალოდ ევროკავშირის ქვეყნებისა და მოსახლეობის დამოკიდებულება საქართველოსთან მიმართებაში: 32%-ის აზრით, ევროკავშირის წევრ ქვეყნებს სურთ საქართველოს განწევრიანება ევროკავშირში. შედეგები მსგავსია უშუალოდ ევროკავშირის მოქალაქეების მიერ საქართველოს ევროკავშირში განწევრიანების სურვილის შემთხვევაშიც (31%). რესპონდენტის ასაკი აქაც განმსაზღვრელ ფაქტორს თამაშობს: 61+ ასაკობრივი კატეგორიისთვის გაცილებით რთულია მსგავსი შეფასების გაკეთება, ვიდრე შედარებით ახალგაზრდა რესპონდენტებისთვის. მოსახლეობის თვალში საქართველოს ევროინტე-

გრაციის პერსპექტივის ბუნდოვანების ასახსნელად დამატებით ინფორმაციას გვანვდის რესპონდენტების შეხედულება საქართველოს მიმართ ევროკავშირის მოქალაქეების დამოკიდებულების შესახებ. გამოკითხულთა მხოლოდ 19% ფიქრობს, რომ ევროკავშირის მოქალაქეების დამოკიდებულება საქართველოს მიმართ პოზიტიურია და აქაც უმეტესობას უჭირს ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა (37%).

დიაგრამა 7 – ევროკავშირის ქვეყნების უმეტესობას სურს საქართველოს განევრიანება ევროკავშირში



დიაგრამა 8 – ევროკავშირის მოქალაქეების უმეტესობას სურს საქართველოს განევრიანება ევროკავშირში



სიმეტრიული ძალაუფლების საკითხი საქართველოსა და ევროკავშირს შორის

ევროინტეგრაციის პროცესის შეფასებისას კიდევ ერთი არსებითი ფაქტორია იმ დამოკიდებულებების განხილვა, რომლებიც უშუალოდ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების სასურველ ფორმებს ეხება. ISSP-ის ეროვნული იდენტობის 2013 წლის გამოკვლევის შედეგების მიხედვით, შეკითხვაზე, თუ რამდენად სიმეტრიული უნდა იყოს ძალაუფლება ევროკავშირსა და მისი წევრი ქვეყნების ხელისუფლებებს შორის, მოსახლეობის მნიშვნელოვანი წილი (36%) მიიჩნევს, რომ ევროკავშირი იმდენივე ძალაუფლებით უნდა სარგებლობდეს, რამდენითაც წევრი ქვეყნების ხელისუფლება. ამ პოზიციას ყველა ასაკობრივ კატეგორიაში გამოკითხულთა უმრავლესობა იზიარებს. თუმცა, მიუხედავად ევროკავშირში განწევრიანების ძლიერი მისწრაფებისა, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (53%) არ იზიარებს მოსაზრებას, რომ საქართველომ ევროკავშირის გადაწყვეტილებების მიხედვით უნდა იხელმძღვანელოს იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ არ ეთანხმება. როგორც ჩანს, საქართველოს, როგორც გადაწყვეტილების მიმღები სუვერენული აქტორის, როლი ევროკავშირთან მიმართებაში მოსახლეობისთვის საკმაოდ სენსიტიურ საკითხს წარმოადგენს. ევროკავშირსა და საქართველოს შორის სიმეტრიული ურთიერთობის არსებობა უაღრესად მნიშვნელოვნად მიიჩნევა, რაც თვალსაჩინოა როგორც ექსპერტებთან და პოლიტიკოსებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებიდან, სადაც ისინი ცდილობენ, რომ ევროკავშირი საქართველოს თანასწორ პარტნიორად წარმოაჩინონ, ისე მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფებიდან, სადაც მონაწილეები ევროკავშირს იმ „საძმოდ“ მიიჩნევენ, რომელიც შეეცდება საქართველო „ნამოწიოს და დააწიოს“ ძლიერ და განვითარებულ ქვეყნებს, რაზეც ქვემოთ დეტალურად ვისაუბრებთ. სანამ უშუალოდ ამ საკითხს შევხებით, პირველ რიგში, განვიხილავთ მოსახლეობის ასოციაციებს ევროკავშირის და ევროპეიზაციის შესახებ.

მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების ანალიზი

ევროკავშირი და ევროპეიზაცია: ძირითადი ასოციაციები

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა ასოციაციები ევროკავშირსა და ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით საკმაოდ პოზიტიური აღმორჩნდა, განსაკუთრებით ახალგაზრდა რესპონდენტებს შორის. მათი ნარატივების გაანალიზების შედეგად რამდენიმე მნიშვნელოვანი დისკურსი გამოვლინდა: ა) ევროკავშირი, როგორც ერთიანი, შეთანხმებული სისტემა; ბ) ევროკავშირი, როგორც დემოკრატიული მმართველობა; გ) ევროკავშირი, როგორც უსაფრთხოების გარანტი; დ) ევროკავშირი, როგორც ეკონომიკური კეთილდღეობის წყარო და ე) ევროკავშირი, როგორც უპირატესი ღირებულებების მქონე ერთობა.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მსგავსი ტენდენციები გამოვლინდა ერთ-ერთ უახლეს კვლევაში, რომელიც ევროკავშირის გაფართოების მიმართ ევროკავშირის დამფუძნებელი, წევრი და კანდიდატი ქვეყნების მოსახლეობის დამოკიდებულებებს სწავლობდა (Dimitrova, Kortenska and Steunenber, 2015). ამ კვლევის თანახმად, ზემოხსენებული ქვეყნების მოსახლეობაში ევროკავშირთან დაკავშირებული ერთ-ერთი მთავარი დისკურსი სწორედ მისი, როგორც საერთო (გაზიარებული) წესების სისტემის წარმოჩენაა, რომელში გასაწვრიანებლად ქვეყანა ევროკავშირის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდეს. მეორე მნიშვნელოვანი დისკურსის თანახმად, ევროკავშირი წარმოჩენილია, როგორც მმართველობის სუპრანაციონალური მოდელი, რომელიც ითვალისწინებს კანონის უზენაესობას, კანონზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ ერთობას და, რაც მთავარია, კანონის აღმასრულებელ ეროვნულ ინსტიტუტებს ქვეყნის შიგნით. მესამე დისკურსი ეხება ევროპულ ღირებულებებსა და იდეალებს. ამ დისკურსის მიხედვით, ევროკავშირი უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ეკონომიკასა და კანონზე დაფუძნებული ერთობა. ევროკავშირი წარმოდგენილია, როგორც გაზიარებული ღირებულებების სისტემა, სადაც თავისუფლება, სოლიდარობა, მშვიდობა, მრავალფეროვნება და კეთილდღეობა მთავარი ფასეულობებია. ევროკავშირის მიმართ უტილიტარული და პრაგმატული დამოკიდებულება გამოვლინდა 2004-2007 წელს გაწვევრიანებულ (პოლონეთი, ბულგარეთი) და კან-

დიდატი ქვეყნების (სერბეთი, მაკედონია) შემთხვევაში. ამ ქვეყნებში მიღებული მონაცემების თანახმად, მოსახლეობას აქვს მოლოდინი, რომ ევროკავშირის წევრობა მათ ქვეყნებში უმუშევრობის პრობლემას გადაჭრის, ახალგაზრდებს მეტად განვითარებულ ქვეყნებში მიგრაციის შესაძლებლობა ექნებათ, განათლების ხარისხი ამაღლდება და საერთო კეთილდღეობაც გაიზრდება. აქვე აღსანიშნავია კიდევ ერთი დისკურსი, რომელიც ევროკავშირის გლობალურ მნიშვნელობას უსვამს ხაზს და მას უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის პასუხისმგებლობას აკისრებს რეგიონსა და მსოფლიოში. ეს დისკურსი როგორც დამფუძნებელი, ასევე წევრი და კანდიდატი ქვეყნების შემთხვევაში გამოვლინდა (იქვე).

ჩვენი კვლევის მონაცემები ადასტურებს, რომ ევროკავშირი აღიქმება, როგორც სტრუქტურულად გამართული სისტემა, რომლის წარმატებით ფუნქციონირებაში თითოეულ წევრ ქვეყანას თავისი წვლილი შეაქვს და შესაბამის სარგებელსაც იღებს. ევროკავშირი ასოცირდება „ერთ დიდ ოჯახთან,“ სადაც ყველა წევრი ქვეყანა ერთიანი ძალისხმევით ცდილობს საერთო პრობლემების გადაჭრას. სწორედ ამიტომ ევროკავშირის წევრობა საქართველოსთვის უაღრესად სასურველად მიიჩნევა.

„ჩემი აზრით, ევროკავშირი არის ერთი დიდი ოჯახი, გაერთიანება იმ ქვეყნებისა, რომლებიც ევროპაშია; ეს არის დიდი ჯაჭვი და ცდილობენ, რომ ერთდროულად, ერთად განახორციელონ მიზნები. ევროკავშირი ეჭიდება არა რომელიმე კონკრეტული ქვეყნის პრობლემას, არამედ მთლიანად ევროპის პრობლემას, და ეჭიდებიან ერთიანი ძალით. რამდენად ეფექტურია მათი საქმიანობა, ეგ კიდევ მეორე მხარეა. მაგრამ ევროკავშირი ჩემთვის ასოცირდება ერთ დიდ ოჯახთან და ძალიან კარგი იქნება, თუ ჩვენც ამ დიდი ოჯახის წევრები გავხდებით“ (მამრ., 18-25, ქუთაისი).

„ევროპული კავშირი ერთიანობასთან ასოცირდება, ერთიანი ვალუტა, ერთიანი საბაჟო რეჟიმი, ერთიანი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა და დახმარებაც ერთმანეთისა, რომ არსად მოხდეს რეგრესია. დიდი იმედია, რომ მალე გავხდებით ამ დიდი ოჯახის წევრები“ (მამრ., 26-40, თელავი).

ამასთან, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ ევროკავშირი გამოირჩევა განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტებით (თავისუფალი მედია, მიუკერძოებელი სასამართლო),

რაც ადამიანის თავისუფლების (მაგალითად, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, არჩევანის თავისუფლება) და უფლებების (მაგალითად, კერძო საკუთრება) დაცვის მთავარ პრიორიტეტად აღიარებას გულისხმობს. როგორც წარმოდგენილმა რაოდენობრივმა კვლევამაც დაადასტურა, საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა (62%) თვლის, რომ ევროკავშირი სწორედ დემოკრატიული გაერთიანებაა (CRRC, 2015).

„ევროპული ფასეულობები, სიტყვის თავისუფლება, პრესის თავისუფლება, მედიის თავისუფლება, თანაბარუფლებიანი, კონკურენტუნარიანი გარემო, არჩევანის თავისუფლება და სხვადასხვა. დემოკრატიის პრინციპების გარდა, ევროპა ჩემთვის ასოცირდება გარკვეულ კულტურასთან და გარკვეულ მეცნიერებასთან, ცხოვრების გარკვეული ნესია“ (მამრ., 41-65, ქუთაისი).

ამ კონტექსტში ლოგიკურად წამოიჭრება ევროპული ღირებულებების საკითხი. აღსანიშნავია, რომ 18-25 წლის ახალგაზრდების აზრით, მათი თაობა უფროსი თაობისგან სწორედ ევროპული ღირებულებებისადმი რეალური მისწრაფებით გამოირჩევა. გარდა ამისა, ახალგაზრდა რესპონდენტები განსაკუთრებით უსვამენ ხაზს ევროპული კულტურის უპირატესობას და ხარისხიან ევროპულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის აუცილებლობას.

„ჩვენი თაობა უკვე მიდის ევროპისკენ, ჩვენს თაობას სხვა ღირებულებები აქვს. ევროპული განათლება გვინდა, კულტურის თვალსაზრისით გვინდა, რომ იქითკენ ავიღოთ გეზი; თუნდაც მუსიკა ევროპული გვინდა“ (მდედრ., 18-25, გორი).

„ჩემთვის ევროპეიზაცია ასოცირდება განვითარებასთან, თანამედროვე მსოფლიოში საკუთარი ადგილის დაკავებასთან, დემოკრატიული ღირებულებების გაღრმავებასთან და ადამიანების უფლებების დაცვასთან“ (მდედრ., 18-25, თელავი).

ქართველ პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების მსგავსად, ფოკუს ჯგუფების მონაწილეების შემთხვევაშიც გამოიკვეთა უსაფრთხოების დისკურსი, კერძოდ, ევროკავშირის, როგორც კოლექტიური მშვიდობისა და უსაფრთხოების გარანტის ხედვა, რასაც საქართველოს ევროინტეგრაციის კონტექსტში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აღნიშნული დისკურსი საკმაოდ გავრცელებული უნდა იყოს ქართულ საზოგადოებაში, რაზეც რა-

ოდენობრივი კვლევის მონაცემებიც მეტყველებს: როგორც აღინიშნა, საქართველოს მოსახლეობის 63% ევროკავშირს რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების წყაროდ მიიჩნევს (CRRC, 2015). თუმცა, ჩვენი ფოკუს ჯგუფების შემთხვევაში, უსაფრთხოების საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კვლავ ახალგაზრდა რესპონდენტებისთვის (18-25) აღმოჩნდა. როგორც ერთ-ერთმა მონაწილემ აღინიშნა, ევროკავშირი არის „საძმო“, რომელიც მრავალ პრობლემასთან გამკლავებაში დაეხმარება საქართველოს, რომელთაგან უმთავრესი ტერიტორიული მთლიანობის საკითხია.

„ჩემი აზრით, ძალიან ბევრი რამ შეიცვლება. არ მოგვიწევს მთელ რიგ პრობლემებთან ბრძოლა მარტო. ევროკავშირის სახით გვეყოლება „საძმო“, რომელიც ამ პრობლემების მოგვარებაში დაგვეხმარება. პირველ რიგში, ეს არის ქვეყნის მთლიანობასთან დაკავშირებული პრობლემები“ (მამრ., 18-25, თბილისი).

„დღეს ჩვენთვის უსაფრთხოების ყველაზე კარგი გარანტი არის ევროკავშირში განევრიანება. თუ ამას შევძლებთ და იმ დონემდე მივალთ, რომ ევროკავშირის წევრები გავხდეთ, ეს ძალიან დიდი წინსვლა იქნება ჩვენი ქვეყნისთვის და უსაფრთხოების საკითხებიც მოგვარდება“ (მდედრ., 41-65, თბილისი).

რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკურ კეთილდღეობას, ფოკუს ჯგუფების მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ევროინტეგრაციას უდიდესი როლი აკისრია ამ თვალსაზრისით, რადგან, თუ საქართველო სათანადოდ იზრუნებს ევროკავშირის სტანდარტების დამკვიდრებაზე, ევროპული ბაზარი ქვეყნისთვის ექსპორტის ახალი სამიზნე იქნება; მეორე მხრივ კი, ევროპიდან ინვესტიციების შემოსვლის კვალდაკვალ გაფართოვდება შრომის ბაზარი, რაც საქართველოს ეკონომიკაზე დადებითად აისახება.

„ჩემთვის, პირველ რიგში, ევროპეიზაცია ასოცირდება ეკონომიკის განვითარებასთან. ვფიქრობ, რომ ეკონომიკური განვითარება არის ის საკითხი და ის ღერძი, რომელზეც მთლიანად ქვეყნის ცხოვრება ტრიალებს“ (მდედრ., 18-25, თელავი).

„თავისუფალი მიმოსვლა იქნება, ინვესტორები შემოვლენ, ქვეყნის ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა განვითარდება. მე ვიცი, რომ საქართველოდან გატანილი თხილის 10% მიდის ევროპაში. ის თუ დაინტერესდება ჩვენთან ამ სფეროს განვითარებით, მათ უნდა გვასწავლონ, როგორ ვაწარმოოთ“ (მამრ., 41-65, გორი).

როგორც ჩანს, რესპონდენტებისთვის ნათელია, რომ საქართველო განვითარებადი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც უჭირს, დამოუკიდებლად გაუმკლავდეს როგორც გარედან მომდინარე საფრთხეებს, ისე შიდა გამონევენებს. შესაბამისად, ხაზი ესმება ისეთი გაერთიანებების მხრიდან მხარდაჭერის აუცილებლობას, როგორც ევროკავშირი და ნატოა. განსაკუთრებით აღინიშნა ევროკავშირის როლი პატარა და სუსტი ქვეყნების გაძლიერებაში როგორც უსაფრთხოების, ისე სოციოეკონომიკური ინსტიტუტების ფუნქციონირების თვალსაზრისით. ამდენად, რესპონდენტები იმედს გამოთქვამენ, რომ ევროკავშირთან დაახლოება საქართველოსაც მსგავს სიკეთეებს მოუტანს.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ზემოაღნიშნული დისკურსები მიანიშნებს მოსახლეობაში (განსაკუთრებით ახალგაზრდების ჯგუფში) ევროკავშირთან ურთიერთობის „გარომანტიულების“ ტენდენციაზე, რომლის თანახმად, საქართველო წარმოჩენილია სუსტ პარტნიორ ქვეყანად, რომელსაც „ასწავლის“ და ზურგს გაუმაგრებს ძლიერი მეგობარი – ევროკავშირი. ის შეეცდება, საქართველო „ნამონის და დაანოს“ ძლიერ და განვითარებულ ქვეყნებს. ამ ტენდენციას ასახავს რაოდენობრივი მონაცემებიც. ზემოთ აღინიშნა, რომ მოსახლეობის ნახევრაზე მეტი, კერძოდ, 54% დარწმუნებულია, რომ ევროკავშირი მის არანეგრ ქვეყნებს ეკონომიკის განვითარებაში ეხმარება, ხოლო 61%-ის აზრით, ევროკავშირი არანეგრ ქვეყნებს დემოკრატიის განვითარებაში უწყობს ხელს (CRRC, 2015).

„ჩემი აზრით, ევროკავშირი ასოცირდება მშვიდობასთან. ასევე ასოცირდება ძალასთან, რომელიც ანესრიგებს ქვეყნების შიგნით მიმდინარე პროცესებს, ეკონომიკა იქნება ეს თუ კულტურა, და ცდილობს, რომ სუსტი ქვეყნები ნამონის და დაანოს განვითარებულ ქვეყნებს“ (მდედრ., 18-25, ქუთაისი).

„ჩვენ ევროპელებმა ხელი უნდა შეგვიწყონ, რომ ვიყოთ უსაფრთხო და გაძლიერდეთ. მხოლოდ მას შემდეგ, რაც გავძლიერდებით, შეგვეძლება მსხვილ პოლიტიკურ თამაშში ჩართვა. დღეს ეს რთულია“ (მამრ., 18-25, ზუგდიდი).

ევროკავშირსა და ევროპეიზაციასთან დაკავშირებულ ასოციაციებზე საუბრისას, რესპონდენტების მხრიდან არაერთხელ გაიჟღერა ვიზალიბერალიზაციის საკითხმა, თუმცა, მხოლოდ პოზიტიურ კონტექსტში არა: რიგი რესპონდენტების აზრით, ვიზალიბერალ-

იზაცია გარკვეულ საფრთხეებსაც შეიცავს, რადგან მკვეთრად გააძლიერებს საქართველოდან მოსახლეობის გადინებას, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდების ევროპაში მიგრაციას ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, რაც საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნისთვის შესაძლოა „ახალგაზრდებისგან დაცლას“ ნიშნავდეს (როგორც ვნახეთ, მსგავსი მოლოდინი რაოდენობრივმა კვლევამაც გამოავლინა).

„როდესაც ევროკავშირზე და საერთაშორისო გაერთიანებებზე საუბარი, ყოველთვის უნდა გავაკეთოთ შედარება, ის პოსტსაბჭოთა ქვეყნები, რომლებიც განვერიანდნენ, თუნდაც ბალტიისპირეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ამას დავამატოთ საბერძნეთი, იქრა მდგომარეობა განვერიანების შემდეგ. აქედან გამომდინარე, უნდა განვსაზღვროთ, რამდენად გვანყობს. როგორც ვიცით, იქ მთლად კარგი მდგომარეობა არ არის: ესტონეთი ფაქტიურად დაიცალა ახალგაზრდებისგან, ყველა ქვეყნიდან საშინელი მიგრაციაა“ (მამრ., 41-65, თბილისი).

„ახლა ამბობენ ამ ვიზალიბერალიზაციაზე, მაგრამ თუ ჩვენ უფიზო მიმოსვლა გვექნება, ახალგაზრდების 80% წავა, რადგან იქ განვითარების მეტი შანსია, მეტი პერსპექტივაა იგივე დასაქმების კუთხით. ახლაც რამდენი ცდილობს და მერე მითუმეტეს გაიზრდება რაოდენობა...“ (მდედრ., 18-25, ზუგდიდი).

მიუხედავად ამ საფრთხის მოლოდინისა, თვალსაჩინოა, რომ საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირთან ინტეგრაცია და მისი თანმდევი ევროპეიზაციის პროცესი პოზიტიურ ცვლილებებთან ასოცირდება. ისინი ევროკავშირთან დაახლოებას მნიშვნელოვნად მიიჩნევენ საქართველოსთვის როგორც უტილიტარულ-პრაგმატული (უსაფრთხოება, ეკონომიკური განვითარება), ისე ღირებულებით-ნორმატული (განათლების ხარისხის გაუმჯობესება, კულტურასთან ზიარება, დემოკრატიული ღირებულებების დანერგვა) თვალსაზრისით.

საქართველო, როგორც ევროპის ნაწილი

მართალია, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა ევროკავშირთან და ევროპეიზაციის პროცესთან დაკავშირებული ასოციაციები, მეტწილად, იდენტურია, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი, არის თუ არა საქართველო ევროპის ნაწილი. დომინანტური დისკურსის თანახმად, საქართველო ისტორიულად ევროპული ქვეყანაა, შესა-

ბამისად, ევროპას ეკუთვნის. აღნიშნული პოზიციის გასამყარებლად, დისკუსიის მონაწილეები ისტორიულ ექსკურსს მიმართავენ.

ისინი, უპირველესად, „დარბაზს“ (XI-XIII საუკუნეებში, საქართველოს მეფის კარზე არსებული ფეოდალების სათათბირო ორგანო) იხსენებენ, როგორც საქართველოში პარლამენტარიზმის საფუძველს და მიიჩნევენ, რომ სწორედ ეს უკანასკნელი წარმოაჩინეს საქართველოს, ევროპის ქვეყნების მსგავსად, დემოკრატიული ღირებულებების მქონე სახელმწიფოდ.

„მე ვთვლი, რომ საქართველო ევროპის ნაწილია. მინდა, მაგალითად მოვიყვანო თამარ მეფის პერიოდი, როდესაც შეიქმნა ე.წ. 'დარბაზი' და, ასე ვთქვათ, პარლამენტის ჩანასახოვან ფორმებს ასრულებდა იმ დროისთვის. თუ ავიღებთ და შევადარებთ ევროპის ქვეყნების ისტორიას, ამ პერიოდში ასეთი რაღაცეები ევროპაში არ არსებობდა. ანუ, მინდა ვთქვა, რომ საქართველოში თავიდანვე იყო მისწრაფება დემოკრატიისკენ“ (მამრ., 18-25, თელავი).

ჯგუფურ დისკუსიებში ადგილი ჰქონდა ისეთ კულტურულ ფაქტორებზე აპელირებასაც, რაც საქართველოს ევროპული კულტურული სივრცის ნაწილად წარმოაჩინს: საქართველოს გაქრისტიანება IV საუკუნეში, XII საუკუნეში დანერილი „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ალორძინების ეპოქის ნიმუში, XIX საუკუნეში მოღვაწე თერგდალეულები და XX საუკუნეში – ცისფერყანწელები, როგორც ევროპული იდეების გამავრცელებელი – ეს სწორედ ის მაგალითებია, რომლის საფუძველზეც კვლევის მონაწილეები საქართველოს „ევროპული ოჯახისადმი“ კუთვნილების დადასტურებას ცდილობენ. ამასთან, როგორც ზემოხსენებული ციტატაც მოწმობს, მოსახლეობაშიც გამოვლინდა პოლიტიკოსებთან გაყოფილი დისკურსი, რომ საქართველო ევროპული იყო თავად ევროპაზე ადრეც კი.

„ჩვენ ვიყავით ევროპის ნაწილი. ევროპა არაფერია, თუ არა ქრისტიანული ცივილიზაცია. ქრისტიანობა ჩვენთან უფრო ადრე დადგა, ვიდრე იქ. ჩვენ პერიფერია ვიყავით, საზღვარზე ვიყავით; შემდეგ ისლამთან გაუთავებელმა მეზობლობამ ეს მოგვიტანა“ (მამრ., 41-65, თელავი).

„დღეს, ჰუმანიზმის იდეებზე როდესაც საუბრობენ, ქალისა და მამაკაცის თანასწორობაზე, არასამთავრობო ორგანიზაციები სულ ევროპულ მაგალითს იშველიებენ, მაგრამ აიღეთ ვეფხისტყაოსანი,

ჰუმანიზმის იდეები იქიდან მოდის. სად ევროპის მე-14-ე საუკუნის აღორძინება და სად ორი საუკუნით ადრე“ (მამრ., 41-65, თელავი).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების მსგავსად, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა ნარატივშიც შეინიშნება „ოქსიდენტალიზმი“ (Todorova, 1997) ტენდენცია, რაც გამოვლინდა კავკასიის რეგიონში, როგორც ჩრდილოკავკასიელ მეზობლებთან, ისე სომხეთსა და აზერბაიჯანთან შედარებით, საქართველოს მეტი ევროპულობის ხაზგასმით.

„ჩვენ გეოგრაფიულ მდებარეობასთან და მეზობელ სომხებთან, აზერბაიჯანელებთან და ჩრდილოკავკასიელებთან შედარებით ნამდვილი ევროპელები ვართ და ყოველთვის გვყავდა ინტელიგენცია, განსხვავებით დღევანდელი დღისგან. მე ბევრი ქვეყანა მინახავს და ნამდვილად არ არიან რამით ჩვენზე მეტი“ (მდედრ., 41-65, თბილისი).

მიუხედავად იმისა, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა საკმაოდ ვრცლად ისაუბრეს ევროპასთან საქართველოს ისტორიულ და კულტურულ კავშირზე, ქართული და ევროპული ღირებულებები მაინც ორ დაპირისპირებულ მხარედ არის წარმოჩენილი. მაგალითად, ჯგუფური დისკუსიის შედეგად ჩანს, რომ ჰომოსექსუალობა და ერთსქესიანი ქორწინების დაშვება, გარკვეული სეგმენტის აზრით, ევროპული ცნობიერების „სავიზიტო ბარათია“ მაშინ, როდესაც ქართული ღირებულებები ოჯახის და ტრადიციული ქორწინების უპირატესობას, უფროსის პატივისცემას, ნათესაური კავშირების შენარჩუნებასა და, ზოგადად, კულტურული ტრადიციების დაცვას გულისხმობს, რაც ნაკლებ განიხილება თანამედროვე ევროპული საზოგადოების მახასიათებლებად. მსგავსი შეხედულებები განსაკუთრებით თვალშისაცემია რეგიონულ ქალაქებში, 41-65 წლის რესპონდენტებს შორის.

„ევროპაში არ არის ოჯახური სითბო, სრულწლოვანი მიდის ოჯახიდან, არ არის ქალიშვილობის ინსტიტუტი, აღიარებულია ერთსქესიანი ქორწინება. ჩვენ ტრადიციული ხალხი ვართ და გვაქვს ოჯახური სითბო, ურთიერთობები ნათესავებთან, რომელიც არ იკარგება და გრძელდება, უფროსის პატივისცემა, მშობლის პატივისცემა. ევროპაში 18 წლის რომ გახდებიან, არც კითხულობენ მშობელს“ (მდედრ., 41-65, ბათუმი).

„თუნდაც ევროპული კულტურა და ტრადიციები ავიღოთ, თუნდაც უმცირესობებთან დაკავშირებით – ევროპაში მიღებულია

ერთსქესიანთა ქორწინება, ჩვენთვის ეს მიუღებელი და ამაზრზენია. ჩვენ ძალიან ბევრი რამ განგვასხვავებს ევროპელებიგან“ (მდედრ., 41-65, თელავი).

ამდენად, თუ ევროკავშირი, ერთი მხრივ, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, ქვეყნისთვის სასიკეთო ცვლილებების მომტანად აღიქმება, მეორე მხრივ, ის გარკვეული კულტურული საფრთხეების შემცველადაც მოიაზრება.

„ვიცი, რომ მათი ენა და წესები უნდა ვისწავლოთ. ჩვენი ქართული ტრადიცია მართლაც რომ ნელ-ნელა იშლება... ქართველები ერთმანეთის სიკეთისთვის და დახმარებისთვის ვართ. მე ვერ დავცილდები ამას, ისინი ამას გვთხოვენ. ისეთ გარემოს გვიქმნიან, რომ ადამიანს ქუჩაში ჩაუვლი ჩაფიქრებული და სალამი არ გესმის. ეს მოიტანა ამ არეულობამ“ (მდედრ., 41-65, ბათუმი.).

„რომ მაიძულებ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას, რას მერჩი, იქნებ არ მინდა საერთოდ ამ კანონის მიღება? არა, მაიძულებს, რომ ასე მოვიქცე“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

აქედან გამომდინარე, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთათვის ევროკავშირის „ადგილობრივი ანალოგის“ (Schimmelfennig, 2010) შექმნის იდეა ცალსახად მისაღები არ არის, რადგან ისინი იმ იდეოლოგიური პრინციპის საფუძველზე ირჩევენ, თუ რა უნდა იყოს იმპორტირებული დასავლეთიდან და რა – არა, რომელიც საკუთარ თავში მატერიალური და სულიერი კულტურის წინააღმდეგობას ატარებს (Chattarjee 1989). რესპონდენტებისთვის მისაღები და სასურველია დასავლური მატერიალური კულტურის ისეთი მიღწევები, როგორცაა ტექნოლოგიური განვითარება, ეკონომიკური სისტემა და სახელმწიფოს მოწყობის თანამედროვე ფორმები, რაც დასავლეთის უპირატესობასა და ასიმეტრიული ძალაუფლების განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს, და შესწევს უნარი, „დაიქვემდებაროს“ განვითარებადი ქვეყნები. რაც შეეხება სულიერ კულტურას, ის მიიჩნევა ეროვნული იდენტობის არსის, ერის თვითობის განმსაზღვრელად და, ამასთანავე, ისეთ ძალად, რომლის საშუალებითაც არაევროპული ქვეყანა (პირველ რიგში, გეოგრაფიული თვალსაზრისით არაევროპული) უპირატესობას ფლობს დასავლურ ცივილიზაციაზე (იქვე). სწორედ „სულიერი უპირატესობა“ მიიჩნევა „ცივილიზაციური არასრულფასოვნების“ გადამწონ ფაქტორად (Morawska, 2003, 172).

ზემოხსენებული შერჩევის იდეოლოგიური პრინციპი სწორედ ამ წინააღმდეგობის გადაჭრას ემსახურება: არადასავლური სახელმწიფო, ეზიარება რა დასავლურ მატერიალურ სიკეთეებს, იმავდროულად, მის ეროვნულ თვითმყოფადობას უნდა ინარჩუნებდეს. თუკი ამისთვის ბრძოლა მოუწევს, პირველ რიგში, სწორედ მატერიალურად უნდა იყოს გაძლიერებული, რისთვისაც მას დასავლეთთან დაახლოება სჭირდება. სწორედ ამგვარი უტილიტარული ხედვა ვლინდება ჩვენი კვლევის მონაწილეებშიც, რომლებიც, ერთი მხრივ, ევროკავშირისგან მაქსიმალური სარგებლის მიღებას მოელიან, მეორე მხრივ კი, საქართველოში ანტიდიკრიმინაციული კანონის მიღებას ევროკავშირის მხრიდან იძულებად მიიჩნევენ.

ევროპის მიერ საქართველოს ხედვა

რესპონდენტები ეჭვით უყურებენ ევროპის მიერ საქართველოს მის ნაწილად აღქმას. მათ ეჭვებს განსაკუთრებით აძლიერებს ის გარემოება, რომ ევროკავშირი ქვეყნისთვის ხელშესახები სარგებელის (მაგალითად, ვიზალიბერალიზაციის) მიცემას აჭიანურებს. ამ კონტექსტში აქტიურდება „ფასადური ევროინტეგრაციის“ და მისით უკმაყოფილების დისკურსი. დისკუსიის მონაწილეები ხაზს უსვამენ ევროკავშირის პასიურობას და სიფრთხილეს, რომ „მკვეთრი ნაბიჯები“ გადადგას. მათი თქმით, საქართველო ევროკავშირისთვის რეალურად ღირებული რომ იყოს, ეს უკანასკნელი „ტემპსაც კი დააჩქარებდა“ და გარკვეულ პრობლემებზე „თვალსაც კი დახუჭავდა“, განსაკუთრებით ისეთ პირობებში, როცა „ამხელა სახელმწიფო [რუსეთი] გვახრჩობს და გვეგუდავს.“ ისიც ითქვა, რომ ევროკავშირი „გამადიდებელი შუშით“ აკვირდება ქვეყანას, რაც არ მეტყველებს მის მოტივაციაზე, საქართველო თუნდაც პოტენციურ წევრად განიხილოს. შესაბამისად, მსჯელობა უმეტესად ევროკავშირში განვერიანების ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორების ირგვლივ განვითარდა.

„მე უბრალოდ მეეჭვება თვითონ ევროკავშირის დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნის მიმართ. იმხელა კითხვის ნიშნებია, ისეთი გამადიდებელი შუშით უყურებენ თითოეულ ჩვენს ნაბიჯს, აბსოლუტურად ყველაფერს, რომ, მე ვფიქრობ, მათი მხრიდან არ არის დიდი სურვილი, თორემ შეიძლება ბევრ რამეზე თვალი დაიხუჭოს ჩვენს მისაღებად“ (მდედრ., 26-40, ქუთაისი).

„ჩემი აზრით, ნაკლებად ღირებულია საქართველო ევროკავშირისთვის, თორემ რამდენიმე პროცედურა შეიძლება დაჩქარებულად გაკეთდეს. ამხელა სახელმწიფო გვახრჩობს, გვგუდავს და მკვეთრი ნაბიჯები არ მოდის საქართველოსკენ. ჩვენ რომ მათთვის ელემენტარულ ღირებულ პოზიციაზე ვიდგეთ, დაჩქარებული ტემპი ჩვენსკენ გადმოიხრებოდა. რალაცას შემოგვთავაზებდა ისეთს, რომ რალაც გავაკეთოთ და უცებ მიგვიღებდა“ (მამრ., 26-40, ქუთაისი).

„ევროპამ უნდა გადადგას ისეთი მკვეთრი ნაბიჯები, რომ ხალხს იმედი გაგვიჩნდეს. მაგრამ არ დგამს ასეთ მკვეთრ ნაბიჯებს, მხოლოდ აღშფოთება გვესმის ჩვენ“ (მდედრ., 41-65, გორი).

ხელშემშლელი გარემოებებიდან, უპირველესად, რუსეთი სახელდება, რომელთან ურთიერთობის დაძაბვა ევროკავშირის ინტერესებში არ შედის. თუმცა, მეორე მხრივ, აღნიშნულია, რომ ევროკავშირის რეგიონში მშვიდობის და სტაბილურობის დამყარება სურს, რის გამოც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის დროს მან საქართველოს მხარდაჭერა გამოუცხადა და მხოლოდ „შემოფოთებით“ არ შემოიფარგლა, არამედ საფრანგეთის პრეზიდენტი უშუალოდ ჩაერთო მოლაპარაკებების პროცესში. მიუხედავად ამისა, რუსეთი იმ „ანგარიშგასაწევ“ ძალად მოიაზრება, რომლის გვერდის ავლაც ევროკავშირს არ ძალუძს.

„მე კიდევ ვფიქრობ, რომ ყველა ანგარიშს უწევს რუსეთს. ამიტომ [ფერხდება პროცესი], თორემ, რა თქმა უნდა, ჩვენ ისეთ გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში ვიმყოფებით, შავი ზღვის საზღვრიდან გამომდინარე. იგივე ვერაზიის დერეფანი, იგივე აბრეშუმის გზა – აუცილებლად ვჭირდებით ყველას, ჩემი აზრით; მაგრამ რუსეთის ფაქტორის გამო ყველა იკავებს თავს“ (მამრ., 41-65, ქუთაისი).

ხელშემშლელი ფაქტორია ისიც, რომ საქართველო ევროპულ სტანდარტებს ვერ პასუხობს, ის ჯერ „დავალებების შესრულების“ და „გამოცდების ჩაბარების“ ეტაპზეა, და „ალბათ, გვირაპის ბოლოს სინათლე გამოჩნდება“ (მდედრ., 41-65, თელავი). სხვა სიტყვებით, ფოკუს ჯგუფების მონაწილეები სწორედ ევროკავშირის მხრიდან პირობითობაზე საუბრობენ. მათი თქმით, ამ ეტაპზე, საქართველო არათუ იმ მთავარ ჯილდოს არ იმსახურებს, რაც ევროკავშირში განევრინებას გულისხმობს, არამედ ისეთ შუალედურ ჯილდოსაც კი, როგორც ვიზალიბერალიზაციაა, რადგან საქართველოს, როგორც

ევროპულ სახელმწიფოს, ჯერ კიდევ „გამოძერწვა და გამოქანდაკება სჭირდება.“ როგორც ზემოთ, აქაც ხაზგასმულია ევროკავშირის მხრიდან სურვილის ნაკლებობა, რომ საქართველოს მონდომება დააფასოს და შემხვედრი ნაბიჯები გადადგას.

„[საქართველო] ჩვენი მთავრობასავით არის, გამოცდებს წარმატებით აბარებენ, მაგრამ მაინც ვერ იღებენ სასურველ სამსახურებს“ (მდედრ., 41-65, თელავი).

„ევროპა რომ ჩვენ მართლა თავის ნაწილად გვთვლიდეს, ამდენ ხანს მიგვიღებდა კიდევ; მაგრამ არ ვაკმაყოფილებთ უამრავ მოთხოვნას და არც გვიხსნის ამ კარებს“ (მამრ., 18-25, ზუგდიდი).

„ჩემი აზრით, ევროპა გვიყურებს ისე, როგორც სკულპტორი უყურებს გარკვეულ მასალას, რა დადგება ამისგან. შეიძლება გვიყურებენ, რომ, აი, ამ ხალხისგან შეიძლება რაღაც დადგეს, მაგრამ ჯერ არ არის დამდგარი. ამას გამოძერწვა და გამოქანდაკება სჭირდება, დრო სჭირდება“ (მამრ., 41-65, ქუთაისი).

როდესაც საუბარია ევროკავშირზე, როგორც „სკულპტორზე“ ან „დავალეების მომცემ“ მხარეზე, გასათვალისწინებელია ევროკავშირის „ინტეგრაციის გარე უნარის“ საკითხიც. როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს უკანასკნელი ფასდება ქვეყნის შიგნით დემოკრატიული კონსოლოდაციის ხარისხით (მაგალითად, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცულობა), სახელმწიფო მმართველობის შესაძლებლობებით (მაგალითად, საჯარო სერვისების ხარისხი, კორუფციის დონე) და ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის მაჩვენებლებით. რესპონდენტები აღიარებენ, რომ ამ მიმართულებით საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი სამუშაო აქვს, ამდენად, ის ევროკავშირის რიგებში გასაწევრიანებლად მზად არ არის.

პოლიტიკურ-ეკონომიკური განზომილებების გარდა, „ინტეგრაციის გარე უნარის“ არსებითი კომპონენტია საზოგადოებრივი მხარდაჭერა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკა გავლენას ახდენს საზოგადოებრივი მხარდაჭერის ხარისხზე, კერძოდ, რაც უფრო ინტენსიურია პირობითობა ევროკავშირის მხრიდან, მით უფრო იკლებს არანეგრ ქვეყანაში ევროკავშირის მიმართ მოსახლეობის მხარდაჭერა, რამეთუ საზოგადოება იწყებს ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის აუცილებელი „საფასურის“ გაცნობიერებას (Schimmelfenning, 2014). ამ გარემოების გათ-

ვალისწინებით, „ინტეგრაციის გარე უნარი“ ევროკავშირის მხრიდან არანეკრ ქვეყნებში საზოგადოებრივი მხარდაჭერის გაზრდასა და შენარჩუნებაზე მუდმივ ზრუნვას მოითხოვს. ჩვენი ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა „ფასადური ევროინტეგრაციით“ უკმაყოფილება, შესაძლოა, სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნების მიმართ ევროკავშირის პოლიტიკის ეფექტურობას, გარკვეულწილად, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდეს. ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია, რომ 2013 წლის მონაცემებთან შედარებით, 2015 წელს საქართველოს მოსახლეობის 17%-ით ნაკლები აღნიშნავს, რომ ხმას მისცემდა საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას (CRRC, 2015).

რაც შეეხება ევროინტეგრაციის ხელშემწყობ ფაქტორებს, კვლავ ხაზი გაესვა საქართველოს გეოპოლიტიკურად მომგებიან მდებარეობას, რაც მნიშვნელოვან რესურსად მიიჩნევა კავკასიის რეგიონში ევროკავშირის პოზიციის გასაძლიერებლად. თუმცა, ეს ხელშემწყობი გარემოება, იმავდროულად, საფრთხედ აღიქმება, რადგან მიჩნეულია, რომ ევროკავშირს საქართველოს მიმართ უტილიტარული დამოკიდებულება და გეგმები ამოძრავებს. როგორც ზოგიერთი მონაწილე მიიჩნევს, ევროკავშირს საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა სამხედრო და ბიზნესის თვალსაზრისით აინტერესებს. ერთ-ერთმა რესპონდენტმა ისიც განაცხადა, რომ ევროკავშირისთვის საქართველო ერთგვარი „ნადავლია.“

„[ევროკავშირი] საქართველოთი რუსეთის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიას გააკონტროლებს. ჩვენ ზღვა გვაქვს, გასასვლელები გვაქვს; განალაგებს სარაკეტო თავდაცვის სისტემებს. მგონია, რომ სამხედრო მიზნით ვაინტერესებთ“ (მამრ., 18-25, თბილისი).

„ევროკავშირი საქართველოს იყენებს. თავის წევრად რომ მიაჩნდეს, აქამდე მიიღებდა. უნდა საქართველოს ტერიტორია; ინვესტიციების შემოსვლა ც გამოყენება – ქმნიან ბიზნესს და ქართველები რჩებიან უმუშევარი, უცხოელი შემოდის და მუშაობს. ეს ხომ გამოყენებაა?!“ (მდედრ., 26-40, გორი).

ამ შემთხვევაში, საინტერესოა ქართველების მხრიდან ევროკავშირისადმი და ევროკავშირის მხრიდან საქართველოს მიმართ უტილიტარული დამოკიდებულების შესახებ წარმოდგენების შედარება. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა წარმოდგენით, ევროკავშირისგან სარგებლის მიღების მოთხოვნა ან მოლოდინი სრულიად ლეგიტიმურია, გამომდინარე ევროკავშირის მატერიალური

კულტურის თვალსაზრისით უპირატესი მდგომარეობიდან. ზემოთ ვისაუბრეთ საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობის „გარომანტიულებაზეც“, როდესაც ევროკავშირი „მენტორის“, ხოლო საქართველო – „მონაფის“ ანუ განვითარების პროცესში მყოფი სუბიექტის როლშია. ამ დისკურსის ნაწილია მოსაზრებაც, რომ ევროკავშირი „წინ წამონევს“ განვითარებად ქვეყნებს და მათ გაძლიერებას ცდილობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჩვენი კვლევის მონაწილეთა წარმოდგენით, ევროკავშირს უბრალოდ „მოეთხოვება“, გაგებით მოეკიდოს მის მიმართ საქართველოს პრაგმატულ დამოკიდებულებას და მაქსიმალურად იზრუნოს ქვეყნის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. მეორე მხრივ, ევროკავშირის მხრიდან საქართველოსგან სარგებელის მიღების სურვილი ქართველების „გამოყენებად“ აღიქმება და, შეიძლება ითქვას, რესპონდენტებს „მენტორის“ ქცევით იმედგაცრუებული „მონაფის“ პოზიციაში წარმოაჩენს.

საქართველოს ევროკავშირში განწევრიანების პერსპექტივა

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების დამოკიდებულება საქართველოს ევროკავშირში განწევრიანების პერსპექტივის მიმართ საკმაოდ სკეპტიკური აღმოჩნდა, რაც ზემოთაც გამოვლინდა ქვეყნის ევროინტეგრაციის შემაფერხებელ ფაქტორებზე მსჯელობისას.

უპირველესად, ხაზი გაესვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, იძულებით გადაადგილებული პირების და ე.წ. გაყინული კონფლიქტების პრობლემას, რაც, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია რუსეთ-საქართველოს შორის არსებულ პოლიტიკურ დაძაბულობასთან. როგორც რესპონდენტების ნაწილი აღნიშნავს, ევროკავშირის ინტერესებში არ შედის თავის რიგებში „დაბეჩავებული“ საქართველოს მიღება, რომელსაც „თავს ამხელა სახელმწიფო [რუსეთი] ადგას ზემოდან, თანდათან წინკნის და ართმევს მიწებს“ (მდედრ., 18-25, ქუთაისი).

„თუნდაც იმიტომ არ ვართ ნევრები, რომ ქვეყანაში ამდენი დევნილი ცხოვრობს, რომლებსაც იძულებით დაატოვებინეს მიწა-წყალი. ამიტომ, თუ ქვეყანა არ გაერთიანდა, არა მგონია, ევროკავშირის კარი ჩვენთვის გაიღოს“ (მდედრ., 18-25, თბილისი).

დისკუსიის მონაწილეებმა გაიხსენეს უკრაინის შემთხვევაც, რომ-

ლის ევროინტეგრაციის პროცესი რუსეთმა 2014 წელს წარმატებით შეაფერხა. მათი აზრით, ეს არის თვალსაჩინო ნიშნები იმისა, თუ რამხელა საფრთხეს წარმოადგენს რუსეთი საქართველოსთვის. სწორედ უკრაინის გამოცდილების გათვალისწინებით, არარეალისტურად მიიჩნევა საქართველოს მთავრობის მცდელობა, რომ ევროინტეგრაციის მიმდინარე პროცესის ფონზე, იმავდროულად, რუსეთთანაც მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს.

„უკრაინა შედიოდა ევროპაში და რუსეთმა ეს გამორიცხა ომით. ჩვენც ყველანაირად შეგვიშლის ხელს“ (მამრ., 26-40, ქუთაისი).

„მთავრობის დამოკიდებულება, რომ რუსეთთანაც და ევროპასთანაც მეგობრული ურთიერთობა გვქონდეს, იმის გათვალისწინებით, თუ რას აკეთებს რუსეთი უკრაინაში, ძალიან რთულია“ (მამრ., 18-25, თბილისი).

უფრო მეტიც, რუსეთთან მეზობლობა და მისი გავლენის ქვეშ მყოფი რეგიონის წევრობა, აგრეთვე ევროკავშირთან პირდაპირი საზღვრების არქონა, საქართველოს ევროინტეგრაციის შემაფერხებელ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად მიიჩნევა.

„ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც არ გვიღებენ, არის ჩვენი მდგომარეობა და რუსეთთან მეზობლობა“ (მდედრ., 18-25, გორი).

„გეტყვით, რატომ არ არის პერსპექტივა: ევროკავშირის ქვეყნები ერთმანეთს ესაზღვრებიან, ყველას აქვს საერთო საზღვარი. საქართველოს პირდაპირი საზღვარი არ აქვს ევროკავშირთან. თუნდაც ვაჭრობის ხელშეკრულების თანახმად, როგორ უნდა დაიცვას ევროკავშირმა თავი კონტრაბანდისგან? ჩვენ მხოლოდ თურქეთს ვესაზღვრებით, რომელსაც ასევე არ უშვებენ ევროკავშირში. თურქეთს გადაახტებიან და ჩვენ მიგვიღებენ?!“ (მამრ., 41-65, თბილისი).

მართალია, დისკუსიის მონაწილეთა ნაწილს მიაჩნია, რომ რუსეთის მეზობლობა საქართველოს ევროინტეგრაციის შემაფერხებელი ფაქტორია, მაგრამ არაერთხელ გაიჟღერა მოსაზრებამაც, რომ საქართველოს ევროკავშირისთვის მიმზიდველი გეოპოლიტიკური მდებარეობა აქვს: ევროკავშირის ინტერესებში შედის კავკასიის რეგიონში, საქართველოს სახით, დემოკრატიული ქვეყნის მხარდაჭერა, რამეთუ საქართველო გახდება რეგიონში მეზობელი ქვეყნებისთვის „სამაგალითო“ სახელმწიფო. გარდა ამისა, საქართველო ევროკავ-

შირისთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ქვეყანაა, რამდენადაც ევროპისთვის და ამერიკისთვის ახლო აღმოსავლეთთან დამაკავშირებელ „დერეფანს“ წარმოადგენს.

„საქართველო თუ განევრიანდება ევროპაში, რუსეთთან ახლოს არის დემოკრატიული ქვეყანა, რომელიც შეიძლება გახდეს მაგალითი სხვა ქვეყნებისთვის. იგივე სომხეთისთვის და აზერბაიჯანისთვის, რაც არის რუსეთისთვის დამღუპველი და ევროპისთვის სტრატეგიულად მომგებიანი“ (მამრ., 18-25, ქუთაისი).

„ამერიკისთვის და ევროპისთვის სატრანზიტოდ ძალიან მნიშვნელოვანი სახელმწიფო ვართ. ამერიკისთვის საქართველო არის დერეფანი, რომლითაც ავღანეთს უკავშირდება, ირანს უკავშირდება და ა.შ., რეგიონია თვითონ მნიშვნელოვანი“ (მამრ., 18-25, თბილისი).

ევროინტეგრაციის შემაფერხებელი გარე ფაქტორების გარდა, რესპონდენტები ქვეყნის შიდა წინააღმდეგობებს საუბრობენ, რომელთაგან ერთ-ერთია საქართველოს ევროინტეგრაციის პრიორიტეტულობის შეუსაბამობა ნორმატულ და ქცევით დონეზე. ახალგაზრდა რესპონდენტები ხაზს უსვამენ, რომ მიუხედავად არსებული საგარეო პოლიტიკის დოკუმენტისა, ქართული პოლიტიკური სპექტრი არ არის შეთანხმებული იმაზე, რომ პროდასავლური კურსი ერთადერთი და შეუცვლელია საქართველოსთვის: თუ სააკაშვილის მთავრობის პირობებში ეს იყო „დოგმა“, დღეს, პრორუსული პროპაგანდის წყალობით, ქვეყანაში რუსეთის მიმართ პოზიტიური სენტიმენტების გაძლიერება შეინიშნება, რასაც ხელისუფლების მხრიდან საპასუხო რეაქცია და შესაბამისი სტრატეგია არ ახლავს.

„ჩვენს ქვეყანაში არ არის მკაფიოდ გამოხატული აზრი, საით მივდივართ. ადრე დოგმა იყო, რომ მივდიოდით ევროპისკენ, რაც ახალა ცოტა შეიცვალა, თვითონ მთავრობაშია აზრთა სხვადასხვაობა. ზოგი ამბობს, რომ მივდივართ ევროპისკენ, ზოგი კი რუსეთისკენ, ძველი დროისკენ მიილტვის“ (მდედრ., 18-25, თბილისი).

„უნდა ჰქონდეს ქვეყანას ჩამონერვილი კრიტერიუმები და რომელი მთავრობაც არ უნდა მოვიდეს, ეს კრიტერიუმები არ უნდა იცვლებოდეს. წლების უკან ქართველმა ერმა თქვა, რომ უნდა შევიდეთ ევროკავშირში, ეს უნდა იყოს ჩვენი მიზანი“ (მამრ., 26-40, ქუთაისი).

აღნიშნული პრობლემის ერთგვარ გაგრძელებად აღიქმება ისიც,

რომ მთავრობა არ ზრუნავს ევროკავშირის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდაზე. შესაბამისად, საზოგადოებაში ქვეყნის პროდასავლური კურსის მხარდაჭერა სათანადოდ ძლიერი არ არის, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს პრორუსული პროპაგანდის წარმატებას და ევროკავშირზე ნეგატიური მითების გავრცელებას. ამას ისიც ემატება, რომ საქართველოს ხმა არ ისმის საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზეც, განსაკუთრებით მაშინ, როცა, გარდამავალ პერიოდში, ქვეყანას საერთაშორისო პარტნიორების ძლიერი მხარდაჭერა სჭირდება.

„სწრაფვა გვაქვს, მაგრამ არის რამდენიმე გარემოება, რომელიც უნდა გადაილახოს. დეტალებზეა აქ უკვე საუბარი და უნდა შეჯერდეს სახელმწიფო ერთ პოლიტიკურ კურსზე და იაროს და აიყოლიოს ხალხი. რა თქმა უნდა, ამას პიარი სჭირდება და ოფიციალური დასაბუთება მოსახლეობაში“ (მდედრ., 26-40, ქუთაისი).

„ჩემი აზრით, საჭიროა თანამშრომლობა საერთაშორისო ასპარეზზე, სადაც უნდა გავიტანოთ არა მხოლოდ ჩვენი პრობლემები, არამედ მოტივაცია, რომ ჩვენ გვინდა დასავლური კურსით სვლა და აღარ გვინდა, ვიყოთ საბჭოთა კავშირის გადმონაშთი სახელმწიფო“ (მამრ18-25., გორი).

პოლიტიკურ პრობლემებთან ერთად, ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა საქართველოში ეკონომიკური არასტაბილურობის შესახებაც იმსჯელეს, რაც, ბუნებრივია, ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესს აფერხებს, ვინაიდან „კიდევ ერთი დამატებითი პრობლემა ვიქნებით ევროკავშირისთვის“ (მამრ., 18-25, თბილისი). რესპონდენტებმა კრიტიკული მოსაზრებები გამოთქვეს სამთავრობო სტრუქტურების მიმართ, აღნიშნეს რა, რომ არ ხდება საქართველოში არსებული რესურსების სათანადოდ ათვისება და მათი შემდგომი განვითარებისთვის ისეთი ინვესტიციების ჩადება, რომ ქვეყნის ეკონომიკა გაუმჯობესდეს. ისიც აღინიშნა, რომ საქართველოში ადეკვატურად არ ფასდება ისეთი მნიშვნელოვანი რესურსები, როგორცაა ნაყოფიერი მიწა და შავი ზღვა. ქვეყანას სოფლის მეურნეობის განვითარების რეალური შესაძლებლობები აქვს, თუმცა, ძირითადად, მაინც იმპორტს ეწევა. დისკუსიის მონაწილეთა შეფასებით, არც ტურიზმის განვითარებას ექცევა სათანადო ყურადღება.

„ტურიზმიც შეიძლება იყოს მიმზიდველი ევროპისთვის და ჩვენ შეიძლება შევთავაზოთ მათ ქვეყანა, როგორც ტურისტული, და ამ თვალსაზრისით გავზარდოთ ჩვენი პოტენციალი. მესმის, რომ ამაზე

არაა დამოკიდებული განვერიანება, მაგრამ ამ პოტენციალის შეთავაზება მნიშვნელოვანი მგონია. იქნება მისვლა-მოსვლა...“ (მდედრ., 18-25, ზუგდიდი).

„უბრალო ხალხი, მოქალაქეები ვერაფრს შევცლით, ყველაფერი უნდა შეცვალოს მთავრობამ. საქართველო რესურსებით მდიდარიო და რომელს ვიყენებთ? აქეთ გვაყიდინებენ ყველაფერს, ყველაფერი ძვირია. რაღაც რომ გააკეთონ, რაღაც ხელშეწყობა რომ იყოს, ისინიც [ევროკავშირი] დაინახავენ და შეიძლება მიგვიღონ“ (მამრ., 26-40, გორი).

რესპონდენტებისთვის აქტუალური საკითხია ქართული საზოგადოების პასუხისმგებლობა ქვეყნის საერთო მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, რაც მოითხოვს სამოქალაქო ცნობიერების გაზრდას. ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ქვეყნის განვითარებაზე ზრუნვა არ უნდა იყოს ცალმხრივი და მხოლოდ ხელისუფლების ვალდებულება, არამედ თავად მოსახლეობას უნდა ჰქონდეს მზაობა, იშრომოს უკეთესი შედეგების მისაღწევად. ამის ნაცვლად კი, ქართველები დაბალი სოციალური პასუხისმგებლობით გამოირჩევიან და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მომენტალურ სარგებელს ელიან. როგორც ფოკუს ჯგუფის დისკუსიანტი ახალგაზრდები აღნიშნავენ, „ქართველებს ყველაფრის ძალიან სწრაფად დასრულება გვინდა, ყველაფრისგან სწრაფად გვინდა სარგებლის მიღება“ (მდედრ., 18-25, თბილისი). იმავდროულად, ქართველების დამახასიათებელ თვისებად მხოლოდ დღევანდელი დღით ცხოვრება და სამომავლო ქმედებების დაგეგმვის უუნარობაც სახელდება, რაც „მონესრიგებული და კულტურული“ ევროპელებისგან განმასხვავებელ ერთ-ერთ ძირითად ნიშნადაა მიჩნეული.

„[ევროპელები] ძალიან მონესრიგებული და კულტურული ხალხია, ნაყოფიერებისა და შრომის დაგეგმვის თვალსაზრისით. ჩვენ შრომას ვერ ვგეგმავთ. არც ვისწავლეთ, არც გვასწავლეს. ისინი კარგად გეგმავენ, ყველაფერი ზედმიწევნით აქვთ დაგეგმილი. მე რომ მკითხონ, ხვალ რა იქნება ჩემს ოჯახში, ქვეყანაში და საზოგადოებაში, ნამდვილად არ ვიცი. ევროპაში იციან, სულ მცირე, 50 წლის განმავლობაში რა შემოსავლის წყარო ექნება ოჯახს“ (მდედრ., 41-65, თელავი).

ახალგაზრდა რესპონდენტებმა ხაზი გაუსვეს თაობებს შორის იდეოლოგიურ განსხვავებასაც, რაც არსებით გავლენას ახდენს მათ მიერ ევროინტეგრაციის ხედვაზე: ახალგაზრდებს ევროპისკენ უჭირავთ თვალი და ეს მათი ჩამოყალიბებული არჩევანია მაშინ, როდესაც

უფროს თაობას საბჭოთა მმართველობაზე უკეთესი რეალობა ჯერ არ უნახავს, მომავლის მიმართ კი პესიმისტურად არის განწყობილი.

„დროსთან ერთად იცვლება იდეოლოგიები. წინა თაობა სხვა სტანდარტებით ხელმძღვანელობს, ჩვენ კი ნათელ მომავალს ვხედავთ ევროპაში. ის, რომ რუსები მართლმადიდებლები არიან და მუდამ კარგი ძმა გვეყოლება რუსეთის სახით, ჩვენთვის ასე არ არის. ჩვენ ყველაფერს ვხედავთ, რაც ქვეყანაში ხდება. შესაბამისად, გვაქვს განსხვავებული იდეოლოგია. როდესაც ვიზალიბერალიზაციის საკითხი დაისვა და დაიწყო მოკვლევა ამ თემის ფარგლებში, ამან კიდევ უფრო მომცა იმედი, რომ რალაც იქნება. თუ იმედი არ გვაქვს, არც არაფერი მოხდება“ (მდედრ., 18-25, თბილისი).

საინტერესო დაკვირვებაა, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა უმრავლესობა საქართველოს ევროკავშირში განწევრიანებას უფრო გრძელვადიან პერსპექტივაში ხედავს (საშუალოდ, 10-15 წელი), ვიდრე კვლევის მონაწილე პოლიტიკოსები და ექსპერტები (საშუალოდ, 5-10 წელი). თუმცა, ორივე მხარე მიიჩნევს, რომ ევროკავშირში განწევრიანებამდე საქართველოს მთავარი საზრუნავი ევროკავშირის სტანდარტების დანერგვა, კრიტერიუმების დაკმაყოფილება და სამოქალაქო კულტურის ამაღლება უნდა იყოს, რაც, რესპონდენტთა აზრით, თუნდაც ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვით, რიგში დგომითა და ნარჩენების ნაგვის ურნაში გადაყრით გამოიხატება.

„ვფიქრობ, რომ შორეული პერსპექტივაა. საქართველოში არ არიან მზად იმისთვის, რომ გახდნენ ევროპის ნაწილი. ეს ეხება ყველაფერს, მიდგომებს, ნაგვის დაყრას ქუჩაში. ამ დონეზეც არ არის ხლხი მომზადებული იმისთვის, რომ ევროკავშირში გაწევრიანდეთ. ძალიან შორს ვართ“ (მდედრ., 26-40, თბილისი).

„მე არა მგონია, რომ ვინმემ თქვას, ევროპელი ვარო. ჩვენთან ძალიან დიდი დრო არის საჭირო მაგ ნიუანსებამდე მისასვლელად. თუნდაც რიგში დგომა, ელემენტარული მოქცევის წესები, როდესაც რიგში თავზე გახტებიან, ამის შეცვლას ძალიან დიდი დრო დასჭირდება“ (მდედრ., 41-65, ბათუმი).

თანამედროვე ქართულ საზოგადოებაში დაბალი სამოქალაქო კულტურის მთავარ მიზეზად კომუნისტური მემკვიდრეობა მიიჩნევა. ამდენად, განსაკუთრებით ხაზგასმულია ახალგაზრდების მოტივაციისა და შრომისმოყვარეობის როლი, რათა ევროინტეგრაციის

პროცესისთვის სასურველი სოციოეკონომიკური გარემო შეიქმნას.

„ამდენი წელი [რუსეთთან] ერთად ვიყავით, კომუნისტურმა მმართველობამ თავისი დალი დაგვასვა, საზოგადოებას დაასვა დალი. პირველ რიგში, საზოგადოებას სჭირდება გაზრდა. არ ვართ იმ დონეზე, რომ ევროკავშირის წევრები გავხდეთ“ (მამრ., 41-65, გორი).

„ეს [ქვეყნის განვითარება] მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურზე არ არის დამოკიდებული, ხალხიც უნდა იყოს მოტივირებული. არ მინდა, რომ ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ თუნდაც ის მასა, რომელსაც ეზარება მუშაობა, თუნდაც ახალგაზრდობა. ეკონომიკური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, თუ შენ თითის განძრევა არ გინდა. მოტივაცია უნდა იყოს ახალგაზრდებში, ახალი თაობა უნდა დაიტვირთოს“ (მამრ., 18-25, თბილისი).

„ფასადური ევროინტეგრაციით“ გამონვეულ იმედგაცრუებას განსაკუთრებით ხაზს უსვამენ უფროსი ასაკის რესპონდენტები. ფოკუს ჯგუფების მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, რესპონდენტებისთვის ევროინტეგრაცია ფასადურია იმდენად, რამდენადაც ა) საქართველოს მხრიდან არ იდგმება ქმედითი ნაბიჯები იმისთვის, რომ ქვეყნის ევროინტეგრაციამ ხელშესახები სარგებელი მოიტანოს და ბ) თავად ევროკავშირი აჭიანურებს საქართველოსთვის რეალური სარგებლის მიცემას. ამაზე მიაწინებებს ის გარემოება, რომ რესპონდენტები საუბრობენ, პირველ რიგში, ვიზალიბერალიზაციის გაჭიანურებაზე, აგრეთვე საქართველოს მრავალწლიან ევროინტეგრაციის პროცესში ქვეყნის წინსვლის ნაკლებობაზე.

„სამწუხაროდ, ახლანდელი და წინა ხელისუფლება მხოლოდ სიტყვებით შემოიფარგლებოდა. ევროპა, ევროპა... ამით ვჩუმდებით ბოლო 10-30 წელია, თუმცა ევროპისკენ სახელმწიფოს მხრიდან რეალური ნაბიჯი გადადგმული არ არის, რაც უნდა აისახოს მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში და განათლებაში, რომელიც ნულზე კი არა, მინუსებშია“ (მამრ., 41-65, თელავი).

„მე ვფიქრობ, რომ ხალხს გაუცრუვდა იმედები. უვიზო მიმოსვლა არ გვალირსეს, მაპი არ მოგვცეს, არ გვეხმარებიან. ხომ უნდა ჰქონდეს აზრი ევროკავშირისკენ წასვლას? ბევრი უკვე ფიქრობს, რომ აზრი არ აქვს“ (მდედრ., თბილისი, 26-40).

ამ კონტექსტში, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის მონაწილე რამდენ-

იმე პოლიტიკის ექსპერტმაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ევროკავშირის პოლიტიკური ნება, „ხელშესახები სარგებელი“ მისცეს საქართველოს, მიუხედავად იმისა, რომ ასოცირების ხელშეკრულების სახით ამის საფუძველი უკვე შექმნილია. გამოთქმული უკმაყოფილება ასიმეტრიული ძალაუფლების საკითხსაც, ანუ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის ძალაუფლებრივ იერარქიასაც ეხება (Grabbe, 2006). ამ თემის გაგრძელება საქართველოს სუვერენულობის საკითხიც, რომელსაც კვლევის მონაწილეები დისკუსიის მსვლელობისას შეეხნენ. კერძოდ, ფოკუს ჯგუფების მონაწილეები, განსაკუთრებით ახალგაზრდა რესპონდენტები, ეჭვით უყურებენ საქართველოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და აღნიშნავენ, რომ გარე პოლიტიკური ძალები საქართველოს მონაწილეობის გარეშე წყვეტენ ქვეყნის საქმეებს: „ჩვენ ვართ გათითოკაცებული ერი, რომელიც თავად კი არ წყვეტს საკითხებს, სხვა კარნახობს რაღაცეებს (მამრ., 18-25, ზუგდიდი).

„მაგალითად, ნებისმიერ შეხვედრაზე საქართველოს პრობლემა თითქმის არ განიხილება ქართველების მიერ, განიხილება სხვა ქვეყნების მიერ, განიხილავს ამერიკა და სხვ. საქართველო ვერ წყვეტს ვერაფერს. ჩვენი დამოუკიდებლობა არ ჩანს აქ, ჩვენი მმართველობიდან გამომდინარე“ (მამრ., 18-25, ქუთაისი).

მეორე მხრივ, აღინიშნა, რომ საქართველოს არ აქვს ბერკეტები, დამოუკიდებლად მიიღოს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რასაც, რეალურად, მსოფლიოში რამდენიმე პოლიტიკური ძალა აკეთებს: აშშ, ევროკავშირი და რუსეთი. ასეთ ვითარებაში კი, ევროპასთან დაახლოება რუსეთის გავლენის ქვეშ ყოფნის ერთადერთ ალტერნატივად მოიაზრება. ამდენად, კვლავ თავს იჩენს როგორც ევროკავშირის უტილიტარული ხედვა, ისე მის მიმართ საკმაოდ ამბივალენტური დამოკიდებულება: მიუხედავად საქართველოს სუვერენიტეტის შემასუსტებლად მიჩნევისა, ევროკავშირთან დაახლოება რუსეთის ექსპანსიისგან დაცვის მნიშვნელოვან სტრატეგიად მიიჩნევა.

„საქართველო დამოუკიდებლად ვერ იარსებებს, ან რუსეთი ჩაერევა, ან ევროპა. რადგან რუსეთი არ მინდა, იმედი მაქვს, რომ ევროპასთან ვიქნებით დაკავშირებული“ (მამრ., 18-25, თბილისი).

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილეები საქართველოს სიცოიპოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე საკმაოდ კრიტიკულ რეფლექსიას ახდენენ და ქართული საზოგადოე-

ბის ნაკლოვანებები (მაგ.: დაბალი სამოქალაქო კულტურა, სიზარმაცე, მოუნესრისებლობა) სააშკარაოზე გამოაქვთ. აღსანიშნავია ისიც, რომ დისკუსანტებს გაცნობიერებული აქვთ ევროკავშირის სტანდარტების ადეკვატურად დანერგვის აუცილებლობა, რათა საქართველომ უმაღლესი ჯილდო – ევროკავშირის წევრობა დაიმსახუროს. ზემოსენებულის ფონზე, მათ ნარატივებში ნიჰილისტური განწყობაც იკვეთება, რაც გამოწვეულია, ერთი მხრივ, საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობით, მზარდი და ეფექტური ნაბიჯები გადადგას ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე და, მეორე მხრივ, თავად ევროკავშირის გეგმების ბუნდოვანებით საქართველოს ინტეგრაციასთან მიმართებაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ევროინტეგრაციაზე მსჯელობისას საუბრობენ არა ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკაზე, ასოცირების ხელშეკრულებასა და მის ფარგლებში რიგი სარგებელის მიღების შესაძლებლობაზე, არამედ უშუალოდ ევროკავშირის წევრობაზე, როგორც უზენაეს სარგებელსა და რეალურ შედეგზე, რომლის დადგომის შემდეგ საქართველო უპირობოდ მოიპოვებს განვითარების და კეთილდღეობის გარანტიას, „ასოცირება კი არაფერს ნიშნავს“ (მამრ., 41-65, თბილისი). ასეთი დამოკიდებულება კვლავაც იმაზე მიუთითებს, რომ ქართული საზოგადოება არ არის ინფორმირებული ევროკავშირთან დაახლოების პროცესის კომპლექსურობაზე. აქედან გამომდინარე, ევროკავშირთან წარმატებული პოლიტიკურ-ეკონომიკური თანამშრომლობა მხოლოდ მისი წევრობის შემთხვევაში წარმოუდგენია.

ქართული პოლიტიკური ელიტა – პროევროპული დისკურსებით მანიპულირება?

ზემოთქმულიდან ცხადია, რომ მოსახლეობის ინფორმირებულობას ევროკავშირის და ევროინტეგრაციის შესახებ არსებითი როლი ენიჭება ამ პროცესის მიმდინარეობაში. მეტიც, გარდა ევროინტეგრაციის შესახებ ინფორმაციის ფლობისა, მნიშვნელოვანია მოსახლეობის მხრიდან თანამონაწილეობის განცდაც. მოსახლეობის ინფორმირებასა და პროცესებში ჩართვაზე კი უმთავრესი პასუხისმგებლობა პოლიტიკურ აქტორებს მიეწერებათ. ამდენად, პირველ რიგში, სწორედ ისინი უნდა იყვნენ სათანადოდ გათვითცნობიერებულნი, რათა დანარჩენი საზოგადოების ინფორმირება უზრუნველყონ.

ექსპერტებთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუებიდან გამოვლინდა მათი შეხედულება, რომ აუცილებელია, ქართველმა პოლიტიკოსებმა ევროკავშირის და ევროინტეგრაციის შესახებ საკუთარი ინფორმირებულობის გაზრდაზე იზრუნონ, მით უფრო, რომ მმართველ კოალიციაშიც არ არის ერთიანი ხედვა – მიუხედავად ქვეყნის გაცხადებული საგარეო კურსისა, კონკრეტული პოლიტიკური აქტორები ანტიდასავლური დისკურსების გაჟღერებასაც არ ერიდებიან. ექსპერტებისგან განსხვავებით, ფოკუს ჯგუფებში მონაწილე მოსახლეობას მიაჩნია, რომ პოლიტიკოსები შეგნებულად არ აწვდიან საზოგადოებას სათანადო ინფორმაციას ევროკავშირისა და ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ. ისინი, ერთი მხრივ, „ისე ჭრიან და კერავენ, როგორც სურთ“, მეორე მხრივ კი, შეგნებულად იყენებენ მოსახლეობისთვის გაუგებარ ენას, რადგან ამ გზით ბევრად მარტივია ადამიანებით მანიპულირება.

„იციან (პოლიტიკოსებმა) და ისე ჭრიან და კერავენ, როგორც სურთ; ჩვეულებრივ ხალხს კი ელაპარაკებიან ამ საკითხებზე ისეთი ენით, ტერმინებით, რომ მათ რთულად გაიგონ ყველაფერი. ართულებენ ძალიან და კიდევ უფრო უჭირს ხალხს გაიგოს, რა არის ევროკავშირი“ (მამრ., 18-25, ზუგდიდი).

ამავე დისკურსის თანახმად, მაშინაც კი, როცა პოლიტიკოსები კონკრეტულ ნაბიჯებს დგამენ ევროინტეგრაციის მიმართულებით, ეს არა ქვეყნის უკეთესი მომავლისთვის კეთდება, არამედ მთავარი მიზანი მოსახლეობაში „პროგრესის ილუზიის შექმნაა“, რათა ამ ფონზე თავად პოლიტიკურმა აქტორებმა ნახონ მოგება.

„დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს და ამით უნდათ, რომ საქართველოს მოსახლეობაში შექმნან პროგრესის ილუზია, რათა უფრო მშვიდად ჩაიღონ ფულები ჯიბეში“ (მამრ., 18-25, თელავი).

მოსახლეობაში არსებული ეს დისკურსები ძალიან ჰგავს პოლიტიკოსთა და ექსპერტთა დისკურსებს, რომელთა თანახმად, ქართველი პოლიტიკოსები გათვითცნობიერებულნი არიან ევროკავშირისა და ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად პროდასავლურნი არიან. ექსპერტთა და პოლიტიკოსთა თანახმად, რიგი პოლიტიკოსები ანტიდასავლურ განცხადებებს აკეთებენ არა მათი გაუთვითცნობიერებლობის, არამედ მიზანმიმართული კამპანიის გამო. მოსახლეობაში გამოკვეთილი მოსაზ-

რების თანახმად კი, ანტიდასავლური ან ბუნდოვანი განცხადებების მიღმა გარკვეული მატერიალური სარგებლის მიღების მოტივაცია იმალება.

მოსახლეობის კვლევისას გამოიკვეთა ალტერნატიული დისკურსიც, რომლის თანახმად, პოლიტიკური ელიტა კომპეტენტური ადამიანების სიმწირით გამოირჩევა, შესაბამისად, მათ არ აქვთ სათანადო ცოდნა არათუ ევროკავშირისა და ევროპეიზაციის, არამედ, ზოგადად, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი სხვა საკითხების შესახებაც. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მეტ მოთხოვნას მოსახლეობა მმართველ კოალიციას უყენებს. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკოსთა არაკომპეტენტურობაზე განსაკუთრებული ყურადღება 18-25 წლის ახალგაზრდებმა გაამახვილეს.

„დღევანდელ პოლიტიკოსებს და მთავრობას კი უნდათ ევროკავშირი, მაგრამ, რეალურად, არ შეუძლიათ მუშაობა, ანუ ვერ შედგას ის გუნდი, რომ რამე ნაბიჯები გადადგას“ (მდედრ., 18-25, თელავი).

ამგვარ პირობებში, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა სიტყვებით, პოლიტიკოსები იძულებულნი არიან, სასურველი თვითპრეზენტაციის გამო, პროევროპული განცხადებები გააჟღერონ. ამ დისკურსის თანახმად, მოსახლეობაში იმდენად მალალია პროევროპული განწყობები, რომ პოლიტიკურ აქტორებს, რომც არ იყვნენ პროევროპულნი, ელექტორატის საამებელი განცხადებების გაკეთება უნევთ, რადგან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სასურველ ხმებს დაკარგავენ.

„შეიძლება შეიცვალოს (პროევროპული პოზიციები), მაგრამ ამას ვერ იტყვიან. შეიძლება არ უნდათ ევროკავშირში შესვლა, მაგრამ ვერ იტყვიან, რადგან ხალხი გადათელავს“ (მამრ., 26-40, ბათუმი).

პოლიტიკოსების მიერ საკუთარი პროევროპულობის დეკლარირება მნიშვნელოვანია, რადგან ეროვნული კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში ევროკავშირის და ევროინტეგრაციის მხარდამჭერთა რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება მისი მოწინააღმდეგეების რიცხვს. რაოდენობრივი კვლევები ცხადყოფს, რომ, მართალია, 2009-2013 წლებთან შედარებით, საქართველოს ევროკავშირში განევრიანების მომხრეთა რაოდენობა შემცირდა, მაგრამ 2015 წელს ამ პროცესს კვლავაც მოსახლეობის სოლიდური ნაწილი – 61% უჭერდა მხარს (Eurasia Partnership Foundation, 2015). 2016 წლის მარტის მონაცემებით კი, გამოკითხულთა 77%-სთვის მისაღებია საქართველოს

მთავრობის გაცხადებული მიზანი, ქვეყანა ევროკავშირის წევრი გახდეს (NDI, CRRC, 2016). ამ აღმავალი ტენდენციის ბიძგის მიმცემი ერთ-ერთი ფაქტორი, შესაძლოა, ვიზალიბერალიზაციის მოლოდინი და მასთან დაკავშირებული უტილიტარული მოსაზრებები იყოს. მოსახლეობა პირველი რეალური სარგებლის მიღებას სწორედ ვიზალიბერალიზაციას უკავშირებს. ეს სარგებელი კი, თავის მხრივ, მარტივ მიმოსვლასთან ერთად, ეკონომიკურ წინსვლასთანაც ასოცირდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობა პოლიტიკურ აქტორთა არა მხოლოდ ნარატივებს, არამედ თანმდევ ქმედებებსაც აფასებს. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა აზრით, პოლიტიკოსთა მხრიდან, უმეტესად, პროევროპული კურსის შესახებ საუბრები ისმის, რეალურ ქმედებებს კი ნაკლებად აქვს ადგილი. ამ თვალსაზრისით, არსებული ხელისუფლება არ არის გამონაკლისი, რადგან ცალსახად პროევროპული დისკურსის მქონე წინა ხელისუფლებაც კი ხშირად „არაევროპულ“ ქმედებებს ახორციელებდა. შესაბამისად, პრობლემად რჩება ის ფაქტი, რომ ორივე – წინა და ამჟამინდელი – ხელისუფლების პირობებში ერთმანეთს უპირისპირდება პროევროპული განცხადებები და ანტიევროპული ქმედებები. ამდენად, ამომრჩეველთა მხარდაჭერის მოსაპოვებლად, მხოლოდ საკუთარი პროევროპულობის დეკლარირება საკმარისი არ არის და მას რეალური აქტივობები უნდა მოსდევდეს.

„მგონი, პოლიტიკოსები ნაკლებად არიან გადახრილი ევროპისკენ. გამოსვლებში ამბობენ, რომ უნდათ შევიდნენ ევროკავშირში, თუმცა მათი საქციელი ამ ნებას არ ასახავს. თუნდაც „გაზპრომთან“ მოლაპარაკებები, რუსეთისკენ მიმავალი გზა უფროა, ვიდრე ევროკავშირისკენ“ (მდედრ., 26-40, ბათუმი).

„პოლიტიკოსებისგან მხოლოდ სიტყვები გვესმის, რომლებიც სისრულეში არ მოჰყავთ. ცარიელი სიტყვებია; მართლა სურთ თუ არა რამის გაკეთება, ვერ გაიგებ“ (მდედრ., 26-40, ბათუმი).

აქვე, საინტერესოა მოსაზრება, რომ პოლიტიკური აქტორები დამოუკიდებლად კი არ იღებენ გადაწყვეტილებებს, არამედ „ვილაც დგას მათ უკან.“ მიუხედავად იმისა, რომ მათ კარგად იციან, რომ სწორედ „ევროპული გზა განვითარების გზა“, მაინც „ვილაცის კარნახს“ მისდევენ. რთული მისახვედრი არაა, რომ ამ „ვილაცის“ ქვეშ რუსეთი და პრორუსული ძალები იგულისხმება.

„პოლიტიკოსებმა ძალიან კარგად იციან, რა არის კარგი და რა მიმართულებით უნდა იარონ, მაგრამ, რადგან მათ არჩევანი ვილაცამ უკარნახა, ვილაც დგას მათ უკან, ისინიც ისე იქცევიან, როგორც მათ კარნახობენ. მშვენივრად იციან პოლიტიკოსებმა, რომ ევროპული გზა განვითარების გზა, მაგრამ კარნახს მისდევენ. მოსახლეობა, თავის მხრივ, ვილაცის ხართით იღებს გადაწყვეტილებას“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

აქ კომპლექსური სიტუაცია იქმნება – პოლიტიკოსები „ვილაცის კარნახს“ მისდევენ, მოსახლეობა – პოლიტიკოსებისას, რამაც, დისკუსანტთა აზრით, საზოგადოება პროცესების ცალსახად ზემოდან მართვასა და სოციალური პასუხისმგებლობის თავიდან არიდებას შეაჩვია. მათი თქმით, ქართულ საზოგადოებას მსგავსი დალი საბჭოთა რეჟიმმა დაასვა.

„პოლიტიკოსების არჩევა, ვისაც ჩვენ ქვეყნის მართვას ვანდობთ, ისევე და ისევე ჩვენ ხელთაა. ჩვენ არ ვიღებთ სწორ გადაწყვეტილებას და ეს ისევე იმიტომ, რომ მიჩვეულები ვართ, რომ ვილაც გვირჩევდა, გვინიშნავდა მმართველს. დღესაც იგივე ხდება: ვილაც მოვა, გთხოვს, ჩემი ახლობელია და იქნებ ხმა მისცე და ვიმეორებთ იგივეს. არჩევანს ქვეყნის მომავლისთვის კი არ ვაკეთებთ, არამედ ვილაცების ხართით ვიღებთ გადაწყვეტილებებს“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

ამრიგად, რესპონდენტები მხოლოდ პოლიტიკოსებს კი არ აკისრებენ ევროინტეგრაციის პროცესის წარმატებით წარმართვაზე ზრუნვას, არამედ სავალდებულოდ მიიჩნევენ მოქალაქეების მხრიდანაც შესაბამისი სოციალური პასუხისმგებლობის აღებას.

მოსახლეობის გათვითცნობიერებულობის დონე ევროინტეგრაციის საკითხებთან დაკავშირებით

როგორც აღინიშნა, ევროპეიზაციის წარმატებული მიმდინარეობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მოსახლეობის გათვითცნობიერებულობის დონეზე და პროცესში თანამონაწილეობის განცდაზე, აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად ლეგიტიმურად აღიქვამს ის ევროინტეგრაციის პროცესს. რადელის მოსაზრებით, „საკოორდინაციო დისკურსზე“ მეტად, რაც ევროპეიზაციის ლეგიტიმაციას პოლიტიკური ელიტების დონეზე გულისხმობს, მნიშვნელოვანია „კომუნიკაციური დისკურსი“, რაც პოლიტიკური კომუნიკაციის ისეთ ფორმებს მოიაზრებს, რომლებიც ფართო მასებზეა მიმართული და სწორედ მათ თვალში ახდენს

ევროპეიზაციის ლეგიტიმაციას (2003, 40). აღსანიშნავია, რომ რიგით მოქალაქეებში ევროინტეგრაციის იდეის ლეგიტიმაციის და მათი პროცესში ჩართვის მნიშვნელობა გამოიკვეთა როგორც ექსპერტთა და პოლიტიკოსთა, ისე მოსახლეობის ნარატივებიდან.

ევროკავშირის ახალ წევრ და კანდიდატ ქვეყნებში ერთ-ერთი დომინანტური დისკურსია ევროკავშირის, როგორც წესებზე დაფუძნებული ერთობის ხედვა. შესაბამისად, ეს ქვეყნები ევროკავშირის სტანდარტების დანერგვაზე ზრუნვას ევროინტეგრაციის უმნიშვნელოვანეს საფეხურად მიიჩნევენ. ხაზგასასმელია, რომ ამ პათოსს სკეპტიკურად განწყობილი მოქალაქეებიც იზიარებენ, რომლებიც ევროკავშირთან ინტეგრაციის პერსპექტივას ბოლომდე არ გამოირიცხავენ. უბრალოდ, მათთვის მნიშვნელოვანია, ჩართულნი იყვნენ პროცესებში და გრძნობდნენ, რომ ელიტებისთვის მათი აზრი ღირებულია. არსებითი მნიშვნელობისაა საჯარო სივრცეში დისკუსიის გადატანის აუცილებლობა, რათა სულ უფრო მეტ მოქალაქეს მიეცეს აზრის გამოთქმის და დისკუსიაში ჩართვის შესაძლებლობა; ვინაიდან არსებობს ალბათობა იმისა, რომ თუნდაც ნაკლებ სკეპტიკურად განწყობილმა მოქალაქეებმა „შური იძიონ“ პოლიტიკურ ელიტებზე იმით, რომ, ვთქვათ, რეფერენდუმზე მხარი არ დაუჭირონ გაფართოების იდეას (Dimitrova, Kortenska and Steunenber, 2015).

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ევროკავშირის შესახებ მოსახლეობის გათვითცნობიერების მიმართულებით საქართველოში აღმავალი ტენდენცია შეინიშნება (Eurasia Partnership Foundation, 2015). თუმცა, აღსანიშნავია, რომ ინფორმირებულობის ზრდას აუცილებლად არ მოსდევს ევროინტეგრაციის მომხრეთა რაოდენობის ზრდა, რადგან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მოსახლეობას შესაძლოა აშინებდეს ევროკავშირთან ინტეგრაციისთვის საჭირო „საფასური.“

ფოკუს ჯგუფების მონაწილენი აღნიშნავენ, რომ უფროსი ასაკის მოსახლეობა მეტად უფროსის ევროინტეგრაციის „გვერდით მოვლენებს“, ვიდრე ახალგაზრდები. მიუხედავად იმისა, რომ მათ ნარატივებში არ ვლინდება არსებითი სხვაობები ასაკობრივი ნიშნით, თავად ხაზს უსვამენ, რომ ქართულ რეალობაში ამგვარი სხვაობები თვალსაჩინოა: ახალგაზრდები უფრო მეტად უჭერენ მხარს ევროინტეგრაციას, ვიდრე უფროსი ასაკის მოსახლეობა, რასაც, მათი შეფასებით, სწორედ ინფორმაციისადმი წვდომა განაპირობებს. რადგან ახალგაზრდებს უფრო მიუწვდებათ ხელი ინტერნეტზე, ჩართულნი

არიან საინფორმაციო კამპანიებში, გადიან სამოქალაქო განათლების გაკვეთილებს ან მონაწილეობენ სხვადასხვა ტრენინგში, ისინი უკეთ აცნობიერენ ევროინტეგრაციის სიკეთებს. უფროსი თაობის წარმომადგენლები კი, მათი თქმით, ინფორმაციის ნაკლებობით გამოირჩევიან, ამიტომ ისინი ევროინტეგრაციას საფრთხედ აღიქვამენ როგორც ეროვნული იდენტობისთვის, ისე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის (რუსეთის აგრესიის გაზრდის შიშით). აქვე ხაზგასმულია „ევროსკეპტიკოსი“ უფროსი თაობის წარმომადგენლების იდეოლოგიური დაპირისპირება დასავლურ ღირებულებებთან, რუსეთის, როგორც ერთმონწილისა და ახლო მეზობლის, არგუმენტის მოშველიებით. გასათვალისწინებელია მოსაზრებაც, რომ საბჭოთა კავშირში ცხოვრებამ ასაკოვანი ადამიანების ღირებულებებს ნეგატიური დალი დაასვა, შესაბამისად, ახალ რეალობასთან ადაპტაცია უჭირთ.

ერთ-ერთი დომინანტური დისკურსის თანახმად, მოსახლეობის არაინფორმირებულობის მიზეზები მთავრობის პასიურობასა და პროევროპული რიტორიკის ნაკლებობაში უნდა ვეძიოთ. განსაკუთრებით საფრთხის მატარებლად მიიჩნევა საქართველოს მთავრობის პასიურობა რუსული პროპაგანდის გაძლიერების პირობებში. აღსანიშნავია, რომ, როგორც ევრობარომეტრის სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, ევროკავშირის მიმართ განწყობებზე უშუალო გავლენას თავად ევროკავშირი არ ახდენს. ყველაზე ძლიერი ფაქტორი, რაც გავლენას ახდენს ევროკავშირისადმი მოსახლეობის განწყობებზე, არის ადგილობრივი პოლიტიკური აქტორების ქმედება ქვეყნის შიდა და ევროპულ დონეზე. ამდენად, მოსახლეობის განწყობა ევროინტეგრაციისადმი უშუალო კავშირშია მთავრობის წარმატებულ საშინაო პოლიტიკასთან. შესაბამისად, ევროპეიზაცია არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც მთავრობის მიერ მოსახლეობისთვის დასახული განწყობებული მიზანი ან ქვეყანაში ევროკავშირის წარმომადგენლების აქტიურობის პირდაპირი შედეგი (Dimitrov, Harlampiev and Stoychev, 2015, 18).

რესპონდენტების აზრით, იმის გამო, რომ ევროინტეგრაციის პოპულარიზაცია აქტიურად აღარ მიმდინარეობს, ევროკავშირის მხარდამჭერთა რიცხვი შემცირდა და, რუსული პროპაგანდის გაძლიერების ფონზე, პრორუსულად განწყობილი მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდა. აღნიშნულ მოსაზრებას რეპრეზენტატიული კვლევის შედეგებიც ადასტურებს, რომლის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის ევროკავშირისადმი ნდობის მაჩვენებელი 34%-მდე შემცირდა, როცა 2009 წელს ის 54%-ს შეადგენდა (Eurasia Partnership

Foundation, 2015, 15). აღნიშნულ მონაცემებს, გარკვეულწილად, NDI-ის 2015 წლის აგვისტოს მონაცემებიც ამყარებს, რომლის თანახმად, მოსახლეობის 44%-ის აზრით, ბოლო ხანებში (2012 წლის შემდეგ) საქართველოზე რუსეთის გავლენა გაიზარდა და მხოლოდ 17% მიიჩნევს, რომ ევროკავშირის გავლენა გაზრდილი (NDI, CRRC, 2015).

„რამდენიმე წლის წინ თუ ევროკავშირის მეტი მხარდამჭერი ჰყავდა გამოკითხვებით, ახლა შემცირდა კატასტროფულად. რატომ? იმიტომ, რომ, თუ ადრე მედიით 24 საათის მანძილზე გაიძახოდნენ, კარგია ევროპაში, ახლა ამას ასე ხმამაღლა და ხშირად აღარ ამბობენ. პროპაგანდა-აგიტაცია მიდიოდა და შედეგიც იყო, ახლა კი რუსული პროპაგანდა და ნაკლებია ევროკავშირის მხარდამჭერიც“ (მედერ., 26-40, ზუგდიდი).

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები, ერთი მხრივ, ხელისუფლებას ადანაშაულებენ პროევროპული რიტორიკიდან გადახვევასა და მოსახლეობის არაინფორმირებულობის ხელშეწყობაში; მეორე მხრივ კი, მედიასაშუალებების პასიურობასა და პოლიტიკურ მიკერძოებას უსვამენ ხაზს. თუმცა, ეს ორი პრობლემა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განიხილება, რადგან მიჩნეულია, რომ სწორედ ხელისუფლება ცდილობს მედიის კონტროლს.

„რალაც ეტაპზე მედია არ აშუქებს ყველაფერს ზუსტად, ცოტა უნდა გაიზარდოს ევროკავშირის თემის აქტუალურობა, დაინტერესება რომ მოხდეს... თავისი კონკრეტული პირობები აქვს მედიას, მაგრამ ასე ვიტყვოდი მე, რომ გავლენის ქვეშ არის და საქართველოს მოსახლეობას იმიტომ არ აქვს შესაძლებლობა, ევროპის შესახებ ვრცელი ინფორმაცია მიიღოს“ (მამრ., 18-25, ქუთაისი).

როგორც ირკვევა, ინფორმირებულობის თვალსაზრისით, სოფლის მოსახლეობა ყველაზე მძიმე მდგომარეობაშია. მათ ნაწილს ძალიან მწირი ან საერთოდ არ აქვს ინფორმაცია ევროკავშირის შესახებ, რისი მიზეზიც, ხშირად, მიზანმიმართული დეზინფორმაცია (რუსული „რბილი ძალის“ თუ პრორუსული პოლიტიკური პარტიების გავლენით) ან ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაციაა, რამაც შესაძლოა, ევროკავშირის მიმართ აგრესიაც კი გამოიწვიოს.

„თვითონ სოფელში ვცხოვრობ და არა აქვთ ინფორმაცია საერთოდ და უკვე აღიზიანებთ, ევროკავშირს რომ იგებენ. იმდენად ცუდად აქვთ ეს ინფორმაცია მიღებული, ინფორმაციას ცუდად ალბათ ტელევიზიიდან იღებენ...“ (მამრ., 18-25, თელავი).

ერთ-ერთი დისკურსის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ არაერთი საინფორმაციო კამპანია ტარდება სხვადასხვა დანტერესებული ჯგუფისა თუ ორგანიზაციის მიერ, ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელ ინსტიტუტებს თუ პიროვნებებს თავად არ აქვთ საკმარისი კვალიფიკაცია, ამიტომ არათანმიმდევრული და მოსახლეობისთვის გაუგებარი ფორმით ხდება კომუნიკაცია. ზემოთქმულის დადასტურებაა ის, რომ რესპონდენტთა აზრით, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია ცდილობს, მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლებიდან პირადი სარგებელი მიიღოს და მიუხედავად კომპეტენციის ნაკლებობისა, სხვადასხვა ტრენინგს ატარებს, რაც, სინამდვილეში, საზოგადოების ინფორმირებულობის დონეს არ ზრდის. აღნიშნული პრობლემა ექსპერტებთან სიღრმისეული ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა.

„გაცნობიერების დონე მოსახლეობაში არაა მაღალი. მართალია, რომ არსებობს კონკრეტული ღონისძიებები, იგივე სამოქალაქო განათლებას სწავლობენ სკოლებში, არის ტრენინგები და არსებობს გარკვეული წყაროები ინფორმაციის მოპოვების, მაგრამ ყველაფერი დასახვეწია. მოდის ინფორმაცია, მაგრამ ხშირად პრობლემა ისაა, რომ ინფორმაციის მომწოდებლები არაკომპეტენტურები ან ნაკლებად კომპეტენტურები არიან“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

„არაორგანიზებულად ხდება ინფორმაციის მიწოდება. შეურაცხყოფას არავის ვაყენებ, მაგრამ ბევრმა თავისი დაჯგუფებები, არასამთავრობოები გახსნა და ყველამ დაიწყო რაღაც ტრენინგების ჩატარება. ვინც ატარებს ტრენინგს, კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეს, უნდა ერკვეოდეს კარგად და არ უნდა იყოს ვიღაცის კონტროლის ქვეშ, ჩემი აზრით“ (მდედრ., 18-25, თელავი).

საგულისხმოა რესპონდენტთა თვითკრიტიკული დამოკიდებულება ქართულ საზოგადოებაში განათლების დონის მიმართაც. ევროკავშირის და ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ არაინფორმირებულობის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სწორედ საზოგადოებაში არსებული განათლების დაბალი დონე მიიჩნევა, რაც ხელს უშლის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს, სწორად შეაფასოს ევროინტეგრაციის თანმხლები სიკეთეები თუ გამოწვევები. სწორედ განათლების დეფიციტი მიიჩნევა იმის მიზეზად, რომ მოსახლეობის გარკვეული სეგმენტი ევროკავშირსა და ევრაზიულ კავშირს ვერ არჩევს ერთმანეთისგან. NDI-ის 2015 წლის აგვისტოს მონაცემებით,

რესპონდენტების 12% როგორც ევროკავშირში, ისე ევრაზიულ კავშირში განეწიანების მომხრეა. შესაძლოა ისინი ფიქრობდნენ, რომ ორივეს წევრობით უფრო მეტ სარგებელს მიიღებენ, თუმცა უდავოა, რომ არა აქვთ გააზრებული ის ფუნდამენტური სხვაობები, რაც ამ ორ კავშირს უდევს საფუძვლად. ინფორმირებულობის დეფიციტზე მიუთითებს ისიც, რომ რესპონდენტთა 63%-ს გაუგია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების შესახებ, თუმცა მხოლოდ 28%-მა იცის, რომ ასოცირების ხელშეკრულება საქართველოს მოქალაქეებს ევროკავშირის ქვეყნებში მუშაობის უფლებას არ აძლევს (Eurasia Partnership Foundation, 2015, 7).

„ხშირად მოისმენთ, ალბათ, კარგია ევროკავშირშიო. რეალურად რა მოაქვს ამას, არ იცის ხალხმა. რომ ჰკითხო, ევროკავშირი თუ ევრაზიული, ორივეზე გეტყვით, კარგიაო და მთავარია, რომელიმე კავშირში იყოს და სულ არ ფიქრობს, რომელს რა მოაქვს“ (მამრ., 41-65, ზუგდიდი).

მიუხედავად ზემოთქმული კრიტიკული მოსაზრებებისა, გამოითქვა ალტერნატიული აზრიც, რომ დღეს აქტიურად ტარდება პროევროპული საინფორმაციო კამპანიები და რომ ბოლო პერიოდში როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო სექტორის მიერ განსაკუთრებით გაიზარდა მოსახლეობისთვის ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის მინოდება. უბრალოდ, მოსახლეობამ ეს ყველაფერი სათანადოდ რომ გაიაზროს, დროა საჭირო.

„მე მგონი, ინფორმაციულ ვაკუუმში მართლა არ ვართ. ინფორმაცია არსებობს და თუ გვინდა რამე გავიგოთ, გავიგებთ კიდეც. მაგრამ ამ ყველაფერს სჭირდება დრო, რომ ბევრმა ადამიანმა გაიგოს. ტარდება ღონისძიებები, ტრენინგები, შეხვედრები, უბრალოდ ყველა არაა ამაში ჩართული და დროის ფაქტორია, ნელ-ნელა სულ უფრო მეტი ადამიანი გაეცნობა ინფორმაციას. უბრალოდ, გააჩნია, ვის აინტერესებს და ვის არა ეს ინფორმაცია“ (მდედრ., 26-40, ზუგდიდი).

„ერთი მინდა აღვნიშნო, ასოცირების ხელშეკრულებიდან ბოლო ორი თვეა 4-5 ტრენინგზე ვიყავი ევროკავშირის მიმართულებით. ადრე იყო, მაგალითად, გენდერულ თანასწორობაზე, ახლა ყველაგან ტარდება ტრენინგი ევროკავშირზე; ტენდენცია ნამოვიდა, მე ვგრძნობ. ეს მიზანმიმართულად ხორციელდება და ძალიან კარგიც არის იმიტომ, რომ ნელან ვახსენეთ ინფორმაციის დეფიციტი“ (მამრ., 18-25, თელავი).

ევროინტეგრაციის საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლების გზები

ევროინტეგრაციის საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლების ერთ-ერთ უმთავრეს გზად რესპონდენტებს მედიასაშუალებები ესახებათ, მათი საკომუნიკაციო ფუნქციიდან და გავრცელების არეალიდან გამომდინარე. ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ ტელევიზია რჩება და როგორც რეპრეზენტატიული რაოდენობრივი კვლევები აჩვენებს, რესპონდენტთა 79%-ს სურს, რომ ევროკავშირის შესახებ მეტი ინფორმაცია მიიღოს ტელევიზიიდან, ხოლო 16%-ს – სოციალური ქსელებიდან (Eurasia Partnership Foundation, 2015, 9).

„მედია ასრულებს ძალიან დიდ როლს ინფორმირებულობის თვალსაზრისით. საზოგადოებაში ევროკავშირის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების ხელშესანყობად გადაცემების მომზადებაც შეიძლება, თუნდაც სოციალურ ქსელებში რეკლამა, ფლაერების დარიგება“ (მედერ., 18-25, გორი).

ახალგაზრდა რესპონდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ინფორმირებულობის ასამაღლებლად საუკეთესო საშუალება სოციალური მედიაა, რადგან ტრადიციული საინფორმაციო საშუალებებისგან განსხვავებით, რომლებიც, რესპონდენტთა სიტყვებით, ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის გავლენის ქვეშ ექცევა და ამიტომ ნაკლებ სანდოა, სოციალური მედია სხვადასხვა არხიდან ინფორმაციის თავისუფლად წვდომისა და ობიექტური წყაროს არჩევის საშუალებას იძლევა.

„ყველაზე კარგი წყარო მაინც ინტერნეტი მგონია იმიტომ, რომ რა ინფორმაციასაც ვეძებ, მე თვითონ ვიღებ. ტელევიზია იმას გეუბნება, რაც თვითონ უნდა, ინტერნეტით მაქვს შესაძლებლობა, ასე თუ ისე, ავირჩიო. მე შემძლია განვასხვავო ობიექტური წყარო, რომლიდანაც ინფორმაციას მივიღებ და დავიჯერებ. მაგრამ ტელევიზია და გაზეთები მაინც არასანდო მგონია იმიტომ, რომ იმას აწვდიან, რაც თვითონ უნდათ და პირდაპირ გავლენას ახდენენ მასაზე“ (მამრ., 18-25, ქუთაისი).

მოსახლეობაში ევროკავშირისა და ევროპეიზაციის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლების უმნიშვნელოვანეს სუბიექტად მთავრობა მოიზრება, რადგან ის ფლობს შესაბამის ადმინისტრაციულ რესურსს და კომპეტენციას, რომ ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის გავრცელება უზრუნველყოს. ზოგიერთი რესპონდენტი მთავ-

რობის მოსახლეობასთან კომუნიკაციის გარკვეულ სქემასაც კი სახავს; კერძოდ, ცენტრალური ხელისუფლებით დაწყებული და, მუნიციპალიტეტების გავლით, სოფლის რწმუნებულებით დასრულებული, მნიშვნელოვნად მიაჩნიათ კოორდინირებული საქმიანობა, მოსახლეობისთვის ევროკავშირის შესახებ სათანადო ინფორმაციის მისაწოდებლად, განსაკუთრებით ცენტრიდან დაშორებულ რეგიონებში.

„სახელმწიფო უწყებებიდან უნდა მოდიოდეს ეგ დატვირთვა, რომ თუნდაც სვანეთში ან ისეთ რეგიონში თვითონ მუნიციპალიტეტებს უნდა დაავალო. ჰყავთ მათ წარმომადგენლობა, სოფლის გამგებლები, რომლებმაც უნდა გააცნონ მოსახლეობას ინფორმაცია“ (მამრ., 26-40, ქუთაისი).

აქვე გამოითქვა კრიტიკული მოსაზრება, რომ ხელისუფლება არაა თანამიმდევრული ევროინტეგრაციის პროცესში და, გარკვეულწილად, ორმაგ სტანდარტს მიჰყვება, რადგან, ერთი მხრივ, ევროკავშირისადმი მისწრაფების დეკლარირებას ახდენს, მეორე მხრივ კი – საბჭოთა სიმბოლიკის რეაბილიტაციას, როგორცაა სტალინის მემკვიდრეობის ხაზგასმა თუ რუსეთთან ლოიალური პოლიტიკის წარმოება.

„როდესაც ხდება სტალინის ფიგურის წამოწევა და ამაზე მიგანიშნებენ და პარალელურად ევროკავშირისკენ მიდიხარ, ეს ორმაგი სტანდარტია“ (მამრ., 41-65, გორი).

ზოგადად, უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის დადანაშაულება პრორუსულ ორიენტაციაში ან რუსეთთან დამთმობი პოლიტიკის წარმოებაში ფოკუს ჯგუფების დისკუსიას მუდმივად გასდევდა; კერძოდ, საუბარი იყო იმაზე, რომ არსებული მთავრობა ევროინტეგრაციის პოპულარიზაციის თვალსაზრისით საკმაოდ პასიურია, წინა ხელისუფლებასთან შედარებით, რომლისთვისაც აღნიშნული თემატიკა პრიორიტეტული იყო. მსგავსი დამოკიდებულება, გარკვეულწილად, ყოფილი ხელისუფლების რიტორიკას უკავშირდება მისი პროდასავლური კურსის ექსკლუზიურობაზე, რომლის შესახებ ექსპერტულ კვლევაშიც აღინიშნა. მის ფარგლებში რამდენიმე რესპონდენტი ოპოზიციიდან „ქართულ ოცნებას“ ანტიდასავლურ კურსშიც ადანაშაულებდა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის 2015 წლის გამოკვლევა, რომლის თანახმად, რესპონდენტთა 47% მიიჩნევს, რომ ევროპულ ღირებულებებს „ნაციონალური მოძრაობა“ იზიარებს, 24%-ის აზრით კი – „ქართული ოცნება“ (16).

რესპონდენტების ნაწილს ევროკავშირის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის საუკეთესო გზად საჯარო შეხვედრების ორგანიზება ესახება, რასაც, მათი აზრით, სისტემატური ხასიათი უნდა ჰქონდეს, რომ თანმიმდევრულად და ეტაპობრივად მოხდეს ინფორმაციის მიწოდება. ასევე, მნიშვნელოვნად მიაჩნიათ ბექდური საინფორმაციო საშუალებების გავრცელება, სადაც მარტივად და თვალსაჩინოდ იქნება შეჯამებული ინფორმაცია ევროკავშირის საქმიანობის შესახებ. ინფორმაციის მიწოდების ეფექტურ გზადაა მიჩნეული სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოსახლეობასთან ფოკუს ჯგუფის ტიპის დისკუსიებისა თუ ტრენინგების ჩატარება. გამოითქვა მოსაზრება ე.წ. „საზოგადოებრივი აზრის ლიდერების“ გზით ინფორმაციის გავრცელების შესახებაც, განსაკუთრებით პერიფერიულ სასოფლო დასახლებებში, რადგან მოსახლეობა სწორედ მათ ენდობა. ამდენად, რესპონდენტთა აზრით, ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის გავრცელების კამპანიაში ყველა შესაძლო რგოლი უნდა იყოს ჩართული, იქნება ეს ხელისუფლება, მედიასაშუალებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, თუ თუნდაც ამა თუ იმ მცირე დასახლების ავტორიტეტები.

„აპრობირებული მეთოდები, რაც არის, მაგალითად, ბუკლეტების სახით ინფორმაციის მიწოდება, ვიდეორგოლებით მიწოდება და ა. შ., თუმცა ეს არის ფრაგმენტული ხასიათის ინფორმაცია და მინც-დამინც დიდ ეფექტს ვერ იძლევა. ამ შემთხვევაში, საჭირო იქნება ამ ტიპის შეხვედრები (ფოკუს ჯგუფები). მართალია, ამ შემთხვევაში, ასეულობით ადამიანის მობილიზება ერთ ადგილზე თითქმის შეუძლებელია, მაგრამ შესაძლებელია რამდენიმე ათეული ადამიანის ცოდნის ამაღლება. ესეც მნიშვნელოვანია და, რაც მთავარია, სოფლების მაგალითზე, ეს შეიძლება იყოს ე.წ. ელიტა, რომლებიც გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობენ ადამიანებში და შემდგომში მათ გაავრცელონ ინფორმაცია“ (მამრ., 18-25, თელავი).

ამასთან, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია სწორად განისაზღვროს სამიზნე ჯგუფები, ვინაიდან სხვადასხვა ასაკის, განათლებისა და პროფესიის ადამიანს განსხვავებული მიდგომა სჭირდება, შესაბამისად, საინფორმაციო კამპანია მათი ინტერესების და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს. აქვე ხაზი გაუსვეს, რომ უმნიშვნელოვანესია შესაბამისი ინფორმაციის გასაგებ ენაზე მიწოდება, რადგან გაუგებრად მიწოდებულმა ინფორ-

მაცამ არათუ ინფორმირებულობის დონის ამაღლება და ევროინტეგრაციისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირება, არამედ, პირიქით, შესაძლოა მოსახლეობის გაღიზიანება გამოიწვიოს.

„სამიზნე ჯგუფები უნდა განისაზღვროს ცალცალკე. გლახს უნდა დაელაპარაკო, კონკრეტულად შენ რა სარგებელს მიიღებ ევროპისგან და რა შეიძლება საფრთხე შეგექმნას. მან ყველაფერი უნდა იცოდეს სწორად. გლახს ცალკე, პადაგოგს ცალკე. პედაგოგები არიან მნიშვნელოვანი სეგმენტი, ჩემი აზრით, რომლებიც მომავალ თაობასთან უშუალო კონტაქტში არიან და იმათ არა აქვთ სწორი მიმართულება. მე ვისთვისაც მომისმენია, პედაგოგებმა არ იციან და ისინი ვერაფერს ასწავლიან“ (მამრ., 26-40, თელავი).

„გლახს აუცილებლად სჭირდება სწავლება. ჩვენი გლახი ძალიან შრომისმოყვარეა, მაგრამ მას სწორად სჭირდება ინფორმაციის მიწოდება. მე მახსენდება რუსეთის ისტორია, როდესაც კარტოფილი შეიტანეს, არ უთხრეს, რომ ბოლქვი ეჭამათ და ჭამდნენ ზედა ნაწილს. დაიწყო პროტესტი, რომ გვწამლავენო. აქაც მოხდება იგივე“ (მამრ., 41-65, თელავი).

ევროკავშირის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის კუთხით, ფოკუს ჯგუფის მონაწილეები ყურადღებას ამახვილებენ თავად მოსახლეობის განათლების დონის ამაღლების მნიშვნელობაზე. გამოითქვა მოსაზრებები ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებებში ევროკავშირის შესახებ საგნის შემოღებაზე. ხაზი გაესვა თავად ოჯახის და სასკოლო გარემოს განსაკუთრებულ როლს და ამ უკანასკნელის თანამშრომლობის მნიშვნელობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან, როგორც ევროკავშირის შესახებ ინფორმაციისა და დასავლური ღირებულებების გამავრცელებელ ძირითად აგენტებთან.

„პირველ რიგში, სკოლაში უნდა დაინერგოს [საგანი ევროკავშირის შესახებ]. თავიდანვე უნდა დაინტერესდნენ. 40 წლის ზემოთ ადამიანებს ვეღარაფერი დაინტერესებს. როდესაც თავიდანვე დაინტერესებულები იქნებიან, სურვილიც ექნებათ“ (მამრ., 18-25, გორი).

„ეტყობა, ოჯახი მოქმედებს 17-18 წლის ბავშვებზე, რომლებსაც აქვთ დავა, ევროპა უკეთესია თუ რუსეთი. ამიტომ ჯერ მშობლები უნდა აღეზარდათ ამათ, თუ უნდოდათ ევროინტეგრაცია, რომ შემდგომ ამ იდეებზე ბავშვები გაზრდილიყვნენ. მაგრამ, საბედნიეროდ, ხანდახან ისეთი ორგანიზაციები შემოდიან... ჩემი შვილები პირველ სკოლაში სწავ-

ლობენ. შემოვიდა ორგანიზაცია და იყო წამახალისებელი საჩუქარი, ვინც ბევრი რამ იცოდა ევროპის შესახებ და ძალიან ბედნიერი იყო იმ დღეს ჩემი შვილი, რომ აჯობა ჯგუფში ყველას“ (მდედრ., 41-65, ქუთაისი).

ერთ-ერთი ნარატივის თანახმად, ინფორმირებულობის გაზრდა არ უნდა გულისხმობდეს ევროკავშირის შესახებ მხოლოდ პოზიტიური ინფორმაციის მიწოდებას, არამედ სხვადასხვა პერსპექტივიდან გაანალიზებას და დადებითი და უარყოფითი ასპექტების ადეკვატურად შეფასებას. რესპონდენტებს პრობლემად მიაჩნიათ, რომ საზოგადოების ბევრი წევრისთვის ევროინტეგრაცია ზედმეტად ოპტიმისტურ მოლოდინებთან ასოცირდება და ნაკლებ – იმ პასუხისმგებლობასთან და გამონწვევებთან, რომელიც ამ პროცესს თან ახლავს; ამდენად, ფიქრობენ, რომ მოსახლეობის მიერ ევროპული არჩევანი ნაკლებ გააზრებულია.

„მე ჩამივარდა ხელში წიგნი სათაურით: „რა არის ევროკავშირი? ჩვენ ვალდებული ვართ, ჩვენ მომავალ თაობას ზუსტად გავუწეროთ, რა ექნებათ, თუ შევალთ და რა არ ექნებათ, თუ არ შევალთ. რადგან აკლია რეკლამა, ინფორმირებულობა, ბავშვებს ჰგონიათ, რომ თუ შევალთ, საზღვრები გაიხსნება და ესპანეთში პლაჟზე წამოწვებიან. ასე არ არის. ზუსტად უნდა იცოდნენ, რას ვუტოვებთ, რომ მერე საფლავში ჩასულები არ გვწყევლონ (მდედრ., 41-65, თელავი).

„უნდა დაანახო კარგიც და ცუდიც და პერსპექტივები უნდა დაინახოს ადამიანმა, რომ დაფიქრდეს და მიიღოს გადაწყვეტილება, რეალურად უნდა თუ არ უნდა ევროპა“ (მდედრ., 41-65, თელავი).

მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის საუკეთესო საშუალებად ევროპასთან გახსნილი საზღვრები და მის ფარგლებში საქართველოს მოსახლეობის აქტიური გადაადგილება დასახელდა, რაც განსაკუთრებით უწყობს ხელს ევროპაში მიღებული ცოდნისა და გამოცდილების საქართველოში გამოყენებას. აქ გამოიკვეთა ევროპაში წასული შრომითი მიგრანტების როლი, რომლებსაც დასავლურ ღირებულებებთან თუ ცხოვრების წესთან პრაქტიკული შეხება აქვთ, ჩამოსვლის შემდეგ კი – თავიანთ გამოცდილებას ადგილობრივ მოსახლეობას გაუზიარებენ. მეორე მხრივ, ყურადღება გამახვილდა მოსწავლეთა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების მნიშვნელობაზე, რადგან მოზარდი ჯერ კიდევ ღირებულებების ფორმირების პროცესშია და მისი დარწმუნება უფრო მარტივია, ვიდრე ზრდასრული ადამიანისა ჩამოყალიბებული ღირებულებათა სისტემით.

„ის ხალხიც, რომლებიც ამ წუთში ევროპაში იმყოფებიან, ზოგი მომვლელად, ზოგი რალაც მშენებლობაზე მუშაობს, ის ხალხი თუ საქართველოში დაბრუნდა... აი, მე ვინც ვიცი, ზოგი საბერძნეთშია, ზოგი იტალიაშია წასული, ზოგი ესპანეთში. იმათ დაინახეს ერთი წელი, ორი, ხუთი... არ შეიძლება, იმათ გავლენა არ მოახდინონ ჩვენზე. ჩამოვა ის თაობა და და ჩვენი ინტეგრაცია მოხდება ამ კუთხით“ (მამრ., 41-65, ქუთაისი).

„მე მგონია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია გაცვლითი პროგრამები. ძალიან ბევრი ბავშვია უკვე, რომელმაც ამ პროგრამებით ევროპაში იმოგზაურა, იქ რალაც დრო გაატარა და ეს დაგროვილი ცოდნაც და ინფორმაციაც ჩვენამდე მოიტანა. ესეთი გაცვლები თუ ხშირი იქნება, ეს იქნება ყველაზე კარგი გზა, უფრო სწრაფად დაკავახლოვდეთ ევროპას“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

ევროპეზაციის გავლენა მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე

ფოკუს ჯგუფების მონაწილეების და ექსპერტების მოსაზრებები, თუ როგორ აისახა ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგები მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, თითქმის იდენტურია. ექსპერტებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელშეკრულების ხელმოწერით „დაძრული ყინული“, რაც, თავის მხრივ, არაერთ საკანონმდებლო ინიციატივას იწვევს და რამაც ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებას უნდა შეუწყოს ხელი. ამ თემაზე მსჯელობისას მოსახლეობა უფრო კრიტიკულია და მიიჩნევს, რომ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შედეგად მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა. ამ მოსაზრებას იზიარებენ როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობის რესპონდენტები. მოცემული სკეპტიკური მოსაზრებები შესაძლოა გამოწვეული იყოს იმ მყისიერი დადებითი შედეგების მოლოდინით, რომელიც ქართულ საზოგადოებას ასოცირების პროცესთან დაკავშირებით ჰქონდა. აღნიშნულ პრობლემაზე სიღმისეული ინტერვიუებში მონაწილე ექსპერტებმაც გამამხვილეს ყურადღება, ხაზი გაუსვეს რა მოსახლეობის შესაძლო იმედგაცრუებას ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებული არარეალისტური მოლოდინებიდან გამომდინარე. თუმცა, კვლ-

ევამი მონაწილე მოსახლეობის ნაწილი მიიჩნევს, რომ ასოცირების ხელშეკრულებას ვერ ექნებოდა მყისიერი შედეგი, შესაბამისად, არც განსაკუთრებული მოლოდინი ჰქონდათ. აღნიშნული დოკუმენტის ხელმოწერა აღიქმება, როგორც ევროინტეგრაციისკენ სწრაფვის ფორმალური დადასტურება, რომელიც უფრო რიტორიკის დონეზე რჩება და აჩვენებს, რომ საქართველოში ევროპეიზაციის პროცესი ჯერ კიდევ არ გადასულა დისკურსულიდან ქმედების ეტაპზე, თუმცა მაინც მნიშვნელოვანი „წინ გადადგმული ნაბიჯია.“

„ჩემი მეზობელი ისევ ფანჯრიდან ისვრის ნაგავს... ლაპარაკი ლაპარაკად დარჩება, თუ რაღაც არ გააკეთე. ეს ხელშეკრულება, ალბათ, ფორმალურად ჩვენი პროევროპული პოზიციის დაფიქსირებას ნიშნავს“ (მამრ., 18-25, თბილისი).

„შეიძლება ჩვენს ოჯახებს ასე არაფერი დაეტყო, არც ავშენდით და არც დავიქეციტ, მაგრამ ეს არის ძალიან დიდი წინ გადადგმული ნაბიჯი და წინაპირობა იმისა, რომ ოდესმე გავხდებით ევროკავშირის წევრი“ (მდედრ., 18-25, თბილისი).

მიუხედავად დომინანტური პოზიციისა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შედეგები მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე არ ასახულა, ზოგიერთი რესპონდენტი უკვე გამოყოფს იმ ხელშესახებ სარგებელს, რაც საზოგადოების გარკვეულმა სეგმენტმა მიიღო და ასოცირების ხელშეკრულების დამსახურებაა. მათი აზრით, ეს, უმეტესად, სოფლის მეურნეობისა და ბიზნესის სექტორში დასაქმებულ ადამიანებს შეეხო, თუმცა თანდათანობით სხვა სფეროებზეც აისახება და საქართველოს თითოეული მოქალაქისთვის იქნება თვალსაჩინო.

„სავაჭრო კუთხით შეიძლება ვილაცას მისცა წინსვლა, ვინც ბიზნესით არის დაკავებული, ზუსტად არ ვიცი. ასოცირების ხელშეკრულებას მოჰყვა სავაჭრო გზების, ბაზრის გახსნა. ალბათ იმ ხალხისთვის, ვინც ბიზნესს აკეთებს, რაღაც წინსვლა იქნება“ (მდედრ., 26-40, თბილისი).

„სოფლის მეურნეობას შეეხო, არის გრანტები ევროპიდან, წერს ხალხი და იღებს კიდევ. რომ არა ეს გრანტები, რაც ახლა გვაქვს სოფლის მეურნეობაში, ისიც არ გვექნებოდა. ასევე, მიწის ქიმიურად დამუშავების საშუალებები, არხების დამუშავებისთვის თანხები და ა.შ. ასოცირების შეთანხმებაში არის ისეთი პუნქტები, რომლებიც უნდა ამოქმედდეს. მთავარია, როგორი იქნება სახელმწიფოს ნება, რაზე გაამახვილებს ის ყურადღებას – სოფლის მეურნეობას დაუთ-

მოხს მეტ დროს, ადამიანის უფლებებს თუ რას... მაგრამ ეს არის კარგი შესაძლებლობა, რომ ნელ-ნელა ყველამ ვიგრძნოთ ეს ძვრები საკუთარ თავზე“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

ზოგიერთი რესპონდენტი მთავარ სარგებელს ასოცირების შემდგომი პროცესებიდან ელის. ისინი აღნიშნულ ხელშეკრულებას განიხილავენ, როგორც პირველ ნაბიჯს ევროკავშირის ნევრობის მიმართულებით. ამ კონტექსტში, რესპონდენტები მკვეთრად მიჯნავენ ევროკავშირს (და ევროპას, რომლის სიმბოლიზებასაც ევროკავშირი ახდენს) და რუსეთს. ისინი აღნიშნავენ, რომ განსხვავებით რუსეთისგან, ევროკავშირის დაპირებები მხოლოდ ქალაქებზე არ რჩება. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ასოცირების ხელმოწერის პირველ ხელშესახებ შედეგად რესპონდენტები ვიზალიბერალიზაციას მიიჩნევენ.

„არა, ქალაქებზე არ დარჩება. ევროპა და ევროკავშირი არ არის ის ძალა, რაღაც ქალაქებზე დაწეროს და შემდეგ მიაგდოს, როგორც რუსეთმა იცოდა. ეტყობა, დრო უნდა; ჩვენი ქვეყნისგან უნდა გარკვეული ნაბიჯების გადადგმა. ძალიან ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი შეიძლება იყოს“ (მამრ., 41-65, გორი).

ევროინტეგრაციის ოპტიმისტური ხედვის პარალელურად, გამოითქვა სკეპტიკური მოსაზრებებიც; კერძოდ, ზოგიერთი რესპონდენტის აზრით, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდგომ არათუ გაუმჯობესდა, პირიქით, კიდევ უფრო გაურესდა როგორც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, ისე კულტურული ღირებულებების დაცვა. ერთი მხრივ, რესპონდენტებმა ყურადღება გაამახვილეს „ფასადური“ ევროპეიზაციის პრობლემაზე, რომელიც მხოლოდ გარეგანი, ფორმალური მახასიათებლებით ზომავს წინსვლის ხარისხს, რაც, სინამდვილეში, ვერ აუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ მდგომარეობას; მეორე მხრივ კი, ხაზი გაუსვეს ეროვნული იდენტობის წინაშე არსებულ საფრთხეებს, რასაც ისინი სექსუალური უმცირესობების მიმართ მეტად ლიბერალური პოლიტიკის გატარებასთან აკავშირებენ.

„თუ გინდა ტულაღეში გამოაცხვე პური, ოღონდ კაფელი იყოს გაკრული და ... ISO სერტიფიკატი ამას მოიცავს. ჩემმა მეზობელმა დახურა თონე, რადგან ვერ გააკეთა კაფელი. მეორეს ძალიან დიდი ფართი აქვს და დიდი ხარჯია იქ კაფელის გაკვრა, ისიც ხურავს. ეს ვიგრძენით, სიკეთე არ მოუტანია“ (მამრ., 26-40, თელავი).

„პოლიტიკაშიც როგორც იყო, ისევ ისეა, უბრალოდ, უფრო ლიბერალური განცხადებები გაისმა. ცოტა ისეთი თემაა, მაგრამ სხვადასხვა სქესობრივი განხრები მომრავლდა... მათ მიმართ უფრო ლიბერალურები გახდნენ, მეტი არაფერი. ეგეთი საკითხები კი, ვთვლი, რომ არ არის მისაღები. თუ არის ეს ადამიანი განსხვავებული ორიენტაციის, იყოს თავისთვის, აფიშირება არ არის საჭირო. მაგათი ლიბერალური მიდგომები საზოგადოებისთვის მიუღებელია“ (მდედრ., 26-40, თბილისი).

ევროკავშირის სტანდარტების დანერგვის შესახებ

ევროპეიზაციის კვლევისას ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხს ევროკავშირის სტანდარტების დანერგვისადმი ქვეყნის სტრატეგიის შესწავლა წარმოადგენს. თუ ევროპეიზაციაში ევროკავშირის ფორმალური და არაფორმალური წესების, ნორმებისა და „საქმის კეთების“ ევროპული მოდელის დანერგვას მოვიაზრებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ მოდელის შეთვისება არა მხოლოდ საჯარო პოლიტიკის, არამედ შინაური დისკურსისა და იდენტობების დონეზე ხდება (Radelli, 2003, 30). როგორც აღინიშნა, ევროკავშირის სტანდარტების დანერგვის მთავარი მექანიზმი პირობითობაა; თუმცა გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს მსგავსი ქვეყნებისთვის, რომელთა საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტს სწორედ ევროკავშირთან ინტეგრაცია წარმოადგენს, თვითპირობითობის მექანიზმიც ქმედითია. ამ გზით ქვეყანა, რომელსაც სურს, გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც გახდეს ევროკავშირის წევრი, ისე იქცევა, თითქოს მეტი პირობითობის ფარგლებში განიხილება, აგზავნის სიგნალებს, რომ მზადაა შეუერთდეს წევრებს და ცდილობს, ევროკავშირი დაარწმუნოს, რომ ის კანდიდატად განიხილოს (Schimmelfenning, 2010, 15).

სწორედ თვითპირობითობის როლი ვლინდება, როცა ფოკუს ჯგუფების მონაწილეები აღნიშნავენ, რომ საქართველო ევროკავშირის სტანდარტებს საკუთარი სურვილით ნერგავს. თუმცა, აქ ორი საპირისპირო ნარატივის გამოყოფა შესაძლებელია: ერთის თანახმად, სტანდარტების დანერგვა ხდება იმიტომ, რომ ქვეყანა აცნობიერებს, რომ ეს მისივე პროგრესისთვისაა აუცილებელი. აქ საქმე გვაქვს ფენომენთან, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ევროპეიზაცია ევროკავშირის გარეშე“ (Irdelle, 2003). როგორც ზემოთ აღინიშნა,

ის გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც ქვეყანა უკმაყოფილოა მართვის ადგილობრივი სისტემით, იმავდროულად, ქმედითად და წარმატებულად მიიჩნევს ევროკავშირის ამა თუ იმ რეგულაციას და სწორედ მისი გადმოლება-დანერგვით ცდილობს ადგილობრივ პრობლემებთან გამკლავებას.

„არაფერს არავინ არ გვაიძულებს, გვჭირდება ეს ყველაფერი და მაგიტომაც უნდა შემოვიღოთ ეს სტანდარტები“ (მამრ., 41-65, ზუგ-დიდი).

მეორე ნარატივის თანახმად კი, ევროკავშირი საქართველოს საკუთარი თამაშის წესებს სთავაზობს და თუ ქვეყანას მასთან ინტეგრაცია სურს, ამ თამაშის წესებით უნდა იხელმძღვანელოს. აქ კი საქმე გვაქვს პირობითობის მექანიზმთან, ანუ ევროკავშირის მხრიდან სანქციებისა და ჯილდოს პრინციპის გამოყენებასთან (Schimmelfennig, 2012, 7). თუ ქვეყანა ევროკავშირის მოთხოვნებს მისდევს, ბრიუსელი საპასუხოდ ჯილდოს სთავაზობს და, პირიქით, სასჯელს უწესებს მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში. სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებისთვის ჯილდო შეიძლება გამოიხატოს ვიზალიბერალიზაციის პერსპექტივის დაჩქარებაში, ხოლო სასჯელი – მისი განუსაზღვრელი ვადით გადაწევაში.

ფოკუს ჯგუფებიდან ვლინდება, რომ მოსახლეობას გააზრებული აქვს პირობითობის როლი და ესმის, თუ რა შეიძლება მოყვეს ევროკავშირის დავალებების ადეკვატურად შესრულებას ან შეუსრულებლობას. დისკუსიებიდან იკვეთება, რომ ყველაზე დიდ ჯილდოდ ევროკავშირის წევრობა განიხილება, სასჯელად კი – მასზე უარის მიღება. სწორედ ევროკავშირის შესაძლო წევრობა განიხილება ე.წ. „ოქროს ჯილდოდ“ სამეზობლო პოლიტიკის ქვეყნებში. უფრო მეტიც, კვლევების თანახმად, ევროკავშირის ნორმების განხორციელების მაღალი მზაობა იმ ქვეყნებს ახასიათებს, სადაც მომავალში წევრობის იმედი აქვთ (Sedelmeier, 2011; Schimmelfennig, 2012; Borzel, 2015). თუმცა, აქ თავს იჩენს ორი პრობლემა: ერთი მხრივ, ამ ქვეყნებს არ აქვთ მყარი გარანტია, რომ პირობების შესრულების შემთხვევაში ევროკავშირის წევრობას მიიღებენ; მეორე მხრივ კი, საქმეს ართულებს რუსეთის ფაქტორი, რომელიც სხვადასხვა სახით, მაგრამ სამეზობლო პოლიტიკის ყველა ქვეყანაშია წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო უახლოეს მომავალში „ოქროს ჯილდოს“ არ მოეღოს (თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში მისი მიღების

იმედი აქვს), მსგავსად სამეზობლო პოლიტიკის სხვა ქვეყნებისა, მას სჭირდება ევროკავშირის თუნდაც მცირე ჯილდოები, რომელთა მიღება მნიშვნელოვანი ცვლილებების ბიძგის მიმცემი ხდება (Borzell and Lebanidze, 2015).

„მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ქვეყანასაც არ აწყენდა ევროპული სტანდარტების გადმოღება და გარკვეულ ჯილდოსაც ველით, გვინდა, რომ გავგანევიანოს. სტანდარტებს ვნერგავთ მათი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, ეს ჩვენ საზოგადოებასაც ნაადგება“ (მდედრ., 18-25, თბილისი).

„მიზანი ამართლებს საშუალებას. თუ გაქვს მიზანი, ევროკავშირი გეუბნება – გინდა ჩვენთან? გააკეთებ ამას? კი, ბატონო! არ შეასრულებ, არაფერიც არ იქნება. ევროკავშირი ისე არ მიისწრაფვის ჩვენი მიღებისკენ, როგორც ჩვენ მივისწრაფვით, ჩვენ უფრო გვინდა ეს. გააკეთებ? მიღების ალბათობა უფრო მაღალია“ (მამრ., 18-25, ზუგდიდი).

მართალია, რესპონდენტები ხაზს უსვამენ ქვეყნის საკეთილდღეოდ სტანდარტების დამკვიდრების მნიშვნელობას, მაგრამ მიიჩნევენ, რომ პრობლემა ისაა, რომ ამჟამად საქმე მხოლოდ საუბრით შემოიფარგლება და დისკურსის დონიდან ქმედების დონეზე არ გადადის. შიმელფენიგის და ზედელმაიერის სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილობრივი აქტორებისთვის ნორმა ქმედითაა მხოლოდ რიტორიკის დონეზე (2005, 8).

„ლაპარაკით კი გვინდა, მაგრამ საერთოდ არ ვცდილობთ; კონკრეტულს, ლაპარაკის გარდა, არც არაფერს ვაკეთებთ“ (მამრ., 18-25, ზუგდიდი).

აქვე მნიშვნელოვანია, ყურადღება გავამახვილოთ დისკურსზე, რომლის თანახმად, ევროკავშირის სტანდარტების დანერგვა სასიკეთოა და აუცილებელიც, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ საქართველო არ არის მზად მათ დასაწერად, შესაბამისად, ამ ეტაპზე მათი დანერგვა შეიძლება აღქმულ იქნას, როგორც იძულება.

„ბევრი სტანდარტისთვის ჩვენ თვითონ არ ვართ მზად, ანუ ბევრი ისეთი რალაცაა გასაკეთებელი, რომ იმ სტანდარტამდე უნდა მიხვიდე“ (მამრ., 18-25, ქუთაისი).

„არის რალაცეები, რაც მიღებულია ევროკავშირში, თუნდაც ტექნიკური დათვალიერება. ეს კარგია, მაგრამ ჩვენთვის ეს დაძალეაა.

ამით ადამიანი შეიძლება ოჯახს არჩენდეს, მაგრამ ეს მანქანა რომ შეამონმო, შეიძლება ჩამოსაწერი გახდეს“ (მამრ., 26-40, თბილისი).

ამგვარი იძულების ნიმუშად რესპონდენტთა ნაწილს ანტიდისკრიმინაციული კანონის მაგალითი მოჰყავს. მართალია, მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქართველომ ანტიდისკრიმინაციული კანონი იძულების გამო მიიღო, ცალკე დისკუსიის სახით არ გამოვლენილა, მაგრამ საინტერესოა დისკუსანტის შეხედულება, რომ ამ შემთხვევაში საბჭოთა პერიოდის მოდელი გათამაშდა, როდესაც მოსკოვიდან ანუ ცენტრიდან წამოსული დირექტივების შესრულება რეგიონების მიერ ყოველგვარი წინააღმდეგობისა თუ განხილვის გარეშე ხდებოდა, ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღება კი შეუძლებელი იყო.

„მაგალითად, ანტიდისკრიმინაციულ კანონზე არავინ თქვას, რომ არავის არ დაუძალებია. როგორც ჩემ დროს იყო და ცეკადან მოდიოდა მითითება, ახლაც ზუსტად ასე იყო. მოვიდოდა მაშინაც განკარგულება, ცოტა ხანი ილაპარაკებდნენ და მერე მიიღებდნენ მაინც იმ კანონს. არც ის თქვას ვინმემ, რომ პარლამენტში ხალხი იჯდა და არ იცოდა, რას აწერდა ხელს; სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ უბრალოდ. მაგრამ ისიც მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ იძულება კი არაა ეს, უბრალოდ წესია ასეთი. ის გეუბნება, რომ, თუ ამას, ამას, ამას არ გააკეთებ, ეს ხელს შეგიშლის რაღაც მიღწევებში. როცა აწერდი ამ ასოცირებას ხელს, ხომ იცოდი შენ, მთავრობა რომ ხარ, რაზე იყო ლაპარაკი?!“ (მამრ., 41-65, ზუგდიდი).

მიუხედავად იმისა, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება ევროკავშირის მხრიდან თავსმოსხვეულად აღიქმება, მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირი იძულებას, მუქარას არ მიმართავს, განსხვავებით რუსეთისგან, რომელიც არა მხოლოდ მუქარას იყენებს, არამედ სამხედრო ძალის დემონსტრირებასაც არ ერიდება. სწორედ ამითაა ევროკავშირის სტანდარტების დანერგვა ქვეყნისთვის განსაკუთრებით მიმზიდველი, რადგან რუსეთის „მილიტარისტული ძალაუფლებისგან“ განსხვავებით, ევროკავშირი არაძალისმიერ, „ნორმატულ ძალაუფლებას“ ანიჭებს უპირატესობას და სხვებს მისი სტანდარტების დანერგვის სასურველობაში არწმუნებს. თუმცა, იქვე ხაზგასმულია, რომ საქართველოს მოსახლეობა შედეგს მალევე ელოდება და ნაკლებ აცნობიერებს იმ გარემოებას, რომ სტანდარტების დანერგვა გრძელვადიან შედეგებზე უფროა ორიენტირებული, ვიდრე მოკლევადიანზე.

„არა მგონია, მუქარა იყოს. ერთი მუქარა (რუსეთი) გვაქვს და ისევ მუქარას ხომ არ ავირჩევთ? არა, ჩვენ გვინდა და ამიტომაც ვასრულებთ რაღაცეებს და ჩვენ თვითონვე მუქარის გარეშე ვაკეთებთ არჩევანს“ (მდედრ., 26-40, ზუგდიდი).

„მთავრობები იცვლებიან და ჩვენ გვინდა, რომ მეორე დღესვე ჩვენი ცხოვრება შეიცვალოს. ასევე გვეგონა ასოცირების ხელშეკრულების შემთხვევაშიც... გვეგონა, როგორც კი ასოცირების ხელშეკრულება გავაფორმეთ, მეორე დღიდანვე ევროკავშირის ქვეყნებში კარი გაგვხსნებოდა, შევიდოდით უპრობლემოდ“ (მამრ., 26-40, თელავი).

ამდენად, ერთი მნიშვნელოვანი დეტალი იკვეთება ევროკავშირის და რუსეთის მითითებებს შორის სხვაობის საჩვენებლად: მართალია, ანტიდისკრიმინაციული კანონის მისაღებად გარკვეული ზეწოლა მოხდა პოლიტიკურ აგენტებზე, მაგრამ რთულია, ეს ცალსახა იძულებად შეფასდეს, რადგან უფრო იმ თამაშის წესების აღიარებაა, რომელსაც ევროკავშირი იმ ქვეყნებს სთავაზობს, რომელთაც ევროპეიზაციის პროცესის წარმატებით გავლა სურთ. იძულება, ზეწოლა შესაძლოა უკავშირდებოდეს დროის კონკრეტულ მონაკვეთში რაიმე სტანდარტის დამკვიდრება-არდამკვიდრებას, მაგრამ ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით, რომელსაც ევროკავშირი პოტენციურ წევრებს სთავაზობს, თანხმობა მიღწეულია.

მორიგი დისკურსის თანახმად, რომლის მსგავსი ექსპერტთა და პოლიტიკოსთა კვლევის დროსაც გამოიკვეთა, ხელისუფლება კონკრეტული სტანდარტის სასარგებლოდ იღებს გადაწყვეტილებას და შემდეგ საზოგადოების დარწმუნებას იწყებს, რომ ეს ევროკავშირის მოთხოვნაა. დისკუსანტები პრობლემას ხედავენ ხელისუფლების ამგვარ ტაქტიკაში, რადგან ის ბევრ არაპოპულარულ გადაწყვეტილებას, რასაც მოსახლეობის უკმაყოფილება შეიძლება მოყვეს, უშუალოდ ევროკავშირს და ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს აბრალებს. როგორც ექსპერტთა ინტერვიუებიდანაც გამოვლინდა, ყველა არაპოპულარული გადაწყვეტილების მიღება ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებით როდია გამონეული. თუმცა, პოლიტიკური აქტორები შედარებით მარტივ გზას ირჩევენ და საზოგადოებისთვის კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობის ახსნის ნაცვლად, ყველაფერს ევროკავშირს აბრალებენ. მათ ყურადღების მიღმა რჩებათ ის ფაქტი, რომ ეს ტაქ-

ტიკა ევროინტეგრაციის პროცესის ლეგიტიმაციას ზიანს აყენებს და ევროკავშირისადმი სკეპტიკურად განწყობილთა რაოდენობას ზრდის. პოლიტიკოსთა ეს სტრატეგია ცალსახად ნეგატიურადაა შეფასებული. პროცესებში უკეთ გარკვევისთვის რესპონდენტები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ პოლიტიკოსების მიერ მოსახლეობის ინფორმირებას ევროკავშირის სტანდარტების შესახებ.

„გლახს უნდა აუხსნა, რომ შენ კი გიძვირდება პროდუქტი, მაგრამ გიძვირდება იმიტომ, რომ შენ ამ გაძვირებულ პროდუქციას რეალურ ზებას გაუკეთებ ევროპაში და თუ შოულობდი 5 ლარს, ახლა იშოვი 10 ლარს. კი დაგიჯდება ეს რალაც ხარჯები, შენს პროდუქციას რომ გაუკეთო მაღალი სტანდარტიზაცია, იქ ეტიკეტები დაუბეჭდო და ა.შ. მაგრამ შენ ეს რეალურად გიხსნის ევროპისაკენ გზას. ეს უნდა აუხსნა და არა ის, რომ გაძვირდა პროდუქცია და მორჩა“ (მამრ., 26-40, თელავი).

მორიგი საინტერესო მოსაზრების თანახმად, სტანდარტების დანერგვა დიდ წინააღმდეგობებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ეს აუცილებელია, რათა საზოგადოება ეტაპობრივად მანაც შეეჩვიოს შესაბამისი ნორმებით ხელმძღვანელობას. ამ წინააღმდეგობებმა სწორედ სოციალური პასუხისმგებლობის განვითარებას უნდა უზიძვოს, რის აუცილებლობასაც რესპონდენტებმა არაერთხელ გაუსვეს ხაზი.

„უნდა იყოს ჩვენთანაც ასე. იქნება დიდი ამბები, როცა ხუთჯერ გამოწურულ ყურძენს არ მიიღებს ის ევროპა და მოაბრუნებს. მაგრამ არა უშავს, ეს გვაიძულებს, რომ ვიყოთ უკეთესები და პოლოსდაბოლოს, ავიღოთ პასუხისმგებლობები“ (მდედრ., 41-65, ზუგდიდი).

ევროკავშირის სტანდარტების დანერგვის მიმართ მეტი ღიაობით, როგორც მოსალოდნელი იყო, ახალგაზრდები გამოირჩევიან; უფროსი ასაკის მოსახლეობა კი, ძველ რეჟიმში ცხოვრების გამოცდილებით, ეჭვით უყურებს მათი დანერგვის „უანგარობას“ და მიაჩნია, რომ ეს სწორედ ევროკავშირის პირად სარგებელს ემსახურება. უფრო მეტიც, გამოითქვა მოსაზრება, რომ ზემოხსენებული სტანდარტების დანერგვა ევროკავშირის სჭირდება და არა საქართველოს.

მიუხედავად წარმოდგენილი ნარატივების მრავალფეროვნებისა, როგორც ექსპერტთა და პოლიტიკოსთა, ასევე მოსახლეობის დომინანტური დისკურსის თანახმად, საქართველოში ნაკლებ აქვს ადგილი „ევროპეიზაციას ევროკავშირის გარეშე“, არამედ საქმე გვაქვს ევროკავშირის მხრიდან წაყენებულ პირობითობასთან, რომელიც, რიც

შემთხვევაში, თვითპირობითობის სახეს იძენს. ხაზგასმულია, რომ ევროკავშირის მხრიდან ადგილი არა აქვს იძულებას, არამედ მისი მოთხოვნების შესრულება მნიშვნელოვანია თავად საქართველოსთვის, რადგან ეს ქვეყნის სტანდარტების ევროპულთან დაახლოების საწინდარია. ეს კი, თავის მხრივ, აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ საქართველომ შესაბამისი ჯილდო მიიღოს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ევროკავშირში განევრიანებას უკავშირდება.

სავაჭრო ურთიერთობები ევროკავშირთან და საქართველოზე მათი გავლენა

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულება (DCFTA) წარმოადგენს, რომელიც საქართველოსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის გამარტივებული ვაჭრობის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული ხელშეკრულება არა მხოლოდ კერძო სექტორსა და სოფლის მეურნეობაში ჩართული სუბიექტების ყურადღებას იქცევს, არამედ მოსახლეობის სხვა სეგმენტებისთვისაც ინტერესის საგანია. ამის კარგი ილუსტრაციაა 2015 წლის ეროვნული კვლევის შედეგები, სადაც შეკითხვაზე, თუ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობის ფარგლებში, რა საკითხებთან დაკავშირებით ისურვებდნენ მეტი ინფორმაციის მიღებას, მოსახლეობის უმრავლესობამ სავაჭრო ურთიერთობები დაასახელა (CRRC, 2015). სწორედ ამიტომ, მოსახლეობასთან ფოკუს ჯგუფების დროს, სავაჭრო ურთიერთობებსა და მათი განვითარების პერსპექტივაზეც გამახვილდა ყურადღება.

რესპონდენტთა ყველა ასაკობრივ კატეგორიაში ევროკავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების არსებობა დადებითად შეფასდა; თუმცა ის, თუ რამდენად შეძლებს საქართველო აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში სარგებლის მიღებას, რესპონდენტებისთვის ერთმნიშვნელოვნად ნათელი არ არის: მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველო ჯერჯერობით არ არის მზად, ევროკავშირის მიერ მოთხოვნილი სტანდარტები დააკმაყოფილიყოს, რაც ევროპის ქვეყნებთან ვაჭრობის წინაპირობაა. რესპონდენტებს აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ, თუკი ქართული პროდუქტის გატანას მოისურვებენ ევროკავშირის ქვეყნებში, მათ მოუწევთ სხვადასხვა სტანდარტის დაკმაყოფილება როგორც წარ-

მოების პროცესის, ისე შეფუთვისა თუ ფასის დაწესების კუთხით. მათი განცხადებით, აღნიშნული სტანდარტების მქონე წარმოების აწყობა საკმაოდ რთული პროცესია, რადგან დიდ ფინანსურ რესურსს საჭიროებს.

„ევროპასთან ვართ გამონვევის წინაშე, დააკმაყოფილებს თუ არა მათ სტანდარტებს ქართული ბაზარი. ჩვენ არ გვაქვს რესურსი გერმანიის რომელიმე ქარხანას გავუწიოთ კონკურენცია“ (მდედრ., 18-25, თბილისი).

„ჩვენი ვაშლი საზღვარგარეთ რომ გავიდეს, წამალი უნდა იყოს ხარისხიანი. ჩვენ კი იაფიანი და უხარისხო შემოგვაქვს, რითიც იმ ხარისხის ვაშლს ვერ მიიღებ, რომ იქ გაიტანო“ (მამრ., 41-65, თელავი).

მოსახლეობის აზრით, ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდისა და თავისუფალი სავაჭრო სივრცის ხელშეკრულებიდან მაქსიმალური სარგებლის მიღების მიზნით, ქართული პროდუქციის არა მხოლოდ ხარისხი უნდა გაიზარდოს, არამედ სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტისა და სერტიფიცირების სისტემის, მაგალითად, ISO სტანდარტების დანერგვა უნდა მოხდეს.

„ისეა გაჯერებული ევროპის ბაზარი, რომ ბოთლის ჩასადგმელი ადგილი არ არის. როგორმე უნდა დავაკმაყოფილოთ ის მოთხოვნები, გვეკონდეს ISO სერტიფიკატი, რომ რაღაც ჩვენც გავიტანოთ ევროპის ბაზარზე“ (მამრ., 41-65, თელავი).

რესპონდენტების ნაწილი ფლობს ინფორმაციას არა მხოლოდ სხვადასხვა სტანდარტის, არამედ პროდუქციის ტიპის მიხედვით განსაზღვრული კვოტების და ფასების სპეციფიკის შესახებაც; კერძოდ, რა რაოდენობის პროდუქციის შეტანა ნებადართული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში და რა ფასებია აღნიშნულ პროდუქციაზე. რაც შეეხება იმ პროდუქციას, რომელიც, მონაწილეთა აზრით, შესაძლებელია ევროკავშირის ბაზარზე გავიდეს, ესენია: ღვინო, ხილი, ბორჯომი, ჩურჩხელა, თხილი, მარგანეცი, ქვანახშირი და სხვ.

„ღვინის შეტანა შეგვიძლია ევროკავშირში, მაგრამ კვოტა გვაქვს, თუ მეტი შეიტანე, ანტიდემპინგური კანონი მოქმედებს, რომლის მიხედვითაც, იმ ფასში უნდა გაყიდო, რაც იქ აქვთ და ვინ იყიდის შენ ღვინოს? ფასს აქვს უკვე მნიშვნელობა. ძვირი იქნება და არავინ იცნობს. გაცნობას უზარმაზარი რეკლამა საჭიროდება. ღვინო ვის რად უნდა იქ?“ (მამრ., 26-40, თბილისი).

როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატიდან ჩანს, პროდუქციის მარკეტინგული შეფუთვა და ბრენდინგი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდისთვის. დისკუსანტების თქმით, ქართული პროდუქციის ევროპის ბაზარზე გასაყიდად, პირველ რიგში, მისი იმგვარი რეკლამირებაა საჭირო, რომ უკვე არსებულ მწარმოებლებს გაუწიოს კონკურენცია.

„რეკლამა აუცილებელია ევროპის ბაზარზე – კარგი შეფუთვა, კარგად მიწოდება, მენეჯმენტის კარგად გათვლა“ (მამრ., 26-40, ქუთაისი).

„ქართულ პროდუქციას ძალიან გაუჭირდება ევროკავშირის ქვეყნებში ბაზრის ათვისება იმიტომ, რომ ეს ის ბაზარია, რომელზეც საუკუნეების განმავლობაში არის ბრენდები, რომლებიც იყიდება. იქ შეხვიდე ახალი, პატარა ქვეყნიდან და ისეთი პროდუქცია შეიტანო, ისეთი ხარისხის, ძალიან გაუჭირდება. რამდენი პროდუქტი გვაქვს – გაზიანი წყალი, ღვინო, თაფლი. ქართული მანდარინი ევროპას არ სჭირდება; იმიტომ არ სჭირდება, რომ მთავარი დისტრიბუცია შემოსდის, მე როგორც ვიცი, მაროკოდან“ (მამრ., 26-40, თელავი).

ფოკუს ჯგუფებიდან ვლინდება, რომ მოსახლეობა მიესალმება ევროკავშირის მაღალი სტანდარტების დანერგვას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას, და ამ პროცესში მნიშვნელოვნად მიიჩნევენ როგორც ხელისუფლების, ისე მოსახლეობის სურვილსა და როლს.

„რა თქმა უნდა, მოსახლეობის მხრიდანაც უნდა იყოს სურვილი და ხელისუფლებამაც ხელი უნდა შეუწყოს, რომ შეიქმნას ბიოლოგიურად, ეკოლოგიურად და ყველაფრით სუფთა გარემოში მოყვანილი პროდუქცია, რომელზეც მაღალი მოთხოვნა იქნება, და რუსეთის ბაზართან შედარებითაც, იქ ღირებულება უფრო მაღალი იქნება“ (მდედრ., 18-25, თელავი).

იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი ხარისხი და რეკლამირება „უბრალო გლეხისთვის ძვირი სიამოვნებაა“, დისკუსანტთა ერთმა ჯგუფმა აღნიშნა, რომ ხელისუფლება აქტიურად უნდა ჩაერთოს ამ პროცესში და წაახალისოს პოზიტიური ცვლილებები. აღსანიშნავია, რომ ხაზი გაესვა უშუალოდ ევროკავშირის როლსაც აღნიშნულ პროცესში, განსაკუთრებით იმ ტექნიკურ დახმარებას, რომელსაც ევროკავშირი საქართველოს უწევს.

ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების პერსპექტივაზე საუბარი

რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების განხილვის პარალელურად მიმდინარეობდა. პირველ რიგში, როგორც ზემოთ აღინიშნა, ევროკავშირთან ვაჭრობა აღიქმება, როგორც პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების წამახალისებელი ფაქტორი, რასაც ადგილი არ ჰქონდა რუსეთთან ვაჭრობის შემთხვევაში, რადგან რუსეთში პროდუქციის ექსპორტისას არ მოქმედებდა ხარისხის სტანდარტის მსგავსი მოთხოვნები.

„საბჭოთა კავშირის პერიოდში აქ გადიოდა თითქმის ყველაფერი, არ იყო წარმოებული პროდუქციის შემოწმება და პირდაპირ მიდიოდა რუსეთში. კარგი იყო თუ ცუდი იყო, მას ლებულობდნენ“ (მამრ., 18-25, ქუთაისი).

„დაიხვეწება პროდუქცია. რაც რუსეთში გაგვექონდა, თუნდაც ღვინო, ძალიან დაბალი ხარისხის იყო; რაც ევროპაში გაგვაქვს, საგრძნობლად მოიმატა ხარისხმა“ (მამრ., 18-25, თბილისი).

ევროპული და რუსული ბაზრის შედარებისას, ხარისხის გარდა, კიდევ ერთი განმასხვავებელი ფაქტორი სტაბილურობაა. რესპონდენტთა აზრით, რუსული ბაზარი, ევროპულ ბაზართან შედარებით, არასტაბილურია, რაც საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობების არასტაბილურობიდან გამომდინარეობს. აღნიშნულის მაგალითად რესპონდენტთა ნაწილმა 2006 წლის ემბარგოც გაიხსენა.

„თუ რუსეთთან ისტორიას გავიხსენებთ, გვექონდა არასტაბილური სავაჭო ურთიერთობა. როცა უნდოდათ, დაგვიბლოკავდნენ. ევროკავშირთან გვექნება სტაბილური; წინასწარ გვეცოდინება, რა უნდა გავაკეთოთ“ (მამრ., 18-25, ქუთაისი).

როგორც წარმოდგენილი ციტატებიდან ჩანს, რუსეთის ბაზარი, ევროპის ბაზრისგან განსხვავებით, არ მოითხოვდა მაღალი ხარისხის პროდუქციას. წლების განმავლობაში, სავაჭრო ურთიერთობების არსებობის შედეგად, ქართველი გლეხისთვის მსგავსი ტიპის ურთიერთობა ჩამოყალიბდა ნორმატულ მოლოდინად. შესაბამისად, როდესაც ევროპის ბაზარი მას სხვადასხვა სტანდარტის დაკმაყოფილებას და ამ გზით პროდუქციის გაუმჯობესებას სთხოვს, ამ შესაძლებლობის გამოყენების ნაცვლად, ქართველი გლეხობის ნაწილი იოლ გზას მიმართავს და კვლავ კარგად ნაცნობ რუსულ ბაზარს ამჯობინებს, მიუხედავად იმისა, რომ აცნობიერებს მის არასტაბილურობას. სწორედ ამით აიხსნება, თუ რატომ შეიძლება ქართველი გლეხისთვის უფრო მარტივი და ამიტომ უფრო სასურველიც იყოს,

რუსულ ბაზარზე დარჩეს და, იმავდროულად, უნდობლობის გრძნობა გაუჩნდეს ევროპულ ბაზართან მიმართებაში, რომელსაც ჯერ არ იცნობს და შიშობს, რომ შემოსავლის წყაროს დაკარგავს.

„ხალხისთვის რუსეთის ბაზარი უფრო პრიორიტეტულია, უკვე ათვისებულია; ის [ევროპული ბაზარი] ასათვისებელია და გზები მოსაძებნი“ (მამრ., 26-40, თბილისი).

„ჩვენ, რა თქმა უნდა, ტრადიციულად მიჩვეულები ვართ, რუსულ ბაზარზე ვართ ყოველთვის დამოკიდებული და ეს [ევროპული ბაზარი] ჩვენთვის ნამდვილად უცხო ხილია და ნამდვილად არ ვიცით, რუსულ ბაზარზე დიდია თუ არა ევროპის ბაზარი; რამდენად წარმატებით გაიყიდება ჩვენი პროდუქტი, ესეც არ ვიცით; ამიტომ უნდა დაველოდოთ პროცესებს“ (მამრ., 18-25, ქუთაისი).

ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა თქმით, სწორედ რუსული ბაზრის თავისებურებების ცოდნა, მისი ტერიტორიული სიახლოვე და, იმავდროულად, ევროპული ბაზრის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა განსაზღვრავს რუსული ბაზრის უპირატესობას ქართველი გლეხისთვის.

„გლეხს რუსული ბაზარი უფრო აწყობს; აქვია, გადავა თვითონ, უფრო იაფი დაუჯდება, ვიდრე ევროპაში რამის წაღება; თან თვითონ იქ ამას ვერ გააკეთებს; ენა არ იცის, უამრავი დოკუმენტია მოსამზადებელი“ (მამრ., 41-65, ზუგდიდი).

ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ქართველი გლეხისთვის რუსულ და ევროპულ ბაზარს შორის არჩევანის გაკეთება მხოლოდ შეგრძნებებისა და ინტუიციის დონეზე ხდება და არა რაიმე ეკონომიკური თუ ფინანსური მაჩვენებლის საფუძველზე. ერთი მხრივ, მოსახლეობა აცნობიერებს რუსული ბაზრის არასტაბილურობის საფრთხეებს, თუმცა, მეორე მხრივ, იქიდან გამომდინარე, რომ საკმარის ინფორმაციას და გამოცდილებას არ ფლობს ევროპულ ბაზარზე ვაჭრობის თვალსაზრისით, მაინც სიფრთხილით ეკიდება ევროპულ და რუსულ ბაზარს შორის არჩევანს. შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობა ქართული ბაზრის დივერსიფიცირების და ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების მომხრეა; თუმცა, იმავდროულად, არ სურს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების შეწყვეტა. მოსახლეობის აზრით, სწორი დიპლომატიური პოლიტიკის წარმოების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება პოლიტიკური და ეკონომიკური საკითხების გამიჯვნა, რაც საშუალებას მისცემს საქართველოს, ერთი მხრივ, ევროკავშირისკენ პოლიტიკური და ეკონომი-

კური სვლა განაგრძოს, მეორე მხრივ კი, რუსეთთან ის ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები შეინარჩუნოს, რომლებიც დიდი ხანია არსებობს. რადგან რესპონდენტებს მოლოდინი აქვთ, რომ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირება რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებს გაართულებს, ყველაზე დიდ მნიშვნელობას სწორედ ამ ორი ასპექტის – პოლიტიკურის და ეკონომიკურის – გამიჯვნას და საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სწორი პოლიტიკის წარმართვას ანიჭებენ.

„თუ ჩვენი სახელმწიფო სწორ პოლიტიკას წარმართავს, [რუსული ბაზარი] არ დაიკეტება. რუსეთთანაც კარგი ურთიერთობა უნდა დააღაგოს. დავიჯერო, საფრანგეთს და რუსეთს არ აქვთ სავაჭრო ურთიერთობა? ხომ აქვთ მათ გარკვეული სავაჭრო ურთიერთობები? სწორი პოლიტიკის განსაზღვრაზე დამოკიდებული, დაიკეტება თუ არა რუსეთის ბაზარი“ (მამრ., 18-25, გორი).

მსგავსი ტიპის დიპლომატიურ პოლიტიკაზე საუბრისას, რესპონდენტებს წინა ხელისუფლების მაგალითიც მოაქვთ, რომელიც, ერთი მხრივ, შიდა და გარე სცენაზე, რუსეთთან ურთიერთობების შეწყვეტაზე საუბრობდა; თუმცა, მეორე მხრივ, სავაჭრო ურთიერთობები, თუნდაც ენერგეტიკის დარგში, კვლავ წარმოებდა.

„ევროკავშირი იქნება თავისთვის, ხელშეკრულების ხელმოწერა რუსეთთან პრობლემას ვერ შეგვიქმნის სავაჭრო ურთიერთობებში. პოლიტიკა სხვა არის და ვაჭრობა სხვა არის. წინა მთავრობას ხომ სულ ჩხუბი ჰქონდა და ინვესტიციები მაინც შემოდიოდა. თელასი მაშინ მიჰყიდეს რუსეთს, მთელი დენი და გაზი მიჰყიდეს რუსეთს. აქედან დასკვნა, არაფერ შუაშია ევროკავშირთან ასოცირების ხელმოწერა“ (მამრ., 41-65, გორი).

საბოლოო ჯამში, მსგავსი დიპლომატიური სვლების შედეგად, ფოკუსს ჯგუფის მონაწილეები ქართული ექსპორტისთვის ბაზრის დივერსიფიკაციის იმედს გამოთქვამენ და მიაჩნიათ, რომ, როგორი მომგებიანიც არ უნდა იყოს ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობა, რუსეთი, როგორც ალტერნატიული სავაჭრო პარტნიორი, კვლავაც უნდა შენარჩუნდეს.

„გაიტან საქართველოდან, მაგალითად, ლვინოს, ხილს და გლეხსაც მეტი სტიმული ექნება. რაც მეტს გაყიდის, მით მეტ შემოსავალს ნახავს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მარტო ევროკავშირი ავირჩიოთ და რუსეთი გადავიკიდოთ; უნდა დავაბალანსოთ ურთიერთობა“ (მდედრ., 18-25, ზუგდიდი).

ევროინტეგრაციით და ევროპეიზაციით დაინტერესებული და მისი მოწინააღმდეგე სოციალური ინსტიტუტები და აქტორები

მომხრე და მოწინააღმდეგე ჯგუფები საქართველოს მოსახლეობაში

საქართველოს ევროკავშირში განვევრიანება ფოკუს ჯგუფების მონაწილეებისთვის, პირველ რიგში, სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობასთან და საქართველოს, როგორც დემოკრატიული და სტაბილური სახელმწიფოს, განვითარებასთან ასოცირდება. აქედან გამომდინარე, ევროინტეგრაციით დაინტერესებული სოციალური აქტორების განხილვისას, ყველაზე მეტად დაინტერესებულ მხარედ საქართველოს მოსახლეობა დასახელდა, რადგან ქვეყნის განვითარება, პირველ რიგში, სწორედ მისთვის იქნება კეთილდღეობის მომტანი.

„მე მგონი, საქართველოში არ არის ადამიანი, ვის ინტერესებშიც არ უნდა შედიოდეს ევროკავშირში განვევრიანება. ყველაზე მეტად უბრალო ხალხის ინტერესებში უნდა შედიოდეს, რომ გამოსწორდეს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა“ (მდედრ., 18-25, ბათუმი).

„ვისაც უნდა წინსვლა, ვისაც უნდა განვითარება თავისი თავის, ოჯახის და, ზოგადად, მოსახლეობის კეთილდღეობა...“ (მამრ., 18-25, ბათუმი).

აღსანიშნავია, რომ მოცემული ტენდენცია ექსპერტებთან ინტერვიუების დროსაც გამოიკვეთა, თუმცა განსხვავება ისაა, რომ ექსპერტები საუბრობენ საზოგადოებაზე, როგორც ერთ მთლიანზე, და იშვიათად გამოყოფდნენ მის რომელიმე კონკრეტულ სეგმენტს. მოსახლეობასთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფების დროს კი, მართალია, ბენეფიციარად ყველა რიგითი მოქალაქე დასახელდა, მაგრამ საზოგადოების ის სეგმენტებიც გამოიყო, ვინც ევროინტეგრაციით ყველაზე მეტად დაინტერესებულია. დისკუსიანტა აზრით, ესენია: 1) ახალგაზრდები; 2) ადამიანები, რომლებიც ერთხელ მაინც ყოფილან ევროკავშირის წევრ ქვეყანაში და თავად უნახავთ მისი სიკეთეები; 3) ადამიანები, რომლებიც გარკვეულ სოციალურ უსამართლობას განიცდიან; მათ შორის, მარგინალიზებული ჯგუფები, განსაკუთრებით სექსუალური და რელიგიური უმცირესობები.

საშუალო და უფროსი ასაკის მოსახლეობა საგანგებოდ შეეხო ევროკავშირში განვერიანების საკითხით ახალგაზრდების დაინტერესებას. ამის უმთავრეს მიზეზად ის პრივილეგიები დაასახელეს, რაც თან ახლავს ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის დამყარებას და მიმოსვლის გამარტივებულ პროცედურებს, რაც ახალგაზრდებს საზღვარგარეთ განათლების მიღების მეტ შესაძლებლობას აძლევს.

„უფრო კომფორტია, წინსვლაა, უვიზო რეჟიმის დაპირებაა, თავისუფლების იდეა იზიდავთ; განათლების მიღება, ბევრი მიდის სასწავლებლად. ახლა არის ხელისშემშლელი მიზეზები. თუ გავწევრიანდებით, აღარ იქნება ეს ხელისშემშლელი მიზეზები“ (მდედრ., 26-40, თბილისი).

მეორე ჯგუფი, რომელიც ევროინტეგრაციით დაინტერესებულ სეგმენტადაა მიჩნეული, საზოგადოების იმ ნაწილს მოიცავს, რომელსაც თავად აქვს ევროკავშირის ქვეყნების თუნდაც მცირეხინიანი სტუმრობის გამოცდილება და სხვებზე უკეთ იცის, თუ რა სიკეთე მოაქვს ევროკავშირის წევრობას.

„ამ წუთში ყველაზე მეტად ევროკავშირში შესვლა იმ ხალხის ინტერესებშია, რომლებმაც იციან, რა არის ევროკავშირი, რომლებმაც ნახეს ევროკავშირი...“ (მამრ., 26-40, თელავი).

როგორც ექსპერტებთან ინტერვიუების, ისე მოსახლეობასთან ფოკუს ჯგუფების დროს, უვიზო მიმოსვლის შესაძლებლობა ევროკავშირის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად დასახელდა. ამასთან, ხაზი გაესვა სულ უფრო მეტი ადამიანის მიერ ევროპის ქვეყნების სტუმრობის მნიშვნელობას, იქნება ეს ტურიზმის, საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობისა თუ ბიზნესის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით. ამ მხრივ, საგულისხმოა საქართველოს მასშტაბით არსებული მდგომარეობა: 2009-2015 წლებში ჩატარებული ეროვნული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მონახულების სიხშირე ძალიან დაბალია, კერძოდ, საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 3%-ს ჰქონდა შესაძლებლობა, ეცხოვრა ევროკავშირში მინიმუმ სამი თვის მანძილზე, 1993 წლიდან დღემდე; ხოლო მოგზაურობის ზოგადი მაჩვენებელი, 1993 წლიდან 2015 წლამდე, მხოლოდ 9%-ია როგორც რესპონდენტებისთვის, ისე მათი ოჯახის წევრებისთვის (Eurasia Partnership Foundation, 2015, 9). ინფორმირებულო-

ბის ცვლადების ანალიზი ცხადყოფს, რომ ევროკავშირის ქვეყნების მონახულების ასეთი დაბალი მაჩვენებელი მოსახლეობაში ევროკავშირის შესახებ სანდო ინფორმაციის ნაკლებობასთან (შედეგად, მთელი რიგი მითების გავრცელებასთან) მაღალ კორელაციაშია. ევროკავშირის ქვეყნის სტუმრობასა და ინფორმირებულობის დონეს შორის პოზიტიური კავშირი ექსპერტებთან ინტერვიუების დროსაც გამოვლინდა. ექსპერტების აზრით, ევროკავშირის ქვეყნების ვიზიტი საუკეთესო საშუალებაა მითების გასანიეიტრალეზად და მოსახლეობაში პროევროპული განწყობის ასამაღლებლად. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად არის მიჩნეული ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესში. ბალკანეთის და, ზოგადად, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ევროკავშირის მიმართ მოსახლეობაში შესაბამისი განწყობების შექმნა და შენარჩუნება ქვეყანაში ევროპეიზაციის პროცესის წარმატებით განხორციელების საწინდარია. მაგალითად, დასავლეთ ბალკანეთში მოსახლეობის განწყობა ევროპეიზაციის ბიძგის მიმცემი უმთავრესი ფაქტორი აღმოჩნდა (Pickering, 2011).

ევროინტეგრაციით დაინტერესებულ კიდევ ერთ ჯგუფად ის ადამიანები დასახელდნენ, ვისთვისაც ევროკავშირში განუერთიანება სოციალური სამართლიანობის აღდგენასთან ასოცირდება. სამართლიანობის აღდგენაში საზოგადოების სხვადასხვა ფენისთვის თუ მარგინალიზებული ჯგუფისთვის თანაბარი შესაძლებლობების მინიჭება, აგრეთვე ნეპოტიზმისა და კორუფციის აღმოფხვრა იგულისხმება. როგორც რამდენიმე რესპონდენტმა განაცხადა, საქართველოში კვლავ პრობლემად რჩება ნეპოტიზმი და კრიმინალურ სამყაროსთან (ე.წ. „კანონიერ ქურდებთან“) კავშირებით სარგებლობა, რაც ევროინტეგრაციის შედეგად უნდა აღმოიფხვრას, რადგან ევროკავშირის ამოსავალი პრინციპები კანონიერება, თანასწორუფლებიანობა და პროფესიონალიზმია.

„იმ ადამიანს, რომელმაც განათლება მიიღო და დღეს უმუშევარია, უნდა [ევროინტეგრაცია]. მაგრამ იმ მშობლებს, ვისაც არ აინტერესებდათ, მათი შვილი ისწავლიდა თუ არა, რადგან მერე უნივერსიტეტში პირდაპირ დასვამდნენ, არ უნდათ“ (მამრ., 41-65, თელავი).

„[ევროინტეგრაცია] იმ ადამიანებს [სურთ], ვისაც საკუთარი თავის იმედი აქვთ, თავისი შრომის, უნარის იმედი აქვთ. ვინც თავისი პროფესიონალიზმით, შრომისმოყვარეობით და კანონიერებით მი-

იღებს შედეგს. აქ ამ თვისებების ადამიანი უსტატუსოა და არც ერთ ფენას არ ეკუთვნის. აქ უნდა იყო 'ქურდი', ეკუთვნოდე შავ სამყაროს" (მდედრ., 41-65, თელავი).

აქვე აღინიშნა სხვადასხვა სახის უმცირესობის, განსაკუთრებით სექსუალური და რელიგიური უმცირესობების, დაინტერესება ევროინტეგრაციის პროცესით. კერძოდ, ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების კონტექსტში, ხაზი გაესვა სექსუალური უმცირესობების მიერ მოპოვებულ უფლებებს. ამასთან, საშუალო და უფროსი ასაკის მოსახლეობამ ზუგდიდში ისაუბრა რელიგიურ უმცირესობებზე, განსაკუთრებით იეჰოვას მოწმეებზე, რომელთაც დევნის შიში აღარ ექნებათ. მოცემულ საკითხს მხოლოდ ზუგდიდში შეეხნენ, ამდენად, ამ რეგიონისთვის სპეციფიკურია.

„ისინი ელოდებიან, რომ ამით [ევროკავშირში განწევრიანებით] მეტი უფლება ექნებათ. იგივე იელოველები, თუ ადრე ასე თამამად ვერ დადიოდნენ, ახლა პირიქითაა“ (მამრ., 41-65, ზუგდიდი).

ფოკუს ჯგუფების შედეგად, მოსახლეობის იმ ნაწილის მახასიათებლებიც გამოვლინდა, რომლებიც ევროინტეგრაციის და ევროპეიზაციის მოწინააღმდეგენი არიან. გამოითქვა მოსაზრება, რომ ყველაზე მეტად ევროინტეგრაცია მოსახლეობის იმ ნაწილს არ სურს, რომელსაც ჰგონია, რომ ევროპაში შესვლით ქართული იდენტობა, ეროვნულობა და ტრადიციები დაიკარგება. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის მოწინააღმდეგეებად რესპონდენტები, როგორც წესი, სხვა ადამიანებს ასახელებენ, რომელთაგან საკუთარი თავის დისტანცირებას ახდენენ. თუმცა, დისკუსიაში ჩაღრმავებისას, თვალსაჩინო ხდება მათი პირადი მოსაზრებებიც ევროინტეგრაციის „უარყოფით შედეგებთან“, განსაკუთრებით ქართული ტრადიციების დაკარგვის საფრთხესთან დაკავშირებით.

„ჰგონიათ რატომღაც, რომ ევროპაში რომ შევალთ, ჩვენ ტრადიციებს დავივიწყებთ, მთლიანად გადავერთვებით იმათზე, დავკარგავთ ქართველობას, ასე ჰგონია ძალიან ბევრს“ (მამრ., 18-25, თელავი).

ამგვარი ხედვის ნიმუში თავად ფოკუს ჯგუფებშიც გამოვლინდა, როცა რამდენიმე მონაწილემ შედარებაც კი გააკეთა ევროპას, როგორც „ფასეულობების დამკარგავსა“ და რუსეთს, როგორც ფასეულობების დამცველს შორის.

„ევროპა არის ფასეულობების დამკარგავი და რუსეთი არის ადათ-ფასეულობების შემნახავი“ (მამრ., 41-65, თელავი).

ყველა ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტები თვლიან, რომ ევროპეიზაციას ყველაზე მეტად ასაკოვანი ადამიანები, პენსიონრები ეწინააღმდეგებიან, რომლებიც, ერთ-ერთი რესპონდენტის სიტყვებით, „35 მანეთად დადიოდნენ მოსკოვში“ (მამრ., 18-25, გორი). როგორც დისკუსანტებმა აღნიშნეს, ეს შესაძლოა იმ გარემოებით იყოს გამოწვეული, რომ ასაკოვან მოსახლეობას სოციალიზაცია საბჭოთა კავშირის პერიოდში აქვს გავლილი და ახალგაზრდობის სენტიმენტები სწორედ რუსეთთან აკავშირებს.

„ეს ხალხი იმიტომ კი არაა ევროპის წინააღმდეგი, რომ არ უნდა; უბრალოდ, ამ ხალხს ახალგაზრდობა აქვს იმ დროს გამოვლილი და ამ მარწუხებიდანაც ვერ თავისუფლდება სრულად“ (მამრ., 18-25, ზუგდიდი).

„პენსიონერმა განა არ იცის, რა და როგორ სჯობს, უბრალოდ, მათ სხვა სოციუმში იცხოვრეს. ახალგაზრდობა გაატარეს სხვა გარემოში, ბედნიერი დღეები უკავშირდება ახალგაზრდობას და ამიტომაც არიან მოწინააღმდეგე [ევროინტეგრაციის]“ (მდედრ., 41-65 ზუგდიდი).

ევროინტეგრაციის ერთ-ერთ მოწინააღმდეგე ჯგუფად, ასევე, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და მისი მრევლის ის ნაწილი დასახელდა, რომელიც ექსტრემიზმით გამოირჩევა. როგორც ეკლესიის შესახებ ქვეთავში არის ნათქვამი, რესპონდენტების მიერ გაუღერებული ძირითადი დისკურსის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საპატრიარქო ოფიციალურ ქადაგებებში ევროინტეგრაციას პირდაპირ არ ეწინააღმდეგება, არსებობს ევროპეიზაციასთან ასოცირებული არაერთი საკითხი, რომელიც მისი კრიტიკის საგანი ხდება. მაგალითად, ასეთ საკითხებად დასახელდა პირადობის დამადასტურებელი ახალი ბარათები, ქალიშვილობის ინსტიტუტი, ქალთა შრომითი მიგრაცია და სხვ. რესპონდენტების აზრით, დაპირისპირება იმიტომ ხდება, რომ ეკლესიას ეშინია ევროპეიზაციის ფონზე ქართული ღირებულებების დაკარგვის, შესაბამისად, ცდილობს, ამ პროცესს აღუდგეს.

ამგვარად, საზოგადოებრივი დისკურსის განხილვისას, საქართველოს მოსახლეობიდან ევროპეიზაციის მომხრე მთავარ სეგმენტად

ახალგაზრდა და სწავლაზე/განვითარებაზე ორიენტირებული თაობა დასახელდა, ხოლო ძირითად მონინაალმდეგედ, უმეტესად, ასაკოვანი ადამიანები და მოსახლეობის ის ნაწილი, ვისაც ეშინია, რომ ევროპეიზაცია ქართული კულტურისა და ტრადიციების დაკარგვის საწინდარი იქნება.

ევროპეიზაციით დაინტერესებული სხვა სოციალური აქტორები

რესპონდენტებმა ქვეყნის ევროპეიზაციით დაინტერესებული სხვა სოციალური აქტორებიც დაასახელეს: ბიზნეს სექტორი, არასამთავრობო სექტორი და მედია. აღსანიშნავია, რომ ექსპერტული ინტერვიუების დროსაც ბიზნეს სექტორი დასახელდა ერთ-ერთ მთავარ აქტორად, რომელიც ყველაზე მეტ სარგებელს მიიღებს საქართველოს ევროპეიზაციით. რაც შეეხება არასამთავრობო სექტორსა და მედიას, ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილდა ევროპეიზაციის ისეთ შედეგებზე, როგორცაა დემოკრატიული სტრუქტურებისა და პრაქტიკების განვითარება და სიტყვის თავისუფლება, რაც ამ ორივე აქტორისთვის საქმიანობის გამარტივებას გულისხმობს.

მომხრე და მონინაალმდევე პოლიტიკური აქტორები

დისკუსანტებმა ყურადღება გაამახვილეს არა მარტო მოსახლეობის, არამედ პოლიტიკური აქტორების დამოკიდებულებაზეც ევროპეიზაციის მიმართ. ამ კონტექსტში რესპონდენტები, ზოგადად, სახელმწიფოზე საუბრობდნენ, თუმცა, ძირითადად, ორ პოლიტიკურ პარტიას გულისხმობდნენ – „ქართულ ოცნებას“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას.“ მათი შეხედულებები ორად გაიმიჯნა: სამივე ასაკობრივ კატეგორიაში, რესპონდენტთა ერთი ჯგუფი პირველ პარტიას, ხოლო მეორე ჯგუფი – მეორე პარტიას მიიჩნევდა მეტად პროევროპულ ძალად. აღნიშნულის მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ თუნდაც შემდეგი ორი ციტატა, თელავში, 18-25 წლის მონაწილეთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფიდან.

„პირველ რიგში, „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიამ განავითარა ევროპისკენ მიმავალი გზა. იქამდეც გვქონდა ევროპისკენ სწრაფვა, მაგრამ ევროკავშირზე, უვიზო მიმოსვლაზე რომ ვისაუბროთ, იმათ

მთავრობაში ყოფნის დროს ჩაეყარა ამ ყველაფერს საფუძველი“ (მდ-ედრ., 18-25, თელავი).

„რეალურად, ახლა „ქართულ ოცნებას“ უფრო უნდა, რომ შევიდეს ევროკავშირში და „ნაციონალებს“ არ უნდათ იმიტომ, რომ მერე თქვან, რომ ჩვენ წინ ვიყავით და თქვენ ველარ განაგრძეთ ეს გზა. ამ შემთხვევაში, შემაფერხებელ ძალად აღვიქვამ „ნაციონალებს“, სი-მართლე გითხრათ“ (მამრ., 18-25, თელავი).

როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, ფოკუს ჯგუფების შედეგად ორი ძირითადი დისკურსი გამოვლინდა: ერთი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, ხოლო მეორე – „ქართული ოცნების“ პროევროპულობას უსვამს ხაზს. მომდევნო აზვაცებში დეტალურად განხილულია ორივე დისკურსი.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, როგორც ევროპეიზაციის მომხრე პოლიტიკური აქტორის განხილვისას, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დიდი ნაწილი ხაზს უსვამს იმ აქტიურ პროდასავლურ კამპანიას, რასაც მათი მმართველობის პირობებში ჰქონდა ადგილი; დღეს კი, მათი სიტყვებით, საკმაოდ იშვიათია. თუმცა, რესპონდენტების მცირე ნაწილმა ისიც აღნიშნა, რომ, მართალია, საქართველოს ევროკავშირისკენ აქტიურ სვლას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პირობებში ჩაეყარა საფუძველი, ამჟამად ის ოპოზიციური პარტიაა და „ანყოზს“ ევროინტეგრაციის გზაზე საქართველოს შეფერხება. ეს „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ წარმატებული პიარის საშუალებას მისცემს, რადგან მოსახლეობას დაანახებს, რომ ახალმა მთავრობამ ვერ შეძლო ევროპული კურსის გაგრძელება. ამგვარი ქცევა შეფასებულია, როგორც „არა პროდასავლური.“

„ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები ამბობენ, რომ პროდასავლური პარტიაა, მაგრამ ასე არ იქცევიან, მათი ქცევა არ არის პროდასავლური“ (მამრ., 18-25, თბილისი).

დისკუსანტთა მეორე ნაწილი „ქართულ ოცნებას“ მიიჩნევს ევროპეიზაციით დაინტერესებულ მხარედ. მათი თქმით, რადგან ეს პროცესი ქვეყნის განვითარებასთან ასოცირდება, ის ქართულ ოცნებას, როგორც ხელისუფლებაში მყოფ პოლიტიკურ პარტიას, პოზიტიური იმიჯის შექმნასა და მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვებაში შეუწყობს ხელს. ამდენად, ორივე პოლიტიკური ძალის შემთხვევაში,

პროევროპული საგარეო კურსი საკუთარი პოლიტიკური რეიტინგის ამაღლების პრაგმატული სტრატეგიის ნაწილად მიიჩნევა.

„ეს პლუსი იქნება, თუ ქვეყანა მათი მმართველობის დროს შევა ევროკავშირში“ (მდედრ., 26-40, ბათუმი).

თუმცა, რამდენიმე მონაწილემ აღნიშნა, რომ „ქართული ოცნება“ არ ახდენს საკუთარი პროევროპული კურსის საჯარო დეკლარირებას, რაც შესაძლოა რუსეთთან მოქნილი დიპლომატიის ტაქტიკით იყოს ნაკარნახევი. მათი აზრით, საერთაშორისო საზოგადოებისთვის განკუთვნილ სცენაზე, მსგავსი პერფორმანსი რუსეთის „გალიზიანების“ თავიდან აცილების მცდელობის გამოხატულებაა.

„მე არ ვამბობ, რომ მალავენ, უბრალოდ, ისე არ ცხადდება. შეიძლება იგივე საგარეო კურსი გვაქვს და ეს არ ჩანს, რომ რუსეთთან ნეიტრალური ურთიერთობა შევინარჩუნოთ. ყოველ წამს არ გავიძახით, რომ ევროპისკენ მივდივართ, რადგან გვეძინია აგრესიის“ (მდედრ., 18-25, თბილისი).

საინტერესოა ისიც, რომ საშუალო და უფროსი ასაკის დისკუსანტებს შორის მეტად გამოიკვეთა მოსაზრება, რომ „ქართული ოცნება“ ნაკლებ პროევროპული ძალაა, რის ერთ-ერთ ინდიკატორადაც ხელისუფლების მხრიდან მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კუთხით არასაკმარისი ქმედებები დასახელდა.

„ჩემი აზრით, არ უნდათ [ევროინტეგრაცია] პოლიტიკოსებს – მმართველ ძალას. სწორედ ამიტომ არ არის ხალხში განათლება. რა თქმა უნდა, ხალხი ყველაზე უკეთ ცნობიერდება მედიის მხრიდან. მთავრობას შეუძლია სულ რაღაც ერთ თვეში მედიის საშუალებით ისეთი განათლება მოფინოს მოსახლეობას...“ (მდედრ., 26-40, ქუთაისი).

ამჟამინდელი ხელისუფლების ნაკლები პროევროპულობის გამოხატულებად მოსახლეობამ ევროპეიზაციისთვის საჭირო ხარჯებისა და ადამიანური რესურსების დეფიციტიც დაასახელა. მათი თქმით, ხელისუფლება ამ რესურსებს არ გამოყოფს, რადგან ევროინტეგრაციას საკმარისად პრიორიტეტულად არ მიიჩნევს. რესურსების უკმარისობა კი ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების სამოქმედო გეგმის დაგვიანებით შესრულებას იწვევს, რაც პირდაპირ აისახება საქართველოს ევროპეიზაციის ტემპზე.

„შეიძლება უნდათ კიდევ ევროკავშირში შესვლა, მაგრამ ამ ყველაფერს დიდი ძალისხმევა სჭირდება და თავს არ ინუხებენ, ამას ბევრი რამის დათმობა სჭირდება. ამ შემთხვევაში, ჩვენ ვართ დაზარალებულები“ (მდედრ., 26-40, გორი).

ევროკავშირი, როგორც საქართველოს ევროპეიზაციით დაინტერესებული აქტორი

საქართველოს ევროპეიზაციით დაინტერესებულ საერთაშორისო აქტორად ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, თავად ევროკავშირი დაასახელეს. მათი აზრით, ევროკავშირისთვის საქართველოს ევროპეიზაცია სტრატეგიულად მომგებიანია, რადგან, გარკვეულწილად, რეგიონზე ვრცელდება და უშუალოდ ევროკავშირის მოქალაქეებისთვის სტაბილური სამეზობლოს შექმნას მოიაზრებს. ეს არგუმენტი ეროვნული კვლევის მონაცემებს ეხმიანება: მოსახლეობის დიდი ნაწილის აზრით, ევროკავშირი არანეგატიურ ქვეყნებში დემოკრატიის წამახალისებელია და, ამ გზით, ევროპასა და მის სამეზობლოში მშვიდობისა და უსაფრთხოების წყაროა (CRRC, 2015). მოცემული შეხედულება ევროკავშირის უსაფრთხოების სტრატეგიასაც ეხმიანება, სადაც უსაფრთხოება ქვეყნის განვითარების წინაპირობად არის მიჩნეული, ხოლო უსაფრთხოების გარანტიად, თავის მხრივ, დემოკრატიის განვითარება მიიჩნევა (Hughes, 2009). თუკი ევროკავშირის მიერ ევროპეიზებული, სტაბილური სამეზობლოს შექმნა ვერ მოხერხდება, ფოკუს ჯგუფების მონაწილეები შიშობენ, რომ, როგორც ევროპის პერიფერიაზე მყოფი ქვეყნები, ისე თავად ევროკავშირის წევრი ქვეყნები დაკარგავენ რწმენას, რომ ევროკავშირი მათი უსაფრთხოების გარანტიაა.

„რწმენას ევროპისადმი დაკარგავენ არა მარტო ევროპის პერიფერიები, როგორც ჩვენა ვართ, არამედ თვითონ ევროპის შიგნითა ქვეყნებიც, რომლებსაც დაუცველობის განცდა გაუჩნდებათ, რომ ევროპა ვერ უზრუნველყოფს თავის კარ-მიდამოში, ასე ვთქვათ, სტაბილური პოლიტიკის შენარჩუნებას. ასეთი გარდამავალი ქვეყნები, როგორც ჩვენ ვართ, ასევე სწრაფად იცვლიან კურსს“ (მამრ., 16-25, ქუთაისი).

ევროკავშირის, როგორც სამეზობლო ქვეყნებში დემოკრატიისა და სტაბილურობის გარანტის ხედვა, ექსპერტებთან ინტერვიუებშიც გამოიკვეთა. მათ აღნიშნეს, რომ ევროკავშირი, გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის შემუშავებით, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას ცდილობს, რადგან ევროპა თავს უსაფრთხოდ ვერ იგრძნობს, თუ უსაფრთხო სამეზობლო არ ეყოლობა.

რუსეთი, როგორც საქართველოს ევროპეიზაციის მონინალმდევე აქტორი

რესპონდენტთა ყველა ჯგუფში, ისევე როგორც ექსპერტების შემთხვევაში, საერთაშორისო აქტორებიდან საქართველოს ევროპეიზაციის ყველაზე დიდ მონინალმდევედ რუსეთი და საქართველოში მოქმედი პრორუსული ძალები დასახელდა. აღინიშნა, რომ რუსეთისთვის საქართველოს ევროკავშირთან დაახლოება ქვეყნის გაძლიერებასა და რუსული გავლენისგან განთავისუფლებას გულისმობს. იმავდროულად, ევროკავშირთან დაახლოება, გარკვეულწილად, ევროატლანტიკურ ალიანსთან დაახლოებასაც მოიაზრებს, რაც ერთმნიშვნელოვნად ენინალმდევება რუსეთის ინტერესებს საქართველოში და უფრო ფართო რეგიონში.

„რუსეთთან ახლოს არის დემოკრატიული ქვეყანა, რომელიც შეიძლება გახდეს მაგალითი სხვა ქვეყნებისთვის, იგივე სომხეთისთვის და აზერბაიჯანისთვის, რაც რუსეთისთვის დამლუპველია და ევროპისთვის – სტრატეგიულად მომგებიანი. ამიტომ აქცენტები მაინც ამაზე უფრო უნდა იყოს აღებული, სტრატეგიულ მნიშვნელობაზე, ეკონომიკურ კავშირებზე და ამ კულტურულ ერთიანობებზე“ (მდედრ., 18-25, ქუთაისი).

„ჩვენ რომ ევროკავშირში შევიდეთ, დიდ პრობლემას ქმნის რუსეთი. რუსეთი არ დაუშვებს, არ აწყობს იმიტომ, რომ ევროკავშირში რომ შევალთ, ჩვენ რაღაც დამოუკიდებლობას მოვიპოვებთ და ნატოსთანაც შესაძლებელია ახლო ურთიერთობა“ (მამრ., 18-25, ქუთაისი).

ევროპასთან დაახლოება – რუსეთის აგრესიის ზრდა

როგორც წინა ქვეთავში აღინიშნა, ევროინტეგრაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სარგებლად რუსეთის ექსპანსიისგან საქართველოს დაცვა მიიჩნევა. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ საქართველოს ევროინტეგრაციის მონინალმდევე მთავარ საერთაშორისო აქტორად სწორედ რუსეთი მოიაზრება. საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსეთს საფრთხედ რომ მიიჩნევს, ეს 2016 წლის მარტის ეროვნული კვლევის შედეგებმაც აჩვენა, კერძოდ, რიგ ფაქტორებს შორის გამოკითხულთა 47% საქართველოსთვის ყველაზე

დიდ საფრთხედ სწორედ რუსეთს ასახელებს (NDI, CRRC, 2016).

ფოკუს ჯგუფების მონაწილეებს გაცნობიერებული აქვთ, რომ სამეზობლო პოლიტიკის იდეა რუსეთის მიერ ევროკავშირიდან მომდინარე საფრთხედ აღიქმება, რადგან ის იჭრება სივრცეში, რომელსაც, ტრადიციულად, მოსკოვი საკუთარი გავლენის სფეროდ მოიაზრებდა (Gower and Timmins, 2009). მართალია, ტრენინის თანახმად (2005), როგორც ევროკავშირი, ასევე რუსეთი რეგიონში სტაბილურობით უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ რეალობა ცხადყოფს, რომ მოსკოვი ამ სტაბილურობისთვის ქმედით ნაბიჯებს არ დგამს (ამის მაგალითია საქართველოში აგვისტოს ომი 2008 წელს და უკრაინაში ყირიმის ანექსია 2014 წელს). ცხადია, რომ თავად ევროკავშირსა და რუსეთს შორის ურთიერთობა ის მთავარი ფაქტორი იქნება, რაც გავლენას მოახდენს იმ ქვეყნების განვითარებაზე, რომელიც ბრიუსელისა და მოსკოვის ინტერესების სფეროში ექცევა (Trenin, 2005). თუმცა, ამ მიმართულებით ოპტიმიზმის საფუძველი ნაკლებია, რადგან, როგორც ჰაუკალა აღნიშნავს, ბრიუსელი გავლენას ვერ ახდენს რუსეთის განვითარების პროცესზე და ცვლილების მოხდენის მისი ყველა მცდელობა მარცხით დასრულდა. ევროკავშირმა რუსეთში ვერც ერთ სტრატეგიულ მიზანს ვერ მიაღწია: რუსეთი ვერ გახდა მეტად დემოკრატიული, ის არ არის სტაბილური, კორუფცია კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება და სხვ. ამის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კი, მოსკოვსა და ბრიუსელს შორის არსებული „ღირებულებითი განსვლა“ მიიჩნევა (Haukkala, 2008).

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს მოსახლეობაში არსებობს მოლოდინი, რომ ევროპასთან საქართველოს შემდგომი დაახლოება რუსეთის მხრიდან მის მიმართ აგრესიას გაზრდის. სწორედ ამ მოსაზრებასთან მიმართებაში იკვეთება რამდენიმე მნიშვნელოვანი დისკურსი. ერთ-ერთი მათგანის თანახმად, უკრაინის შემთხვევა ველარ განმეორდება, რადგან საქართველოს მიმართ მსგავს აგრესიას უკვე ჰქონდა ადგილი 2008 წელს და ის დღემდე გრძელდება.

„ჩვენ ის ეტაპი უკვე გავიარეთ, რასაც უკრაინა გადის. რაც დასაქარგი იყო, დაგვარგეთ. მეტი რალა უნდა დაგვაროთ?!“ (მამრ., 26-40, თბილისი).

„2008-ში რაც ვნახე, იმის შემდეგ აგრესიის გაძლიერება რალა უნდა იყოს, არ ვიცი. ფაქტიურად, მეტი შეუძლებელია, ქვეყანა განწყვიტა შუაზე“ (მამრ., 26-40, თელავი).

„აგრესიას აქვს უკვე ადგილი. მოაქვს მოსკოვს ეს საზღვრები და ლამისაა ცენტრალურ მაგისტრალამდე გადმონაცვლოს. არაფრით არ განვსხვავდებით უკრაინისგან, რადგან ეს აგრესია ხდება ჩვენთანაც“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

ალტერნატიული მოსაზრების თანახმად, აგრესია კვლავაც გაძლიერდება და სავალალო შედეგებს მოიტანს, რადგან ევროკავშირი საქართველოს გამო რუსეთთან დაპირისპირებას არ დაიწყებს.

„ევროკავშირი ჩვენ გამო არ დაუპირისპირდება რუსეთს. არც ერთი ძლიერი სახელმწიფო არ დაუპირისპირდება რუსეთს“ (მდედრ., 26-40, თბილისი).

„ერთი პატარა საქართველოსთვის მის (რუსეთის) გადამტერებას ყველა ერიდება“ (მდედრ., 16-25, გორი).

მკვლევართა აზრით, საქართველოს უწევს, ევროინტეგრაციის კონტექსტში რამდენიმე მნიშვნელოვან პრობლემას გაუმკლავდეს, რომელთა შორისაა ევრო-ატლანტიკური აქტორების მხრიდან სურვილის არქონა, რისკი აიღონ საკუთარ თავზე, როდესაც თბილისს მოსკოვთან ურთიერთობა ეძაბება. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის ერთ-ერთ ყველაზე აშკარა პრობლემას ორ ქვეყანას (საქართველო-რუსეთი) შორის ძალთა გადანაწილების ასიმეტრიულობა წარმოადგენს (MacFarlane, 2012). ეს ასიმეტრიულობა გაცნობიერებულია მოსახლეობის მიერაც, რომელიც სწორედ რუსეთს აღიქვამს ევროინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებად. თუმცა, მასთან დაპირისპირებისთვის მოსახლეობის ნაწილი მზადაა და მიიჩნევს, რომ, მართალია, სჯობს დიპლომატიური ხერხებით ურთიერთობების დარეგულირება, მაგრამ, აუცილებლობის შემთხვევაში, ქვეყანამ აგრესიასთან გასამკლავებაც უნდა შეძლოს.

„მე მზად ვარ ამ აგრესიისთვის. ფაქტია, რომ გაიზრდება ეს აგრესია“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფების მონაწილეები პრობლემას ხედავენ რუსეთის მომხრეთა რაოდენობის ზრდაშიც და ამის მთავარ მიზეზად, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუსეთის მხრიდან გაძლიერებულ პროპაგანდასთან ერთად, საქართველოს ხელისუფლების არასათანადო აქტიურობასაც ასახელებს.

„წინა ხელისუფლება ევროინტეგრაციასთან დაკავშირებით

უფრო აქტიური იყო. მიხეილ სააკაშვილის ყველა გამოსვლაში იყო ეს საკითხები. ეს იყო სახელმწიფოს პრიორიტეტი. [ამჟამად] ჩვენი პრემიერის მხრიდან იყო განცხადებები, რომ რუსეთი ჩვენი მტერი არ არის. საზოგადოება უკვე ყოყმანობს, მივდივართ ევროპისკენ თუ რუსეთისკენ. ასევე, ვერ ვხედავთ აქტიურ ნაბიჯებს. კონკრეტული მაგალითია უკრაინა, გვეშინია აგრესიის და ვერიდებით ამ თემას“ (მდედრ., 18-25, თბილისი).

ამ კონტექსტში, საინტერესო პარალელია გავლებული რუსეთსა და დასავლეთის გავლენიან სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში, აშშ-ს შორის. კერძოდ, წარმოდგენილია დისკურსი, რომ აშშ-ც ჰეგემონია, მაგრამ „რუსულ ჩექმას“ მაინც სჯობს, რადგან „ის ხალხის განვითარებაზეა მომართული, რუსეთი კი გიჟობს სრულად“ (მამრ., 18-25, ზუგდიდი). ალბათ, აშშ და ევროპა ერთ, დასავლურ კონტექსტში უნდა განვიხილოთ: აშშ და ევროპა არა როგორც დამპყრობელი, არამედ დასავლეთი, რომელსაც საკუთარი ინტერესები აქვს საქართველოში; თუმცა საკუთარი წესებით თამაშს კი არ გაიძულებს, არამედ გთავაზობს იმ შემთხვევაში, თუ შენი, როგორც ქვეყნის, არჩევანი დასავლეთზეა ორიენტირებული. ამდენად, თუ ქვეყანა განვითარების, უსაფრთხო მომავლისა და პროგრესის სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს, რისკის განევაც გამართლებულია.

„საფრთხე დიდია რუსეთისგან, მაგრამ მას რომ კარი გავუღოთ, რას მივიღებთ? ადგება და იბატონებს ჩვენზე. ომით შემოდის და გვიპყრობს პირდაპირ და ჩემი ნებით როგორ უნდა გავუღო კარები?“ (მდედრ., 18-25, ზუგდიდი).

მართალია, ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ხაზს უსვამენ რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების მნიშვნელობას, მაგრამ აღნიშნავენ, რომ ეს საკმაოდ ბუნდოვანი პერსპექტივაა, რადგან რუსეთში არსებული რეჟიმის პირობებში რთული წარმოსადგენია, თუ რა გზით შეიძლება დალაგდეს თბილისი-მოსკოვის ურთიერთობები.

„ვერ დაალაგებ ისე, რომ ევროკავშირში შეხვიდე და რუსეთთანაც კარგი ურთიერთობა გქონდეს. პუტინი ამას არ დაუშვებს, რომ შენ ევროკავშირში და ნატოში შეხვიდე“ (მდედრ., 26-40, ბათუმი).

თუმცა, რუსეთისკენ გზის გახსნა და ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა-მოგვარება, მოქალაქეების საკეთილდღეოდ გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯადაა მოაზრებული გორში. შეიძლება ვივარ-

აუდოთ, რომ წარსული გამოცდილება და 2008 წლის კონფლიქტამდე ერგნეთის ბაზრობის არსებობა, რაც გარკვეული ეკონომიკური სარგებლის მომტანი იყო რიგითი მოქალაქეებისთვის, მოვლენების ამგვარ შეფასებას იწვევს. შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ გორში გაცნობიერებული არა აქვთ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები, თუმცა არსებული ეკონომიკური პრობლემები და მათი მოგვარების თუნდაც მინიმალური შანსი, რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების იდეას ამ რეგიონის მოსახლეობისთვის ლეგიტიმურობას სძენს.

„რუსეთში გზები რომ გაიხსნას, იცით რამდენი ხალხი ამოისუნთქავს?“ (მამრ., 26-40, გორი).

„ცხინვალი რომ გახსნილი იყო, ხალხი ერგნეთზე მუშაობდა და ასე თუ ისე ფულს შოულობდა“ (მამრ., 26-40, გორი).

„რუსეთის საზღვართან ახლოს მდებარე სოფლებში ხალხი ამბობს, რომ რუსეთი რომ შემოვიდეს, ხელებანეული ჩავბარდებით და იმათკენ გადავალთ. შეიძლება ადრე უნდოდათ ევროკავშირში, მაგრამ ახლა აღარ იციან, რა გააკეთონ. ამ მთავრობამაც გაუცრუა იმედი თავისი დაპირებებით“ (მდედრ., 26-40, გორი).

მართალია, რუსეთიდან მომდინარე საფრთხეები გაცნობიერებულია, რიგ შემთხვევაში, უფროსი და საშუალო ასაკის რესპონდენტებისთვის, ევროკავშირზე უფრო მისაღებ ალტერნატივას, ღირებულებების თვალსაზრისით, რუსეთი წარმოადგენს. თუ კვლევაში მონაწილე პოლიტიკოსებისა და ექსპერტებისთვის რუსეთი ცალსახად „ცუდი სხვაა“, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მოსაზრებები ამ მხრივ ერთმნიშვნელოვანი არ არის. დისკუსანტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ რუსეთის ერთმორწმუნეობას და საერთო ისტორიას დიდი მნიშვნელობა აქვს, რუსეთი ევროკავშირზე უკეთ დაიცავს საქართველოს და შეუნარჩუნებს რელიგიასა და ადათ-წესებს. ამასთან, იგი საქართველოსთან უფრო ახლოსაა მაშინ, როცა მოსახლეობა ნაკლებ იცნობს ევროპასა და ევროპულ ღირებულებებს.

„რუსმა რომ პოლიტიკა შეცვალოს, ჩვენ ვერვცე უარს ვიტყვით ევროპაზე და შემოვტრიალდებით რუსეთისკენ, რადგან გვინდა თუ არ გვინდა, იმ ორასწლიანმა ისტორიამ და მეტმა, ხალხი გარკვეულწილად დაახლოვა ერთმანეთთან. არის უამრავი რუსულ-ქართული ოჯახი, აქედან წასული და იქ მოღვაწე ადამიანი...“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

„რუსეთი უფრო იცავს ამ ქრისტიანულ სამყაროს მუსულმანებისგან და ეს შეიძლება იყოს ჩვენი ერთადერთი გადარჩენა“ (მდედრ., 41-65, ზუგდიდი).

მართალია, რუსეთის, როგორც ევროკავშირის ალტერნატივის, ხაზგასმა დომინანტური იდეა არ ყოფილა, მაგრამ აქ საგულისხმო ის ფაქტია, რომ ასეთი ალტერნატივის შესახებ მსჯელობა კონფლიქტის ზონის (სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი) მოსაზღვრე ქალაქებში – გორსა და ზუგდიდში – თვალსაჩინოა. მიუხედავად იმისა, რომ ამ რეგიონებმა ყველაზე მეტად ინვნიეს რუსეთის აგრესია, მნიშვნელოვანია სიახლოვე, რომელიც მათ აქვთ როგორც ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობასთან, ასევე უშუალოდ რუსეთთანაც. როგორც ახალგაზრდა, ისე უფროსი ასაკის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ამ თვალსაზრისით საზოგადოება გახლეჩილია: ის ადამიანები, რომლებმაც სოციალიზაცია საბჭოთა კავშირის დროს გაიარეს, ფასეულობებით გაცილებით ახლოს დგანან რუსეთთან, ვიდრე ევროპასთან; ახალგაზრდები კი რუსეთ-ევროპის დიქოტომიაში ცალსახად ევროპულ მხარესთან ახდენენ საკუთარი თავის იდენტიფიცირებას, როგორც პოლიტიკური ხედვით, ისე კულტურული თვალსაზრისით.

„ახალგაზრდებს უფრო ევროპა მოსწონთ. ვისაც საბჭოთა კავშირში აქვს ნაცხოვრები, იქით [რუსეთისკენ] იხრება“ (მამრ., 18-25, გორი).

ამგვარი იდეოლოგიური განსვლა ახალგაზრდა და უფროს თაობებს შორის არა მხოლოდ კონფლიქტის ზონის მოსაზღვრე რეგიონების მოსახლეობისთვისაა დამახასიათებელი, არამედ სხვა რეგიონების მოსახლეობისთვისაც.

„ძალიან რთულია ვთქვათ, ჩვენი ხედვა რომელს მიეკუთვნება – ევროპას თუ უფრო რუსეთს იმიტომ, რომ ჩვენი დიდი თაობის მენტალიტეტი უფრო რუსეთისკენ არის, ჩემი აზრით. ახალ თაობას სურს ევროპა. რაღაც დაპირისპირებაა და, მე ვფიქრობ, გარდატეხის პერიოდში ვართ“ (მდედრ., 18-25, თელავი).

„დროსთან ერთად იცვლება იდეოლოგიები. წინა თაობა სხვა სტანდარტებით ხელმძღვანელობს, ჩვენ ნათელ მომავალს ვხედავთ ევროპაში. ის, რომ რუსები მართლმადიდებლები არიან და მუდამ კარგი ძმა გვეყოლება რუსეთის სახით, ჩვენთვის ასე არ არის“ (მდედრ., 18-25, თბილისი).

„ასაკოვან ხალხს ურჩევნია, რუსეთთან გვექონდეს ურთიერთობა. ახალგაზრდა თაობა ირჩევს ევროპას. ასაკოვან ხალხს ეშინია ტრადიციების დაკარგვის, შეიძლება ინფორმირებულებიც არ არიან, მაგრამ ასე თვლიან“ (მამრ., 26-40, ბათუმი).

თუმცა, აქვე საგულისხმოა, რომ, მიუხედავად სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფის მიერ რუსეთის, როგორც ერთმორწმუნე ერის, იდეის პოპულარიზაციისა, ფოკუს ჯგუფებში გამოვლენილი დომინანტური დისკურსის თანახმად, რუსეთი მტერია – არა მხოლოდ იმიტომ, რომ ოკუპანტია, არამედ იმიტომაც, რომ ერთმორწმუნეობის ფასადს ამოფარებულმა, ოდესღაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაც კი გააუქმა, რაც, რესპონდენტთა სიტყვებით, მუსულმან დამპყრობლებსაც კი არ გაუჟკეთებიათ და რამაც ეროვნულ თვითმყოფადობას საფრთხე შეუქმნა.

„მე რაც არ უნდა გულგრილი ვიყო ამ კავშირების მიმართ, ჩემთვის რუსეთთან დამოკიდებულება კატეგორიულად მიუღებელია. მე ისტორიკოსი ვარ და ვიცი, ეს ქვეყანა როგორ იქცევა. მაგალითად, შაჰ-აბასმა კახეთი დაიპყრო, მაგრამ მას აზრად არ მოსვლია სამეფოს გაუქმება, ეკლესიისათვის ავტოკეფალიის გაუქმება. „კეთილი ძმა“ კი შემოსვლისთანავე ამ ყველაფერს მიადგა და გააუქმა სამეფოც, ავტოკეფალიაც. ამიტომ, ამ ერთმორწმუნეობას ამოფარებული რუსეთი, ჩემი ძმა არ არის, რადგან, რაც არ დაუშავებია ჩემთვის თურქ-სელჩუკს, სპარსს, მონღოლს, ის ერთმორწმუნე რუსეთმა გააკეთა“ (მდედრ., 41-65, ზუგდიდი).

„იდეოლოგიურად ორივე მანქანა მუშაობს – როგორც რუსეთი, ასევე ევროპა. ჯოხი იქ ტყდება, სადაც სუსტია. ეკლესიას ჩვენთან ებრძოდა ის, ვინც ის სანყობებად გადააკეთა, კედლები შეღება. ამ შემთხვევაში, სუსტებოდა ეკლესია, მაგრამ ძლიერებოდა ხალხის რწმენა და ისინი ჩუმად, მალულად ლოცულობდნენ, წითლად შეღებილი ხელებით დადიოდნენ აღდგომის მეორე დღეს. მე გული მაშინ უფრო მტკივა, როცა მართლმადიდებელი მებრძვის, რადგან არჩევანი თავის დროზე სწორედ ამ ნიშნით გავაკეთეთ ქართველებმა“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

„მე ბავშვობაში რუსულში მამზადებდნენ, მე კი ჩემ შვილს ინგლისურში ვამზადებ და მინდა, მან ევროპისკენ და აშშ-სკენ გაიხედოს და იცით რატომ? ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და აუცილებლად გვინევს,

ვილაცაზე ვიყოთ დამოკიდებულნი. მე არ მინდა ოკუპანტზე ვიყო დამოკიდებული, მან თავში მიკაკუნოს და მაიძულოს, ის ვთქვა, რაც მას უნდა. მე მინდა ვთქვა ის, რაც მე მინდა, რომ ვთქვა და მგონია, რომ ევროპა მე ამის უფლებას არ წამართმევს“ (მდედრ., 26-40, ზუგდიდი).

აქვე ისიც აღინიშნა, რომ სექსუალურ თავისუფლებასთან დაკავშირებული ღირებულებები, რაც ქართველებს არ მოსწონთ, სინამდვილეში, სწორედ რუსეთიდან შემოვიდა და მცდარია ევროპისთვის მათი მიწერა.

„ჩვენ ევროპას იმას ვეძახით, რასაც ტელევიზიით ვხედავთ და რალაცეები არ მოგვწონს. ევროპაში ძალიან ღრმა ტრადიციებია, რაც ჩვენამდე არც მოდის. რა ტრადიციაც თქვენ არ მოგწონთ ჩვენთან, ეს რუსულია. აქცენტი კეთდება თავისუფალ ცხოვრებაზე, თავისუფალ სექსზე – ეს სუფთა რუსულია“ (მდედრ., 41-65, გორი).

ერთ-ერთი არგუმენტი, რომელიც რუსეთთან შედარებით ევროპის უპირატესობას უსვამს ხაზს, ისაა, რომ რუსეთს, კულტურული და ეკონომიკური თვალსაზრისით, თავად სჭირდება ევროპა. ამ მოსაზრების თანახმად, რუსული ელიტა განათლების მისაღებად ევროპას მიმართავდა წარსულშიც და ამჟამადაც, რუს ოლიგარქებს კი სწორედ ევროპაში აქვთ დაბანდებული კაპიტალი.

„აი, ვნახოთ ევროპამდე რუსეთი და ევროპის შემდეგ რუსეთი. აი, პეტრე პირველამდე რუსეთი. რატომ იყო პეტრე დიდი? იმიტომ, რომ ააშენა პეტერბურგი და გაჭრა ფანჯარა ევროპაში, ამის შემდეგ ვითარდება რუსეთში ტექნიკა, ვითარდება კულტურა, ვითარდება მეცნიერება. რატომ მანამდე არ ჰყავდათ, ვთქვათ, ტოლსტოი, პუშკინი, დოსტოვესკი, არ ჰყავდათ ფერმწერები, შიშკინი და სხვა. არ ჰქონდათ ბალეტი, არ ჰქონდათ უნივერსიტეტი?! ამის შემდეგ მოდის პეტერბურგის უნივერსიტეტი, ამის შემდეგ მოდის ყაზანის უნივერსიტეტი, შემდეგ მოდის მენდელეევი, მოდის ლომონოსოვი, სხვები და სხვები. ეს განვითარება ხდება ევროპასთან მიმართებაში. ეს რომ არ ყოფილიყო, შეიძლება ამ პროცესებს დაეგვიანა რუსეთში. დღეს აშკარაა, რომ თვითონ რუსეთს სჭირდება ევროპა და თუ ასე არაა, მაშინ ვნახოთ, სად ცხოვრობს პუტინის შვილი, სად ცხოვრობს ლაფროვის შვილი, სად ცხოვრობენ ბერეზოვსკის შვილები, სად ცხოვრობენ რუსი ოლიგარქები და სად აქვთ დაბანდებული მათ თავიანთი თანხა!“ (მამრ., 41-65, ქუთაისი).

რესპონდენტები აცნობიერებენ, რომ ხიბლი, რომელიც ქართველების თვალში ევროპას აქვს, თანაზიარი არაა და ევროპისთვის საქართველო ნაკლებ მიმზიდველია. ამდენად, ის საქართველოს გამო მოსკოვთან დაპირისპირებას მოერიდება და ქვეყანა კვლავაც მარტო აღმოჩნდება რუსეთის პირისპირ. ამ რთულ ვითარებაში მთავარ გამოსავლად კი რესპონდენტები ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებასა და თანამედროვე რეალობაში მის ახლებურად გამოყენებას მიიჩნევენ. მათი შეფასებით, ისტორია გვასწავლის, რომ საქართველო მუდმივად რთული არჩევანის წინაშე იდგა და სიტუაცია მეტ-ნაკლებად მაშინ მშვიდდებოდა, როცა გონიერი მმართველი ყველაზე ოპტიმალურ გადაწყვეტილებას იღებდა; ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მსხვილ მოთამაშეებს შორის ლავირებასა და ხელსაყრელი სიტუაციის ადეკვატურ გამოყენებას გულისხმობდა.

„თუ ჩვენ ისტორიას გადავხედავთ, აღმოვაჩინთ, რომ ჩვენთან მეტ-ნაკლებად ნორმალური პოლიტიკური ვითარება მაშინ იყო, როცა ჭკვიანი მმართველი გვყავდა. გეოპოლიტიკურად ისეთ ადგილას ვცხოვრობთ, რომ ეს მნიშვნელოვანია. არადა, სულ რამდენიმე ასეთი მმართველი გვყავდა და ვეძახით კიდეც ამ დროს ოქროს ხანას. ჭკვიანი ადამიანი უნდა იყოს სათავეში, რომელიც შეძლებს ამ მძიმე პერიოდში ლავირებას და რალაცნაირად ამ მძიმე ვითარების დარეგულირებას. ჩვენი მეფეებიც ასე აკეთებდნენ, როგორ შეატყობდნენ სიტუაციას, იმის მიხედვით იქცეოდნენ – ხან სპარსეთთან იყვნენ კარგად და ხან ბიზანტიასთან“ (მამრ., 41-65, ზუგდიდი).

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ რესპონდენტების დისკურსში უსაფრთხოების პრაგმატული ხედვა დომინირებს. მიუხედავად ლავირების სურვილისა, მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ რუსეთის აგრესია ნებისმიერ მომენტშია მოსალოდნელი; ამ აგრესიისგან დაცვის მთავარ საშუალებად კი ევროკავშირთან დაახლოება ესახებათ. ფოკუს ჯგუფებში ისიც აღინიშნა, რომ ბრიუსელის პასიურობა, რომელსაც, ზოგადად, ხისტი გადაწყვეტილებების მიღება არ ახასიათებს, საქართველოს შემთხვევაში შეიძლება შეფასდეს, როგორც რუსეთის გალიზიანების არიდებისა და აგრესიის შესუსტების მცდელობა. მიუხედავად გარედან მხარდაჭერის ნაკლებობისა, ევროპული არჩევანის დასაცავად მოსახლეობა მზადაა, რუსეთის აგრესიას თავად გაუმკლავდეს.

„აგრესია გადავიტანეთ [რუსეთის მხრიდან] და კიდევ იქნება. ევ-

როპასაც უხერხულობაში ვაგდებთ, რადგან გასაყოფი ვართ. ევროპა სწორედ ამ უხერხულობას ერიდება და წელავს, რომ რუსეთი თავად წავიდეს დათმობაზე და ევროპას პრობლემა არ შეექმნას. ამიტომ სწორედ ჩვენ უნდა გავეუმკლავდეთ ამ აგრესიას და დავიცვათ ჩვენი არჩევანი“ (მამრ., 41-65, გორი).

ქართული იდენტობა და ღირებულებები ევროპეიზაციის კონტექსტში

როგორც პოლიტიკოსებისა და ექსპერტების, ისე მოსახლეობის ნარატივებში ევროკავშირთან ინტეგრაციის და ევროპეიზაციის შესახებ ორი ძირითადი დისკურსი იკვეთება – უსაფრთხოებისა და იდენტობის. წინა ქვეთავში გამოჩნდა, რომ უსაფრთხოების პრაგმატული დისკურსი ევროკავშირს რუსეთის იმპერიალისტური ზრახვებისგან დამცველად წარმოაჩინს. მიუხედავად გაჟღერებული მოსაზრებისა, რომ ევროკავშირი ყოველმხრივ ცდილობს, რუსეთთან კონფრონტაცია აირიდოს, ამდენად, მზად არაა, კრიტიკულ მომენტში საქართველოს მხარში დაუდგეს, კვლევის მონაწილეთა დიდი ნაწილი მაინც იმედით უყურებს ევროკავშირთან დაახლოებას და სჯერა, რომ ეს პროცესი ქვეყნის უსაფრთხოებაზე პოზიტიურად აისახება. რაც შეეხება იდენტობის დისკურსს, ის საკმაოდ ამბივალენტურია, რადგან, მიუხედავად ქართველების გაცხადებული ევროპელობისა, ევროინტეგრაცია ქართული იდენტობისთვის გარკვეულ საფრთხედ აღიქმება. მიუხედავად იმისა, რომ რესპონდენტების დიდი ნაწილი საქართველოს, ისტორიულად და კულტურულად, ევროპის ნაწილად მიიჩნევს, მათ მოსაზრებებში ისიც ვლინდება, რომ ქრისტიანულ ცივილიზაციაზე დაფუძნებული კულტურული მსგავსება აუცილებლად არ ითარგმნება ქართული და ევროპული ღირებულებების მსგავსებაში. მათი აზრით, ეს იმით აიხსნება, რომ საქართველო აღმოსავლურ ქრისტიანულ ოჯახს მიეკუთვნება და არა დასავლურს; ამასთან, იგი ისტორიულად აზიის გავლენასაც განიცდიდა.

ღირებულებითი განსხვავებების ჭრილში, ორი სახის დისკურსი გამოიყო: ერთი ევროპულ ღირებულებებს ქართულზე უპირატესად მიიჩნევს, მეორე კი, პირიქით. ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა აზრით, ევროპელების უპირატესობა სამოქალაქო ღირებულებების სიძლიერეს უკავშირდება, მაგალითად, კანონმორჩილებას, ადამიანის უფლებების

დაცვას და ა.შ. ხოლო ქართველების უპირატესობად კულტურული (ხშირ შემთხვევაში, კოლექტივისტური) ღირებულებები მიიჩნევა. საგულისხმოა, რომ ქართველების კულტურული უპირატესობის ხაზგასმა მხოლოდ მოსახლეობასთან გვხვდება, მაშინ როცა დისკურსები ქართული და ევროპული ღირებულებების მსგავსების, ასევე ევროპული ღირებულებების უპირატესობის შესახებ, პოლიტიკოსებთან და ექსპერტებთან ჩატარებულ ინტერვიუებშიც გამოვლინდა.

ქართულ და ევროპულ ღირებულებებს შორის მსგავსება

ფოკუს ჯგუფებში გამოვლენილი ერთ-ერთი მთავარი დისკურსის თანახმად, საქართველოსა და ევროპას საერთო ისტორია და ქრისტიანული ღირებულებები აკავშირებს. სწორედ ქრისტიანობა მიიჩნევა იმ ბაზისად, რაზეც ევროპული ცივილიზაცია დგას და რაც ქართველის ევროპული იდენტობის საწინდარია.

„სწორედ ქრისტიანული ცივილიზაცია ფართო გაგებით და არა მხოლოდ, ვინაობა, მოსახმარი კულტურა, ერთი გვაქვს. ქრისტიანობა არის ჩვენი კულტურის ‚ლოკომოტივი‘ და ამიტომ გვაქვს კულტურების თანხვედრა“ (მამრ., 41-65, თელავი).

„ჩვენი იდენტობა, ქართველის იდენტობა, ზოგადად, არის ევროპული. ჩემი აზრით, თუ ისტორიულ ასპექტს გადავხედავთ, ეს ასეა. აზიური კულტურა სულ სხვა არის. აზიური იდენტობა სრულიად განსხვავებულია ევროპულისგან“ (მამრ., 18-25, ქუთაისი).

საინტერესოა, რომ საქართველოს ევროპულობისა და კულტურათა თანხვედრაზე საუბრისას, ზოგჯერ საქართველო ევროპაზე წინმსწრებადაც განიხილება. როგორც ზემოთ აღინიშნა, დისკურსი, რომ საქართველო მანამდე იყო ევროპული, ვიდრე თავად ევროპა, არათუ მოსახლეობისთვის, არამედ პოლიტიკოსებისთვისაც არაა უცხო. ეს განსაკუთრებით ვლინდება ნარატივში, რომ ქართველები იმთავითვე ევროპელები არიან, რის არგუმენტად, უმეტესად, დმანისის არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი უძველესი ადამიანები, „პირველ ევროპელებად“ წოდებული ზეზვა და მზია მოჰყავთ. მსგავსი ტენდენცია „ევროპულ მახასიათებლებთან“ დაკავშირებითაც გამოიკვეთა: ამ კონტექსტში საქართველო წარმოჩენილია ქვეყნად, რომელსაც ევროპაზე ადრე ჰქონდა ისეთი „ევროპული“

მახასიათებლები, როგორცაა ქრისტიანული რელიგია, დემოკრატიული მმართველობის ჩანასახები და სხვ.

„ის ღირებულებები, რომლებსაც ევროპულად ასაღებენ, უფრო ადრე გვექონდა ჩვენ, ვიდრე ბევრ ევროპულ კულტურას“ (მამრ., 41-65, ზუგდიდი).

„ჩვენ ძირძველი ევროპელები ვართ. თუნდაც ზეზვა და მზია ავიღოთ. ასეთი კულტურა ევროპის ბევრ ქვეყანას არ დაესიზმრება“ (მამრ., 26-40, ბათუმი).

„თუნდაც პარლამენტარიზმის ისტორია, საპარლამენტო მმართველობა ასოცირდება ევროპასთან. საქართველოში კი ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში იყო პარლამენტარიზმის საფუძვლები. ისტორიის და კულტურის თვალსაზრისით, ვართ ევროპის ნაწილი, რელიგიითაც ვართ“ (მდედრ., 18-25, გორი).

უნდა აღინიშნოს, რომ, ხშირ შემთხვევაში, დისკუსანტები ევროპელებს მოიხსენიებენ, როგორც კულტურულ, დახვეწილ და ცივილიზებულ ადამიანებს. ზოგი რესპონდენტი ქართველებსაც სწორედ ამ მახასიათებლებით ამსგავსებს ევროპელებს. მაგალითად, „ცივილიზებულობის“ კონტექსტში, ქართველებსა და ევროპელებს შორის ერთ-ერთ მსგავსებად დასახელდა როგორც ქართველების, ისე ევროპელების ნაკლები მიდრეკილება ომისა და ძალადობისკენ.

„ჩვენ ომი შეგვიძლია, მაგრამ არ ვართ მეომარი და მოძალადე ხალხი, ევროპა სწორედ ასეთი საზოგადოებაა. [...] თითქოს საუბრებით, ცივილიზებული წესით აგვარებენ პრობლემებს და ჩვენ ვართ ასეთი ქვეყანა“ (მდედრ., 41-65, გორი).

აღსანიშნავია, რომ ქართველებთან შედარებით „ნაკლებ ცივილიზებულებად“ განიხილება დანარჩენი კავკასიური ერები: სომხები, აზერბაიჯანელები და ჩრდილოკავკასიელები. ერთ-ერთი რესპონდენტის აზრით, ზემოხსენებულ ერებთან შედარებით, ქართველების „ცივილიზებულობა“ იმით გამოიხატება, რომ საქართველოში ყოველთვის იყო ინტელიგენცია, რაც სწორედ ქართველების ევროპელობის ინდიკატორად განიხილება. ამდენად, საკუთარი ევროპელობის დეკლარირების კვალდაკვალ, აღმოსავლეთით მდებარე მეზობლების „ორიენტალისტური“ ხედვაც გვხვდება, რაც, საფიქრალია, რომ ქართველების მხრიდან „ოქსიდენტალიზმის“ მცდელობას წარ-

მოადგენს (Todorova, 1997): საქართველო, რომლის ევროპულობაც შესაძლოა ბევრს სადავოდ მიაჩნდეს, თავს კავკასიელი მეზობლების „ცივილიზებულ დასავლეთად“ წარმოაჩენს.

„ჩვენს მეზობლებთან – სომხებთან, აზერბაიჯანელებთან, ჩრდილო-კავკასიელებთან – შედარებით ნამდვილად ევროპელები ვართ და ყოველთვის გვყავდა ინტელიგენცია“ (მდედრ., 41-65, თბილისი).

აღსანიშნავია, რომ ევროპის გავლენად მიიჩნევა რუსეთის იმპერიის ისტორიული გავლენაც საქართველოზე, რადგანაც მე-19 საუკუნის რუსეთი „ნახევრად ევროპად“ განიხილება. ამასთან, საქართველოსა და ევროპის კავშირზე, ასევე ევროპული ღირებულებების შემოტანაზე პასუხისმგებლობა ისეთ ისტორიულ პიროვნებებს მიენერებათ, რომლებსაც დისკუსანტები ევროპასთან ასოცირებულად სწორედ რუსეთის იმპერიის გავლით მიიჩნევენ, მაგალითად, ალექსანდრე და ნინო ჭავჭავაძეებს (რუსეთის იმპერიის არმიაში მოღვაწე ქართველი პოეტი და მისი ქალიშვილი, რომელიც რუსი მწერლის ალექსანდრე გრიბოედოვის მეუღლე იყო) და თერგდალეულებს (მე-19 საუკუნის 60-იან წლებში რუსეთში განათლებამიღებული ქართველი ახალგაზრდები, რომლებსაც სიახლეები შემოჰქონდათ ქართულ საზოგადოებრივ სივრცეში).

„ევროპის ნაწილი ნამდვილად ვართ, ჩვენ იმხელა გავლენა გვქონდა რუსეთიდან და რუსეთი ნახევრად ევროპაა“ (მდედრ., 41-65, გორი).

„როდესმე ყოფილა კულტურულად მონყვეტილი საქართველო ევროპას? მე ვგულისხმობ კულტურულ სივრცეს და არა კონკრეტულ სივრცეს. ავიღოთ მთლიანად კულტურული კორიფეები ნებისმიერ დარგში და თუგინდ თერგდალეულების იდეაც ავიღოთ. თერგდალეულების იდეა რუსეთში ევროპული დაკომპლექტება იყო“ (მამრ., 18-25, ქუთაისი).

„ვნახოთ, ნინო ჭავჭავაძე საითკენ მიისწრაფვის? ევროპული შემოაქვს. ალექსანდრე ჭავჭავაძეს კახეთში შემოაქვს ევროპული ფასეულობები, ტექნოლოგიები, სხვადასხვა რალაცეები. ევროპაში მიღებული განათლებით ამაცობდნენ, ხომ?“ (მამრ., 41-65, ქუთაისი).

მოსახლეობის ნარატივებში იკვეთება ექსპერტებსა და პოლიტიკოსებთან გამოვლენილი მოსაზრებაც, რომ ის ღირებულებები,

რომლებსაც ევროკავშირად მივიჩნევთ (მაგალითად, ადამიანის უფლებებთან, პასუხისმგებლობის ალებასთან დაკავშირებული), სინამდვილეში უნივერსალური ღირებულებებია და, შესაბამისად, საქართველოსთვისაც არ არის უცხო. ამას გარდა, მთელი მსოფლიოსთვის უნივერსალურია ისეთი ღირებულებები, რომლებიც მეგობრობასა და შიდაჯგუფურ ურთიერთობებს უკავშირდება. ამდენად, იმისათვის, რომ ზემოხსენებული ღირებულებები გაითავისო, სულაც არ არის საჭირო, იყო ევროპელი. აღსანიშნავია, რომ თავად ევროპული იდენტობის მკვლევარების აზრით, მოქალაქეობასთან დაკავშირებული ღირებულებები (მაგალითად, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები, ფუნდამენტური თავისუფლებები და დემოკრატია) ზედმეტად უნივერსალურია იმისათვის, რომ ევროკავშირის მოქალაქეებს ძლიერი ევროპული იდენტობა ჩამოუყალიბოს (Kaina, Karolewski, 2013).

„ადამიანის უფლებები, პირადი პასუხისმგებლობა მხოლოდ საქართველოს და ევროპას არა, მთელს მსოფლიოს აერთიანებს“ (მედერ., 18-25, ბათუმი).

ამგვარად, ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ქართველების ევროპელობის მიმართ ამბივალენტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. ერთი მხრივ, იმის დასაბუთებას ცდილობენ, რომ ქართველები უდავოდ ევროპელები არიან და ევროპელებზე ადრეც კი გახდნენ ევროპელები; თუმცა, მეორე მხრივ, საკუთარი ევროპელობის დეკლარირება არ ემთხვევა შესაბამის თვითაქმას. მსგავს ტენდენციას საქართველოს მასშტაბით ჩატარებული რაოდენობრივი კვლევებიც ადასტურებს: მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხულთა 56% ეთანხმება ზურაბ ჟვანიას ცნობილ გამონათქვამს: „მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ვარ ევროპელი“ (CRRC, 2013, 2015), საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 18% გრძნობს ევროპასთან ემოციურ სიახლოვეს და 15% მიიჩნევს თავს ერთდროულად ქართველად და ევროპელად, ხოლო 77,3% არ გრძნობს სიახლოვეს ევროპასთან (ISSP, 2013). ამასთან, ქართველების 69% თვითიდენტიფიცირებას მხოლოდ ქართველად ახდენს (CRRC, 2015). შესაბამისად, საკმაოდ ამბივალენტურია ევროინტეგრაციის მიმართ დამოკიდებულებაც: ევროინტეგრაცია ერთდროულად სასურველადაც მიიჩნევა და, ამასთანავე, ეროვნული იდენტობის მიმართ გარკვეულ საფრთხედაც. შესაძლოა პარადოქსულად აღვსინათ, მაგრამ მაშინ, როცა მოსახლეობის მხოლოდ 12% აფასებს ევროკავშირს ნეგატიურად და უმრავლესობა (61%) საქართველოს ევროკავშირში შესვლას

მიესალმება, 45% თვლის, რომ ევროკავშირი ქართულ ტრადიციებს საფრთხეს უქმნის (CRRC, 2015). ეს ტენდენცია იმით უნდა აიხსნას, რომ ევროინტეგრაციამ შესაძლოა არათუ ერთიანი ევროპული იდენტობის გაჩენას შეუწყოს ხელი, არამედ, პირიქით, ეროვნული და კულტურული იდენტობებისადმი საფრთხის აღქმა გააძლიეროს და „თავდაცვითი ლოკალიზმის“ გაჩენა გამოიწვიოს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამბივალენტური იდენტობები სოციოკულტურული და ნაციონალური „ხმების“ დაპირისპირების საფუძველზე ყალიბდება – ელიტების მიერ შეთავაზებულ ევროპულ იდენტობას მოსახლეობა ყოველდღიურ ცხოვრებაში თავისებურად გარდაქმნის (Nanz, 2010). ზემოხსენებული საფრთხის განცდა და ამბივალენტური დამოკიდებულებები განსაკუთრებით კარგად ჩანს ქვემოთ, როდესაც მონაწილეები ქართულ და ევროპულ ღირებულებებს შორის სხვაობებს განიხილავენ.

ქართულ და ევროპულ ღირებულებებს შორის განსხვავება

ევროპული ღირებულებების მიმართ ქართველების ამბივალენტურ დამოკიდებულებას ის ფაქტორიც აძლიერებს, რომ საქართველო, ერთდროულად, ევროპული და აზიური გავლენების მქონე ქვეყნად აღიქმება, რაც ყველაზე უკეთ ღირებულებით ორიენტაცი-აში გამოიხატება. დისკუსანტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართული და ევროპული ღირებულებები განსხვავებულია და ამ განსხვავებებს კულტურული გავლენები განაპირობებს. ამ მოსაზრების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ხელოვნებასა და არქიტექტურაში ევროპული ელემენტები იგრძნობა, ღირებულებები და ტრადიციები უფრო აზიურ გავლენას განიცდის, რაც, საბოლოო ჯამში, ქართველებს უფრო აზიელებად აქცევს.

„ჩვენი ბუნება და ტრადიციები არ არის ევროპული, უფრო აზიური გავლენა გვაქვს“ (მდედრ., 18-25, ბათუმი).

„კულტურის და ხელოვნების თვალსაზრისით, შეიძლება ევროპელები ვართ, მაგრამ მენტალობით აზიელები ვართ“ (მამრ., 18-25, თბილისი).

„ჩვენი კულტურა და ტრადიციები უფრო აზიურია, ვიდრე ევროპული. შეიძლება არქიტექტურა ევროპულია, მაგრამ მივიღტვით ევროპისკენ და ის არ გვიღებს“ (მამრ., 18-25, გორი).

აქვე აღსანიშნავია არგუმენტი, რომ, რადგან საქართველოში ევროპისა და აზიის გავლენა ყოველთვის ენაცვლებოდა ერთმანეთს, ქვეყანა არც „მთლად ევროპაა“ და არც „მთლად აზია“, არამედ სპეციფიკური, ჰიბრიდული იდენტობით გამოირჩევა, რომელიც ევროპულისა და აზიურის ბრიკოლაჟის შედეგია.

„ჩვენ ისეთ ადგილას ვართ და ყოველთვის ასე ვიყავით, რომ აზიაც ვიყავით და ევროპაც. მთლად ევროპაც არ ვართ და არც მთლად აზია ვართ. ალბათ, კავკასიური ნაწილი მართლა კავკასიური ნაწილია. ჩვენ მენტალიტეტით ძალიან ევროპელები არ ვართ და არც აზიელები ვართ“ (მდედრ., 41-65, თბილისი).

„თანამედროვე მსოფლიოში ჩვენ ვართ ერი, რომელიც არის ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“ (მამრ., 41-65, თელავი).

კიდევ ერთი დისკურსის თანახმად, იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქართველოსა და ევროპის საერთო ქრისტიანულ კულტურაზე ვსაუბრობთ, გასათვალისწინებელია, რომ საქართველო არა დასავლეთ ევროპის კათოლიკურ ან პროტესტანტულ ქვეყნებს მიეკუთვნება, არამედ აღმოსავლური ქრისტიანობის ნაწილია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის კულტურულ ღირებულებებზე. ამდენად, „ევროპულ ოჯახში დაბრუნების“ იდეა არავალიდურად მიიჩნევა იმ მოსაზრებით, რომ საქართველო არასოდეს ყოფილა ამ „ოჯახის“ წევრი.

„ლაპარაკია, რომ დაგბრუნდეთ ,ევროპულ ოჯახში‘ და როდის ვიყავით იქ? რომელ ევროპაში ვიყავით? ეს ყველაფერი ხომ ისტორიიდან გამომდინარეობს? დასავლეთ ევროპაში ვიყავით? კათოლიკურ ევროპაში თუ პროტესტანტულ ევროპაში? ჩვენ ვართ აღმოსავლეთ ქრისტიანული მხარე, როგორც საბერძნეთი. არ ვეკუთვნიტ ნამდვილად დასავლეთ ევროპას, ისინი რელიგიურადაც ბოლო 300-400 წელია სხვა მხარეს არიან და მენტალიტეტი აბსოლუტურად განსხვავებულია. რელიგიურ მხარეს აქვს, ამ შემთხვევაში, ძალიან დიდი მნიშვნელობა. იმ ფასეულობებს, რომლებიც აღმოსავლურ ქრისტიანულ მიმართულებას აქვს და არა პროტესტანტულ ნაწილს“ (მამრ., 41-65, თბილისი).

აღსანიშნავია, რომ ქართული და ევროპული ღირებულებების განსხვავების კონტექსტში, ორი ქვედისკურსი გამოიკვეთა: ერთ შემთხვევაში ევროპული ღირებულებები განიხილება უპირატესად, ხოლო მეორეში – ქართული.

ა) ევროპული ღირებულებები ქართულ ღირებულებებზე უპირატესია

ექსპერტებისა და პოლიტიკოსების მსგავსად, მოსახლეობასთან ჩატარებულ ფოკუს ჯგუფებშიც გამოიკვეთა დისკურსი, რომლის თანახმად, ევროპა უფრო ცივილიზებულ აქტორად წარმოგვიდგება და ევროპული ღირებულებები ქართულ ღირებულებებზე უპირატესად მიიჩნევა. ამ შემთხვევაში, ევროპული ღირებულებები ასოცირდება დემოკრატიასთან, სიტყვისა და არჩევანის თავისუფლებასთან, ასევე განათლებასა და „ცივილიზებულობასთან“.

„ჩემში ევროპა ინვესს გარკვეული პრინციპებისა და გარკვეული ფასეულობების ასოციაციას. ევროპული ფასეულობებია სიტყვის თავისუფლება, პრესის თავისუფლება, მედიის თავისუფლება, თანაბარუფლებიანი, კონკურენტუნარიანი გარემო, არჩევანის თავისუფლება და სხვადასხვა. დემოკრატიის პრინციპების გარდა, ევროპა ჩემთვის ასოცირდება გარკვეულ კულტურასთან და გარკვეულ მეცნიერებასთან, ცხოვრების გარკვეული წესია“ (მდედრ., 41-65, ქუთაისი).

მონაწილეების აზრით, ევროპული ღირებულებები, ქართულთან შედარებით, უფრო სამოქალაქო, სახელმწიფოებრივი ღირებულებებია. ამ შემთხვევაში. ის, რაც ევროპელებს ქართველებისაგან საგრძნობლად განასხვავებს, კანონმორჩილებაა.

„ევროპელს სახელმწიფოებრიობა აქვს გათავისებული – რამეს რომ აკეთებს, ეს სახელმწიფოსთვის კარგია თუ ცუდია. ჩვენ, მაპატიეთ, მაგრამ უფრო მაფიოზობისკენ მიმსწრაფველი ვართ“ (მამრ., 41-65, ქუთაისი).

„ყველაზე მეტად რაც დასაფასებელია და ევროპაში მომწონებია, ეს არის პატივისცემა კანონებისადმი, რაც ჩვენთან ნაკლებად არის; ნაკლებად ან საერთოდ არ არის, თუმცა თანდათან შემოდის. კონკრეტულად, გერმანიის მაგალითზე ვიტყვი, რომ განურჩევლად იმისა, თანამდებობის პირია თუ ჩვეულებრივი ადამიანი, კანონებისადმი პატივისცემა აქვთ. ეს არ არის შიშის გამო, ეს მათ მენტალიტეტშია“ (მდედრ., 26-40, თელავი).

ევროპელები მონესრიგებულ და შრომისმოყვარე ადამიანებად აღიქმებიან მაშინ, როცა ქართველებს სწორედ ამის საპირისპირო მახასიათებლები მიენერებათ: სიზარმაცე, არაკანონმორჩილება და უნესრიგობა (რიგში გადახტომა, ქუჩაში ნაგვის დაყრა, შუქნიშნის იგნორირება და ა.შ.).

„იქ კულტურა ძალიან მაღალ დონეზეა, როდესაც შუქნიშანზე წითელი ანთია, რაც არ უნდა ცარიელი იყოს გზა, არ წავა მძღოლი. ელემენტარულად, მზესუმზირას და თამბაქოს ნამწვავს არ დააგდებს ქუჩაში. ამ თვალსაზრისით, ელემენტარული ქცევის წესები არ გვაქვს ჩვენ“ (მდედრ., 41-65, ბათუმი).

„მე ქართველი ვარ და ჩემი ერი სხვა ნებისმიერს მირჩევნია, მაგრამ ქართველი ადამიანი არის ძალიან ზარმაცი და ძალიან ქედმაღალი. ხომ შეიძლება ჩვენც ჩავჯდეთ იმ სტანდარტებში და მუშაობის იმ რეჟიმს შევეჩვიოთ? ურნაში არ ჩააგდებენ ნაგავს და გარეთ გადააგდებენ“ (მდედრ., 26-40, გორი).

ევროპასთან ასოცირდება მონესრიგებული შრომითი ურთიერთობებიც. ამის სანინალმდეგოდ, საქართველოში შრომა დაუფასებად მიიჩნევა.

„ევროკავშირის ყველა ქვეყანას აქვს თავისი წესები. ქართველი ხალხი ცოტა სხვანაირი ხალხი ვართ, იმ წესებს ბოლომდე ვერ დავიცავთ. სიტყვაზე, მუშაობთ რომელიმე სადგურზე და უნდა იმუშავოთ 9-დან 9 საათამდე. რამდენჯერ ყოფილა, რომ მისულხართ და გიმუშავიათ 9-10-მდე? ბევრჯერ. იქ მუშაობენ 9-დან 6-მდე. თუ დამატებით გამოიძახებენ, ის ითხოვს საათობრივ ანაზღაურებას. აქ ასეთი რამ არასოდეს იქნება“ (მამრ., 26-40, გორი).

საინტერესოა, რომ მონაწილეები დამოუკიდებლობის საზომით ერთმანეთს ადარებენ ქართველ და ევროპელ ახალგაზრდებს: ევროპელი ახალგაზრდების მშობლებისგან ფინანსური დამოუკიდებლობა პოზიტიურად ფასდება და ქართველი ახალგაზრდების მშობლების კმაყოფაზე ცხოვრებას გაკრიტიკებული.

„პოლიტიკოსების და ცნობილი სახეების შვილები როდესაც სრულწლოვანები ხდებიან, მშობლის კმაყოფაზე აღარ ცხოვრობენ [ევროპაში]. აქ მამის იმედი აქვთ, მეუღლეც მამის კისერზე მოჰყავთ. იქ კი დამოუკიდებელ ცხოვრებას ეჩვევიან, ჩამოყალიბებული და მონესრიგებული ხალხია“ (მდედრ., 26-40, გორი).

როგორც ექსპერტები და პოლიტიკოსები, ისე ფოკუს ჯგუფების მონაწილე მოსახლეობაც ქართული ღირებულებების დაკნინებისა და ევროპულისგან განსვლაზე პასუხისმგებლობას საბჭოთა კავშირის პერიოდს მიანერს. ეს პერიოდი ინდივიდის შეზღუდულ თავისუფლებასთან ასოცირდება, იქნება ეს სიტყვის თუ არჩევანის თავისუფლე-

ბა, შესაბამისად, ნაკლებ პასუხისმგებლობასთანაც, რამაც, რესპონდენტთა სიტყვებით, ქართველების „განვითარებას დალი დაასვა.“

„ისტორიის გარკვეულ ეტაპზე, მართალია, რუსეთმა ევროპასთან დამაკავშირებელი გარკვეული ხიდის როლი შეასრულა, მაგრამ ეს საბჭოთა პერიოდი იყო ის შავი ლაქა, რომელმაც არათუ ევროპულ ფასეულობებზე გარკვეული თვალსაზრისით უარი გვათქმევინა, არამედ თვითონ ქართული ფასეულობების დეგრადაცია გამოიწვია“ (მამრ., 18-25, თელავი).

„ევროპული ღირებულებები – სიტყვის თავისუფლება, ადამიანის უფლებები, არჩევანის თავისუფლება – გარკვეული ტრადიციებიდან და ჩვენი წარსულიდან გამომდინარე, საკმაოდ შეზღუდული იყო ჩვენი საზოგადოებისთვის. ვგულისხმობ საბჭოთა პერიოდს და იმ შეზღუდვებს, რომელშიც გვაცხოვრეს წლების მანძილზე და ამან ჩვენ განვითარებას დალი დაასვა“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

მოცემულ სიტუაციაში ქართველები „პატარა ბავშვებად“ განიხილებიან, რომლებმაც ევროპისგან ზემოხსენებული ღირებულებები უნდა ისწავლონ (თუნდაც ისეთი მარტივით დაწყებული, როგორცაა ქუჩის დანაგვიანებისგან თავის შეკავება) იმისათვის, რომ განვითარების მხრივ მას მიუახლოვდნენ.

„ჩვენი ხელისუფლება მიდის ევროპისკენ მაშინ, როცა თვითონ შიგნით სულ სხვა მოთხოვნილება აქვს ერს და საზოგადოებას იმიტომ, რომ მე ნაგვის გადაყრას ახლა მასწავლიან, ხვდებით?“ (მდედრ., 18-25, ქუთაისი).

„განვითარების გზაზე ყველას სჭირდება ვიღაც, ვისგანაც რაღაცას ისწავლის. ჩვენ გვჭირდება სხვა, რომ ვისწავლოთ და იმისთვისაც, რომ ჩვენი კარგი გავცეთ. თუ ჩვენ დავიჯერებთ, რომ მხოლოდ ჩვენია კარგი, ასე არაა, ცხადია. ელემენტარულია, გზაზე რომ ნაგავი არ უნდა დავყაროთ, თუნდაც ეს გვაქვს სასწავლი ევროპელებისგან“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

ამგვარი „სწავლების“ დისკურსი ევროპეიზაციის ერთ-ერთ მექანიზმს – სოციალიზაციას უკავშირდება, რომლის თანახმად, ევროკავშირი პარტნიორ ქვეყნებს საკუთარ ნორმებსა და ღირებულებებს ასწავლის და „მონაფეებს“ მათ უპირატესობაში არწმუნებს. სოციალიზაციის მექანიზმი თავს განსაკუთრებით მაშინ იჩენს, როცა ქვეყანა ახალ, გაურკვეველ

მდგომარეობაში იმყოფება, ევროკავშირს ლეგიტიმურ აქტორად მიიჩნევს და ძალიან ცდილობს, ევროპას ეკუთვნოდეს. თუმცა, თუ ზემოთ განხილულ ამბივალენტურ იდენტობებს (Nanz, 2010) გავიხსენებთ, ისიც მოსალოდნელია, რომ მსგავსი ტიპის „სწავლების პროცესი,“ იმავდროულად, განსაკუთრებულ გალიზიანებას იწვევდეს, კერძოდ, საკუთარი კულტურული იდენტობის გაზვიადებასა და ევროპეიზაციისგან თავდაცვით რეაქციებს წარმოშობდეს. მართლაც, „სწავლების“ მოთხოვნის პარალელურად, მონაწილეებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, რომ ევროკავშირი მასწავლებლის როლში გამოდის, რომელმაც, ვთქვათ, ტოლერანტობა უნდა ასწავლოს ქართველებს. ეს უკანასკნელნი საკუთარ თავს ისედაც ტოლერანტულად მიიჩნევენ და სჯერათ, რომ თავად შეუძლიათ ასწავლონ ევროპას სტუმართმოყვარეობა და მეგობრობა. ამასთან, ამ პროცესში ისეთი შუამავლების გამოყენება, როგორიცაა უცხოური დონორების მიერ დაფინანსებული ქართული არასამთავრობო სექტორი და მედია, განსაკუთრებულ კრიტიკას იწვევს.

„ჩვენ ტოლერანტულად გადაჭარბებული ლოიალიზმი გაგვაჩნია სხვებთან მიმართებაში და ეს ზედმეტობაშიც მოგვდის. ვინ-ვინ და და ახლა ზოგიერთი ტელევიზიები გვასწავლიდნენ ქართველს, ტოლერანტობა რა არის, ეგ სირცხვილია! სირცხვილია სტუმართმოყვარეობა, მოყვასის სიყვარული და ამ კუთხით ადამიანობა ასწავლო ქართველს! პირიქით, იქით ვასწავლით ევროპასაც და იმ ცივ ევროპასაც, რაც შეგვიძლია, გავუზიარებთ“ (მდედრ., 26-40, ქუთაისი).

„არ მომწონს, ტოლერანტობას როდესაც მახვევენ თავს. ქართველი ერი ყოველთვის ასეთი იყო. არ მომწონს არასამთავრობოები, რომლებიც ბევრ რამეს გვახვევენ თავს. მაგრამ ძალიან ბევრი რამე მომწონს და ამიტომ მინდა ევროპაში“ (მდედრ., 41-65, თელავი).

„კი, ბატონო, ძალიან კარგია ეს ევროპა და მეც მგონია, რომ ვარ ევროპელი, მაგრამ მე ვიღაცამ არ უნდა მასწავლოს, რა არის მეგობრობა, კაცობა და ქართველობა. ეს ჩემში, როგორც ქართველში, გენეტიკურად დევს. ამას კარნახი არ უნდა“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

ბ) ქართული ღირებულებები ევროპულ ღირებულებებზე უპირატესია

ალტერნატიული დისკურსის თანახმად, ქართული ღირებულებები ევროპულ ღირებულებებზე აღმატებულია, თუნდაც იმიტომ, რომ ქართული კულტურა ევროპულზე უფრო ძველია.

„ჩვენი კულტურა გაცილებით დიდი ხნის წინ წარმოიშვა, ვიდრე მათი“ (მდედრ., 41-65, გორი).

რესპონდენტთა ნაწილი ევროპასთან მიმართებაში საქართველოს ისეთ კულტურულ უპირატესობებსაც უსვამს ხაზს, როგორცაა უნიკალური დამწერლობა და „აღმატებული“ ტრადიციები (მაგალითად, სტუმარმასპინძლობა), რაც ქართველების განსაკუთრებულ სიამაყეს იწვევს. ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულმა რეპრეზენტატულმა კვლევამაც დაადასტურა, რომ სწორედ ისტორიითა და კულტურით სიამაყეა ყველაზე მჭიდრო კორელაციაში ქართველების მაღალ ეროვნულ სიამაყესთან (89%) (ISSP, 2013).

„თუ ცალკე, დამოუკიდებლად ავიღებთ ჩვენს სახელმწიფოს, ყველაზე აღმატებული კულტურის, განათლების, ეთიკის, მორალის და ზნეობის სახელმწიფოა. ამ ხუთ კომპონენტში ქართველ ერს არავის სწავლება სჭირდება. ამაში ჩარევა შეიძლება უფრო უარყოფითადაც მოქმედებდეს, ვიდრე დადებითად“ (მდედრ., 41-65, თელავი).

ამდენად, ქართველებს ისეთი მახასიათებლები მიეწერებათ, როგორცაა ზნეობრივობა, მეგობრულობა („სითბო“) და ოჯახის წევრებზე ზრუნვა, ევროპელები კი უფრო ცივ, გულგრილ და ნაკლებ მორალურ ადამიანებად მიიჩნევიან, რომლებიც ნაკლებ ზრუნავენ საკუთარ ოჯახზე და მშობლებზე; ამასთან, „ზედმეტად თავისუფლები“ არიან, რაშიც, ხშირ შემთხვევაში, ღია სექსუალური ურთიერთობები, ჰომოსექსუალობა და, ზოგიერთი მონაწილის აზრით, ნათესავებთან სექსუალური ურთიერთობებიც კი მოიაზრება.

„ევროპა არის ზედმეტად თავისუფალი და ცივი. ჩვენ კი – თბილი და მოკრძალებული“ (მდედრ., 18-25, ბათუმი).

„ისინი არიან ქრისტიანები, მაგრამ კათოლიკეები და იქ სხვა წესებია. მაგალითად, მამიდაშვილებთან და ბიძაშვილებთან სექსუალური ურთიერთობები მათთვის ნორმალურია. ჩვენი მენტალობისთვის ეს მიუღებელია. მე შეიძლება ბევრ რამეს არ ვეთანხმები ჩვენთან, მაგრამ ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის მათი წესები, ბევრი წესი მიუღებელია და ამბობენ, რომ ევროპაში შესვლა არის გარყვნილება“ (მამრობითი, 18-25, ზუგდიდი).

„იქ (ევროპაში) დედა რომ მივიდეს ოჯახში, წინასწარ უნდა დარეკოს. კართანაც რომ მიადგეს და დარეკილი არ ჰქონდეს, შეი-

ძლება კარი მიუხუროს. ასევე, მოხუც მშობლებს უპრობლემოდ აბარებენ თავშესაფარში. აქ კარგად ჩანს მათი დამოკიდებულება“ (მდედრ., 26-40, თბილისი).

საინტერესოა, რომ, თუ რესპონდენტთა ნაწილი დადებითად უყურებს ახალგაზრდების დამოუკიდებლობისკენ სწრაფვასა და მშობლებზე მატერიალური თუ ემოციური მიჯაჭვულობის შესუსტებას, სხვები მას სწორედ ურთიერთობების გაციების ჭრილში აღიქვამენ და ევროპული ღირებულებების გავრცელების ნეგატიურ ასპექტად მიიჩნევენ.

„სრულწლოვან შვილს ცალკე ცხოვრების უფლებას აძლევენ. არ მგონია, რომ 18 წლის ადამიანი პიროვნულად იმ დონეზეა ჩამოყალიბებული, რომ დამოუკიდებლად ცხოვრება შეძლოს“ (მდედრ., 26-40, თბილისი).

„ევროპაში არ არის ოჯახური სითბო, სრულწლოვანი მიდის ოჯახიდან... ჩვენ ტრადიციული ხალხი ვართ და გვაქვს ოჯახური სითბო... ევროპაში 18 წლის რომ გახდებიან, არც კითხულობენ მშობელს“ (მდედრ., 41-65, ბათუმი).

ამდენად, დისკუსანტები ხაზს უსვამენ ქართული კულტურისთვის დამახასიათებელი კოლექტივისტური ღირებულებების უპირატესობას ევროპულ ინდივიდუალისტურ ღირებულებებზე. ამასთან, ევროპელები ქართველებთან შედარებით ნაკლებ პატრიოტებად განიხილებიან. შესაბამისად, აღიარებულია პატრიოტიზმთან გაიგივებული ქართული ნაციონალიზმის უპირატესობაც ევროპულ პოსტნაციონალიზმზე, რაც პატრიოტიზმის დეფიციტად აღიქმება. პატრიოტიზმის ნაკლებობასთან ერთად, ევროპელები „დაპროგრამებული“, ქართველები კი – უფრო შემოქმედებით ადამიანებად მიიჩნევიან. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს, *„ევროპელები უფრო დაპროგრამებულიები არიან და ჩვენ უფრო მრავალმხრივ განვითარებული ვართ“ (მამრ., 41-65, ქუთაისი).* ეს, სავარაუდოდ, სწორედ ევროპელების მონესრიგებულობასა და კანონმორჩილებას უნდა მივანეროთ, ქართველების მხრიდან კი – წესებით მანიპულირებასა და მათგან „შემოქმედებით“ დევიაციას, რაც ქართული „კულტურის ინტიმურობის“ (Herzfeld, 2005) არსებითი ასპექტია.

ევროპეიზაციის გავლენა ქართულ ღირებულებებზე

რესპონდენტთა აზრი იმის შესახებ, ახდენს თუ არა ევროპეიზაცია, როგორც ფორმალური ევროინტეგრაციის თანმდევი ღირებულებით-ნორმატიული პროცესი, გავლენას ქართულ ღირებულებებზე, იყოფა: თუ ერთი დისკურსით, ასეთი გავლენა არ შეინიშნება, მეორის თანახმად, ქართული ღირებულებები ევროპეიზაციის კვალდაკვალ იცვლება ან შეიძლება შეიცვალოს. თუმცა, თუ ელიტები ევროპეიზაციის გავლენის შედეგად გარკვეული ღირებულებითი ნაზავის თუ ბრიკოლაჟის შექმნას მოელიან, მოსახლეობის დამოკიდებულებები უფრო შეფასებითია და მიიჩნევა, რომ გავლენის შემთხვევაში, ქართული ღირებულებები ან უკეთესობისკენ შეიცვლება, ან უარესობისკენ. შესაბამისად, მათი მოსაზრებები ევროპეიზაციის გავლენის შესახებ შეიძლება ორად დაიყოს: ერთი მხრივ, ხაზგასმულია პოზიტიური გავლენა, რომელიც ქართველებს „უკეთეს მოქალაქეებად“ გარდაქმნის; მეორე მხრივ კი, ეს გავლენა ნეგატიურად მოიაზრება და, უმეტესად, ეროვნული იდენტობის დაკარგვის შიშს უკავშირდება.

ა) ევროპეიზაციის პოზიტიური გავლენა ქართულ ღირებულებებზე

ვინაიდან ევროკავშირი სამოქალაქო, დემოკრატიულ ღირებულებებთან და ადამიანის უფლებების დაცვასთან ასოცირდება, მის პოზიტიურ გავლენაში ფოკუს ჯგუფების მონაწილეები სწორედ სამოქალაქო საზოგადოების კონსოლიდაციის მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებს მოიაზრებენ. ისინი მოელიან ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების გაძლიერებას, წესრიგზე ორიენტირებას (ნაგვის ურნებში გადაყრა, საგზაო წესების დაცვა და სხვ.), ახალგაზრდების მეტ დამოუკიდებლობას, შრომითი უფლებების მოწესრიგებას, ადამიანის უფლებების, განსაკუთრებით, უმცირესობების უფლებების დაცვას, გენდერულ თანასწორობას და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის სამოქალაქო ღირებულებების „გაიდ-ეალბა“ და მოლოდინი, რომ ევროინტეგრაცია ამ ღირებულებების დაუყოვნებლივ დამკვიდრებას შეუწყობს ხელს, იმ ქვეყნებში უფრო შეინიშნება, რომელთაც ევროკავშირთან ურთიერთობის შედარებით მცირეხნინანი გამოცდილება აქვთ; ევროკავშირის ძველი წევრები კი ამგვარ საკითხებზე ნაკლებ ამახვილებენ ყურადღებას. მაგალითად, ევროკავშირში შესვლა მომენტალურად „მეტად ევროპელად“

გადაქცევად აღიქმებოდა ახალგაზრდა პოლონელების მიერაც (Moes, 2009).

მსგავსი ტენდენცია გამოიკვეთა ქართველ რესპონდენტებთანაც, რომელთაც ევროინტეგრაციის უშუალო შედეგად, სხვა სიკეთებთან ერთად, გენდერული სტერეოტიპების მსხვრევა და ქალების საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა ესახებათ:

„რატომღაც ქართველებს გვიყვარს სტერეოტიპის შექმნა – ქართველი კაცი და ქართველი ქალი. აი, როგორი უნდა იყოს ქართველი – მაღალი, დიდი, კაი პურის მჭამელი, სოფელი უნდა ქონდეს აუცილებლად, ყანწი დიდი და სამსახურიც კაი უნდა ქონდეს, და ქალი ლამაზი კუხნაში უნდა იყოს. ასეთი სტერეოტიპი გვაქვს და სტერეოტიპი სადაც არსებობს, იმის დამსხვრევის შიში გვაქვს. აი, ევროპაში თუ შევალთ, ის ქალი გამოვა კუხნიდან“ (მამრ., 18-25, ქუთაისი).

დისკუსანტები საქართველოს ევროკავშირთან დაახლოებას ტოლერანტობის, აგრეთვე სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ზრდასთან აკავშირებენ, შესაბამისად, უმცირესობების უფლებების დაცვასთანაც.

„უფრო ტოლერანტულები გავხდებით, რაც უფრო დაუუკავშირდებით ევროპას“ (მდედრ., 41-65, ზუგდიდი).

„ის აქცია (ჰომოფობიის სანინააღმდეგო) იმ წელს ჩატარდა, როდესაც ევროპასთან ასოცირებას მოვანერეთ ხელი. ანუ ამ ადამიანებს, ამ საზოგადოებას იმედი ჰქონდათ, რომ რადგან ხელი მოწერილია, არ შეეხებოდნენ; მანამდე ეშინოდათ, რომ დაარბევდნენ. შესაბამისად, პარაფირებამ კარგიც მოიტანა, არ ყოფილა მხოლოდ ჰაერზე ხელის მოწერა: ამ პირებს გაუჩნდათ განცდა, რომ დაცულები იყვნენ. ანუ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ადამიანებს გაუჩნდათ განცდა, რომ მათ არაკონფორმისტულ და მარგინალურ აზრსაც შეიძლება არსებობის უფლება ჰქონდეს“ (მამრ., 18-25, თბილისი).

ამასთან, ევროინტეგრაციის თანმდევ ეფექტად ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება და შრომითი უფლებების მონესრიგება განიხილება.

„დღეს შრომის კოდექსი საქართველოში არ არსებობს. არსებობს, მაგრამ ის არ არის ის შრომის კოდექსი, რომელიც უნდა იყოს ქვეყა-

ნაში. [ევროინტეგრაციის შედეგად] დემოკრატიული ინსტიტუტები განვითარდება საქართველოში, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია“ (მამრ., 18-25, თელავი).

„უფროსის და ხელქვეითის ურთიერთობა, თუნდაც პროფკავშირები მაღალ დონეზე აქვთ აყვანილი. ღმერთმა ქნას, რომ ეგ დრო მოვიდეს ჩვენ ქვეყანაში“ (მამრ., 41-65, თბილისი).

ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სიკეთეების გარდა, მონანილეები ევროპეიზაციას სამოქალაქო ცნობიერების გაძლიერებასა და წესრიგზე ორიენტირებული მოქალაქეების ჩამოყალიბებასაც უკავშირებენ.

„ვეითარდებით და ვაყალიბებთ წესებს, რომ უფრო მონესრიგებულად ვიყოთ ყველა კუთხით. თუნდაც, რაც ტრანსპორტზე ვთქვი, მანქანების გადაადგილება, ან ნაგვის გადაყრის მონესრიგება“ (მდედრ., 18-25, თბილისი).

ბ) ევროპეიზაციის ნეგატიური გავლენა ქართულ ღირებულებებზე

ევროპეიზაციის ნეგატიურ გავლენაში დისკუსანტები, უმეტესად, ქართული ღირებულებების იმ დასავლური ღირებულებებით ჩანაცვლებას მოიაზრებენ, რომლებიც ქართული საზოგადოებისთვის ნაკლებ მისაღებია. ამ პოზიციის მატარებელი, განსაკუთრებით უფროსი თაობის წარმომადგენლები, რომლებიც საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამენ ახალ გარემოში რესოციალიზაციას, საუბრობენ როგორც ქართული ტრადიციების გაქრობის, ისე ქართული ენის დავინყების საფრთხეზე.

„ვიღებთ ახალ რალაცეებს და ვივინყებთ, რაც არის ქართული და ეროვნული. გადავდივართ იმაზე, რაც ევროსტანდარტებით არის გათვალისწინებული“ (მდედრ., 18-25, გორი).

„ვიცი, რომ მათი ენა და წესები უნდა ვისწავლოთ. ჩვენი ქართული ტრადიცია მართლაც რომ ნელ-ნელა იშლება, თუნდაც მამა-პაპური არაფერი აღარ მნიშვნელობს, ვმცირდებით და ვღარიბდებით. მე რატომ უნდა დავივიწყო ქართული, როდესაც 1978 წელს ამაზე მთელი ამბავი იყო? ესენი ამ ასაკში გვთხოვენ ინგლისურის და კომპიუტერის სწავლას. ამას ჩვენ არ ვართ შეჩვეულები. მე ჩემი ტრადიცია და ქართული სიტყვა მინდა, ჩემი ტრადიცია, ჩემი ლამაზი ქორწილი, სადღეგრძელო“ (მდედრ., 41-65, ბათუმი).

ფოკუს ჯგუფის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ქართული ტრადიციები და ღირებულებები სწორედ ის სფეროა, სადაც ევროკავშირმა ქართველებთან მიმართებაში დამთმობი პოზიცია უნდა გამოიჩინოს.

„ჩვენ სხვანაირი ტრადიციების ქვეყანა ვართ და ევროკავშირს კიდევ სხვა ტრადიციები აქვს, რომელიც ჩვენთვის მიუღებელია. უნდა დათმოს ევროკავშირმა რაღაც-რაღაცეები მათი მხრიდან და ჩვენც უნდა დავთმოთ რაღაცეები, რომ მოხდეს შერწყმა“ (მდედრ., 26-40, ქუთაისი).

„რამდენი დავალება მოგვცეს, ყველაფერს ეხება, ტრადიციები არც ერთ დავალებაში არ ჩნდება, რომ ჩვენი მენტალიტეტი უნდა გაითვალისწინონ. ეს ყველაფერი იშლება. ამიტომ ვფიქრობ, რომ მათ უნდათ ნაშალონ, ჩვენს ტვინში რაც არის და მერე გავხედებით ევროპელები; ამიტომ მგონია, რომ არ ვართ მათთვის ახლობლები“ (მდედრ., 41-65, თბილისი).

საინტერესოა, რომ ევროპეიზაციის კონტექსტში, საკუთარი იდენტობისა და ტრადიციების „გამორჩეულად“ აღქმა სხვა ქვეყნების მაგალითზეც გვხვდება. ამის დადასტურებად პოლონელების და რუმინელების პოლიტიკური და პოპულარული დისკურსებიც გამოდგება ევროკავშირში განუერთიანების წინ, სადაც ხაზგასმულია ამ ქვეყნების განსაკუთრებულობა და ევროკავშირის მხრიდან მათთან მთელ რიგ დამთმობებზე წასვლის აუცილებლობა (Tsuladze, 2013).

ღირებულებებისა და ტრადიციების ჭრილში, ქართველი მონაწილეების უმრავლესობისთვის ყველაზე მტკივნეული ლგბტ თემთან დაკავშირებული საკითხებია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა რესპონდენტმა ევროპეიზაციის პოზიტიურ მხარედ ტოლერანტობის ზრდა და უმცირესობების უფლებების დაცვა დაასახელა, ევროინტეგრაციის კვალდაკვალ, ლგბტ ადამიანების მომრავლების საფრთხეს მაინც ხედავს. დისკუსანტებს საფრთხედ ესახებათ როგორც ე.წ. გეი აღლუმების მოწყობის შესაძლებლობა საქართველოში, ასევე ჰომოსექსუალური ქორწინება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის ქორწინება ამჟამად დაკანონებული არ არის, გამოითქვა შიში, რომ მომავალი თაობისთვის მისაღები იქნება როგორც თავად ჰომოსექსუალები, ასევე ჰომოსექსუალური ქორწინებაც. ამ მხრივ, ევროკავშირის მხრიდან იძულებად აღიქმება საქართველოში ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება, რაც სამივე თაობის მონაწილეთა დისკურსში გამოიკვეთა.

„მაგალითად, კანონი რომ მიიღეს უმცირესობების შესახებ, სრული ინფორმაცია არ მაქვს ამაზე. მოდით, ევროპამ მიგვიღოს ისეთი, ჩვენ როგორებიც ვართ“ (მამრ., 18-25, ქუთაისი).

„სულ არ მჭირდება, ჩემი 17 წლის ბავშვმა ასე აქტიურად მოისმინოს ეს თემები (სექსუალურ უმცირესობასთან დაკავშირებით). იყოს ის ისე, როგორც იყო აქამდე, როგორც მოვედით ამ ეტაპამდე. ჩვენი ქვეყანა ასე აქტიურად არ აპიარებდა ასეთ საკითხებს და არც რეგულაციები დანესებულა ამ კუთხით. ისეთ ქვეყნებს გადავურჩით, პირდაღებულ ვამპირებს, მაგრამ მოვედით ზუსტად იმ ქართველობის შენარჩუნებით, იმ სარწმუნოებაზე დაფუძნებით და იმ ოჯახური ტრადიციების გათვალისწინებით, და მე მინდა, რომ ეს ესე იყოს და არ მინდა არანაირად, ამაში რამე სანქციას მიწესებდეს ევროკავშირი“ (მდედრ., 26-40, ქუთაისი).

მართალია, ფოკუს ჯგუფებში სანიანალმდეგო არგუმენტებიც გაჟღერდა იმის თაობაზე, რამდენად შეიძლება ლგბტ თემი საფრთხეს წარმოადგენდეს ქართული იდენტობისთვის, მაგრამ ეს თავდაცვითი ტიპის არგუმენტებიც ადასტურებს, რომ ზემოხსენებული საკითხი რესპონდენტებისთვის საკმაოდ სენსიტიურია. ის მონაწილეები, რომლებიც ლგბტ თემის გაძლიერებაზე პასუხისმგებლობას ევროკავშირს არ მიაწერენ, საკუთარ მოსაზრებას შემდეგი არგუმენტებით ამყარებენ: ევროკავშირი არ აიძულებს საქართველოს ჰომოსექსუალური ქორწინების დაკანონებას, რადგან ის ევროკავშირის ქვეყნების დიდ ნაწილშიც კი არაა დაკანონებული და მას თავად ევროკავშირის მოსახლეობაც ეწინააღმდეგება; ჰომოსექსუალი ადამიანები საქართველოში ევროკავშირის ჩარევის გარეშეც გააქტიურდნენ; ევროკავშირის პოზიტიური ღირებულებები გადანონის ნეგატიურს, თუნდაც მას ლგბტ ადამიანების მომრავლებასთან ჰქონდეს კავშირი. საგულისხმოა, რომ მსგავსი დამოკიდებულება, უმეტესად, ახალგაზრდა რესპონდენტებთან ვლინდება და ძალიან ჰგავს გამოკითხული ელიტების შეხედულებებს მოცემული საკითხის შესახებ. თითქოს, ექსპერტები და პოლიტიკოსებიც თავდაცვით პოზიციაში დგებიან და ცდილობენ, ხაზი გაუსვან, რომ არატრადიციული ქორწინების დაკანონება დღის წესრიგში სულაც არ დგას, არამედ მხოლოდ ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვას ეხება საქმე. ამასთან, ისინიც იშველიებენ არგუმენტს, რომ თავად ევროკავშირის ქვეყნებშიც კი არ არის ერთსულოვნება ჰომოსექსუალურ ქორწინებასთან

დაკავშირებით და მოსახლეობის ნების გაუთვალისწინებლად ასეთი საკითხების გადაწყვეტა არსად ხდება.

„ძალიან ბევრი მითია და ევროკავშირზე დამახინჯებული ინფორმაცია არსებობს. ძალიან ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ ევროკავშირში განევრიანება ასევე გულისხმობს ჩვენს საზოგადოებაში სექსუალური უმცირესობების გამრავლებას, მათ პროპაგანდას, ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას და ა.შ. რაც მასე არ არის, უბრალოდ ევროკავშირი მოითხოვს, რომ იყოს ადამიანის უფლებები დაცული. ადამიანად კი იგულისხმება ყველა, ვინც დაიბადა და ღმერთის მიერ მოველინა დედამიწას, და სქესს, რელიგიას და ეთნიკურ წარმომავლობას მნიშვნელობა არა აქვს“ (მდედრ., 18-25, თელავი).

„ევროპა ხშირად ასოცირდება გარყვნილების ბუდესთან. თუნდაც ერთსქესიანი ქორწინება ევროპის ძალიან ბევრ ქვეყანაში არ არის დაშვებული, ეს ინფორმაციის ნაკლებობის ბრალია. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ევროპა ამ კანონის მიღებას დაგვაძალეებს, ეს ასე არაა. ევროპის ბევრ ქვეყანაში არ არის ეს დაკანონებული. ბევრ ქართველს ჰგონია, რომ როდესაც ევროკავშირში გავნევრიანდებით, ერთსქესიანთა ქორწინება დაკანონდება. თუ სხვა სახელმწიფოში არ არის, ჩვენთან რატომ დაკანონდება?“ (მდედრ., 18-25, გორი).

მიჩნეულია, რომ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაზე პასუხისმგებელი ხელისუფლებაა, რომელმაც ევროკავშირის შესახებ ადეკვატური ინფორმაცია უნდა გაავრცელოს და ხალხს ევროპული ღირებულებები გააცნოს. უფრო მეტიც, ხელისუფლება პირდაპირ დადანაშაულებულია უმოქმედობაში, რაც ევროკავშირის შესახებ მცდარი წარმოდგენების გავრცელებას უწყობს ხელს.

„ეს არის უცოდინრობის ბრალი. ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს რაღაც, რომ ხალხს გააცნოს ევროპული ღირებულებები. მხოლოდ ერთსქესიანი ქორწინება არ არის ევროპა. ყველა ფიქრობს, რომ ევროპაში შევალთ და დაიშვება ერთსქესიანი ქორწინება“ (მამრ., 18-25, გორი).

ლგბტ თემის ხილვადობასთან ერთად, საქართველოს ევროინტეგრაცია, ზოგადად, სექსუალური თავისუფლების ზრდასთან ასოცირდება, რაც ასევე საფრთხედ აღიქმება. დისკუსიანტებს აშინებთ პერსპექტივა, რომ თანდათან ქალებისთვის ქორწინებამდე სექსი სოციალურად დასაშვები, სექსუალური ურთიერთობები კი – უფრო ღია

ხდება. ამასთან, პრობლემურად აღიქმება სკოლებში სექსუალური განათლების საგნის შეტანაც. ეს ყოველივე, ხშირ შემთხვევაში, რელიგიასთან წინააღმდეგობრივად განიხილება.

„მე ყველაზე მეტად ამის მეშინია ევროკავშირთან ინტეგრაციისას, ჩვენი ტრადიციები თანდათან დაიკარგება. ქორწილამდე სექსი, ერთსქესიანთა ქორწინება, ეს ხომ ჩვენს რელიგიაში არ ჯდება. მაგრამ ასე მგონია, რომ დროთა განმავლობაში დაიკარგება“ (მდედრ., 41-65, გორი).

„ბავშვის სექსუალური აღზრდა, ასეთი საგნის დამატება განიხილება საშუალო სკოლებში. პოსტ ფაქტუმ არ უნდა გაიგოს ხალხმა, რომ ეს საგანი მოდის. მე ვფიქრობ, რომ ევროკავშირი ამასთან არის კავშირში, ან მიმბაძველობაა. თუ საქართველოს უნდა, რომ თავისი ადგილი არ დაკარგოს, ევროპა რალაც კომპრომისებამდე უნდა მივიდეს, დათმობაზე წავიდეს ქართველ ხალხთან. ნახონ, როგორ მტკიცედ ვიდგებით ჩვენი მოთხოვნებით, თუნდაც განათლების და თუნდაც ერთსქესიანთა ქორწინების მხრივ“ (მდედრ., 26-40, თბილისი).

რესპონდენტების ნაწილი თვლის, რომ თავისუფალი სექსუალური ურთიერთობების პოპულარიზაციასთან ერთად, ევროპის გავლენით ქართველებისთვის მიუღებელი იმიჯი მკვიდრდება, მაგალითად, საყურიანი მამაკაცები, რაც, ირიბად, ასევე ლგბტ თემთან ასოცირდება. ამასთან, აღინიშნა, რომ ქართველებს არ უხდებათ იმ სუბკულტურების იმიჯის მორგება, რომლებიც ევროპაში არსებობს და ეს თეტიკურად აღიქმება.

„როდესაც ქართველი საყურეს გაიკეთებს და ისეთი ტანსაცმლით დადის, რომელიც არ შეეფერება, კაცები ვართ და ამ კაცურში არ ჯდება. ვინმეს მოგწონთ, როდესაც კაცს საყურე უკეთია?“ (მამრ., 26-40, ბათუმი).

„ტრადიციებსაც შეექმნება საფრთხე. ახალგაზრდები იმას იტაცებენ ყველაზე მარტივად, რაც უარყოფითია. ვილაც მერე იფიქრებს, ოღონდ შვილმა ცოლად კაცი არ მოიყვანოს და რაც გინდა, იყოსო. აი, მაგალითად, 20 წლის წინ, წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ქართველი კაცი საყურით ივლიდა, მაგრამ ახლა მოდაშია და დადიან ჩვეულებრივად“ (მამრ., 41-65, ზუგდიდი).

ვიზუალური მხარის გარდა, მონაწილეებმა, ზოგადად, ევროპული

ღირებულებების დამახინჯებულად გადმოტანაზეც გააკეთეს აქცენტი. აქ საკმაოდ ამბივალენტური ხედვა ვლინდება: ერთი მხრივ, ქართული ღირებულებების შენარჩუნების გზად სწორედ მათი ევროპულთან თანაარსებობა და შერწყმა მიიჩნევა, მეორე მხრივ, მსგავსი ტიპის ბრიკოლაჟი ევროპული ღირებულებების დამახინჯებულად გადმოტანის მთავარ მიზეზად აღიქმება (Tsuladze, Forthcoming).

„ყველაფერი კარგი უნდა გადმოვიღოთ და არა ცუდი და მოვარგოთ ჩვენს ღირებულებებს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ გავითქვიფოთ ისე, რომ ჩვენ ჩვენი სახე და თვითმყოფადობა დავკარგოთ“ (მდედრ., 26-40, თელავი).

„არ მომწონს ახალგაზრდების ერთმანეთთან ურთიერთობა, ახალგაზრდები უფრო პროტესტის გამომხატველები არიან, ჩაცმულობა... არის რალაცეები, რასაც ევროპისგან არასწორად იღებენ. ისინი სხვა მენტალიტეტის ხალხი არიან, ჩვენ – სხვა. აქ ჩანს ცუდად, იქ – არა“ (მდედრ., 26-40, გორი).

ფოკუს ჯგუფების მონაწილეები, რომლებიც ევროინტეგრაციაში ეროვნული იდენტობის დაკარგვის საფრთხეს ხედავენ, პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დავყოთ: შედარებით „ოპტიმისტურად განწყობილები“ მიიჩნევენ, რომ, თუ ქართველები მომავალ თაობებს ტრადიციების საფუძველზე აღზრდიან, ქართულ იდენტობას გადაგვარება არ ემუქრება.

„მე ჩემს შვილს ვასწავლი იმას, რითაც მე ვარ გაზრდილი. მე თუ ამ ჩემს ტრადიციას ვაფასებ, ჩემს შვილსაც იმას გადავცემ, რასაც ვთვლი, რომ კარგია. ვიღაცა როგორ ფიქრობს, ამას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არ ექნება ჩემი შვილის აღზრდაში. თაობები იმაზე იზრდება, რაზეც შენ ხარ აღზრდილი და რატომ უნდა იქონიოს გავლენა ევროპასთან ურთიერთობამ, პირობითად, ჩემი შვილის აღზრდაში, ვერ ვხვდები“ (მამრ., 26-40, თელავი).

თუმცა, ამის საპირისპიროდ, „პესიმისტურად განწყობილი“ რესპონდენტები აცხადებენ, რომ მაშინაც კი, თუ ამ ეტაპზე ქართული ღირებულებები შენარჩუნებული იქნება, მომავალი თაობები მას ვეღარ შეინარჩუნებენ და თანდათან მენტალობაც შეიცვლება, კერძოდ, დაიკარგება სტუმარმასპინძლობის ტრადიცია, დაკანონდება ჰომოსექსუალური ქორწინება, შესუსტდება ახალგაზრდების მიერ უფროსების პატივისცემა და სხვ. აღსანიშნავია, რომ მსგავსი შეხედ-

ულებების მატარებელი მხოლოდ უფროსი თაობის წარმომადგენლები კი არ არიან, არამედ 18-25 წლის ახალგაზრდებიც. მართალია, კვლევები აჩვენებს, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გამო, ახალგაზრდები მეტად პროვეროპულები არიან, ვიდრე უფროსი თაობის წარმომადგენლები (Moes 2009), მაგრამ თავად ახალგაზრდებსაც კი, შესაძლოა, სწორედ საბჭოთა პერიოდის ინფორმაციული იზოლაცია ესახებოდეთ დასავლური „გარყვნილებისაგან“ თავდაცვის საშუალებად.

„ახლა 5-6 თაობაა სულ დარჩენილი, ვინც იცის ზუსტად, რა არის ქართველობა. კია რთული ახლა, ასე, ორი სიტყვით ვთქვა, რა არის, მაგრამ იდეალი მაინც ხოა თავში, და გავა 10-15 წელი და ახალ თაობას ეს იდეალიც არ ეცოდინება. მე რომ შვილი მეყოლება და ის მეტყუვის – მამა, მეზობელმა ცოლი მოიყვანა და ეს ცოლი ბიჭი აღმოჩნდება, ეს ყველაფერი არ იქნება უცხო, იქნება ბუნებრივი სრულიად. შეიძლება მე არ მინდოდეს, რომ ჩემმა შვილმა რაღაც გაიგოს, მაგრამ მე აწი ამის შესაძლებლობა არ მექნება. საბჭოთა დროს არ გვექონდა იმის შესაძლებლობა, რომ გაგვეგო, სხვაგან რა ხდებოდა, ვერსად მივდიოდით, ახალი ნაცნობების ვინრო წრე იყო. დღეს კი ათასობით კილომეტრში რა ხდება, იმის ნახვაა შესაძლებელი; ყველგან შეიძლება გყავდეს მეგობარი და აწი რთული იქნება, დააჯერო ბავშვი, რომ, მაგალითად, დეიდაშვილი არ უნდა შეიყვაროს [...] არც სტუმარს გაუმასპინძლდება, არც არაფერი. ვერც გამოკეტავ იმ შვილს და ვერც ვერაფერი. რომ გამოკეტავ, ადგება და ძალადობისთვის გიჩივლებს, აი ეს იქნება“ (მამრ., 18-25, ზუგდიდი).

„არა, კი არ მოგეთხოვენ (ტრადიციების შეცვლას), მაგრამ ჩვენ რომ დავიცავთ ჩვენ ტრადიციებს, ჩვენ ირგვლივ შეიქმნება ისეთი გარემო, რომ ჩვენ შვილებს და შვილიშვილებს დაავინყდებათ, წარსულში რა იყო. მომავალი თაობა სხვა წესებს დაიცავს“ (მდედრ., 18-25, ზუგდიდი).

როგორც აღინიშნა, მოცემული საკითხის შეფასებისას ასაკობრივი ნიშნით განსხვავებები ნაკლებ გამოვლინდა, მაგრამ მაინც ხაზი გაესვა, რომ, მთლიანობაში, უფროსი ასაკის ადამიანები მეტად მოელიან ქართული ტრადიციების დაკარგვის საფრთხეს, ვიდრე ახალგაზრდები.

„ასაკიან და ძალიან ასაკიან ხალხს არ უნდა ევროკავშირში,

რადგან ფიქრობენ, რომ შემოვა ყურსაკიდებიანი ხალხი და მათ კი ძველი ტრადიციები შემონახული აქვთ. ახალგაზრდებს უნდათ, რომ შევიდეთ ევროკავშირში და გავხდეთ ევროპელები. მაგრამ პირადად მე არ დავივინყებ ჩემს ტრადიციებს და ისე გავზრდი ჩემს შვილებს, როგორც მე ვიზრდებოდი.“ (მდედრ., 26-40, ბათუმი).

საგულისხმოა, რომ ასაკობრივი ნიშნით არსებით სხვაობას არც რაოდენობრივი მონაცემები აჩვენებს: ევროკავშირში განევრიანებას სხვადასხვა ასაკის რესპონდენტთა დაახლოებით თანაბარი რაოდენობა მიესალმება; ასევე, დაახლოებით თანაბარი რაოდენობა მიიჩნევს ევროკავშირს საფრთხედ ქართული ტრადიციებისთვის (CRRC, 2015).

გ) ევროპეზაცია ქართულ ღირებულებებზე გავლენას ვერ მოახდენს

თუ ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ევროპეზაცია რაიმე სახის, პოზიტიურ ან ნეგატიურ, გავლენას ახდენს ქართულ ღირებულებებზე, ალტერნატიული მოსაზრების თანახმად, მსგავსი არგუმენტი საფუძველს მოკლებულია, რადგან არავითარი გავლენა არ შეინიშნება. შეხედულებები აქაც იმის მიხედვით დაჯგუფდა, ევროპული ღირებულებები პოზიტიურად მიიჩნევა თუ ეროვნული იდენტობისთვის საფრთხის მატარებლად.

ერთი დისკურსის თანახმად, ევროპეზაცია ვერ გამოიწვევს უპირატესი, სამოქალაქო ღირებულებების დამკვირდებლად საქართველოში, თუ თავად ქართველებმა არ მოინდომეს ცვლილებების განხორციელება, კერძოდ, თუ არ მოგვარდება საგზაო მოძრაობა, მოქალაქეები არ შეწყვეტენ ქუჩაში ნაგვის დაყრას და ა.შ. ამისთვის კი აუცილებელ პირობად განათლების დონის ამაღლება და მომავალ თაობებში სამოქალაქო ცნობიერების განვითარება მიიჩნევა.

„პრობლემაა განათლება, ახალგაზრდების დიდ ნაწილს ჰგონია, რომ ევროპასთან ინტეგრაციის შემდეგ ბევრ პლანს მოწვევენ. ბევრი მეგობარი მყავს, რომელსაც მუშაობა ეზარება. ყოველმა ჩვენგანმა უნდა ვიმუშაოთ ჩვენს თავზე, ყველა მოქალაქემ უნდა იმუშაოს საკუთარ თავზე. არ დააგდოს სიგარეტის ნამწვავი ქუჩაში, მოხუცს ადგილი დაუთმოს, იყოს თავაზიანი, უყვარდეს თავისი თანამშრომელი. ყველამ რომ იზრუნოს საკუთარი თავის განვითარებაზე, ერი თავისთავად წავა წინ“ (მამრ., 18-25, თბილისი).

აღსანიშნავია, რომ, თუ, ერთი მხრივ, სოციალიზაციის ტრადიციული მოდელი ევროპული ღირებულებების გავრცელებისგან თავდაცვისა და ქართულის შენარჩუნების გზად გვევლინება, მეორე მხრივ, მიჩნეულია, რომ ის სულაც არ მოდის წინააღმდეგობაში ევროპულ ღირებულებებთან, არამედ მათი ათვისებისა და დამკვიდრების საწინდარია. ამასთან, ისიც აღინიშნა, რომ ევროკავშირისთვის მნიშვნელოვანია მხოლოდ ადამიანის უფლებების დაცვა და სულაც არ მოითხოვს საქართველოსგან ღირებულებების შეცვლას ან ტრადიციების დათმობას. მეტიც, ერთ-ერთი წამყვანი დისკურსის თანახმად, ევროკავშირში თავადაც უფროთხილდებიან საკუთარ ტრადიციებს და ქართველებსაც ამისკენ მოუწოდებენ; შესაბამისად, ევროპელები სიხარულით მიიღებენ ქართულ კულტურასა და ტრადიციებს.

„განა ევროპელები არ ფიქრობენ საკუთარ ტრადიციებზე და ღირებულებებზე? განა მარტო ჩვენ ვდარდობთ ჩვენ ღირებულებებზე? ამასწინ გერმანელი სტუმარი მყავდა, რომელიც მიყვებოდა, რომ ჩვენ ახლა ბევრს ვფიქრობთ ტრადიციების შენარჩუნებაზე, მათ აღდგენაზეო. იქაც არის ტრადიციები, კუთხეების მიხედვით იყოფა და არაა ისე, რომ მხოლოდ ჩვენ ვდარდობთ ტრადიციებზე“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

„მე მხოლოდ პოზიტიური ასოციაციები მაქვს [ევროპასთან]. მეტიც, არა მგონია, რომ ის, რაც ევროპისთვისაა მთავარი – ადამიანის უფლებები და თავისუფლება, ავალდებულებდეს ვინმეს, რომ დაგმოს საკუთარი ტრადიციები ან იდენტობა; არა მგონია, რომ ევროპა თავს მოგვახვევს რალაცის დაგმობას“ (მდედრ., 26-40, ზუგდიდი).

სხვა რესპონდენტების აზრით, ქართული იდენტობა იმდენად ძლიერია, რომ მისი წართმევა შეუძლებელია. ამ შემთხვევაში, რესპონდენტებმა პარალელი გაავლეს საბჭოთა კავშირის პერიოდთან და აღნიშნეს, რომ, თუ საბჭოთა რეჟიმმა ვერ შეცვალა ქართველების ეროვნული და, განსაკუთრებით, რელიგიური იდენტობა, ვერც ევროინტეგრაციის შედეგად მოხდება მისი ცვლილება.

„კი, ამბობენ ბევრს, რომ გავწევრიანდებით ევროკავშირში და ტრადიციები შეიცვლება, ეკლესიას რალაც დაემუქრება, მენტალობას გადაშენება ემუქრება და ა.შ. 1970-იან, 80-იან, იგივე 90-იან წლებში საქართველო იყო საბჭოთა კავშირის შემადგენელი ნაწილი. მაშინ

კომუნისტები ამბობდნენ, რომ ღმერთი არ არსებობს და ეკლესიაში არ უნდა ევლო ხალხს; აღდგომას კვერცხი რომ შეეღებათ, ხელებს უმონმედნენ ბავშვებს, ხელები ხომ არ ჰქონდათ წითელი და აი, მაშინ თუ არ დავივიწყებთ ტრადიციები, მაშინ არ ვთქვით უარი რელიგიაზე და ეკლესიაზე, ახლა რა უნდა მოხდეს?“ (მამრ., 18-25, ზუგდიდი).

„ის აზრი, რომ ქართველობა ნაიშლება, სრულიად არაადეკვატურია. თუ ქართველი ხარ მონოდებით, სულით, ოჯახით, სულ ასე იქნები, სადაც არ უნდა იყო“ (მამრ., 26-40, ბათუმი).

რესპონდენტთა ნაწილი ფიქრობს, რომ იმთავითვე ბუნდოვანია, რა იგულისხმება ტრადიციაში: შესაძლოა, ტრადიციას სხვადასხვა კონოტაცია ჰქონდეს; ამასთან, შეუძლებელია ვისაუბროთ ერთიან ქართულ ტრადიციებზე; შესაბამისად, ასევე შეუძლებელია ევროპეიზაციაში ამ მხრივ რაიმე საფრთხე მოიტანოს. მსგავს არგუმენტს „გამოგონილი ტრადიციის“ ცნებასთან მივყავართ, რაც იმას გულისხმობს, რომ ტრადიციები, რომლებიც უხსოვარი დროიდან მოყოლებული გვგონია, სინამდვილეში შეიძლება მხოლოდ ერთი საუკუნის წინ იყოს გამოგონილი. ტრადიციების ამგვარი გამოგონება კონკრეტული დროის თუ სიტუაციის საჭიროებებიდან გამომდინარეობს და, განმეორებადი ქმედებით, გარკვეული ნორმებისა და ღირებულებების განმტკიცებას ემსახურება. ამასთან, ასეთი პრაქტიკები განსაკუთრებით ხშირია, როცა სწრაფი ტრანსფორმაცია საზოგადოებას ასუსტებს და აღიარებულ სოციალურ ნორმებს ეჭვქვეშ აყენებს (Hobsbawm, Ranger, 1983). ეს კი, თავის მხრივ, ბუნდოვანსა და სადავოს ხდის თავად ტრადიციის ცნებას, რაც ფოკუს ჯგუფების მონაწილეებმაც აღნიშნეს.

„ტრადიციებს ყველა თავისებურად გეზულობს. ვინ რას გულისხმობს ტრადიციებში და მე რას ვთვლი ტრადიციად, ეს სხვაა. ინდივიდუალურია და სულ ვხუმრობ ამ სიტყვაზე – ქართველობას წამართმევენ. რას ნიშნავს წამართმევენ? როგორ უნდა წამართვან?“ (მამრ., 18-25, ქუთაისი).

სხვები ფიქრობენ, რომ ქართული ღირებულებების ცვლილება მხოლოდ ევროპის გავლენაზე არ არის დამოკიდებული. ერთი მხრივ, დროთა განმავლობაში, ღირებულებები ისედაც იცვლება და საქართველო ვერ იქნება გარე პროცესებისგან მონყვეტილი. მეორე მხრივ, თავად საქართველოსთვის არ არის უცხო გარკვეული ტენდენციები, რომელთაც დღეს ევროპულად მიიჩნევენ. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებული აქცენტი სექსუალურ თავისუფლებაზე კეთდება, რომელთან დაკავშირებითაც დისკუსანტებმა წაწლობის ტრადიცია გაიხსენეს.

„როგორ არის ამასთან ქართული ტრადიცია? ფილმში ,ხევსურული ბალადა‘ გადმორეკე ციკნებიო, მე შენს ნაწალ ვიქნებო. გაუთხოვარი ქალი ეუბნება უცოლო კაცს, ცოლიან კაცს. აი, რას ნიშნავს ნაწლობა“ (მამრ., 41-65, ქუთაისი).

„ის ცუდია, ეს ცუდია. და შენ ვინ ხარ ისეთი, რომ მარტო შენი წესები იყოს?! იქ ბიძაშვილიო, იქ დეიდაშვილი ცოლადო... მაშინ ავდგეთ, აღვმართოთ დიდი კედელი და აღარ ვიკონტაქტოთ არავისთან. თუ ევროპა არ გვინდა, მაშინ ნავიდეთ მარსზე და ვიყოთ იქ მარტო!“ (მამრ., 18-25, ზუგდიდი).

ამდენად, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა დისკურსებში საკმაოდ ამბივალენტური შეხედულებები გამოვლინდა: ერთი მხრივ, ევროპეიზაციის პროცესს სექსუალური თავისუფლება მოაქვს, რაც ქართველებისთვის მიუღებელია, მეორე მხრივ კი, ქართველებისთვის სექსუალური თავისუფლება უცხო არაა; ერთი მხრივ, ევროპეიზაცია ქართულ საზოგადოებაში ტოლერანტობის დამკვიდრებას უბიძგებს, მეორე მხრივ კი – ქართული საზოგადოება იმთავითვე ტოლერანტულია; ერთი მხრივ, ევროპეიზაცია ქართულ ტრადიციებსა და ღირებულებებს ემუქრება, მეორე მხრივ კი, მათ დაცვასა და შენარჩუნებას, აგრეთვე სამოქალაქო ღირებულებების გაძლიერებას უწყობს ხელს. აღსანიშნავია, რომ ფოკუს ჯგუფების მონაცემები იმავე თემებზე ჩატარებული რაოდენობრივი კვლევების მონაცემებს (ISSP 2013, CRRC 2015) ეხმიანება და, გარკვეულწილად, ხსნის კიდევ მათში გამოვლენილ წინააღმდეგობებს.

ქართული ეკლესიის დამოკიდებულება ევროპეიზაციის მიმართ

უდავოა, რომ მოსახლეობის მიერ ევროპეიზაციის ხედვაზე უდიდეს გავლენას ახდენენ ის სოციალური ინსტიტუტები და აქტორები, რომლებიც საზოგადოებაში მაღალი ნდობითა და რეპუტაციით სარგებლობენ (Lynggaard, 2011). რაოდენობრივი კვლევების თანახმად, საქართველოში არსებული სოციალური და პოლიტიკური ინსტიტუტებიდან ყველაზე მაღალი ნდობით მართლმადიდებლური ეკლესია სარგებლობს, რომელსაც მოსახლეობის 84% ენდობა და რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ჩამოთვლილ 15 სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტს შორის (CRRC, 2015). შესაბამისად, მისი

დისკურსი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსახლეობის მიერ ევროინტეგრაციისა და მისი თანმდევი ევროპეიზაციის პროცესის ხედვას. ეკლესიის მსგავსი გავლენა გამოვლინდა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. მაგალითად, პოლონეთის შემთხვევაში, იოანე პავლე მეორის დისკურსმა გადამწყვეტი გავლენა იქონია მოსახლეობის პროევროპულ განწყობებზე (Surwillo, 2010, 1511). თუმცა, შესაძლოა ეკლესიის დისკურსმა მოსახლეობაში ანტიევროპული სენტიმენტებიც გააღვივოს იმით, რომ ევროპეიზაციის პროცესი ეროვნული იდენტობისა და ღირებულებებისთვის საფრთხის მატარებლად წარმოაჩინოს. ამდენად, საინტერესოა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის, როგორც გავლენიანი სოციალური აქტორის, როლის შესწავლა ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესში.

ექსპერტებისა და პოლიტიკოსების ინტერვიუებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ექსპერტები საკმაოდ ღიად საუბრობენ ეკლესიის როლზე ქვეყნის ევროპეიზაციის პროცესში, თუმცა პოლიტიკოსები, რომლებიც ელექტორატის არჩევანზე არიან დამოკიდებულნი, ეკლესიის მაღალი რეპუტაციიდან გამომდინარე, უმეტესად, თავს იკავებენ ევროინტეგრაციის პროცესში ეკლესიის როლის შეფასებისგან. ეკლესიის ძლიერ გავლენას როგორც მოსახლეობაზე, ისე პოლიტიკოსებზე, არც თავად ევროკავშირი უგულბებელყოფს, რაც ვლინდება კიდევ ევროკავშირის დელეგაციის ოფიციალურ ვიზიტებში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ილია II-ესთან. როგორც ზემოთ აღინიშნა, მასთან შეხვედრები გამართეს ევროპის გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის კომისარებმა შტეფან ფულემ და იოჰანეს ჰანმა. აღნიშნული შეხვედრები კიდევ ერთი დადასტურებაა საქართველოს ევროპეიზაციის პროცესში მართლმადიდებლური ეკლესიის როლის აღიარებისა, რომელსაც არა მხოლოდ შიდა აქტორები (თუნდაც პოლიტიკოსები) მიიჩნევენ მნიშვნელოვნად, არამედ თავად ევროკავშირიც.

ევროპეიზაციის პროცესში ეკლესიის როლის კვლევა მოცემული პროექტის მიზანს არ წარმოადგენდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თავად ილია II-ის დისკურსი ევროკავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრისას გამოხატულად პროევროპულია:

„ეკლესია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდეს“ (ილია II, 5 მარტი, 2014, civil.ge).

მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო სცენაზე, ეკლესიის ოფიციალური დისკურსი ევროპეიზაციასთან დაკავშირებით პოზიტიურია,

ეკლესიის დამოკიდებულება ე.წ. „ევროპული ღირებულებების“ მიმართ საკმაოდ კონსერვატიულია. ეს განსაკუთრებით ისეთ საკითხებს ეხება, როგორცაა ანტიდისკრიმინაციული კანონი, ლგბტ უფლებები, ხელოვნური განაყოფიერება, სუროგაცია და სხვ. ერთი მხრივ, მართლმადიდებლური ეკლესიის ოფიციალური დისკურსი პროდასავლურია ევროკავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრისას, მეორე მხრივ კი, თვალსაჩინოა მის მიერ დასავლური ცხოვრების წესის კრიტიკა და საქართველოში არსებული კონსერვატიული აქტორების მხარდაჭერა (16.05.2016, on.ge). როგორც აღინიშნა, ეკლესიის მიერ შიდა და გარე აქტორებზე მიმართულ ოფიციალურ დისკურსებს შორის მსგავსი სხვაობა საბერძნეთის შემთხვევაშიც თვალსაჩინოა: შიდა აუდიტორიისთვის განკუთვნილ განცხადებებში პატრიარქი ქრისტოდული აქტიურად საუბრობდა ევროპის, როგორც მორალური დეგრადირების საფრთხეზე, ხოლო გარე აქტორებისთვის განკუთვნილ ოფიციალურ განცხადებებში – ევროპის კრიტიკას ერიდებოდა (Sakellariou, 2012). საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დისკურსის ზოგადი მიმოხილვაც კი საკმარისია ბერძნულ და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის მსგავსების დასანახად: გარე სცენისთვის განკუთვნილი ოფიციალური დისკურსი პროევროპულია და, შესაბამისად, თანხვედრაშია ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ხედვასთან, ხოლო შიდა სცენისთვის განკუთვნილი დისკურსი ნეგატიურად აფასებს ევროპულ ღირებულებებსა თუ პრაქტიკებს.

საინტერესოა, როგორ აფასებს უშუალოდ მოსახლეობა ეკლესიის დისკურსის მსგავს ცვალებადობას, ან რამდენად ახდენს აღნიშნული გავლენას მოსახლეობის პროევროპულ განწყობებზე. აღმოჩნდა, რომ დისკურსის მსგავსი ცვალებადობა მოსახლეობის ხედვაზეც ახდენს გავლენას. ევროინტეგრაციის მიმართ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის დამოკიდებულება სხვადასხვაგვარად შეფასდა ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მიერ: თუ ერთი მოსაზრებით, ქართული ეკლესია ევროინტეგრაციის მომხრედ მიიჩნევა, მეორის თანახმად, ის ამ პროცესის ერთ-ერთი მთავარი მოწინააღმდეგე ინსტიტუტია.

იმ მონაწილეებს, რომლებიც თვლიან, რომ ეკლესია ევროინტეგრაციას მხარს უჭერს, არგუმენტად, ერთი მხრივ, ევროკავშირის წარმომადგენლებთან პარტიარქის შეხვედრები მოაქვთ; მეორე მხრივ კი, უწინდელი ქართველი პატრიარქების ევროპასთან კავშირზე და პროევროპულ დამოკიდებულებებზე მიუთითებენ.

„პატრიარქი ფიქრობს, რომ საჭიროა [ევროინტეგრაცია]. ეკლ-

სია ფიქრობს, რომ ჩვენი ქვეყნისთვის აუცილებელია ევროკავშირში გაწევრიანება“ (მდედრ., 18-25, ბათუმი).

„მე მგონი, დადებითი დამოკიდებულება აქვს ეკლესიას ევროინტეგრაციის მიმართ. ცოტა ხნის წინ შეხვდა პატრიარქი ევროკავშირის რომელიღაც წარმომადგენელს და ამაზე ჰქონდათ საუბარი, რომ ევროკავშირი მართო ეს (ერთსქესიანი ქორწინება) არ არის“ (მდედრ., 26-40, თბილისი).

„ჩემთვის ყველაზე დიდი ავტორიტეტი იყო ამბროსი ხელაია და კალისტრატე ცინცაძე [საქართველოს კათალიკოს-პატრიარქები საბჭოთა რეჟიმის ადრეულ პერიოდში]. ამ ხალხმა მიიღო განათლება ევროპაში, გერმანიაში და, ფაქტობრივად, ამ ხალხმა მოახდინა იმდროინდელ საბჭოთა კავშირში არსებული ეკლესიის მოდერნიზაცია“ (მამრ., 18-25, ქუთაისი).

ალტერნატიული მოსაზრების თანახმად, ქართული ეკლესია ევროინტეგრაციის მიმართ საკმაოდ ნეგატიურადაა განწყობილი. იმის მიუხედავად, მონაწილეები რელიგიურ დოგმებს ეთანხმებიან თუ ემიჯნებიან, დაპირისპირების მთავარ მიზეზად რელიგიასთან შეუთავსებელი ევროპული ღირებულებები სახელდება, მაგალითად, გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხები. ხაზი გაესვა, რომ ამ კუთხით პატრიარქის ქადაგებებშიც ხშირად გვხვდება ევროპულ ღირებულებებთან შეუთავსებელი მოსაზრებები. მონაწილეების აზრით, ეკლესიის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის ევროინტეგრაცია ლგბტ თემის გაძლიერებასთან ასოცირდება, რის გამოც სამღვდლოება ეწინააღმდეგებოდა კიდევ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას. ეს წინააღმდეგობა ნათლად გამოჩნდა 2013 წლის 17 მაისს გამართულ აქციაზე, როდესაც „აგრესიულმა ბრბომ“, სამღვდლოების ხელმძღვანელობით, ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართული აქცია ჩაშალა (რადიო თავისუფლება, 17.05.2013).

ღირებულებებთან დაკავშირებული დაპირისპირების გარდა, ეკლესიის წინააღმდეგობის ერთ-ერთ მიზეზად ევროინტეგრაციის საკითხებზე მისი ნაკლები ინფორმირებულობაც დასახელდა. მსგავსი კრიტიკული მოსაზრებები, უმეტესად, ახალგაზრდა, განსაკუთრებით 18-25 წლის, რესპონდენტებმა გამოხატეს. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის მოსაზრებები ეკლესიის შიგნით ინფორმირებულობის ნაკლებობისა და რუსული პროპაგანდის ძლიერი გავლენის შესახებ, რის გამოც ეკლესიის წარმომადგენლები ევროპულ ღირებულებებს

საფრთხედ აღიქვამენ, კვლევაში მონაწილე ექპერტების შეფასებებს ემთხვევა.

„პატრიარქი ამბობს, რომ ქალებმა არ უნდა იმუშავონ და შვილები უნდა გაზარდონ. ამ ადამიანს ძალიან დიდი რეიტინგი აქვს. შესაბამისად, მოსახლეობის 90% მიაჩნია, რომ მისი სიტყვები მართალია. ამიტომ ქალების უმრავლესობამ შეიძლება იფიქროს, რომ ჯობია სახლში დაჯდეს და შვილს მიხედოს. არ აინტერესებს ევროპა და განათლება“ (მამრ., 18-25, თბილისი).

„საპატრიარქოს ზუსტად ერთსქესიანთა ქორწინების დეკონონების შიში აქვს და რაღაც ნაწილი შეიძლება ხელსაც უშლის მაგ ევროინტეგრაციას. საფრთხე არ მომდინარეობს, მაგრამ ისინი აღიქვამენ საფრთხედ“ (მდედრ., 18-25, თელავი).

„ჩივიან პასპორტებზე ერთი ამბავი ატეხეს, სატანისტურიო. არის სამღვდლოების ნაწილი, რომელიც ევროპასთან გარყვნილების ასოცირებას ახდენს. თავის მრევლს მოუწოდებს, რომ ეს ცუდია და ვილაცას სჯერა“ (მდედრ., 18-25, გორი).

რესპონდენტები აღიარებენ, რომ, რადგან ეკლესია ქვეყანაში ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ამიტომ ის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის დამოკიდებულებებზე ევროკავშირისა და ევროინტეგრაციის მიმართ, მით უმეტეს, რომ სწორედ ქართული ღირებულებების დაცვასა და ქართული ტრადიციების სინამდის შენარჩუნებაზე ხდება აპელირება.

„ეკლესიას არ უნდა ევროინტეგრაცია. რატომ არ უნდა, ძაან ბევრი მიზეზია ყოველთვის ქადაგებებში – ევროპა ყოველთვის არის ცუდი, ის ღირებულებები დაიკარგება, რა ღირებულებებიც არის და ა.შ. ძაან ბევრი მიზეზია და, ჩემი აზრით, ძალიან დიდი პროცენტით ეკლესია დიდ როლს თამაშობს, რომ ევროპისკენ არ წავიდეს საზოგადოების აზროვნება. დღესდღეისობით ვინც გავლენას ახდენს და აყალიბებს საზოგადოების აზრს საქართველოში, ეკლესიაა. იმიტომაც ეკლესია წინააღმდეგი, გახრწნილება რომ არ შემოვიდეს საქართველოში ევროპიდან“ (მამრ., 26-40, თელავი).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვისაც ავტორიტეტულ ინსტიტუტს წარმოადგენს. ეს მონაწილეები თვლიან, რომ ეკლესია „ფილ-

ტრავს“ ყველაფერს, რაც საქართველოში ევროპიდან შემოდის და იქიდან მხოლოდ ქვეყნისთვის სასარგებლოსა და მისაღებს ტოვებს, ხოლო მიუღებელს ეწინააღმდეგება, როგორცაა ლგბტ თემი, სამოქალაქო და სექსუალური განათლების შეტანა სკოლებში, ა.შ. ამ თვალსაზრისით, ეკლესია სწორედ ისეთ აქტორად წარმოგვიდგება, რომელიც, თითქოსდა, მოსახლეობის სათქმელს ამბობს და პოლიტიკაში ჩარევით ქართველების ინტერესებს იცავს. მისგან განსხვავებით, ხელისუფლება საკმაოდ პასიურ და უუნარო აქტორადაა წარმოდგენილი, რადგან მას ეკლესიასთან კონფრონტაციაში შესვლა არ ძალუძს; პირიქით, საკუთარი პოზიციის გასამყარებლად სწორედ ეკლესიის მხარდაჭერას ეძებს. ზემოთქმული იმაზე მიუთითებს, რომ ეკლესია არა მხოლოდ უფრო სანდო, არამედ უფრო ძლიერ ინსტიტუტადაცაა აღქმული, ვიდრე ხელისუფლება. შესაბამისად, მისი ჩარევა ხელისუფლების კომპეტენციაში დისკუსანტთა ნაწილს სასურველადაც კი მიაჩნია.

„ანტიდისკრიმინაციული კანონის წინააღმდეგ რომ გამოვიდნენ, რატომ ერევით მმართველობაშიო. 17 მაისის აქცია რა ეგონათ? საქართველოში ჩვეულებრივი ავადმყოფობაა LGBT. ფული გადაუხადეს, ნააქეზეს, ეგონათ ხელს ვერავინ დააკარებდა, გამოვიდნენ და უნდოდათ, რომ ეს ყველაფერი მომხდარიყო. ზუსტად მღვდლები უნდა წასულიყვნენ, მთავრობა მათ წინააღმდეგ არ წავა და ვერც წავა“ (მამრ., 26-40, გორი).

სწორედ ამგვარი აღქმა განაპირობებს რესპონდენტთა გარკვეული ნაწილის მიერ როგორც ეკლესიის როლის დადებითად შეფასებას ევროპული ღირებულებების „გაფილტვრის“ თვალსაზრისით, ისე მთავრობის მიმართ კრიტიკას, სკოლებში ისეთი საგნების (განსაკუთრებით, სამოქალაქო განათლების) დანერგვის გამო, რაც „ბავშვს თავიდანვე თავში უდებს ევროპულ ღირებულებებს“, რითიც მას „სულიერს კი არ უმაღლებენ“, არამედ ართმევენ. აქ ყურადღება იმაზეა გამახვილებული, რომ ბავშვებს უახლოეს წარსულში „ვიღაც ევროპელის მოგონილ პროგრამას“ ასწავლიან, „საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული“ მართლმადიდებლური ღირებულებების სანაცვლოდ.

„ევროპიდან რაც მისაღები იყო, საცერში გატარებული მიღებული აქვს ეკლესიას. ცუდს არ იღებს. ეს არის განათლებული, სწორადმხედველი ფენა, რომელიც კარგად ფილტრავს. ევროპიდან რაც მისაღები იყო, უკვე მიიღეს. დანარჩენს ევროპა ვერც გაუფუჭებს და ვერც გაუკეთებს“ (მდედრ., 41-65, თელავი).

„მთავრობამ სკოლებში დანერგა ისეთი საგნები, სწავლების პროგრამები, რომლებიც ბავშვს თავიდანვე უდებს თავში ევროპულ ღირებულებებს, აზრებს, ფრაზებს, გამონათქვამებს. როდესაც ის გაიზრდება, ვერანაირად ვერ იქნება დადებითი პიროვნება ჩვენი რწმენის და ეკლესიის მხრივ. ერთი სული ექნება, როდის გაიზრდება და საინანაღმდეგო სქესთან ექნება ურთიერთობა. მაგ კუთხით მიჰყავთ ყველაფერი, სულიერს კი არ უმაღლებენ, აძლევენ ვითომ დადებითს, ქალის და კაცის ურთიერთობებს ასწავლიან პატარობიდანვე. სამოქალაქო განათლება დაანესეს და ჩვენი საპატრიარქო ენინაღმდეგება. [...] გააუქმეს რელიგიური სწავლება და ყველაფერს ხაზი გადაუსვეს, საუკუნეების ნაშენს კი არ ასწავლიან, ასწავლიან ვიღაც ევროპელის მოგონილ პროგრამას, რომელიც 20 წლის წინ გაჩნდა და არაფრისთვის მიუღწევია“ (მამრ., 26-40, გორი).

თუ რესპონდენტების ნაწილი ეკლესიის პოლიტიკაში ჩარევას მიესალმება და ქართველი ხალხის მფარველობად მიიჩნევს, სხვები მის ჩართულობას უარყოფითად აფასებენ და თვლიან, რომ ეკლესიის კულტურული და რელიგიური მნიშვნელობის მიუხედავად, ის სახელმწიფოსგან გამიჯნული უნდა იყოს. ამ შემთხვევაში, ეკლესია, ისევე როგორც მასთან ასოცირებული ორგანიზაციები, იმ „უზარმაზარ იდეოლოგიურ მანქანად“ განიხილება, რომელიც სამოქალაქო ღირებულებებსა და ადამიანის თავისუფლებასთან წინააღმდეგობაში მოდის.

„ეკლესია არ უნდა გავრიოთ პოლიტიკაში, ეს არის სასულიერო ხელისუფლება და ის არის საერო ხელისუფლება. საერო ხელისუფლებას ადამიანი ირჩევს ინდივიდუალურად, უნდა იყოს ბაპტისტი, უნდა მართლმადიდებელი, ჩემ რწმენაში არ უნდა ერეოდეს“ (მდედრ., 18-25, გორი).

„ეკლესია არის უზარმაზარი იდეოლოგიური მანქანა და შეუძლია ადამიანზე დიდი გავლენა მოახდინოს; მაგრამ ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი დამოუკიდებელია და მას შეუძლია გააკეთოს არჩევანი. ევროპაში მთელი რევოლუციები, იგივე კათოლიკურ ეკლესიაში, იმიტომ ხდებოდა, რომ ეკლესია ყველა ადამიანის მორჩილებას მოითხოვდა და მერე დაიწყო რეფორმატორული ძვრები, მოიცვა მთელი ეკლესია და დაიშალა კათოლიკური ეკლესიაც მრავალ ნაწილად. მე ქრისტეს წინააღმდეგი კი არ ვარ, ღმერთმა დამიფაროს, მაგრამ ვამბობ, რომ ადამიანის აზრის თავისუფლება უნდა იდგეს ყველა იდეოლოგიაზე მაღლა. კი, ბატონო, ჩვენი ეკლე-

სია არის ჩვენი ისტორია, კულტურის და ტრადიციების განუყოფელი ნაწილი და ადამიანს მის წინააღმდეგ წასვლა თავში როგორ უნდა მოუვიდეს?! მაგრამ ადამიანის თავისუფლება ამაზე მაღლა დგას და ამაზე ფასეულია“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

„სანამ საპატრიარქოში ძირეული რალაცეები არ შეიცვლება, სანამ მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის წევრები იტყვიან, რომ მათ შვილებს მოქალაქეობა არ უნდა ასწავლონ, იქამდე არ გვეშველება“ (მამრ., 18-25, თბილისი).

ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ამგვარი პოლიტიზების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მისი რუსული პროპაგანდის გავლენის ქვეშ ყოფნა და რუსეთის მხრიდან პოლიტიკური მანიპულირების იარაღად გამოყენება მიიჩნევა. ის, ვინც ამ შეხედულებას იზიარებს, მიიჩნევს, რომ ქართული ეკლესია არათუ პროევროპულია, არამედ სასულიერო პირების დიდი ნაწილი პრორუსული ორიენტაციისაა. ამას რესპონდენტები იმით ხსნიან, რომ, რადგან ქართულ ეკლესიას საბჭოთა მემკვიდრეობა მოყვება და რუსეთის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან აქვს კავშირი (თან, ექსპერტების მსგავსად, მოსახლეობის ნაწილიც მიიჩნევს, რომ სასულიერო პირების მნიშვნელოვანი სეგმენტის მიერ რუსეთში მიღებული განათლებაც არსებით როლს თამაშობს), ამიტომ ქართული ეკლესიის შიგნით ანტიევროპული ფრთა უფრო ძლიერია, ვიდრე პროევროპული. ამას ისიც ემატება, რომ რუსეთს ეკლესიის და ზნეობის „დამცველის მანტია“ აქვს მორგებული და წარმატებით მანიპულირებს ევროპული „გარყვნილების“ წინააღმდეგ მებრძოლის რიტორიკით. დისკუსანტები „ვერტიკალურ სქემაზე“ მიუთითებენ, რომელიც რუსეთიდან შემოსულ მსგავს ნარატივს, ქართული ეკლესიის გავლით, მოსახლეობაში ავრცელებს.

„ასე წარმომიდგენია საპატრიარქოს რალაცა ვერტიკალური სქემა, სადაც ინფორმაციული არხი მიედინება რუსეთიდან, აქეთ ჩვენამდე და რალაც გვეგონია, რომ დამოუკიდებლები ვართ. რომ დააკვირდეთ, საუბრითაც ისე საუბრობენ, როგორც საბჭოური და ევროპისგან მონყვეტილი...“ (მამრ., 18-25, ქუთაისი).

„ანოდებენ ხალხს, რომ, თითქოს, ევროპა არის გარყვნილება, ტრადიციების წართმევა, გვართმევენ სარწმუნოებას და რელიგიებს.

[...] რადგანაც სარწმუნოება გვაქვს ერთი, ყოველთვის უნდა ვიყოთ რუსეთთან და ის არის დიდი ძმა და ის ყოველთვის დაგვიცავს და ა.შ. მე ვფიქრობ, უფრო ეკლესიიდან მოდის ასეთი საუბრები“ (მდედრ., 18-25, ქუთაისი).

„ეკლესიას აქვს დიდი გავლენა და აქაც აზრი ორადაა გაყოფილი. ბევრი რამ ხდება ეკლესიაში. რუსეთმა, როგორ ახერხებს, რთული სათქმელია, მაგრამ ეკლესიის დამცველის მანტია მოირგო და ბევრს სჯერა ამის. ჩვენ ეკლესიაში განა არ იციან, რომ ეს ასე არაა? ეკლესიას ძალიან დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია ხალხზე, მის არჩევანზე, მიმართულებაზე“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

ამგვარად, ფოკუს ჯგუფების მონაწილეთა მიერ ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ევროპეიზაციისადმი დამოკიდებულების შეფასება ორგვარია: თუ ნაწილი ევროინტეგრაციის შესახებ ოფიციალურად გაკეთებულ პოზიტიურ განცხადებებს ეყრდნობა და მიიჩნევს, რომ ეკლესია ამ პროცესს მიესალმება, სხვები ქადაგებებში გამოთქმულ და სასულიერო პირების ქმედებით გამოხატულ ანტი-ევროპულ განწყობებზე მსჯელობენ და ეკლესიას ევროინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებად ასახელებენ. მონაწილეების შეხედულებები იმის მიხედვითაც იყოფა, ემხრობიან თუ ემიჯნებიან ეკლესიის ქმედებებს: მომხრეები მას ეროვნული იდენტობის დამცველად მიიჩნევენ და ხელისუფლებაზე მეტ ნდობას უცხადებენ; ოპონენტები კი ეკლესიის პრორუსულ ხედვაზე საუბრობენ და მის პოლიტიკაში ჩარევას ეწინააღმდეგებიან.

ევროპეიზაციის გავლენა ქართული ეკლესიის ავტორიტეტზე

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესოა, როგორ აფასებენ ფოკუს ჯგუფების მონაწილეები ევროპეიზაციის გავლენას ქართული ეკლესიის ავტორიტეტზე. პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს დისკურსი, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ევროპელები თავად ქრისტიანები არიან, კათოლიკებთან, როგორც დასავლური ქრისტიანობის წარმომადგენლებთან, შედარებით, მართლმადიდებლები, როგორც აღმოსავლური ქრისტიანობის წარმომადგენლები, ევროკავშირში ნაკლები გავლენითა და პატივისცემით სარგებლობენ. ამდენად, ხაზგას-

მულია ევროკავშირის შიგნით პოლიტიკურ ასიმეტრიასთან ერთად არსებული რელიგიური ასიმეტრიაც და რელიგიური კუთვნილების საფუძველზე გამოვლენილი ორიენტალიზმის პრობლემა.

„ჩვენ მწარე მაგალითი ვიცით ჩვენ მოძმე მართლმადიდებელ ბულგარეთში, რუმინეთში. რომაელები, კათოლიკეები ჩვენს მართლმადიდებელ მღვდლებს ეძახიან ორთოდოქსებს. ჩვენ რადიკალები ვართ... არადა, მეორე სამამულო ომის პერიოდში იყვნენ კათოლიკე მღვდლები, რომლებიც იბრძოდნენ ორთოდოქსი მართლმადიდებელი მღვდლების წინააღმდეგ და იმხელა სისასტიკე აქვთ გამოვლენილი, თვითონ გესტაპოს უკვირდა“ (მამრ., 26-40, ქუთაისი).

დისკუსანტთა ნაწილის აზრით, რადგან მართლმადიდებლები რადიკალურად მიიჩნევიან და ევროკავშირის მიერ პრობლემად აღიქმებიან, ეს უკანასკნელი მართლმადიდებლობის შესუსტებას ცდილობს, მათ შორის სხვადასხვა რელიგიური სექტის გაძლიერების გზით. რესპონდენტები შემოფოთებით აღნიშნავენ, რომ საქართველოში სექტები ძალებს იკრებენ და მოსახლეობას თავისკენ იბირებენ; ამასთან, სხვა რელიგიებიც ძლიერდება, მაგალითად, შენდება მეტი მეჩეთი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სხვა რელიგიების მართლმადიდებლობასთან კანონით გათანაბრების გამო, ქართული ეკლესია იზღუდება.

„ის წესები, რაც დადგენილია ევროინტეგრაციისთვის, ბევრად სცდება ჩვენს წეს-ჩვეულებებს. ყოველდღიური ცხოვრების ადათები, ეკლესიის დანახვაზე პირჯვარი გადავიწეროთ, ბავშვს ვასწავლოთ, როგორ გადაიწეროს პირჯვარი. ვიცოდეთ, ვინ იყვნენ ჩვენი წმინდანები, ამ ყველაფრის აღმოფხვრას ცდილობენ. ეს ჩემი აზრი არ არის, ბევრ ქმედებაშია გამოხატული, პირდაპირ ამბობენ ტელევიზიით“ (მამრ., 26-40, გორი).

„[ევროინტეგრაცია] უქმნის საფრთხეს ტრადიციასაც და ეკლესიასაც. ჩვენ ვართ პატარა ქვეყანა და სხვებს რომ მივცეთ თავისუფლება და ვაძლევთ კიდევ უკვე, მაგალითად, ამდენი მეჩეთი რომ შენდება, სინაგოგების ფონზე ჩვენ ძალიან დავითრგუნეთ. იგივე იელოველებია ყველა კუთხეში და მათი ქადაგებები საფრთხეს უქმნის ჩვენ უძველეს ტრადიციებს“ (მდედრ., 26-40, ზუგდიდი).

ამგვარად, რესპონდენტები შიშობენ, რომ, ევროინტეგრაციის კვალდაკვალ, მოსახლეობა ეკლესიას უფრო დაშორდება და ეკლესიისა და პატრიარქის ავტორიტეტი დაეცემა. ამ სიტუაციიდან

გარკვეულ გამოსავლად მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება მიიჩნევა.

„მე საფრთხეებს ვხედავ, ეკლესიაზე როცა ვლაპარაკობთ, რადგან ევროკავშირის შემოსვლით, ადამიანები სულ უფრო დაცილებიან ეკლესიას. ხალხს არ ეცლება ეკლესიისთვის“ (მამრ., 41-65, ზუგდიდი).

„თუ მივედით ევროპულ ოჯახამდე, რელიგიური კუთხით ძალიან ბევრი რამე შეიცვლება. პატრიარქის რეიტინგს გარკვეული ქვოტა მოაკლდება“ (მდედრ., 18-25, თბილისი).

თუ, ერთი მხრივ, ევროკავშირი მართლმადიდებლობისთვის საფრთხედ აღიქმება, ალტერნატიული მოსაზრების თანახმად, მას ქართული ეკლესიის სანინალმდეგო არაფერი აქვს: ევროკავშირის არც ერთი რეზოლუცია არ ამბობს, რომ ქართველებმა რელიგიაზე უარი უნდა თქვან, არამედ მხოლოდ ტოლერანტობაზე კეთდება აქცენტი, რასაც მართლმადიდებლობა იმთავითვე ითვალისწინებს. აქვე ხაზგასმულია, რომ, გარდა იმისა, რომ ევროპელები თავადაც ქრისტიანები არიან, ევროკავშირში ყველა რელიგია დაცულია და თანაბარი უფლებებით სარგებლობს. ამ კონტექსტში, მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება, პირიქით, მიუღებლად მიიჩნევა, რადგან ქვეყანაში სხვა რელიგიების თავისუფლების შეზღუდვად აღიქმება.

„ევროკავშირის არც ერთ რეზოლუციაში არ წერია, რომ მართლმადიდებლობაზე უარი უნდა ვთქვათ. იქ წერია, რომ ჩვენ უნდა დავიცვათ რელიგიურ უმცირესობათა უფლებები. მათი ინტერესები იქნება დაცული მაშინ, როდესაც ყველას გვექნება თანაბარი უფლებები, მაგრამ თუ მე მართლმადიდებლობას ვაღიარებ სახელმწიფო რელიგიად, გამოდის, რომ უმცირესობათა უფლებები ფეხქვეშ გავთელე და იქ დამთავრდა ადამიანის უფლებები, თავისუფალი ნება, აღმსარებლობის თავისუფლება და განადგურდა ყველა თავისუფლება. ისინი გვეუბნებიან, რომ ვიყოთ ტოლერანტულნი უმცირესობების მიმართ, რასაც ჩვენი რელიგიაც ითვალისწინებს და წინააღმდეგობაც არაა“ (მამრ., 26-40, ზუგდიდი).

აქვე გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ევროინტეგრაცია ქართული ეკლესიის ავტორიტეტზე გავლენას ვერ მოახდენს, რაც ამ უკანასკნელის სიძლიერესა და დამოუკიდებლობას, აგრეთვე პოლიტიკური ცვ-

ლილეების მიმართ რეზისტენტულობას მიეწერება. აქ პარალელია გავლენული საბჭოთა მმართველობის 70-წლიან პერიოდსა და ევროინტეგრაციას შორის. მიჩნეულია, რომ, თუ პირველმა ვერ შეცვალა ქართველების რწმენა, ვერც მეორე შეცვლის, რადგან ქართველების რელიგიური იდენტობა საკმაოდ ძლიერია.

„ვერანაირ გავლენას ვერ მოხდენს ევროინტეგრაცია ქართულ ეკლესიაზე იმიტომ, რომ სარწმუნოება ყოველთვის სარწმუნოებად დარჩება, როგორი პოლიტიკური მმართველობაც არ უნდა იყოს საქართველოში... კომუნისტები 70 წელი გვიმლიდნენ რელიგიას და მაინც იყო“ (მამრ., 26-40, თელავი).

„იცით რა მახსენდება, ბებია იყო კომპარტიის წევრი, რომელიც ეკლესიიდან გამოსული დააკავეს. მთელი ბავშვობა მახსოვს, ჩუმიდ როგორ დაჯდებოდა კუთხეში, კითხულობდა ლოცვებს და პირჯვარს იწერდა. დედაც ასე იყო, მეც... ჩემთან ასი იელოველიც რომ მოვიდეს, ვერაფერს დამაკლებს, რადგან მე ვიცი, რისი მწამს და რატომ. ევროპელიც ვერ გადამაჯიშებს და ვერაფერს შემაცვლევინებს“ (მდედრ., 26-40, ზუგდიდი).

დისკუსანტთა შორის აღმოჩნდნენ ისინიც, ვინც ფიქრობს, რომ ევროინტეგრაციას ქართულ ეკლესიაზე პოზიტიური გავლენის მოხდენა შეუძლია. ერთ-ერთი მოსაზრებით, ეს გავლენა ეკლესიის ქურდული მენტალიტეტის ადამიანებისგან გათავისუფლებას გულისხმობს. მეორის თანახმად კი, ევროპეიზაციის პროცესი მართლმადიდებლობას გაამდიდრებს როგორც მეტად ტოლერანტული ხედვის დამკვიდრებით, ისე ეკონომიკური გაძლიერებით.

„რაც საბერძნეთს დავუახლოვდით, მართლმადიდებლობა უფრო გაძლიერდა. ეკონომიკურად გაძლიერება მართლმადიდებლობას უფრო აძლიერებს. თუ ევროპას დავუახლოვდებით, ჩემი აზრით, მართლმადიდებლობა ამით კიდევ უფრო გაძლიერდება“ (მამრ., 41-65, ქუთაისი).

მთლიანობაში, მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებლური ეკლესია ძლიერ და დამოუკიდებელ აქტორად, ხოლო ქართველების რელიგიური იდენტობა საკმაოდ მყარად მიიჩნევა, რესპონდენტების ნაწილი ევროპეიზაციის პროცესს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტისთვის მაინც საფრთხედ აღიქვამს, როგორც შიგნით მიმდინარე ცვლილებების, ისე გარეგანი გავლენების გამო. დისკუ-

სანტოა თქმით, შიდა ცვლილებები გულისხმობს, რომ ევროპეიზაციის გავლენით, მოსახლეობა უფრო კრიტიკულად უდგება და ბრმად აღარ ენდობა ეკლესიის შემოთავაზებულ ნარატივებს; გარეგანი ფაქტორი კი ევროკავშირის რელიგიური ორიენტალიზმის მოსალოდნელ შედეგებს მოიცავს. ალტერნატიული მოსაზრებით, ევროკავშირი, როგორც ქრისტიანული ქვეყნების გაერთიანება და ყველა რელიგიის მიმართ ტოლერანტული, ქართული ეკლესიისთვის საშიშროებას არ წარმოადგენს, რადგან როგორც ფართო საზოგადოებაში, ისე ეკლესიაშიც ტოლერანტული შეხედულებების გავრცელებას უწყობს ხელს. საინტერესოა, რომ ქართულ ეკლესიაზე ევროპეიზაციის გავლენის განხილვისას, საკმაოდ წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებებიც ვლინდება: რამდენიმე ნარატივში პოზიტიურად ფასდება ევროკავშირის მიერ წახალისებული ტოლერანტობა რელიგიური უმცირესობების მიმართ და, იმავდროულად, საფრთხედ აღიქმება სხვადასხვა სექტის თუ რელიგიური მიმდინარეობის აქტივობა საქართველოში. ამგვარად, რესპონდენტები საკმაოდ ამბივალენტურ დისკურსებს გვთავაზობენ ევროპეიზაციის გავლენის შესახებ ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაზე.

დასკვნა: ევროპეიზაციის პერფორმანსი პოლიტიკურ და პოპულარულ დისკურსებში

წარმოდგენილი პოლიტიკური და პოპულარული დისკურსების ანალიზი თვალსაჩინოს ხდის, თუ როგორ ხდება ელიტების და მოსახლეობის მიერ ევროპეიზაციის პერფორმანსი საქართველოში. როგორც აღინიშნა, ევროპეიზაციის შესახებ მათი შეხედულებები, უმეტესად, უტილიტარული და იდენტობის ფაქტორებითაა ნაკარნახევი, თუმცა შესაბამისი დისკურსები საკმაოდ ამბივალენტურია. როგორც წესი, კვლევის მონაწილენი ღიად აჟღერებენ ევროკავშირთან და ევროპეიზაციის პროცესთან დაკავშირებულ სოციალურად სასურველ ნარატივებს, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკურ კურსთან თანხმობაშია, თუმცა ფასადს მიღმა მათი არაერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულებები იკვეთება.

უტილიტარული ფაქტორებით, კერძოდ, უსაფრთხოების დისკურსით რომ დავიწყოთ, აღსანიშნავია, რომ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეზე საუბრისას, ევროკავშირი საქართველოს უსაფრთხოების დამცველადაა მიჩნეული, თუმცა ხაზებს შორის იკვეთება დისკურსი ევროკავშირის, როგორც ქვეყნის სუვერენიტეტის შემასუსტებლის შესახებ, განსაკუთრებით საქართველოს მხრიდან მასზე ასიმეტრიული დამოკიდებულების გამო. მართალია, პოლიტიკოსები ყოველმხრივ ცდილობენ, საქართველოსა და ევროკავშირს შორის დამოკიდებულება ჰორიზონტალური ურთიერთობების ქრილში წარმოაჩინონ, მაგრამ კვლევაში მონაწილე ექსპერტები და მოსახლეობა ღიად საუბრობენ საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების ასიმეტრიულობაზე. მიუხედავად ამისა, საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა იმდენად მნიშვნელოვნადაა მიჩნეული, რომ ის უდავოდ ჩრდილავს ქვეყნის სუვერენიტეტის შესუსტებასთან დაკავშირებულ შიშს.

უტილიტარული ფაქტორებიდან უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკური სარგებლის ხედვა. ევროკავშირი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მხარდამჭერად და, რუსეთისგან განსხვავებით, სანდო და სტაბილურ სავაჭრო პარტნიორად არის წარმოდგენილი როგორც პოლიტიკოსებისა და ექსპერტების, ისე მოსახლეობის მიერ. თუმცა, იმავდროულად, ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ „ფასადური“ ევროპეიზაციის პრობლემაზე, რომელიც მხოლოდ გარეგანი, ფორმალური მახასიათებლებით ზომავს წინსვ-

ლის ხარისხს, რაც, სინამდვილეში, ვერ აუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. ფოკუს ჯგუფის მონაწილე მოსახლეობა კი ქართული ექსპორტისთვის ბაზრის დივერსიფიკაციის იმედს გამოთქვამს და სჯერა, რომ, როგორი მომგებიანიც არ უნდა იყოს ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობა, რუსეთი, როგორც ალტერნატიული სავაჭრო პარტნიორი, კვლავაც უნდა შენარჩუნდეს.

ძალიან მნიშვნელოვანია ევროპეიზაციის გავლენის შეფასებაც საქართველოში პოლიტიკის კეთების ახალ გამოცდილებაზე. ერთი მხრივ, პოლიტიკისები და ექსპერტები საუბრობენ იმ პოზიტიურ ცვლილებებზე, რაც ევროპეიზაციის პროცესმა გამოიწვია როგორც ინსტიტუციური თანამშრომლობის, ისე ინსტიტუტების შიდა სტრუქტურის გაძლიერების მიმართულებით, და რამაც პოლიტიკოსებს უზიდავს, საქმის კეთების ევროპულ მოდელზე გადავიდნენ. მეორე მხრივ კი, ევროპეიზაციის პროცესი ამ ეტაპზე განიხილება, როგორც ქართველი პოლიტიკოსების მიერ შიდა აუდიტორიისთვის შექმნილი იმიჯის შემადგენელი ელემენტი, რომელიც მნიშვნელოვანია უტილიტარული მოსაზრებებიდან გამომდინარე (სოციალურად სასურველი კუთხით თავის წარმოჩენა, ამომრჩევლის გულის მოგება და სხვ.) და პოლიტიკურ აქტორთა ღირებულებით სისტემასთან ნაკლებად აქვს კავშირი. მმართველი გუნდი ოპოზიციურ პარტიებს მიანერს ამგვარ პერფორმანსს, ოპოზიციური პარტიები – მმართველ გუნდს, ექსპერტები და მოსახლეობა კი – როგორც პირველს, ისე მეორეს.

გარდა უტილიტარული ფაქტორებისა, ძალიან მნიშვნელოვანია იდენტობის ფაქტორიც, რაც ყველაზე მეტ ვნებათაღელვას იწვევს მოსახლეობაში და მისი ამბივალენტური ხედვის უმთავრესი მიზეზია. მოსახლეობაში თანაარსებობს დისკურსები ევროკავშირის, როგორც ქართული იდენტობის დამცველისა და როგორც მისთვის საფრთხის მატარებლის შესახებ. კერძოდ, ერთი მხრივ, აღნიშნულია, რომ ევროკავშირი ხელს უწყობს ქართული იდენტობის შენარჩუნებას, რადგან თავად ევროკავშირი მულტიეთნიკური გაერთიანებაა, რომელიც ხელმძღვანელობს დევიზით „ერთობა მრავალფეროვნებაში“; ამასთან, მიჩნეულია, რომ ქართულისა და ევროპულის ერთგვარი ბრიკოლაჟი ქართული იდენტობის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების საწინდარია; მეორე მხრივ კი, ევროპეიზაცია ქართული იდენტობისთვის საფრთხედ აღიქმება, რადგან მიჩნეულია, რომ დასავლური ღირებულებები ქართული ტრადიციების გადაგვარებას იწვევს. მოსახლეობის ამბივალენტური ხედვა ნათლად იკვეთება,

როცა საუბარია ევროკავშირზე, როგორც საქართველოში ტოლერანტობის გამავრცელებელზე და, იმავდროულად, გარკვეული გაღიზიანებაა გამობატული იმის გამო, რომ ევროკავშირი ტოლერანტობას ასწავლის იმთავითვე ტოლერანტულ საქართველოს; როცა ევროპული პოსტნაციონალისტური, სამოქალაქო ღირებულებები მისაბაძადაა მიჩნეული, თუმცა, იმავდროულად, პატრიოტიზმის დეფიციტად აღიქმება; როცა საქართველოს ევროპულობა საერთო ქრისტიანულ მსოფლმხედველობას მიეწერება, თუმცა, იმავდროულად, აღნიშნულია, რომ ევროპა „გარყვნილებას“ ავრცელებს და ქრისტიანულ ღირებულებებს ენინააღმდეგება; როცა ევროპული ღირებულებები ქართულზე უპირატესად მიიჩნევა, თუმცა, იმავდროულად, აღნიშნულია, რომ საქართველო თავად ევროპაზე ადრეც კი იყო ევროპული ღირებულებების მატარებელი. აქვე, ხაზგასმულია, რომ ძალადობრივად მოხდა საქართველოს ამ კონტექსტიდან მოწყვეტა, ამიტომ ის აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს „ევროპულ ოჯახს“, რომლის განუყოფელი ნაწილიცაა. აღსანიშნავია, რომ განსხვავებით იდენტობის ზემოხსენებული სხვა დისკურსებისგან, შეხედულებაა, რომ საქართველო ევროპაზე უფრო ადრე იყო ევროპული, არა მხოლოდ მოსახლეობისთვის, არამედ პოლიტიკოსებისა და ექსპერტებისთვისაცაა დამახასიათებელი. უდავოა, რომ ხედავ, თითქოს საქართველო წინ უსწრებდა ევროპას ევროპულობაში, ამდენად, ევროპა მას ტოლერანტობას ვერ ასწავლის, რომ ევროპელები პატრიოტიზმის დეფიციტს განიცდიან და რომ ევროპის „ცივილიზაციურ უპირატესობებს“ საქართველოს „სულიერი უპირატესობები“ გადასწონის, მჭიდრო კავშირშია ეროვნული კვლევებით გამოვლენილ ქართველების მაღალ ეროვნულ სიამაყესთან. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ კვლევაში მონაწილე მოსახლეობა გამოირჩევა აზრთა სხვადასხვაობით იმის თაობაზე, ევროპული ღირებულებებია უპირატესი თუ ქართული, ხოლო პოლიტიკოსები და ექსპერტები იმთავითვე აღიარებენ ევროპული ღირებულებების უპირატესობას და ევროპეიზაციის პროცესს ქვეყნის მოდერნიზაციის მთავარ პირობად მიიჩნევენ.

წარმოდგენილი ამბივალენტური დამოკიდებულებები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ პოლიტიკის შემქმნელებს შესაბამისი ძალისხმევა მართებთ, პირველ რიგში, ევროკავშირისა და ევროპეიზაციის პროცესის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად. თუმცა, პოლიტიკოსების ინფორმირებულობის ზრდასაც სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს, რადგან კვლევაში

მონაწილე ექსპერტები და მოსახლეობა ხაზს უსვამენ ამ მიმართულებით მუშაობის აუცილებლობასაც. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია კიდევ ერთ მნიშვნელოვან აქტორადაა წარმოჩენილი, რომლის ინფორმირებულობის ამაღლება და სახელმწიფოსთან თანამშრომლობა სავალდებულოდაა მიჩნეული ევროპეიზაციის პროცესის წარმატებით წარმართვისთვის, საზოგადოებაში მისი დიდი ავტორიტეტის გამო. ამ ცვლილებების განხორციელება კვლევის მონაწილეებს აუცილებლად მიაჩნიათ, რათა რეალისტური გახდეს საქართველოში ევროპეიზაციის ნორმატიული და დისკურსული დონიდან ქცევით დონეზე გადატანა და ყოველდღიური პრაქტიკის განუყოფელ ნაწილად გადაქცევა.

ბიბლიოგრაფია

- Billig, M. (1995). *Banal Nationalism*. London: Sage Publications.
- Börzel, T. A. and Risse, T. (2000). When Europe Hits Home: Europeanization and Domestic Change. *European Integration online Papers (EIoP)*, 4 (15). Retrieved from: <http://eiop.or.at/eiop/texte/2000-015a.htm>
- Börzel, T. A. (2002). Pace-Setting, Foot-Dragging and Fence-Setting: Member States Responses to Europeanization. *Journal of Common Market Studies*, 40 (2), 193-214.
- Börzel, T. A. and Risse, T. (2003). Conceptualizing the Domestic Impact of Europe. In K. Featherstone and C. M. Radaelli (Eds.), *The Politics of Europeanization*. Oxford: Oxford University Press.
- Börzel, T. A. (2005). Europeanization: How the European Union Interacts with its Member States (45-69). In Bulmer, S. and Lequense, C. (Eds.), *The Member States of the European Union*. Oxford: Oxford University Press.
- Börzel, T. A. and Lebanidze, B. (2015). *European Neighbourhood Policy at the Crossroads*. MAXCAP Working Paper Series, 12. Retrieved from: <http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/system/files/maxcap-wp-12-0.pdf>
- Börzel, T. A. (2015). *Building Sand Castles? How the EU Seeks to Support the Political Integration of its New Members, Accession Candidates and Eastern Neighbours*. MAXCAP Working Paper Series, 9. Retrieved from: <http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/system/files/maxcap-wp-09-4.pdf>
- Butler, E. (2014). Assessing Accession: Power, Influence and Representation – Central and Eastern Europe in the EU. *Europe-Asia Studies*, 66 (3), 353-358.
- Caporaso, J., Cowles, M. G., and Risse, T. (Eds.), (2001). *Transforming Europe: Europeanization and Domestic Change*. Ithaca, N.Y.: Cornell University Press.
- Chattarjee, P. (1989). Colonialism, Nationalism and Colonialized Women: The Contest in India. *American Ethnologist*, 16 (4), 622-633.

- Carey, S. (2002). Undivided Loyalties: Is National Identity an Obstacle To European Integration? *European Union Politics*, 3, 387-397.
- Caucasus Research Resource Centers (CRRC-Georgia). Knowledge and Attitudes toward the EU in Georgia, 2009, 2011, 2013, 2015. Retrieved from: www.crrc.ge
- Caucasus Research Resource Centers (CRRC-Georgia). Caucasus Barometer Georgia 2009, 2010, 2011, 2012, 2013, 2015. Retrieved from: <http://caucasusbarometer.org/en/> <http://caucasusbarometer.org/en/>
- Copeland, P. (2014). Central and Eastern Europe: Negotiating Influence in an Enlarged European Union. *Europe-Asia Studies*, 66 (3), 467-487.
- Cram, L. (2009). Introduction: Banal Europeanism: European Union Identity and National Identities in Synergy. *Nations and Nationalism*, 15 (1), 101–108.
- Curzio, Q. and Fortiz, M. (2008). The EU-27 Integration and Economic Relations with the East: An Introductory Analysis. In Curzio, Q. and Fortiz, M. (Eds.), *The EU and the Economies of the Eastern European Enlargement*. Berlin, Heidelberg: Physica-Verlag.
- Delanty, G. (2003). Is there a European Identity? *Global Dialogue*, 5 (3-4). Retrieved from: <http://www.worlddialogue.org/content.php?id=269><http://www.worlddialogue.org/content.php?id=269>
- Dennis, E. E., DeFleur, M. L. (2009). *Understanding Media in the Digital Age*. London: Pearson.
- Dimitrova, A., Kortenska, E. and Steunenber, B. (2015). *Comparing Discourses about Past and Future EU Enlargements*. MAXCAP Working Paper Series, 13. Retrieved from: <http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/system/files/maxcap-wp-13-2.pdf>http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/system/files/maxcap_wp_13_2.pdf
- Dimitrov, G., Harlampiev, K. and Stoychev, S. P. (2015). *Contextual Policy Reading of Public Opinion Data and Recent Trends in Attitudes towards European Integration*. MAXCAP Working Paper Series, 6. Retrieved from: <http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/system/files/maxcap-wp-06-0.pdf>http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/system/files/maxcap_wp_06_0.pdf

- Duchesne, S. (2011). National Identification, Social Belonging and Questions on European Identity. In Thiel, M., Friedman, M. (Eds.), *European Identity and Culture: Narratives of Transnational Belongings* (53-73). London: Ashgate Publishing.
- Elias, N. (1994). *The Civilizing Process*. Oxford, UK and Cambridge, USA: Blackwell.
- EU Commissioner Calls on Georgia to Focus on AA Implementation (2015, 16 January). *Civil.ge*. Retrieved from: <http://www.civil.ge/eng/article.php?id=27975>
- Eurasia Partnership Foundation. (2015). *Knowledge of and Attitudes towards the EU in Georgia: Trends and Variations 2009–2015*. Retrieved from: <http://www.epfound.ge/files/eu-attitudes-survey-eng-nov-24-1.pdf>
- Fatherstone, K. (2003). Introduction: In the Name of ‘Europe’. In Fatherstone, K., Radaelli, C. M. (Eds.) *The Politics of Europeanisation* (3-23). Oxford: Oxford University Press.
- Fox J. E., Vermeersch P. (2010). Backdoor Nationalism. *Europeana* 2, 325-357.
- “Georgia Should Return to the European Family, from Which It Was Artificially, Forcibly Torn Away,” – Tina Khidasheli (2016, 5 April). *Rustavi 2*. Retrieved from: <http://rustavi2.com/en/news/43565>
- German, T. (2015). Heading West? Georgia’s Euro-Atlantic Path. *International Affairs* 91(3), 601-614.
- Goetz, K. H. (2005). The New Member States and the EU: Responding to Europe (254-280). In Bulmer, S. and Lequense, C. (Eds.), *The Member States of the European Union*. Oxford: Oxford University Press.
- Goetz, K. H. (2006). *Territory, Temporality and Clustered Europeanization*. Political Science Series, 109. Institute for Advanced Studies, Vienna. Retrieved from: <http://www.ihs.ac.at/publications/pol/pw-109.pdf>
- Goffman, E. (1959). *The Presentation of Self in Everyday Life*. New York: Doubleday.
- Gower J., Timmins, G. (2009). Introduction: The European Union, Russia and the Shared Neighbourhood. *Europe-Asia Studies*, 61 (10), 1685-1687.

- Grabbe, H. (2003). Europeanization Goes East: Power and Uncertainty in the EU Accession Process. In Fatherstone, K., Radaelli, C. M. (Eds.), *The Politics of Europeanisation* (303-327). Oxford: Oxford University Press.
- Grabbe, H. (2006). *The EU's Transformative Power*. Palgrave Macmillan, New York.
- Favell, A., Guiraudon, V. (Eds.), (2011). *Sociology of the European Union*. Hampshire and New York: Palgrave Macmillan.
- Haukkala, H. (2008). The European Union as a Regional Normative Hege-
mon: The Case of European Neighbourhood Policy. *Europe-Asia Stud-
ies*, 60 (9), 1601-1622. DOI:10.1080/09668130802362342
- Herzfeld, M. (2005). *Cultural Intimacy: Social Poetics in the Nation-State*.
New York: Routledge.
- Hobsbawm E., Ranger T. (Eds), (1983). *The Invention of Tradition*. Cam-
bridge: Cambridge University Press.
- Hughes, J. (2009). Introduction: the making of EU conflict management
strategy – development through security *Ethnopolitics*, 8 (3-4), 275-285.
- Ilonszki, G. (2009). Introduction: A Europe Integrated and United—But
Still Diverse? *Europe-Asia Studies*, 61 (6), 913–919.
- Inglehart, R., and Welzel, C. (2005). *Modernization, Cultural Change, and
Democracy*. Cambridge: Cambridge University Press.
- International Social Survey Program (ISSP). *National Identity 2013, Geor-
gia*. Retrieved from: [http://www.gesis.org/issp/issp-modules-profiles/
national-identity/2013/](http://www.gesis.org/issp/issp-modules-profiles/national-identity/2013/)
- IRI Georgia Poll: Georgians are Less Optimistic, Continue to Desire Deeper
Ties with the West, Wary of Perceived Russian Threat, Concerned Re-
garding Economy (2015, 31 March). *IRI*. Retrieved from: [http://www.
iri.org/resource/iri-georgia-poll-georgians-are-less-optimistic-continue-
desire-deeper-ties-west-wary](http://www.iri.org/resource/iri-georgia-poll-georgians-are-less-optimistic-continue-desire-deeper-ties-west-wary) [http://www.gesis.org/issp/issp-modules-
profiles/national-identity/2013/](http://www.gesis.org/issp/issp-modules-profiles/national-identity/2013/)
- Irondelle, B. (2003). Europeanization without European Union? French
Military Reforms 1991-96. *Journal of European Public Policy*, 10 (2),
208-226.

- Jacquot, S., Woll, C. (2003). Usage of European Integration – Europeanisation from a Sociological Perspective. *European Integration Online Papers (EIoP)*, 7 (12). Retrieved from: <http://eiop.or.at/eiop/texte/2003-012a.htm>
- Kaina, V., Karolewski, I. P. (2013). EU Governance and European Identity. *Living Reviews in European Governance*, 8 (1), 5-59. DOI: 10.12942/lreg-2013-1. Retrieved from: <http://www.europeangovernance-livingreviews.org/Articles/lreg-2013-1/>
- Kliwer B., Stivachtis, Y. A. (2007). Democratizing and Socializing Candidate States: The Case of the EU Conditionality. In Stivachtis, Y. A. (Eds.), *The State of European Integration* (143-160). London: Ashgate Publishing.
- Kuus, M. (2007). *Geopolitics Reframed: Security and Identity in Europe's Eastern Enlargement (New Visions in Security)*. New York: Palgrave Macmillan.
- Lazarsfeld, P. F., Barelson, B., Gaudet, H. (1944). *The People's Choice: How the Voter Makes up His Mind in a Presidential Campaign*. New York: Columbia University Press. Retrieved from: <http://www.europeangovernance-livingreviews.org/Articles/lreg-2013-1/>
- Lynggaard, K. (2011). Domestic change in the face of European integration and globalization: Methodological pitfalls and pathways. *Comparative European Politics* Vol. 9, 1, 18–37. Macmillan Publishers Ltd.
- MacFarlane N. (2012). Georgia: National Security Concept versus National Security. *Russia and Eurasia Program Paper*. London: Chatham House. Retrieved from: <http://www.chathamhouse.org/publications/papers/view/185193>
- Maniokas, K. (2009). Conditionality and compliance in Lithuania: the case of the best performer. In Schimmelfennig, F., Trauner, F. (Eds.), *Post-accession compliance in the EU's new member states*, European Integration online Papers (EIoP), Special Issue 2, Vol. 13, Art. 20. Retrieved from: <http://eiop.or.at/eiop/texte/2009-020a.htm>.
- Manners, I. (2002). Normative Power Europe: A Contradiction in Terms? *Journal of Common Market Studies*, 40 (2), 235-258.

- Medrano, J. D. (2011). Social Class and Identity (28-49). In Favell, A. and Guiraudon, V. (Eds.), *Sociology of the European Union*. Hampshire and New York: Palgrave Macmillan.
- Melegh, A. (2006). On the East-West Slope: Globalization, Nationalism, Racism and Discourses on Central and Eastern Europe. Budapest: Central European University Press.
- Moes, J. (2009). CosmoPoles: A Mixed-Methods Study on the European Identity of Higher-Educated Polish Youth. *Studies in Ethnicity and Nationalism* 9 (3), 429-451.
- Mole, R. (2007). Talking Security? The Discourse of European Identity in the Baltic States (149-169). In Mole, R. (Eds.), *Discursive Constructions of Identity in European Politics*. New York: Palgrave Macmillan.
- Morawska, E. (2003). National Identities of Polish (im)migrants in Berlin: Four varieties, their Correlates and Implications. In Spohn, W., Triandafyllidou, A., (Eds.), *Europeanisation, National Identities and Migration: Changes in Boundary Constructions between Western and Eastern Europe* (171-191). London and New York: Routledge.
- Moumoutzis, K. (2011). Still Fashionable Yet Useless? Addressing Problems with Research on the Europeanization of Foreign Policy. *Journal of Common Market Studies*, 49 (3), 607-629.
- Nanz P.I. (2000). In-between Nations: Ambivalence and the Making of a European Identity. In Strath B. (Eds.), *Europe and the Other, Europe as the Other*. Brussels: Peter Lang, 279-309.
- NATO enlargement is not on the agenda at present – French President (2015, 4 March). *InterPressNews*. Retrieved from: <http://www.interpressnews.ge/en/world/66897-nato-enlargement-is-not-on-the-agenda-at-present-french-president.html?ar=A>
- Neumann, I. B. (1996). Russia as Europe's Other. EUI Working Paper, 96 (34). Retrieved from: <http://core.ac.uk/download/pdf/6538476.pdf>
- Olsen, J. P. (1996). Europeanization and Nation-State Dynamics. In Gustavsson, S. and Lewin, L. (Eds.), *The Future of the Nation-State*. London: Routledge.
- Pickering, P. M. (2011). The Constraints of European Institutions' Conditionality in the Western Balkans. *Europe-Asia Studies*, 63 (10), 1939-1944.

- Radaelli, C. M. (2003). The Europeanisation of Public Policy. In Fatherstone, K., Radaelli, C. M. (Eds.), *The Politics of Europeanisation* (27-56). Oxford: Oxford University Press.
- Radaelli, C. M., Pasquier, R. (2007). Conceptual Issues. In Graziano, P. And Vink, M. P. (Eds.), *Europeanization: New Research Agendas* (35-45). London: Palgrave Macmillan.
- Sakellariou, A. (2012). Greek Orthodox Church's Public Discourse: Balancing between Cultural Hegemony and Cultural Diplomacy. In Rodin, S. and Topic, M. (Eds.), *Cultural Diplomacy and Cultural Imperialism: European Perspective(s)* (203-218). Brussels: Peter Lang.
- Schimmelfennig, F., Sedelmeier, U., (2005). Introduction: Conceptualizing the Europeanization of Central and Eastern Europe. In Schimmelfennig, F., Sedelmeier, U. (Eds.), *The Europeanization of Central and Eastern Europe* (1-28). Cornell University Press, Ithaca and London.
- Schimmelfennig, F. (2010). Europeanization beyond the Member States. *Zeitschrift für Staats- und Europawissenschaften*, 2010. Retrieved from: <https://www.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/european-politics-dam/documents/People/Publications/Europeanization/Member-.pdf>
- Schimmelfennig, F. (2012). Europeanization beyond Europe. *Living Reviews in European Governance*, 7 (1). Retrieved from: <http://www.livingreviews.org/lreg-2012-1>
- Schimmelfennig, F. (2014). *Enlargement and Integration Capacity: A Framework for Analysis*. MAXCAP Working Paper Series, 1. Retrieved from: <http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/system/files/enlargement-and-integration-capacity-a-framework-for-analysis.pdf>
- Schimmelfennig, F., Borzel, T. A., Kortenska, E., Langbein, J. and Toshkov, D. (2015). *Enlargement and the Integration Capacity of the EU*. Maxcap Report, 1. Retrieved from: http://userpage.fuberlin.de/kfgeu/maxcap/sites/default/files/sites/default/files/reports/maxcap_report_01_0.pdf
- Sedelmeier, U. (2011). Europeanization in New Member and Candidate States. *Living Reviews in European Governance*, 6 (1). Retrieved from: <http://www.europeangovernance-livingreviews.org/Articles/lreg-2011-1/>

- Sotiropoulos, D. A. (2004). The EU's Impact on the Greek Welfare State: Europeanization on Paper? *Journal of European Social Policy*, 14 (3), 267-284. DOI: 10.1177/0958928704044627.
- Steenbergen, M. R., Edwards, E. E. and De Vries, C. E. (2007). Who is Cueing Whom? Mass-Elite Linkages and the Future of European Integration. *European Union Politics*, 8 (1), 13-35.
- Stivatchtis, Y.A. (2006). Democracy: The Highest Stage of Civilized Statehood", *Global Dialogue*, 8, 3-4.
- Surwillo, I., Henderson, K., Lazaridis, G. (2010). Between Euroscepticism and Eurosupport: The Attitudes of Urban and Rural Populations in Poland 2000–2008. *Europe-Asia Studies*, 62 (9), 1503-1525. Retrieved from: <http://core.ac.uk/download/pdf/6538476.pdf>
- Todorova, M. (1997). *Imagining the Balkans*. Oxford: Oxford University Press.
- Toshkov D., Kortenska E., Dimitrova, A. and Fagan, A. (2014). *The 'Old' and the 'New' Europeans: Analyses of Public Opinion on EU Enlargement in Review*. MAXCAP Working Paper Series, 2. Retrieved from: <http://www.maxcap-project.eu/system/files/maxcap-wp-02.pdf>
- Topic, M. (2012). Culture and Identity as Tools for Forging Europeanization. In Rodin, S., Topic, M. (Eds.), *Cultural Diplomacy and Cultural Imperialism: European Perspectives* (219-237). Brussels: Peter Lang.
- Trenin, D. (2005). *Policy Brief: Reading Russia Right*. Carnegie Endowment for International Peace, Special Edition. Retrieved from: <http://carnegieendowment.org/files/pb42.trenin.FINAL.pdf>
- Trenz, H. (2011). Social Theory and European Integration. In Favell, A. and Vachudova, M.A. (2005). *Europe Undivided: Democracy, Leverage and Integration after Communism* (193-213). Oxford University Press, Oxford.
- Tsuladze, L. (2013). Western Imaginary and Imagined Defence Strategies of Eastern Europe and its Borderlands. *Central European Journal of International and Security Studies*, 7 (4), 107-126.
- Tsuladze, L. On Europeanisation, National Sentiments and Confused Identities in Georgia. Forthcoming.

Vasilev, G. (2011). EU Conditionality and Ethnic Coexistence in the Balkans: Macedonia and Bosnia in a Comparative Perspective. *Ethnopolitics*, 10 (1), 51-76.

Zhelyazkova, A., Börzel, T. A., Schimmelfennig, F. and Sedelmeier, U. (2015). *Beyond Uniform Integration? Researching the Effects of Enlargement on the EU's Legal System*. MAXCAP Working Paper Series, 8. Retrieved from: <http://userpage.fu-berlin.de/kfgeu/maxcap/system/files/maxcap-wp-08.pdf>

აგრესიულმა ბრბომ ჩაშალა ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართული აქცია (2013, 17 მაისი). რადიო თავისუფლება. მოძიებულია: <http://www.radiotavisupleba.ge/archive/geonews/20130517/1001/1001.html?id=24988961>

ვასაძის ჰომოფობიური და ანტიდასავლური გამოსვლა კონგრესზე, რომელსაც პატრიარქიც ესწრება (2016, 16 მაისი). *On.ge*. მოძიებულია: <https://on.ge/story/647-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94>

პატრიარქი: „ეკლესია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საქართველო ევროკავშირის წევრი გახდეს“ (2014, 5 მარტი). *Civil Georgia*. მოძიებულია: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=27927>

„საქართველო იყო ევროპა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ევროპამ თავად არ იცოდა, რომ იყო ევროპა“ (2015, 5 ივნისი). *პირველი რადიო*. მოძიებულია: <http://pirveliradio.ge/index.php?newsid=46926>

ფედერიკა მოგერინი: აუცილებელია რუსეთთან კონფრონტაციის თავიდან აცილება (2015, 7 მარტი). რადიო თავისუფლება. მოძიებულია: <http://www.radiotavisupleba.ge/content/news/26887358.html>

ფულე: „ილია II-ს დავარწმუნებ, რომ თქვენი ტრადიციების უგულვებელყოფას არ ვაპირებთ“ (2014, 4 მარტი). ტაბულა. მოძიებულია: <http://www.tabula.ge/ge/story/80733-fule-ilia-ii-s-davartsmuneb-rom-tqveni-tradiciebis-ugulebelkofas-ar-vapirebt>

NDI: ევროკავშირი – 68%, NATO – 65%, ევრაზიის კავშირი – 31% (2015, 11 მაისი). ტაბულა. მოძიებულია: <http://www.tabula.ge/ge/story/96045-ndi-evrokavshiri-68-nato-65-evraziis-kavshiri-31>